

K 214 530
3

მეზობლები



თევზა სთივიძე

**თხზულებათა
მრავალტომეული**

გამომცემლობა „კიდევას დაიჯრდებინან“
საგამომცემლო კოოპერატივი „ჯეჯილი“

მოკლეს სწავლა

მოზულეანი
ტომი I

სამას-სამასი

წიგნი კოლხი ანულისა

მკვლელობა ხოგისწყლის

პირას

ამ წიგნში წარმოდგენილ ნაწარმოებთაგან, პირველი — „სამას-სამასი“ — ქანრობრივად დოკუმენტური პროზაა, ანუ მეცნიერებით დადგენილი და მხატვრულად მოთხრობილი ნამდვილი ამბები საბერძნეთისა და საქართველოს ისტორიიდან. ხოლო „ამბავი კოლხი ასულისა“, როგორც რომანი, აგებულია ისტორიის, მითოლოგიის და მწერლური ფანტაზიის გამთლიანებულ საწყისებზე; ასევე ისტორიული მოთხრობაც — „მკვლელობა ხობისწყლის პირას“.

ეს ნაწარმოებები ოცი-ოცდაათი წლის წინათ იწერებოდა — ე. ი. „დამწყები ავტორობის“ პერიოდში. ამიტომ, უკეთეს დღევანდელ მკითხველს მათი კითხვისას ზოგი რამ „სათანადო სიმაღლისად“ არ მოეჩვენოს, ავტორი მის წინაშე ბოდიშს იხდის და შენდობას ითხოვს უმორჩილესად.



4702170201-06
ს _____ 10-91
მ 612(08)-91

გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“
ს.საგამომცემლო კოოპერატივი „ჭეჭილი“

სამას- სამასი



ჩემი

კ ა ხ ა ს

ნათელ ხსოვნას

„მე, უბედური სიმამაცე,
აქ, აიაქსის საფლავთან ვზივარ“.

ბერძნული ეპიგრამა.

„ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა;
გამთენიასა ქნევა ხმალისა;
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა;
ძგერა შუბისა, შუბის ნალეწი;
შუბის ნალეწი ზეცას ცვივოდა;
ზეცას ცვივოდა, ჩამოცვივოდა;
ჩამოცვივოდა მესამე დღეა“.

ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ა.

საგ-2000
სამედიკინო

K 214.530
3

პლუტარქე ამბობს:

„რამდენადაც დროის მდინარეა უსასრულოა, ხოლო ბე-
დი დიდად ცვალებადი და დაუღებარი, ამიტომ არ უნდა გაგ-
ვიკვირდეს, რომ ისტორიაში ხშირად ხდება ერთიმეორის მსგავს-
ი ამბები“.

კლიოს — ისტორიის მუზას — მართლაც უყვარს სხვადა-
სხვა ხალხთა და დრო-ჟამთა ბედ-იღბლის ერთმანეთთან დამს-
გავსება და „დანათესავება“.

ეს წიგნიც სწორედ ერთიმეორის მსგავს საისტორიო მოვ-
ლენებზე მოგვითხრობს.

ეს არის ორი ისტორიული ეპოქა ორი სახელოვანი ხალ-
ხისა: ბერძნებისა და ქართველებისა; საარაკო ორი გმირობა
ბერძენ-სპარტეელთა და ქართველ-არაგველთა.

2275 წელი აშორებს ერთმანეთისაგან ამ ორ ამბავს, ბევ-
რი რამეც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, მაგრამ მსგავსე-
ბანი მაინც ასეთია:

ერთნაირად: სამას-სამასი;

ერთნაირად: სამასი — მრავალათასეულის პირისპირ;

ერთნაირად: სპარსელ დამპყრობთა პირისპირ;

ერთნაირად: უზენაესი სიფვარული მამულისადმი;

ერთნაირად: უზენაესი მეომრული შემართება;

ერთნაირად: უზენაესი სიკვდილით სიკვდილი;

ერთნაირად: სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა;

ერთნაირად: უკვდავება თესლით თესლამდე, უკუნითი

უკუნისამდე.

მაშ, იხილე, კეთილო მკითხველო, გმირობანი სამასეულთა.

სამასი სპარტელი

თავი პირველი

თერმოკილიმდე

„მიწა და წყალი“

„სისხლის მღვრელ ომში მოვიხადეთ მოვალეობა,
ათენას ტაძარს ამშვენებდნენ ჩვენი ისრები,
სიკვდილისა და გმინვის მგვრელნი, მიზანუმცდარნი,
სპარს მეომართა სისხლით დამბალ-დაწითლებულნი“.

ს ი მ ო ნ ი დ ე

ქრისტეს დაბადებამდე იდგა 492 წელი.

ორი სამყარო ხმალამოწვდილი დადგა პირისპირ. იყო სპარსე თი ის მსოფლიო სახელმწიფო — ლიბიიდან და ეგეოსიდან ინდოეთამდე გადაჭიმული. იჯდა მეფედ აქემენიდური დინასტიის მესამე დიდი წარმომადგენელი (კიროსისა და კამბიზის შემდგომ) — დ ა რ ი ო ს პ ი რ ვ ე ლ ი. სპარსელთა გარდა, უთვალავი მოდგმისა და რჯულის ხალხი ემორჩილებოდა სპარსელ მბრძანებელს: აფრიკელი ეგვიპტელები, ეთიოპელები და



ლიბიელები, მცირეაზიელი ბერძნები, ბითინიელები, პაფლაგონიელები, ტიბარენები, ხალიბები, კარდუხები, მაკრონები, კოლხები, სანიგები, მოსხები, კაპადოკიელები, ფრიგიელები, კარიელები, კილიკიელები და ლიკიელები. სამხრეთელი სირიელები, ფინიკიელები, ებრაელები და არაბები; მესოპოტამიელი ასირიელები, ბაბილონელები და ქალდეველები; კავკასიელი არმენები და ალბანელები; ერანელი მიდიელები და ატროპანტელები, შუააზიელი სკვითი-საკები, პართიელები, ბაქტრიელები, არიელები, ჰირკანიელები, დრანგიანელები, სოგდიანელები და სინდეთიდან გედროზიელები.

ხოლო სპარსული მსოფლიო ვეშაპის ზედ ხახასთან იღო ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი, ისედაც ნამცეცა, სწორედ უწვრილეს ნამცეცებად და ნაფლეთებად გაფანტული ბალკანეთზე და ეგეოსის არქიპელაგზე. აქ არ არსებობდა არავითარი ერთიანობა და მთლიანობა. საბერძნეთის უკლებლივ ყველა ქალაქი და ქალაქ-კუნძული, საკუთარი, დამოუკიდებელი „სახელმწიფოებრიობით“ ცხოვრობდა. ყველა პოლის* (ქალაქ-სახელმწიფოს) საკუთარი ავტონომია და ავტარკია ჰქონდა*.

აზიური მონარქია ევროპისაკენ მოხიზავდა.

უბირველესად: საბერძნეთი—ჰელადა!

საომარი წინდი კარგა ხანია ჩაგდებულა.

სრულიად ბერძნული სამყარო სამი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: ბალკანეთის (კონტინენტური), ეგეოსის კუნძულთა და მცირე აზიის სანაპიროთა საბერძნეთი. ეს უკანასკნელი, მცირე აზიული ანუ იონიური საბერძნეთი, მისი უბრწყინვალესი ქალაქებით, უკვე დიდი ხნის წინათ დაიმორჩილეს სპარსელმა მბრძანებლებმა. ახლა დანარჩენი ორი მესამედის რიგით დამდგარა.

დარიოსს ომის დაწყების საბაბიც უკვე დაუხვევია ხელზე: ამას წინათ რომ მცირეაზიულმა ბერძნულმა ქალაქებმა, სახელოვანი მილეტიის მეთაურობით, სპარსული უღლისაგან თავის დასაღწევად აჯანყება მოაწყვეს (500—494 წწ.), ათენელებმა და ევბეელმა ერეტრეელებმა აჯანყებულ თანამომეებს დამხმარე ძალები გამოუგზავნეს.

განსაკუთრებით ათენზე* იყო განრისხებული დარიოსი. როცა შეიტყო, მოაჯანყე იონიელებმა ათენელების დახმარებით ლიდის მთავარი ქალაქი სარდი დასწვეს, ბრახმორეულმა ზე-

ცას ისარი შესტყორცნა და თავის უზენაეს ღვთაებას შეჰკლა-
დადა:



„ოო, დიდებულო აპურამაზდა, მომეცი ძალა, შური ვიძიო
ათენელებზე!“

თანაც თავის ერთ მსახურს უბრძანა, ყოველდღე, სადილო-
ბის წინ, შეეხსენებია მისთვის:

„ხელმწიფეო, გახსოვდეს ათენელები!“

მეფეს არ სურდა, დიდხანს გაგრძელებულიყო მისი უგე-
მური სადილ-ნადიმობანი. 494 წელს სპარსულმა არმიებმა გაა-
ნადგურეს მცირეაზიელი იონიელები; აიღეს და დაანგრიეს აჯან-
ყების ცენტრი მილეტი.

492 წელს კი დარიოსმა „ათენელებზე შურის საძიებლად“
და სრულიად საბერძნეთის დასაპყრობად გაგზავნა დიდი არ-
მია და ფლოტი თავისი სიძის (უმცროსი ქალიშვილის ქმრის),
ახალგაზრდა, მამაცი და პატივმოყვარე მარდონიოსის
სარდლობით.

სპარსელთა საომარი ძალები ჰელესპონტიდან მიეშურებოდ-
ნენ. თვითონ მარდონიოსი სახმელეთო არმიას მიუძღოდა თრა-
კიისა და მაკედონიის სანაპიროთა გასწვრივ. საზღვაო ფლოტი
პარალელურად მიედინებოდა.

ის იყო სპარსელთა ფლოტი მიუახლოვდა ათონის კონცხს
(სადაც გვიან, X საუკუნეში, აღიმართება სახელოვანი
ქართული მონასტერი — „ივერონი“), ზღვაზე საშინელი ქარ-
ტეხილი ამოვარდა და ფლოტი მთლიანად განადგურდა. 300
გემი და 20.000 მეომარი შეეწირა ზღვაურ სტიქიონს.

ამასობაში არც სპარსელთა სახმელეთო ჯარებს დასდგომი-
ათ უმჯობესი დღე. მათ მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მამაცი
თრაკიელი ტომები — ბრიგები. ასეთ თარეშულ შეტაკებებში
მარდონიოსის არმია ძალიან დაზიანდა. თვითონ სარდალიც
ერთ-ერთ შეტაკებაში დაიჭრა და, როცა ფლოტის დაღუპვის ამ-
ბავიცი შეიტყო, იძულებული შეიქნა საბერძნეთისკენ დასაქრო-
ბაზე ხელი აეღო და უკან დაბრუნებულიყო.

ამ მარცხიანი წამოწყების საპასუხოდ, 491 წელს, დარიოს-
მა საბერძნეთის ყველა ქალაქ-სახელმწიფოს ელჩები გაუგზ-
ავნა უზენაესი ბრძანებულებით:

„ჩამაბარეთ მიწა და წყალი!“



ეს უსიტყვო მორჩილების მოთხოვნას ნიშნავდა:

ბევრმა ბერძნულმა ქვეყანამ, ზოგმა სპარსეთთან ომის მედობით, ზოგმაც მეზობელ მოძმეთადმი უფრით და მტრობით — მართლაც დაუყოვნებლივ ჩააბარა „მიწა და წყალი“ აზიის „მეფეთა მეფეს“. ასეთთა შორის აღმოჩნდნენ: ყველაზე დიდი ქვეყანა თესალია ჩრდილოეთ საბერძნეთში, ბოტია შუა საბერძნეთში და არგოსი სამხრეთ საბერძნეთში (პელოპონესში).

ჰელინური სამყაროს უმეტესმა ნაწილმა თავისუფლების დაკარგვასა და უცხოურ მონობაში ჩაეარდნას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გასვლა ამჯობინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძენთა სამამულლო ომს სათავეში უნდა მოქცეოდნენ ათენი და სპარტა* — ჰელადის წამყვანი პოლისები. ეს ასეც მოხდა, მიუხედავად მათი ურთიერთ მეშურნეობისა და მეტოქეობისა.

ლაკონიელმა სპარტელებმა დარიოსისგან მიწა-წყლის მოთხოვნაზე მისი ელჩები ჭაში ჩაჰყარეს და ზემოდან „ლაკონიურად“ ჩასძახეს:

„მანდ არის მიწაც და წყალიც!“

ხოლო ათენელებმა სპარსეთის მეფის ელჩები, მათ ათენელ თარჯიმანთან ერთად, იმ უფსკრულში გადასჩეხეს, სადაც ჩვეულებრივ სახელმწიფო დამნაშავეებს ჰყრიდნენ. -

ასე დაიწყო ნახევარსაუკუნოვანი ომი ბერძენთა და სპარსელთა შორის.

მ ა რ ა თ ო ნ ი

„ჰელადისათვის მარათონის ველზე მტრებს სძლევენ, ათენელებმა იაეარჰყვეს სპარსთა ძალა“.

ს ი მ ო ნ ი დ ე

ოთხასოთხმოცდაათი წლის გაზაფხულზე სპარსელთა საომარმა ძალებმა თავი მოიყარეს კილიკიის დასავლეთ სანაპიროზე, კუნძულ სამოსის ახლოს. ფლოტი შესდგებოდა 600 სამხედრო ხომალდისა და მრავალი სატრანსპორტო გემისაგან.



მას ეგეოსის ზღვაზე უნდა გადაეყვანა 100000-ანი ქვეითი არმია და 10.000-იანი კავალერია. დარიოსმა ამჯერად სარდლებად დანიშნა უკვე ხანში შესული, გამოცდილი სარდალი და ტატიანი და თავისი ახალგაზრდა ძმისწული არტაფერნი.

„წადით საბერძნეთს, მონის ბორკილები დაადეთ და ისე მომგვარეთ ის თავხედნი!“ ასეთი ბრძანებით გაისტუმრა ისინი დარიოსმა.

დატისმა და არტაფერნმა სამოსიდან საომარი ძალები ეგეოსის სიღრმისაკენ წარმართეს. მათ მეგზურად თან ახლდა ათენელთაგან დამხოზილი ტირანი ჰიპია, რომელიც, აქამდე სპარსეთს თავშეფარებული, დროს უცდიდა, სამაგიერო მიეზლო თავისი თანამემამულეებისათვის.

სპარსელებმა უპირველესად დაიმორჩილეს კიკლადური კუნძულები. ამათგან ბუდეძირიანად ააოხრეს და ააწიოკეს კუნძული ნაქსოსი, რომელმაც ადრე (იონიური ქალაქების აჯანყების წინ) მარცხი აქამა სპარსელთა საზღვაო ძალებს. ნაქსოსელების უმრავლესობა ამოჟლიტეს, დანარჩენები მონებად წაიყვანეს, მათი ქალაქი გაძარცვეს და ხანძარს მისცეს.

აქედან სპარსელები გაეშურნენ შუა საბერძნეთისაკენ და მიადგნენ კუნძულ ევბეაზე მდებარე ქალაქ ერეტრეას, რომელმაც ათენელებთან ერთად დახმარება გაუწია მოაჯანყე იონიურ ქალაქებს.

ექვსი დღის განმავლობაში სპარსელებს ამოდ მიჰქონდათ იერიშები ერეტრეაზე. მეშვიდე დღეს კი ლალატმა დასცა გმირი ქალაქი: ორმა არისტოკრატმა, ევფორბოსმა და ფილაგროსმა, გაუღეს კარი მტერს. სპარსელებმა ერეტრეა გაძარცვეს და გადასწვეს, ხოლო სიკვდილს გადაარჩენილი მცხოვრებნი მონებად აიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სპარსელებმა, ჰიპიას წინადადებით, ევრიპის სრუტე გადალახეს და ატიკის მიწაზე გადავიდნენ, აქ მათ დაიბანაკეს ზღვის პირზე, საიდანაც იშლებოდა მართონის ველი, ფრიად მოსახერხებელი ადგილი

მრავალრიცხოვანი არმიისა და კავალერიის მანევრირებისათვის. მთავარსარდალმა არტაფერნმა თავისი კარავი დღეებში ზღვის პირთან, მარათონის ველის ჩრდილოეთ კუთხეში, კასრსურის მალლობზე, საიდანაც მთელი საომარი მიწდორი ხელისგულივით ჩანდა.

სპარსელებმა დაბანაკებიდან რამდენიმე საათის შემდგომ სამხრეთ ატიკის სოფლების აოხრება დაიწყეს. აწიოკებული ხალხი ათენისაკენ გარბოდა და თავშესაფარსა და შველას ითხოვდა.

ათენის სამხედრო საბჭო, რომელშიც შედიოდა ერთი არქონტი-პოლემარქოსი და ათი სტრატეგოსი, სასწრაფოდ შეუდგა ლაშქრის შეყრას. გადაწყდა, დახმარება ეთხოვათ სპარტისათვის. მაშინვე გაგზავნეს განთქმული მალემსრბოლი ფილიპიდე, რომელმაც ორასი ვერსი ორ დღეში გაირბინა და სპარტაში ასეთი დანაბარები ჩაიტანა:

„ათენელები სთხოვენ სპარტელებს, არ დაუშვან, რომ ჰელადის უძველესი ქალაქთაგანი ბარბაროსული მონობის ქვეშ მოექცეს. ბარბაროსებმა უკვე დაიპყრეს ერეტრეა და ამით საბერძნეთის სახელოვან ქალაქთა რიცხვი ერთით ნაკლები გახდა“.

სპარტის ხელისუფლებამ — მეფეებმა, ეფორებმა და გერონტებმა — ათენის ელჩი ასეთი პასუხით გაისტუმრა:

„სპარტანული ადათის მიხედვით, ლაშქრის გამოყვანა საომარ ველზე შეგვიძლია მხოლოდ მთვარის სისავსის დადგომისას“.

მთვარის გავსებამდე კი ათი დღე იყო დარჩენილი.

მაშ, ათენს მხოლოდ საკუთარი ძალების იმედიღა უნდა ჰქონოდა.

დაისვა საკითხი, სად უნდა გაემართათ ბრძოლა მტრისათვის: იქ, მარათონის ველზე, სადაც სპარსელები იყვნენ დაბანაკებულნი, თუ აქვე — ათენის კედლებთან.

ცხარე კამათი გაიმართა სამხედრო საბჭოზე. სტრატეგოსთაგან უმამაცესი და უნიჭიერესი მილტიადე მოითხოვდა, მტერს არ დალოდებოდნენ და დაუყოვნებლივ, მოულოდნელად დასხმოდნენ თავს, სანამ იგი მარათონის ველიდან აიყრებოდა და ათენისაკენ გამოსწევდა. მილტიადეს მიაჩნდა, რომ

ათენელ მოქალაქეთაგან ბევრი, ყოფილი ტირანისა და ამჟამად სპარსელთა მეგზურის, ჰიპიას მომხრე იყო. ამიტომ თუ სპარსელები ათენის კედლებს მოაღწევდნენ, ქალაქში მოღალატეებიც მრავლად გამოჩნდებოდნენ.

მილტიადეს მოთხოვნას — დაუყოვნებლივ თავს დასხმოდნენ სპარსელებს მარათონის ველზე — სტრატეგოსთაგან პირველმა დაუჭირა მხარი არისტოდემ; შემდეგ თემისტოკლემ, სტისილაოსმა და კიდევ ერთმა სარდალმა; მაგრამ დანარჩენი ხუთი სტრატეგოსი მოითხოვდა, ლაშქარი ქალაქში დარჩენილიყო და აქვე დალოდებოდა მტერს.

ხმების გაყოფის ამდაგვარ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყვიტა არქონტ-პოლემარქოსს. იმ წელს ეს თანამდებობა ეჭირა კალიმაქეს. კალიმაქე გადაწყვეტი ხმის მიცემამდე მილტიადემ ცალკე გაიხმო და უთხრა:

„ახლა შენზეა, კალიმაქე, დამოკიდებული: ათენელებმა მონობის უღელი უნდა დაიდგან, თუ თავისუფლება შეინარჩუნონ, და შენც სამარადჟამოდ მოიხვეჭო დიდება, რომლის მსგავსი არ ღირსებიათ თვით ჰარმოდისს და არისტოგეიტონს*. არასოდეს დაარსებიდან ათენს ასეთი საფრთხე არ ახსოვს. როგორც ჰხედავ, სტრატეგოსთა ხმები გაიყო: ჩვენ, ხუთნი ვამბობთ, დაუყოვნებლივ გავეშუროთ და შევებათ მტერს, ხოლო სხვა ხუთნი — მტერთან შებმაზე უარს ამბობენ. უკეთუ შენ ჩვენ დაგვიჭერ მხარს და საომარ ველზე გადასვლას ხმას მისცემ, ჩვენი სამშოლო მონობის ბორკილს გადარჩება და ჰელადაში უპირველეს პოლისად იქცევა; ხოლო უკეთუ ჩვენს განზრახვას წინ აღუდგები, უმაღვე სპარსელთა და მოღალატე ჰიპიას მონებად გადავიქცევით“.

მილტიადეს სიტყვამ კალიმაქეზე დიდად იმოქმედა. მან მილტიადეს მოსაზრებას უყოყმანოდ მისცა ხმა და ბრძოლად გასვლაც საბოლოოდ გადაწყდა.

ათენში ათი ფილე იყო და თითოეულ მათგანს ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო, თავისი სტრატეგოსით სათავეში.

მაშ, შეიყარა ათენელთა ლაშქარი, სულ — 10.000 ჰოპლიტი. ქალაქში დარჩნენ მხოლოდ მოხუცნი, ქალები და ბავშვები.

ათენიდან მარათონამდე ორმოცკილომეტრიანი გზა ლაშქარმა ექვს საათში გაიარა და მტრის ბანაკიდან კილომეტრ-ნა-

ხევარზე, მართონის ველს ზემოთ აღმართულ მაღლობზე, ე. წ. ზეარაკლეს წმიდა ხეივანში. დაიბანაჯა. მათ ზუტაში მთაზე შეიქმნა ფენილი სოფელი მ ა რ ა თ ო ნ ი იყო. ქვემოთ ხელისგულივით ჩანდა მთებით ნახევარწრედ გარშემორტყმული თვით მართონის ველი, ხოლო ზღვის პირზე — სპარსელთა ბანაკი.

წესის თანახმად, ათენელთა ლაშქარს სტრატეგოსები ყოველდღიური ცვლით მთავარსარდლობდნენ, მაგრამ ამჯერად მათ, მტერთან ომის დამთავრებამდე, უცვლელი მთავარსარდლობა ამ ბრძოლის ინიციატორს, მილტიადეს ჩააბარეს. ასეთ გადაწყვეტილებას ორი მიზეზი ჰქონდა: სტრატეგოსთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ მათ შორის მილტიადეს სპარსელებთან ბრძოლის ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდა (იგი ადრე დარიოსის სკვითურ ლაშქრობაში მონაწილეობდა და სპარსელთა სტრატეგიასა და ტაქტიკას კარგად იცნობდა). მეორე ნაწილი მილტიადეს შემტევ საომარ გადაწყვეტილებას კვლავ ეჭვის თვლით უცქერდა, მაგრამ „მუდმივ“ მთავარსარდლობას მხარს უჭერდა, რადგან მოსალოდნელ მარცხში „ხელის დაბანაზე“ ფიქრობდა.

11 სექტემბერი იყო. დაღამდა თუ არა, ათენელებმა საესე-ბით მოულოდნელი დახმარება მიიღეს: მათ ბანაკს შეუერთდა ათასი მეომარი პატარა ქალაქ პ ლ ა ტ ე ა დ ა ნ. ახლა მილტიადეს საომარი დროშის ქვეშ 11.000 ჰოპლიტი იდგა. მან ისარგებლა მის თანამემამულეთა საერთო აღტაცებით, — რაც პლატეელთა ვაჟკაცურმა თანადგომამ გამოიწვია — და ბრძოლა დანიშნა მეორე დღისათვის, როცა მას მთავარსარდლობა ჩვეულებრივი რიგითაც უწევდა.

მაშ, 490 წლის 12 სექტემბერი. სახელოვანი მართონის ბრძოლა. 11.000 ბერძენი 100.000 სპარსელის წინააღმდეგ.

თენდებოდა, დღე და ღამე ჯერ კიდევ არ გაპყროდა ერთმანეთს, როცა მილტიადემ საომარი სამზადისი ბრძანა.

პოლემარქოსმა კალიმაქემ ნადირობის ქალღმერთის, არტემიდეს სადიდებლად სამსხვერპლო ცხოველი დაკლა და მის შიგნეულზე იმკითხავა. მისნობამაც „ილბლიანი“ პერსპექტივა აჩვენა და მილტიადემაც ლაშქარი საბრძოლოდ გააწყო.

ათენელი სარდალი თავიდანვე ითვალისწინებდა უმთავრესს: არ დაეშვა მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი არმიისაგან, გან-

საკუთრებით კავალერიისაგან, მისი მცირერიცხოვანი ჯარის გარ-
შემორტყმა, ველზე გასვლისას. ამიტომ მან თავისი ლაშქარი
საომარ ფრონტად ერთი კილომეტრის სიგრძეზე გაშალა. გან-
საკუთრებით გაამძლავრა ფლანგები, საიდანაც მოსალოდნელი
იყო მტრის მთავარი შემოტევანი ბერძენთა ალყაში მოსაქცე-
ვად. აქ, ფლანგებზე, სიღრმეში (ერთიმეორის ზურგში) ექვსი
ფარი (ექვსი მწკრივი) დააყენა მილტიადემ, ხოლო ცენტრში
მხოლოდ სამი ფარი. ათენელთა მარჯვენა ფლანგს სარდლობ-
და კალიმაქე, ხოლო მარცხენა ფლანგზე მდგარ პლატეელებს—
მათივე მამაცი სტრატეგოსი ა ი მ ნ ი ს ტ ო რ ი. ცენტრში, სა-
დაც ათენელთა ლაშქარი ყველაზე სუსტი იყო, სარდლებად
იდგნენ არისტიდე და თემისტოკლე.

მილტიადემ იერიში ბრძანა.

ათენელები სწრაფად დაიძრნენ და ერთბაშად სირბილზე
გადავიდნენ. მანძილად ერთ კილომეტრ-ნახევარს ბევრი არ
ჰკლებია, რაიც მარშით უნდა დაეძლიათ. მილტიადეს ამჯერად
სისწრაფე მიაჩნდა სწორედ გადამწყვეტ ძალად: რაც შეიძლება
სწრაფად გაერბინათ სივრცე, რომელსაც მრავალრიცხოვანი
მოწინააღმდეგე, თუ დაასწრებდა, ისრის სეტყვით „დააბნელებ-
და“, ანდა კიდევ კავალერიის კონტრშეტევით „ამოავსებდა“.

სისწრაფე და მოულოდნელობა მართლაც გადამწყვეტი აღ-
მოჩნდა.

როცა სპარსელებმა ჯერ კიდევ წყვილადშერეულ ბინდბუნ-
დში ყიჟინითა და ისრის სროლით მომჭროლავი ბერძნები გა-
არჩიეს, აქა-იქ ყვირილი ასტეხეს:

„ისინი ჰკუთაზე შეშლილები არიან!“

მაგრამ პანიკისათვის დრო აღარ დარჩენიათ, სპარსელები
ბანაკიდან გამოცვივდნენ და სასწრაფოდ სწორკუთხედის ფორ-
მით გაეწყვნენ; ცენტრში ქვეითი ლაშქარი, ფლანგებზე —კა-
ვალერია.

სირბილით ძალმიცემული ბერძნული ფლანგა ზვავივით
მოჭროდა. ათენელებმა საისრე მანძილი ისრის სროლით ჩაა-
თავეს და შუბგაწვართულნი ეკვეთნენ მტერს, მერე მახვილები
იძრეს და ჩეხვაზე გადავიდნენ.

სპარსელებიც კონტრშეტევით დაუხვდნენ მტერს, საშინე-
ლი ხელჩართული გაჩაღდა.



კარგა ხანს ბრძოლის სასწორი წონასწორად ქანაობდა. მერე აზიელთა შუაგულმა ნაწილებმა, სადაც იბრძოდნენ თვითონ სპარსელები და საკები, ბერძენთა სუსტი ცენტრგზარღვიეს და უკუაქციეს. მათ კიდევაც ხელთ იგდეს რამდენიმე მონა, რომელთაც ბრძოლის ველიდან გაჰყავდათ დაჭრილი ათენელები. მაგრამ ფლანგებზე გამარჯვება უკვე ხელთ ეპყრა მილტიადეს. აზიელები ფლანგებიდან უკვე გარბოდნენ, მაგრამ მილტიადემ მათ დევნაზე თავისიანებს ჯერჯერობით ხელი ააღებინა, ძლევამოხვეჭილი ფლანგები შეამკიდროვა და მისი განლაგების შუაგულში შემოჭრილ მოიერიშე სპარსელებს მძლავრად შეუტია.

ახლა სპარსელები ცენტრშიც დამარცხდნენ და უკუიქცნენ. უკვე სპარსელთა მთელი არმია გარბოდა. მილტიადემაც მთელის ფრონტით გამოდევნება ბრძანა.

სპარსელები ზღვის პირს მიაწყნენ. ბერძნები მახვილთა კვეთებით მიჰყვნენ. ხომალდებთან, წყლისა და ხმელის შესაყარში, სისხლის ღვრა ახალი ძალით გაჩაღდა. სპარსელები გემებზე არბოდნენ, ლუზებს სწევდნენ და ზღვაზე გაქცევით ეძებდნენ ხსნას. ბერძნებმა მახვილებთან ერთად ანთებული ჩირადნები მოიმარჯვეს და მტრის ფლოტს გამოენთნენ. ბერძენთა ანგარიშმიუცემელი სრბოლა ზღვაში მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა სპარსელთა ხომალდებმა ღრმა წყლებში გააღწიეს.

აზიელთა ფლოტი ახლა სუნიონის კონცხს უვლიდა და დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა. მილტიადე მაშინვე მიხვდა მტრის განზრახვას: მას სურდა ქალთა და ბავშვთა ამარად დატოვებულ ათენში ჩაესწრო და ხელთ ეგდო იგი, სანამ მარათონიდან თვითონ ათენელთა ჯარი დაბრუნდებოდა. ამიტომ მილტიადემ მარათონზე დაპყრობილ სპარსთა ბანაკის საპატრონოდ დატოვა არისტიდე თავისი ასი მეომრით, თვითონ კი დანარჩენი ძალებით სასწრაფოდ უკანვე გადაიარა გზა მარათონიდან ათენამდე.

ათენში უკვე იცოდნენ სასიხარულო გამარჯვების ამბავი: ერთმა მეომარმა ბრძოლის დამთავრებისთანავე მარათონიდან ათენამდე შეუსვენებლივ ირბინა და ქალაქში შევარდა ყვირილით:

„გაიხარეთ, ათენელებო, ნიკეა (გამარჯვება) ნიკეა, ნიკეა!!!“

აღტაცებული მახარობელი ასეთ საოცნებო შეძახილთან ერთად დაეცა და სული აღმოხდა.

მეორე დილით ნავსადგურ ფალერონთან ათენისაკენ საიმიერო-საღმრთაო რიშოდ გადმოსულმა სპარსელებმა ქალაქის კედელთა წინ საომრად გამზადებული მარათონელი გმირები დაინახეს.

სპარსელი სარდლები მარცხს საბოლოოდ შეურიგდნენ და გადარჩენილი არმიითა და ფლოტით აზიისაკენ იბრუნეს პირი.

მარათონის ველი ათენელთა სიდიადის აკვანი შეიქნა. აქ გამართულმა უთანასწორო ბრძოლამ და მისმა მოულოდნელმა შედეგმა მთელ ქვეყანას თვალნათლივ დაანახვა, რა შესძლებია მშობლიური მამულისადმი თავდადებულ სიყვარულს. რამდენიმე ათასეულმა პატრიოტმა ათჯერ უმრავლეს დამპყრობელს სძლია.

სპარსელთა მთელი ბანაკი, მდიდარი აზიური აღჭურვილობით და ფურაჟ-ფორანით ათენელებს დარჩათ. მტრის ფლოტიდან შვიდი ხომალდი ჩაიგდეს ხელში. 6.400 აზიელი ესვენა ბრძოლის ველზე. მათ შორის იყო ჰიპია, ათენელი ტირანყოფილი, სამშობლოს მოღალატე და სპარსელთა მეგზური. მიხრწნილებში ფეხჩადგმულმა ჰიპიამ სიცოცხლის უიღბლო და უსახელო აღსასრულის მოახლოება, თურმე, მაშინვე იგრძნო, როგორც კი სპარსელებთან ერთად ფეხი შესდგა ატიკის მიწაზე. მას ხველება და ცხვირისცემინება ასტეხია, პირიდან მორყეული კბილი წამოვარდნია და ქვიშაში დაჰკარგვია; ამაო ძებნის შემდეგ მოხუცს ნაღვლიანად უთქვამს:

„ეს მიწა ჩვენი არ ყოფილა და ვერ დავეუფლებით მას; ერთადერთი, რაც მე ამ მიწიდან მეკუთვნის, ეს არის მხოლოდ ჩემი კბილი...“

ათენელებს მარათონის ბრძოლაში მხოლოდ 192 კაცი დაელუპათ. ამათ შორის იყვნენ მამაცი პოლემარქოსი კალიმაქე, სტრატეგოსი სტისილაოსი და პოეტ ესქილეს ძმა კ ი ნ ე გ ი რ ი, რომელსაც მართლაც საარაკო გმირობა გამოუჩენია: მან თურმე ზღვაში შესდია მტერს და ხელებით სწვდა ხომალდს. ხოლო როცა სპარსელებმა ნაჯახით ერთიმეორის მიყოლებით ორივე ხელი გადასჩეხეს, კბილებით ჩააფრინდა გემის ძვიდეს; გოცეხულ სპარსელებს ისღა დარჩენოდათ, გაშმაგებული სახიჩრისათვის თავიც გადაეკვეთათ!

მარათონის ბრძოლის მომდევნო დღეს მთვარის სისავსეც
დამდგარიყო და სპარტელთა ორიათასიანი ჯარი ფლეიტების
გუგუნითა და საომარი ემბატერიების გრიალით მოადგა ათენს.

„ჩვენ მოვედით, რათა თქვენთან ერთად შევებათ ბარბა-
როსებს!“

„მაგრამ ჩვენ უკვე გავანადგურეთ ბარბაროსები!“

„ნუთუ მართლა?!“

„თუ არა გჯერათ, წადით და ჰკითხეთ მარათონის ველს!“

სპარტელები მარათონზე ჩავიდნენ, საომარი ველი მიმოი-
ხილეს, დახოცილ ათენელებს თაყვანი სცეს და მათ გმირობას
ხოტბა შეასხეს, ათენს გამარჯვება მიულოცეს და შურით აღვ-
სილნი სპარტაში დაბრუნდნენ.

ათენელებმა ბრძოლაში დაღუპული ის 192 თანამემამულე
დიდის პატივით იქვე, მარათონის ველზე, ზღვის პირთან ახ-
ლოს, ერთ დიდ საძმო საფლაგში დაკრძალეს და ზემოდან დიდი
ბორცვი-ტაგრუცი აღმართეს. იქვე დადგეს მარმარილოს ათი
სვეტი (ათენის ათი ფილეს მიხედვით) და დაღუპულ გმირთა
სახელები წააწერეს. ათენელთა გვერდით დიდი პატივით დაკრ-
ძალეს ბრძოლაში დაღუპული პლატეელი თანამდგომნი და თა-
ნამოძმენი. ამიერიდან პლატეა ათენის ნათესავ და ძმა-ქალაქად
ითვლებოდა. პანათენურ დღესასწაულზეც ათენელთა და პლა-
ტეელთა ლოცვა-კურთხევაც ერთად ხდებოდა.

კიდევ ორი ძეგლი დადგეს ათენელებმა მარათონის ველზე,
ერთი მთავარსარდლის, მილტიადეს სახელზე, ხოლო მეორე სა-
ერთოდ ათენელთა გმირობის პატივსაცემად. ამ უკანასკნელს
ამშვენებდა პოეტ სიმონიდეს მიერ შეთხზული წარწერა:

„ჰელადისათვის მარათონის ველზე მტრებს სძლევდნენ,
ათენელებმა იავარპყვეს სპარსთა ძალა“.

ყოველ წელიწადს, დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, მარა-
თონის ველზე იმართებოდა დღესასწაული, გმირთა საძმო საფ-
ლავის წინაშე საზეიმო ზორვა და გვირგვინთა მოფენა. ყოველ
წელიწადს მსხვერპლს სწირავდნენ ქალღმერთ არტემიდეს, რო-
მელსაც ბრძოლის წინ მსხვერპლი შესწირა და შემწეობა სთხო-
ვა მილტიადემ. ამიერიდან ათენელი ორატორები, ყოველ საჭი-



რო უამს, მარათონის მაგალითით აღაფრთოვანებდნენ თავის თანამემამულეებს, ყოველ ათენელს სიამაყის გრძობა ავსებდნენ, როცა მას მოიხსენიებდნენ „შთამომავლად მარათონის ველზე მებრძოლთა“. თვითონ ესქილე თავისი საფლავის ქვაზე წარწერილ ეპიტაფიაში მხოლოდ იმას ამბობს, რომ მან მარათონის ველზე იბრძოლა და სპარსელებს აჩვენა თავისი სიამაყე. ათენში ჯილდო გამოცხადდა მისთვის, ვინც შეთხზავდა საუკეთესო ელეგიას მარათონის ბრძოლაზე. ბევრმა სცადა კალამი, მათ შორის სახელოვანმა პინდაროსმაც, მაგრამ მარათონული გამირობის პოეტურ ხოტბაში ყველას ისევ სიმონიდე ეკოსელმა აჯობა და საპატიო ჯილდოც მან დაისაკუთრა.

მილტიადეს აღსასრული

მარათონის ბრძოლის მთავარი გმირი მთელს საბერძნეთში უპირველეს კაცად იქცა. ქვეყანა ფიანდაზად ეფინებოდა მილტიადეს. მას ძეგლი დაუდგეს მარათონის ველზეც და ათენშიც, პრიტანეაზე, დიდი სახალხო გმირების, ჰარმოდისისა და არისტოგიტონის ძეგლთა გვერდით. მისი სპილენძის ქანდაკება გამოკვართეს სახელგანთქმული დელფოს აპოლონის ტაძრისათვის.

მილტიადე ათენში ფაქტიური ავტოკრატორი — ერთპიროვნული გამგებელი შეიქნა. მან ეკლესიისა და არეოპაგისაგან მოითხოვა მის სრულ გამგებლობაში გადასულიყო სახმელეთო და საზღვაო ძალები და სახელმწიფო ხაზინა იმ მოტივით, რომ აპირებდა დიდ სამხედრო ექსპედიციას, რომელიც ათენს მოუტანდა დიდ სახელსა და სიმდიდრეს; ხოლო ამ ლაშქრობის მიმართულება დრომდე საიდუმლოდ უნდა დაცულიყო. მისი მოიხივნა დააკმაყოფილეს.

მარათონის ბრძოლის მომდევნო 489 წლის ადრიან გაზაფხულზე მილტიადემ 70 გემით ათენელთა ლაშქარი ზღვაზე გაიყვანა და კიკლადურ კუნძულებს მიადგა. ათენელებმა რამდენიმე მათგანი აიღეს, გაძარცვეს და ააოხრეს იმის მომიზეზებით, რომ გასული წლის ბრძოლებში ეს კუნძულები სპარსელებს ემორჩილებოდნენ. შემდეგ მილტიადემ ლუზა ჩაუშვა

კიკლადთაგან ყველაზე მდიდარ კუნძულ პაროსთან.

პაროსელებმა წინა წლის შემოსევისას სპარსელებს ერთდროულად ტირიემა (სამბაქნიანი გემი) მისცეს ათენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს კი, პაროსის დასასჯელად სავსებით საკმარისი საბაზი იყო მილტიადესთვის.

მილტიადემ პაროსელებს ათენისადმი სრული მორჩილება და ჯარიმად 100 ტალანტის (150.000 მან.) გადახდა მოსთხოვა. მაგრამ ორივე მოთხოვნაზე ცივი უარი მიიღო.

პაროსელები გამალებით შეუდგნენ საომარ სამზადისს. ქალაქის კედლები გაამაგრეს და სიმაღლით გააორმაგეს, ახალი ზღუდეები აღმართეს და მთელი მოსახლეობა იარაღის ქვეშ დააყენეს.

მილტიადემ პაროსელთა ქალაქი ალყაში მოაქცია. მისი გემები კუნძულს გარს შემოერტყნენ, ხოლო ჯარი ქალაქის გარშემო ველმინდვრების აოხრებას შეუდგა. მაგრამ ათენელებს საალყო და საიერიშო აღჭურვილობა არ გააჩნდათ და ქალაქის ალყაც დიდხანს უნდა გაჭიანურებულიყო. მილტიადემ კედლების ძირის თხრა დაიწყო; ამას წარმატებაც უნდა მოჰყოლოდა; კედლები ზოგ ადგილზე უკვე ეცემოდნენ და პაროსელთაგან ბევრი უკვე მოითხოვდა ქალაქის ჩაბარებას, მაგრამ ღამით მახლობელ კუნძულ მიკონზე ცეცხლი ავარდა. პაროსელებმა ეს სპარსელთა მაშველი ძალის ნიშნად მიიჩნიეს, ქალაქის ჩაბარებაზე გადაჭრით ხელი აიღეს და მის დასაცავად გაათქცეული ენერგიით დაირაზმნენ.

თავის დროზე ვერაგინ მიხვდა, რომ მიკონზე ავარდნილი ცეცხლი ტყის შემთხვევითი ხანძარი იყო.

პაროსის უშედეგო ალყის დაწყებიდან უკვე ოცდამეექვსე დღე იდგა. იმედგაცრუებული და სულიერად მოქანცული მილტიადე რელიგიურ ცდუნებას აჰყვა. მასთან იღუმალ გამოცხადდა ქვესკნელის ღმერთთა პაროსელი ქურუმი ქალი, რომელმაც ათენელ მთავარსარდალს უეჭველი გამარჯვება აღუთქვა, თუკი იგი, პირადად, ღამით ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრეს ტაძარში მივიდოდა და მსხვერპლს შესწირავდა, ან თვითონ ქალაქის მფარველი დემეტრეს ქანდაკებას წაიღებდა.

მილტიადე დათანხმდა.

ღამით, ათენელთა ბანაკისაგან იღუმალ, მილტიადე გაეშუ-

რა ქალაქის ახლო ბორცვისაკენ, სადაც აღმართული იყო დემეტრეს ტაძარი.

პირველი, რამაც გმირის გულში ავისმაუწყებლად დარეკა, იყო ის, რომ ტაძრის გალავნის კარი დაკეტილი დახვდა. გალავანი მაღალი იყო. მცირე ყოყმანის შემდეგ იგი აცოცდა და ეზოში გადახტა. მძიმედ დაეცა, მაგრამ მუხლი მაინც სწრაფად გაიმართა და ტაძრის მთავარი შესასვლელისაკენ გაეშურა.

ის იყო, ტაძრის ზღურბლზე ფეხი შესდგა, რომ რაღაც უსიამო შეგრძნებამ დახანჯლა მილტიადეს გული. საზარელი წყვიდიანი და მდუმარება ლალატის სუნით გაქლენთილიყო. ფეხის წადგმა ველარ გაბედა. მყისვე უკანვე შემობრუნდა და ისევ გალავანს მოადგა. მიმოიხედა და ძლივსძლიობით აცოცდა.

გადმოხტა. სადღაც ქვიან პიტალოზე დაეცა. საშინელმა ტკივილმა წუთით გონი წაართვა. გმირმა გმინვა მაინც შესჭამა...

რეჟრეჟი იდგა, როცა ათენელმა მთავარსარდალმა დამსხვრეული მარჯვენა ფეხი ძლივს მიათრია თავის კარავში...

ათენელთა ფლოტი და ლაშქარი სამშობლოში სირცხვილნაჭამი დაბრუნდა. უსაზმნოდ დაიხარჯა დიდძალი ფული; ტყუილუბრალოდ გაწვილდა მართონული გმირობა და სახელდიდება; საესებით გახუნდა და გაუფერულდა თვით მილტიადეს საარაკო ვაჟკაცობა და ნიჭიერება.

დრო იშოვნეს მისმა ძლიერმა მტრებმა, რომელთაც მართონის გმირის სახელმოხვეჭილობა ძილსა და მოსვენებას უკარგავდათ.

საგანგებოდ შეყრილ ეკლესიაზე მილტიადე საკაციტ მოასვენეს. იგი სიცხის ბურანში გახვეულიყო; დამსხვრეულ ფეხზე განგრენა შესდგომოდა.

სასამართლო დაიწყო. მკაცრი ინვექტივით გამოვიდა ქსანთიპე. მან მილტიადეს ბრალი დასდო ათენელი ხალხის მოტყუებასა და საზოგადოებრივი ნდობის ბოროტად გამოყენებაში. ეს ნიშნავდა სახელმწიფო ლალატს, რისთვისაც კაცი სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა და ჭიდილი მილტიადეს მტრებსა და მეგობრებს შორის. როგორც იქნა, მართონის გმირი მისმა ერთგულმა დამცველებმა და დიდ დამსახურებათა დამფასებლებმა სიკვდილით დასჯისაგან გადაარჩინეს, მაგრამ დიდი

ფულადი ჯარიმის გადახდისაგან ვერ იხსნეს. ჯარიმა შეადგენდა 50 ტალანტს (75.000 მან). ამდენის გადახდა მილტიადეს არ შეეძლო, ამიტომ მას, როგორც კანონი მოითხოვდა, ვალის სრულ დაფარვამდე წაერთვა ყოველგვარი სამოქალაქო პატივი, უფლება და მიესაჯა „სავალო სახლში“ ცხოვრება.

მალე სიკვდილით დასჯისაგან გადარჩენილს სიკვდილმა უნწრო, ბერძენთა დიდი სახალხო გმირი გარდაიცვალა მისივე თანამემამულეთაგან უმადურად პატივაცარილი და დამცირებული. კარგა ხანს მისი შვილი და მემკვიდრე კი მონი ასევე „სავალო სახლში“ ცხოვრობდა, ვიდრე მამის ვალი უკანასკნელ გრომამდე არ გადაიხადა...

მაშ, ათენს მილტიადე აღარ ჰყავდა.

მაგრამ მართონელი გმირის სანაცვლოდ ათენის თვალსამზირზე არანაკლებ ახოვანი ფიგურა წამოიშალა.

თემისტოკლე და არისტოიდე

ხუთასოცდახუთ წელს ათენში დაიბადა „შერეულსისხლიანი ათენელი“: დედამისი უცხოელი — თრაკიელი (თუ კარიელი) ქალი იყო. მამამ, ნეოკლემ, ვაჟს თემისტოკლედ აარქვა.

იმ დროს, — პისისტრატიდების ტირანიის* — ქარიშხლიან ხანაში, რასაკვირველია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ახლადნაშობი „არასრულფასოვანი მოქალაქე“* შეიქნებოდა უპირველესი მესაჭე და მეჭირნახულე დიდი მილტიადეს სიკვდილით დაობლებული ათენისათვის.

თემისტოკლე ბავშვობიდანვე გასაოცარი გონგამჭრიახოვით, ნებისყოფით, ტემპერამენტით, უკიდურესი პატივმოყვარეობითა და თავზეხელაღებული მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა. ერთი მისი მასწავლებელი ხშირად ეტყოდა ხოლმე:

„შენგან, ბიჭუნა, ჩვეულებრივი მოკვდავი არ დარჩება: ან რალაც დიდი გმირი უნდა იქნე, ან დიდი გარეწარი“.

შემდეგში თვითონ თემისტოკლე საკუთარ მაგალითზე იტყოდა ხოლმე:

„თვით ყველაზე ველური კვიცებისაგან საუკეთესო ცხენები

დადგებიან, თუ მათ ოსტატი სათანადოდ გაწვრთნის და გააზნენის“.



შერეულსისხლიან ბავშვებს უფლება არ ჰქონდათ „წმინდა-სისხლიანთა“ შორის ესწავლათ აკადემიასა და ლიკეონში*. მათი გიმნასიონი* კინოსარგში* იყო. ჭაბუკმა თემისტოკლემ წარჩინებულ და „სრულფასოვან“ ათენელ თანატოლებთან შეჯიბრებანი გამართა და ყველა დაჩრდილა თავისი გასაოცარი ნებისყოფით, აზრის სინათლით, გონებამახვილობითა და სწრაფ-საზრიანობით. ამის გამო სულ მალე სწავლების ცენტრად კინოსარგი იქცა.

მაგრამ მისი განსწავლულობა მაინც ცალმხრივი და შეზღუდული დარჩა, იგი საკმაოდ გულგრილი იყო უნატიფესი ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებისადმი. მის უმაღლეს სტიქიონს წარმოადგენდა პოლიტიკა, დიპლომატია, სამხედრო საქმე და წმინდა სახელმწიფოებრივ-პრაქტიკული საქმიანობა. მერე თვითონვე აღიარა:

„მე ნაკლებ მესმის სიმღერა და არფის ჟღერალი, მაგრამ მომეცით ერთი მცირე, მიყრუებული სოფელი და მე მას უდიდეს და უძლეველ პოლისად ვაქცევ“.

მამა არ ურჩევდა თემისტოკლეს პოლიტიკისადმი გამოდევნებას. ერთხელ მან ჭაბუკი შვილი ზღვისპირზე მიიყვანა, უყურადღებოდ მიყრილ-მოყრილ დამპალ გალერებზე მიუთითა და უთხრა:

„შეხედე, შვილო: სწორედ ასე ექცევა ხალხი თავის მეთაურებს, როცა ისინი მას აღარ სჭირდება“.

ეს სიტყვები შემდგომში აუხდა კიდევ თემისტოკლეს, მაგრამ მანამდე რამდენი რამ უნდა განახორციელოს პატივმოყვარეობის ამ სწორუბოვარმა კუმირმა.

493 წელს თემისტოკლე — ათენელთა თვალში უკვე სახელმძღვანელო პოლიტიკოსი, ბრწყინვალე ორატორი და გულმხურვალე პატრიოტი, — ათენის არქონტი გახდა. მაშინ მან პირველად წამოაყენა პროექტი გემთმშენებლობის შესახებ და შესძლო კიდევ 70-მდე ხომალდის აგება. იმავე ხანებში თემისტოკლემ ათენის უპირველეს სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურად აქცია პირეესი; გაამშენიერა და თავდაცვითი კედლებულუდებით გაამაგრა იგი.



მერე მარათონის ბრძოლა ჩამოდგა პოლიტიკურ ვნებათა ასპარეზზე და თემისტოკლეს ახალი ენერგიით გამოჩნდა ხელმწიფოს უპირველეს მესვეურთ შორის.

მაგრამ მილტიადემ ხომ ყველა დაჩრდილა. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო თემისტოკლე სახელაღწილი და ნერვებაწეწილი ისმენდა მილტიადეს ქება-დიდებას. მან მოსვენება დაჰკარგა, საყვარელ დროსტარებაზე უარს ამბობდა, ღამეები აღარ ეძინა, ოხრავდა და ბორგავდა. როცა მიზეზს ეკითხებოდნენ, იგი ამჟღავნებდა, მოურიდებლად წამოისროდა:

„მე მოსვენებას მიკარგავს მილტიადეს სახელ-დიდება, მისი ქველი, მისი საბრძოლო ტროფეუმები!“

„უნდა გავასწრო, იმას უნდა გადავასწრო! ქვეყანა უნდა ვაიძულო, მხოლოდ ჩემზე, თემისტოკლეზე ილაპარაკონ!“ — უემურშეყრილივით არწმუნებდა და აიმედებდა იგი თავის თავს.

თემისტოკლე არა სცნობდა არავითარ ზნეობრიობას პოლიტიკურ ორომტრიალში. მას მიზნის მისაღწევი ყოველნაირი საშუალება გამართლებულად მიაჩნდა. მთელი მისი ქარიშხლიანი ცხოვრების უმთავრესი ბერკეტი პატივმოყვარეობა იყო.

მაგრამ ათენელები სთვლიდნენ, რომ თემისტოკლეს პატივმოყვარეობაც კი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. ხალხის გულის მოსანადირებლად ისიც კმაროდა, რომ ამ „ენათაფლიანმა“ კაცმა ყოველი ათენელი მოქალაქის სახელი ზეპირად იცოდა. მას ყველა აფასებდა სახელმწიფო კანონიერების თავგამოდებული, მიუდგომელი და მიუკერძოებელი დაცვისათვის. სამაგალითოდ კმაროდა მისი პასუხი სახელოვანი პოეტის, სიმონიდე კეოსელისადმი, როცა ამ უკანასკნელმა სტრატეგოსად გასულ თემისტოკლეს რაღაც უკანონო საქმის გაკეთება სთხოვა:

„როგორც შენ, სიმონიდე, არ იქნებოდი კარგი პოეტი, თუკი ლექსწყობის კანონებს დარღვევდი, ასევე მეც, თემისტოკლე არ ვიქნებოდი კარგი მმართველი, თუკი ვისმეს გულისათვის კანონიერების წინააღმდეგ მოვიქცეოდი“.

ხალხის სულში ჩაძვრომა ძალიან ეხერხებოდა თემისტოკლეს:

„ხალხი კაპრიზ ქალს ჰგავს: ალერსიანი ფხანა უყვარს!“

ერთი სიტყვით, თემისტოკლე ათენის სახელმწიფოს პირველ
კაცად იქცა.

მარათონის ბრძოლის შედეგი ყველა ათენელისათვის მხოლოდ ალტაცებისა და სიამაყის მომგვრელი ოყო; ყველამ ირწმუნა, რომ ათენი უძლეველი პოლისი ყოფილა.

დიდი გამარჯვების სხივცემით თვალმოჭრილ ქვეყანაში თემისტოკლე ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სწორედ იმ ძლევამოსილი ბრძოლის დასასრულსავე უპირველეს ყოვლისა მშობლიური ქვეყნის სიმძლავრე კი არა, სისუსტე დაინახა. თემისტოკლესებრ ვერავენ იგრძნო, რომ მარათონის ბრძოლა, მიუხედავად მისი ბრწყინვალე შედეგისა, მაინც მხოლოდ ადგილობრივი ლოკალური ხასიათის ბრძოლა იყო. ბერძნებმა ხმელეთზე ბრძოლა მოიგეს, მტერს ზღვამდე მისდიეს და ზღვაში მკერდამდე დასველების შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ. ეს იყო და ეს. მთავარი მათ ვერ შესძლეს: ზღვაზე მტრის გამოდევნება და მისი საბოლოო განადგურება. ხოლო ზღვა ყველაფერი იყო, სპარსელები სწორედ ზღვიდან მოდიოდნენ, ზღვაზე მანევრირებას ახდენდნენ, ხმელეთზე უშედეგო იერიშის შემდეგ ზღვაზე ბრუნდებოდნენ და დღეს თუ ხვალ ხელახალი იერიშებისათვის ისევ ზღვიდან გამოჩნდებოდნენ.


თემისტოკლემ თავისი ქვეყნის სწორედ ამ სისუსტეს დაადგა თვალი. იგი თავგამოდებით შეუდგა თანამემამულეთა დარწმუნებას: ან ზღვაზე გასვლა-გაბატონება, ან სიკვდილი! ვისაც ძლიერი ფლოტი და საზღვაო ლაშქარი ეყოლება, იგი ალკეთავს ბარბაროსულ საფრთხეს და მთელ ჰელადაში გაბატონდება!

მაშასადამე, ან ზღვა, ან სიკვდილი!

მაშასადამე, ათენი საზღვაო სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო. სახმელეთო ჰოპლიტური* ლაშქარი საზღვაო ეკიპაჟით შეცვლილიყო.

თემისტოკლეს „საზღვაო პროგრამას“ ძალიან ბევრი მიმდევარი აღმოუჩნდა, განსაკუთრებით სახალხო ფენები, ვაჭრები, მრეწველ-ხელოსნები და წვრილი მიწათმეურნენი.

მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა თემისტოკლეს და მის მიმდევართა საწინააღმდეგო მიმდინარეობაც, რომელიც ძირითადად ათენურ არისტოკრატის წარმოადგენდა. ეს იყო კონსერვატიული

„პარტია“, რომლის ბატონობა მთლიანად მსხვილ მიწათმეურ-
ნეობას ემყარებოდა და ყოველგვარ რადიკალურ სიახლეს,  მოითხოვდა, მით უფრო „ზღვაზე გასვლას“ — მტრული და უნდო თვალთ-
ვით უყურებდა.

„აგრარულ-კონსერვატიული პარტიის“ პოზიციას აძლიერებ-
და მისი ლიდერის სახელმწიფოებრილობა. ეს იყო არისტოკრატი-
კლასის მთელი ჰელადში განთქმული პატიოსნებით, სამართლიანობით,
მამულისადმი გულმხურვალე სიყვარულითა და თავდადებით,
ჭირსა თუ ლხინში ერთნაირი სიმშვიდითა და შეურყევლობით.

არისტოკრატებს მართალ და პატიოსან ბუნებაზე ბევრს გადმოგ-
ვცემენ მისი თანამედროვენი. ერთხელ, როცა არისტოკრატი-
კლასი იყო და ურთიერთ მტრად გადაკიდებული ორი კაცის საქ-
მეს არჩევდა, ერთი მათგანი ფეხზე წამოვარდა და მოსამართ-
ლეს მიმართა:

„ოო, არისტოკრატე, ამ კაცს უფრო მეტი ბოროტება აქვს ჩა-
დენილი შენს წინააღმდეგ, ვიდრე ჩემს წინააღმდეგ“. და ის
იყო, უნდა ჩამოეთვალა ეს „ბოროტებანი“, რომ არისტოკრატემ
წამსვე შეაწყვეტინა და მშვიდად უთხრა:

„ჩემო მეგობარო, უმჯობესია მითხრა, შენ რა გაგიკეთა ცუ-
დი ამ კაცმა, რადგან მე ვარჩევ შენს საქმეს და არა ჩემს საქ-
მეს“.

შემდგომ, გვიან, 470 წელს, როცა ათენში პირველად დაიდ-
გა ესქილეს ტრაგედია „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და სცე-
ნიდან აქტიორმა გმირ ამფიარაეზე თქვა:

„ის არამართო გვეჩვენება სამართლიანი,
არამედ არის სინამდვილეში;
ის თავის აზრით წვდება სიღრმეებს,
საიდანაც მოიფრქვევიან ბრძნული ბჭობანი“.

წამსვე ყველა დამსწრემ პირი იბრუნა არისტოკრატსკენ, —
ყველაზე სამართლიანი და ბრძენი კაცისკენ.

ასეთი კაცი დადგა თემისტოკლესთან საომარ ასპარეზზე.
იგი გადაჭრით მოითხოვდა საზღვაო პოლიტიკის ჩაშლას და
სახმელეთო ლაშქრისა და სტრატეგიის ამაღლებას.

ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ ერთიმეორის

წინააღმდეგ საომრად. ათენი მძაფრმა საზოგადოებრივმა ბრძო-
ლამ მოიცილა.



დასაშვებია, მართლაც გაიმართა ასეთი დიალოგი ხალხსა და მის ლიდერთა შორის: „რა გვიშველის ჩვენ, ათენელებს, როცა თქვენ, თემისტოკლე და არისტიდე, ჩვენი სათაყვანო გმირნი, ასე მტრობთ ერთუერთს?“

თემისტოკლეს პასუხი:

„მე გიშველით თქვენ, თუ არისტიდეს კლდეზე გადააგდებთ!“
არისტიდეს პასუხი:

„გეშველებათ მხოლოდ მაშინ, თუ ორივეს, მეც და თემისტოკლესაც, კლდეზე ერთად გადაგვყრით!“

მაგრამ ათენს არ შეეძლო მიეღო არისტიდეს დიდსულოვანი და მიუკერძოებელი პატიოსნებით აღსავსე რჩევა. ათენი ორივეს ვერ შეეღწეოდა. ერთ მათგანს უნდა დაეტოვებინა საბრძოლო ასპარეზი.

ამისათვის არსებობდა ოსტრაკისმო — კენჭისყრა თიხის ფირფიტებით („ოსტრაკონ“): საგანგებოდ მოწვეულ სახალხო კრებაზე ყველა მოქალაქეს აძლევენ თიხის ფირფიტას, რომელზედაც მან უნდა დაწეროს იმ კაცის სახელი, რომელიც სახელმწიფოსათვის არასანდოდ ან მავნედ შიანია. ვისი სახელიც უმრავლეს ფირფიტაზე აღმოჩნდება, იგი ათი წლის ვადით ტოვებს სამშობლოს.

484 წელს ათენის ეკლესია ოსტრაკისმოზე შეიყარა. ხალხს ოსტრაკონები დაურიგეს. ერთ-ერთი უნდა წასულიყო ექსორიაში — ან თემისტოკლე, ან არისტიდე.

ერთი ატიკელი გლეხი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, შემთხვევით არისტიდეს შეხვდა, თიხის ფირფიტა გაუწოდა და უთხრა:

„ძალიან გთხოვ, მომეხმარე და დამიწერე!“

„რა დაწერო, თემისტოკლე თუ არისტიდე?“

„არისტიდე“.

არისტიდეს გაელიმა და ჰკითხა:

„განა არისტიდემ რაიმე დაგიშავა?“

„არაფერი, მე მას პირადად არც კი ვიცნობ“.

„მაშ?!“

„უბრალოდ. მე ძალიანაც მწყინს, რომ ყოველი კაცი იმ ვი-

დაც არისტიდეს სამართლიანს ეძახის; „სამართლიანი“ და „სამართლიანი“! პირდაპირ თავი მომაბეზრეს!“

არისტიდეს წამით გაოცებულ სახეს ისევ ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა, ფირფიტაზე „არისტიდე“ დააწერა, ახირებულ მოსაუბრეს დაუბრუნა და გაშორდა.

როცა ფირფიტები დათვალეს, აღმოჩნდა, რომ ათენელთა დიდი უმრავლესობა ხმას აძლევდა არისტიდეს გაძევებას.

არისტიდე ათი წლით მიდიოდა სამშობლოდან. ქალაქის კარიბჭიდან რომ გავიდა, შემობრუნდა, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და შეჰლაღადა:

„ოო, ოლიმპოს დიადო ღმერთო, თქვენ გევედრებით! არასოდეს დასდგომოდეთ ათენელებს ისე მძიმე დღე, რომ არისტიდე მოჰკონებოდეთ!..“

თემისტოკლე ათენის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. იგი ფრთაგაშლილი შეუდგა თავისი დიდი გეგმის განხორციელებას. სულ მალე მისი საოცარი ენთუზიაზმით ანთებული ათენი „საზღვაო ციებ-ცხელებამ“ მოიცვა. თემისტოკლემ ყოველგვარი ფინანსური და მატერიალური სახსრები გემთმშენებლობის საქმეს მიაგო. ლავრიონის მთის მალაროებიდან შემოსული ვერცხლიც, — რაც ადრე მოქალაქეებზე ნაწილდებოდა, — ფლოტის აგებისათვის დაადგინა. თვითონ ათენელი ხალხი თემისტოკლემ ზღვის პირზე გაიყვანა და ზღვას შეუწია. აქვე საგანგებოთ გაწყობილ სკამებზე ასწავლიდა მათ ნიჩბის მოსმას, აჩვენდა ცურვას, ზღვასთან ბრძოლას და ზღვაზე მტრის დამარცხებას.

ბელადისა და ხალხის ერთობლივმა თავდადებამ თავისი გაიტანა. 480 წლისათვის ათენს 200-ზე მეტი ხუთბაქნიანი (პენტერა) და სამბაქნიანი (ტრიერა) ხომალდი ჰყავდა. ათენი ერთბაშად უპირველეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა.

მალე ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ თემისტოკლეს რადიკალური წამოწყებანი უაღრესად პროგრესულ შინაარს ატარებდნენ.

თავი მეორე

თერმოპილე

ქსენქსე

„მათი დიდება უკვდავია, ხეედრი საამო,
ვინც თერმოპილეს მისადგომთან თავი გასწირა!
მათი საფლავი წმინდა არის, დე გლოვა დაცხრეს,
მაგრამ გულბში ჩაიბეჭდოს გმირების ხსოვნა!
დრო ვერ გადაშლის მათ საფლავზე წმინდა ჭვირნიშანს,
ყველა გოდოლი დაიშლება, დაჰფარავს ხავსი!
ელადამ აქა ტრფობა თვისი დაასამარა...
ჰე, ლეონიდე მოწმედ მეყავ, სპარტის ვაჟკაცო,
არ დაგიქცნება ეგ გვირგვინი სამარადისო“.

ს ი მ ო ნ ი დ ე

მარათონის ბრძოლით მარცხნაჰამი დარიოსი კიდევ ხუთი წლის მანძილზე ემზადებოდა რევანშისა და საბერძნეთის სრული განადგურებისათვის. მაგრამ აზიის დიდ მბრძანებელს ათენელთა ჯავრი განუქარვებლად ჩაჰყვა საფლავში. იგი გარდაიცვალა 485 წელს, 36 წლის ხელმწიფობის თავზე.

სპარსეთის სამეფო ტახტი, სასახლის კარის გარიგების მიხედვით, უნდა დაეჭირა გარდაცვლილი ხელმწიფის უფროს ვაჟს, არტაბაზანს, რომელიც დარიოსს პირველი ცოლისაგან ჰყავდა. მაგრამ მეორე ცოლმა, მშვენიერმა ათოსამ, დარიოსი მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია და ტახტის უცილობელ მემკვიდრედაც სიცოცხლეშივე მათი ვაჟი, ქსერქსე გამოახადებინა. ამ გადაწყვეტილებას დაბეჯითებით



უჭერდა მხარს სპარტიდან გაქცეული მეფეფეოდალი დემოკრიტიც, რომელიც დარბოსის გაშინაურებულ მრჩეველ შორის დიდი გავლენით სარგებლობდა.

მაშ, სპარსეთის მსოფლიო სახელმწიფოს ახალი მბრძანებელი შეიქნა ქსერქსე.

ეს იყო ტანად სრული, ახოვანი და პირმშვენიერი კაცი, გულადიც და გულზვიადიც, უხვი მწყალობელიც და უხვად მესისხლაც, იშვიათად კეთილი რჩევის მომსმენიც და უფრო ხშირად თვითდაჯერებული, კაპრიზიანი მანიაკიც.

ტახტზე ასვლისთანავე ქსერქსემ სასტიკი სისხლათხევიით ჩაახშო ეგვიპტელთა აჯანყება, რომელიც მამამისის მეფობის დასასრულს დაწყებულა. მან ეგვიპტე მძიმედ დახარკა და მმართველ სატრაპად თავისი ძმა აქემენი ჩაუყენა.

ამის შემდგომ მეფე გამალებით შეუდგა საბერძნეთთან ომის ხელახალ, გრანდიოზულ სამზადისს.

ქსერქსე მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა საომრად აღმოხდენილი მახვილი ქარქაშისათვის მხოლოდ იქ დაებრუნებინა, სადამდეც „აღწევს ეთერი ზეციერ ღმერთთა“. მას უნდოდა გრანდიოზული დამპყრობლობითა და ხელმწიფური მორქმულობით დაეჩრდილა ყველა თავისი წინამორბედი, მათ შორის — კიროსიც, კამბიზიც, დარიოსიც.

მსოფლიოს დაპყრობის უპირველეს საფეხურად ქსერქსეს მიაჩნდა ურჩი საბერძნეთის დასჯა და განადგურება. ამასვე ჩახიჩინებდნენ მისი უახლოესი მრჩეველები, — უპირველესად მისი სიძე მარდონიოსი, დის ქმარი, პირველი მარცხიანი ლაშქრობის მოთავე, რომელსაც მხარს უზამდნენ სამშობლოდან გაქცეული ბერძნები — სპარტელი დემარატი და ათენელი პითიას ვაჟი პისისტრატე. ერთადერთი, ვინც ამაოდ არ ურჩევდა ქსერქსეს საბერძნეთზე ლაშქრობას, იყო მისი ბიძა არტაბანი.

ქსერქსემ გაითვალისწინა საბერძნეთზე წინა ლაშქრობების ყველა მარცხიანი პერსპექტივა. პირველი გალაშქრების ჟამს ხომ ათონის კონცხთან მუდამ მშფოთვარე ზღვამ დაამსხვრია სპარსელთა ფლოტი. ამიტომ მეფემ ბრძანა, ფართო არხით გადაეჭრათ ათონის ყელი და მასზე გავლით გვერდი აევილოთ კონცხისათვის. სამი წელი გაგრძელდა არხის გაყვანა. ამასობაში

ფინიკიისა და მცირე აზიის სანაპიროთა მთელს სიგრძეზე იგე-
ბოდა ახალი გემები, იკრიბებოდა ფლოტი. ჰელესპონტზე აქ-
მიებისა და კავალერიის გადასაყვანად ხიდები უნდა აგებული-
ყო. მეფემ მცირეაზიელი ბერძენი ინჟინრები გაგზავნა. სრუტის
ყველაზე ვიწრო ნაკვეთზე, აბიდოსსა (აზიიდან) და სესტოსს
(ევროპიდან) შორის, ქსერქსეს წარგზავნილებმა გემები ორრი-
გად გაამწკრივეს, ზედ ფიცრები დააგეს, მოაჯირებით გადაღო-
ბეს (გადასვლისას ცხენები რომ არ დამფრთხალიყვნენ), ბაგი-
რებით გადასჭიმეს და ამგვარად ორი ხიდი უკვე მზად იყო აზი-
ურ სამოარ ძალთა ევროპაში გადასაყვანად.

481 წელს ქსერქსე ლიდიის მთავარ ქალაქში — სარდში ჩა-
მოვიდა და აქვე ბრძანა საბერძნეთში სალაშქრო არმიების შე-
ყრა.

წლის მიწურულში, როცა მრავალრიცხოვან და მრავალხალ-
ხოვან ლაშქართა დინება თითქმის დამთავრებული იყო, ქსერქ-
სემ შეიტყო, რომ ჰელესპონტზე ამოვარდნილ ქარტეხილს ხი-
დები ერთიანად დაუმსხვრევია. რისხვით აღვსილმა მეფემ ხი-
დის მშენებლებს თავები დააყრევინა. მისივე ბრძანებით ზღვაც
„დასაჯეს“: სამასი შოლტი დაჰკრეს და შიგ ბორკილები ჩაუშ-
ვეს. ხიდები „დასჯილ და დათრგუნულ“ ჰელესპონტზე ხელახ-
ლა ააგეს.

როგორ მოდიოდნენ აზიელები

დადგა 480 წელი. სარდიდან გასვლა იწყო უზარმაზარმა
არმიამ. წინა დღით ლიდიელმა მდიდარმა წარჩინებულმა კაც-
მა, პითიოსმა, რომელსაც მთელი თავისი საგანძურები სპარსე-
ლი მეფის სამსახურად მიუძღვნია, ქსერქსეს სთხოვა, ლაშქრად
გაწვეული ხუთი ვაჟიდან ერთი მაინც დაეტოვებინა მამისთვის.
ქსერქსემაც თავის ერთგულ კაცს ასე შეუსრულა თხოვნა: მისი
ბრძანებით პითიოსის უფროსი ვაჟი ლაშქრიდან გამოიყვანეს,
მამის თვალწინ შუაზე გასჩეხეს და ნახევარ-ნაწილები აქეთ-
იქით გზაზე გამოჰკიდეს*..

* ასევე მოქცა დარიოსი სკვითებზე გალაშქრების წინ სპარსელ წარ-
ჩინებულს, ეობაზს, როცა მან მეფეს ბრძოლად გაწვეული სამი ვაჟიდან

ახლა ქსერქსეს არმია ამ გაჩეხილი კაცის შუაში მიედინებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უწყვეტ ნაკადად მიდიოდა უზარმაზარი არმია. მისმა წინაქერძმა უკვე ჰელესპონტს მიაღწია და უკანაქერძი ჯერ კიდევ სარდიდან არ გამოსულიყო.

გზად, პერგამოსის მალლობზე, სპარსელმა მოგვებმა* ათასი ხარი დაუკლეს უზენაეს ღვთაებას — აპურამაზდას. ქსერქსემ სკამანდრის პირზე მოიხილა სახელოვანი ილიონის ნამუსრევნი და მოისმინა თქმულებანი ტროას ომისა. ჰელესპონტთან, აბიდოსის ველზე, სახელდახელოდ აღმართეს თეთრი მარმარილოს ესტრადა, საიდანაც ქსერქსე გასცქეროდა არმიებისა და ფლოტის მსვლელობას.

უზღვავ საომარ ძალთა ხილვით აღტაცებულმა მეფემ შესძახა, ბედნიერზე ბედნიერი ვარო, მაგრამ გაახსენდა, რომ ადამიანის სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა და ტირილი დაიწყო. ბიძამისმა არტაბანმა გადაწყვიტა ესარგებლა ცხოვრების სიმოკლეთა და ამოეებით შეშფოთებული მეფის განწყობილებით და ერთ-ერთ კიდევ სცადა, ხელი აეღებინებინა საბერძნეთზე გალაშქრებისაგან. საპასუხოდ ქსერქსემ არტაბანი სუზაში გაგზავნა და თავის მაგიერ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მიანდო. თვითონ კი ჰელესპონტზე გადასვლის დაწყება ბრძანა.

ღილით ადრე მოგვებმა სამსხვერპლო თიმიამი აახრჩოლეს, ლოცვები აღავლინეს და ჰელესპონტზე მიმავალი გზა მურტის რტოებით მოჰფინეს. თვითონ მეფე მზის ამოსვლას ლოცვით შეხვდა, მის სადიდებლად ოქროს კრატერი აღმართა და ევროპაში ლაშქრობის წარმატებით დასრულება შესთხოვა. მერე ზღვისაკენ შებრუნდა და ის ოქროს კრატერი, ოქროს თასთან და სპარსულ მახვილთან ერთად, ზღვის ღმერთის ძღვნად, ჰელესპონტში ჩაჰყარა.

ჰელესპონტზე გადასვლა დაიწყო.

ხიდებზე პირველმა გადაიარა სამეფო გვერდიამ, გვირგვინებით თავშემკობილმა ათიათასიანმა „უკვდავმა“. შემდეგ დაიძრა თვითონ ქსერქსე, რომელსაც წინ უძღოდნენ მისი პირადი მცველნი — ათასი ცხენოსანი და ათასი ქვეითი, გვირგვინებით

ერთ-ერთის გათავისუფლება სთხოვა, სამივეს შენ დაგიტოვებო, უთქვამს მეფეს და სამივეს თავი გააგდებინეს.



თავშემკობილი რჩეული ვაჟკაცები. მათ კვალდაკვალ მოჰყავდათ ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული ათი ცხენი, ხოლო ამ ათ უკან რვა თეთრი მერანი მოაქანებდა მითრას საღვთო ეტლს, რომელსაც მოჰყვებოდა თვითონ ხელმწიფე, თავისი ნათესაგებით, მეგობრებითა და მრჩეველებით გარშემორტყმული. სამეფო ამაღის შემდგომ მოდიოდა ისევ ცხენოსან და ფეხოსან მცველთა რაზმები.

მეფემ ევროპის მიწაზე გადასვლისთანავე კარავი დაიდგა და ერთი კვირის განმავლობაში უცქერდა, როგორ მოედინებოდა აზიიდან ევროპისაკენ მისი უთვალავი ლაშქარი.

არმია გადავიდა. ხიდების დაცვა აბიღოსის მცხოვრებთ ებრძანათ.

სპარსელებმა გადაიარეს თრაკიის ხერსონესი და გადავიდნენ მდინარე ჰებრის ველზე, სადაც ქსერქსეს მთლიანად საომარ ძალთა დათვალიერება და დათვლა ჰქონდა ნაბრძანები.

ქალაქ ენოსის ნავსადგურში თავი მოიყარა ფლოტმა, 1.207 საბრძოლო და 3.000 სატრანსპორტო გემმა. ქალაქ დორისკის მახლობლად გაშლილ ველზე დაიწყო სახმელეთო ძალთა დათვლა. ჰეროდოტე ამ ამბავს ასე გადმოსცემს: ჯერ გადათვალეს ათიათასი კაცი, ერთიმეორესთან მიბრჯენით შეამჭიდროვეს და გარშემო ღობე შემოავლეს. აი, ასეთ „ქართას“ ავსებდნენ მეომრებით, დაკლიდნენ, ისევ გაავსებდნენ და ა. შ. ამნაირად გაივსო და დაიკალა „ქართა“ 170-ჯერ. გამოდის, რომ ქსერქსეს ჰყოლია 1.700.000 მეომარი. ასე, რომ მართლაც, როგორც თანამედროვენი გაიძახოდნენ, ევროპაში მთელი აზია გადასულიყო. მაგრამ ჰეროდოტე ამასაც არ სჯერდება. იგი ძირითად სახმელეთო არმიას უმატებს საზღვაო ეკიპაჟს, ბერძენ მოქირავნეებს, თრაკიელ და მაკედონელ მოკავშირეებს და ამგვარად მთლიანად ქსერქსეს ხელქვეით თავს იყრის 5.283.200 მოლაშქრე.

ასეთი გადაჭარბებული ჰეროდოტეს დიახაც უყვარს, მაგრამ სპარსულ არმიათა რიცხოზრვი გრანდიოზულობა ეჭვს მაინც არ იწვევს. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქსერქსემ საბერძნეთში ნახევარმილიონიანი არმია შეიყვანა.

დათვლის შემდეგ სპარსელთა არმია დალაგდა ტომობრიობისა და შეიარაღების მიხედვით; ყოველ საჯარისო ერთეულს

ქსერქსემ უსარდლა თავისი უახლოესი ადამიანები — ნათესავები, მეგობრები და თანამეინახენი. შემდეგ არმია აღდგინდა და დააწყო და საომარ ეტლზე ამხედრებულმა წინ მთელი ტით ჩამოუარა. გვერდით უჯდა მწერალი, რომელსაც საგანგებო სიაში შეჰქონდა ლაშქრობის მონაწილე ტომთა სახელები.

აქ იყვნენ სპარსელები და მიდიელები, საკები და ბაქტრიელები, არიელები და პირკანიელები, პართიელები და დრანგიანელები, სოგდიანელები და ინდოელები, კავკასიელები და კასპიელები, მესოპოტამიელები და არაბები, ეთიოპელები და ლიბიელები, ლიდელები და პაფლაგონელები, ფრიგიელები და კაპადოკიელები, ხალიბები და მოსხები, კოლხები და ტიბარენები, ალაროდიელები და სასპერები. გზაზედ ზოგიერთი თრაკიული და მაკედონური ტომიც შეუერთდა სპარსულ არმიას.

შემდეგ ქსერქსემ მოაწყო ფლოტის დათვალიერება. მან სწრაფი სიდონური ხომალდით ჩამოუქროლა საზღვაო ძალებს. აქ იყვნენ ფინიკიელები და ეგვიპტელები, კვიპროსელები და კილიკიელები, ლიკიელები და კარიელები, ბოლოს — მცირეაზიელი და ეგეოსელი ბერძნები...

დიდი აზიური საომარი ძალები ზღვით და ხმელეთით საბერძნეთისაკენ მიეშურებოდნენ.

როგორ ხვდებოდნენ ეპროკლეაზი

როცა ქსერქსე ჯერ კიდევ სარდში თავს უყრიდა საომარ ძალებს, თემისტოკლეს მოთხოვნით, კორინთოს ყელზე შეიკრიბნენ ბერძნულ ქალაქთა წარმომადგენლები. უნდა გადაეწყვიტათ — სად, როგორ, რა ძალებითა და ხერხებით დახვედროდნენ კარს მომდგარ მტერს.

კვლავ დაქსაქსულობამ, შინაურმა მეტოქეობამ და ურთიერთ მტრობამ იჩინა თავი. სამხრეთ საბერძნეთიდან ომში მონაწილეობაზე უარი თქვა არგოსმა, რაკი მას მეტოქეობა ჰქონდა სპარტასთან. ასევე მოიქცა პელოპონესის ჩრდილოური ოლქი — აქეია. შუა საბერძნეთიდან მხოლოდ ათენი და მცირე ქალაქნი — პლატეა და თესპია გამოდიოდნენ სპარსელებთან საომრად, ხოლო ათენთან და პლატეასთან ქიშპშიჩამდგარმა თე-



ბემ სპარსეთის მეფეს „მიწა და წყალი“ გაუგზავნა. სპარსელ-
 ბის მხარეზე იდგა ყველაზე დიდი ბერძნული სახელმწიფო-
 თესალია. დახმარების სათხოვნელად ელჩები ჰყავდათ გაგზავ-
 ნილი სიცილიელი ბერძნების ბელადთან, ჰელონ სირაკუზელ-
 თან; მაგრამ ჰელონმა საომრად გამოსვლის აუცილებელ პირო-
 ბად მთავარსარდლობა მოითხოვა, ამაზე უარი მიიღო და იმა-
 ნაც თავის მხრივ სპარსელებთან ბრძოლაში მონაწილეობაზე
 ცივი უარი თქვა.

კორინთოს თათბირზე შეკრებილი პატრიოტული ძალები
 მხნეობას მაინც არ ჰკარგავდნენ. ვერც დელფოს ორაკულის სა-
 ეჭვო წინასწარმეტყველებამ შეაკრთო ისინი. პითია სპარსელე-
 ბთან ომში ორ მთავარ ქალაქს — ათენსა და სპარტას — ასეთ
 რამეს „უწინასწარმეტყველებდა“: ათენელებს ხის კედლები
 დაიხსნიანო, ხოლო სპარტას ან თვითონ მოელის სასტიკი აოხ-
 რება, ან ერთ-ერთი მეფე დაელუბებაო. თემისტოკლემ „ხის
 კედლებში“ გემები იგულისხმა და თანამემამულენი ფლოტის
 გამრავლებისა და გაძლიერების საქმეში დაითანხმა, ხოლო სპარ-
 ტელებმა „ნაწინასწარმეტყველავი“ საფრთხე სავსებით გულ-
 გრილად მოისმინეს და „ლაკონიური“ მღუპარებით უგულუ-
 ბელჰყვეს.

შეკრებილებმა უპირველეს ყოვლისა დაადგინეს ურთიერთ
 შორის ყოველგვარი უთანხმოებისა და საომარი მდგომარეობის
 შეწყვეტა და საერთო მტრის წინააღმდეგ მთელი ძალების გა-
 ერთიანება. ასე შეირიგდნენ საომარ მდგომარეობაში მყოფი
 ათენი და ეგინა. ყველამ ფიცი დასდო, რომ ერთიანი ძალით
 იბრძოლებდნენ არა მარტო აზიელი ბარბაროსების წინააღმდეგ,
 არამედ საერთო საქმის წინააღმდეგ გამოსულ თანამემამულე
 ბერძენთა დასასჯელადაც. მოლაღატენი უნდა აეკლოთ, ქონება
 წაერთმიათ, მეათედი დელფოს აპოლონის ტაძრისათვის შეე-
 წირათ, დანარჩენი ურთიერთ შორის გაენაწილებინათ.

შემდეგ მსჯელობა გაიმართა იმის თაობაზე, თუ სად უნდა
 შეხვედროდნენ მტერს, ხმელეთზეც და ზღვაზეც. სპარტელები
 ჯერ მოითხოვდნენ კორინთოს ყელზე და პელოპონესის სანაპი-
 როებზე გამაგრებულყვენენ, მაგრამ მათ მალე თავისი მოთხოვ-
 ნა უკანვე წაიღეს, რადგან აშკარად გამოჩნდა: პელოპონესელებს
 შუა საბერძნეთი და განსაკუთრებით ათენი, — თუ მათ მტერი

აიკლებდა, — მაინცდამაინც არაფრად ენაღვლებოდათ. ზოგიერთებმა მტრისათვის გზის შესაკრავად მაკედონიიდან თესალიაში გამოსასვლელი ერთადერთი გზა დაასახელეს — მდინარე პენესის შესართავთან, ტემპეის ველი. მაგრამ თემისტოკლემ ყველანი დაარწმუნა, რომ ეს ადგილი სახიფათო იქნებოდა, რაკი ზურგში სპარსელთა მოკავშირე თესალია ეყოლებოდათ. ამიტომ მისივე წინადადებით დადგინდა: სახმელეთო ჯარები უნდა გამაგრებულიყვნენ ჩრდილო (თესალია) და შუა (ლოკრია) საბერძნეთის შესაყარში, ეტას მთასა და ზემო ევბეის ვიწრო ზღვას შორის, თბილი, გოგირდოვანი წყაროებით ცნობილი თერმოპილეს ხეობაში. ხოლო ფლოტი უნდა განლაგებულიყო თერმოპილეს პარალელურ სრუტეში, ევბეის ჩრდილოეთ ნაწილში წამოზიდულ არტემისიონის კონცხთან. |

სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ იქნა სპარტის მეფე ლეონიდე.

თითქოს საეჭვოდ არავის უნდა გაეხადა ფლოტის მთავარსარდლად თემისტოკლეს გამოცხადება. ჯერ ერთი, თემისტოკლე, ბერძენ სტრატეგოსთა შორის, საზღვაო საქმეთა უპირველეს მცოდნედ ითვლებოდა და მეორეც, რაც მთავარია, ბერძენთა გაერთიანებულ ფლოტში 315 გემიდან 200 მარტო ათენის გემი იყო, მაგრამ თემისტოკლეს ადმირალობის საკითხმა მოკავშირეებში დიდი დავა გამოიწვია. ათენის სწრაფი დაწინაურებით შეშფოთებულ პელოპონესელებს არ სურდათ ათენელის ხელქვეით მოქცეულიყვნენ. სპარტელები სახმელეთო ჯარების უფროსობას არ სჯერდებოდნენ და საზღვაო ძალთა ადმირალობასაც ეტანებოდნენ. მათ მხარს უჭერდნენ ათენის მეტოქე კორინთელები და მეგარელები. ყველაზე მეტად თემისტოკლეს მეთაურობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ახლახან ათენთან შეერიგებული ეგინელები, მაგრამ, ყველასათვის გასაოცრად, პატივმოყვარე და ამპარტავანმა „ზღვის მეგელმა“ თვითონ სთქვა უარი ადმირალობაზე. მან დანარჩენი ათენელები დაარწმუნა, რომ სამშობლოსათვის ასეთ მძიმე ჟამს არ ღირდა ბრძოლა და კინკლაობა სტრატეგოსობისათვის. მან ფლოტის მთავარსადლობა ქედდადრეკით გადასცა სპარტელ სარდალს, ევრიბიადეს, რომელსაც არამცთუ საზღვაო საქმეებისა

არაფერი გაეგებოდა, ზღვაში რომ ვაგლახად ფეხი ჩასცდენოდა, საკუთარ თავსაც ვერ უშველიდა.

როცა კამათი მიწყდა, თემისტოკლემ ევრიბიადე გაიხმო და უთხრა:

„დაე, შენ იყავ, ევრიბიადე, მთავარსარდალი, მაგრამ იცოდე, ზოგიერთი რამ მე უნდა დამიჯერო“

„ასე იქნება“, მშვიდად უპასუხა სპარტელმა.

ჯარი გროვდება

ოთხასოთხმოცი წლის ივლისი დადგა. იმ დღეებში ელიდაში (პელოპონესი), ქალაქ ოლიმპიაში, ტრადიციული საყოველთაო ბერძნული ზეიმ-ასპარეზობა — ოლიმპიადა უნდა გამართულიყო. მაგრამ სამარა ძალებს ოლიმპიადისთვის არ ეცალათ;

ბერძენთა გაერთიანებული ფლოტი ევრიბიადეს მეთაურობით უკვე მივიდა არტემისიონის კონცხთან.

სახმელეთო ჯარებს ელოდა თერმოპილეს ხეობაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა მისულიყო მთავარი ძალა — სპარტელთა ლაშქარი მეფე ლეონიდეს მეთაურობით. მოელოდნენ, რომ პელოპონესიდან მოვიდოდა არანაკლები 40.000 ჰობლიტისა. მაგრამ მოვიდა მხოლოდ 3.100.

აქედან მხოლოდ 300 იყო სპარტელი.

მხოლოდ სამასი და მათ შორის ლეონიდე.

ლეონიდე უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, ათლეტური აღნაგობის, მშვიდი, ენერგიული სახიერების მქონე კაცი.

მისი სამასი სპარტელიც, ყველა ცოლშვილიანი, შუა ხნის ვაჟკაცები იყვნენ.

ახალგაზრდა სპარტელებს მაშინ არ შეეძლოთ ბრძოლად გამოსვლა, რადგან სწორედ იმ დღეებში მიდიოდა კარნეის დღესასწაულები, რაზედაც ახალგაზრდა ლაკედემონელთა დასწრება სავალდებულოდ ითვლებოდა. სპარტის ხელისუფლება ლაშქრის ასეთ მცირერიცხოვანებაზე ოლიმპიადის დღესასწაულებსაც იმიზეზებდა. მათთვის მთავარი მაინც პელოპონესი იყო და არა შუა საბერძნეთი, ამიტომ ისინი ძირითად ძალებს სწორედ პელოპონესის დასაცავად ინახავდნენ.



თვითონ ლეონიდე დანარჩენ მოკავშირეთა გასამხნეველად ამბობდა, რომ იგი მხოლოდ ავანგარდულ რაზმს მოუძღვებოდა სპარსელების გამოჩენამდე სპარტიდან დიდი ლაშქარით მოგვისწრებსო.

შუა საბერძნეთში შესვლისას სპარტელებს თავისი ნებით შეუერთდნენ თესპიელები, ლოკრები და ფოკეელები. ლეონიდემ მკაცრი ბრძანებით თებელებიც აიძულა გამოსულიყვნენ სპარსელებთან საომრად.

თესალიისა და ლოკრიდის საზღვარზე, ევბეის სრუტის ჩრდილოეთი ნაწილი ხმელეთში იჭრება და მალიაკის ყურის სახელს ატარებს. მის გასწვრივ მაღალ კედლად მიიმართება იტას მთაგრეხილი. იტას ჩრდილოეთ ფერდობზე, მალიდის ოლქში, მცირე ქალაქი ტრახინი მდებარეობს, ხოლო ტრახინის სამხრეთით, მთასა და წყალს შორის მიიმართება ვიწრო ზოლი, რომელიც მთისკენ მუხის, ზეთის ხილის, დაფნისა და ვაზის ხეივანებითაა დაფარული, ხოლო წყლისაკენ — უეცარი დამრეცი და უძირო ჭაობებია. ამ ვიწრო გასასვლელის სამხრეთ ნაწილში, იქ სადაც მთა და ზღვა ერთმანეთს ერთი ეტლის სიფართოზე უახლოვდებიან, კლდეებიდან სამ ნაკადად გამოჰქუხს გოგირდოვანი თბილი წყაროები. აქედანვე წარმოსდგა სახელწოდება თერმოპილე — „თბილი კარიბჭენი“. აქვე მახლობლად, მაღლობზე, ტრახინიდან ერთი საათის სავალზე, შეფენილია ლოკრიდის პატარა სოფელი ალპენა.

აქ, თერმოპილესა და ალპენას შუაში, დაიბანაკა ლეონიდემ თავისი ლაშქრით. ხოლო თვით ლაშქარში შედიოდა:

სამხრეთ საბერძნეთიდან:

- 300 სპარტელი,
- 500 ტეგეელი,
- 500 მანტინეელი,
- 120 ორქომენელი,
- 400 კორინთელი,
- 20 ფლიუნტელი,
- 80 მიკენელი.

შუა საბერძნეთიდან:

- 700 თესპიელი,
- 400 თებელი,

500 ლოკრიდელი,

500 ფოკიდელი.

და ამათ გარდა კიდევ 1.000 მონა და პერიეკი (ჩამოსახლებული უცხოელი) პელოპონესიდან.

ეს იყო და ეს: სულ 5.200 კაცი.

ხოლო სპარსელნი? ოო, უთვალავია ბარბაროსთა ლაშქარი! მოდის მთელი აზია!

დალამდა. ქვეყანა დაწყნარდა. ბერძენთა ბანაკიც დუმდა, თუმცა არ ეძინა.

ვილაცამ ამოიოხრა.

სადღაც აჩუჩულდნენ:

„ჩვენ კი გვეგონა ყველაზე მეტი სპარტელები იქნებოდნენ!“

„ჰო, სპარტელები. ისინი მხოლოდ სამასი კაცია!..“

უცებ მკაცრმა ხმამ გააწყვეტინა:

„სამასი კაცი?!“

და იგივე ხმამ მკაცრადვე „გაასწორა“:

„სამასი სპარტელი!!!“

ბანაკი ისევ დადუმდა.

ბირველი სისხლი ზღვაზე

სპარსულმა არმიამ მაკედონია ჩაათავა, ტემპეის ველი გაიარა და თესალიაში ნიაღვარივით შეიჭრა. პარალელურად მოედინებოდა საზღვაო ფლოტი, რომელსაც სათავეში ედგა ქსერქსეს ძმა აქემენი.

დაზვერვაზე წინასწარ წამოსული ათი სიდონური ხომალდი წააწყდა კუნძულ სკიათოსთან (ევბეის ჩრდილოეთით) საგუშაგოდ მდგარ სამ ბერძნულ ხომალდს. უთანასწორო ბრძოლაში სპარსელებმა ხელთ იგდეს ორი ხომალდი — ერთი ეგინისა და მეორე ტრეზენისა. ბარბაროსებმა ბერძენ ტყვეთაგან აარჩიეს ულამაზესი ვაჟკაცი, სახელად ლეონი, და იქვე, მათსავე გემზე, ფინიკიელ და სპარსელ ღმერთთა სამსხვერპლოდ ყელი გამოსჭრეს; ხოლო დანარჩენებს მონობის ბორკილები დაადეს, მესამემ — ათენელთა გემმა ტყვეობას გაასწრო და მისმა

ეკიპაჟმა კუნძულ სკიათოსს შეაფარა თავი. აქედან მათ კოცონით აცნობეს თავისიანებს სპარსელთა ფლოტის მოახლოებას. ბერძენმა სტრატეგოსებმა არტემისიონთან ყოფნა ამკერად სახიფათოდ მიიჩნიეს და უკანდახევის ბრძანება გასცეს. ფლოტი ევბეის სრუტეს დაუყვა და მის ყველაზე ვიწრო ნაწილში, ქალაქ ქალკიდის მყუდრო ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა.

სპარსელთა ფლოტს თესალიის მაგნეზიის ნაპირთა გასწვრივ ღამემ მოუსწრო. აქემენმა დილამდე ღუზის ჩაშვება ბრძანა. მაგრამ ღამით ჩრდილო-დასავლეთიდან საშინელი გრიგალი წამოვიდა. ბერძნები მას „ჰელესპონტურ ქარს“ ეძახდნენ. სპარსელი მოგვები ლოცვითა და მსხვერპლის წირვით ამოდ აბეზრებდნენ თავს ღმერთებს. სამი დღე-ღამის განმავლობაში ქარტეხილი ნაფოტებივით ისროდა სპარსელთა ზომალდებს. გემები ერთმანეთს ეხლებოდნენ, ან ზღვაში პიტალოდ ჩამოშვებულ პელიონის კლდეებს ეხეთქებოდნენ, 400 გემი თავისი ეკიპაჟებითა და სიმდიდრეებით ზღვის ფსკერზე დაეშვა. ვინც ხმელეთზე გადაასწრო, ადგილობრივ ტომთაგან თავდასხმის შიშით, გემთა ნამსხვრევებისაგან ბარეკადებს აგებდა და მოსალოდნელი ომისათვის ძრწოლამოსილი ემზადებოდა.

როცა ქალკიდასთან დაბანაკებულმა ბერძნებმა მტრის ზარალის ამბავი შეიტყვეს, ზღვათა და ქართა მბრძანებელ ღმერთებს — პოსეიდონსა და ბორეასს — სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს და ისევ არტემისიონის კონცხისაკენ გაეშურნენ, წამოეწივნენ უკვე პაგასის ყურეში შემავალ სპარსული ფლოტის არიერგარდს და ბრძოლა გაუმართეს მას. ამ შეტაკებაში 15 ტრიერა წაართვეს ბერძნებმა სპარსელებს და მათი ბელადები დაბორკილი გაუგზავნეს სამოკავშირეო საკრებულოს კორინთოს ყელზე.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, არტემისიონთან მდგარი ბერძნული ფლოტის მთავარსარდლობაში მაინც საკამათო გახდა, გაემართათ თუ არა გადამწყვეტი ბრძოლა მტრის ფლოტთან, რომელსაც იმ ზარალთა შემდგომ მაინც დარჩა არა ნაკლები 1.000 ზომალდისა. კორინთელი სტრატეგოსი ადიმანტოსი მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაეწყოთ უკანდახევა სამხრეთისაკენ, პელოპონესის სანაპიროებისაკენ. მთავარსადალმა



ევრიბიადემ მაშინვე დაუჭირა მხარი კორინთელის წინადადებას. მათვე მიემხრო ათენის საღვთო გემის უფროსი არქიტექტორ ე. თემისტოკლე თავგამოდებით იბრძოდა არტემისიონთან დარჩენისა და მტერთან გენერალური ბრძოლის გამართვისათვის. თემისტოკლეს, ათენელთა გარდა, მხარს უჭერდნენ ევბეელები, რომელთაც დიდი შიში ჰქონდათ: თუ ბერძნები წავიდოდნენ, სპარსელები ევბეას ააოხრებდნენ. ამიტომ გადამწყვეტ მომენტში ევბეელებმა უკვე სამხრეთისაკენ წასასვლელად გამზადებული ევრიბიადესა და ადიმანტოსის მოსასყიდად თემისტოკლეს მისცეს 33 ტალანტი (დაახლ. 43.000 მან ვერცხლი).

თემისტოკლემ ამ თანხიდან ევრიბიადეს მისცა 5 ტალანტი, ადიმანტოსს — 3 ტალანტი და თავის ურჩ თანამემამულე არქიტელეს 1 ტალანტი. დანარჩენი 21 ტალანტი თემოსტოკლემ მოსალოდნელ „შავ დღეთათვის“ შეინახა. დაქრთამულთაგან არავინ იცოდა, რომ ფული ევბეელებისაგან იყო გაღებული.

„კვერთხმა ეშმაკის ძირისამ“ თავისი გაიტანა. ბერძენთა ფლოტი არტემისიონის კონცხთან დარჩა.

დაღამდა.

ადამიანებს უხაროდათ, რომ წყვილადში უკვე ველარ ზედავდნენ ზღვის ქაფში შერეულ წითელ სირმებს, კაცთაგან კაცთა დაქცეულ სისხლს.

მაგრამ მომდევნო დღისთვის იგივე ადამიანთა ორივე მხარე უარესი სისხლისთხევისთვის ემზადებოდა.

ბრძოლა არტემისიონთან

აქემენმა წინასწარი დაზვერვით იცოდა, რომ ბერძნებს მასზე გაცილებით მცირერიცხოვანი ფლოტი ჰყავდათ. ამიტომ გადაწყვიტა მოწინააღმდეგე ისე გაენადგურებინა, რომ მათგან ამბის გამტანიც კი არ გაეშვა. მან 200 გემი გამოჰყო და იღუმალ გაგზავნა ევბეის სრუტის სამხრეთ გასასვლელის ჩასაკეტად, რათა აქედან იერიშის დაწყების ჟამს, არც ერთი ბერძნული ხომალდი არ გაქცეოდა ხელიდან. როგორც კი აქემენი შეიტყო, რომ გაგზავნილი ხომალდები უკვე დანიშნულ ადგილზე მივიდნენ, მაშინვე იერიშსაც დაიწყო.

სპარსელთა ეს გეგმა შეიტყო თემისტოკლემ და მაშინვე

ამოქმედდა. მან სტრატეგოსთა თათბირზე მოითხოვა, მტრის ფლოტი 200 გემით შემცირდა, დაუყოვნებლივ თონ დასხმოდნენ თავს აქემენის ბანაკს.

მცირე ყოყმანის შემდეგ სტრატეგოსთა საბჭო თემისტოკლეს წინადადებას დაეთანხმა და უკვე მზის დასალიერზე ბერძენთა ფლოტი სწრაფი სვლით დაიძრა მოწინააღმდეგისაკენ.

სპარსელები არ ელოდნენ და საბრძოლოდ გაწყობა ვერ მოასწრეს. ბერძნებმა პირველი იერიშისთანავე მტერს 30 ხომალდი მოსტაცეს და თავის ბანაკში უვნებლად დაბრუნდნენ. მრავალ ტყვეთა შორის აღმოჩნდა კვიპროსელი მეფის ძმა.

ბერძნებს იმედი ჰქონდათ, რომ შეტაკების დროს სპარსელთა ბანაკში მყოფი თანამოძმე იონიელები (მცირეაზიელი ბერძნები) მათ მხარეზე გადავიდოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მხოლოდ ერთი ლემნოსური ტრიერა გამოექცა სპარსელებს ანტიდორეს მეთაურობით.

იმ ღამით კვლავ აიშალა ქართველი ზღვაზე. კოკისპირული წვიმა და ღვარანფშვენი წამოვიდა. წინა დღეთა ქარიშხლისაგან დაღეწილ ხომალდთა ნამუსრევნი და დახოცილ ადამიანთა გვამები გამოიტანა ზღვამ პელიონის ნაპირებიდან. სპარსელები შეაძრწუნა მათმა ხილვამ. აქემენის ბანაკი პანიკამ მოიცვა. უარესი ამბავი შეიტყო სპარსული ფლოტის აღმირალმა: ის 200 ხომალდიც მთელი თავისი ეკიპაჟითა და აღჭურვილობით ქარიშხალმა დაღეწა და გაანადგურა. მათგან ამბის მომტანიც აღარ დაბრუნებულა.

ბერძენთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მით უფრო, რომ სწორედ იმ დღეს, როცა სპარსელთა ფლოტმა ამდენი ზარალი ნახა, ბერძენთა ბანაკმა ახალ დამხმარე ძალად ათენიდან 53 ხომალდი მიიღო.

მაშ, ჰეროდოტეს თქმისა არ იყოს, „ღმერთმა მართლა შემცირა განსხვავება“ სპარსელთა და ბერძენთა ძალებს შორის. თემისტოკლე სიხარულით ცასა ჰკიდებდა ხელს.

მომდევნო საღამოს, როცა ავდარმა გადაიკარა, ბერძნებმა ისევ წამოიწყეს იერიში და კიდევ რამდენიმე ხომალდი წაართვეს მტერს.

სამი დღის შემდგომ ცოფით შეპყრობილმა აქემენმა თვით

გამოიყვანა ფლოტი იერიშზე. მისი ხომალდები ნახევარწრედ მოიწვედნენ მოწინააღმდეგისაკენ.

ორივე მხარე იბრძოდა დიდი სიმხნევითა და თავგანწირვით. ორივე მხარემ ნახა ზარალი. ბარბაროსთა მხრიდან განსაკუთრებული სიმაჰაცით იბრძოდნენ ეგვიპტელები, ბერძენთა ბანაკიდან — ათენელები.

ბრძოლა ამ დღეს სწორი სასწორით დამთავრდა.

ბერძნები მომდევნო დღეთა გეგმებზე ბჭობდნენ, როცა შეიკრებოდნენ მოულოდნელი ამბავი: ქსერქსეს ჯარებმა თერმოპილეს ხეობაში ბერძენთა დაცვა გაარღვიეს და შუა საბერძნეთში შეიჭრნენო. ახლა ფლოტის დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს სწრაფი უკანდახევა სამხრეთისაკენ. თემისტოკლემ წინასწარ ევბეის მცხოვრებლებს საქონლის ნაწილი გააწყვეტინა. ნაწილიც სამხრეთისაკენ გადაარეკვინა, რათა შემოსეულ მტერს შიმშილი დასტყდომოდა თავს.

მერე დაიწყო უკანდახევა ევბეის სრუტით. ყველგან, თვალსაჩინო ადგილებზე, კლდეებზე და წყაროებთან, — სადაც მტერს სასმელი წყალი უნდა აეღო — თემისტოკლე სწრაფი ხომალდით მიმოქროდა და აწერდა მოწოდებებს სპარსელთა ფლოტის მონაწილე იონიელი ბერძნებისადმი:

„თქვენ უმართებულოდ იქცევით, როცა ებრძვით თქვენსავე ძმებს და მამებს და მტერს ეხმარებით მშობლიური ჰელადის დამონებაში. გადმოდით ჩვენთან, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, დაბრუნდით უკან თქვენს სახლებში და თანვე წაიყვანეთ კარიელებიც, მაგრამ უკეთუ ბარბაროსთა უღელი ისე მაგრად გბოქავთ, რომ არც ერთის და არც მეორის გაკეთება არ შეგიძლიათ, მაშინ მაინცდამაინც თავგამოდებით ნუ შეგვებრძოლებით ჩვენ, თქვენს ძმებსა და ნათესავებს!“

თემისტოკლე ამბობდა: თუ გადმოვლენ ჩვენკენ იონიელები, ხომ კარგი, თუ არადა, ამ წინადადებათა წაკითხვისას სპარსელები ხომ მაინც უნდოთ თვალთ დაუწყებენო მათ ცქერას...



„ჩვენ ხომ პერაკლეს მოდგმისა ვართ მისი მხნელ შევეუტიოთ...“

ტირტეოსი

სანამ ზღვაზე ეს ამბები ხდებოდა, მის პარალელურად ხმელეთზე დიდი დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ეპოპეა მზადდებოდა.

თხუთმეტდღიანი ლაშრობის შემდგომ ქსერქსემ თავისი უზარმაზარი არმიით თესალია ჩაათავა და ტრახინს მოადგა.

თერმოპილეს ხეობაში მდგარი ბერძენთა ბანაკი მტრის უზომო სიმრავლის ხილვამ შეაძრწუნა და შეარყია.

პელოპონესიდან მოსული ჯარები მაშინვე წამოიშალნენ და სასწრაფოდ სამხრეთისაკენ, კორინთოს ყელისკენ, უკანდახევა მოითხოვეს. ისედაც ხომ მათ შუა საბერძნეთი არაფრად ენაღვლებოდათ და მხოლოდ საკუთარი პელოპონესის გადარჩენაზე ზრუნავდნენ.

შუა საბერძნეთის ჯარები, განსაკუთრებით ფოკიდელები და ლოკრიდელები, — რომელთა მიწაზეც უკვე შემოსდგეს ფეხი სპარსელებმა — მოითხოვდნენ თერმოპილედან ფეხი არ მოეცვალათ და მტერსაც აქვე შებმოდნენ.

კამათი და აურზაური სასწრაფოდ აღკვეთა მთავარსარდალმა.

ლეონიდე ბანაკის წინ წამოიმართა და შეურყეველი ტონით განაცხადა:

„ჩვენ ვრჩებით!“

მთავარსარდალის ზევსურმა ბრძანებამ შეაყენა და შეადულა ბერძენთა ბანაკი.

ყველა რჩება; არავინ ფეხს არ მოიცვლის.

ისინი თავის მშობლიურ მიწაზე დგანან. ეს მიწა აძლევს მათ უძლეველ ძალ-ღონეს. ვნახოთ, რას გახდება სხვის დასამონებლად შოლტების ცემით მორეკილი ბარბაროსთა ლაშქარი.

თერმოპილეს ხეობა მტრისთვის მიუვალად ჩანს, მაგრამ მის უკან, კალიდრომის მთის გადაღმა, ვიწრო ხეობას საცალფეხო ბილიკი მისდევს. ეს ბილიკი ზურგიდან უვლის თერმოპილეს ხევს.



ლეონიდემ ფოკიდელთა და ლოკრიდელთა ათასეული გაგზავ-
 ნა იმ ბილიკის ჩასაკეტად.

სპარსელებმა ბილიკის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იცი-
 ან, მაგრამ ლეონიდე მაინც ვარაუდს იჭერს, რომ მტერმა რაიმე
 შემთხვევით ზურგიდან არ შემოუაროს...

ლეონიდემ შიკრიკი აფრინა კორინთოს ყელზე შეკრებილ
 სამოკავშირეო საბჭოსთან; მტრის მოსვლას აცნობებდა და დამ-
 ხმარე ძალებს მოითხოვდა. თვითონ სწამდა, რომ ახალ საომარ
 ძალას ვერ მიიღებდა. მაგრამ ასეთი თხოვნის გაგზავნით მეო-
 მართა გულში იმედი და მხნეობა შეჰქონდა.

- დგანან ბერძნები ბერძნულ მიწაზე.
- ელიან მტერს.
- ელიან სიკვდილს.
- ელიან უკვდავებას.
- ელიან გამირობას.

სამასი სპარტელი მოსულა უწმინდესი მიწის დასაცავად.
 სპარტელები ჰერაკლიდები არიან — დიადი ჰერაკლეს შთამო-
 მავალნი. სწორედ აქ, ტრახინსა და თერმოპილეში გაატარა თა-
 ვისუფალ და თანასწორ სპარტელთა ლეგენდარულმა წინაპარ-
 მა თავისი გმირული სიცოცხლის უკანასკნელი წლები. აქ, ამ
 თბილ წყაროებთან დგამდა ჰერაკლე საზორველ საკურთხეველს.
 იქ, იტას უმაღლეს მწვერვალზე აღიმართა დიდი კოცონი, რო-
 მელშიც ჩაიწვა და ჩაიფერფლა გმირი. ჩაიფერფლა, რამეთუ
 ზეცად, ოლიმპიელ ღმერთთა ტოლად აღზევებულიყო.

იტას გადამა, ცოტა მოშორებით, „დედამიწის ქიპია“ —
 ფოკიდა, დიადი აპოლონის სამყოფელი, — პარნასის მთა, პარ-
 ნასის მთის ფერდობზე — ყოველი ბერძნის სამლოცველო, აპო-
 ლონის თეთრი ტაძარი. იქვეა პითია, ქურუმი ქალი, რომელიც
 მთელს ქვეყანას ამცნობს ხელოვნებისა და სინათლის ღმერთის
 ნებასურვილებს.

იქ, ტრახინში, სადაც ოდესღაც თავისი ოჯახით ცხოვრობ-
 და დიდი ჰერაკლე, ახლა აზიელი მბრძანებელი დაბანაკებულა
 თავისი უზარმაზარი არმიებით.

ამის მოთმენა ბერძნებს დიდხანს არ შეუძლიათ...
 ერთი თესპიელი ლეონიდეს მიეახლა და ჰკითხა:

„რატომ არის, რომ გმირს შერცხვენილ სიცოცხლეს
ლოვანი სიკვდილი ურჩევნია?“

„იმიტომ, რომ ადამიანის სიცოცხლე ბუნებას ეკუთვნის,
ხოლო სახელოვნად სიკვდილი თვითონ მას — გმირ ადამიანს“,
ხმამალლა, ყველას სასმენად სთქვა ლეონიდემ.

მხნეობა იზრდებოდა ბერძენთა ბანაკში.

ვიდაც ტრახინელი გლეხი მოიჭრა თერმოპილეს ხევში და
შეშფოთებით შესძახა ბერძნებს:

„თავს უშველეთ, ბერძნებო! რის იმედი გაქვთ? ბარბარო-
სები იმდენი არიან, ყველამ რომ ერთად ისარი სტყორცნოს,
წზე დაბნელდება!“

„მით უკეთესი: ვიომებთ ბნელში!“ — ლაკონიურად უპასუ-
ხა ლაკონიელმა, — სპარტელმა მეომარმა, სახელად დეინიკემ.

ქსერქსეს ტრახინთან დაბანაკებამდეც ჰქონდა ცნობა, რომ
თერმოპილეს ხეობაში ბერძენთა მცირერიცხოვანი ლაშქარი
იღგა. ბანაკად დადგომისთანავე ხელახლა გაგზავნა მზვერავი,
მზვერავი გაცეცხული და გაოგნებული დაბრუნდა.

„რა ნახე?!“ — ჰკითხა ქსერქსემ.

„ვნახე. სწორედ იქ, თერმოპილეს ხეობაში დგანან“.

„მერე, რას სჩადიან, როგორ იქცევიან?“

„ერთობიან“.

„როგორ თუ ერთობიან?!“ — გაცდა მეფე.

„როგორ და, ზოგნი ჭიდაობენ, ზოგნი ვარჯიშობენ, ზოგი-
ერთები თმებს ივარცხნიან, სხვები კიდევ ყვავილებსა და ბა-
ლახებს კრეფენ. გვირგვინებს წნავენ და ერთმანეთს თავზე აღ-
გამენ“.

მეფეს სახე გაეყინა. მერე ერთბაშად დემარატს მიუბრუნ-
და:

„რას ნიშნავს, ბერძენო, ყოველივე ეს?“

„ეს იმას ნიშნავს, ხელმწიფეო, ბერძნებს გადაუწყვეტიათ
თავგამეტებით შეგებრძოლონ“, — წყნარად უპასუხა დემარა-
ტმა.

ქსერქსემ ავზნიანად გაიცინა:

„განა ასე შეშლილები არიან ის შენი სპარტელები?“

„ასეა, ხემწიფეო, სპარტელებს ჩვევად აქვთ, ბრძოლის წინ

თმები დაივარცხნონ და თავები შეიმკონ. მეტადრე თუ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა“.

„მე კი მგონია, ჩემი ბანაკის ცქერასაც დიდხანს ვერ გაუძლებენ“, — დარწმუნებით დაასკვნა ქსერქსემ.

ოთხი დღე-ღამე ამოდ უცდიდა სპარსეთის მეფე თერმოპილეს ხეობაში ჩამდგარ „შეშლილთა“ გაქცევას.

პირველი სისხლი ხმელეთზე

„სამაყოა მეწინავე რიგებში ბრძოლა
სამშობლოსათვის და სიკვდილი სახელოვანი“.
ტირტეოსი

მეხუთე დღეს ქსერქსე დილით ადრე ადგა, მალეობზე აღმართულ ტახტზე დაბრძანდა და ისევ დემარატი იხმო.

„მაშ თქვენ, ლაკონიელ სპარტელებს ლაკონიური გასაუბრება გიყვართ, არა? “

„დიახ, ხელმწიფეო“, შიშნარევიად გაეპასუხა დემარატი.

„მაშ კარგი, ლაკონიური იქნება ჩემი ბრძანებაც“. ეს სთქვა და ამაღაში ვილაცას ანიშნა.

ამალას კაცი გამოეყო და თერმოპილესაკენ სასწრაფოდ დაეშვა. იგი ბერძენთა ბანაკს მიუახლოვდა და „ლაკონიურად“ შეპყვირა:

„იარალი ჩაგვაბარეთ!“.

„მოდით და ინებეთ!“ — იგრილა ლაკონიელთა ბანაკმა. რისხვით აღვსილმა აზიელმა მბრძანებელმა იერიში ბრძანა.

„ყველანი ცოცხლად შეიპყარიტ და ბორკილდადებულნი მომგვარეთ!“ — ასეთი იყო მეფის ბრძანება.

მძლავრ ნაკადად დაიძრნენ მიდიელთა და კისიელთა კოლონები, საისრეზე მისულეებმა ისრის სეტყვა დაუშინეს მოპირდაპირეს. ბერძნებმა დიდი ფარები იფარეს და ისართა სეტყვა აისხლიტეს. მერე გრძელი შუბები გამართეს და შეტევაზე გადმოსულ მტერს შეებნენ.

გაურღვეველ კედლად მიუძლოდნენ სპარტანული რაზმები ბერძენთა ლაშქარს. საშინელი ხელჩართული გაჩაღდა. ქსერქსე

ხედავდა, როგორ ჰკაფავდნენ ბერძნები მისგან წარგზავნილ ვა-
რებს.



მეფე რისხვით თავს ძლივს იჭერდა, მაგრამ ტახტიდან მაინც არა დგებოდა, რათა სისუსტედ და სიმსუბუქედ არავის ჩამოერთმია.

მიდიელთა მეწინავენი ბერძნებმა ჩახოცეს, დანარჩენები უკუიქცნენ.

მაშინ მეფემ უბრძანა „უკვდავთა არმიის“ მთავარსარდალს, ჰიდარნესს, სასწრაფოდ გამოეყვანა თავისი ჯარები საიერიშოდ.

სპარსეთის არმიის ყველაზე საუკეთესო ნაწილი, 10.000 „უკვდავი“ მეომარი — მტკიცე საომარი წყობით, იარაღის ზათქითა და თავზარდამცემი ყიჟინით გაქანდა ბერძნებისაკენ.

სპარსელები მთიდან დაქანებული ზვავევით მოექანებოდნენ.

სპარტელები იერიშს იერიშით შეხვდნენ.

იარაღგაწვართულ ადამიანთა შეხეთქების და შეჯახების ექო ჰომერულ გმინვად აღმოხდა იტას მთას და კლდეთ.

კვლავ გაუდრეკელი მკლავებით სჩეხდნენ სპარტელნი. „უკვდავთა“ მეწინავე რიგები ჩაჰკაფეს კიდეც, მაგრამ გაურღვეველი იყო სპარსელთა „ზვავის“ თვალჩაუდგამი სიღრმე და სიგრძე.

მაშინ ლეონიდემ რაღაც შეუძახა თავისიანებს.

სპარტელები ერთობლივი და ერთბაში მიწოლით მიაწვნენ მტერს, მერე ერთბაშადვე ზურგი აქციეს და უკუიქცნენ.

სპარსელები, მტრის „გაქცევით“ ფრთებშესხმულნი, აღტაცებული ღრიანცელით გამოენთნენ.

დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ლეონიდემ თვალი ჰკიდა და როგორც კი დარწმუნდა, რომ სპარსელების რიგები თავდავიწყებითი სირბილისაგან უკვე აშლილ-არეულიყვნენ, თავისიანები ერთბაშად უკანვე შეაბრუნა და მტერს ხელახლა შეება.

სპარტელები და მათზე მიდევნებული დანარჩენი ბერძნები უწყალოდ სჩეხდნენ დაფანტულ და დაბნეულ სპარსელებს.

ქსერქსემ უკვე ველარ შესძლო ხელმწიფური თავშეკავებულობის დაცვა. იგი სამჯერ შეშლილივით წამოიჭრა ფეხზე და სამჯერვე მუხლმოკვეთით დაეცა ტახტზე.

დალაშქრა.

„უკლავთაგან“ ბევრი დაიხოცა — 6.000-ზე მეტი მეომარი.

დანარჩენები დამარცხებულნი და სირცხვილნაჭამნი დატოვდნენ.

რუნდნენ.

სქერქსეს ეს მარცხიც უნდა მოენელებინა და მთელი ღამე მეორე დღის საომარ ფიქრში გაატარა.

ხოლო მეორე დღეს მთელი ძალები დასძრა თერმოპილესაკენ.

ამღლევიანდელი სისხლისთხევაც კვლავ ბერძენთა გამარჯვებით დასრულდა.

მაშ, თერმოპილეს აღება სპარსელებს არ შესძლებიათ. იმ ვიწროებში ჩაკირულ ბერძენთა გამოდევნა შეუძლებელი ყოფილა.

მაშ, როგორ უნდა მოიქცეს დიდი სპარსეთის მბრძანებელი? ბანაკი ხომ არ უნდა აპყაროს და უკან გაბრუნდეს შერცხვენილი და თავლაფდასმული?

მაგრამ, არა, ნუ აჩქარდება მეფეთა მეფე! განა ოდესმე დაიღვევა ქვეყანაზე ქვეყნის გამცემი, მოლაღატე მშობელი მიწის, მშობელი კერის, მშობელი ხალხის?

იყო, არის და იქნება.

დალატი!

და ახლაც მოხდა სავსებით უბრალოდ: ერთმა ვიგინდარამ, ზარბმა, ანგარამა და შარახვეტია შარლატანმა დაღუპა ქვეყანა. ბერძენმა გაყიდა საბერძნეთი.

აკოთეოზი

„თუ მშვენიერი სიკვდილი არის სიკეთის ნიშანი, სწორედ ეს ხვედრი გვარგუნა ჩვენ ბედმა აუცდენელმა, ვიცავდით დედა-ელადის დიდებას, თავისუფლებას. ვწევართ და გვაგობს სახელი წმინდა და მარადუბრუნელი“.

ს ი მ თ ნ ი დ ე.

უკანასკნელ მარცხიან ღამეს ქსერქსესთან გამოცხადდა ვილაც ადგილობრივი ბერძენი, სახელად ეფილტე, რომელმაც, დიდბ საფასურის იმედით, მეფეს შესთავაზა სწორედ იმ

ბილიკის ჩვენება, საიდანაც შეიძლებოდა თერმოპილემში გამაგრებულ ბერძენთა ზურგიდან შემოვლა.

ალტაცებულმა ქსერქსემ ჰიდარნესი თავისი „უკვდავთა“ რაზმებით სასწრაფოდ გააყოლა ასე მოულოდნელ, „ცითმოვლენილ მხსნელს“.

მთელი ღამე მისდევდნენ სპარსელები თავის მეგზურს მთებსა და ღრეებში და დილის რიჟრაჟზე უკვე მიაღწიეს კალიდრომის უღელტეხილს, საიდანაც შეიძლებოდა უცებ დაშვება და თერმოპილედან უკანდასახევი გზის გადაჭრა.

მაგრამ არც სპარსელებმა და არც მათმა მეგზურმა არ იცოდნენ, რომ აქ ბილიკის ჩასაკეტად, ლეონიდეს ბრძანებით, აღრიდანვე იდგა ფოკიდელთა ათასეული.

მუხის ფოთოლთა შარიშურმა და ფიჩხის მსხვერვამ ფეხზე დააყენა ფოკიდელთა ბანაკი. იარაღი გამართეს და მტერთან შესახვედრად გაემზადნენ.

ჰიდარნესი გაჰკვირდა და შეშინდა. მის წინ საომრად გამზადებულნი სპარტელებად მიიჩნია და უკან გაბრუნებას აპირებდა. მაგრამ კვლავ „ისახელა“ თავი ეფიალტემ. მან სპარსელთა სარდალი დაარწმუნა, რომ მის წინ სპარტელები არ იდგნენ.

სპარსელები ისრის „ცეცხლით“ გადავიდნენ იერიშზე. ფოკიდელები მაშინვე აირივნენ და გაიფანტნენ. გაქცეულებმა იტას მთას მიაშურეს თავშესაფრად.

სპარსელებმა დევნაზე ხელი აიღეს და დაღმართზე დაემუნენ. მათ ღროზე უნდა მოესწროთ თერმოპილემზე ზურგიდან თავდასხმა, სანამ ფრონტიდან შეტევაზე გადმოვიდოდა თვითონ ქსერქსე.

დამარცხებულ და დაფანტულ ფოკიდელთაგან რამდენიმე კაცმა ლეონიდეს ბანაკამდე მიაღწია მოულოდნელი და საშინელი ამბით:

სპარსელები ზურგიდანაც უვლიან ბერძნებს!

ლეონიდემ სასწრაფოდ შეჰყარა სტრატეგოსთა საბჭო.

სასწრაფოდ უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ.

ბერძნებს ჭერ კიდევ აქვთ დრო თერმოპილედან უვნებლად გააღწიონ, სანამ სპარსელები მთიდან ეშვებიან და ხეობიდან გასასვლელის ჩაკეტვა ჭერაც არ მოუსწრიათ.

ვისაც დარჩენა არ სურს და არ შეუძლია, ახლავ დატოვონ
ბანაკი და რა გზითაც უნდა, თავს უშველოს.

ასეთი იყო ლეონიდეს წინადადება.

ხოლო, რაც შეეხება სპარტელებს, ისინი იქვე დარჩებიან,
საიდანაც აქამდე ფეხი არ მოუცვლიათ.

ამათ გარდა, უნდა დარჩენილიყვნენ, აგრეთვე, თებელი მე-
ომრები, რომლებიც ლეონიდეს თითქმის მძევლად ჰყავდა წა-
მოყვანილი.

თებელთა სათავეში იდგა მათი სტრატეგოსი **ლ ე ო ნ ტ ი ა -
დ ე**.

თავისი ნებით სპარტელთა მხარდამხარ საომრად დარჩენა
განაცხადეს მხოლოდ თესპიელებმა.

წინა ბრძოლებში ბერძნებმაც ხომ ნახეს ზარალი.

სამასი სპარტელიც ხომ უკვე აღარ იქნებოდა სამასი.

ასე, რომ ლეონიდეს ხელქვეით დარჩა დაახლოებით 1.200
ჰობლიტი.

დანარჩენმა ბერძენმა მოკავშირეებმა თერმოპილეს ხეობა
სასწრაფოდ დატოვეს და სამხრეთს მიაშურეს.

„ლეონიდე“ „ლომს“ ნიშნავს. პითიამ სპარტელებს უწინას-
წარმეტყველა, მტერი ან თვით სპარტას აიკლებს, ან მის ერთ-
ერთ მეფეს შეიწირავსო. მერე ისიც დაუმატა პითიამ, „ლომის
ძალა“ ვერ შეაკავებს მტრის ურიცხვ ძალებსო.

მაშ, ის მეფე, ვინც მტრის შემოსევას უნდა შესწირვოდა,
„ლომი“ — ლეონიდე უნდა ყოფილიყო.

ლეონიდემ იცოდა დელფოს ორაკულის „წინასწარმეტყვე-
ლევი“. იგი მდუმარე ღიმილით ისმენდა, როცა მას მოაგონებ-
დნენ ხოლმე პითიას ნათქვამს.

ახლა კი ძალით დატოვებულ თებელთაგან ვილაცას წას-
ცდა:

„ცოტანილა დავრჩით“!

ლეონიდემ ერთი გაჰხედა და სუსხიანად მოჰკრა:

„რიცხვის მიხედვით ბარბაროსთა წინააღმდეგ მთელი სა-
ბერძნეთიც კი მეტიხმეტად მცირეა, მაგრამ სიმძლავრის, სიმა-
მაცისა და საომარი ხელოვნების მიხედვით სამასი სპარტელიც
საკმარისია“.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ბერძენთა ბანაკში.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის უამმა დარეკა და მთავარსარდალს სიტყვა უნდა ეთქვა ჯარისთვის.

ლეონიდე ლაშქრის წინ აღიმართა, ბანაკს მზერა მოავლო. ყველა მას შესცქეროდა.

მეფე სპარტელებს დააშტერდა და ფოლადჩასხმული სიტყვით გამოაცხადა:

„ჩვენ ახლა აქ ვისაუზნებთ, ხოლო ჰადესში ვივანშმებთ!“
ესა სთქვა და მეტი არაფერი.

ასე მოკლე და მრავლისმთქმელი სიტყვით არასოდეს, არც ერთ სარდალს არ მიუმართავს თავის ლაშქრისთვის.

ჩვენ დღეს ვომობთ მხოლოდ ლამაზი, ვაჟკაცური სიკვდილისათვის; დილით აქ ვართ, მაგრამ საღამოს უკვე საიქიოში— ჰადესის საუფლოში ვიქნებით!

ისინი უნდა დახოცილიყვნენ, ხოლო თავისი სიკვდილით სამარადისოდ უკვდავ გმირებად ქცეულიყვნენ.

ბერძნებმა სასწრაფოდ ხელბირი დაიბანეს, თმაწვერი დავარცხნეს, გამოეწყვიტნენ და დამშვიდნენ. იარაღი გაიმზადეს და სასაუზმე ტრაპეზს მიუსხდნენ...

ქსერქსე დილით ადრე ადგა, ამომავალ მზეს მსხვერპლი შესწირა, ლოცვა აღავლინა და საომარი სამზადისი ბრძანა. იგი ბერძენთა ზურგში გადასული ჰიდარნესისაგან ნიშანს უცდიდა, რომ თვითონაც მაშინვე მთელის ფრონტით გადასულიყო შეტევაზე.

ბრძოლის დაწყებას დიდხანს აღარ დაჰგვიანებია, რადგან თვითონ ლეონიდემ დასძრა იერიშზე თავისი ჯარი.

ბერძენთა შემართებით გოაცებულმა ქსერქსემაც კონტრიერიში ბრძანა.

პირველი დაჯახებისთანავე ხოცვა-ჟლეტა არაადამიანური სისასტიკით აღუდდა.

ბერძნები იბრძოდნენ უკიდურესი თავზეხელაღებულობით, სიკისკასითა და საომარი ხელოვნების სიმშვენიერით.

აქილევსური სიბოზობრით იბრძოდა თვითონ ლეონიდე.

მიუმცდარი ხელით მოქნეული და ნაძგერები მახვილები-სა და შუბებისაგან ზედიზედ ეცემოდნენ სპარსელები. ახალ-ახალ საომარ ძალებს შოლტების ცემით მოერეკებოდნენ სპარსელი მეთაურები.



ბრძოლის ველი ბარბაროსთა გვამებით იხერგებოდა. ბევრი ბერძენთა მოწოლისაგან მუხლმოსხლეტილნი, ზღვის სანაპიროსადაცა რომ ჭაობებში ცვივოდა და იძირებოდა.

სპარსელთა არმიებს ბოლო მაინც არ უჩანდა. თეთრცხენებიან ეტლზე ამხედრებული ქსერქსე კვლავ ახალ-ახალ ათასეულებს აბამდა შემზარავ ხოცვა-ჟლეტაში.

სისხლით ატალახებულ მიწაზე ფეხი სხლტებოდა.

იარაღის თავბრუდამხვევი ქნევისაგან მკლავი იქანცებოდა და დუნდებოდა.

საჭურვლის სიმძიმისაგან მუხლი იკვეთებოდა.

განუწყვეტელი კაცთკვლისაგან გული ძრწუნდებოდა.

ხშირი ძვერებისაგან შუბები იმსხვრეოდა.

ბერძენები შუბის ნალეწებითა და ნამუსრევებით უტევდნენ მოპირდაპირს.

ხშირი ცემისაგან მახვილები ჩლუნგდებოდა.

ბერძენები ბლავგი მახვილებით ცემას არ წყვეტდნენ.

ვინც შუბისა და ხმლის ნამუსრევიც დაჰკარგა, მტერს ფარის ცემით უღებდა ბოლოს.

ვისაც ფარიც არ შერჩენოდა, მტერს ხელდახელ ეჭიდებოდა, ძირს სცემდა, მასთანვე ჩაჭდობილი ეცემოდა, შიშველი ხელებით ყელთ უჭერდა, ან კბილებით გლეჯდა.

სპარტელთა საარაკო გამირობით ფრთაშესხმულნი იბრძოდნენ თესპიელები.

გულარძნილად იქნევდნენ იარაღს თებელები.

მრავლად ეცემოდნენ სპარსელები, მაგრამ თხელდებოდა ბერძენთა რიგებიც.

სამასი სპარტელიც, დიდი ხანია, აღარ იყო სამასი,

და უცებ ჰომერულ საომარ გრუხუნ-გრიალში გაიზუზუნა შუბმა, რომელსაც აურაცხელ ისართა და შუბთა შორის ბედისწერისგან დაეწერა: „ლეონიდე“.

გმირის გულში შეიჭრა შუბი.

ლეონიდე მკვდარი დაეცა.

თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი შექანდა ოლიმპიელი მპყრობელის ხელში.

მკვდარი იყო ეპოპეის მთავარი გმირი.

თითქოს წამით შედგდა ომის მდინარება.

მაგრამ მხოლოდ წამით, რათა უარესი გახელებით შებზოდ-
ნენ ურთიერთს მხეცად ქცეული ადამიანები.

სპარტელები და სპარსელები საარაკო თავზეხელაღებულო-
ბით ებრძოდნენ ერთურთს ლეონიდეს გვამისათვის, — ეს ისე,
ვითარცა ოდესღაც აქველები და ტროელები ერთიმეორეს ზედ
აწყდებოდნენ ჭერ პატროკლეს, ხოლო შემდგომ აქილევის
ცხედრისათვის.

სპარტელებმა რკინისებური სალტე შეკრეს თავისი მეფის
გარშემო.

სპარსელთა გააფთრებული იერიშები ზედ ემსხვრეოდა იმ
სალტეს.

უკვე ზურგიდანაც გამოჩნდნენ სპარსელები.

ეს ჰიდარნესი მოდიოდა „უკვდავთა“ ჯარით.

ფოლადის მუშტად შეკრულმა ბერძნებმა ლეონიდეს ცხე-
დარი ასწიეს და მახლობელ ბორცვს მიაშურეს.

სპარსელები ყოველის მხრიდან აწვებოდნენ.

კიდევ ოთხჯერ უკუაქციეს ბერძნებმა სპარსელები და ბორ-
ცვზე ავიდნენ.

უიარაღოდ დარჩენილი უკანასკნელი გმირები ნირშეუც-
ვლენი ელოდნენ სიკვდილს.

სპარსელები ყოველის მხრიდან მშვილდისარგამართულნი
უახლოვდებოდნენ განწირულთ.

სპარტელებმა გვიან შენიშნეს, რომ მათ რიგებს ადრევე ჩა-
მოშორებიან თებელები. ისინი ახლა იარაღს ჰყრიდნენ და სპარ-
სელებს გასძახოდნენ: ჩვენ თებელები ვართ, ჩვენმა ქალაქმა
ხომ ადრევე აახლა „მიწა და წყალი“ სპარსეთის ხელმწიფეს;
სპარტელებმა ბრძოლაში ძალით წამოგვიყვანეს, ახლა გნებდე-
ბით და სიციცხლე გვაჩუქეთო.

სპარსელებმა ჭერ ვერ გაარკვიეს, რას გაჰყვიროდნენ თე-
ბელები და ამიტომ მათი ნაწილი შორიდან ისრის სროლით და-
ხოცეს, ხოლო, როცა შეიტყვეს, რაც სურდათ, ქსერქსემ მათ-
თან გაგზავნა მდაღავნი, რომლებმაც ყველა გადარჩენილ თე-
ბელს, პირველ რიგში მათ ბელადს ლეონტიადეს, ცხელი შან-
თებით სამეფო მონობის აღმნიშვნელი დამღები ამოსწვეს.

ღიადი ტრაგედიის უკანასკნელმა აკორდმა შეაზანზარა სა-
ბერძნეთი:



ყოველის მხრიდან წამოსულმა ისრის ღრუბლებმა „ცა და-
 აბნელეს“. ისრის მერეხი იმ ბორცვს დააცხრა, სადაც უკანას-
 კნელი გმირები გრილი ღიმილით პირდამშვენებულნი ელოდნენ
 სიკვდილს.

თერმოპილეს ბრძოლა დამთავრდა.

ომის ღმერთს შეეძლო მცირე ხნით ტკბილად ჩაეთვლიმა,
 უზომო სისხლით გაღეშელს.

გმინავდა თერმოპილე მტერ-მოყვარის გვამთა გროვებით
 დახერგილი და დამძიმებული.

იწვა 10.000 სპარსელი, მათ შორის ქსერქსეს ორი ძმა.

1.000 ბერძენიც ესვენა საომარ ველზე, — მათ შორის სა-
 მასი სპარტელი.

სამასი წმინდა, ღვთაებრივი გმირი.

მათ შორის აქილევისი სწორი ლეონიდე...

ქსერქსე ერთ ხანს გაშტერებით დასცქეროდა მის წინ გაწ-
 ვართულ ვაჟკაცს — სპარტელ ხელმწიფეს. მერე ავზნიანად
 დაიქნია ხელი.

ფოლადმა დაიჩახუნა.

ლეონიდეს თავი ტანს მოშორდა. ვილაცამ თმაში ხელი ჩას-
 ქიდა, გაიქნია და ზღვაში ისროლა.

ხოლო ტანი, ლეონიდეს უთავო ტანი, ქსერქსეს ბრძანებით
 ჯვარზე გალურსმეს...

სპარსელთა არმიები ნიაღვარივით მიედინებოდნენ შუა სა-
 ბერძნეთში.

უკან დარჩა თერმოპილე.

ვითარცა ავი დემონის ხელით ჩახსნილ-ჩაშლილი საკინძე
 საბერძნეთის მღელვარე მკერდზე.

მერე როცა სპარსელთა მხედრობის ნაკვალებნი მტვრად იქ-
 ცა, სპარტელებმა მოაკითხეს თავის დიდებულ თანამემამულე-
 თა ნეშთებს.

იმ ბორცვზე, სადაც უკანასკნელი სპარტელი გმირები დაე-
 ცნენ, ლეონიდეს სამახსოვრო აკლდამა გამართეს და ზედ ლო-
 მის ქანდაკი დადგეს. ეპიტაფიად ზედ ეწერა სიმონიდეს ლექსი:

„ნადირთა ზორის მი ვარ უმღლავრისი,
ხოლო კაცთ ზორის უმღლავრისია,
ვისაც მი თვითონ აქა ვდარაჯობ“.



მახლობლად, ერთ საერთო საქმო საფლავში ჩაასვენეს გმირ-
თა ნეშთები. საქმო ქვაზედაც სიმონიდეს ლექსი იყო ეპიტა-
ფიად:

„მგზავრვო, როს მოხვალ ლაკედემონს, აუწყე ყველას,
რომ ჩვენ, ერთგულნი ფიცის და ვალის, ამ განვისვენებთ“.

თავი მესამე

თერმოპილეს უმიღგომა

„...წინ, ჰელადის შვილნი
იხსენით სამშობლო,
ცოლნი და შვილნი,
ღმერთთა ტაძარნი,
მამათა საფლავნი!
ახლა ომია ყველაფრისათვის!“

ესქილე.

სპარსელები ჰელადის გულში

მაშ, სპარსელებმა თერმოპილე გაიარეს და შუა საბერძნეთში შეიჭრნენ.

ლოკრიდა უბრძოლველად ჩაბარდა ქსერქსეს. ბეოტიამ და დორიდამ ხომ აღრევე მისცა „მიწა და წყალი“ სპარსელ მბრძანებლებს.

სპარსელებმა სასტიკად ააოხრეს და აიკლეს ფოკიდის სოფლები და ქალაქები. მოსახლეობა, ვინც სიკვდილსა და მონობას გადაურჩა, დაიფანტა და დაიხიზნა. ხანძარმა ჩანთქა დიდებულის კულტურის ძეგლები.

მერე ქსერქსე გაეშურა დელფოსაკენ აპოლონის ტაძრის გასაძარცვად. დელფოელებმა, როგორც კი მძარცველთა ლაშქარი დალანდეს, ტაძრის უმდიდრესი საგანძურები პარნასის მღვიმეებში გადამალეს და თვითონაც მთებში გადაიხიზნენ. ტა-



ძარში მხოლოდ 60 კაცი დარჩა, მათ შორის აკტი, პიროვნებათა ჩამწერელი.

როგორც კი სპარსელები ტაძრისკენ მიმავალ ვიწრო და დამრეც გზებს შეუდგნენ, დელფოელებმა კლდე-ღრეებზე ქვალოდთა გორება დაიწყეს. ამას ზედ დაერთო საშინელი ქექა-ქუხილი და კოკისპირული თქეში. სპარსელები თავგზააბნეულნი და თავზარდაცემუნი დაქანდნენ უკან. აპოლონის ტაძარი გადაარჩა. ამფიკტიონები* ასეთ „სასწაულს“ ბარბაროსებზე აპოლონისა და ზევსის გარისხებას მიაწერდნენ.

სპარსელებმა გადაწვეს თესპია და პლატეა, რაკი აქაურები ქეშმარიტი მამულიშვილური თავგანწირვით ებრძოდნენ აზიელ დამპყრობლებს.

შემდეგ სპარსელები შეიჭრნენ ატიკაში. ქსერქსე გოაცებულის იყო, რომ ათენისაკენ მიმავალ გზაზე არავითარი წინააღმდეგობა არა ხვდებოდა. მან არ იცოდა, რომ თემისტოკლეს წინადადებითა და ხელმძღვანელობით ათენში დარჩენილი მოსახლეობა (ბრძოლისუნარიანი მოქალაქენი ხომ გემებზე იდგნენ მეომარ ეკიპაჟებად), ქალები, მოხუცნი და ბავშვები, სასწრაფოდ იქნენ ევაკუირებულნი. მათი უმრავლესობა გადასახლდა კუნძულ სალამინზე, დანარჩენები — ეგინაზე. ათენის აკროპოლისში დარჩა მხოლოდ რამდენიმე მოხუცი, რომელთაც გადაჭრით განაცხადეს უარი ქალაქიდან გასვლაზე.

სპარსელები ხმლის მოუქნევლად შევიდნენ დაცარიელებულ და დაღუმებულ ათენში. მხოლოდ აკროპოლისთან გაუწიეს წინააღმდეგობა იქ ჩაკეტილმა მოხუცმა ათენელებმა. ისინი უთანასწორო ბრძოლაში მტერს უსაზმნოდ შეაწყდნენ. სპარსელები აკროპოლისზე შეიჭრნენ, პართენონის ტაძარი გაძარცვეს, ააოხრეს და ცეცხლს მისცეს.

ხანძარი მთელს ქალაქს მოედო. კუნძულებზე გაფანტული ათენელები ხედავდნენ, როგორ იწვოდა მათი სამშობლო.

ქსერქსემ სუზაში შიკრიკი აფრინა, — ბერძენთა უპირველესი ქალაქის აღების ამბავს ატყობინებდა. სპარსეთის სატახტო აღტაცებულ ზეიმს მიეცა. ქუჩები მურტის რტოებით მოპფინეს, საკუროთხევლებზე თიმიაში აახრჩოლეს და ნადიმ-ღრეობანი გააჩაღეს.

კორინთოს ყელზე პელოპონესელები დიდ ციხესიმაგრეებს აგებდნენ და სახმელეთო ჯარებსაც აქვე უყრიდნენ თავს. მაგრამ მალე ისინი მიხვდნენ, რომ მათ ამნაირ შრომას არავითარი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. სპარსელებს სავსებით იოლად შეეძლოთ კორინთოს ყელისათვის აევლოთ და პელოპონესის სანაპიროებს ზღვიდან შესეოდნენ. დემარატი ასედაც ურჩევდა ქსერქსეს: ნულარ აყოვნებ, ფლოტიდან 200 გემი გამოჰყავი და სასწრაფოდ ლაკონიაზე საიერიშოდ გაგზავნეო. სპარტის იღბალი: ქსერქსემ ეს რჩევა არ მიიღო ფლოტის აღმირალის, აქემენის ჩაგონებით.

მაშ, შემდგომი საომარი ჭიდილის ბედი ზღვაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

ბერძენთა ფლოტი, დაახლოებით 360 გემი, ამ დროს სალამინის ვიწრო სრუტეში იდგა. ხოლო სპარსელთა 800 გემიანი ფლოტი ჯერ კიდევ არ გამოსცდენოდა ევზეის სანაპიროებს.

როცა სპარსელებმა შუა საბერძნეთი ააოხრეს და ათენი ცეცხლს მისცეს, ბერძენთა ფლოტის სარდლობაში არეულობა შეიქნა. საგანგებოდ შეყრილ სამხედრო საბჭოზე სტრატეგოსთა უმრავლესობა სალამინის სრუტიდან გასვლასა და ის თ მო ს ის ა კ ე ნ (კორინთოს ყელი) დახევის მოითხოვდა. მათ შორის ყველაზე აქტიური იყო კორინთელი სტრატეგოსი ადამანტოსი, რომელიც გაცხარებით ებრძოდა სრუტიდან გასვლის მთავარ მოწინააღმდეგეს, თემისტოკლე ათენელს.

კამათი დაწყებული არც კი იყო, რომ თემისტოკლე წამოვარდა და რიგის მოუტყდა დაიწყო სიტყვა. ადამანტოსი მას პირში ეცა და შესძახა:

„ვინც შეჯიბრებას დათქმულ დროზე ადრე დაიწყებს, იმას სცემენ“.

„ხოლო, ვინც აგვიანებს, ვერც ის მიიღებს გამარჯვებულის გვირგვინს“, მშვიდად უპასუხა თემისტოკლემ და სიტყვა განაგრძო.

ათენელმა სტრატეგოსმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ საბერძნეთის ყოფნა-არყოფნა მხოლოდ სალამინის სრუტეში უნდა გადაწყდეს. ბერძნებმა სპარსელები როგორმე სწორედ აქ

უნდა ჩაითრიონ გადამწყვეტ ბრძოლაში. აქ, სალამინის ვიწრო სრუტეში ბარბაროსები ვერ გაშლიან თავის უზარმაზარ ფლეთს და ვერ გამოიყენებენ რიცხობრივ უპირატესობას. ხოლო სრუტიდან გავლენ, გაშლილ ზღვაში ბერძნებს გარს შემოერთ-ყმიან და გაანადგურებენ.

მთავარსარდალი ევრიბიადეც თემისტოკლეს წინააღმდეგ გამოვიდა. კამათის დროს ფიცხმა თემისტოკლემ შეძლო წონასწორობა არ დაეკარგა, მაგრამ დინჯი სპარტელი ისე გაცხარდა, რომ ჯოხი აღმართა თემისტოკლეზე დასარტყმელად.

„დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ მშვიდად სთქვა ათენელმა. ევრიბიადემ უმწეოდ დაუშვა ხელი.

„სწორედ აქ, მხოლოდ აქ, სალამინის სრუტეში უნდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო!“ დაასრულა თემისტოკლემ.

„შე უბედურო, სადღა არის შენი სამშობლო?“ უცებ შეს-ძახა ადამანტოსმა.

ეს სწორედ მიტისმეტი იყო: კორინთელი აღტაცებას ვერ მალავდა, რომ ათენი, თემისტოკლეს სამშობლო, სპარსელებმა ააოხრეს.

„ათენელებს კიდევ დარჩათ სამშობლო, რომელიც კორინ-თოზე ძლიერია, ათენელთა ეს სამშობლო აი, ამ გემებზე დგას!“ მრისხანედ იქუხა თემისტოკლემ.

ამით იგი მიანიშნებდა იმ ორას გემზე, რომლებიც ათენე-ლების ეკიპაჟით იყო დატვირთული და რომელთა შეჭიდება არც ერთ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს არ შეეძლო.

ბოლოს თემისტოკლე მიუბრუნდა მთავარსარდალ ევრიბი-ადეს და შეუტყვეველი ტონით უთხრა:

„თუ შენ ფლოტს გაიყვან სრუტიდან და ისთომისისაკენ გა-ეშურები, შენ ამით დაჰლუპავ საბერძნეთსაც და შენსავე პა-ტივსაც, ჩვენ კი, ათენელები, ჩვენსავე გემებზე ავიყვანთ ჩვენს ცოლ-შვილს და ასე დედაბუდიანად გავეშურებით სიცილიაში, სადაც დავაარსებთ ახალ ქალაქს და დავიწყებთ ახალ ცხოვრე-ბას, ხოლო თქვენ გვიანლა ფუჭად გაგახსენდებათ თქვენი სი-ბრყივე“.

თემისტოკლეს სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბერძნებს ათენელთა გადაკარგვა ნაკლებად აწუხებდათ; მათ მხოლოდ იმისი ეშინოდათ, თუ 200 ათენური ხომალდი მოაყ-

ლდებოდათ, მაშინ მათ სპარსელთაგან უეჭველი განადგურება ელოდათ.

მეგარელები და ეგინელები თავიდანვე თემისტოკლეს შეტყუებულად მხარს. ხოლო ახლა, ათენელი სტრატეგოსის ძლიერი სიტყვის შემდგომ, სარდალთა საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა სრუტეში დარჩენა.

სტრატეგოსები ამ ერთმხრივი შეთანხმების აღსანიშნავად კუნძულზე გადავიდნენ და ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს. თან ეგინიდან გადმოასვენეს ქანდაკებანი სალამინის მკვიდრი ხელმწიფეების და საბერძნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების — ტელამონისა და აიაქსისა*.

მაგრამ, როცა სპარსელთა უზარმაზარი ფლოტი ევბეის სანაპიროებს გამოსცდა და სრუტეს სამხრეთიდან შემოეფინა, პელოპონესელმა სტრატეგოსებმა ისევ კატეგორიულად მოითხოვეს ისთომისისაკენ უკანდახევა.

მესამედ შეიყარა სამხედრო საბჭო.

საშინელი ბრძოლა ატყდა სტრატეგოსთა შორის. პელოპონესელები სრუტიდან გასვლას არ იშლიდნენ, ათენელები, მეგარელები და ეგინელები კვლავ დარჩენაზე იდგნენ.

თემისტოკლე მიხვდა, რომ სიტყვისა და ლოგიკის ძალით ახლა ვეღარას გახდებოდა, ამიტომ საერთო ორომტრიალიდან შეუქმნევლად გამოვიდა, სასწრაფოდ იხმო ერთგული მსახური ს ი კ ი ნ ე, თავისი შვილების მამამძღვე, და ღამით, ყველასაგან შეუქმნევლად, გაგზავნა... სპარსელთა ბანაკში! დიახ, სწორედ სპარსელთა ბანაკში. პირადად ქსერქსესთან!

თემისტოკლე უთვლიდა სპარსელთა ხელმწიფეს:

„ბერძნები ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან და სალამინის სრუტიდან გაქცევას აპირებენ. ამიტომ თუ ქსერქსეს სურს უეჭველი გამარჯვება, დაე დაუყოვნებლივ შეუკრას გზები გასაქცევად გამზადებულ ბერძნებს. თუ მეფე ასე მოიქცევა, მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდება: ბერძნები, რომელთაც უკვე სპარსეთის მორჩილება სურთ და ბერძნები, რომელთაც გაქცევა სურთ, ერთმანეთს დაერგვიან. თემისტოკლე ასეთ რჩევას იმიტომ იძლევა, რომ მას უკვე სპარსელების გამარჯვება სურს“.

ქსერქსეს ფლოტის სარდლებთან თათბირი ჰქონდა, როცა

მასთან სიკინე გამოცხადდა. თემისტოკლეს რჩევა მეფეს ყველად ეჭვემბარიტა და სალამინის სრუტეზე თავდასხმა უყუყუნილოდ გადაწყვიტა. მან არ დაუჯერა მის ბანაკში მყოფ ჰალკონასის დედოფალს არტემისიას და სასწრაფოდ საომარი სამზადისი ბრძანა.

სალამინის სრუტეში ბერძენთა ფლოტის ჩაკეტვა ღამით უნდა დამთავრებულიყო და დილით ორივე მხრიდან შეტევა დაწყებულიყო. მეფემ ფინიკიელთა ფლოტი გაგზავნა სრუტის დასავლეთით ჩასაკეტად, რათა აქედან ბერძნები არ გაქციულიყვნენ ისთმოსისაკენ. რჩეულ სპარსელ მეთმართა ჯარი გაიგზავნა კუნძულ ფსიტალიაზე, რომელიც სამხრეთიდან ჰკეტავდა სრუტეს. ფლოტის უდიდესი ნაწილი (ეგვიპტური, იონიური, კარიული და კილიკიური გემები) შევიდა სრუტეში და სამრიგად განლაგდა ატიკის გასწვრივ, სალამინის პირისპირ. მათ უკან, ატიკის ნაპირზე, განლაგდა სპარსელთა სახმელეთო არმია.

ბერძენი სტრატეგოსები ჯერ კიდევ ცხარედ კამათობდნენ, როცა თემისტოკლეს ეწვია ექსორიიდან დაბრუნებული არისტიდე.

არისტიდემ შეშფოთებით მიმართა თავის დიდ მეტოქეს:

„ნუთუ ვერ შეგიტყვიათ, თემისტოკლე, რა საშინელი ამბავი დაგტყდომიათ თავს?!“

„რა ამბავია?“

„თქვენ გარშემორტყმული ხართ ბარბაროსთაგან!“

„საიდან იცი?“ მოუთმენლად შესძახა თემისტოკლემ.

„მე ეგინიდან მოვიდიოდი და ჩემის თვალით ვნახე, როგორ მოვიდნენ მტრის გემები სრუტეში. ძლივს გამოვატანე და მაშინვე შენთან მოვაშურე“.

„ჩემო ძვირფასო მეგობარო!..“ აღტაცებით თავი ველარ შეიკავა თემისტოკლემ.

არისტიდემ გაოცება ძლივს დასძლია და „ძვირფას მეგობარს“ მშვიდად და მტკიცედ უთხრა:

„მე და შენ დიდხანს ვებრძოდით ერთმანეთს. ახლა ერთმანეთს ვემეტოქით ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის“.

„დაე, ასე იყოს! მადლობელი ვარ სასიხარულო ამბისათვის!“

„სასიხარულო?!“

„ჰო, ეს მე თვითონ...“

და თემისტოკლემ არისტიდეს უამბო, როგორც მოხდა პელოპონესელ სტრატეგოსთა „გაცურება“ და სპარსელთა „მოწვევა“ სალამინის სრუტეში.

მერე თემისტოკლემ არისტიდე შეიყვანა ჯერ კიდევ მოკამათე სტრატეგოსთა საკრებულოზე.

პელოპონესელებს არ უნდოდათ დაეჯერებინათ ეს მოულოდნელი ამბავი. მაგრამ სწორედ მაშინ გამოჩნდა კიდევ ახალი მოწმე: სპარსელებს გამოექცა და ბერძენთა ფლოტს შემოუერთდა ერთი ტენოსური ზომალდი, რომლის მეთაურმაც დაადასტურა ამბავი სპარსელთა დამეული შემოსევისა.

ახლა ბერძნებს, — ყველას, ვისაც სურდა და არ სურდა — ბრძოლა უნდა მიეღო იქ, სადაც დაჟინებით მოითხოვდა თემისტოკლე: სალამინის სრუტეში.

გათენდა 480 წლის 28 სექტემბერი. ერთიმეორის პირისპირ დგანან: ბერძნული ფლოტი 360 გემითა და 70.000 მეომარ-მეზღვაურით და სპარსელთა ფლოტი 800 გემითა და 150.000 მეომარ-მეზღვაურით.

ბერძენთა მარჯვენა ფლანგზე ევრიბიადეს მეთაურობით დგანან პელოპონესელები, კორინთელები, მეგარელები და ეგინელები, მარცხენა ფლანგზე განლაგდა ათენელთა 200 გემი თემისტოკლეს მეთაურობით.

ბერძნებმა ცენტრში, მოწინავე გემზე, ტელამონისა და აიქსის ქანდაკებანი აღმართეს.

თემისტოკლემ მგზნებარე სიტყვით მიმართა ფლოტს:

„წინ, ჰელადის შვილნო, იხსენით სამშობლო!“

„წინ სამშობლოსათვის!“ — დაიგრიალეს ბერძნებმა.

ბერძენთა ფლოტი პეანების —სამხედრო სიმღერების გუნდით დაიძრა მტრისკენ.

მაშინვე გამაყრუებელი ყიჟინითა და ღრიალით გაქანდა სპარსული ფლოტი.

ბერძნები მტრის ურიცხვი ძალების სწრაფი შემოტევით შემდრკალნი, მეთაურთა ბრძანების გარეშე, თითქმის ინსტინქტურად, უკუიქცნენ.

დიდად ივაჟკაცა ამინიოს ათენელმა, სახელოვანი

ესტილეს ძმამ, მან თავისი სპილენძისნიღრიანი ტრიერა გააქანა წინ გამოჭრილ ფინიკიურ ხომალდს გვერდიდან აძგერა, მჭყნაში გრია და დასძირა. თემისტოკლემ მძაფრ შეტევაზე გადაიყვანა ათენელები. გამხნევდნენ პელოპონესელებიც და მედგრად შეუტყეს მტრის მარცხენა ფლანგს.

ბრძოლა მთელ ფრონტზე გაჩაღდა.

თემისტოკლემ სავესებით დაამარცხა და გაჟვანტა ფინიკიელები და გამარჯვებულმა ფლანგიდან იერიში მიიტანა მტრის უნტრზე, სადაც იბრძოდნენ კვიპროსელები და კილიკიელები. ეს უკანასკნელნი ერთხანს მხნედ უმკლავდებოდნენ ათენელთა შემოტევას, მაგრამ როცა ბრძოლაში დაეცა მამაცი კილიკიელი მეფე სიენზენი, ისინიც დამარცხდნენ და რამდენიმე გემის დაკარგვის შემდეგ სულ დაიფანტნენ.

ამას მოჰყვა საშინელი არეულობა და ურთიერთ დაჯახება სპარსულ გემებს შორის. უკან, თადარიგში მდგარი ხომალდები ფრონტისკენ მიიწევდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ შებრუნებული, გაქცეული და გზააბნეული ხომალდები ეჯახებოდნენ და ერთმანეთზე გადადიოდნენ. მესაჭეები საჭეებს ველარ ერეოდნენ. ურთიერთჯახი და ურთიერთმსხვრევა დაუძლეველი ხდებოდა.

ბერძნები ათეცი მხნეობით უტევდნენ მტერს.

სპარსული ფლოტი ნადგურდებოდა.

ათენელთაგან დამარცხებული ფინიკიელი სარდლები ქსერქსესთან მივიდნენ და თავის მართლება დაიწყეს: ჩვენ ბრძოლა იმიტომ წავაგეთ, რომ იონიელები ლაჩრულად იბრძვიანო. ეს მაშინ, როცა ქსერქსე ხედავდა, რომ ერთადერთნი სწორედ იონიელები იყვნენ, რომლებიც ჯერჯერობით მედგრად ებრძოდნენ თანამომკმეებს. ამიტომ მეფემ ბრძანა და ფინიკიელ სარდლებს იქვე თავები დააყრევინეს.

ამასობაში თემისტოკლემ დამარცხებული შუაკერძიდან მტრის მარცხენა ფლანგისაკენ დასძირა ათენელები.

აქ მას მედგრად დაუხვდნენ იონიელები და კარიელები.

თემისტოკლემ თავისი ხომალდი გააქანა მეწინავე გემისაკენ, რომელზეც იდგა ამ ფლანგის მეთაური, ქსერქსეს ძმა არიბიგენე. თემისტოკლეს ხომალდს ისრებისა და სათხედების სეტყვა შეაგებეს. ისევ ამინიოსმა დროზე დააჯახა სპილენძის



ნიღრით თავისი ტრიერა არიზიგნეს გემს. დააჯახა და შეანგრია. სპარსელის გემმა დაძირვა იწყო. არიზიგნემ თავისიანებს შეუძახა და შუბგაწვართული გადაეშვა ამინიოსის ხომალდსკენ. ათენელებმა შუბები შეაგებეს და ყველანი განგმირეს. ხომალდის ნამსხვრევებთან ერთად მოტივტივე არიზიგნეს ცხედარი ჰალიკარნასის დედოფალმა არტემისიამ აიტაცა და ქსერქსეს სამძიმართან ერთად გაუგზავნა, არტემისიას სიმამაცით გაცეცხულმა ქსერქსემ იყვირა:

„ოდეს მამაკაცები დედაკაცებად იქცნენ, ხოლო დედაკაცები მამაკაცებად!“

სანამ ეს ამბები ხდებოდა, არისტიდე ჰოპლიტთა რაზმით კუნძულ ფსიტალეაზე შეჭრილიყო და სულ გაეწყვიტა იმდგარი სპარსელები.

სალამინის ბრძოლა დამთავრდა. ქსერქსეს 200 გემი და 50 000 მეზღვაური დაქანდა ზღვის ფსკერისაკენ. ბერძნებმა 40 ხომალდი დაჰკარგეს.

სალამინის შედეგები

„როდენი კუთებანი თავს ისხნეს ელენთა — ოდეს-იგი იძღუნებოდეს თემისტოკლეს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა ქსერქსის ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათვის, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრდელ იქმნა“.

გიორგი მესამე,
მეფეთა მეფე საქართველოსი

დამარცხებული სპარსეთის მეფე საბერძნეთიდან გარბოდა. თემისტოკლემ სთქვა: ახლა მე აზია ევროპაში უნდა დავიჭიროო. არისტიდემ კი დაარწმუნა: პირიქით, უნდა ეცადო, როგორმე აზია ევროპიდან სწრაფად გაიქცესო, თორემ ჩვენთვის ძალიან სახიფათო იქნება, თუ აზიას ევროპაში ჩაკეტვით თავგანწირულებამდე მივიყვანთო.

თემისტოკლემაც აღარ დააყოვნა და კვლავ აფრინა თავისი მსახური ქსერქსესთან: მეფეო, ბერძნები შენს შეპყრობეს არეზონ და სანამ მე მათ დავაბრკოლებ, თავს უშველეო. ხიზ-ნიფთაჲსა

ქსერქსემ საბერძნეთში 100.000-ანი სახმელეთო არმია დატოვა მარდონიოსის მეთაურობით. ხოლო თვითონ გადარჩენილი ზომალდებით ჰელესპონტისაკენ გაიქცა.

ჰელესპონტი საშინელი ქარტეხილით შეხვდა აზიის მბრძანებელს. სამეფო გემს ყოველ წუთში დალუპვა ელოდა. მესაქეს საჭე გადაემსხვრა აბობოქრებულ ზღვასთან ბრძოლაში. მაინც ივაჟკაცა მესაქემ: გატეხილი საჭით მიაყენა გემი აზიის სანაპიროს.

ქსერქსე გადავიდა და ფეხით მოსინჯა სიმკვრივე დედამიწისა. როცა დარწმუნდა, რომ ცხადად მიწაზე ედგა ფეხი, მესაქე იხმო, ჯერ ოქრო-ვერცხლში ყელამდე ჩასვა, მერე ჯვარზე გალურსმა.

„დავაჯილდოვე, როგორც ნამდვილი გმირი, ხოლო სიკვდილით დავსაჯე, როგორც გაუფრთხილებელი მესაქე!“ — დაასვენა მეფემ.

იმ დღეს სალამინის სრუტეშიც ბობოქრობდა ზღვა.

ტალღებმა დახოცილ სპარსელთა გვამები ატივის სანაპიროებზე გამოჰყარა. თითქმის ყველა მკვდარს ოქროს სამაჯური და ძვირფასთვლებიანი ყელსაბამი ჰქონდა.

თემისტოკლე მეგობრების თანხლებით ზღვისპირს მიჰყვებოდა. დახოცილებს ხმამალა ითვლიდნენ, ძვირფას ნივთებზე კი — უხმოდ, თავისთვის ხარბი დუმილით.

თემისტოკლე მის ფეხდაფეხ მომავალ მეგობარს სიხარბით აბოროტებულ თვალებში ჩააცქერდა, მერე გვამებზე აკიაფებულ ოქროზე ანიშნა და უთხრა:

„მიდი, აიღე, შენც ხომ თემისტოკლე არა ხარ“.

ცოცხლები მკვდრებს გახელებით მიცვივდნენ.

თემისტოკლემ ნაღვლიანად გაიცინა და გზა განაგრძო.

იგი თავისი დიდების მწვერვალზე იდგა. პატივმოყვარეობა თითქოს უნდა დასცხრომოდა. მას ხომ უპირველეს ჰელინს უწოდებდნენ; ჰელადის მხსნელად თვლიდნენ. როცა ისთმოსზე სალამინის ბრძოლის მოთავე სტრატეგოსები შეიკრიბნენ და ყვე-

ლაზე მამაცის დასასახელებლად ენჭი ჰყარეს, ყველა მათგან-
მა პირველ ადგილზე თავისი თავი დაასახელა, ხოლო მეორე
ადგილზე თემისტოკლე. ეს კი სწორედ ათენელი სტრატეგოსის
შტყუარი პირველობის აღიარებაზე მეტყველებდა.

თემისტოკლე უცხოელთაგან ერთადერთი იყო, რომელიც
სპარტაში მიიწვიეს და მანამდე გაუგონარი პატივი მიაგეს: თავ-
ზე ზეთისხილის გვირგვინი დაადგეს, საუკეთესო ეტლი უძლ-
ვნეს და კორინთომდე ამაღად სამასი ახალგაზრდა სპარტელი
აასლეს ფლეიტებისა და საომარი ემბატერიების გრიალით.

როცა თემისტოკლე ოლიმპიადაზე შევიდა, ხალხი ფეხზე
წამოიშალა და აღტაცებული შეძახილებით მიესალმა მას.

„აი ის, ჰელადის მხსნელი!“ ისმოდა განუწყვეტლივ. ყვე-
ლა მას შესცქეროდა: ოლიმპიური სანახაობანი ყველას დაა-
ვიწყა ჭეშმარიტი ოლიმპიელის ხილვამ.

თემისტოკლე არ ცხრებოდა. იგი შეუდგა ათენის გარშემო
ძლიერი თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობას. სალამინის
პირდაპირ მდებარე პირეესი მთელს საბერძნეთში უპირველეს
ნავსადგურად გადააქცია, ხელახლა აღაშენა, განამტკიცა და გა-
ამშვენიერა. ათენი და პირეესი ერთიან საზღვაო-სახმელეთო
სტრატეგიულ ანსამბლად იქცნენ.

დიდების მწვერვალზე მდგარი გმირი თავს მაინც უბედუ-
რად გრძნობდა. ხშირად ნაღვლიანი სიცილით იტყოდა კი-
დეც:

„ჩემზე ტყუილად ამბობენ, თითქოს პირველი ვიყო მთელს
ჰელადაში. სინამდვილეში ყველაზე დიდი ადამიანი არის ჩემი
უქნარა ვაჟი, რომელიც ყოველთვის ახერხებს იმის გაკეთე-
ბას, რაც მას მოეპრიანება. ამას იგი აღწევს დედამისის საშუ-
ალებით ჩემზე ზემოქმედებით. ასე რომ: ჰელადაზე ბატონობენ
ათენელები, ათენელებზე — თემისტოკლე, თემისტოკლეზე —
მისი ცოლი, ხოლო ცოლზე — მათი ვაჟი“.

კაპრიზი ცოლი და უქნარა შვილი კიდევ არ იყო ყველა
უბედურების მიზეზი. თემისტოკლე გრძნობდა, რა სწრაფად
უახლოვდებოდა მას ყოველ დიდ დამსახურებათა დიდი მტე-
რი — უმადურობა. მისი მხედრული გვირგვინები ხუნდებოდ-
ნენ და უფერულდებოდნენ. მისი მოწინააღმდეგენი ათასნაირ
ცილისწამებას თხზავდნენ და ქვებუდან ხლართებს ხვანჯავ-

დნენ, ალალ მამულიშვილობას არმად უთვლიდნენ და მადლად ნაქმნარს მატლად უქცევდნენ.

გულაკვნესებულ გმირს ხშირად ახსენდებოდა მამის ნახევარი: ომის შემდგომ ხალხი თავის ბელადს ისე ექცევა, ვითარცა დამპალ ხომალდებსო. ახლა თვითონაც ამბობდა:

„ათენელები მე ისე მექცევიან, ვითარცა ჭადარს: ქარიშხალია — თავს მაფარებენ, კარგი დარია — ტოტებს მამსხვრევენ“.

მაგრამ მარტო ტოტები როდი იკმარეს. ყველაზე დიდნაყოფიერ ხეს ფესვებიანად ამოგდებაც დაუპირეს. თემისტოკლე სამართალში მისცეს. მას ბრალს სდებდნენ განუზომელ პატივმოყვარეობაში, ბრალს სდებდნენ ანგარებაში, ბრალს სდებდნენ იმაშიც, რომ მან ათენელებს „ხელიდან მახვილი გამოჰკლიჯა და სამაგიეროდ ხის ნიჩაბი შეაჩეჩა“ (მაშ, ეს უდიდესი მამულიშვილური საქმეც — ფლოტის აგება და ათენის უპირველეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევა — დანაშაულად ჩაუთვალეს!).

ათენელებმა თემისტოკლეს ოსტრაკისმო მოუწყვეს და სამშობლოდან გააძევეს.

ლტოლვილი ჯერ არგოსს აფარებდა თავს, მერე ეპირს, შემდგომ მოლოსების მეფეს. ბოლოს, რაკი საბერძნეთის მხსნელისათვის საბერძნეთში ადგილი აღარ მოიძებნა, ის წავიდა... წავიდა სპარსეთში.

აი, ახლა თემისტოკლე არტაქსერქსეს წინაშე იდგა (მაშინ სპარსეთში ახალი მეფე იჯდა — არტაქსერქსე).

რამდენჯერ უნატრია სპარსეთის აგვულა მეფეს თემისტოკლეს სისხლის დაღევა! ახლა იგი წინ უდგას მისი სისხლითაც, ხორცითაც და... თავითაც. დიახ, თემისტოკლეს გასაოცრად ნიჭიერი თავი.

არტაქსერქსემ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოექცეს თემისტოკლეს დიდებულ თავს: გაახმოს, თუ გამოიყენოს?

და იმ დღეს არტაქსერქსე ძალიან ჭკვიანი ყოფილა. მას შეუცვნია თემისტოკლეს ფასი. იგი მიხვდა, რა ბასრი იარაღი გადმოუგდო მისმა მოსისხლე საბერძნეთმა, — თვითონ წელიდან აიხსნა და მას, არტაქსერქსეს, საბერძნეთის ყველაზე დიდ მტერს, თავის ხელითვე გადმოუგდო!..

მალე თემისტოკლე არტაქსერქსეს უახლოესი მრჩეველი და მეგობარი შეიქნა. მეფემ მას სამმართველოდ გადასცა რამდენიმე მცირეაზიული ქალაქი, მათ შორის ყველაზე დიდი — მაგნეზია.

თემისტოკლემ ქალაქი მაგნეზია არნახულად აღამაღლა, აღაშენა და გაამშვენებია.

წლები მიდიოდა. თემისტოკლე დიდ პატივში ცხოვრობდა. მაინც უნებურად უკვენსოდა გული სამშობლოდაკარგულ კაცს. ნუთუ, საბოლოოდ გასწირეს იგი ათენელებმა?!

ნუთუ, მართლა აღარ არის იგი საჭირო ათენისათვის, სულ აღარ არის საჭირო?!

ნუთუ, არასოდეს აღარ მოაკითხავენ?!

არა, მოაკითხეს, დასჭირდათ და მოაკითხეს.

თემისტოკლესთან ათენელი ელჩები მივიდნენ, სახელმწიფოს სახელით ბოდიში მოუხადეს და სამშობლოში დაბრუნება თხოვეს.

თემისტოკლე შეარყია ასეთმა წვევამ.

მაშ, იგი ჯერ კიდევ საჭირო ყოფილა სამშობლოსათვის!

„მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მე ათენში უნდა დავბრუნდე!“

„ჰო, ჰო, უნდა დაბრუნდე, შენ იქ ისევ გელოდება უმაღლესი ხელისუფლება!“ ერთბაშად მიახალეს.

უმაღლესი ხელისუფლება!

რამდენი ღამე გაუტეხია თემისტოკლეს ამ საოცარი ქიშკრისათვის!

და ახლა ისევ სთავაზობენ!

დიდხანს ფიქრობდა გმირი.

მაგრამ უმადურობა?

ბოლმამ შეკრა და შებოჭა მისი სხეული.

უმადურობა უნდა დაისაჯოს, უნდა დაისაჯოს!

იგი ელჩებს მიუბრუნდა და მკაცრად სთქვა:

„მე არაფერი მწამს იმ ხალხის, რომელიც ერთსა და იმავე ჭურჭელს ღვინის სასმელადაც იყენებს და შარდის ჩასაქცევადაც“.

ეს იყო და ეს.

პირზე ლაფშესხმული ათენელები უკან ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

მაშ, თემისტოკლემ საბოლოოდ თქვა უარი სამშობლოში დაბრუნებაზე და საბერძნეთიც უნდა ელოდეს შურისმგებლობას მისგანვე განდევნილი დიდი შვილისგან.

ეს დღეც დადგა. მოვიდა არტაქსერქსეს ბრძანება:

თემისტოკლემ უნდა უსარდლოს საგანგებოდ გამზადებულ დიდ ფლოტს და დაუყოვნებლივ დაიძრას საბერძნეთის წინააღმდეგ!

თემისტოკლემ სპარსეთის მეფის ბრძანება მშვიდად მოისმინა. მერე მეგობრები და ახლობლები იხმო სანადიმოდ. ძალიან მხიარული, ხალისიანი და ალერსიანი იყო. მშვენიერი, საამური სიტყვებით ესიტყვებოდა ყველას; ბოლოს ყველას ხელი ჩამოართვა, ზოგიერთს კიდევ გადაეხვია და მსხვერპლის საზორველად გავიდა.

საზორველი ხარი დაკლა. სისხლს დაეწაფა.

დიდხანს სვამდა. ფეხზე აღარ წამომდგარა.

მოკვდა.

სამშობლოდან გაძევებულმა სამშობლოს წინააღმდეგ იარაღის აღმართვას საკუთარი სიკვდილი ამჯობინა...

მაგრამ თემისტოკლეს აღსასრულამდე საბერძნეთში დიდი ამბები დატრიალდა.

სალამინის ბრძოლის მომდევნო 479 წელს ბერძნებმა ორჯერ კვლავ სასტიკად დაამარცხეს სპარსელები: ხმელეთზე — ქალაქ პლატეასთან და ზღვაზე — მიკალეს კონცხთან.

ამის შემდგომ კიდევ მოხდა რამდენიმე დიდი და მცირე ბრძოლა, რაიც ისევ და ისევ სპარსელთა მარცხით დაბოლოვდა.

449 წელს სპარსელებმა ზავი ითხოვეს. დაიდო კიდევ. ზავის მიხედვით სპარსეთმა თავი დამარცხებულად სცნო. მცირეაზიული იონიური საბერძნეთი ბარბაროსული უღლისაგან გათავისუფლდა. დიდი საზღვაო გზები და ბაზრები მთლიანად პელინურ-ბერძნულ სამყაროში მოექცა.

ჰელადა კლასიკური აყვავების მწვერვალზე იდგა.

გამოხდა ხანი.

საბერძნეთის სიმძლავრე შინაგანმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ტკივილებმა შეარყია. ორი ბერძნული ბანაკი შეეხა ერთმანეთს: დელოსის კავშირი და პელოპონესის კავშირი. პირველს ათენი უდგა სათავეში, მეორეს სპარტა. ეს იყო ე. წ. „პელოპონესის ომი“, რომელიც 27 წელი (ძვ. წ. 431—404) გაგრძელდა.

უსასტიკესმა ძმათაშორისმა ხოცვა-ჟლეტამ პელინური სამყარო სიმძლავრისა და სიდიადის მწვერვალიდან დაღუპვის უფსკრულისაკენ დააქანა. ქვეყანა გაპარტახდა ეკონომიურად, დაძაბუნდა ფიზიკურად, მოიშალა სულიერად.

ასე დადგა მე-5-4 საუკუნეთა შესაყარში „პანელინური“ (საყოველთაო ბერძნული) კრიზისი.

სწორედ ასეთ დროს უცდიდა სპარსეთი. იგი სარევანშო ნახტომისთვის ემზადებოდა. საბერძნეთის დღეები კატასტროფული სისწრაფით ითვლებოდა. ბერძენი პროგრესისტები თავს იმტკრევდნენ ქვეყნის დასახსნელ გზათა ძიებაში.

ასეთი გზაც მოინახა: საბერძნეთის გადარჩენა შეეძლო ახლად გამძლავბრეულ მეზობელ მაკედონიასთან შეერთებას. ასე გაჩნდა „მაკედონური პარტია“ ათენში. იგი მაკედონიასთან დაუყოვნებლივ გაერთიანებას მოითხოვდა.

იყო „ანტიმაკედონური პარტიაც“, რომელსაც სათავეში ედგა სახელგანთქმული ორატორი და პოლიტიკოსი დემოსთენე. დემოსთენე ამტკიცებდა, რომ მაკედონიასთან გაერთიანება კისრად მხოლოდ მაკედონურ უღელს დაგვადგამსო.

მაგრამ დემოსთენესაც არ შეეძლო ისტორიის გიგანტური ჩარხის შებრუნება. სწორედ ისტორიის ლოგიკამ თავისი გაიტანა:

ქრისტეს დაბადებამდე 338 წელს საბერძნეთი მაკედონიას შეუერთდა.

ბერძენი ხალხი დედაბუდიანად ამოგდებასა და გადაშენებას გადარჩა.

გადარჩა — უღელში შებმული...

სამასი არაგველი

თავი პირველი

კრწანისამდე

„აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამწვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!“

გრიგოლ ორბელიანი

ორი რეალობა

ქრისტეს დაბადებიდან დგას 1789 წელი.

ქართლ-კახეთის მეფედ ჯერ ისევ არის იმდროინდელ აღმოსავლეთ ხელმწიფეთ შორის უპირველესი — ერეკლე მეორე, პატარა კახად წოდებული. მის ხელთაა მრავალი დიდი და მცირე გამარჯვება; ქართველთაგან მრავალგზის ძლეულ არიან მათი მიწყივ-მოსისხარნი: თურქნი, ლეკნი, ირანელნი. მარცხნა-ჭამი არიან: მაჰმად-ხანი, ფანა-ხანი, ახატ-ხანი, ომარ-ხანი, მა-

ლაჩ-ბეგი, აბდულა-ბეგი, ყოჯახ-ბეგი, ჰაჯი-ბეგი, ნურსალ-ბეგი.

რად ღირს მართო ასპინძის ბრძოლა

სწორედ ასპინძის გმირი არის ის საიმედო და საფიცარო სახალხო კერპი, რომელმაც სრულიად კავკასიის საქრისტიანო, ქართულ-სომხური სამყარო, უნდა დაიხსნას გათათრებისგან, ეროვნული გადაგვარებისგან.

ერეკლეს მოიმედენი არიან არაქრისტიანებიც, მისი ყმადნაფიცი მუსლიმანური ხალხები — განჯელები, ყარაბაღელები, შირვანელები, რომელთაც კვლავაც მოელით შთანთქმა ირანელ-სპარსელთაგან.

ყველაფერ ამასთან ერთად არის დიდი იმედი ჩრდილოეთიდან, „ერთმორწმუნე რუსეთიდან“; უკვე მეშვიდე წელი არსებობს „ტრაქტატი“ რუსთაგან ქართლ-კახეთის მფარველობისა.

ყოველივე ეს არსებობს — საოცარი პატარა კახის ორმოცწლოვანი ნაომარი და ნამოღვაწარი. მაგრამ ამ დიდი და საიმედო სინამდვილის პირისპირ მაინც არსებობს არანაკლები (თუ უფრო ძლიერი არა) ძალისა და ქართველთათვის სამომავლოდ საშიში მეორე რეალურობა.

ჯერ ერთი, არ არის არამცთუ ერთიანობა სრულიად საქართველოსა, არამედ თვით ქართლ-კახეთის სამეფოშიც არ არსებობს მტკიცე შინაგანი მთლიანობა. ჯერ ისევ ცოცხლობს შხამიანი შეფასება უანგარო მამულიშვილისადმი: ირაკლი მამა კახეთისა და მამინაცვალი ქართლისა. გულზვიადი ერისთავებიც ხშირად თავის ხელმწიფეს „მეფეს“ როდი უწოდებენ, არამედ უბრალოდ, „კახთ-ბატონად“ მოიხსენიებენ.

თვითონ ერეკლეს ოჯახური მრგალნაყოფიერება* ქვეყნის

* ერეკლე სამჯერ იყო ნაქორწინევი. პირველ ცოლად ჰყავდა ქეთევანი, ვახტანგ ორბელიანის ასული, რომლისგანაც ჰყავდა სამი შვილი: რუსუდანი, ვახტანგი და სახელით უცნობი ბავშვი (სამივე ადრე დაიხოცა). მეფის მეორე ცოლი იყო ზაალ აბაშიძის ასული ანა, რომლისგანაც შეეძინა გიორგი და თამარი (ცოლი სარდლისა და სახლთუხუცესის დავით ორბელიანისა). ერეკლე მესამედ დაქორწინდა დარეჯანზე, ოტია დადიანის ასულზე, რომელმაც მეფეს გაუჩინა კიდევ ცხრაშვილი შვილი: ელენე (ცოლი იმერთა მეფის ძის, არჩილისა), მარიაში (ცოლი თბილისის მოურავის დავით ციციშვილისა), ლევანი, სოფიო (ადრე გარდაიცვალა), იულონი, სალომე (ადრე გარდაიცვალა), ვახტანგი (ალმასხანი), თეიმურაზი, სოსლან-დავითი

შინაგანი დაქსაქსულობის ხელშემწყობი შექმნილა. ადრე დაი-
ლუბა ლევან ბატონიშვილი, მრავალრიცხოვან უფლისწულთა-
გან უმამაცესი, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი, ვისაც მშენებელი
ედლო ჭეშმარიტი ერეკლეობა გაეწია მრავალთა შორის თითქ-
მის ყოველთვის მარტოდმყოფი ერეკლესათვის. დანარჩენი შვი-
ლნი-მემკვიდრენი, თითქმის ყველანი, ერთნაირად არიან სა-
შუალონი; თითქოს იმათშიც ჟამიდან ჟამზე იეღვებენ ნაპერწ-
კალნი მამისეული სიქველისა და სივაჟაკისა, მაგრამ უმეტეს
წილად ისევ და ისევ არიან მონანი დედისეული ეგოიზმისა, პა-
ტივმოყვარეობისა, მოშურნეობისა და გულწვიადობისა. ყოვე-
ლი მათგანი ცალკეულად საუფლისწულო-საბატონოს მოით-
ხოვს, განცალკევებისაკენ, კარჩაკეტილობისაკენ მიილტვიან და
ამით ისედაც ცალფეხზე მდგარ ერთიან სამამულიშვილო იდეას
ძირს უთხრიან. მხოლოდ უფროსი ტახტის მემკვიდრის, გიორ-
გის ძენი, დავითი და იოანე იძლევიან იმედებს.

ერთი სიტყვით, ბრძოლის ველზე ხელშეუვალ გმირს ჟამსა
სიბერისასა საკუთარი ოჯახის მოვლა გასჭირვებია. საქმეთა სა-
მამაცოთა უკვე სჯაბნიან საქმენი სადიაცონი. დარეჯან დედო-
ფალი თავის გერს, უფროს უფლისწულს გიორგის, ტახტის მე-
მკვიდრეობის წართმევას უპირებს და თავისი ღვიძლი შვილები-
სათვის მთელი ქართლ-კახეთის მიწა-წყლის დარიგება-დანაწი-
ლებაზე ოცნებობს.

ეს შინაოჯახური აშლილობა დილაღაც ხელს შეუშლიდა ყო-
ველთა საქვეყნო საქმეთა წალმართიანად განსრულებას.

მოლაღატენი მოიძებნებიან შინაურობაშიც და გაშინაუ-
რებულ უცხოელებშიც. ლალატს არ იშლიან ქსნისა და არაგ-
ვის ერისთავები. კვლავ გრძელდება ფეოდალური დროისათვის
დამახასიათებელი „აღმა ხენა და დაღმა ფარცხვა“. ქვეყანა არ-
ის ჩამორჩენილი ეკონომიურად, მოშლილი სულიერად, სისხლ-
დაწრეტილი ფიზიკურად.

ერეკლესაგან დამარცხებული არიან, მაგრამ მაინც მძლავ-
რობენ თურქ-ოსმალნი, ლეკი-აბრავნი, ყიზილბაშ-ერანელნი და
მომთაბარე-ქოჩად მავალი ელნი-თარაქამელნი.

(ადრე გარდაიცვალა), ასლამაზ-ხანი, ალექსანდრე, არჩილი (ადრე გარდაი-
ცვალა), ქეთევანი (ცოლი იოანე მუხრან-ბატონისა), ფარნაოზი, თეკლა, ლუ-
არსაზი, მირიანი, ხორეშანი, ანასტასია.

ჩრდილოეთიდან დიდი იმედიც არსებობს და უიმედობაც. თეთრი მთავრობა, რუსეთის, სპარსეთისა და თურქეთის აღმდგეობათა კავკასიურ გზაკვანძზე ჯერჯერობით ყველაფერს მხოლოდ თავის ინტერესთა თარგზე ზომავს. ხოლო „პრაქტიკული დახმარებიდან“ ერეკლემ ჯერჯერობით ის იცის, რომ რუსთა კორპუსის უფროსი, გენერალი ტოტლებენი, ტომით გონებაბრჯგუ და გულდრკუ გერმანელი, აწყურის ციხესთან მოკავშირე ქართველთა ჯარს მოლალატურად გამოეთიშა და საშინელი მტრის ხახასთან მარტოდ დააგდო.

ასპინძის ბრძოლა ახალი გამირული დიდებით ამკობს ქართულ დროშებს; უძლეველი ქრისტიანი ხელმწიფის სახელიც მთელს მსოფლიოში ჰქუხს, მაგრამ მაინც მის სატახტოში, მის სასახლეს და შემოგარენს, იმ სასახლეზე უმაღლესი მინარეთიდან ყოველ დილით თავს დაჰკვივის მოლა-თათარი.

თოფის გასროლა სასახლის აივნებიდან

მაშ, 1789 წლის ზაფხული იდგა.

და დილით ადრე თბილისის სასახლის აივანზე თოფმა დაიგრიალა.

მინარეთიდან მოლა მოწყდა, გადმოეშვა და სასახლის მოედანზე მოგებულ ქვაფენილს დაასკდა.

თოფის ხმამ სასახლე შეარყია. სამეფო სახლი წამოიშალა. მოედანზე შეყრილი ხალხი პირველად თითქოს ახლა მიხვდა, რომ მის ყურთასმენას სწორედ ეს უსიამო, გაბმულ-გამკივანი ხმა აწუხებდა და ახლა თითქოს ყურმაც დაისვენა და გულიც დაწყნარდა.

ერეკლე აივანზე გამოიჭრა და, როგორც კი მოლის სიკვდილი მოახსენეს, გაჯავრებულმა მაშინვე მკვლელი მოიკითხა, ქებნაც არ დასჭირვებია. იქვე, მის გვერდით, აივანზე, ახლადდაცლილი და ბოლავარდნილი თოფით ხელში იდგა მისი სიძე არჩილი, იმ ღამით ქუთაისიდან სტუმრად გადმოსული.

არჩილი გაჯავრებულ სიმამრს თვალეში მშვიდად უცქერდა და კმაყოფილ სახეზე დინჯი ღიმილი დასთამაშებდა. ეტყობოდა, მისთვის სავსებით უცნაური იყო ერეკლეს შემწყნარებ-



ლობა ყურანისადმი ქრისტიანთა დიდ სასტახტო ქალაქში, სა-
დაც დგას სიონი, ქართველთა პასტოფორიონი — ტაძარი სანქტ-სპირიტის
უფო, რომელშიც ეამი ქართულ-ქრისტიანულად შეიწირვოდა.

ერეკლეს სიძე ისედაც არ მოსწონდა. სამისო მიზეზებიც
ჰქონდა.

არჩილი იმერეთის მეფის სოლომონ პირველის უმცროსი
ძმა იყო. როცა სოლომონი მოკვდა (1784 წ.), იმერეთის მეფობა
ხელთ იგდო სოლომონის ბიძის ძემ, დავითმა. არჩილსა და მის
მეუღლეს, ერეკლეს ასულს ელენეს, აგრეთვე ვაჟი ჰყავდათ,
ისიც სახელად დავითი. ერეკლეს სურდა, იმერეთის ტახტ-გვირ-
გვინი მის შვილისშვილს სჭეროდა, მაგრამ სურვილი აქამდე არ
აღესრულა და ამის მიზეზად იგი არჩილის უმოქმედობასა და
უუნარობას თვლიდა. ამას გარდა, არჩილი აუტანლად სძაგდა
დარეჯან დედოფალს, ხოლო ეს სავესებით საკმარისი იყო, მე-
ფეს თავისი სიძისათვის ამრეზილად ეცქირნა.

სამაგიეროდ, არჩილი ძალიან უყვარდა უფლისწულ გიორ-
გის. ეს სიყვარული თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებდა და-
რეჯანის მტრობას გიორგისადმი. ბოლოს და ბოლოს, ერეკლემ
უფროს ვაჟს კიდევაც აუკრძალა არჩილთან შეხვედრა. მაგრამ
წინა ღამით, სტუმრად ჩამოსვლისთანავე, სიძე-ცოლისძმა ერთ-
მანეთს მაინც შეხვდნენ.

ახლა კი, სწორედ ახლა, გიორგი აივანზე ამოდის, არჩილ-
თან მხიარული სახით მიდის, მხარზე ხელს ჰხვევს და შიზან-
მოუმცდარ სროლასა და ვაჟკაცობას უქებს. მოლასა და ყურა-
ნის გაძევება ჩვენ, აქაურებს ვერ მოგვიგონებია და იმერეთი-
დან გადმოსულმა კაცმა გაგვახსენაო.

გიორგიმ ასეთი გაბედულების გამოჩენა ძალიან იშვიათად
იცის. ის ყველაფრისადმი გულგრილია და უინტერესო. მისი
საზრუნავი არის მხოლოდ ჭამა, ლოცვა და ნებივრობა, უყვარს
თეთრი, გამტკიცული ფქვილით ნაცხობი დედას-პურები, კვლი-
ავით შემზადებული ქათმები, ცხვრის მწვადები, აფხაზურად
შეკაზმული ძროხის ხორცი და მისთვის ყველაზე ძვირფასი
ულუფა — ერთწლიანი ან მცირედ მოდიდო ზაჭი. „მთელს ზაჭ-
სა სკამსო“, — ამბობენ მასზე. ღვინოსაც მუდამ საგანგებოდ
დაყენებულს მიირთმევს — ყოველდღიურად ერთი ჩარეკი წი-
თელი ზოდამწერი ან ყვარლური.

უხვმა სმა-ჭამამ ახოვანი და მოხდენილი ვაჟკაცი ორმოცე
წლის ასაკიდან ძალიან გაასუქა, გაასქელა და დაამძიმა. ფეხები
ძლივს დადის, ცხენზედაც უჭირს ზორბა ტანის ატანა. რაც
ჭამასა და ძილს მორჩება, ერთთავად სულ ლოცულობს. ერთი
ოთახი სულ ხატებით აქვს სავსე; ჩამოუვლის და ყველას ჩაპ-
კონის; რომელსაც ვერ მიწვდება, ჯოხს მიადებს და მისი მეშ-
ვეობით „ჰკოცნის“. არ უყვარს არცა ნადირობა, არცა ჯირი-
თობა და ასპარეზობა, არც მწიგნობრობის იწამა რამე. ძლივს
გაუძლო თავისი ძმის ანტონ კათალიკოსის ორიოდ ლექციას,
მერე ხელი ჩაიჭნია და შესძახა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალ-
სა“.

ადრე უფრო ვაჟკაცი იყო „ზაქიჰამია“. განა ის არ იყო,
ლალატის გზაზე შემდგარ ტოტლებენს რომ მიეჭრა აწყურის
ციხესთან, მიეჭრა და შესძახა:

„ღენერალო, სირცხვილია ამისთანა დროს ლალატი მეფისა“.

„არა მაქვს ბრძანება იმპერატორისა, რომ შევება ჯარითა
ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“, — უპასუხა
ტოტლებენმა.

„მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთის ჯარსა და უტებ სა-
ხელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქნება, ჩვენ შევებ-
მით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცას შენს სიმ-
ხდალესა“.

იქნებ გაცხარებულ უფლისწულს, მამა რომ არ შემოს-
წრებოდა, სილაც ეთავაზებინა რეგენი გენერლისათვის.

ახლაც მისდათავად გვარიანი გაბედულებაა, განრისხებუ-
ლი მამის წინაშე „მეტიჩარა იმერელის“ მხარე დაიჭიროს და
ასეთი თავგასული უსაქციელობაც მოუწონოს.

„აფერუმ, სცა თოფი და ჩამოაგდო!“ შესძახა გიორგიმ.

ერეკლე უბრად შებრუნდა და სადიაცოს მიაშურა. გიორ-
გიმ იცოდა, იქიდან მალე მკვაზე საყვედურთა ნიაღვარი წამო-
ვიდოდა, მაგრამ ყველაფრისადმი ჩვეული გულგრილობა ამჯე-
რადაც საიმედო აბჯარი იქნებოდა მისთვის.

ეს უცნაური ინციდენტი რალაცნაირი პროლოგი გახდა „დი-
დი იმერული ელჩობისა“ აღმოსავლეთ საქართველოში.



ათას შვიდას ოთხმოცდაათ წელს იმერეთიდან თბილისში ჩამოვიდა ელჩობა, რომელშიც შედიოდნენ: გელათელი ეპისკოპოსი ექვთიმე, ქუთათელი ეპისკოპოსი დოსითეოსი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, პაატა მიქელაძე, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგი-აშვილი, ქაიხოსრო ჯიჯავაძე და ფიცის კაცი — ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი.

იმერელი დესპანნი ერეკლეს წინაშე წარსდგნენ და აჯა აღ-აგლინეს:

„არც თქვენ და არც ჩვენ მეფედ არ გესურს დავით გიორგის ძე; ჩვენი სურვილია, იმერეთი ქართლ-კახეთს შეუერთდეს, იგივე სურს გურიისა და სამეგრელოს მთავრებს; უნდა აღდგეს ოდინდელი ერთიანობა სრულიად საქართველოსა, რომელსაც უხელმწიფებს სახელოვანი ერეკლე. მთელი დასავლეთ ქართველობა დიდის სიქადულითა და სიხარულით მოელის საქმის ამის დასასრულსა... მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გა-ოხრებულსა“.

მაშ, ერეკლეს საქართველოს გაერთიანებას და სრულიად ქართველთა ერთხელმწიფობას სთავაზობენ. ესაა მრავალსაუ-კუნოვანი ოცნება ქართველი ხალხისა. ვინ იცის, ერეკლესაც რამდენი უოცნებია, მკვდრებით აღდგინა ასეულწლების მანძილზე დასამარებელი ერთიანობა ამერ-იმერი ქართველობისა. ახლა „იმერელი ერი“ თვითონ სთავაზობს და ეაჭება მისი სკიპტრის ქვეშ შეერთებას; ესაა საყოველთაო სურვილი დასავლეთ ქართველთა, ერთსულოვნად ყოველთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა და გლეხთა, თავადთა და მდაბიოთა, აზნაურთა და უაზნოთა, თითქოს პატარა კახს მხოლოდ ისღა დარჩენია, ჩალმისმინავარი თავსარქმელი გადაიძროს და მის ნაცვლად ერთიანი საქართველოს, გორგასლიან-დავითიანისა და თამარისეული ჯილოსანი გვირგვინი დაიდგას.

მაგრამ ქართველ ხალხს ისტორიის კაპრიზ ფორტუნასგან ერთიანობის აღდგინება წართმეული ჰქონდა. ერეკლეზე უკეთ ვის შეეძლო სცნობოდა მისი დროის ქარიშხლიანი

ქამსაბრუნავი. საკმარისია, მან თქვას: „დაე იყოს ერთიანობა სრულიად ქართველთა, ამერთა და იმერთა!“ და ერთბაშად ყოველი მხრიდან ამხედრდება სრულიად მუსლიმანური სამყარო, ხოლო რუსეთი... რუსეთიდან ჯერჯერობით მხოლოდ „ტოტლებური ღალატი“ უწვნივია „ერთმორწმუნე ქრისტიან მეფეს“.

ერეკლემ მდუმარედ მოისმინა იმერელთა თხოვნა. მერე ადგა და სათათბიროდ დარბაზის ერის შეყრა ბრძანა.

სამეფო პალატაში დარბაზის ერი შეიყარა. მოვიდნენ უფლისწულნი, ქართლ-კახეთის წარჩინებული თავადნი, სასახლის კარისკაცნი, მდივანბეგნი, მოურავნი, სარდალნი და მღვდელმთავარნი. ამათგან უსაჩინოესი იყვნენ: კათალიკოსი ანტონ მეორე (ერეკლეს ვაჟი თეიმურაზი), სახლთუხუცესი ჭაბუა ორბელიანი, სარდალი დავით ორბელიანი (ერეკლეს სიძე, თამარის ქმარი), თბილისის მოურავი დავით ციციშვილი (ერეკლეს სიძე, მარიამის ქმარი), სარდალი იოანე მუხრან-ბატონი (ერეკლეს სიძე, ქეთევანის ქმარი), ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

თათბირი დაიწყო. ელჩებმა დარბაზის ერის წინაშე გაიმეორეს ქართლ-კახეთთან იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს შეერთების თხოვნა.

აღმოსავლეთ ქართველთაგან პირველი წამოდგა ჭაბუა ორბელიანი, კაცი მჭევრმეტყველი, რიტორი და გულმხურვალე მამულიშვილი. მან მეფესა და სადარბაზოს თავი დაუქრა და მქუხარე, ზავთან ხმით დაიწყო:

„კურთხეულ იყოს აზრი ზეგარდმო შთაგონებული იმერთა დესპანთადმი, კურთხეულ იყოს აზრი იმერთა ერისა! ჩვენ საპასუხოდ რა დაგვშთენია? ნუთუ რამე არს საყოყმანო და დასაყოვნებელი?“

წამით შეჩერდა.

მეფე სდუმდა. ყველა მას შესცქეროდა.

ჭაბუამ ფიცხლავ შესძახა:

„ნუ ჰყოფნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვი, მეფეო, უარსა? რისთვის არ მიიღებ ასეთ სანუკველ თხოვნასა?.. მე ვიცი და მესმის აზრი თქვენი, მეფეო! შენ ასე ფიქ-

რობ: როგორ წავართვაო ჩემს შვილიშვილს, დავით არჩილის ძეს, მეფობა იმერეთისა! თუ ასე ფიქრობ, ეს მოასწავებს დღევანდელ უბედურებას იმერეთის და დაღუპვას მთელი საქართველოს! განა მსგავსი რამ აქამდე არ მოგიხდენია? შენ ხომ მეფობა წაართვი ქართლსა, მაგრამ რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? შენ ხომ არავის საერისთავო წაართვი იქ მემამბოხე ერისთავთა? შენ ხომ ქსანიც საუკუნოდ წაართვი ქსნისა ერისთავთა? მერე, თუ არ მოიგო, რა დაკარგა ამით ჩვენმა მშობელმან საქართველომან? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება. იმერნი თვითონ, თავისი ნებით, ზეგარდმო აზრით შთავონებულნი, გთხოვენ შეერთებას. შენც ნულარ ჰყოვნი, მეფეო ჩვენო!“

ორბელიანი შესდგა.

მეფე კვლავ მდუმარებდა.

მაშინ ზედღიხედ წამოდგნენ ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და გულმხურვალედ სთხოვეს მეფეს, მიეღო ერთიანი ხელმწიფობა, ქართლ-კახეთისა და იმერეთისა.

ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო პასუხი მეფისაგან. იგი უძრავად იჯდა და მძიმე საფიქრალს მისცემოდა.

ახლა ისევ იმერთა მხრიდან გაისმა სიტყვა. ქაიხოსრო წერეთელი ლაპარაკობდა:

„ბატონო მეფევ, შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მიიღეთ მეფობა იმერეთისა. დაე, იყოს ერთობა მარადისი ქართლ-კახელთა, იმერელთა და ყოველ ქართველთა შორის, ხოლო უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა ჩვენთა, შეუდგება უწესობა საერთო საქმეს, სავნო რამ შეიქმნება ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, — მაშინ დატევეთ მეფობა იმერეთისა, მაშინ უბოძეთ თქვენის ნებით მას სხვა ხელმწიფე. ახლა კი სცადეთ, ნულარ ჰყოვნით, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით!“

„განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით!“ ჩამოიბრინა დარბაზის ერი ამ ჯადოსნურმა სიტყვებმა.

„ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, როცა მტერი ჩვენი ერთობის

ამბავს შეიტყობს, მაშინვე მიეცემა შიშსა და რიდსა“, დაასრულა წერეთელმა.



არც ამჯერად ინება მეფემ პასუხი. არც უფლისწულებს უწყებებიათ წართქმა სიტყვისა.

უცებ ტყვიასავით გავარდა იოანე მუხრან-ბატონის სიტყვა: „მეტად ძნელ საქმეს გვთხოვენ იმერნი. არ შეგვიძლია შემოერთება იმერეთისა“.

„რად არ შეგვიძლია?“

„რად არ შეგვიძლია?“

„ხელს რა დაგვიშლის?“

მუხრან-ბატონი კი უჭიათად განაგრძობდა:

„ჩვენ ქართველთა ჩვენის თავისათვის ვერ მოგვივლია, ვითარ მოვუვლით იმერეთსა?“

„ეს რა საკადრისია?“

„ასეთი თქმა როგორ იქნება?“

„განა, იმერეთიც საქართველო არ არის?“

მუხრან-ბატონმა თითქოს ჩაასწორა მრუდე ნათქვამი:

„რად ვექმნათ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილის-შვილი ჩვენი მეფისა?“ სთქვა და მამებლური მზერით შეხედა ერეკლეს.

ფეხზე წამოიჭრა ფიცხელი დავით ორბელიანი და დასუქება გაეცეცხლებულმა:

„მუხრანის ბატონი ბრძანებს, ქართველებს ჩვენის თავისათვისაც ვერ მოგვივლიაო. დიასაც, მართალს აღიარებს, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს თავის ქვეყანას თავისის ხრმლითა და ბაირალითა. მაგრამ მოვა დრო და დმერთი მოგვცემს სხვა მუხრან-ბატონსა, რომლის ხრმალი უფრო მკრელი იქმნება“.

დარბაზი აჩოჩქოლდა. უმრავლესობა ორბელიანს მოწონების შეძახილებით შეხვდა. ბრაზით გატენილ მუხრან-ბატონსაც აქა-იქ ვილაცხეებმა აუბეს მხარი.

ორბელიანის მკაცრმა გამოსვლამ ბრაზი წაჰკიდა თვითონ ხელმწიფეს. განაწყენებული ერეკლე ტახტიდან წამოვარდა და დედოფლის სანთიობოს მიაშურა. დარბაზის ერი წამოიშალა და იმდღევანდელი სხდომაც ჩაიშალა.

არავინ იცის, რა საუბარი წარიმართა იმ ღამით მეფესა და დედოფალს შორის, მაგრამ მეორე დღეს ნათელი გახდა პატივ-

დარეჯანმა ჭაბუა ორბელიანი გამოიძახა და რისხვა ვერც
ვია.

„მაშ, იმერეთის შემოერთება მოისურვებ?“

„დიახ, დედოფალო“, დინჯად უპასუხა ორბელიანმა.

„პირველი სიტყვაც შენ გიბრძანებია“.

„დიახ“.

„მე ვიცი, ვინც ჩაგაგონა აზრი ესე“.

„ვის უნდა ჩაეგონებინა, დედოფალო?“

„გიორგი“.

„გიორგი?“

„სწორედ ის. ტახტის მემკვიდრე ხომ ეგ ბრძანდება, ახლა იმერეთსაც თუ შემოიერთებთ, სრულიად საქართველოს მეფობასაც გაიმზადებს; დავით ორბელიანიც ხომ მისი დის ქმარია და მუხრანბატონის მეტოქე. იმიტომაც უნებებია ისეთი უკადრისი სიტყვები; უეჭველად ისიც გიორგის წაუქეზებია“.

„არა მგონია, დედოფალო ბატონო. თვითონ გიორგის ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ისე ვითარცა არც სხვა რომელიმე უფლისწულს არ უნებებია რაიმეს თქმა“.

„შენ ხომ ინებე და პირველმა ბრძანე დაპყრობა იმერეთისა“.

„რატომ ინებებ, დედოფალო, ჩვენ ხომ ქართლ-კახეთ-იმერეთის ერთობაზე ვბჭობთ!“

„ეგ არ მოხდება!“ შეჰკივლა დარეჯანმა.

„უარს ვინ იტყვის, დედოფალო?“

„შენ“.

„მე?!“ განკვირდა ჭაბუა.

„სწორედ შენ“.

„მაგრამ მე ხომ უკვე ვთქვი ჩემი სიტყვა და კვლავაც იმას გავიმეორებ: უნდა შეერთდნენ ქართლ-კახეთი და იმერეთი“.

„ხოლო ხვალინდელ შეკრებილობაზე იტყვი, რომ არ უნდა შეერთდნენ!“

ორბელიანმა ბრაზი ძლივს დაიოკა და მტკიცედ განაცხადა:

„არა, ბატონო დედოფალო, ვერ შევიქნები ქვეყნის ორგული. ჩემი აზრი მეფისა და სამეფოსის სამსახურში დარჩება უცვა-“



ლებელად, მტკიცედ, შეუწყველად, ხოლო უკეთუ არ აღსარულდება, ამავე აზრსა შთავიტან საფლავსა თანა. რად მიბრძნებთ, არ ვუერთგულო მეფესა და ქვეყანას ჩემსას? მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. განა, შემიძლია ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და სიკეთის ნაცვლად ბოროტს ვურჩევდე? მაშინ ზომ ესე იქმნება საქმე ეშმაკისა, კაცისა ბოროტისა და მტრისა ქვეყნისა. ჩვენს მამა-პაპათ სისხლი უღვრიათ თავის ქვეყნისათვის და მეფეთათვის. მეც ვარ შვილი ჩემი ქვეყნისა და ერთგული ჩემი მეფისა. ამისათვის, რაც ერთჯერ ვთქვი, იმასვე გაბედვითა და შიშის გარეშე კვლავ მოვახსენებ ხელმწიფეს ჩემსას და თქვენც, ბატონსა ჩემსა დედოფალსა“.

ეს სთქვა, დედოფალს მსწრაფლ თავი დაუქრა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა სასახლიდან.

დარეჯანი გაოგნებული და გაბოროტებული დარჩა.

სწორედ ამ დროს მასთან შეხვედრა ითხოვეს იმერელმა ელჩებმა.

დედოფალი ცივად შეხვდა სტუმრებს. არაფერმა არ გასჭრა: არც იმერულმა თავაზიანობამ და ენათაფლიანობამ, არც ხალხის სიდუხჭირისა და უპატრონობის აღწერამ, არც ხეყნა-მუდარამ და არც თავშეკავებულმა მუქარამ. დარეჯანი უშუალოდ იმერული ენით ერთსა და იმავს იმეორებდა:

„მე ვერ გამოვწირავ იმერეთისა გვირგვინს ჩემი შვილიშვილის ხელთაგან“.

ელჩნი ვერაფერს გახდნენ.

მესამე დღეს კვლავ შეიყარა დარბაზის ერი.

ისევ ჭაბუა ორბელიანმა დაიწყო; ისევ დადასტურა მისი აზრი ანტონ კათალიკოსმა. ყველაფერი წინა დღის თათბირის კვალობაზე წარიმართა. დარბაზის ერის დიდმა უმრავლესობამ იმერეთის შემოერთება მოითხოვა. ნაწილი, იოანე მუხრან-ბატონის მხარდამხარ, კვლავ შეერთების წინააღმდეგ დადგა. მოვიდა ჟამი, როცა მეფეს გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ ერეკლემ მზერა მიაპყრო ტახტის მემკვიდრეს, რომელიც აქამდე, ორივე სხდომაზე, სრული მდუმარებითა და გულგრილი უძრაობით იჯდა და არაფრით არ ამკლავნებდა არც თანხმობას და არც უარყოფას. ის კი არა და, ამ დღეებში მას, ამრეზით მაცქერალი დედინაცვლი-

სა და მამის რიდით, არავითარი შეხვედრა არ ჰქონია არც სტუმრებთან და არც მასპინძლებთან.

„შენ რას იტყვი, გიორგი?“ ჰკითხა მეფემ.

გიორგიმ ზორბა ტანი ნელად დასძრა და დინჯად დაიწყო:

„ხელმწიფო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ვხედავ, მრავალთათვის წინააღმდეგ და არასასურველ შეიქმნების, მაგრამ მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, ანუ თუ გნებავსთ, უძლეველობა ქვეყნისა ჩვენის მტერთაგან. უნდა იქმნას ერთობა! რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა, — იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად სამეფო სოლომონისა; საბერძნეთიც მაშინ დაეცა, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, — ბრძანებს მაცხოვარი“.

თქვა და დაჯდა ისევე გულგრილად და უდრტვინველად, როგორც სიტყვის წარმოთქმამდე; თითქოს არც ის აინტერესებდა, როგორ შეხვდებოდნენ და რა შედეგი მოჰყვებოდა მის სიტყვას; თითქოს მხოლოდ მამის ბრძანებას მაშინააღმდეგობა ახლდა თავისი პასუხი და მეტი არაფერი.

ხოლო თვით სიტყვამ ინერტული უფლისწულისამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზის ერზე. იმერთა დესპანი და მათი მომხრენი აღფრთოვანებაში მოვიდნენ. ისევ წამოდგა ჰაბუა ორბელიანი, გიორგის ხოტბა შეასხა, მერე თავისი ომახიანი ხმა ჩაიციხრო და მეფეს ლბილად სთხოვა, ბოლოს და ბოლოს მასაც თავისი ხელმწიფური განჩინება გამოეტანა.

ერეკლე ფეხზე წამოდგა. დარბაზის ერიც წამოიშალა.

მღელვარებით აღსავსე მოლოდინი მეფის ბზარდაკრულმა ხმამ დაარღვია:

„მე მთხოვენ შეერთებას იმერეთისას, მაგრამ თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიც უნდა იყოს შვილის-შვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული“.

წამით შეჩერდა, მზერა სტუმართა მხრისაკენ მიმართა და მტკიცედ დააბოლოვა:

„დესპანო, წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთი-“

სა კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა და ქართლის თანა“.



დაასრულა და სასწრაფოდ გავიდა დარბაზიდან.

სამდღიანი წყლის ნაყვა დასრულდა.

იმავე წელს ერეკლემ 4.000-ანი ჯარი გაგზავნა იმერეთში იოანე მუხრან-ბატონის სარდლობით. ექსპედიციას თან ახლდნენ: უფლისწული იულონი, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, მისი ძმა (და უფლისწულ გიორგის ცოლისძმა) რევაზ ანდრონიკაშვილი და ჯარდან ჩოლოყაშვილი.

ერეკლესაგან წარგზავნილებმა ქუთაისში სასახლის კარის გადატრიალება მოახდინეს: იმერეთის ტახტიდან გადააგდეს დავით გიორგის ძე და მის ნაცვლად, სოლომონ მეორის სახელწოდებით მეფედ დასვეს ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე.

ამგვარად, საქართველოს გაერთიანების უკანასკნელი ცდა მარცხით დამთავრდა. ქართულ მიწაწყალთა ერთობის გამომხატველი პატრიოტული ძალები ვერაფერს გახდნენ დარეჯან დედოფლისა და მის უახლოეს მედროვე ვიგინდარათა მუხანათური ინტრიგების წინაშე. ჭეშმარიტ ქართველთა ხმა გახდა „ხმად ლაღადებისა უღაბნოსა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა“. დიდმა ქართველმა პატრიოტმა, ვიცე-კანცლერად წოდებულმა სოლომონ ლიონიძემ ისღა შეძლო, მთელი დასავლეთი საქართველო ფეხით შემოეგლო და თავისი ბრწყინვალე მჭევრმეტყველებითა და წრფელი მამულიშვილობით ქვეყანა დაერწმუნებინა, რომ ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის თუ გაერთიანება არა, მტკიცე შეკავშირება მაინც ქვეუღიყო რეალურ ძალად. იგი არწმუნებდა ყველას — მეფეებს, მთავრებს, თავადებს, აზნაურებს და გლეხობას — უეჭველად მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოენახათ გზები და საშუალებები ერთიანი მტკიცე კავშირის შეკერვისა და ურიცხვ მტერთაგან საქართველოს გადარჩენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საქართველოს ხსნა წარმოუდგენლად მიაჩნდა.

სოლომონ ლიონიძის, — ამ ქართველი დემოსთენეს (ჭეშმარიტად: იგი დემოსთენე იყო ერთდროულად, როგორც ორატორი და როგორც პოლიტიკოსი) თავგამოდებულმა ცდამ ნაყოფად ის გამოიღო, რომ იმავე 1790 წელს თბილისში გაფორმდა

ხელშეკრულება ქართველ მეფე-მთავართა შორის — „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებულ ღმრთიანთა ლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“.

ფორმალურად ეს იყო კავშირი ქართველ ტომთა, „ერთისა ენისა მქონებელთა, მავასხელობით მოყვარეთა, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა...“. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად, გნებავთ, მორალურად. მაგრამ „მოკავშირეებს“ რამდენიც არ უნდა ეძახნათ, „ვფუცავ, ვიყო მწადნელი ერთობისა და ბედნიერებისაო“ — ფაქტიურად ესეც იყო „ენითა ცემა ჰაერისა“; ერეკლე მეორეც, სოლომონ მეორეც, გრიგოლ დადიანიც და სვიმონ გურიელიც მხოლოდ ცალკე ფეოდათა პატრონნი იყვნენ.

ფეოდალური ეგოიზმი და სეპარატიზმი ისევ დამლუბველ მაჯლაჯუნად აწვა საქართველოს.

არამცთუ სრულიად საქართველო, არამედ ცალკე ქართლ-კახეთიც კი არ წარმოადგენდა ერეკლესათვის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ერეკლეს ცხრა ვაჟიდან ორი მოუკვდა (ლევანი და ვახტანგ I) და ერთი ბერულ ცხოვრებას შეუდგა (თეიმურაზ — ანტონ II კათალიკოსი), ხოლო მეფობის პრეტენზიით მას ექვსი ვაჟკაცი (გიორგი, იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი) დარჩა.

მაშ, ექვსი იყო კანდიდატი ქართლ-კახეთის მეფობისა, ხოლო სამეფო ტახტი ერთადერთი იდგა თბილისის სასახლეში.

და აი, სიბრძნით განთქმული ხელმწიფე ისე მოიქცა, ვითარცა ჩვეულებრივ, ბანალურ ზღაპარში ხდება ხოლმე: სამეფო შვილებს დაუნაწილა: კახეთი გიორგის მისცა, ქსნის ხეობა — იულონს, არაგვის ყოფილი საერისთავო (ლევანის სიკვდილის შემდგომ) — ვახტანგს, მარტყოფი — მირიანს, სურამი — ფარნაოზს. ამას კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე მოჰყვა ჩვეულებრივი შინაური შუღლი, მტრობა და მესისხლეობა.

საეჭვოდ არავის დარჩენია, რომ ისედაც მცირედი ქვეყნის ამნაირი დანაწილება და შინა-ნათესაური მტრობის ჩამოგდება ისევ და ისევ დარეჯან დედოფლის ნებით ხდებოდა.

1791 წელს დარეჯანმა ერეკლეს კიდევ უარეს საბედისწერო კანონზე მოაწერინა ხელი. ესაა ახალი სამეფო-სამემკვირეო



კანონი. მანამდე, თხუთმეტი საუკუნის მანძილზე, ქართული სახელმწიფო იურისდიქციის მიხედვით დაკანონებული იყო, რომ სამეფო ტახტი მეფის სიკვდილის შემდგომ ეკუთვნოდა უფროს შვილს. ერეკლემ ეს კანონი შესცვალა და მის ნაცვლად დაადგინა, რომ მისი სიკვდილის შემდგომ, მართალია, მეფობას მიიღებდა უფროსი ვაჟი (გიორგი), მაგრამ ამ უკანასკნელის შემდგომ — მისი ძმები (იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი) თანმიმდევრობით; ხოლო ძმათა ცხოვრების გასრულების შემდეგ, მეფობას განაგრძობდნენ უფროსი ვაჟის ძენი, შემდგომ ისევ თანმიმდევრობით მომდევნო ძმების ძენი და ა. შ. ყველაფერი ეს დარეჯან დედოფლის ნებასურვილი იყო, რამეთუ მისი უშუალო დეიძლ-შთამომავალთ (გერი გიორგის წინააღმდეგ) უზრუნველყოფილი ჰქონოდათ ხელმწიფობა.

ასეთი იყო ვითარება საქართველოში, როცა სამხრეთის ცაერთბაშად საავდრო ღრუბლებით გაიტენა და გასივდა.

პატარა კახს ახალი მეხთა-ტეხის ხმა არც ამჯერად გამოჰზარვია. მაგრამ გარემტრისადმი მუდამ უტყუარმა ალლომ სწორედ ახლა, ამ უეცარი ძნელყამობის ასალაგმავად, საბედისწეროდ უმტყუნა.

გენიალურმა ჰანიბალმაც მხოლოდ ერთჯერ დაუშვა შეცდომა და ისტორიის ფორტუნამ მას არ აპატია.

ეს ერთადერთი მცდარობა საბედისწერო გამოდგა მისთვის და მისი სამშობლოსათვის...

იქვე ნ 50

„ესე გველი რამე არს, საშო არა აქვს და პირით დამაკვდება და შვილნი მუცელს გამოსჭამენ და ეგრე გამოვლენ. თუ კაცს უკბინა, აღარ მორჩება“.

ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა

სეფევილების უკანასკნელი წარმომადგენლის, შაჰ-თამაზ მეორის ღროს ასტრბადში დაწინაურდა თარაქამულ-თურქული მოღვმის ყაჯართა გვარ-ტომი. მისმა ბელადმა ფათ-ალი-ხანმა ირანის მთავარსარდლობას მიაღწია. მაგრამ მას მალე დიდი მეტოქე გამოუჩნდა — ნადირ-ყულ ავშარი, მდაბიოთა-

გან დაწინაურებული ნიჭიერი და თავზეხელაღებული ყიზილ-
ბაში, ნადირ-ავშარი შაჰ-თამაზი ყაჯართა ბელადის ორგანიზაცი-
აში დაარსებულა, კიდევაც მოაკლევინა და ირანის მთავრობის
სარდლობაც თვითონ ჩაიბარა.

ნადირმა იცოდა, რომ შვილები მამის სისხლის მძიებელნი
არიან და ახლა ფათ-ალი-ხანის ვაჟის, მაჰმად-ჰუსეინ-ხანის წი-
ნაღმდევ დაიწყო ბრძოლა. ეს ბრძოლა ბოლოს და ბოლოს
მაჰმად-ჰუსეინის მარცხითა და გადახვეწით დამთავრდა, ხოლო
მისი ორი მცირეწლოვანი ვაჟი ნადირის ძმისწულმა ალი-ყული-
ხანმა დატყვევებულნი მოჰგვარა შაჰ-თამაზს.

იქვე ძმთაგან უფროსი, ექვსი წლის ბალდი, ჯალათმა გა-
აშიშვლა, ალესილი დანა ლაჯებში დაადო და... დაასაჭურისა.

ასე დაიწყო ცხოვრება ალ-ამ-აჰმად-ხან ყაჯართა,
აღმოსავლეთის ბნელიან დესპოტთა შორის უსაშინელესმა მი-
ზანთროპმა.

ვაჟობაწარმეული ვაჟი სასახლის კარზე დასტოვეს, ვი-
თარცა ამანათი-მძევალი.

ყაჯართა ყველაზე დიდი მოსისხლე ნადირ-ყულ-ავშარი შე-
იქნა ირანის უკანასკნელი დიდი ხელმწიფე — ნადირ-შაჰი. ნა-
დირ-შაჰის შემდგომ ირანის მბრძანებელი გახდა მისი ძმისწულ-
ლი, ალ-ამ-აჰმად-ხანის ტრაგედიის უშუალო შემოქმედი, ალი-
ყული-ხანი, ჟამსა ხელმწიფობასა ადილ-შაჰად წოდებული.

სასახლის კარზე კვლავ უსიტყვოდ, უჩინრად და უხმაუროდ
დააბიჯებდა ჭაბუკობის ასაკში შესული, მაგრამ ჭაბუკობაწარ-
მეული, ბებრული ნაოჭებით სახედახული და დაღმეკილი
ადამიანი.

ადილ-შაჰი გარდაიცვალა და საჭურისმაც პირველად გამო-
აჩინა შხამიანი ეშვი. იგი სასახლიდან გაიპარა და ნათესავ ყა-
ჯარებთან გაიქცა. ყაჯარები უკვე ირანის ტახტის დასაპყრობად
მოიწევდნენ. საჭურისის მამა მაჰმად-ჰუსეინ-ხანი ჯერ კიდევ
ცოცხალი იყო და თავისიანთაგან გახელმწიფების ყველაზე
ძლიერ პრეტენდენტად ითვლებოდა. მამა-შვილი შეერთებუ-
ლად ამოქმედდნენ ირანის ტახტ-გვირგვინისათვის მეომარი მე-
ორე საგვარეულოს — ზენდების წინაღმდეგ.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა ზენდების გამარჯვებით დამთავ-
რდა. მაჰმად-ჰუსეინმა თავი მოიკლა. ირანის ტახტზე დაჯდა ქე-



რიმ-ხან-ზენდი, რომელმაც თავის სატახტო ქალაქში, შირაზში, ტყვედ და ამანათ-მძევლად წაიყვანა აღა-მაჰმად-ხან-ყაჯარი.

საჭურისი მაშინ თვრამეტი წლის იყო. ტანი კი ათი-თორმეტი წლის ბიჭისა ჰქონდა. ეს ნამლევა ქონდრისკაცი გასაოცარი ტაქტითა და ხერხიანობით მოქმედებდა. უნდობლობისა და ვერაგობის ატმოსფეროში გახვეულ სასახლის კარზე არავინ იყო მისებრ ვერაგი და კაცთმოძულე, მაგრამ ყველას საოცრად დამარწმუნებლად თავს აჩვენებდა, ვითარცა უადრესად ერთგული, თვინიერი, მორჩილი, მოყვარული და თავდადებული ადამიანი. ზედმიწევნით დახვეწილი ინტრიგების საუფლოში საჭურისი ჩანდა მხოლოდ როგორც მაჰმადის რჯულის მიმდევართაგან უპირველესი მოგვი-ფანატიკოსი და ხელმწიფის მრჩეველ-ვეზირთაგან — უერთგულესი და უნიჭიერესი კარისკაცი.

რომაელმა სარდალმა კვინტუს ცეცილიუს მეტელუსმა თქვა: „მე ჩემს ტუნიკასაც დავწვავ, თუ შევიტყობ, რომ მან ჩემი გეგმები იცის“. მისგვარადვე უთქვამს მუჰამედს (ვინც აილო კონსტანტინოპოლი): „ჩემს წვერში ერთი ღერიც რომ აღმოჩნდებოდეს ჩემი საიდუმლოს მცოდნე, მთელს წვერს დავიგლეჯდი!“ უფრო დამაჯერებლად თქმის უფლება ჰქონდა აღა-მაჰმად-ხანს: მის ნამლევა სხეულში ხომ მსოფლიო სიძულვილი და შურისგება, კაცთა მოდგმის ამოსაგდებად, საოცარი თავშეკავებულობითა და შენიღბულობით იყო ჩასახლებული. არავითარი გამჟღავნება, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ერთადერთ საქციელს: ქერიმ-ხანის სატახტო დარბაზში, აუდენციების დროს, გაბოროტებული საჭურისი წამოსასხამის შიგნით მალულ პატარა დანას იღებდა და ძვირფას ხალიჩებს იღუმალ ჭრიდა და ფლეთდა, მაგრამ ამასაც ვერასოდეს ვერავინ შეიტყობდა, რომ შემდგომ, ესაა ხელმწიფობისა, თვითონ არ ეთქვა აღა-მაჰმად-ხანს; ამას იტყოდა თავის ამაღლაში და ზედვე დასძენდა: სულელი ვიყავი, როცა ამას ჩავდიოდი, რადგან ვერ გამითვალისწინებია, ბოლოს და ბოლოს მე უნდა გავმხდარიყავი პატრონი ამ დაჭრილი ხალიჩებისა.

1779 წელს ქერიმ-ხან ზენდი მოკვდა და ატყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მის მემკვიდრეთა შორის. საჭურისისათვის არავის ეცალა და ამანაც ექვსი ერთგული კაცის თანხლებით, და-



მით, იღუმალ, სასახლიდან გაქუსლა. შირაზიდან თეირანში
 შეუსვენებლივ ქენებით მივიდა. აქ მაზანდარანელი ყაჯარები
 შემოეგებნენ და თავის მბრძანებლად გამოაცხადეს. საჭურისს
 ძმები და ბიძაშვილები ჰყავდა; იმათაც მოსურვებიათ ირანის
 შაჰინ-შაჰობა. ატყდა მათ შორის ცილობა, მტრობა, ბრძოლა
 და სისხლის თხვევა.

აღა-მაჰმადი ამ საშინელ კაცთახოცვაში მუდამ პირველი
 იყო სიმამაცით, სიკვდილისადმი გულგრილობით, ნიჭიერებით,
 ხერხიანობით, ცბიერებით, მუხანათობით, დაუნდობლობით,
 შეუბრალებლობით.

ჩრდილოეთსა და სამხრეთ ირანში საშინელი „საპრიზო
 ბრძოლა“ მიმდინარეობდა. „პრიზი“ იყო ირანის ტახტ-გვირ-
 გვინი. ჩრდილოეთში ყაჯარები ელექტდნენ ერთმანეთს, სამ-
 ხრეთში — ზენდები. „ფინალში“ გავიდნენ აღა-მაჰმად-ხან ყა-
 ჯარი და ლუთფ-ალი-ხან-ზენდი.

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა ერეკლეს იმერეთის შემო-
 ერთებაზე უარი ჰქონდა ნათქვამი და თავისი ქართლ-კახეთიც
 უკვე საუფლისწულოებად დარიგებული.

აღა-მაჰმადმა, მას შემდეგ, რაც დაიპყრო მთელი მაზანდა-
 რანი, თალიში, სამხრეთ აზერბაიჯანი, ისფაჰანი და შირაზი,
 მთელი ძალები დასძრა ქალაქ ქერმანისაკენ, სადაც გამაგრე-
 ბული იყო ლუთფ-ალი-ხანი. დიდხანს ქერმანი მედგრად იგე-
 რიებდა ყაჯართა იერიშებს; მერე ციხე შიგნიდან გატყდა: მო-
 ლალატეებმა და შეთქმულებმა მტერს კარი გაუღეს და ლუთფ-
 ალი-ხანსაც ბორკილები დაადეს. აღა-მაჰმადმა მეტოქეს ჯერ
 საკუთარი ხელით თვალები გამოსთხარა, მერე წამებით სული
 ამოჰხადა. გაბოროტებულმა საჭურისმა ქერმანის მცხოვრებნი
 სასტიკად ააწიოკა. მისი ბრძანებით სიკვდილს გადარჩენილი
 ყველა მამაკაცი დააბრმავეს, — ოციათასი წყვილი თვალი საში-
 ნელ მბრძანებელს წინ დაულაგეს; ქალები აღა-მაჰმად-ხანის
 მეომრებმა, მისივე ნებით, დაიტაცეს და ხასებად გაიხადეს.

ირანი თურქული მოდგმის ყაჯართა დინასტიის ქვეშ მო-
 ექცა. აღა-მაჰმად-ხანმა სამეფო ტახტი თეირანში დაიდგა და
 ბოროტი მზერა კავკასიისკენ გამართა.

ამ დროს იგი ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული „ვაჟკაცი“
 იყო, ტანად ისევ „კვანში ჩასასმელი“, გულად — მსოფლიო-

მძულვარება, გონებად — სატანური ცბიერება, ქოსა სახე
ოთხმოცდაათი წლის დედაბრის მიხრწნილება, ხოლო თვალი
ბი — გველის მსგავსად უძრავნი და გვესით აღსავსე.

ვაი, მას, ვისაც ცნობისწადილი წაძლევედა და მის საარაკო
სიმახინჯეს თვალს დააშტერებდა; ის თვალი იქვე დაიშრიტე-
ბოდა. სწორედ ასეთი „ცნობისმოყვარეობისათვის“ დაჰკარგა
თვალთა სინათლე მისმა ერთგულმა მცველმა, რომელმაც ადრე
თავისი მბრძანებელი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა.

იყო ძუნწი და ანგარი, მაგრამ არ უყვარდა ფუფუნება. ვი-
ლაცას ყურების დაჭრა მიუსაჯა და შეიტყო, რომ დასასჯელად
განწირული ჯალათს ევედრებოდა, ყურები სანახევროდ დამი-
ნარჩუნე და დიდ ფულს გაჩუქებო. შაჰმა ის კაცი მოიხმო, ორ-
მაგი ქრთამი გამოართვა და ყურები მთლიანად დაუნარჩუნა.

ასედაც მოხდა, რომ ფულისმოყვარე ალა-მაჰმად-ხანი ვი-
ლაც დერვიშს შეუთანხმდა — ჩემს კარისკაცებს ფული გამოვ-
ტყუოთ და თანაბრად გავინაწილოთო. პირობისამებრ, ერთ
დღეს შაჰთან, მისი ბრძანებით, ვითომდა სახელმწიფო საქმე-
თათვის, მრავალრიცხოვანი სასახლის კამარილია შეიყარა. და-
კონკილ-დაძონძილი დერვიშიც ვითომ შემთხვევით გამოცხად-
და. შაჰმა საჯაროდ შეიბრალა დერვიში, სალაროდან ფულის
გაცემა ბრძანა და თან იქ დამსწრეთ მიმართა: აბა, ვინ მეტს
გაიღებს საბრალო დერვიშისათვისო. შაჰის მრისხანებით და-
შინებულმა და მამებლების ხროვად ქცეულმა კარისკაცებმა
ერთიმეორის ჯიბრზე უხვი საბოძვარი გაიღეს. დერვიში აუა-
რებელი ოქრო-ვერცხლით დაიტვირთა (თუმცა პირობა არ შე-
ასრულა, ღამით იდუმალ გაუჩინარდა და ხარბი ხელმწიფე ასე
გაცრუებული მშრალზე დააგდო).

ასეთი სულის ხელმწიფეს მართლაც შეეძლო დაცარიელე-
ბული ხაზინა სწრაფად შეეგსო და გაემდიდრებინა. ისედაც, ის
ხომ უთვალავ აღმოსავლელ ხელმწიფეთაგან ერთადერთი იყო,
რომელსაც არაფერი დაეხარჯებოდა უთავყამო ნადიმობაში,
ჭეიფ-დრეობაში და ჰარამხანულ ტრფიალებში, მისი მშრალი
და მჭკნარი სხეულისათვის უცხო იყო ყოველგვარი სიამენი
ამქვეყნიურნი.

მაშ, ირანის ტახტზე იქედნე იჯდა და კავკასიისკენ მოეპყ-
რო მზერა!



„თუ განრისხება შეეუღლა მათ ბოროტ ნებას,
 მაშინ ისინი დაგვესხმიან უთუოდ თავზე
 მეტ გააფთრებით, ვიდრე ესხმის ქოფაკი ქურციკს“.
 დ ა ნ ტ ე

ალა-მაჰმად-ხანს საქართველო ჯერ თავის თვალით არ მოეხილა, მაგრამ იცოდა, რა სამოთხეც გადაშლილიყო შავი ზღვიდან აზერბაიჯანამდე. იგი ხმალდანხმალ ჯერ ქართველობას არ შეხვედრია, მაგრამ იცოდა, რა თავზეხელაღებული ვაჟაკები უდგნენ დარაჯად თავის მიწა-წყალს. არც ერეკლეს შეხვედრია პირისპირ სადმე, მაგრამ იცოდა, ევროპისა და აზიის შესაყარში ხელმწიფობდა ხელმწიფეთაგან უმამაცესი.

ალა-მაჰმადმა სვეგამწარებულ ბავშვობიდანვე იცოდა, რომ ძალიან შორს, ჩრდილოეთით ძლიერი „თეთრი ხელმწიფე“ იჯდა, ხოლო მის უზარმაზარ სამბრძანებლოთა სამხრეთით, კავკასიონს გადმოღმა, საარაკო სიმამაცის მქონე ქრისტიანი მეფე ზედიზედ ამარცხებდა ალაპისა და მაჰმადის ურიცხვ ურდოებს. ქერიმ-ხანის დროს მოედო მთელს ირანს ეს უცნაური ამბავი:

ქერიმ-ხანმა საქართველოში ელჩები გაგზავნა და ერეკლეს ხარკად თორმეტი წყვილი ქალ-ვაჟი მოსთხოვა, მაგრამ უმშვენიერეს ქართველ ქალ-ვაჟთა ნაცვლად ირანის მბრძანებელმა ქართველი მეფისაგან ასეთი პასუხი მიიღო:

„მე ქერიმ-ხანი რას მომატყუებს, როცა თვითონ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებული“.

საჭურისი ფიქრობდა ერეკლეზე — უცნაურ, საინტერესო და საშიშ ქრისტიან მეფეზე, მით უფრო, რომ მისთვის დიდ ჩრდილოელ ხელმწიფესაც დახმარების აღთქმა მიუტია. — ვინ იცის, რა უდევთ გულში „გიაურ ხელმწიფეებს“; უმეკველად კასპიაზე გაბატონება; იქნებ ირანის დაპყრობაც.

ძალიან ბევრს ფიქრობდა საჭურისი, — ფიქრობდა; ოცნებობდა, მსჯელობდა, ზომავდა და სჭრიდა, და ეთათბირებოდა მხოლოდ ერთადერთს, ისევ თავისთავს...

მერე, როცა ქერიმ-ხანი მოკვდა და ალა-მაჰმად-ხანმა ირანის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო, მაშინ უფრო საფიქრალი გახ-

და ქართველთა მეფესთან და მის „მფარველ“ რუსთა ხელმწიფესთან ურთიერთობის საკითხი. ჯერჯერობით მას, ირანის ხელმწიფობაში მხოლოდ ცალი ფეხით მდგარს, ყველაზე საშინაო ქრისტიან ხელმწიფეთა თუ „მეგობრობა“ არა, ირანის საქმეებში ჩაუტრევლობისათვის იქნებ მაინც მიეღწეა.

და აი, ალა-მაჰმად-ხანმა, 1786 წელს, თეირანიდან შირაზზე გალაშქრების წინ, ერეკლეს შემოუთვალა:

„მე თქვენთან დიდის დოსტობის და მეგობრობის მონდომე ვარ; მსურს, რომ მე და შენს შორის სიყვარული და მეგობრობა იყოს... სამფლობელოდ და სამემკვიდრეოდ მიიღეთ აღირბეუანის მიწა-წყალი ისე, ვითარმედ აქამდე გიჭირავთ ერევანი“.

ერეკლეს უკვე ჰქონდა ცნობები ირანის ხელმწიფობის ახალ პრეტენდენტზე. იქნებ კიდევაც ერთმანეთს სადმე შეხვედროდნენ ნადირ-შაჰის კარზე უმამაცეს და უნიჭიერესად აღიარებული ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილი და სახემკნარი ყმაწვილი საჭურისი, მაგრამ სპარსელთა სასახლეში საჭურისებს და ამანათ-მძევლებს ვინ მოთვლიდა. ახლა კი ერეკლე კარგად ჰხედავს, იმ უთვალავ კაცთმოძულე ლანდთაგან როგორი საფრთხე ამოიმართა.

ეს კაცი ახლა ერეკლეს „დოსტობას“ სთხოვს, სიყვარულსა და მეგობრობას აძალებს, აზერბაიჯანის დაპყრობის დასტურს აძლევს და სომხეთზე მისი უფლებების „აღიარებასაც“ აღუთქვამს.

მაგრამ ალა-მაჰმად-ხანს დავიწყნია, რომ ერეკლე „ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებული“. სპარსელთა „დოსტობა“ ისევე ცნობილია ქართველთათვის, როგორც „ფინიკიური ერთგულება“ რომაელთათვის. მალე გამეღავნდა კიდევ. ალა-მაჰმად-ხანმა პირველი „დოსტობის“ შემოთავაზებას მეორე სამოციქულოც თან მოადევნა. იგი ერეკლეს სთხოვდა, ეშუამდგომლა რუსეთის მაშინდელ ხელმწიფესთან, ეკატერინე მეორესთან, სპარსეთ-თურქეთს შორის გართულებული მდგომარეობის გამოსწორებისა და ურთიერთმეგობრობის გამართვას საქმეში.

მაგრამ ვერავინ შეარყევს ერეკლეს რწმენას: ყველაფერი ეს ცბიერ საჭურისს სჭირდება ისევ და ისევ დროებით, სანამ

მას ზენდები ჯერ სავსებით ვერ დაუმარცხებია და ირანის ტბედაც ორივე ფეხით ვერ მომაგრებულა.

საქურისის „დოსტობა“ კი არა და, ქართველ მეფეს უფრო დიდი გეგმა აქვს: ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარებით მან უნდა დაიპყროს თვითონ იგი, ქართველთა და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა მარადიული წამების წყარო — სრულიად ირანი.

ერეკლე ეკატერინე დედოფალს სწერდა:

სპარსეთი, — ივერიისა და სომხეთის უპირველესი მტერი, — ახლა ისეა დასუსტებული და უთავბოლოდ დაქუცმაცებული, თუ თქვენი უმაღლესობა ინებებს და ერთ მცირე კობუსს გამოგზავნის, მთელი სპარსეთი თქვენი ძალაუფლების ქვეშ მოექცევა.

მაშ, ერეკლეს ისევ და ისევ რუსეთის ხელისუფლების იმედი ჰქონდა. იგი არა მარტო უბრალოდ დახმარებას მოელოდა, არამედ რუსეთთან შეერთებით საქართველოს მარადიულ მტერთა სამკვიდრებლის დაპყრობაზეც კი სერიოზულად ფიქრობდა.

მაგრამ დადგა 1794 წელი. ალა-მაჰმად-ხანმა უკანასკნელი მეტოქე, ლუთფ-ალი-ხანიც გაანადგურა და ირანის ერთპიროვნული მბრძანებელიც გახდა.

ერეკლეს არც ის გამოჰპარვია, რომ ალა-მაჰმად-ხანმა ტახტზე დაჯდომისთანავე მიზანში საქართველო ამოიღო. მეფემ ორჯერ აფრინა ელჩი რუსთა მთავრობისაკენ და ჯარი ითხოვა, მაგრამ მისი თხოვნა ორჯერვე უპასუხოდ დარჩა.

ერეკლე რუსეთის დახმარების რწმენას ერთი წუთითაც არ ჰკარგავს.

დადგა 1795 წელი.

ალა-მაჰმად-ხანი აღრიან გაზაფხულზე, თავრიზს მოვიდა და საომარ ძალთა შეყრას შეუდგა.

უსისხლოდ საფრთხის აცილება შეუძლებელი იყო. მაისში ერეკლემ გარსევან ამილახვარი სასწრაფოდ აფრინა გენერალ გუდოვიჩთან. მეფე მხოლოდ სამი ათას მეომარს სთხოვდა რუს გენერალს. მაგრამ გუდოვიჩი ტოტლებენზე ნაკლები გონებაბრჭყუ და გულდრკუ როდი იყო. ჯერ იყო და, დიდხანს ვერ გაიგო, რა სურდა ქართველ მეფეს; მერე, როცა ასე თუ ისე



ჯაიგო, ჯარის მიცემაზე თვითონ გადაჭრით უარი თქვა და პასუხის მისაღებად ქართველი ელჩი პეტერბურგში გაგზავნა.

კიდევ სამი თვის განმავლობაში — მაისიდან სექტემბრამდე — საოცარი მოთმინებისა და თავშეკავების მქონე გარსევან ჭავჭავაძე ამოდ ახლიდა დიპლომატიურ კვერთხს პეტერბურგის სასახლის კარს:

„სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი, ალა-მაჰმად-ხანი, საქართველოზე თავდასასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ უმდაბლესად გთხოვთ, გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმადლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარებისა და მფარველობის აღმოჩენას. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, სწრაფად მომცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად გვეჭირდება ამის ცოდნა“.

სამი თვის განმავლობაში ერეკლე კვლავ ამოდ, მაგრამ მაინც გასაოცარი დაჯერებით და დაყინებით გასცქეროდა ჩრდილოეთს.

ხოლო ამასობაში...

ტრაგედია ახლოვდება

ხოლო ამასობაში საქურისმა თავრიზსა და არდებილში 70 000 მეომარს მოუყარა თავი. ეს იყო თოფებით, ფარ-შუბებითა და იატაგანებით აღჭურვილი ცხენოსანთა ურდო, რომელსაც თან ახლდა თუჯის ზარბაზნები, აქლემებზე აკიდებული ფალკონეტები, ზამბურაკები და სხვა საჭურველითა და სურსათით დატვირთული მრავალრიცხოვანი ალა-ფორანი.

საომარ ძალთა შეყრის პარალელურად, ალა-მაჰმადი აზერბაიჯან-დაღესტნის მმართველ ხანებს სოჰბეთ-ესაულეებს უგზავნიდა, მორჩილებასა და ამანათ-მძევლებს მოითხოვდა, ხოლო ურჩობისა თუ ყოყმანისათვის აოხრებითა და დედა-ბუღიან ამოწყვეტით იმუქრებოდა.

ყველაზე ადრე ერეკლეს უღალატა და ალა-მაჰმად-ხანს მიემხრო განჯის ხანი ჯავათი, თბილისში გაზრდილი, უფლისწულ გიორგისთან მეგობრობით და სიახლოვით ცნობილი. იგი არაქითან ეახლა და ფეხებში ფიანდაზად გაეფინა შაჰ-საქურისს. ჯა-



ვათ-ხანის გზას დაადგა ირანელთა მრავალრიცხოვანი ძალებითა შეშინებული შაქის ხანი. დარუბანდისა და ბაქოს სახანოებში ქართლ-კახეთის მსგავსად, რუსეთის მოიმედენი იყვნენ, მაგრამ მათმა მმართველებმა — დარუბანდელმა შეიხ-ალი-ხანმა და ბაქოელმა ჰუსეინ-ყული-ხანმა — ჩრდილოეთიდან დახმარებას ამოა იმედზე ხელი აიღეს და ისინიც ალა-მაჰმად-ხანს დაემორჩილნენ.

საჭურის მბრძანებელს მორჩილებამზე უარი შემოუთვალეს დალესტინის ხანებმა, მათ შორის ყველაზე ძლიერმა და გავლენიანმა ომარ-ხანმა, რომელსაც გენერალ გუდოვიჩისაგან ფულიც ჰქონდა მიღებული.

ალა-მაჰმად-ხანთან შეურიგებელი ბრძოლის გზას დაადგა ყარაბაღის ხანი იბრეიმი (ომარ-ხანის სიმამრი), რომელმაც ბოროტი საჭურისის ვერაგობის ამბავი კარგად იცოდა: ალა-მაჰმადმა ადრე მას უმიზეზოდ მოუკლა მძევლად წარგზავნილი ძმისწული. იბრეიმ-ხანს დიდი იმედი ჰქონდა თავისი მიუვალი ციხე-ქალაქისა — შუშისა. ხოლო უფრო დიდი იმედი მას ქართველი მამაცი მეფისაგან ჰქონდა.

სომხეთის პატრიარქმა ეჩმიაძინიდან ალა-მაჰმად-ხანს 80.000 მანეთი და რვა გირვანქა ოქრო გაუგზავნა. ერეკლეს მორჩილი ერევნის მმართველი მუჰამედ-ხანი ციხეში ჩაიკეტა და ხალხი საომრად გაამზადა.

ალა-მაჰმად-ხანის იასაული თბილისშიც მოვიდა და ერეკლეს ბარათი აახლა: ურჩი ყარაბაღილი ხანის დასასჯელად შუშაზე მივდივარ და შენი ერთ-ერთი შვილის სარდლობით დაუყოვნებლივ ქართველთა ჯარი მომაშველეო.

ეს საჭურისის უკანასკნელი ცდა იყო: ბოლოს და ბოლოს, ირანის მბრძანებლის „დოსტობის“ უარყოფელი გურჯი ხელმწიფე მოეგებოდა თუ არა გონს და სცნობდა თუ არა თავისი ქვეყნის კისრად ისლამის უღელს?

ერეკლემაც არც აცივა და არც აცხელა, აიღო და ალა-მაჰმად-ხანის ელჩი სატუსალოში ჩააგდო. მეტრე, ჯარი მართლაც შეჰყარა და მართლაც უსარდლა თავისი ერთ-ერთი შვილი — ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ გაგზავნა არა ალა-მაჰმადის საყმოდ, არამედ მის წინააღმდეგ, ყარაბაღელთა და ერევნელთა მისაშველებლად.

მაისის ბოლოს ალა-მაჰმად-ხანი თავრიზ-არდებულის ხაზი-დან სამ კოლონად დაიძრა. მარცხენა კოლონა თავის ძმებს, ალი-ყული-ხანსა და ჯაფარ-ყული-ხანს ჩააბარა და ერევნისაკენ გაგზავნა; მარჯვენას არდებულის მმართველი ნურ-ალი-ხანი უსარდლა და შირვანის გავლით დაღესტნისაკენ გაუშვა, ხოლო თვითონ საჭურისი ცენტრალური ჯარებით ყარაბაღის მთავარი ციხე-ქალაქის, შუშისაკენ დაიძრა.

იბრეიმ-ხანმა მთელი ყარაბაღი ფეხზე დააყენა. შუშის ციხე-სიმაგრე მედგრად დაუხვდა მტერს. იბრეიმს დიდხანს მაინც არ შეეძლო გამკლავებოდა. სამწლიანი შემოიღობისაგან განაწყამებ ქვეყანას ისედაც ძალა არ შესწევდა მტრის დასამარცხებლად. მხოლოდ თარეშული ხასიათის ომით თუ შეძლებდა იბრეიმ-ხანი დროის გაჭიანურებას და მტრის დასუსტებას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყარაბაღში ქართველთა ჯარის ჩამოსვლამ. ეს ამბავი შუა აგვისტოში მოხდა: ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ-ხანის გაერთიანებული ლაშქარი ერთ ვიწრო ხეობაში ირანელთა ძალების 8.000-ან კორპუსს შეება და სასტიკად დაამარცხა, თუმცა ამ ბრძოლას საომარ მსვლელობაში გადამწყვეტი ცვლილებები არ შეუტანია.

აგვისტოც მიიწურა. შუშა და ერევანი დღეს თუ ხვალ უნდა დაეცემულიყვნენ.

ერეკლემ, რუსთა დახმარების ურყევი რწმენით აღსავსე იმედთან ერთად, საკუთარი ძალების შეკრებაც დაიწყო. მის პოწოდებაზე იმერეთიდან 2.000 მეომრით გადმოვიდა სოლომონ მეორე. ამდენივე, თუ ცოტა მეტი თვითონაც შეჰყარა და ასე, დაახლოებით, 4.500 მეომრით ქართველი მეფეები თბილისიდან პირდაპირ ერევნისა და შუშის მისაშველებლად გაეშურნენ.

აგვისტოს ბოლოს ქართველები ყაზახში მივიდნენ. აქვე მათ ხელში ჩაუვარდათ ალა-მაჰმად-ხანის შიკრიკები წერილებით ერევანზე მოიერიშე ჯაფარ-ყულისადმი. შაჰი ძმას სწერდა: ერეკლე მეფე ერევანზე მოდის, გამაგრდით, მეც სულ მალე მანდ გავჩნდები და ქართველებს სულ ერთიანად ამოვკლევთო. მეორე წერილიდან ისე ჩანდა, რომ ალა-მაჰმად-ხანს ომარ-ხანთან კავშირი შეუტკრავს, რათა თბილისზე ირანელთა შეტევის პარალელურად, დაღესტნელთა ყველაზე ძლიერ მბრძანე-

ბელს კახეთის მიმართულებით დაეწყო ლაშქრობა. კიდევ ხევ
ფირმანით ქართველმა მეფეებმა შეიტყვეს, რომ ალა-მაჰმად-
ხანს კავშირი გაუბამს ჭარ-ბელაქანის ლეკებთან, ყოველივე
განისათვის 100 მანეთი აღუთქვამს და ისინიც კახეთიდან შე-
მოტევაზე დაუთანხმებია.

ყველა ეს წერილი ალა-მაჰმად-ხანის ნაყალბევი იყო ერეკ-
ლეს მოსატყუებლად.

ირანელებს ქართველთაგან ყველაზე მეტად კახელებისა
ეწინოდათ და ამიტომ შესაძლოა, ალა-მაჰმად-ხანის ყველა ეს
წერილი ერეკლეს გასაბრძოლებლად შეეთხზა, — რამეთუ ქარ-
თველ მეფეს სპარსელთა ზარდამცემი კახთა ლაშქარი საომრად
ამდგარ ლეკთა საზღვრებზე დაებანდებინა და ამდენად ალა-
მაჰმად-ხანიც თბილისის კარიბჭეს უფრო თამამი ნაბიჯებით
მისდგომოდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერეკლე აშკარა, უმძიმესი ფაქტე-
ბის პირისპირ აღმოჩნდა: ალა-მაჰმად-ხანმა მცირეოდენი ჯარ
ყარაბაღში შუშის ასაღებად დატოვა, მისმა ძმებმა მუჰამედ
ერევნელს იარაღი დააყრვეინეს, „ამანათად“ ცოლ-შვილიც ჩა-
მოართვეს და ძირითადი ძალებით ალა-მაჰმად-ხანს შეუერთდ-
ნენ.

მით უფრო არავითარ ეჭვს არ იწვევდა თვით იბრეიმ-ხან-
ყარაბაღელის წერილი, რომელმაც შუშიდან საგანგებო მალე-
მსრბოლი ყაზახში აახლა ერეკლეს:

„ამით, პატივისცემით, თქვენი სიმაღლის სახელოვან პი-
როვნებას, მოვახსენებ, რომ ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი არტი-
ლერიით საქართველოსაკენ დაიძრა; თვით ალა-მაჰმად-ხანიც
მაქეთ მოემართება. ამ შემთხვეულობის გამო სათანადო სიფრ-
თხილის გარეშე არ დარჩებით. ღვთის შემწეობის იმედით
კვლავაც არ შეუშინდებით. ზეპირი მოხსენებით უფრო დაწ-
ვრილებით ამ წერილის მომართმევი გაუწყებთ ყოველივეს.
თქვენო სიმაღლე! ამასთანავე გთხოვთ ჩემი საქმის შესახებ
ყოველივე წერილობით მაუწყოთ“.

ერეკლემ ყველა წერილი, მტრისაც და მოყვრისაც, სასწრა-
ფოდ რუხეთში გაგზავნა და ისევ სასწრაფო დახმარება შეახ-
სენა სანკტ-პეტერბურგს.

ხოლო თვით ალა-მაჰმად-ხანი 35.000-ანი არმიით საქარ-
თველოსაკენ მოჰქროდა.

პ რ წ ა ნ ი ს ი

„რა სტანჯავს შენს გულს, მითხარი, მეფეე,
მოკვდავთა შორის ვინმეს ჰყავს განა
შენებრ მამაცი, მძლავრი მხედრობა?“

ბ ა კ ქ ი ლ ი დ ე

შვიდი სექტემბერი

„რა ერთსა გცემდნენ ათასნი,
ეგრემცა მოგერევიან“.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ოთხ სექტემბერს ქართველები ყაზახიდან გამობრუნდნენ. ერეკლემ „გატეხილ ხილთან“ ჯარის მცირე ნაწილი დატოვა, ხოლო დანარჩენები, სოლომონთან ერთად, სოღანლულში მოიყვანა.

შვიდ სექტემბერს ერეკლემ სამხედრო თათბირი შეჰყარა და გამოირკვა უსაშინლესი რამ: მეფის მალემსრობოლებს მთელი ქართლ-კახეთი მოევლოთ და... საომარი დროშის ქვეშ 2.500 კაცზე მეტი არ შეგროვილიყო! ხოლო, გავიხსენოთ, რომ იოანე მუხრან-ბატონს ქუთაისში სოლომონის მხარდასაჭერად, უბრალო ამაღად 4.000 ქართლ-კახელი მეომარი ახლდა. მართლაც ზღაპრად ჩანს ზოგ წყაროში ნათქვამი, — ვითომ ერეკლეს ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ 100.000-მდე ჯარისკაცის (ლეკებთან ერთად) შეგროვების იმედი ჰქონდაო, — მაგრამ სულ მცირე, 20.000 მაინც უნდა შეკრებილიყო, თუნდაც მხოლოდ ის ოცი ათასი, რომელიც შემდგომ, აღჭურვილ ძაღად, ცრემლისთხევით, თავს ადგა უკვე მკვდარი პატარა კახის კუბოს. ვითომ ლეკების შიშითაო, მაგრამ სულ ტყუილია: მთელი ამ ომის მანძილზე არსად ლეკი არ განძრეულა ქართველთა წინააღმდეგ. პირიქით, უფრო ალა-მაჰმად-ხანის სამტროდ იწვედნენ ლეკები. ირანელთა არმიის მარჯვენა კოლონაც დაღესტნი-

საკენ იმიტომ მიეშურებოდა, რომ ლეკთა ძალები ადგილზე დაეჭირა, რათა მათ ხელი არ შეეშალათ თბილისისაკენ მიმავალ ქროლავ ალა-მაჰმად-ხანისათვის. ყოველი შეტაკების დროს ალა-მაჰმად-ხანს და მის თანამოლაშქრე ჯავათ-ხანს განჯელს ქართველთა გვერდით ლეკები ელანდებოდათ. ლეკებს ქართული საზღვრებისათვის ხელი არ უხლიათ შემდგომ, კრწანისის ტრაგედიით მუხლმოკვეთილობის უამსაც კი; ხოლო საქართველოზე მტრად გადაკიდებული განჯის სახანო სასტიკად ააოხრეს და ააწიოკეს ლეკებმა.

ერთი სიტყვით, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი კახეთში უქმად იჯდა და მძლავრი ქართული ორგანიზმის მარჯვენა მხარ-მკლავი, მტერთა მზარავი კახთა ლაშქარი, გულში მახვილმოღერებული ქართული სატახტოსკენ ზურგმუქცევით იდგა.

დარეჯან დედოფალიც ხელს უშლიდა გიორგის გამოჩენას საომარ ველზე, რაკი მას „არა ენება, რათა მეფის ძისა გიორგისა დროშა პირველობდეს სამეფოში“.

ამიტომ „იყო ფრიად მწუხარე მეფე ირაკლი დიდად სიმცარისათვის სპათასა“...

საჭურისი კი მოდიოდა უზარმაზარი არმიით. იგი ოთხ სექტემბერს განჯიდან გამოვიდა, ხუთ სექტემბერს ყაზახში შემოვიდა, ექვს სექტემბერს მდინარე ალსტაფის პირზე ყაზახის, შამშადილისა და ბორჩალოს თავკაცები შეკრიბა და სიტყვით მიმართა: გავანადგუროთ და მონობის ბორკილი დავადოთ ისლამის შეურაცხმყოფელთ, მათგან ყველაზე ძლიერ ქართველებს; ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ეს ერთი მუჭა ქართველობა; მივიდეთ, მივესიოთ და ისე დავშალოთ, ვითარცა კალატონი დაშლიან ხოლმე დაძველებულ-დამძალ შენობას!

მოდიოდა ალა-მაჰმად-ხანი. მეგზურად მოუძლოდა „კავკასიელი ეფიალტე“ — იაკობ ბებუთოვი. მას გვერდში უდგა ჯავათ-ხანს განჯელი, თბილისში გაზრდილი და უფლისწულ გიორგის მეგობარყოფილი.

მოდიოდნენ უალრესი სიფრთხილითა და დაკვირვებულობით, რადგან ყველამ და ყველაზე მეტად თვითონ ხოჯა-შაჰმა და მისმა მეგზურებმა იცოდნენ სიქველე და სიკისკასე ქარ-

თველთა, ლომგულოვნება და ხერხიანობა მრავალთ მრავალი გამარჯვებებით განებივრებული მათი ხელმწიფისა.

შვიდი სექტემბრის დილას ირანელთა მეწინავე ჯარი „გატეხილ ხილს“ მოადგა.

აქ ხომ ქართველთა მცირე რაზმი იდგა ერეკლესაგან დატოვებული.

ქართველები გააფთრებით ეკვეთნენ მტერს. საშინელი ჩეხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ასიოდე კაცის გასაოცარმა შემართებულობამ ერთბაშად შეაგუბა ირანელთა მეწინავე ათასეულის მდინარება, მაგრამ ყიზილბაშთა ახალ-ახალი ათასეულები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ. ბოლოს მოახლოვდა თვით ალა-მაჰმად-ხანსი თავისი რჩეული გვარდიით, უერთგულესი თარაქამული კორპუსებით.

განახევრებულმა ქართულმა რაზმმა გაცლა ამჯობინა, ხოლო იმ პირველი შეტაკების ადგილზე ორმოცდაათამდე მოკლული და მძიმედ დაჭრილი ქართველი დარჩა.

დაღამდა.

ალგეთის ხევში დაბანაკებულმა ირანელებმა მთელი ღამე შიშსა და ძრწოლაში გაატარეს, — „ერეკლე ხანის“ უეცარ თავდასხმას ელოდნენ. ალა-მაჰმად-ხანის საგანგებო მზვერავნი ოთხივე მხრიდან თვალმოუხუჭავად და მუხლჩაუქრალად უვლიდნენ ბანაკს.

ის ღამეც გასრულდა.

რვა სექტემბერი

„ისინი სიკვდილს დაეძებდნენ სარკენალ ველზე..“

მათ ძვლებს მარმარი არ ამძიმებთ უბრწყინვალესი; სიმამაცისთვის გვირგვინი და სამკაული არს ერთადერთი

— თვით სიმამაცე!“

ანტიპატრე სადონელი.

რვა სექტემბერი კურუმის ჯანლით გათენდა ალგეთის ხეობაში, ხოლო თბილისის კოკისპირული წვიმა და ღვარნაფშვენი დააცხრა თავზე.

შეშფოთებულ, უძილარ და ნერვებაწეწილ ქალაქში ახალი, მოულოდნელი ამბავი გავრცელდა:

დარეჯან დედოფალმა, ოსეფა ყორღანაშვილის მსგავსი ნა-
ცარქეპია გულმწიკვლიანი კარისკაცებით გარემორტყმულ
თბილისის სასახლე დატოვა და მცხეთა-არაგვის გზით ანანუ-
რისკენ გაუტია. მას თან გაჰყვა მისი საფიცარი პირამო, მისგან
მეფედ გამიზნული, იულონ ბატონიშვილი და საოფლით და-
ავადებული ალექსანდრე ბატონიშვილი.

არაგვის გაუბედავს ეკითხა, რა უფლებით გაურბოდა იუ-
ლონ ბატონიშვილი კარს მომდგარ სამამულო ბრძოლას?

დარეჯანის შვილთაგან მხოლოდ ვახტანგი მოდიოდა სა-
არაგვოდან მთიელთა რაზმით, ხოლო მირიანი ისევ რუსეთში
იყო და გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად ამოო მოთმინებით და
უშედეგო სიბეჯითით აკაკუნებდა სანკტ-პეტერბურგის დიპ-
ლომატიური უწყების კარზე.

მეფის ოჯახის წასვლამ საშინელი პანიკა და არევ-დარევა
გამოიწვია თბილისის მოსახლეობაში. ამოძრავდნენ და ასისინ-
დნენ აგენანი, პროვოკატორები, მძარცველები, სულმოკლენი,
გლისპი-მზაკვარნი, ქვეყნის, მეფის მოღალატენი.

ერეკლე სამხედრო ბანაკიდან სასწრაფოდ თბილისში მივი-
და და წესრიგი ძლივს აღადგინა.

დილით ადრე, სოღანლულიდან გასვლის წინ, ერეკლემ ფა-
რეშთუხუცესი გორჯასპი ნათალიშვილი იხმო, თორმეტი რჩე-
ული ვაჟკაცი ჩააბარა და მტრის დასაზვერავად გაგზავნა.

თბილისიდან ოც ვერსზე, იაღლუჯას მთის ფერდობზე, ქარ-
თველი მზვერავები მოულოდნელად აღა-მაჰმად-ხანის რჩეულ
მრავალრიცხოვან თურქმან ცხენოსანთა რაზმს გადააწყდნენ და
უკუქცევის ნაცვლად, ფიცხლავ იერიში მიიტანეს. ირანელება
გააოგნა ათიოდე კაცის გასაოცარმა თავზეხელაღებულობამ.
თითქოს ყველა მათგანი საგანგებოდ ეძებდა სიკვდილს. განსა-
კუთრებული სიკისკასით იბრძოდა დავით თარაშვილი. ყველა-
ნი გაწყდნენ; მხოლოდ ერთმა სცნო საჭიროდ სიკვდილისაგან
თავის გაღწევა, — ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს თავის
დროზე სცოდნოდა მტრის მოახლოება და ადგილსამყოფელი.
ეს ერთადერთი იყო თვითონ გორჯასპი ნათალიშვილი, რომელ-
მაც ხმლის უკანასკნელი მოქნევით უახლოესი თურქმანი შუა-
განკვეთილი ძირს ჩამოაგდო, მის ცხენს მკვირცხლად მოახტა
და სიკვდილის ველიდან გაქუსლა.

ქართველ მეფეებს უკვე ხელთ ჰქონდათ ცნობა მტრის აღ-
გისამყოფელისა და სალაშქრო გეზის შესახებ.



იმავე რვა სექტემბრის საღამოს ირანელთა მეწინავე ათასე-
ულეები სოღანლულს მოუახლოვდნენ და მის სამხრეთით, სარ-
ვანის მინდორზე, სანგრების თხრას შეუდგნენ. მალე ალა-მაჰ-
მად-ხანიც მთელი არმიით, არტილერიითა და ალალით მოვიდა
და დაბანაკდა.

მტრის ურდო თბილისიდან ათი კილომეტრის მანძილზე
ათევდა ღამეს.

ცხრა სექტემბერი

„მათ ხომ მკლავები საშოშივე უკაედებოდათ,
უწმინდურების აღსაგველად წმინდა მიწიდან“.

შე ქ ს პ ი რ ი

როგორც კი მტკვრის ხეობას რიყრაყ-ნათელმა დაჰკრა, სა-
ჭურისმა თბილისისკენ ლაშქრობა ბრძანა. ნახევარი საათის
სვლის შემდგომ შავნაბადას მთის ძირში ირანელები ქართველ-
თა სანგრებს წააწყდნენ.

ჩასაფრებულებს ერეკლეს შვილიშვილი (გიორგის ძე),
მკვირცხლი დავით ბატონიშვილი სარდლობდა. მისი ბრძანე-
ბით, ქართველებმა მტერი ჯერ ახლოს მოუშვეს და ტყვია მე-
რეხვიით დააყარეს, მერე ხმალამოწვდილნი სანგრებიდან ამოც-
ვივდნენ და ზარდამცემი ყიყინით მტერს შეებნენ.

ირანელთა პირველი მწკრივი ჩაიკაფა და ჩაწვა. მომდევნო
რიგიც შედრკა და უკუიქცა. ალა-მაჰმად-ხანმა ახალი ძალები
ჩააბა ბრძოლაში, საშინელი ხელჩართული ჩეხვა ისევ ქარ-
თველთა უპირატესობით წარიმართა. ირანელთა მეწინავენი
ისევ გარბოდნენ ბრძოლის ხაზიდან. გაცოფებული საჭურისი
მალლობზე აიჭრა, მოპირდაპირისკენ გამხმარი, კეწეწი ხელი გა-
იშვირა და თავისიანებს შესძახა:

„ეგენი არიან ქართველები? მაგ ერთ მუჭა უბედურთ ახ-
ლავე მტკვარში გადავყრით!“

მან უკუქცეულებიც მაშინვე ბრძოლას შეუბრუნა და მთე-
ლი არმიაც შეტევაზე დასძრა.

თავდავიწყებით ბრძოლას მიცემულმა დავით ბატონიშვილ-
მა ერეკლესაგან ასკაციან მაშველ რაზმთან ერთად ბრძანებულ
მიიღო: კონტრშეტევაზე ხელი აეღოთ და დაუყოვნებლივ წა-
ნა პოზიციებს დაბრუნებოდნენ. მეფემ კარგად იცოდა, რომ
მისთვის ყოველი ასეული მეომრის დაკარგვა უფრო საბედის-
წერო დანაკლისი იყო, ვიდრე ალა-მაჰმად-ხანისათვის მისი ათა-
სეულების განადგურება.

ქართველებმა კონტრშეტევით მოპოვებული ტერიტორია
ნაბიჯ-ნაბიჯ უკანდახევით დასთმეს და კვლავ თავიანთ სანგარ-
სიმაგრეებში ჩასაფრდნენ.

შაჰმა ქართველთა სრული ამოქლეტის ბრძანება გასცა.
ირანელები კარგა ხანს საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ ქარ-
თველთა სიმაგრეებს. დავით ბატონიშვილის ბანაკი სავსებით
დადუმდა. შაჰმა დრო ხელსაყრელად ჩასთვალა და იერიშის
ნიშანი მისცა. მაშინვე მისი მეწინავე კორპუსები საშინელი
ღრიალითა და ღრიანცელით გაქანდნენ კვამლსა და მტერის
ბოლში გახვეული მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ.

მიადწიეს თუ არა, ისევ ერთბაშად და ერთხმად დაიგრი-
ლეს ქართულმა თოფებმა. ტყვიის წვიმამ მოცელა ირანელთა-
გან მეწინავენი. სანგრიდან პიზველი ამოიჭრა ხმალშემართუ-
ლი დავით ბატონიშვილი და წამსვე მის გვერდით დანარჩენე-
ბიც აღიმართნენ. ქართველები კვლავ თავგანწირვით მიეტევ-
ნენ მტერს. ირანელებმა ბრძოლის წინა ხაზზე რამდენიმე ასე-
ული მკვდარი და დაჭრილი დატოვეს და კვლავ უკუიქცნენ.
გამარჯვებით გალალებული ქართველებიც გამოედევნენ, მაგ-
რამ მაშინვე მოვიდა ერეკლეს ფიცხელი ბრძანება: დაუყოვნ-
ებლივ ხელი აეღოთ დევნაზე და უკან გამობრუნებულიყვნენ.
უეჭველად მეფე შიშობდა, ცბიერ ალა-მაჰმად-ხანს ფართო
ველზე არ გაეტყუებინა და თავისი მრავალათასეულიანი არ-
მიით ალყაში არ მოექცია ქართველთა რამდენიმე ასეულიანი
ჯარი.

ალა-მაჰმად-ხანმა მესამედ მიიტანა იერიში ქართველთა სი-
მაგრეებზე. ახლა ბრძოლაში მისი ყველაზე სანდო და ძლიერი
თურქმანული რაზმებიც ჩაებნენ.

მესამე შერკინება უაღრესად სასტიკი და სისხლიანი აღმოჩ-
ნდა. ქართველებმა პირისპირ შეხვედრაში ისევ სძლიეს რიცხ-



ვით უპირატეს მოპირდაპირეს, მაგრამ კონტრიერიში და გამო-
დევნება კვლავ უაღრესად სახიფათოდ რჩებოდა მცირერიცხოვანი
ვან მძლეველთათვის.

ის დღეც დასრულდა და ბრძოლაც შეწყდა.

ალა-მაჰმად-ხანმა კვლავ არაფერი იცოდა ერეკლეს საომარ
ძალთა შესახებ. არც ის იცოდა, ვის ებრძოდა იგი ამ დღეს,
ქართველთა მთელ არმიას, თუ მხოლოდ მის ნაწილს? ან რა
ძალა ჰქონდა და რა ამხნევებდა ამ ერთ მუქა ხალხს, ამ დღეს
რომ ასე გავეშებულად მოჰქონდა იერიშები ათჯერ უმეტეს
მოპირდაპირის წინააღმდეგ? იქნებ მართლაც სადმე დგას, ან-
და უკვე მოეშურება „ერეკლე-ხანის დიდი ლაშქარი?“ ვინ
იცის, რამდენი ქართველი და მისი მოკავშირე ჩასაფრებულა
ამ კრწანისის უთვალავ ხევსუვეშა და ღრანტეებში? იქნებ
ქართველებს მართლაც მხარდამხარ მოჰყვებიან ცქაფი ლეკნი
და „თეთრი ურუსნი“?

ათი სკამივხარი

„და მას დღესა შინა იქმნა ძლევაი
გლოვად ყოველთა ერთა“.

წიგნი მეფეთა მეორე
„რატომ არიან ერთნი ასეთნი, მეორენი
კი სულ სხვანაირნი, თუ ყველა ისინი
ერთი და იგივე საწყისებიდან არიან
წარმოშობილნი?“

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე

იმ ღამით ალა-მაჰმად-ხანმა იდუმალ რამდენიმე ათასეული
მეომარი გაგზავნა შავნაბადაზე. სათავეში მათ ჩაუყენა ყარა-
ბაღელი მელიქ-მეჩუნუმი, რომელმაც ჯავათ-ხან განჯელისა და
იაკობ ბებუთოვის მსგავსად, კარგად იცოდა თბილისიც და მას-
ზე მისასვლელი გზებიც.

მელიქ-მეჩუნუმის ამოცანა იყო, დილით ადრე შავნაბადას
ფერდობებიდან მოულოდნელად თავს დასხმოდა ქართველთა
ლაშქარს და ერთიანად ამოეწყვიტა იგი.

ქართველ მზვერავებს მტრის ძალთა გადაჯგუფება არ გა-
მოჰპარვიათ და ერეკლემაც დაუყოვნებლივ პარალელურ

კონტროლისძიებას მიმართა. დავით ბატონიშვილი ლამით, მტრისგან იღუმალ, წინადღის პოზიციიდან მოხსნა და ერთი ათასეულით და ექვსი ზარბაზნით უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე, შინდის-ტაბახმელასაკენ გაგზავნა, ხოლო შავნაბადას ბოლოში, იგივე წინა დღის ნაომარ ხაზზე, კვლავ დარჩა ქართველთა რამდენიმე ასეული ერეკლეს მეორე შვილიშვილის (ისიც გიორგის ძე), იოანე ბატონიშვილის სარდლობით.

10 სექტემბრის დილა გათენდა.

ალა-მაჰმად-ხანისა და მის ყურმოჭრილ თანასარდალთა აზრით, სწორედ ამ დღეს საბოლოოდ უნდა გამოაშკარავებულიყო „ეშმაკზე ადრე დაბადებული ერეკლე-ხანის“ იღუმალი საომარი ზრახვანი, უნდა გარკვეულიყო, მარტო იყვნენ თუ არა ქართველები და რამდენი იყვნენ, მარტონი თუ მოკავშირეთა ძალებით გამძლავრებულნი. ყველაფერი ეს უნდა შეეტყოთ და იმავე დღესვე მთელი ლაშქრობის ბედიც გადაეწყვიტათ: ან უნდა გამემარჯვნათ, ანდა, თუ ქართველებთან ერთად კიდევ „ქართულ მეომრულ სიგიჟეს“ წააწყდებოდნენ, როგორმე ნაკლებ ხელმარცხიანად ბრძოლის ველს დროზე გაჰყროდნენ და ისედაც არეული ზურგისათვის დროზე მიეხედნათ.

მაშ, გათენდა ორშაბათ-დილა.

მელიქ-მეჯნუმმა თავის ხელქვეით მყოფი ათასეულები თოთხმეტ რაზმად დაჰყო და შავნაბადას ჩრდილო ფერდობიდან დაეშვა, რათა ზურგიდან დასცემოდა მთის ძირში ჩასაფრებულ იოანე ბატონიშვილს. ირანელებმა მდინარე ტაბახმელას ანუ კრწანისის ხევი გადალახეს და ის იყო, შინდის-ოხრახევს მიადგნენ, რომ უეცრად ტაბახმელა-შინდისის მხრიდან ზარბაზნებმა დაიგრიალეს. ეს დავით ბატონიშვილი იყო. მალე არტილერიის ცეცხლს ქართველთა მძლავრი ყიყინა და იერიში მოჰყვა. მელიქ-მეჯნუმს ისლა დარჩენოდა, წინანდელ გეზზე ხელი აელო და არმია მარცხნივ, იერიშზე მომავალი ქართველი უფლისწულის საპირისპიროდ შეებრუნებინა.

ირანელთა მეწინავე მწკრივები პირველი შებმისთანავე შელეწეს და აჰუწეს ქართველმა ცხენოსნებმა. მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ რიცხვით სიმრავლე მაინც თავისას გაიტანდა. ამიტომ ერეკლემ ბრძოლაში იმერთა და ქართლელთა მაშველი რაზმი ჩააბა. ამ მრავალრიცხოვან მარქათს წინ მო-



უძღოდნენ დინჯი და ზრდილი ზურაბ წერეთელი, ახოვანი და ზავთიანი ოთარ ამილახვარი, მარდი და ხალისიანი ზაქარია დრონიკაშვილი (ლექთაგან „მიწის მგლად“ წოდებული) და გულზვიადი იოანე მუხრან-ბატონი.

მელიქ-მეჯნუმის არმია ორმხრივი ცეცხლისა და ჩეხვის ქვეშ მოექცა. ირანელთა რიცხოვრებმა უპირატესობამ მეომრული უპირატესობა სავსებით დაკარგა. ქართველებმა მათი უმრავლესობა კრწანისის ხევხუევებში ჩახოცეს და ჩაკაფეს.

თვითონ მელიქ-მეჯნუმმა ძლივს გაასწრო მისკენ გაქანებული ბატონიშვილის ხმაღს. მან მცირეთა თანხლებით მოახერხა ბრძოლის ველიდან გაქცევა.

ქართველებმა კვლავ გაიმარჯვეს.

ერთჯერ კიდევ დაქანდა ბრძოლის სასწორი საქართველოს მესისხლეთა მარცხით დამძიმებული.

მაშ, საქართველოს მრავალრიცხოვან სისხლთხევათა ემსაბრუნავში კიდევ შევიდა ერთი დიდი გამარჯვების დღე — ორშაბათი, 10 სექტემბერი 1795 წლისა.

იმ დღეს ერთი საოცარი კუროზიც მოხდა. დილით ადრე თბილისიდან ოცდახუთი ყმაწვილი კაცი გავიდა შეთოფ-შეიარაღებული. არავინ იცის, დავალებით, თუ პირადი გადაწყვეტილებით მოისურვეს ვინმე „მოენე ყიზილბაშის“ ხელში ჩაგდება. ისინი შავნაბადას მთაზე ავიდნენ და ფრთხილად გაუყვნენ მტრის ბანაკისკენ. უეცრად ბუჩქებში ცხენს მოჰკრეს თვალი, იქვე ვიდაც მცირე ტანის კაცუნა ჩაკუცქულიყო. მას სპარსულად ეცვა და ზურგით ჩანდა; გვერდით სპილენძის ალთაფა ედგა, — ალბათ წყლით სავსე, — რათა თათრული წესით „განწმენდილიყო“. ზიჰები მისკენ გაქანდნენ. კაცუნა ფეხის ხმაზე წამოიჭრა, შარვალზე ხელი იტაცა და მობრუნდა. ქართველებმა წამით თვალი ჰკიდეს მის ბებრულ დუხჭირ სახეს და შიშით ავსებულ გვესიან თვალებს. მან მაშინაღუერად აიტაცა და მკერდზე აიკრა ალთაფა. წამიერი გარინდება მაშინ დაიძვრა, როცა ამ ყვიციანმა ანთარმა უეცრად ბუჩქი იფარა, ცხენისკენ გაიქცა და თან ლოშქრიანი პირით რაღაც სპარსულად დაიხავლა. თბილისელებმა იარაღზე მოივლეს ხელი, მაგრამ მათმა თოფებმა ამაოდ იგრიალეს. სპარსელთა ჯარი თითქოს

მიწიდან ამომძვრალიყოს. ქართველი ჰაბუკები უსაზმნოდ აკედნენ ანაზდად მოვარდნილ მტერს.

ასე შემთხვევით გადაჩენილი პოპლიკა-სახიანი ქონდრის-კაცი სწორედ ალა-მაჰმად-ხანი იყო. ის ბრძოლაზე თვალის სა-დევენებლად ასულიყო შავნაბადაზე. მაგრამ რა? თვითონაც სი-ცოცხლე კინალამ დაჰკარგა და მისი წარგზავნილი ჯარებიც ქართველებმა გაანადგურეს. აგერ მესამე დღეა, ბიტორიტი-სა-ჭურისი ქართველებს ზღდება და არც ერთი დღე მის სასიამოდ არც გათენდა და არც დაღამდა. ეს მესამე დღე ხომ მაინც მის-თვის აშკარა მარცხი იყო. მერე, ისიც აშკარად ჩანს, რომ ქარ-თველების „ცბიერ ხანს“ ჯერ მთავარი ძალები ბრძოლის ველზე არ გამოუყვანია; თვითონაც ხომ ჯერ არსად გამოჩენილა ეს მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე მოთარეშე ხელმწიფე? უეჭველია, მომავალ დღისათვის რაღაც ძალიან დიდსა და სახიფათოს ამ-ზადებს ქრისტიანთა „ცბიერი ხანი“. არა, ჭეშმარიტად, არ ხერხდება დიდი ნადირ-შაჰის გაზრდილის დამარცხება; აქამ-დეც ხომ არასოდეს დამარცხებულა. უკან, ზურგშიც, ყარაბაღ-სა და სომხეთში, რომ ხომ ჯერ არ დაუმთავრებია ალა-მაჰმად-ხანს; ალბათ, ირანშიც შაჰინ-შაჰობის მოსურნენი ოცნებობენ, რათა როგორმე, ალაჰის მადლით და „ქრისტიანი ხანის“ ხელშეწყობით, იხილონ მარცხნაჰამი ყაჯართ ბელადი.

მაშ, ალა-მაჰმად-ხანს ყველა პირობის ძალით, სანამ გვიან არ იყო, უნდა გადაეწყვიტა საქართველოდან წასვლა. ყოველ შემთხვევაში, ეს მისთვის აუცილებელი იყო ჯერჯერობით მა-ინც.

და აი, მან გადაწყვიტა კიდევ ბანაკი აეყარა და სასწრაფოდ გასცლოდა საქართველოს მარადიულად მომხიბვლელ, მაგრამ მტრისათვის მარადიულად მწარე მიწა-წყალს.

მაგრამ ორშაბათის ეს დღე უცნაური და უეცარი მეტამორ-ფოზების დღედ იქცა. ხოლო უკანასკნელი მეტამორფოზი მა-ინცდამაინც ქართველთათვის საბედისწერო გამოდგა.

და საქართველოს „ბედის წიგნში“ ამნაირი ჭუჭყიანი ფურ-ცელი გადაიშალა.

ეს იყო მორიგი ღალატი. როცა საქართველოს ისტორიაში სიტყვა ღალატზე ჩამო-ვარდება, მაშინვე მხოლოდ და მხოლოდ ქართველ თავადებს



ამოიღებენ ნიშანში. რა გაეწყობა, — კიდევაც იყვნენ თავდა-
 დებულ მამულიშვილ-თავადთა შორის ცალკეული მოღალატე-
 ნი. მაგრამ ვაი, რომ ხშირ შემთხვევაში წარჩინებულ არისტოკრატ-
 რატთა გვერდით არც მდაბიო პლუტოკრატები აკლებდნენ
 ხელს. ასეთი ფეხმრუდე და გულმწიკვლიანი ვიგინდარები (გა-
 ნურჩევლად ქართველთა და არაქართველთა) ხელს უშლიდნენ
 საქართველოში ოდითგანვე მომდინარე ძმობა-მოყვრობის უბ-
 რწყინავალეს ტრადიციას. რად ჰღირს ქართველ-სომეხთა ძმო-
 ბა-მეგობრობა ქართულ მიწაზე დიდ ქართველ ხელმწიფეთა —
 დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ დედოფლისა და
 თვით ერეკლეს ხელმწიფობის უამს. მრავალი სომეხთაგანი ქარ-
 თველის გრდემლზე სცემდა უროს და ქართველ ძმათაგანს
 ხელს უმართავდა საქართველოს მტრის დასალახვრავი ლახვ-
 რის გაქედვაში. ერთად იდგნენ ისინი ქართული საომარი
 დროშის ქვეშ და ამჯერადაც ერთნაირი უღალატო გულგაუ-
 ტეხლობით ელოდნენ ხვალინდელ საბედისწერო შეტაკებას მა-
 რადიულ საერთო მტერთან.

მაგრამ მრავალათასეულის სასიკეთო საქმეს ერთი-ორი
 გულბოროტიც ადვილად წაახდენს ხოლმე. თბილისშიც მაშინ,
 მრავალ ქართველ და სომეხ მოყვასთა შორის, გამოჩნდა ორი —
 იოსებ ბებუთოვი და არუთინა (არტემა) არარატიანცი. ამათ,
 თურმე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შესძლებიათ ხელი
 შეეშალათ იმ დიდებული იდეისათვის, რასაც ქადაგებდნენ
 სომეხი განმანათლებლები: იოსებ ემინი, შაჰამირ შაჰამირიანი
 და მოვსეს ბაგრაშიანი.

ეს იყო იდეა ქართველ-სომეხთა ერთიანობისა ერეკლე მე-
 ორის ხელმწიფობის ქვეშ. შაჰამირ შაჰამირიანიმა ხომ სომეხ-
 ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს გერბიც გამოუგზავნა
 ერეკლეს ინდოეთიდან.

მაგრამ დიდ სომეხ მოღვაწეთა დიდებულ იდეათა ნაცვლად
 შარლატანი მაწანწალას ნაბოროტალი განხორციელდა.

პირველად, 1894 წელს, ჭკვიანმა სომეხმა ეპისკოპოსმა
 არისტაკე სედრაქიანმა ამხილა არტემა არარატიანცის თაღლი-
 თობა და შარლატანობა. ეს ყოფილა ქვეყნიდან ქვეყნად მოხე-
 ტიალე შარახვეტია ავანტიურისტი, რომელიც ყოველ ახალ
 ადგილზე ყველაფერს იცვლიდა: რჭულსაც, გვარსაც, ტანსაც-

მელსაც და, ვითარცა გველი, თვალის აფსკსაც კი. კავკასიაში მას ხაჩიკიანიცი ერქვა, ასტრახანში — ივანოვი და მოსკოვში — ბოგდანოვი. ხან არტემა იყო, ხან არუთინა. „გულწრფელად არარატიანიცი“ ის მხოლოდ თავის განუყრელ სახედართან იყო. სწორედ ამ სახედრისა და საკუთარი თავის გარდა ქვეყანაზე არავინ ჰყვარებია არარატიანცს. ეს ბოროტი მიზანთრობი ერთნაირი სიძულვილით ლანძღავდა სომხებსაც, ქართველებსაც და ლეკებსაც.

და 1975 წლის ავად დამდგარ სექტემბერში მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ბუნებაში: უმწეო და უჩინო მწერმა სასიკვდილოდ დაშხამა ლომი.

არტემ-არუთინ-არარატიანც, ხაჩიკიანიცი-ივანოვი-ბოგდანოვი-არარატსკიმ ერთნაირი გულგრილობით გაჰყიდა „უცხო“ საქართველოც და „მშობლიური“ სომხეთიც. მან და იოსებ ბებუთოვმა ერთნაირი გულღრძობით გაჰყიდეს დიდი ერეკლე მეფეც და მაშინდელი თბილისის დიდი მოქალაქე, „საქართველოს მეფის საზანდარი“ საიათნოვაც.

ერთი სიტყვით, იოსებ ბებუთოვმა და არტემა არარატიანც-მა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ერეკლესაგან აღამაჰმად-ხანის დატყვევებული ელჩი თბილისის საპატიმროდან გაეპარებინათ, კოჯორ-თელეთის გზა-ბილიკებით გადაეყვანათ და უკვე წასასვლელად გზაზე შემდგარი აღამაჰმად-ხანისათვის წარედგინათ.

და ირანის ბოროტმა მბრძანებელმა მოისმინა უაღრესად სასიხარულო ამბავი:

თურმე ერეკლეს ჯარი თითქმის არა ჰყოლია; არც მოკავშირენი სდგომიან გვერდით ერთ მუჰა ქართველებს — არც რუსები, არც ლეკები. ოთხი ათას მეომარსაც ვერ მოითვლიდა ქრისტიანი ხელმწიფე: ამ დღეების შეტაკებაში ქართველებიც ხომ იღუპებოდნენ. ერთი სიტყვით, ქართველთა მეფეს ახლა იმდენი ჯარისკაცი ჰყოლია, რამდენსაც არცერთი უკანასკნელი ირანელი ხელმწიფე ამაღადაც არ იკმარებდა.

აღტაცებამ ააჩქროლა საქურისის უგლიმი გული.

დაფდაფებმა და ზინზილაკებმა ხელახალი დაბანაკების ბრძანება აუწყეს ირანელთა არმიას.

აღამაჰმად-ხანმა სასწრაფოდ შეჰყარა სამხედრო თათბირი.



საქართველოს ბედისწერა მომავალ დღეს უნდა გადაეწყვიტა.

მაშ, კვლავ რისხვით მობრუნდა ისტორიის სისხლიანი საბრუნავი საქართველოს ცარგვალზე.

მაგრამ იმ დამით თბილისში საარაგვოდან ვახტანგ ბატონიშვილი ჩამოვიდა მთიელთა ჯარით.

მათ შორის იყო სამასი არაგველი.

ა ა რ თ ე ო ზ ი

„ვითარ დაეცნეს ძლიერნი და დაიღუწნეს საჭურველნი ბრძოლისანი“
წიგნი მეფეთა მეორე.
„პეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ომითა“.
ლადლო ასათიანი

ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი წლის 11 სემპტემბერი, სამშაბათი დღე — ღრუბლიან-ჯანდიანი გათენდა კრწანისის და მტკვრის შესაყარში. ჰაერი დილიდანვე იყო ჩახუთული, ხორშაკიანი.

რიყრაყისთანავე ერეკლეს ჯარი საომრად ჰყავდა განლაგებული. ძირითადი თაღბიონი კრწანისის მიდამოები იყო. მეფემ მოწინავე ლაშქრის მეთაურად იოანე ბატონიშვილი დააყენა, მის შემდგომ, ცენტრში თვითონ დადგა, მტკვარზე მიბჯენილ მარცხენა ფლანგს იოანე მუხრან-ბატონი უსარდლა, მარჯვენა ფლანგზე ზურაბ წერეთელი დააყენა იმერელთა ათასეულით, ხოლო ამათ უკან, ვითარცა სამარქაფო რაზმთა მეთაურები, ერთიმეორის გვერდით მოეწყვნენ ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი. სულ უკან თბილისის კარიბჭესთან, ნარიყალასა და მეტეხს შუა, იდგა სოლომონი იმერელთა მეორე ათასეულით. ხოლო მალლა, ხელმარჯვნივ, ძირითად ძალთაგან დაშორებით, თაბორის მთის ფერდობიდან, ისევ თავისი ნაომარი რაზმითა და არტილერიით, მტკვრის ხეობას გადმოსცქეროდა დავით ბატონიშვილი.

ნარიყალას ციხეზე არტილერიის ნაწილი იდგა გიორგი გურამიშვილის მეთაურობით.

სანამ მტერი გამოჩნდებოდა, მოხუცმა მეფემ თავის ლაშქარს ფლანგიდან ფლანგამდე ჩამოუქროლა და მამაცური მხედრობითა და ლაზათიანი მხედრული ნავარდით მეომართა გულში ისევ აღანთო საომარი ნალვერდალი.

მან მცირე ხანს ცხენი შეაყენა თავისი ვაჟიშვილის ვახტანგ ბატონიშვილის გუნდთან. აქ სულ მთიელები იდგნენ. მათ შორის — სამასი მთიელი და გუდამაყრელი — სამასი არაგველი გლეხი. წინ შვიდი ძმადშეფიცული ვაჟკაცი იდგა, მკლავი-მკლავ გადაჭდობილი.

მაშ, ესენი არიან სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი უმამაცეს მთიელ ქართველთა, რომელთა მკლავის შემწეობით ამდენი ბრძოლა მოუგია პატარა კახს — საქართველოს მტერთა ხელხვავიან შემმუსვრელს.

სამასი წყვილი გაუტეხელი არწივული მზერა შეექრა ერეკლეს თვალებს. სამასი ვაჟკაცური მკერდი და მხარ-მკლავი ერთ ურყევ-უბზარავ კედლად შეკრულიყო და შეკირთლიყო.

და სწორედ მაშინ სამასმა ბაგემ ერთხმად იქუხა სამას მკერდიდან აღმოხდენილი ფიცი, ვაჟკაცური და ლოცვისმაგვარი:

„ვფიცავ მეფეს და საქართველოს, ან გავიმარჯვოთ ან დავიხსოცოთ!“

იგრიალეს, წამსვე პირჯვარი გადაისახეს და ხმლებიც იშიშვლეს.

ანდა, იქნებ სწორედ ასე სთქვეს არაგველებმა ეს წმინდა ფიცი, როგორც იგი წარმოიდგინა დიდმა გრიგოლ ორბელიანმა:

„თუ გავიწყრება ღმერთი და ვერა განვსდევნეო
მტრის ძალი,

იყოს შერცხენილ, ვინც ჩვენგან შინა წავიდეს
ცოცხალი!“

და გარდიწერეს პირ-ჯვარი... ვაჟკაცებრ
ხმალი იშიშვლეს...“

არავენ გვამცნობს, რა უპასუხა მოხუცებულმა პატარა კახმა არაგველთა გულმხურვალე ფიცს. დასაჯერია, რომ მის თვალებს სიხარულით და მადლით საცხე ცრემლი მოადგა. სარწმუნოა, რომ სამასივე სათითაოდ მკერდში ჩაიკრა და ყოველ მათ-

განს მტერთან საომრად გადადგმული ყოველი ნაბიჯი მამაშვილურად დაულოცა. სხვა არა იყოს, იმ წინა შვიდეულ-ძმადნაფიცართა გადახვევას მაინც მოასწრებდა.

„ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუსმენია ბრძოლაში დაბერებულ ხელმწიფეს ეს საოცარი, ერთნაირი მომგვრელი და საომარი ცეცხლისმომღებები შეძანილი, შეფიცვა, თუ შელოცვა. რამდენჯერ!

ხოლო რამდენჯერაც მოუსმენია, იმდენჯერაც გაუმარჯვნია! სწორედ იმდენჯერ ამ შეძახილის პირველ სიტყვას — „გამარჯვებას“ — გაუმარჯვნია, ხოლო მეორე — „სიკვდილი“ — იმდენჯერვე დამარცხებულა!

და რაღა დღეს, ქრიტეს აქეთ 1795 წლის 11 სექტემბერს, სამშაბათ დღეს, დამარცხდება „გამარჯვება“ და გაიმარჯვებს „სიკვდილი“?... რაღა დღეს?... ნუთუ დღეს?.. იქნებ...

წუთიერი დუმილი სიმღერის, ზურნის, ჭიანურისა და ბარბით-დაირის ხმამ გაარღვია. თბილისიდან თბილისელ მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმი მოეშურებოდა. ერეკლემ იცნო რაზმის წინამძღოლი. ეს იყო დავით მაჩაბელი, „წარჩინებული მესაკრავე და მსახიობი მეფისა, მუსიკი და კომედიანტი“.

მოდით და ვით მაჩაბელი, ბარბითსა სცემდა და მოიმღეროდა. ამ სიმღერას შადიანი ერქვა — მხიარული, დარდიმანდული, ხალისიანი და ზეაღმტაცი სიმღერა — სალხინო-საქორწინოც და საომარ-ცეცხლოვანიც. მისამღერში საოცარი ზავითით ისმოდა:

„სახელოვანი სიკვდილისათვის!“

ოსან-მომღერალი დავით მაჩაბელიც თავისი რაზმით არაველეების გვერდით დადგა.

მაშ, — „ან გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ!“

მაშ, — ვიომოთ გამარჯვებისათვის, ან „სახელოვანი სიკვდილისათვის!“

მაშ, მოემზადეთ, ქართველებო!

მტერი მოდის!

ჰოი, ქართველო!

გფარავდეთ დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანის

მტერი გამოჩნდა!



მოდით, საჭურისი-ბიტორიტი, არმია თორმეტ მწყობრად დაელაგებინა; მწყობრთა შორის ზარბაზნები და ზამბულაყები ჩაემწყრივებინა. წინ სპარსელ ყიზილბაშთა ურდო მოდიოდა; მათ უკან რჩეული თურქმან-თარაქამული ჯარები მოჰყვებოდნენ. ალა-მაჰმად-ხანმა საგანგებოდ მოაწყო ასე: მან იცოდა, სპარსელებს და თურქმანებს ერთმანეთი სძულდათ; ამიტომ წინ, ქართველთა პირველ სამიზნედ სპარსელები გამოუშვა, ხოლო თავის თვისტომ თურქმანებს უბრძანა, თუ სპარსელნი ქართველთა შემოტევას ვერ გაუძლებდნენ და ბრძოლას ზურგს შეაქცევდნენ, ყველა მათგანი, „დიდი, გინა მცირე“, უწყალოდ გაეყლიტათ.

ქამად დილის შვიდი საათი იქნებოდა, როცა სოღანლულის ვიწროებში ერთურთს შეებნენ სპარსთა და ქართველთა მეწინავე ძალები.

ბრძოლა იოანე ბატონიშვილის გმირობით დაიწყო. მის ნიშანზე ქართველებმა თოფ-დამბაჩები დაახალეს ზედმომდგარ მტერს; მერე, საფრებიდან ხმალ-გაშიშვლებულნი ამოცვივდნენ და ვაჟკაცური ყიყინით მიეტევენ. სპარსთა პირველი რიგი მოიცვალა. „...და ბრძოდეს ქართველთა მეწინავენი მხედრობანი საკვირველად“. სპარსელთაგან უკვე იწყეს ბრძოლიდან გაქცევა. მაგრამ ზურგში მდგარმა თურქმანთა ტყვიამ, ხმალმა და აკინაკმა ისევ ბრძოლისკენ შემოაქცია ქართველთაგან ზარდაცემულნი. მკლავმამაცურად სჩეხდნენ ქართველი უფლისწულის თანამებრძოლნი, ასეულობით წყდებოდნენ ყიზილბაშები, მაგრამ რიგი რიგს მოსდევდა, სპარსთა უწყვეტი მდინარება არ წყდებოდა. ქართველები სანგრებს დაუბრუნდნენ და თოფის სასროლზე მტერი სამიზნედ აიყვანეს.

შაჰმა შეთხელებული ავანგარდი ახალი ძალებით შეავსო და გააძლიერა, ხოლო ქართველთა მოწინავე პოზიციას არტილერიის უწყვეტი ცეცხლი დაუშინა.

პარალელურად თაბორის მთიდანაც დაიგრიალეს ქართულმა ზარბაზნებმა. ეს ისევ დავით ბატონიშვილი იყო. ალა-მაჰმად-ხანს გუშინდელი განსაცდელი არ დაეიწყინა და თავის დროზეც უზრუნვია, როგორმე აღეკვეთა თელეთ-ტაბახმელას გასწვრივ მთათაგან მომავალი საფრთხენი. სწორედ ამიტომ გაუგზავნია მას ჯერ კიდევ ღამით სამი რჩეული ათასეული ისევ

მელიქ-მეჯნუმის მეთაურობით. დილით მელიქ-მეჯნუმი თავისი ათასეულობით უკვე მიუახლოვდა დავით ბატონიშვილის პოზიციებს. ქართველთა ახალგაზრდა სარდალმა ჯერ ზარბაზნაძე ჯერი შეაგება მტერს, მერე ცხენს მოახტა და ხმალი იშიშვლა. ქართველებიც მყისვე ამხედრებულნი და ხმალამოწვდილნი გამოენთნენ უფლისწულს. სასტიკ შეტაკებაში ისევ იძლივნენ და განადგურდნენ სპარსელნი. მელიქ-მეჯნუმმა, მცირეთ თანხლებით, ისევ გაქცევით იხსნა თავი სიკვდილისაგან.

დავით ბატონიშვილი თავის პოზიციას დაადგა. იგი ახლა კრწანისის ტაფობში ტორტმანით მომცურავ გველშაპს უთვალთვალებდა, მაგრამ მალე თვალსამზირიდან გაჰქრა მტკვრის ხეობა თბილისთან და კრწანისთან ერთად.

სქელმა ნისლმა და ჯანლმა დაჰფარა შავნაბადა, თაბორი და ტაბახმელა.

ალა-მაჰმად-ხანი კი საათ-ნახევარი უშენდა ყუმბარებს იოანე ბატონიშვილის სანგრებს. მერე ნიშანი მისცა და კვლავ ზარდამცემი ღრიანცელითა და გნისით გაქანდნენ წინ ყიზილბაშთა კორპუსები.

ისევ დაუხვდნენ ქართველები. კვლავ მრავლად ეცემოდნენ სპარსნი. მაგრამ ეცემოდნენ ქართველებიც. ეტყობოდა, სიმრავლეს მაინც თავისი უნდა გაეტანა. მისჭირდათ ქართველთ; სანგართა მეორე რიგისკენ იწყეს დახევა.

მაშინ ერთკლემ უბრძანა ძეს თვისას ვახტანგს, მიშველებოდა იოანეს.

ვახტანგ ბატონიშვილმაც იშიშვლა ხმალი და დასხლიტა ცხენი. პირჯვარი გადაისახეს და გველისპირულები გაიძირეს არაგველებმა; მათთან ერთად „ადგილსა საბრძოლელსა“ მიაშურეს ქიზიყელებმა და მაჩაბლის შადიანით ცეცხლმოდებულმა თბილისელებმა.

ქართველთა მაშველი ჯარის შეტევა ზეავის დაქანებას ჰგავდა. სპარსელთა პირველი რიგები გაკაფეს და გადათქერეს. ქართველთა ომანიან ყიყინში მკვეთრად ისმოდა დავით მაჩაბლის შადიანი. არაგველები რისხვით გატენილი მზერითა და მჭექარე შეყივლებით ჩხიბავდნენ მტერს, გველისპირულს ელვასავით იქნევდნენ და აღმედად ჰკვეთდნენ. ყიზილბაშები

ზარდაცემული გარბოდნენ, მაგრამ ზურგში ხომ თურქმანთა ხელით სიკვდილი ელოდათ.

შაჰი-საჭურისი კი არ ცხრებოდა. დორბლმორეულ მზეს და ისევ ბრძოლად აბამდა სპარსელთა ახალ ათასეულებს.

მხეცადქცეულ ადამიანთა ურთიერთჩეხვა ერთხანს ერთ ხაზზე მიდიოდა შენივთებულად. მეომრები დახოცილთა გვაგებს ედებოდნენ და ეცემოდნენ; ფეხი ცურავდა და სხლტებოდა სისხლით ატალახებულ მიწაზე; მუხლი იკვეთებოდა, მკლავი იქანცებოდა, გული ძრწუნდებოდა.

საწვიმარი მწვავე სიცხე ჩამოწვა. ჯანლიანი ჰაერი სულ შეიხუთა.

ვახტანგმა და იოანემ ერთხელ კიდევ ომახიანად შეუძახეს და მხნედ წარუძღვნენ ჯარს, დავით მაჩაბლის ხმალიც ელავდა და შადიანიც წკრიალებდა.

ისევ წინ გაიჭრნენ არაგველები. უმოწყალოდ სცელავდნენ მათი გველისპირულნი. მხარდამნარ მისდევდნენ ქიზიყელნი და თბილისელნი. გააპეს და ღრმად შეიჭრნენ სპარსელთა სქელ რიგებში. ქართველები მთელის ფრონტით გადავიდნენ შეტევაზე. განადგურებულ და გაქცეულ სპარსელთა შეკავება ვედარც თურქმანებმა შეძლეს. უკვე გაოგნებული შაჰის წინაშე ეცემოდნენ სასიკვდილოდ დაკოდელი მისი მეომრები. შვიდი ძმადნაფიცი ვაჟკაცი დაწინაურდა არაგველთაგან და პირველნი მიწვდნენ ირანელთა საომარ დროშებს. არაგველებმა მტრის მედროშენი მათი მბრძანებლის თვალწინ აღმედად გადაჰკვეთეს, დროშები დაითრიეს, ტარები მუხლის კვირისტავებზე გადაიმსხვრიეს და მახვილოსანი ლომის ღერბიანი ქსოვილები კბილებით დაფხრიწეს.

ამის შემხედვარე საჭურისის დუხჭირი სახე დაეპრანჭა, ბასილისკოსებრ გვესიან თვალეებში სისხლი ჩაუდგა, დაღმეჭილი პირიდან ცოფიანი ლოშქრი ჰყარა და იყვირა:

„სიყრმითგანვე მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამიტარებია და აქამომდე არ მოვსწრებვივარ, მტერთაგან ვისმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოს!“

იქნებ შაჰის შეპყრობასაც ფიქრობენ ეს თავზეხელაღებული ქართველები?!

უცებ საჭურისმა რომელიღაც სარდალი იხმო, — ალბათ ის,



რომლის ჭკუას და სიმამაცეს ყველაზე მეტად ენდობოდა, და უბრძანა სპარსელთა მთლიანი ძალებით განეგრძო ბრძოლა და თუ წინ წაწევას ვერ შესძლებდა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ქართველთა მძაფრი შემოტევები როგორმე შეეკავებინა.

ასეთი ბრძანება დააგდო, ცხენი მტკვრისაკენ შეაბრუნა და თურქმანებს შესჭყვივლა:

„ვისაც შაჰი უყვარს და ვაქაცობაც არ დაუქარგავს, ახლავე გამომყვეს; ხოლო, თუ მტკვარმა დამახრჩოს, ეცადენით, გვამი ჩემი მდინარიდან გაიტანოთ და მიწას მიაბაროთ!“

ეს თქვა, თარაქამულ ცხენს ქუსლი ჰკრა და მტკვარში გადაეშვა. სამი ათასი თურქმანი მიჰყვა ჭენებით. მათგან სამასი კაცის დახრჩობა შესძლო მტკვარმა, თვითონ შაჰი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გავიდა (სოღანლულის პირდაპირ), კლდოვან ნაპირზე ფეხი ვერ დაიმაგრა, მაგრამ ზემოთ ნაპირს აუყვა და ერთ ბეჭობზე მოახერხა ასვლა. სანამ დანარჩენებიც გამოვიდოდნენ და თავს მოიყრიდნენ, ალა-მაჰმად-ხანი გულდასმით ათვალიერებდა ქართველთა განლაგებებს და საერთოდ, ბრძოლის ველს სოღანლულ-შავნაბადას ვიწროებიდან თვით ნარიყალა-მეტეხის ხაზამდე. თან იგი ქართველთა მეწინავეებთან მეომარ სარდალს ხელების ქნევით ნიშანს აძლევდა, როგორმე შეტევა გაეძლიერებინა და მოპირდაპირე უკუეჭტია. როცა სამივე ათასეული შეგროვდა, შაჰმა ნაპირ-ნაპირ სვლა განაგრძო და ორთაჭალასთან ფონით მტკვარი უკანვე, ისევ მარჯვნივ, გადმოლაზა.

აშკარა იყო, საჭურისს სურდა ვახტანგ და იოანეს ჯარისათვის ზურგიდან შემოეველო და წინ გაჭრილი ქართველთა ეს ნაწილი ყოვლის მხრიდან ალყაში მოექცია.

ბატონიშვილებმა ალა-მაჰმად-ხანის განზრახვა შეიცვნეს და უკანდახევას შეუდგნენ. მათ პირველი ორი სასანგრო ხაზი გადმოიარეს და ის იყო მესამესაც მოაღწიეს, რომ ორთაჭალის ბალებიდან გადმოსულმა თურქმანთა ათასეულებმა, რომელთაც წინ თვით შაჰი მოუძღოდათ, ზურგიდან სროლა აუტეხეს. ვახტანგისა და იოანეს ჯარი, არაგველებით, ქიზიყელებითა და თბილისელებით, ალყაში მოექცა.

იმავდროულად უკვე სეიდაბადის ბალებში შემოსულმა შაჰმა არმიის მეორე ნაკადი მარჯვნივ წარმართა და ქართველთა

ძირითად განლაგებებს შეუტია; აქ მტკვრის გასწვრივ ქართველთა მარცხენა ფლანგი იდგა იოანე მუხრან-ბატონის თაურობით.



მუხრან-ბატონიც დაუხვდა მტერს.

საომარი ველი მთელი სისრულით შლიდა ფრთებს. სპარსელები უკვე სოღანლულის ვიწროებს გამოცდნენ და ფრონტი უფრო ვრცლად გაშალეს. ბატონიშვილები და მათი თანამებრძოლნი თავგამეტებით სცემდნენ ურჩხულს; ხოლო ურჩხული ისე ეცემოდა, იფლითებოდა, სისხლად იღვრებოდა, მაგრამ მაინც წინ მოხობავდა.

გავეშებით უტევდა საჭურისი მარცხნივ ბატონიშვილთა ზურგს, მარჯვნივ — მუხრან-ბატონს.

ხოლო როცა ქართველთა მარცხენა ფლანგსაც მისჭირდა, ქართველმა მეფემ ახალი ძალა (თუნდ ერთი მუჟა) ჩააბა ბრძოლაში. ახლა ერეკლე თვითონ გამოიჭრა ბრძოლის ველზე თავისი „ცენტრით“.

თითქოს მთელი მტკვრის ხეობა შეარყია პატარა კახის გამოჩენამ.

ერეკლე! რომელიც „თუმცადა იყო ფრიად მოხუცებული, გარნა ბრძოლასა მის შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელი“.

თითქოს ხერხემალში შიშის ქარმა ჩაუქროლა საშინელ დრაკონს.

თითქოს ზავთი და ლაზათი შეემატა არაგველთა საომარ ყივილს.

თითქოს ახალი ძალით აინთო მაჩაბლის ნავლდაფენილი შადიანი.

სჩეხდნენ ქართველები.

ეცემოდა ურჩხული.

მაგრამ ეცემოდნენ და იცელებოდნენ ქართველებიც.

და თბილისისკენ დაჟინებით მოიწევდა ურჩხული.

გადაიშუადლა. ჯანდიანი, ნესტიანი და ცხელი ჰაერი არ იძვროდა. წვრილი წვიმაც წამოვიდა. თითქოს მღუღარე ცვიოდა ციდან.

გონიდან გადასული მეომრები ველარ ერკვეოდნენ, თუ რა

იყო მათ ტანზე მომდინარე უსიამო, ცხელი სისველე: წვიმა,
ოფლი თუ სისხლი?!

გუგუნებდნენ ზარბაზნები.

ჭექდნენ თოფ-დამბაჩები.

წკრიალებდნენ ხმლები.

კვესავდნენ სატევრები და იატაგანები.

იარალის ზათქი და ზრიალი, ცხენთა თქარაქთური და დაჭ-
რილთა გმინვა აყრუებდა კრწანისის ველს.

ეს მერამდენედ ესმოდა თბილისის კარიბჭეებს სიკვდილის
ზარდამცემი ხმიანი?!

მერამდენედ ეგებებოდა „ბედნიერი ქართული მიწა“ უცხო
მიწიდან შხამიან გესლად მოტანილ უბეურებას?!

თოფ-ზარბაზნების მორიგმა გრიალმა შეარყია დედამიწა.

ტყვიამ უეცრად ძირს დასცა ალა-მამამად-ხანის ცხენი. მას-
თან ერთად დაეცა საჭურისიც. ფიცხლავ მოართვა ვილაცამ სა-
მაგიერო. იგი ისევ ამხედრდა და შეუტია.

ირანელთა რიგები ათეულ-ასეულობით იქლიტებოდა. მაგ-
რამ სიმცირე ურჩხულს მაინც არ ეტყობოდა.

ქართველთაგან თითო-ოროლას დაცემა უფრო შესამჩნევი
ხდებოდა. მათი რიგები შეუბრალებლად თხელდებოდა.

ერეკლემ უკან დახვევის ნიშანი მისცა. ქართველთა ცენტრი
და მარცხენა ფლანგი ნელიად უკანსვლით, ზუსტი დამიზნები-
თა და მტრის ცელვით, თავის სანგრებს დაუბრუნდნენ.

აღყაში იბრძოდნენ ვახტანგ და იოანე. თითქოს საეჭველიც
აღარ იყო მათი ლაშქრის სავსებით განადგურება.

მაგრამ ერთხელ კიდევ სძლია სიკვდილი ვაჟკაცობამ. ერთ-
ხელ კიდევ შეუტეის არაგველებმა და დაწინაურდნენ არაგვის
წყალში განათლული გველისპირულებით. თბილისის მიმართუ-
ლებით, ალამამად-ხანის ნათესავ თურქმანთა მხრისკენ, შეუ-
ტეის ქართულ მთიანეთში ნაშობმა ვაჟკაცებმა. თურქმანებმაც
ველარ გაუძლეს. ქართველებმა მათგანვე ჩახოცილ გვამთა
გროვანი გადათქერეს და ალყიდან გააღწიეს.

თავზარდაცემული, გაოცებული და გაოგნებული შაჰინ-შა-
ჰი ხედავდა, როგორ მიდიოდნენ ერთიმეორის მიჯრილ-მიყ-
რდნობით, ზურგშეუქცევლად, პირით მტრისკენ, ხმლებისა და
ფარების ქნევით, უკვე ბზარდაკრული ყიჟინითა და ბრაზიანი

სიმღერით, დაჭრილ-დაფლეთილი და სისხლდადენილი ქართველები, რომელთაც წინ უდგნენ ასევე დაჭრილ-დაკოდილი სისხლში მოსვრილი უფლისწულები — ვახტანგ და იოანე.

ასე მივიდნენ ისინი თავის მეფესთან და მის ბანაკს შეუერთდნენ.

მაგრამ რაღა შეუერთდნენ?

ბევრი შეჰკვდომოდა ურიცხვ მტერს.

ქიზიყელ და თბილისელ მეომართა უმრავლესობა გაწყვეტილიყო.

სამასი არაგველიც უკვე აღარ იყო სამასი.

მცირე ხნით შეწყდა ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა კრწანის ველზე. თითქოს, ორივე მხარე გაოცებისგან გარინდულიყო.

ირანელნი:

რა უკვდავება შესდგომოდა ამ უცნაურ ერთმუჟა ქართველთ!

ქართველნი:

ამ სპარსულ ურჩხულს, რამდენ თავს მოჰკვეთ, იმდენ ადგილზე ერთის სანაცვლოდ ასი თავი აღმოცენდება!

იმ მცირე ჟამს მხოლოდ ზარბაზნები გრიალებდნენ. აღამაჰმად-ხანის არტილერისტებს უკვე მოესწროთ ზარბაზნების ატანა კრწანისის ბაღების თავში და იქედან უშენდნენ თბილისის კედლებთან ჩასაფრებულთ. თბილისის ციხიდან საპასუხოდ ჰქუხდნენ გიორგი გურამიშვილის ქვემეხები. ხოლო მალღა, ნისლით დაფარულ თაბორიდან დავით ბატონიშვილის ზარბაზანთა ბუბუნი მოდიოდა. იქ სპარსელებს კიდევ განეახლებინათ შეტევა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა დავითმა კიდევ ერთჯერ აოტნა დიდად დაზარალებული მტერი, მაგრამ საუბედუროდ მან მაინც არ იცოდა, რა ტრაგედია ახლოვდებოდა გაუმზირალი ნისლის ზღვის ქვემოთ თბილისის კართან.

ჟამად ხუთი საათი იქნებოდა, როცა შაჰ-საჭურისმა მთელის ძალებით გადამწყვეტი იერიში ბრძანა.

ქართველებიც დაუხვდნენ „მთელის ძალებით“.

კრწანისის ველი ოძრახევის ზემო წელიდან ორთაქალის ბაღებამდე მთლიანად ირანელებით იყო ავსებული.

ერეკლეს, ვახტანგს, იოანეს და იოანე მუხრან-ბატონს რამ-

დენიშე ასეული დაქანცული და დაჭრილ-დაკოდილი მეომარი
შემოჩენოდათ.

მხოლოდ იმერთა ჯარი იყო ჯერჯერობით ხელუხლებელი:
ზურაბ წერეთელი — მარჯვენა ფლანგზე და სოლომონ მეფე
ღრმა ზურგში.

როცა ალა-მაჰმად-ხანმა მთელის ფრონტით შეტევა ბრძანა,
ერეკლემ წამსვე აფრინა მალემსრბოლი ზურაბ წერეთლისაკენ
ბრძანებით: დაუყოვნებლივ კონტრშეტევაზე გადასულიყო.

და თვითონაც დარჩენილი ჯარის ნაფლეტებით უკანასკნე-
ლად შეება მტერს.

კატასტროფის ჩარხი ელეის სისწრაფით დატრიალდა.
ერეკლესაგან წარგზავნილმა მალემსრბოლმა მარჯვენა
ფლანგამდე ვერ მიაღწია: იგი სპარსელებმა შეიპყრეს და მოკ-
ლეს.

ხოლო როცა ზურაბ წერეთელმა შენიშნა, რომ მტერი
ჩრდილო ფლანგიდან სწრაფი მარშით უვლიდა, თვითონაც
სწრაფადვე უკანდახევა დაიწყო; მას ალბათ ველარ წარმოედ-
გინა, რომ პატარა კახი ასე მცირე და გაჩანაგებული ჯარით შე-
ბედავდა კონტრშეტევაზე გადასვლას.

ერთი სიტყვით, იმერთა ჯარი და მათი სარდალი, რომლე-
ბიც წინა დღით ქართველთა საარაკო გმირობის ღირსეული
მონაწილენი იყვნენ, გადამწყვეტ მომენტში, საბედისწერო გა-
უგებრობის გამო, „საბრძოლელი თალპიონის“ გარეთ დარჩნენ.

ზურაბ წერეთელი თბილისში მდგარ თავის მეფეს, სოლო-
მონს შეუერთდა, ხოლო სოლომონმა თავისი მხედრობით მა-
შინვე იმერეთს მიაშურა, ისე რომ, არც კრწანისის საომარი
თეატრი უნახავს, არც სასიკვდილო განსაცდელში ჩავარდნილი
გმირი პაპა მოუკითხავს და არც თბილისის კატასტროფის აღ-
საკვეთად მოუვლია ხელი ხმლის ვადაზე.

ხოლო ერეკლემ არარა იცოდა, რომ მისი მარჯვენა ფლანგი
ალარ არსებობდა.

არარა იცოდა, რომ ნარიყალასთან სპარსელთა კორპუსებს
გასაოცარი ვაჟკაცობით შეკვდომოდნენ გიორგი გურამიშვილი
და მისი მეზარბაზნენი.

სეიდაბადზე პატარა კახი და მისი უკანასკნელი ქართველო-
ბა გახლებული ხმალთაკვეთებით აკავებდნენ მტრის ოკეანეს.

ერთი საათის განმავლობაში ჰკვეთდნენ, ჩეხდნენ, მაგრამ თვითონაც იკვეთებოდნენ და იჩეხებოდნენ.

საბედისწერო რკალი იკვრებოდა.

და უკანასკნელ გმირთაგან რომელიღაცამ შენიშნა, რომ მათი მეფე, პირველად მის დიდ სიცოცხლეში მხოლოდ სიკვდილსა ეძებდა, მის ღირსსაფერ, მშვენიერ სიკვდილს.

და ყველამ, როგორც ერთმა, მოითხოვა, „რათამცა მორიდოს მეფემან და არა მისცეს თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა!“

„შენ სიკვდილის ნება არა გაქვს, მეფევ ბატონო!“

„რამეთუ სადმე გეწიოს შენ შვირი ან ბოროტი რაიმე, უმეტეს განლადნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა!“

სიკვდილს გადარჩენილმა სამასიოდე ქართველმა მეფის გარშემო სალტე შეჰკრა და სეიდაბადიდან ბრძოლით უკანდახევა დაიწყო.

ერეკლემ კიდევ სამჯერ გაიბრძოლა; სამჯერ კიდევ შეძლო დაქანცულმა და სისხლდადენილმა ქართულმა გუნდმა მტრის უკუგდება.

ხოლო, თბილისში შემავალ „განჯის კართან“ ერეკლე უკანასკნელად გამოექცა თავისიანებს და უთვალავ მტერს უკანასკნელად შეუტია.

უკანასკნელად შეუტია.

უკანასკნელად ამ ბრძოლაშიც და საერთოდ მთელს მის სიცოცხლეშიც!

აქ რომელიღაც გათავხედებულმა ყიზილბაშმა გააცिया ერეკლესაგან უკანასკნელად გასროლილი ტყვია.

აქვე გაისმა ერეკლეს უკანასკნელი, სახელგანთქმული „ჰკა, მაგ წუნკლებსა!“

მაგრამ ამჯერად მხოლოდ სიკვდილისათვის!

სიკვდილმაც თითქოს არ დააყოვნა: პატარა კახი ყოველი მხრით მტრით იყო გარშემორტყმული.

მაგრამ ხომ შეიძლება სამარცხვინო ტყვეობამაც წინ უსწროს სიკვდილს!

სათაყვანო გმირსა და საძულველ მტერთ შორის გაურღვეველ კლდედ აღიმართნენ უკანასკნელი არაგველნი.

ორივე მხრიდან მიცვივდნენ მეფეს შვილი და შვილიშვილი — ვახტანგ და იოანე. მუხრან-ბატონმაც ცხენის ჯილდო უტაცა ხელი, ხოლო ზაქარია ანდრონიკაშვილმა მათრახი უჭირა ცხენს.

ასორმოცდაათი კაცი გაჰყვა ხმლის ქნევით მეფეს.

უკანასკნელად ელავდნენ არაგვისპირული გველისპირულე-ბი თბილისის კართან.

უკანასკნელმა არაგველებმა „კვლავაც მრავალნი მოსწყვიდნენ სპარსნი“.

აჰა, ერეკლემ თავისი გუნდით მიადგინა ავლაბრის ხიდს და სწორედ იმ ქაშს, სადამოს 7 საათზე, სამუდამოდ წმიდათაწმიდად აღესრულა დიდის 7 საათზე დადებული უწმინდესი ფიცი:

უკანასკნელი არაგველნი მათგანვე დაჩეხილ მტრის გვაძთა გროვაზე ესვენენ შორიდან ნატყორცინი გმურებით მკერდშელეწილნი...

საშინლად შეძრული მეფე ძლივს გაიყვანეს ხიდზე.

იგი ჩავიდა აბო თბილელის ნიშში, მუხლებზე დაეცა. ქაშ-ყანონი გადაშალა, ცრემლით დაალტო და ქვეყნის ხსნა ღმერთს შეავედრა. მერე ისევ ძალით გაიყვანეს და იმ გზით გაატარეს, საიდანაც მის დასახსნელად ყველაზე დიდი ქართველი გმირნი ჩამოსულიყვნენ, — საარაგვოსკენ!..

მახათას მთის ძირს მოატანა ერეკლემ, როცა თბილისისკ მხრიდან საშინელი, გულისშემძვრელი ქალთა კივილი, კაცთა ზმუილი და ბავშვთა წივილი გადმოსკდა ზეცას.

მეფე ისარკრულივით შემობრუნდა და დაიღრიალა:

„მე თქვენთვის უნდა მოვმკვდარიყავი და ჩემს სანაცვლოდ თქვენ იხოცებით! აბა, რაღასი მეფე ვყოფილვარ, თუკი ვერას-გზით ვერ დაგიფარეთ? არა, არა. მეც თქვენთან უნდა მოვკვდე, ჩემო შვილებო!“

შესძახა და ცრემლის ფრქვევით ისევ თბილისისკენ დასხლიტა ცხენი, მაგრამ უყელეს მისიანებმა და შებოჭილ მეფეს ისევ საარაგვოსკენ აქცევინეს პირი.

ნისლმა და ჯანლმა გადაიწმინდა.

დავით ბატონიშვილმა თაბორის მთიდან ახლა დაინახა, რა კატასტროფაც დასტყდომოდა მის სამშობლოს:

თბილისი ირანელებით ივსებოდა.

ბრაზმორეულმა და ბოლმით გულატირებულმა უფლისწულმა ზარბაზნებს საკეტები ახსნა და ხელიერთპირად ხეგმით გადაჩეხა. მერე სასწრაფოდ ქალაქს სამხრეთიდან გადაუტარა და დამარცხებული პაპის გზას გაჰყვა ანანურისკენ...

კრწანისის ბრძოლა დამთავრდა. ომის ღმერთს შეეძლო, მცირე ხნით ტკბილად ჩაეთვლიმა, უზომო სისხლით გაღეშებულს.

კიდევ ერთხელ აღესრულა სისხლიანი ზორვა ქართველთა. ჯერ კიდევ კენესოდა კრწანისის ველი, მტერ-მოყვარის გვამთა გროვებით დახერგილი და დამძიმებული,

იწვა 15.000 სპარსელ-თურქმანი.
მათ შორის მიმოფანტული 3.000 ქართველი.
ამათგან — სამასი არაგველი.

სამასი წმიდა, ღვთაებრივი გმირი.
სამასი დაღეწილი გველისპირტული.

სამასი მკერდგაბობილი და გულდალახვრული ქართველი გლეხი.

ასე პატიოსნად და წრფელად მოკვდნენ ისინი.
ხოლო „თესლი წრფელთა იკურთხოს!“

ასე მოკვდნენ, რამეთუ სამარადქამოდ უკვდავნი ყოფილიყვნენ.

იწვნენ კრწანისის მიწაზე უკვდავნი, ვითარცა „სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველნი“.

ხოლო კრწანისი იყო, ვითარცა სატანის ხელით ჩახსნილი ჩაშლილი საკინძე საქართველოს მღელვარე მკერდზე...

ხოლო 1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი, — ვითარცა დღე — ქართველთა უიღბლო გმირობის აპოთეოზით...

პრწანისის შემდგომა

Vae victis!

„დადგა იგი ყოველსა გზასა და ბოროტი არა მოეწყინა“.

ფსალმუნნი

„მე ის მესიზმრა, რომ საქართველოს
 თავით ბოლომდე ცეცხლი ეკიდა,
 თვით ჩემს სრა სახლსა — სამეფო ტახტსაც,
 მტერი სთელავდა ხალხსა ფეხითა“.

ვაჟა-ფშაველა

ციდამტკაველა საქურისი თბილისში „განჯის კარით“ შემოვიდა, აქეთ-იქით ჯავათ-ხან განჯელი და იაკობ ბებუთოვი მოჰყვებოდნენ. მათ უკან ოციათასზე მეტი ყიზილბაში და თურქმანი მოთქარუნობდა. ყველა უკლებლივ ბოროტი გულით და მძარცველური სულით გატენილი.

აბანოებთან საქურის-მბრძანებელს თბილისელი მუსულმანები შემოეგებნენ: წინ მოღები მოუძლოდნენ ყურანის კითხვა-ყივილითა და სამსხვერპლო ტარიგთა კიკინით. მიეახლნენ, ცხენის მუხლებში ჩაუცვივდნენ, „ალლაჰი-ალლაჰით“ ლოცვანი აღუვლინეს და ქართველთა სისხლში ნაბანი ცხენის ფეხები სამსხვერპლო ცხვრების სისხლით განუბანეს.

საქურისმა შემხვედრთ ბასილისკოს თვალები დააშტერა და ჯერკვლად თქვა:

„ყველამ ჩასთვალეთ, თითქოს ალაჰის სამსჯავროში მოხვედრილიყოთ; ალაჰისა, რომელსაც ყოველმა სულმა ანგარიში უნდა მისცეს საკუთარი შეცოდებისათვის“.

და დაიწყო ცოდვა-მადლის გაკითხვა „მსჯავრითა ალაჰისათა“.

დაიწყო ნამდვილი, „კლასიკური“, ყიზილბაშურ-თურქმანული ძარცვა, ნგრევა, ნამუსის ახდა, ცეცხლის წაკიდება, ტყვევნა და ხოცვა კაცთა, ქალთა და ძუძუთა ბავშვთა. დედა-

ბუდიანად ამოგდებამ და უბოროტესმა იავარქმნამ დაისადგურა საქართველოს დედაქალაქში. თბილისელები იბრძოდნენ ვაჟკაცურად და ნამუსიანი სიკვდილისათვის, ბარიკადებში იხერგებოდა ფოლორცები და ქუჩაბანდები. ანჩისხატის უბანში გარსევან ამილახერის ახალგაზრდა ცოლი ხანჯლით შეება მომხვდურ ირანელ მეთაურებს, ორი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ თვითონაც დაიჭრა. ყიზილბაშებმა შეთოკეს და ბოლოს ვიღაც დარუბანდელ თათარს მიჰყიდეს. ძალიან ბევრი თბილისელი ასეთი თავგანწირვის მსხვერპლი შეიქნა. ვინც სიკვდილით თავის დახსნას ვერ ახერხებდა, ირანელები ბორკილდადებულს მიერეკებოდნენ სოღანლუღის ბანაკისაკენ.

ჯავათ-ხანი ქართველი მეფის სასახლეში მიუძღვა ალა-მაჰმად-ხანს. საჭურისმა ჯერ გულდასმით დაათვალიერა სამეფო რეზიდენცია, განსაკუთრებით დაინტერესდა მისი მოკაზმულობითა და საღაროებით, ყველაფერი, რაც ძვირფასად მიიჩნია, სასწრაფოდ დაიტაცა, მრავლად ნაძარცვ ოქრო-ვერცხლის ნივთთა შორის აღმოჩნდა ქართველთა მეფის ხელმწიფური ინსიგნიები — გვირგვინი და სკიპტრა. ალა-მაჰმად-ხანმა ყველაფერი სათავისოდ დააბინავა და ერეკლეს ტახტზე დამშვიდებით დაბრძანდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებული ხელმწიფე სადარბაზოდ იწვევდა თავის ქვეშევრდომთ... ესენიც მოდიოდნენ, მბრძანებელს მუხლებში უვარდებოდნენ და თან თბილისური ნაძარცვის „ლომის წილსაც“ მიართმევდნენ. მართო ჯავათ-ხანმა ოცდათორმეტი მშვენიერი თბილისელი ქალ-ვაჟი მოუყვანა შაჰინ-შაჰს.

ნადავლიანი დარბაზობით ნასიამოვნებმა საჭურისმა აქ ერთჯერ კიდევ განაცხადა წინა დღეებში ნათქვამი: ჩემს სიცოცხლეში ამდენი ბრძოლა გადამიხდია და ასეთი წინააღმდეგობა არსად შემხვედრიაო.

მერე სასახლიდან გამოვიდა და ჯარს ხელახალი ძარცვა-გლეჯისა, რბევა-ნგრევის ნიშანი მისცა. თვითონ მარმარილოს ქვით ნაგებ სამეფო აბანოებში შევიდა. „სთნდა ფრიად შენებულება მისი, რომელ იყო მარმარილოთა და თლილთა მიერ ქვითა ნაშენი, და აგრეთვე დაუკვირდა სიკეთე ტფილისისა მიერ წყლისა, რომელნიც სდიან ტფილისსა შინა კლდეთაგან



ტფილისისათა ბუნებითად ტფილნი წყალნი და რაოდენ გზისმე განიბანა მას შინა“ თავისი დამქანარ-დაღმეჭილი სხეული. მერე ამოვიდა და აბანოების დანგრევა ბრძანა. ამასობაში სამეფო სასახლე სულ დაენგრია და დაექცია ირანელთა ჯარს. აღარსად იყო ლამაზი კამარედნი და აუზები. აღარც მდიდარი წიგნთსაცავები და ყველა სახის სათავსოები. ნგრევაში გაწაფულმა დამპყრობლებმა დაანგრიეს, დასწვეს და მიწასთან გაასწორეს სემინარია, სტამბა, ზარბაზნების საჩამომსხმელო სახელოსნოები, ზარაფხანა და თოფ-იარაღის საცავი არსენალები. აღამაჰმადმა არტილერიის ჩამომსხმელი და გამმართველი ქართველი ოსტატები საგანგებო სიფრთხილითა და „რუდუნებით“ გაამზადა ირანისაკენ წასაყვანად, რამეთუ მათი მეოხებით აღემალლებინა საარტილერიო ძალმოსილება თავის სამბრძანებლოში.

აღამაჰმად-ხანის მეომრები ანგრევდნენ და ბილწავდნენ ქრისტიანულ ტაძრებს, ეკლესიებს და სამლოცველო ნიშებს, უწყალოდ ხოცავდნენ ქართველ და სომეხ მღვდელმსახურთ, — მახვილებით აღმედად ჰკვეთდნენ, ანდა მტკვარში ჰყრიდნენ და ახრჩობდნენ. ყოველი ტაძრის, კერძო სახლის, თუ დუქნის ბალავერში აღაპის რაინდებს ოქრო-ვერცხლი ელანდებოდათ. ამიტომ საძირკვლებს თვითონაც თხრიდნენ, თბილისელებსაც ათხრევინებდნენ, მერე, რაკი ვერაფერს იპოვნიდნენ, შენობის პატრონებს ხოცავდნენ, ხოლო თვითონ შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ.

ათი დღე-ღამე ფერფლად და ავლად იწვოდა თბილისი, ათი დღე-ღამე იყლიტებოდნენ თბილისელები. იხრჩობოდა ქალაქი სისხლისაგან, ცრემლისაგან, ბოლმისაგან, კვამლისაგან და დაუშმარხავად დახერგილ გვამთა ხრწნადობისაგან. ათი დღე-ღამე ესვენა თბილისი ყოფნა-არყოფნის სასწორზე.

„ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად“:

უსჯულონი მაჰმადის სჯულით ძუძუთა ბავშვებს ჰაერში ისროდნენ და, ხმლის სიბასრე რომ გამოეცადათ, უშაზე სჩხავდნენ...

მეთერთმეტე დღეს აღამაჰმად-ხანი თავისი არმიით თბილის-სოღანულუდიდან გავიდა და ირანისაკენ გაეშურა. მას თან

მიჰყვებოდა აურაცხელი ნაძარცვი და ათი ათასამდა თბილისელი ტყვე, უმრავლესობა ქალი და ბავშვი.
რად აჩქარებულა საქურისი მბრძანებელი? განა ძარცვა რბევა და სისხლის თხევა მოყირჭებია?

ეროვნული
ქალაქი

ისევ სამანსო

1 საქურისი მიხვდა, რომ თბილისის აღება და აოხრება თურმე საქართველოს დაპყრობას არა ნიშნავდა. ჯერ, თბილისში შესვლისთანავე მან ერეკლეს შესაპყრობად და ქართლ-კახეთის მოსათარეშებლად რვაათასიანი კორპუსი გაგზავნა ნახჭევანის ხანის, ქალბ-ალის მეთაურობით. მცხეთაში მისვლისთანავე ირანელები ტაძრებსა და ეკლესიებს მიესივნენ, მაგრამ მათი აოხრება, ჩვენდა საოცრად, თვითონ სარდალმა არ დაანება:

„არა ჯერ არს, სადა იგი არს თაყვანის საცემელი ღვთისა შეურაცხყოფად, და არცა სამარხი მეფეთა“.

ეს უთხრა თავის კარისკაცებს ქალბ-ალი-ხანმა „და განდევნა იგინი გარე“.

ქალბ-ალი-ხანის არმიის ერთი ნაწილი გორისაკენ გაემართა. ირანელებმა გზად მუხრანი და ჭალაც გაიარეს, მაგრამ საკბილო ვერაფერი იპოვნეს: შიდა ქართლის სოფლები დედა-ბუდიანად მთებში გახიზნულიყვნენ. გორიც ევაკუირებული დახვდა მტერს, მხოლოდ გორის ციხეზე იდგა ქართველთა მცირე გარნიზონი, რომელიც ირანელებს ჩამოეგება და ფიცხელი შეტევით აოტნა ისინი. ცხინვალისაკენ გაემართნენ ირანელები. გზად ისევ დახიზნულ-დაცარიელებული სოფლები ხვდებოდათ.

ლამისყანასთან იოანე ბატონიშვილი გამოუხტათ და სასტიკად დაამარცხა სპარსელნი. ბოლოს და ბოლოს, ირანელები იძულებული გახდნენ, უკან ძლეულ-შერცხვენილად დაბრუნებულიყვნენ.

1 ირანელთა ერთი ნაწილი, თვით ქალბ-ალი-ხანის მეთაურობით, არაგვის ხეობას აუყვა. მას ხომ ერეკლე მეფის დატყვევება და საარაგვის დაპყრობა ჰქონდა დავალებული. ეინვალამდე კაცის სული არსად შეხვედრიათ ირანელებს.

ხოლო ეინვალს ამ დროს მთიდან წამოსული სამასამდე



თუშ-ფშავ-ხევსური მოადგა. მათ გვიან გაეგოთ საყვარელი მეფისა და სამშობლოს გასაჭირი და „მგლურით“ მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ.

ქინვალის მახლობელ იალაღებზე შამშადილიდან გადმონიზნული მწყემსები აძოვებდნენ საქონელს; ორასამდე შამშადილელს მათი ბელადი, ერეკლეს ერთგული ყმადნაფიცი, ალისულთანნი თან გადმოჰყოლოდა. სწორედ ამათაგან შეიტყვეს მთიდან წამოსულმა ქართველებმა კრწანისის ტრაგედიისა და თბილისის დაცემის ამბავი.

როცა ირანელთა ჯარიც გამოჩნდა, ამ სამასმა თუშ-ფშავ-ხევსურმა ალი-სულთანს სასწრაფო შეკავშირება და მტერთან საერთო ძალით შებმა თხოვა. ალი-სულთანიც დათანხმდა.

და აი, ქინვალთან ხუთასი ვაჟკაცი (300 ქართველი და 200 შამშადილელი) ოთხიათასიან ირანულ კორპუსს შეება.

სამშობლოს სიყვარულმა, მისთვის თავგანწირვამ და ვაჟკაცურმა სიქველემ ისევ თავისი გაიტანა: დამპყრობლები განადგურდნენ. გამარჯვებულებმა საყვარელ მეფეს სასიხარულო ძღვევის ამბავთან ერთად ირანელი ტყვეებიც მიჰგვარეს.

მცირე ჯარით გადარჩენილმა ქალბ-ალი-ხანმა ძლივს ჩაატანა თბილისამდე, სადაც თავის მბრძანებელს, მარცხის გარდა. ისიც შეატყობინა, რომ ერეკლე მეფე დუშეთში ქართველ მხედრობასაც აგროვებს და რუსის ჯარსაც ელოდებოა.

საეჭვოც, თთქოს, აღარაფერი უნდა ყოფილიყო, ალა-მაჰმად-ხანი გრძნობდა, რომ განკითხვის ყამი ბოროტებათათვის ყოველთა, თუ რაიმე თავდასახსნელს დროზე არ მოიფიქრებდა, — სწორედ რომ მალე უნდა დამდგარიყო. იგი დღე-დღეზე ელოდა ქართველთაგან სარევანშო შემოტევას, მთელი ღამეები არ ეძინა შეშფოთებულსა და თავზარდაცემულს. თბილისში საჭურისი ვერც თვითონ ბედავდა ღამის გათევას და არც ჯარს აჩერებდა; როგორც კი დღიურ ძარცვა-რბევასა და ხოცვა-ტყვევნას მორჩებოდნენ, მზის დასავლისთანავე სოღანლულის ძლიერად გამაგრებულ ბანაკში გარბოდნენ თავშესაფარად.

ბოლოს, ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლესთან აფრინა ელჩი, ვინმე ყარამან ენიკოლოპიანი, და შერიგება შესთავაზა. ზავის პირობებად ირანის შაჰი ქართველ მეფეს უთვლიდა: ჩემი ხელი-სუფლება სცანი, მძევლად ერთი შვილი ან შვილიშვილი მიახ-

ლე, აზატ-ხანზე წართმეული აღმასი და პოტიომკინისგან ნა-
ჩუქარი დიდი საათიც გამომიგზავნე, შენთან შეხიზნული ყარა-
ბაღლებიც გადმომეცი და, ყველაფერ ამის სანაცვლოდ,
ტყვედწაყვანილ ქართველებსაც დაგიბრუნებ, თბილისში ყო-
ველგვარ დანგრეულსა და დამწვარს ხელახლა აღვიდგენ და
ჩემს სამუდამო „დოსტადაც“ გავიხდიო.

ერეკლემ ალა-მაჰმად-ხანის ელჩი და წერილი 16 სექტემ-
ბერს მიიღო, ხოლო 17 სექტემბერს, ღილითვე თვითონ ქარ-
თველმა მეფემ ორი ელჩი აფრინა სხვადასხვა მიმართულებით:
ერთი გენერალ გულდოვიჩთან ალა-მაჰმადის „საზავო პირობე-
ბით“ და მეორე — თვით ალა-მაჰმადთან საპასუხო რესკრიპ-
ტით. ეს მეორე ელჩი იყო სუფრაჯი ქაიხოსრო ავალიშვილი,
ხოლო ერეკლეს იმ წერილში, თბილისის დამწიოკებლისადმი,
ასეთი რამ ეწერა:

„უკეთუ თავსა შენსა სპარსეთის ხელმწიფედ და მპყრობ-
ლად განაცხადებ, რაისთვის წარტყვევენ ქალაქი ჩემი და ტყვე
ჰყოფ მას შინა მცხოვრებთა, რომელთაც არარაი შეუტოდები-
ეს შენდა? და უკეთუ გენება გეჩვენებია საქმენი, რაიცა შეესა-
ბამების ხელმწიფეთა, შემდგომად ბრძოლისა გმართებდა
მცხოვრებთა მიმართ ტფილისსათა მიცემად მშვიდობისა, რო-
მელიც მოსდრეკს ყოველთა ერთა დაზავებად. აწ ისმინენ რჩე-
ვანი და განზრახვანი ჩემნი და განათავისუფლე მოქალაქენი
ჩემნი, რომელნი ტყვე უქმნიეს მხედრობასა შენსა და მაშინ
განვიზრახოთ მშვიდობისათვის და ზავისა ვითარ ჯერს არს და
სამართალ არს აღვასრულოთ ყოველივე ეგრეთ. და უკეთუ არა
ინებებ ამას, მაშინ რაოდენ ძალიდების ჩვენ მიერ ვიმეცადი-
ნებთ სარგებლობისათვის ქვეყნისა ჩვენისა, ვინაიდგან ერნი
ქვეყნისა ჩვენისანი განრისხებულ არიან ამას ზედა, იხილეს რა
თქვენ მიერ ესე ვითარისა სახითა შეურაცხება და უმჭირველო-
ბა მხედრობისა თქვენისა, აოხრება და ტყვე-ყოფნა ქალაქისა
ჩვენისა და მას შინა მცხოვრებთ. და ვაცნობებთცა მპყრობელ-
თა როსიისათა, რომელნიც ერთ სარწმუნოებითა და მეზობლო-
ბითისა მშვიდობითა ჩვენ თანა შეკრულ არიან და არა თავს
იდებენ იგინი თქვენ მიერ ბოროტისა ყოფასა ჩვენ ზედა“.

ეს ნამდვილი ულტიმატუმი იყო: თუ თბილისის აოხრებას
თავს არ დაანებებ და ტყვე-ქართველობას არ გაათავისუფლებ,

არამც თუ დაზავებაზე კრინტის დაძვრა, არაძედ, საერთოდ, ჩემი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებო. ეს უბრალო დაქადნება როდი იყო; ერეკლეს „ძალიც შესწევდა ქადილისა“; მან ხომ „მისრულმან მთიულეთს, წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა თვისსა კაცნი, რათა განემზადნენ ბრძოლად და სადაცა აღუნიშნავს მას მეფეი, შეკრბნენ მუნ“. კახთა ლაშქრით უნდა მოსულიყო გიორგი ბატონიშვილი. ხოლო ქართლის მხედრობით — იულონ ბატონიშვილი. მოსალოდნელი იყო დამხმარე ჯარის გამოჩენა „როსიიდანაც“, მით უფრო, რომ ერეკლეს უკვე მკაცრი საყვედური ჰქონდა შეთვლილი გუდოვიჩისადმი: ჩვენ რომ თქვენს დახმარებაში დაიმედებული და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით, ალა-მაჰმად-ხანის ალაგმვასა და განადგურებას სხვა საშუალებითაც მოვახერხებდითო.

დაზავებაზე ლაპარაკიც და ფიქრიც მოისპო. ალა-მაჰმად-ხანის ზურგშიც ისევ არ იყო ყველაფერი რიგზე: ყარაბაღი ისევ იბრძოდა, ხორასანშიც აჯანყება დაწყებულიყო.

ერთი სიტყვით, სანამ გვიან არ იყო, სანამ საჭურისს გამარჯვებულის ტიტულიც ხელიდან არ გავარდნია, მას უნდა გაესწრო საქართველოდან.

და გაასწრო კიდევ.

იქედნის აღსასრული

„რომელმან აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდნენ“.

მათე, XXVI, 52.

ერეკლე თბილისში ჩამობრუნდა, კარავი დაიდგა და დანგრეულ-დაფერფლილი ქალაქის აღდგენას შეუდგა.

ამასობაში, როგორც იქნა, რუსეთის საიმპერიო კარმა ყურადღება მიაქცია საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიას. გენერალ გუდოვიჩს ებრძანა, დაუყოვნებლივ გაეგზავნა ჯარი თბილისში. ამან თავის მხრივ პოლკოვნიკ სიროხნევს ათასხუთასი მემომარი და ხუთი ზარბაზანი ჩააბარა და საქართველოს იავარკმნილ დედაქალაქში გაგზავნა.

რუსული ლეგიონი 1795 წლის დეკემბერში მოვიდა თბილისს. ერეკლესათვის ეს დაგვიანებული მცირე წყალობაც დიდი იმედი იყო: საქართველოს მტრებს თვალნათლივ უნდა ეჩვენებინათ, რომ დიდი რუსეთი უკვე პრაქტიკულად კისრულობდა სისხლდადენილი ერთმორწმუნე მოძმის დაცვას.

ერეკლე მეფე სარევანში ბრძოლის სამზადის შესდგომოდა.

ქართველთა მეფემ მოღალატე ყმადნაფიცების დასჯით დაიწყო. 1796 წლის ადრიან გაზაფხულზე მან ალექსანდრე და დავით ბატონიშვილები სახელდახლოდ შეყრილი ლაშქრით განჯაში გაგზავნა ჯავათ-ხანის დასასჯელად. სამხრეთიდანაც იბრემ ყარაბაღელის ჯარი წამოვიდა განჯისაკენ. ჯავათ-ხანი ციხეში ჩაიკეტა; მისი ჯარები ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და ქალაქს ალყა შემოარტყეს. მერე თვითონ ერეკლემ გიორგი და იოანე ბატონიშვილები იახლა და განჯას ახალი ჯარითა და საიერიშო „მანქანებით“ მიადგა. ქართველთა შურისგებით დამფრთხალმა ჯავათ-ხანმა დაზავება ითხოვა და ქალაქის გასაღებიც გამოგზავნა. ქართველები განჯაში შევიდნენ. ერეკლემ ყელზე საბელშებმული ჯავათი პირადად არ მიიღო და ყოველწლიურ ხარკად თხუთმეტიათასი მანეთის გადახდა დააკისრა. საქართველოდან წაყვანილი ათასამდე თანამოძმეც გამოიხსნეს და თან წამოიყვანეს გამარჯვებულმა ქართველებმა. განჯასთან მოპოვებულ წარმატებას ქართველთათვის ახალი სასიხარულო ამბავი დაერთო. ამ ამბავს საერთო კავკასიური წინააზიური და, გნებავთ, მსოფლიო მნიშვნელობის მასშტაბი ჰქონდა.

1769 წლის გაზაფხულზე რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე ომის დაწყების მიზეზად ალა-მაჰმად-ხანისაგან საქართველოს აოხრებას აცხადებდა, ხოლო სინამდვილეში ომის მიზეზი კასპიისპირეთზე ირანელთა გაბატონებას და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიურ ინტერესთა დასუსტებას უკავშირდებოდა.

ასე იყო, თუ ისე, ირანისაგან შევიწროებული ამიერკავკასიის ხალხებისათვის „სანატრელი და საოცნებო დრო“ დადგა. რუსთა ორმოციათასიანი არმია ეკატერინეს მორიგი ფავორიტის, გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუბოვის მთავარსარდლო-

ბით შემოვიდა კასპისპირეთში. ერთკვირიანი ალყის შემდეგ, ათ მაისს, რუსებმა აიღეს დერბენდი, თხუთმეტ ივნისს რად შევიდნენ ყუბასა და ბაქოში.

კასპისპირზე მომავალი რუსთა მხედრობის პარალელურად მეორე კორპუსი რიმსკი-კორსაკოვის სარდლობით, თბილისიდან წამოსულ სიროხნევეთან ერთად, განჯას მიაღვა, ჯავათ-ხან-მაც უბრძოლველად ჩააბარა ქალაქი.

შუა ნოემბერში ზუბოვის ჯარებმა მიაღწიეს მტკვრისა და არეზის შესართავს. აქ უნდა დაარსებულყო დიდი სავაჭრო და სამხედრო კოლონია — ეკატერინონერდი, სადაც უნდა დასახლებულიყვნენ ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცები, რომელთაც ცოლად უნდა შეერთოთ ქართველი და სომეხი ქალები.

წინა აზია შეარყია რუსთა მხედრობის კავკასიურმა ლაშქრობამ. ალა-მაჰმად-ხანი სასოწარკვეთას მაინც არ მისცემია. ჯერ მან თურქეთში აფრინა ელჩი და „საერთო მტრის“ წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლა მოითხოვა. მაგრამ თურქეთის ხელისუფლებისაგან უარი მიიღო. მერე ისევ ერეკლესთან შერიგება სცადა და წერილიც ასეთი მამებლური ტიტულატურით გაუგზავნა: „უზენაესად პატივცემულო, მაღალადგილიანო, უბედნიერესო, ქართველ მეფეთა შორის გამოჩენილო, ერანის ყველა სახელოვან ხანთა შორის უპატივცემულესო, სრულიად საქართველოს მეფევე ერეკლე!..“ და სხვა მრავალი ამდაგვარი, მაგრამ „უზენაესად პატივცემულმა“ ქართველმა მეფემაც ქართველი ხალხის უბოროტესი მოსისხლე პასუხის ღირსადაც არ გახადა.

გამძვინვარებულმა ალა-მაჰმად-ხანმა იმ საბედისწერო ეპოს მაინც მოახერხა ერთჯერ კიდევ ეჭომა გამარჯვება თავის მტერთა ზედა. ეს მტრები იყვნენ თვითონ ირანში, ხორასნელები, რომელთაც სათავეში ედგათ ნადირ-შაჰის შთამომავალი ბრმა შაჰ-როხი. ალა-მაჰმადმა ხორასნელთა მთავარი ქალაქი მეშპედი აიღო, აჯანყებულები ამოწყვიტა, დატყვევებულ შაჰ-როხს მიწაში ჩაფლული აღმასის განძი ამოათხრევინა და გესლიანად მიანთხია: „შენ რომ ასეთი სიმდიდრის გამოყენება შეგძლებოდა, შაჰადაც დარჩებოდი და მეც ბოლოს მომიღებდიო.“

ალა-მაჰმად-ხანმა ხორასნის დამორჩილებისთანავე თავზე

დაიდგა სრულიად ირანის ერთმპყრობელის გვირგვინი.

მაგრამ საჭურისი-ხელმწიფის დღეები უკვე ითვლებოდა რიმსკი-კორსაკოვმა ერეკლე მეფეს საგანგებო თათბირში რადად გაუმხილა, რომ მომავალი წლის ადრიან გაზაფხულზე რუსთა მხედრობა შუაგულ ირანში შეიჭრებოდა. გენერალ ზუბოვს ირანში თან გაჰყვებოდა ქართველთა ჯარიც დავით ბატონიშვილის სარდლობით.

მაშ, რაღა გზითა და საშუალებებით უნდა გამკლავებოდა ალა-მაჰმად-ხანი უკვე ყელს მომდგარ უძლეველ საფრთხეს? დღეს თუ ხვალ მისი ავზნიანი მბრძანებლობა მის ქვეყანასთან ერთად უნდა განადგურებულიყო.

და უეცრად, კვლავ ყველასათვის სავსებით მოულოდნელად, ისევ შეტრიალდა კაპრიზი ფორტუნის ჟამსაბრუნავი. სწორედ 1796 წლის შუა ნოემბერს, როცა რუსთა მხედრობა მტკვარ-არეზის გზაკვანძზე იდგა და რუსულ-ქართულ-სომხური კოლონიაც უნდა ჩასახულიყო, გარდაიცვალა რუსეთის დიდი დედოფალი — ეკატერინე მეორე. ამის გამო ერეკლემ „დასდვა გლოვა 40 დღით საუფლისწულოთა თვისთა და სამეფოსა თვისსა“. ხოლო ეკატერინეს მემკვიდრემ, ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა საგარეო პოლიტიკის მაგისტრალური კურსი მაგისტრალურად შემოაბრუნა, ზუბოვი მთავარსარდლობიდან გადააყენა და რუსთა არმიები ამიერკავკასიიდან უკან გაიწვია. გარსევან ჭავჭავაძე უჯიათ და გულლრძო იმპერატორთან ვერაფერს გახდა; პავლემ მის თხოვნას ყურცი არ ათხოვა.

ალა-მაჰმად-ხანმა საგანგებო ფირმანებით აზერბაიჯან-დაღესტნის ხანებს შეუთვალა, რუსები ხომ გავაქციე და სანამ გვიან არ არის, ჩემი მბრძანებლობა აღიარეთო.

საჭურისმა ფირმანი ერეკლესაც გამოუგზავნა. იგი ქართველ შეფესაც არწმუნებდა, რუსები მე გავაქციე, რუსებმა აღებ-მიცემობის მეტი არაფერი იციან, საომარი საქმის არაფერი გაეგებათ, შენ კი მთელს ირანში დიდი სახელი და პატივი გაქვს და მოდი, ისევ შევერიგდეთო, და სხვა მისთანანი.

ალა-მაჰმადის ეს დიპლომატიური ნაბიჯი იმით გათავდა, რომ მისი ელჩი თბილისელებმა კინალამ დაკლეს. იქ მდგარმა რუსებმა განწირული დაიხსნეს და ერეკლეს მიჰგვარეს. ერეკ-



ლემ ალა-მაჰმად-ხანს შერიგებაზე კვლავ ცივი უარი შეუთვალა.

1797 წლის გაზაფხულზე ალა-მაჰმად-ხანმა მუქარას საქმეც მოაყოლა და დიდი არმიით ჩრდილოეთისაკენ დაიძრა. ირანელები ყარაბაღს შემოესივნენ. იბრეიმ-ხანმა ამჯერად გელარ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მან არეზზე ზიდი დაანგრია და ბელაქანში გაიქცა. ალა-მაჰმადმა არეზი გადალახა, შუშაში უომრად შევიდა. შევიდა და მოღალატე ხანების სასამართლო გამართა. ზოგი მათგანი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც ბორკილი დაადო და საპატიმროში ჩაყარა. დატუსაღებულთა შორის ჯავათ-ხან განჯელიც იყო.

ალა-მაჰმად-ხანმა ახლა კვლავ საქართველო ამოიღო მიზანში.

ერეკლე ისევ მარტოდმარტო ელოდებოდა გამძვინვარებულ მტრის ახალ შემოსევას. მეფე თბილისში თავს უყრიდა საომარ ძალებს. ქართველებს „დიდისა და საკვირველისა გულმოდგინებითა და მრავლისა განმზადებულებითა სამხედროთა საქურველთათა სურდათ ბრძოლის ყოფაი ალა-მაჰმად-ხანისა მიმართ“.

და სწორედ ამ დროს კვლავ სავსებით მოულოდნელი ამბავი დატრიალდა...

ალა-მაჰმად-ხანი შუშაში შესვლის დროს იბრეიმ-ხანის უფროსი ვაჟის მაჰმად-ჰასან-აღას სასახლეში დაბინავდა. სამი დღე-ღამე ვაატარა საქურისმა აქ. ბოლოს, ოთხი ივნისის ღამით, თავის სანთიობოში მყოფ ხელმწიფეს გარედან შემოჭრილმა ხმაურმა და აყალმაყალმა დაურღვია მყუდროება. როცა მოიკითხა, მოახსენეს, რომ რაღაც უბრალო საქმეზე ჩხუბი მოსვლიათ მის მსახურთ — სასახლის ფარეშ ხუდადადს და ტყვე ქართველს სადიდას, იგივე ანდრიას, რომელიც წარმოშობით მცხეთელი ყოფილა.

ამ სადილა-ანდრიაზე თურმე ადრეც ყოფილა ალა-მაჰმად-ხანი გაჯავრებული: სადილის დროს „ურჩმა გურჯმა“ წყალი დაუქცია მაინცადამაინც იმ ხალიჩაზე, რომელზედაც ჩვეულებრივ ლოცულობდა ხელმწიფე.

ქვეშევრდომთა თავხედობით გაცეცხლებულმა ალა-მაჰმადმა მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა, მაგრამ ისე, რომ მისი მსჯავ-

რი დილას აღსრულებულიყო, მას შემდეგ, თვითონ ხელმწიფე ჩვეულებრივ ნამაზს რომ მოითავებდა.

განწირულნი, ხუდადადი და სადილა-ანდრია., იმ ღამით შალაღელ ხანს, სადიყს შეხვდნენ და თავისი უბედურება შესჩივლეს. არავინ იცის თვითონ სიკვდილიმისჯილთა წინადადებით, თუ სადიყ-ხანის წაქეზებით, გადაწყდა ალა-მაჰმად-ხანის მოკვლა.

ღმ აი, სადილა-ანდრია ქართველი, ხუდადად-ფარეში და ლეკი საფარა ფეხაკრეფით შევიდნენ და მძინარე ხელმწიფეს ერთბაშად დაეცნენ თავს.

შესაძლოა, მართლაც მოასწრო საჭურისმა გამოღვიძება; შესაძლოა, მართლა შეპყვდრა შეწყალება გამძვინვარებულ ქვეშევრდომებს, მაგრამ როცა ანდრია მცხეთელმა მარცხენა იდლიის ქვეშ სატევარი ჩასცა, ნაკლებ დასაჯერებელია, ვითომ დაეყვიროს:

„უბადრუკო, შენ ირანი მოჰკალ!“

იგი სარეცელს დააკვდა. უმაღვე ფოლადმა გაიჩხარუნა და... საჭურისის წარკვეთილი თავიც დაეცა ძირს.

როგორც კი მკვლელებმა სადიყ-ხანს მომხდარი ამბავი შეატყობინეს, იგი მაშინვე სასახლეში შევიდა. მოკლულს თითებიდან ბეჭდები წააძრო და კეთილშობილი ქვებით მოოჭვილი გვირგვინიც დაისაკუთრა. მერე, სანამ ხელმწიფის სიკვდილის ამბავი გამჟღავნდებოდა, თავისი ჯარი აიყოლია და თავრიზისაკენ გაქუსლა.

ალა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დასცა მის არმიას. მთელი ბანაკი საშინელმა პანიკამ მოიცვა. ირანელთა მაღალი ოფიცრობა სასახლეში შეიჭრა და ძარცვა-გლეჯას შეუდგა. მეომრებიც მძარცველთა და მაროდოროთა ბრბოებად იქცნენ. დაშლილი არმია სხვადასხვა გზით გარბოდა ცენტრალური ირანისაკენ.

შუშის მცხოვრებნი მშობლიურ კერებს დაუბრუნდნენ. იბრეიმ-ხანის ძმისწული, მამად-ბეგი ალა-მაჰმად-ხანის საწოლში შევიდა. მისი თავი პარკში ჩააგდო და ბელაქანში ლტოლვილ ბიძას გაუგზავნა.

იბრეიმ-ხანმა ალა-მაჰმად-ხანის თავი მიწაზე ათრია, ფეხებით სცემა, აფურთხა და აგინა. ჭარელმა ლეკებმა არ მოუწო-

ნეს ასეთი საქციელი შუშის ხანს, მათ ალა-მაჰმადის თავი ქარ-
ში წაიღეს და ზაქათალის მეჩეთში დაფლეს.

საჭურისის ბოროტი თავის დამდაბლებას შეძრწუნებული
უცქეროდა ქიზიყელი ქანიშვილი.

ყარაბაღელი სომეხი ფრიდონ-ბეგ-მელიქი სამი დღე-ღამე
ცხენების ცვლით მიჰქროდა შუშიდან თბილისისაკენ. მეოთხე
დღეს მან ქართველთა მეფეს და მის ტანჯულ სამწყსოს ამცნო
სასიხარულო ამბავი: ცოცხალთა შორის აღარ არის ალა-მაჰ-
მად-ხან, უბოროტესი მბრძანებელი ირანისა. უსაშინლესი მო-
სისხლე ქართლოსიანთა და ჰაოსიანთა!

პატარა კახის აღსასრული

„ასე დაკრძალეს რაშთა მომთვინიერებელ ჰექტორის
ცხედარი“.

ჰ მ ე რ ო ს ი

„ჯერ არ ყოფილა და არც იქნება მოკვდავთაგან
ვინმე ისეთი, რომელსაც დაბადებითგან სიკვდილად-
ღე არა სწვეოდეს რაიმე უბედურება, და რაც უფრო
ძლიერია მოკვდავი, მით უფრო დიდი უბედურება
ხვდება მას წილად“.

ჰ ე რ ო დ ო ტ ე

„დაკებრდი, ბედს ვერ მოვესწარ, დემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ქართველები მათი მათხარი ჯალათის მოულოდნელ სიკ-
ვდილს უგემური სიხარულით შეხვდნენ, — რადგან მათ ზოდ
ძალიან „სუროდათ ბრძოლის ყოფაი ალა-მაჰმად-ხანისა მიმართ“.

რა გაეწყობა, — ქართველებს კრწანისის სისხლი აუღებელი
დარჩათ.

ირანში შაჰის ტახტზე დაჯდა ალა-მაჰმად-ხანის ძმისწული
ზაბა-ხანი, რომელმაც პაველ პირველთან მშვიდობიანი ურთიერ-
ობა გააბა. ამ რუსულ-სპარსულ დიპლომატიურ წიაღვსლათა-
გან ქართველ მეფეს ერთადერთ ნუგეშად ისღა უნდა დარჩე-

ნოდა, რომ ბაბა-ხანის ელჩმა პავლე პირველს სიტყვიერად აღუთქვა, რომ ქართლ-კახეთს ირანელები აღარ შეაწუხებდნენ ეს იყო და ეს.

განჯიდანაც შავმა ჭირმა შემოუტია საქართველოს წამებულ დედაქალაქს.

თელავის სამეფო სასახლესაც სიკვდილი მისდგომოდა.

ხოლო პატარა კახს, მისი სიცოცხლის მერვე ათწლეულის ბოლოსაც არა სცალოდა ეფექტა უკვე კარს მომდგარ ყოვლისმძლეველ და ყოვლისმსახვრალ ძალაზე.

მოხუცი მეფე თელავის სასახლეში ატარებდა თავის მრავალწლოვანი და მრავალტანჯული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. აქედან ხელმძღვანელობდა იგი დანგრეული და აზრებული თბილისის აღდგენას, აქედანვე იძლეოდა მკაცრ განკარგულებებს ქართული საზღვრებისა და მორყეული სამანების გამაგრებაზე, ხალხისა და ჯარის მზადყოფნაზე, თოფ-იარაღით, ტყვია-წამლითა და ფურაუპროვიანტით მომარაგებაზე. თვითონაც კვლავ მზად იყო, პირადად წასძლოლოდა ქართულ ჯარს საქართველოს მტერთა შესამუსვრელად.

ხოლო სიკვდილი მაინც მოვიდა მიწიერთაგან უმამაცესი კაცის მოსასრავად, კაცთაგანისა, რომელთან ურიცხვ შეხვედრაში მას — ყოვლისმძლე სიკვდილს მუდამ „პასიური ბალანსი“ ჰქონდა.

ერთი წელი საშინელი წყალმანკი სტანჯავდა მოხუც ხელმწიფეს. 1798 წლის დასაწყისი მან აგონიაში გაითენა. იმ დღეებში გიორგი ბატონიშვილი ეწვია მომაკვდავ მამას. ერეკლემ ძალიან გაიხარა; კიდევაც მოიწინა; ფეხზედაც წამოდგა. მერე, უცებ მამა-შვილურ გულჩვილობას გამოეხსნა და წამსვე ტახტის მემკვიდრე (რომელიც სულ მალე მეფედ უნდა მობრუნებულიყო) თბილისსა და ყაზახ-ბორჩალოში გაგზავნა იქაურ საქმეთა სახელმძღვანელოდ.

1798 წლის 11 იანვარი გათენდა.

წუხილით შეპყრობილი თეიმურაზ ბატონიშვილი ხედავდა, როგორ მიდიოდა მისი დიდებული პაპა სიკვდილის საუფლოში. შუა დღისას ერეკლემ გრძნობა სავსებით დაკარგა. სამა საათის განმავლობაში იგი უძრავად და უსულთქმოდ იდო.

მზე ჩავიდა, დაღამდა.

მეფემ თითქოს იგრძნო სამარადქამო მწუხრის საშინელი
სუნთქვა, და მან ერთჯერ კიდევ გაიბრძოლა, — ძლევად მისი
განვე მრავალგზის ძლეულ სიკვდილინად.

სარეცელიდან წამოიწია პატარა კახმა.

თეიმურაზი მივარდა; წამოდგომას არ ანებებდა. მაგრამ
შეუვალი იყო მომაკვდავი ხელმწიფის უკანასკნელი სურვილი:
უკანასკნელად მოევლო თვალი ამაგდარ მეფეს უსაყვარ-
ლესი სამშობლოს ცის და მიწისთვის.

მხრებში შეუდგნენ და გარეთ გაიყვანეს.

ერეკლე მდუმარედ გასცქეროდა წყვილადში ჩაფლულ ქვე-
ყანას.

მთელი მისი წუთისოფელი წყვილადს ებრძოდა და მაინც
წყვილადის უამს ეთხოვებოდა თავის სამშობლოს.

ბნელოდა და არავის შეეძლო დაენახა (ან თუნდაც ეგრძნო)
ცრემლი დიდებული მოხუცის თვალზე.

მხოლოდ ის იგრძნეს, რომ სიკვდილი უკვე საბოლოოდ
ყო წვეული.

შინ შეიყვანეს და დააწვინეს.

მან თვალეები დახუჭა და... დაიძინა.

უკვე სიკვდილის საუფლოში ეძინა.

მაშ, იყო 1798 წლის 11 იანვარი, როცა ერეკლე მეორე, პა-
ტარა კახად წოდებული დიდი ხელმწიფე, მიიცვალა თელავის
სასახლის იმავე პალატსა და სარეცელზე, რომელშიც და რო-
მელზეც დაიბადა იგი 1720 წლის 7 ნოემბერს.

მაშ, მოკვდა მეფე ერეკლე და საქართველოს „შეხსნა რკი-
ნის კარია“.

აუარებელი ხალხი მოაწყდა თელავის სასახლეს. ქართვე-
ლობას თითქოს მართლა არ სჯეროდა საყვარელი მეფის სიკ-
ვდილი, თითქოს მხოლოდ ძილი მოჰრეოდა აურაცხელ მტერ-
თან ნაომარ და ნაჯაფარ მამას სამშობლოსას. ყველას უნდო-
და მისი ხილვა, მისი დატირება, მასთან გამოთხოვება.

მეფის ცხედარი თელავის სასახლის მთავარ პალატში ესვე-
ნა, ძოწითმოსილ ამბიონზე. ხელმარჯვნივ მისი ხელმწიფური
ინსიგნიები ელაგა, ხელმარცხნივ — დედოფლის სამკაულები.
დარბაზის ერთ მხარეზე, მგლოვიარე დედოფლის უკან, თეთრ-
საბურვლიანი სეფექალები იდგნენ, ხოლო მათ პირისპირ, მეო-

რე მხარეს — კარისკაცები, გადამსხვრეული კვერთხებით
ხელში.

ეროვნული
გზაობა

ოციათასი ქართველი ვაჟკაცი, საომარი აღჭურვილობით
აღკაზმული, საპატიო ჯარკრებულად უდგა ხელმწიფეს.

ეზოში ერეკლეს ცხენი იდგა, სამგლოვიაროდ მორთული,
უკულმა აღკაზმული. იგი თავშიშველ და მიწაზე მორთხმულ
მეუზანგეს ეჭირა ხელში.

უნაგირზე ქარქაშიდან აღმოხდენილი ხმალი ესვენა. ერეკ-
ლეს ხმალი!

ელავდა წარწერა ხმალზე:

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

სასახლიდან გაბმული ტირილი, მოთქმა, ზარი და ზუნი ის-
მოდა. ტიროდა ყველა, დიდი და მცირე, ქალი და კაცი, ბავშვი
და მოხუცი.

მოდითდნენ მგლოვიარე ქართველები, ერეკლეს თანამებ-
რძოლი ვეტერანები, მისი გმირობისა და სიჩაუქის თანაზიარნი
და თვალთმხილველნი; მოდიოდნენ, მეფეს უკანასკნელად ეახ-
ლებოდნენ, უკანასკნელად ეთხოვებოდნენ.

გლოვობდა საქართველო.

მაგრამ „სახლსა სადავითოსა“ გლოვა-გოდების წიაღში
კვლავ უღრღნიდა საძირკველს ძველი კითხვა: ვინ იქნება
მპყრობელი და მეუფე ამა ქვეყნისა? აი, ეს მგლოვიარე დედო-
ფალი და უფლისწულები ერთის წუთითაც არ ივიწყებდნენ
სწორედ ამ ძველთაძველი, პატივმოყვარული ქანგიით შეჭმულ
კითხვას: რანი ვიქნებით, ან რა გვერგება შემდგომად ერეკლეს
სიკვდილისა?

როცა თელავში გიორგი ბატონიშვილი უკვე ქართლ-კახე-
თის მეფედ წოდებული შემოვიდა, დარეჯანმა წინააღმდეგობა
სცადა და აშკარად გამოაცხადა, მე ეკატერინე მეორესავით
მინდა ვიდედოფლოო.

მერე დარეჯანმა მოითხოვა: გიორგის შემდგომ ეკლესიაში,
გიორგის ცოლი კი არა, მე მომიხსენიონო, მაგრამ ამაზედაც
ცივი უარი მიიღო და ისლა დარჩენოდა, ისევ დროისათვის და-
ეცადა, ამიერიდან „დედოფალი დარეჯანი და შვილნი მისნი,
არამოსურნენი მეფისა და გიორგისა, მეცადინებდნენ იღუ-
მალ, რათა სიტყვითა და საქმითა აღაფუონ შფოთი, ურჩება და
უწყესობა...“

ასეთი უმსგავსო საზრუნავი გასჩენოდა ერეკლეს სამეფო სასახლეს, როცა მისი ცხედარი ჯერ კიდევ სავსებით არ გავებულებოდა.

ერეკლეს გულწრფელად მისი მადლიერი ხალხი გლოვობდა, — მისი მამულიშვილური ღვაწლის დამფასებელი „დიდი და მცირე“ თანამემამულენი.

მართლაც და, ქართველი ხალხის ჭეშმარიტ შვილთა გლოვის დიდი სიმბოლიკაა ორი მაგალითი — ორი დატირება ერეკლე მეფისა.

ერთი მათგანი არის უბრალო „მდაბიოთა ერისაგანი“, ქიზიყელი ქართველი დედაკაცი. გასაოცარი ყოფილა ქართველი ქალის ტირილი ქართველთა სათაყვანო მეფისადმი. ვის არ დაუტირებია და მოთქმით შეუშკია იმ საყოველთაო გლოვის დღეებში მეფე ერეკლე, მაგრამ ამ „უაზნო“ ქალის დატირებას ყველა დაუჩრდილავს და ყველა განუცვიფრებია. „ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა მიერ და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ სოფლელმა დედაკაცმან დაიტირა გვარი დიდებულისა მეფისა“.

მეორე დამტირებელი კი იყო „დიდთა ქართველთაგან“ — მეფის საყვარელი „მსაჯული“, ჭეშმარიტი ქართველი დემოსტენე, სოლომონ ლიონიძე.

სოლომონის სიტყვა — „მოთქმითი ტირილი საქართველოს მეფის ჰერკულესს, ნეტარების ღირსისა“ — იყო ჭეშმარიტი გვირგვინი ქართული ეროვნული გლოვისა და ურვა-წუხილისა;

„ჰოი, იგლოვეთ, ნათესაგნო ქართლოსისანო, იგლოვე, სახლო სადავითოვ!“

დღეს ქვეყანა, მწუხარების ტახტსა მჯდომარე, ფასდაუღებელ სისხლსა სწირავს ივერიელთა გვარისსა. დღეს ზეცა მეშურნედ და მესისხლედ დასცემია დედამიწას: ცამან წარსტაცა დედამიწას სიმდიდრე, ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მხედართმთავართ — მთავარსარდლობა, გვირგვინოსანთა — გვირგვინოსანი უბრწყინვალესი.

ისმინეთ ესე სასმინარი თავზარდამცემი: მოკვდა ერეკლე, უღიადესი ჰერკულესი, უძლეველი მძლეთამძლეველი მეფეთა შორის და მზისა ქვეშე!

იგლოვე, სახლო სადავითოვ!

აქამდე მეფე ერეკლე, მტერთა ჩვენთა მყირვალი, ლაშქერი-



და სამთა ქვეყანათა: ოსმანთა, სპარსთა და კავკასიანთა; დღეს კი მარტოდმარტო ილაშქრებს იგი ციურ მნათობთა წინაშე მდევ. ჰერკულესი და აქილევსი მოკვდავნი იყვნენ, ხოლო ესე, პატრონი ჩვენი, მეფე უკვდავი, უკვდავთა ძალითა სძლევდეს ციურთა ძალთა და აგრე განვლოს სამყარონი ცათა.

ნათესავნო ქართლოსიანნო, თუმცა დააკლდით მამასა და სახსოვარსა მეფე-პატრონსა, გარნა კმაროდა თქვენს სადიდებლად საქმენი მისნი: ვიდრემდის ცოცხლობდა, ადიდა სახლი ქართლოსიანთა, ადიდა გვარი ქართლოსიანთა, ადიდა სიმხნე ქართლოსიანთა და აღვიდა ანგელოსთა ღვთისა თანა, — გარნა აქაცა და მუნ ცოცხალ არს იგი.

რად სტირით ძენო, ოზოლნო მამისაგან, ან შენ, სახლო სადავითოვ?!

დიდი მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამალღებულო სახლო, წმიდისა ქეთევან დედოფლის სისხლით ცხებულო სახლო, შენს კედლებში სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ ერეკლეს შობაზე იხარებდნენ. შენს საწოლში ერეკლეს სადღესასწაულო შობას ადიდებდნენ, შენს მეჯლისში ერეკლეს ყმაწვილკაცობა ქვეყანას აკვირვებდა, მისი სიჭაბუტე ქვეყნის ძლიერთ სჯაბნიდა; შენს მეჯლისში ერეკლეს ტახტზე ჯდომა იხილვებოდა, იმისი ხელმწიფურ-დარბაისლური ხუმრობა მიმოითქმოდა, მისი მრავალსაგალობელი სადღეგრძელო ისმოდა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

თუ ოსმანნი შეჰბედავენ შენს საყდარსა სამეფოსა, ნურას ინაღვლი, ოღონდ ერეკლე სიმრთელით ბრძანდებოდეს. მან ხომ ხერთვისის და ასპინძის სისხლში ნაწრთობი ხმალით ზვანთქარს სპარსეთის ხელმწიფე ქარიმ-ხანთან საჩივარი მიაწერიდა: — მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ქარიმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ზვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლაო!“ და მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

თუ სპარსნი შეჰბედავენ შენს უმაღლეს ტახტს, ნურას ინაღვლი, ოღონდ ცოცხლობდეს საუკუნოდ ყოველ მეფეთა შარავანდედი — მეფე ერეკლე. მან ხომ საქართველო ნადირ-ავშა-



რისგან გამოიხსნა. ხოლო აზატ-ხან ათასი ერთით გააქცია. პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორემ ასე დაწერა: „ვეროპაში მე ვერ და აზიაში — ერეკლე, ქართველ-გეორგიანთ მეფე“.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

ვინემდის მეფე ერეკლე საქართველოს მხედრობას წინ მიუძღვის, ვის შეუძლია შენი დამარცხება?! ვიდრემდის ერეკლეს სახელოვან სასახლეს დიდი რუსეთიდან ლაშქარი გამოჰყავს, ვის შეუძლიან შენი დამდაბლება?! როდესაც მეფე ერეკლეს პედნიერი დროშა გაიშლება, დაღესტანელნი ლაშქრად მობიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფე ერეკლეს წინ სისხლის დათხვას ხალისობენ.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?!

როცა მეფე ერეკლეს ბედნიერ ტახტზე ჯდომა გელირსა, ყოველს წინა საუკუნეზე უფრო იდიდე, უფრო ამაღლდი, უფრო გაბედნიერდი; ცანი ქუხილით გრგვინავდნენ შენი ძალმოსილების წინაშე, სფერა დედამიწისა თრთოდა შენს ფერხთა ქვეშე.

მაგრამ, ვაი თუ შენი დიდება, მეფე ერეკლე, საფლავად მიეცვალოს! ვაი თუ საქართველოს საფარველად გარდახურული ერეკლეს დროშის კალთები აგვეხადა! ვაი თუ ზეცამდე ამაღლებული მისი თავი და დედამიწაზე დაუტეველი მისი მზერა საფლავის სიდრემე ჩაიმარხოს.

ის ძლიერი თვალები, რომელთა ზევით ახედვა ცაებს აჰყევდა, ძირს დახედვა დედამიწას გულს გაუხსნიდა, სფერა ქვეყნისა ერთს გუგაში გარეშეეცვა და ცასა და დედამიწას ორ ფურცლად კითხულობდა, — ვაითუ საკვდავად დაერულოს!

ვაითუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხმლის ვადაზე დადებდა სიკვდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულს დაჰკრეფოდეს!

ვაითუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთა სამწიგნობრო სახელი „მეფე ერეკლე“, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ძილს უჟარგავდა, — ამ სადღესასწაულო სახელის ცოცხლად მოხსენიებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

ცა და ქვეყანა მეფე ერეკლეს მახსოვარი არიან; მზე და მთოვარე იმის ბედნიერ ლაშქრობებში ხანდაზმულნი არიან;

დღისით მზე იყო მეწინარე სარდალი და ღამით მთოვარე; ეხენი ერეკლეს გამარჯვებულ დროშას წინ მიუძღოდნენ; მტერთა სისხლით შეღებილი მთა და ბარი ერეკლეს სახელს მოუთხრობენ...

იგლოვდი, დედამიწავ, რამეთუ სიმდიდრე გრძნობადთა და საცნაურთა — მეფე ერეკლე — შენს სიღრმეში ჩაჰფარე!

განკრთი, განცვიფრდი, სტიროდე, ცაო, რამეთუ შენი მნათობ-ვარსკვლავთა მხედველი მეფე ერეკლეს უმაღლესი თვალეზი საუკუნოდ დაბნელდა!

დაბნელდი, მზეო, რამეთუ დაბნელებით შეგიძლია იჭირისუფლო, რამეთუ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალეობას ველარა ჰხედავს!

დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მეფეს, პატრონს და საზოგადო მამას. დავსტირით ძლიერსა და მხნე მამაკაცსა. აღარა გვყავს მეფე ერეკლე: თავი — გამგებელი ერისა, ხელი — მზრდელი ობოლთა, მკლავნი — მომგერიებელნი მტერთა...

სად არის, ხელმწიფე, შენი ხელმწიფური განგება?! სად შემოიხსენ ხმალი, რომლის გამარჯვებანი რიცხვით ხსოვნას ასცილდა?! რად შემოსწყერ სახელოვანსა დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა... სადაა მეფე, რომლის უძლეველობის ამბავი ზეცის კალთებზე იბეჭდებოდა?!

რად აღიდე, ხელმწიფეო, სახლი უმაღლესი, თუკი მას საუკუნოდ დატოვებდი?!.. სად ამიწებ გვირგვინოსან შენს უმაღლეს თავს?! სად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც ცაში ფრინველთ ფრთას შესტაცებდი?! რად ასწავლე საყვარელ ქალებს საქალო კრძალულება, თუკი თმაგაშლით ატირებდი?! რად გააღალე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუკი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი?! რად გვასწავლე მხედრული ვაჟკაცობა, თუ შენს წინ სისხლს არ დავგაქცევინებდი?!

მოწყალით და მეფე ერეკლეს უმაღლესი ცხედრის ფიც-რად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფე ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს...

ხელმწიფე მფლობელო, საზოგადო მამავ, მეფე ირაკლი! ვის მივსცე შენი უმაღლესის თავისა და ტანის ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკვდე?!

ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმან?!“

ორმოცი დღის გლოვის შემდეგ საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში გადაასვენეს.

სვეტიცხოველში, საქართველოს სამეუფო პასტოფორიონში, დიდი ვახტანგ გორგასალის გვერდით დაკრძალეს „ცხელი გული საქართველოსა“.

კრწანისიდან მცხეთისაკენ სამას არაგველთა აჩრდილნი მიეშურებოდნენ.

პატარა კახთან სათათბიროდ მისწრაფოდნენ...

მინაწერი

• • • • •
მზემ გამოანათა და მცხუნვარედ დააცხრა სისხლით დაორთქლილ დედამიწას.

მამულიშვილთა სისხლი აკრიფა.

აკრიფა და შესვა დიდი, „მზიური წყურვილის“ დასარწყლულეზლად.

შესვა, რათა მზის სხივებად გარდასახული სისხლი ქართველთა ისევ ქართულ მიწაზე გადმოეღვარა საქართველოს ასაღორძინებლად...

კარი პირველი

არგონაველები

დედინაცვალი

ოდესღაც შუა საბერძნეთში, ბეოტიის ქალაქ ორქომენში, მეფობდა ათამასი.

ათამასს შეეყვარდა ღრუბლების ქალღმერთი, მუდამ ნადვლიანი ნეფელე, რომელმაც სიყვარულითვე უპასუხა სახელოვან მეფეს.

მალე მათ მშვენიერი ქალ-ვაჟი შეეძინათ. ვაჟს ფრიქსე დაარქვეს, ქალს — ჰელე.

განვლო დრომ. ფრიქსე და ჰელე წამოიზარდნენ.

ხარობდნენ მშობლები.

მაგრამ ოჯახს უბედურება ეწვია: ათამასმა ნეფელეზე გული აიყარა და სხვა ქალზე დაქორწინდა. ეს ქალი იყო ინო, ქალაქ თებეს სახელოვანი მეფის კადმოსის ასული.

ათამასის ღალატით აღშფოთებულმა ქალღმერთმა ორქომენის სასახლე მიატოვა, ზეცას დაუბრუნდა და თავის მუდმივ სამყოფელ ღრუბლებში გაეხვია.

ფრიქსე და ჰელე დედინაცვლის ხელში დარჩნენ. ინომ ობლები მოსვლისთანავე აითვალწუნა და შეიძულა. დაძმა თავს არ იზოგავდა, იქნებ დედინაცვლის გული მოვიგოთ და თავი როგორმე შევავყაროთო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.



დედინაცვალი გერ ქალ-ვაჟზე კიდევ უფრო გაბოროტდა, როცა მას ათამასისაგან ორი ვაჟი შეეძინა — ლეარქე და მელიკერტე. სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ფრიქსე ითვლებოდა და თუ ის ცოცხალი დარჩებოდა, ინოს ვაჟებს გამეფების იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ. ამიტომ დედოფალი ცდილობდა, ფრიქსე თავიდან მოეშორებინა.

ინოს სილამაზით დატყვევებული და დაბრმავებული ათამასი ვერ ხედავდა, რა საფრთხეში ვარდებოდნენ მისი უფროსი შვილები.

ერთ დღეს დედოფალმა ინომ თავისი ერთგული ქალები მოიხმო და მთელი ქალაქის სათესლე ხორბალი საიდუმლოდ მოახალგინა. გაზაფხულზე ორქომენელებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ხნულში თითქმის დამწვარი თესლი ჩაჰყარეს. როგორ განცვიფრდნენ და შეძრწუნდნენ, როცა ნაყოფიერი ხობაბუნებიდან ჯეჯილი აღარ ამოვიდა! მთელი ელადა შეარყია ამ საშინელმა ამბავმა. საბერძნეთი ჯერ ისედაც პურიტ დარიბი ქვეყანა იყო; ყველაზე მეტი მოსავალი ისევ თესალიისა და ბეოტიაში მოდიოდა. მაგრამ აი, რალაც ღვთის წყრომით, ამიერიდან ჭირნახული აღარც ბეოტიაში — ორქომენში მოვიდოდა!

ორქომენელთა ოჯახებში შიმშილი ჩასახლდა.

შეშფოთებული ხალხი სასახლეს მიაწყდა და მეფეს შველა სთხოვა.

რის გაკეთება შეეძლო ათამასს? რა გზით უნდა გადაერჩინა თავისი ხალხი შიმშილით სიკვდილისაგან?

ასეთი საფრთხის, ან სხვა რაიმე დიდი საქმის გადასაწყვეტად ბერძნები მიმართავდნენ და რჩევას ეკითხებოდნენ მისანს, წინასწარმეტყველს.

მაშინ მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მისანი შუა საბერძნეთში, ფოკიდაში იყო. აქ, ქალაქ დელფოში, პარნასის მთის კალთაზე ბრწყინავდა სინათლისა და ხელოვნების ღმერთის აპოლონის ტაძარი.

ბერძნებს სჯეროდათ, რომ ოდესღაც ღმერთთა მთავარმა, ყოვლისმძლე ზევსმა, დედამიწის ორივე კუთხიდან ორი არწივი ამოაფრინა. ის არწივები ერთმანეთს შეხვდნენ იქ, სადაც ახლა

დელფოს ტაძარი იდგა. ამიტომ ამ ადგილს ბერძნები მსოფ-
ლიოს ომფალოსს — ჭიბს უწოდებდნენ.

აპოლონის ტაძრის მახლობლად, დაბურულ ხეობაში, დღემლოების სიბნელით დამძიმებულ მიწის ნაპრალში იდგა მისანი, აპოლონის ქურუმი ქალი პითია.

აუარებელი ხალხი აწყდებოდა აპოლონის ტაძარს. ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოდიოდნენ შესაწირავებით დატვირთული ბედისმადიებლები, მეფეები, სარდლები, კანონმდებლები, ბრძელები, ყრუ-მუნჯები, უშვილო დედაკაცები, სულით ავადმყოფნი, საყვარლის გულის მადიებელნი, სიზმრებით შეშფოთებულნი და უთვალავი სხვადასხვა სახის მორწმუნენი. ყველას უნდოდა საკუთარი ან თავისი ქვეყნის ბედი გაერკვია, რჩევა-დარიგება მიეღო და საქმისთვის ეშველა.

ყველაფერი ეს პითიას ხელში იყო. მისი სიტყვა ღვთის სიტყვად ითვლებოდა. ის ღმერთთან საუბრობდა და ამით ადამიანისა და ქვეყნის ბედ-ილბაღს წყვეტდა.

პითია ჯერ შესაწირავებს შეიტანდა ტაძარში და შემდეგ სამკითხაოდ, საწინასწარმეტყველოდ მოემზადებოდა. თეთრი, გრძელი სამოსით შეიმოსებოდა, თავზე ოქროს გვირგვინს დაიდგამდა და ნაპრალში შევიდოდა. ნაპრალიდან ორთქლი გამოდიოდა; შიგ ოქროს სამფეხა იდგა. პითია ამ სამფეხზე ჯდებოდა და ორთქლში ეხვეოდა. გაბრუნებული, ქადაგად დავარდნილი ქურუმი ქალი ღმერთ აპოლონს ესაუბრებოდა და თან ბედისმადიებლის კითხვებზე პასუხობდა. ეს იყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსროლილი ორაზროვანი სიტყვები...

ათასმაც გადაწყვიტა, რომ თავისი ქვეყნის უბედურების მიზეზი პითიასთვის ეკითხა და მისი რჩევა-დარიგებით ხალხი შიმშილისაგან გადაერჩინა. ორი მსახური შესაწირავებით დატვირთა და დელფოში გაგზავნა.

პითიამ მეფისაგან გამოგზავნილი ძღვენი აპოლონის საკურთხეველზე დასდო, ორქომენელებს მოუსმინა და მერე ორთქლით გაბურვილ გამოქვაბულში შეუძღვა მათ.

კარგა ხანს იჯდა ის მოკუნტული, წვივებზე ხელებშემოსალტული და მუხლებზე ცხვირპირდაქვავებული. და როცა მორგვადქცეული ქურუმი ქალის სხეული ნაპრალიდან სქლად

დაძრულ რძისფერ ნისლში გაიბნა და გაუჩინარდა, ელჩებს მოესმათ:

„მკვდარი თესლისგან ნაყოფი არ აღმოცენდება!“

მეტი გამოკითხვის არც ნება ჰქონდათ და აღარც საჭირო იყო. ყველაფერი ცხადი გახდა: თურმე სათესლე ხორბალი ყოფილა უვარგისი. ორქომენელები ჯანსაღ მარცვალს დასთესენ და თავის ქვეყნიდან შიმშილს გააძევებენ.

გამალებით მოეშურებოდნენ გახარებული მაცნენი. ის იყო შუა გზას მოატანეს და ერთ ბნელ ხეობაში შევიდნენ, რომ უეცრად უღრანი ტყიდან შეიარაღებული, პირშებურვილი ადამიანები გამოცვივდნენ და გარს შემოეხვივნენ.

ათამასის შიკრიკებს ისინი ჯერ მძაბრცველები ეგონათ, მაგრამ თავდამსხმელებმა თვითონ დაჰყარეს ოქროთი სავსე ქისები მათ წინ. შიკრიკებმა გაოცებისა და დახეულობისაგან გონი სულ დაჰყარგეს. ბოლოს ერთმა მათგანმა ძლივს ამოიღვა ენა.

„ვინ ხართ?.. რა გსურთ?..“

დედოფალი ინოს გამოგზავნილები ყოფილან.

„ინო?! მერე, რა სურს დედოფალს?“

რა და, ელჩებმა პითიას ნათქვამი უნდა დაივიწყონ და ხალხს ის მოახსენონ, რასაც ახლა თვითონ უბრძანებენ.

„ამას როგორ ჩავიდნეთ?!“

„მაშ, სიკვდილი მოგსურვებიათ!“

იმწამსვე მაცნეებს შუბთა წვერები შემოეხვინათ ყოველის მხრიდან.

უნდა აირჩიონ: ან ფუფუნებაში ცხოვრება, ან ახლავ სიკვდილი!

ზარდაცემული შიკრიკები ხან მათ წინ დაყრილ სავსე ქისებს დასცქეროდნენ, ხან შუბის წვერებს. ერთდროულად შეპყროდნენ მათ მზერას: მდიდარი, უზრუნველი ცხოვრება და სიკვდილი!..

ორქომენის სასახლის წინ ხალხმრავალი კრება შეყრილა. ყველას სული კბილით უჭირავს, ყველა მოთმინებამილეული მოელის პითიას პასუხს, — ხალხიც, მეფეც, დედოფალიც.

ფრიქე და ჰელეც აქ არიან. ისინი სასახლის მარმარილოს სვეტებთან ჩაკეცილან და ერთმანეთს აჰკვრიან. რაღაც საშინელის მოლოდინში დადუმებულან.



უცემ ვილაცამ იყვირა:

„მოდინა! მოდინა!“

მაცნენი მართლა მოდიოდნენ, თუ ამას სიარული ფეხებს ძლივს მოითრევდნენ. ორივეს სახეზე მიწისფერი გადაჰკვროდა. ის მიწისფერი წამსვე მთელს ორქომენს გადაედო, — ხალხსაც, მეფესაც, ობოლ და-ძმასაც. ყველამ იგრძნო, რომ აპოლონს პითიას პირით შემადრწუნებელი ბრძანება გამოეგზავნა.

მხოლოდ დედოფალს არ შეეცვლია სახეზე ფერი.

მაცნეებმა ძლივს აითრიეს ფეხი სასახლის კიბეზე და მეფე-დედოფლის წინაშე წარსდგნენ.

კარგა ხანს იდგნენ და ხმას ვერ იღებდნენ. ვერც მეფე ბედავდა კრინტის დაძვრას, რადგან გრძნობდა, რომ რალაც შეუძლებელის შესრულებას მოითხოვდა ისართმტყორცნელი აპოლონი.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. მერე ერთი თეთრწვერა მოხუცი წამოდგა წინ და მეფეს ხალხის სახელით სთხოვა, სანამ ღვთაების ბრძანებას მოისმენდნენ, წინაწარ ფიცი დაედო, რომ იგი მას შეასრულებდა, როგორც მძიმე შესასრულებელიც არ უნდა ყოფილიყო.

როგორც კი მოხუცმა თხოვნა დაასრულა, ხალხიც აყვირდა. ის მეფისგან ფიცს მოითხოვდა.

ათამასი ხედავდა, რომ ხალხის ამ მოთხოვნაში მუდარაც იყო და მუქარაც.

უცებ ათამასის გვერდით მჯდარი ინო წამოიჭრა და ხალხს შეჰკივლა:

„მე, თქვენი დედოფალი, მეფესთან ერთად, ვფიცავ ოლიმპოს ყველა ღმერთებს, შევასრულებთ უბრწყინვალესი აპოლონის ბრძანებას, როგორც საშინელიც არ უნდა იყოს ის!“

„ცოცხლობდეს დედოფალი!“

„ახლა მეფემ დაიფიცოს, მეფემ!“

ხალხი არ ცხრებოდა.

ათამასი წამოდგა. ხალხი გაირინდა.

მეფემ ზეცისაკენ ხელი აღაპყრო და მტკიცედ წარმოთქვა:

„ვფიცავ დიად ზევსს, შევასრულო!“

„ცოცხლობდეს მეფე ათამასი!“ კვლავ იგრიალა ხალხმა.



„თქვით!“ მიუბრუნდა მეფე შიკრიკებს.

ხალხი სუნთქვაშეკრული ისმენდა:

„ისართმტყორცნელმა დიდებულმა აპოლონმა ბრძანა: თუ გსურთ ნაყოფიერება დაუბრუნდეს ორქომენის მიწებს, ღმერთებს მსხვერპლად უნდა შესწიროთ მეფის ძე ფრიქსე...“

ყველა ქანდაკად იქცა. გარშემო თითქოს სიცოცხლე შეწყდა.

ობოლ და-ძმას ისეთი თეთრი ქათქათა ფერი გადაჰკვრდათ, როგორც იმ მარმარილოს სვეტს, რომელსაც ისინი აპკვროდნენ.

არავის შეუმჩნევია, რომ სიკვდილის არც ერთ ფერს არ უზეიმნია დედოფლის სახეზე...

მაშ, ხვალ დილით, მზის ამოსვლის წინ ფრიქსე სამსხვერპლოზე თავს დასდებს და ქურუმის ელვარე დანას მიუშვერს ფიქალ ყელს!

უცებ ჰელე სვეტს მოწყდა, მამას მუხლებზე დაუჯდა და წასჩურჩულა:

„მამა, ხვალ ფრიქსე უნდა დაჰკლან?!“

„არა, შევილო... ხვალ ფრიქსე ზეცაში ავა... იქ, ღმერთებთან.. ოოჰ, შევილებო!“ — და ათამასი მწარედ აქვითინდა...

გლოვის ღამე ჩამოწვა ორქომენის თავზე.

მხოლოდ ერთი ზეიმობდა, დედოფალი ინო, ბოროტებით სავსე დედინაცვალი.

ოჭროს ვერძი

საშინელი ბნელი ღამეა. ცა კუპრისფერი ღრუბლებით არის დამძიმებული. სიბნელეში ჩანთქმულ, დაზაფრულ ქალაქს ჩრდილოეთიდან მაღალი ბორცვი დასდგომია. იმ ბორცვზე სხედან ჰელე და ფრიქსე. გოგონა ძმას ეხვევა და მწარედ ტირის.

„დამშვიდდი, ჰელე, აკი მამამ თქვა, რომ მე ღმერთები წამიყვანენ მაღლა, ზეცაში!“

„გვიამე, ჩემო საყვარელო, საბრალო ძმაო, არ დაიჯერო, გვატყუებენ, გვატყუებენ! შენ მოგკლავენ! მერე, მე რაღამ უნ-

და მაცოცხლოს! იცოდე, მეც შენთან ერთად მოვკვდები
ძმაო!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჰელე ისევ მწარედ აქვითინდა.

ფრიქსეს უხარია, რომ ასე ბნელა: ჰელე ვერ დაინახავს ცრემლებს მის თვალზე. თვითონაც იცის, მოკვდება, მაგრამ როგორმე უნდა გაამხნეოს დაი.

შუალაშემ მოატანა. ისინი ისევ სხედან და ტირიან; ერთი — უჩინო ცრემლებით, მეორე — გულამოსკვნილი ქალური ჭკითინით.

ნაღვლითა და ბოღმით დამძიმებული წუთები ზღაზვნით მიერეგებიან უკუნეთ ღამეს.

გათენებას ფრიქსეს სიკვდილი მოაქვს! ნეტავ არასდროს გათენდებოდეს! ირგვლივ ყველაფერი სიკვდილის სუნთქვით სუნთქავს.

ეს რა ჩაიდინა ქალღმერთმა ნეფელემ? ნუთუ ასეთი სატან-ჯველისთვის გააჩინა ჰელე და ფრიქსე? წავიდა და შვილები უპატრონოდ დაჰყარა ბოროტი დედინაცვლის ხელში!

„ოჰ, დედა, დედა, ნუთუ ღმერთქალს არ შეგიძლია სიკვდილისაგან დაიფარო შენი შვილები?!“

ღრუბლები სულ ძირს ჩამოვიდნენ და მიწას პირი შეუკრეს. ღრუბლის ბოლქვები შემოეხვივნენ ჰელეს და ფრიქსეს.

„დედა აქ არის, ვგრძნობ, აქ არის!“ წაიჩურჩულა ფრიქსემ.

„დედა?!“

„ნუ გეშინიათ, აქა ვარ დედა!“ — უეცრად აღმოხდა გარს-მომდგარ ღრუბლებს.

ეს ნეფელე იყო, ჰელეს და ფრიქსეს დედა.

„დედა! დედა!“

„შვილებო!“

ნეფელე შვილებს ეხვეოდა. დედური სითბოთი ათბობდა ღრუბელი სევდით გათოშილ უბედურ ქალ-ვაჟს.

„აბა, შვილებო, მოემზადეთ!“

ნეფელემ ოლიმპოს მთისკენ იბრუნა პირი და შესძახა:

„კრიოს, ოოო, კრიოს!“

უეცრად უცნაური ბლავილი გაისმა და თვალისმომჭრელძა სხივმა გაჰკვეთა წყვილიადი.

„დედა!“

„არ შეშინდეთ, თქვენი მხსნელი მოეშურება!“

ცეცხლისფრად მოელვარე სულდგმული მოარღვევს
ლეთს.

მოვიდა, სულ ახლოს ჩამოდგა. გაოცებისაგან ენაჩაფარდ-
ნილი ჰელე და ფრიქსე ხედავენ და თვალს არ უჯერებენ:

მათ წინ ცხვარი დგას, ვერძი. მაგრამ ეს ვერძი სიდიდით
მოზვერს გაუტოლდება! ეს კიდეც რაა — ოქროს მატყლით
არის შემოსილი! ოქროსბეწვიანი ტალღები მოელვარე ტევრე-
ბად აყრია ტანზე ღვთაებრივ ცხოველს.

ოქროს ვერძს საოცრად მეტყველი თვალები აქვს, ჰკვიანი
აღამიანის თვალები. იქნებ ლაპარაკიც შეუძლია?

ფიქრის დასრულება ვერ მოასწრეს, რომ ვერძმა ნეფელს
წინ მუხლი მოიყარა და ენა ამოიდგა:

„მზადა ვარ, დიდებულო ქალღმერთო!“

ნეფელემ ვერძს სხივოსან თავზე ხელი ნაზად გადაუსვა და
დაძმას მიუბრუნდა:

„შვილებო, ეს ღვთაებრივი ცხოველი ღმერთმა ჰერმესმა
მაჩუქა თქვენს დასახსნელად. შესხედით და ოქროს ვერძი
თქვენ მიგაფრენთ ბედნიერ ოქროს ქვეყანაში. იმ ქვეყანას
კოლხეთი ჰქვია. იქ მეფობს მზე-ჰელიოსის ძე აიეტი. ის შეგი-
ფარებთ და შეგივრდომებთ“.

დედა და შვილები ერთმანეთს მოეხვივნენ.¹

„მშვიდობით, დედა!“

„მშვიდობით, შვილებო!“

ჯერ ფრისქე შეჯდა. ვერძს გრძელ, დაგრეხილ, ოქროცურ-
ვილ რქაში ჩასკიდა მარჯვენა ხელი. მარცხენათი ჰელეს მიე-
შველა და უკან შემოისვა. დამ ძმას მაგრად მოჰხვია წელზე ხე-
ლები.

ნეფელე შვილებს ჩაეხვია. შემდეგ ვერძს ვარდისფერი
ღრუნჩი და ჰკვიანი თვალები დაუკოცნა; თავისი ნაღვლიანი
თვალებიდან კიდეც ერთჯერ აწვიმა ცრემლი.

„მშვიდობით!“

„მშვიდობით!“

ვერძი მიწას მოწყდა და აღმოსავლეთისაკენ გაფრინდა.

ნეფელემაც ღრუბლოვანი კალთები აიკრიფა და ზეცას მ-
აშურა.

ირიერაჲა.

აღმოსავლეთით ცელქმა ეოსმა სხივთა ფართქალით გაჭნის
ცის კაბადონი და ქვეყანას ამცნო დიდებული ჰელიოსის მონა-
ლოება.

კოლხეთის მხრიდან პორიზონტმა წარბი გაიხსნა, შუბლი-
დან წყვდიადი აიყარა და მინ ნაცვლად ნათელი გადაიფინა.
ეს ნათელი ობოლი და-ძმის გადარჩენის იმედი იყო.

ვერძი დინჯად მიაპობს ჰაერს.

გახალისდნენ ოქროს ბეწვის ტალღებში ჩამჯდარი ყმაწვი-
ლები. ეალერსებიან ვერძის მოლივლივე კულულებს და აღტა-
ცებით ჩასცქერიან მათ ქვეშ მიმქროლავ ქვეყნიერებას.

გაშორდნენ ბეოტიას... თესალიას... ოლიმპოს მთას... მაკე-
დონიას... თრაკიის ხერსონესს... აქ ევროპა გათავდება და აზია
დაიწყება.

უცებ ქალ-ვაჟის სმენას ქვემოდან მღელვარე ზღვის
გრგვინვა მისწვდა.

ჰელე შეშფოთდა.

„ზღვა!.. მღელვარე ზღვა!“

„არ გადაიხედოთ!“ გააფრთხილა და-ძმა ვერძმა.

ზღვის გრგვინვა-ქუხილი თანდათან მძლავრდებოდა. ზღვა
შიშისაგან თრთოდა და ძრწოდა. ძმა აფრთხილებდა, ხელი მაგ-
რად მოეჭიდა და ძირს არ გადაეხედა.

ევროპისა და აზიის გასაყარ ვიწრობაში რისხვით გატენილი
ზღვა ველარ ეტევა და ზეცაზე თავაწყვეტილი იერიშები მიაქვს.
მთისოდენად ავარდნილი ზვირთები გამაყრუებელი ქუხილით
აწყდებიან და ემსხვრევიან ერთიმეორეს... ამოდ ცდილობენ
გასწიონ და ერთმანეთს დააშორონ ევროპა და აზია.

„მეშინია!“ შექანდა შიშით ატანილი ჰელე.

„არ გადაიხედო!“ იბღავლა ვერძმა.

შიშს ცნობისმოყვარეობამ დასძლია და გოგონამ გადაი-
ხედა.

ცისა და ზღვის განუზომელმა შორეთმა თვალი მოსჭრა ჰე-
ლეს. შექანდა, წონასწორობა დაჰკარგა და კივილით მოსწყდა
ვერძის ზურგს.

„ჰელე!“ იღრიალა ფრიქსემ.

„განძრევა არ გაბედო!“ დაიბღავლა ვერძმა.

„სულ ერთია, ვედარაფერს უშველი!“

კიდევ ერთხელ აზვავდნენ გრუხუნით ზღვის ტალღები. თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომელი უმაღლესი ჩაიხუტებდა ზეციდან მომქროლავ ქალწულს.

ზღვის ტალღებმა ჩაიხვიეს ჰელე.

ზევისისაგან ნატყორცნმა ელვამ და მეხმა მკერდი გადაუხსნა ზეცას.

ღრუბელი წვიმის თქემით დააცხრა ზღვას.

ის წვიმის თქეში უბედური დედის, ნეფელეს ცრემლები იყო...

იმ დღიდან ზღვას, რომელმაც თავის ფსკერზე ჩაიმაჩნა ჰელე, ჰელესპონტი — ჰელეს ზღვა დაერქვა.

ოჭროს ძველნი

მიფრინავდა ოჭროს ვერძი აღმოსავლისკენ და მიაქროლებდა ბერძენ უფლისწულს, რომელიც ცრემლშეუშემრალად მისტიროდა ზღვაში ჩანთქმულ დას. ვერძმა მხოლოდ მაშინ შესძლო მისი დამშვიდება, როცა ახალი, უცნაური ამბები ამცნო მას.

თურმე ეს ოჭროს ვერძი კოლხეთიდან გამოუტაცნია ფიქრზე უმაღლეს ჰერმესს, ზევსის შვილსა და შიკრიკს.

ფრიქსეს გული დაწყდა, რადგან აქამდე ეს ღვთაებრივი ცხოველი ელადის ეგონა.

ვერძი თითქოს ნაფიქრალს მიუხვდა და უთხრა, რომ ელინებს, ბერძნებს აგრე გჩვევიათ: ყველაფერი თქვენად გინდათ მიიჩნიოთო.

მართალი არისო, გაიფიქრა ფრიქსემ და მდუმარედ გადახედა დედამიწას.

გადაიქროლეს პროპონტიდა, ბოსფორის სრუტე და გამოჩნდა ევქსინის პონტი.

მიჰქრიან აღმოსავლეთისაკენ. მარცხნივ ევქსინის პონტოს თვალგადუწვდენი ლურჯი სივრცე გადაშლილა, მარჯვნივ ტავრის მთაგრეხილები აზიდულან.

„მალე კოლხეთში ვიქნებით!“ თქვა ვერძმა.

უცრად ჰაერში ფრთების მძლავრი ტყლაშუნი გაისმა და მათი ქროლვით ავარდნილმა ქარმაც დაჰბერა.

„არწივი!“ იყვირა ფრიქსემ.

მაგრამ ვერძმა მაშინვე დაამშვიდა: ეს არწივი მათ ხელსაც არ ახლებს. ის ზევსის არწივია.

„ზევისის არწივი?“

„პრომეთეს დასაკორტნად მიეშურება“.

ფრიქსე დამშვიდდა.

მასაც გაეგონა, რომ სადღაც კოლხეთის მახლობლად, კავკასიონის მთაზე, ზევსის ბრძანებით მიჯაჭვულია უმძლავრესი, უბრძნესი და უკეთილშობილესი ტიტანი. მან ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა; გონიც გაუხსნა მანამდე უგნურ ადამიანს, აზიარა ცხოვრების ცოდნას და სიბრძნეს.

ზევსი განრისხდა. მისი ბრძანებით პრომეთე დაბორკეს და კავკასიონზე მიაჯაჭვეს. ყოველ დილით ზევსის არწივი მოფრინდება, ლითონის ბასრი კლანჭებით და ნისკარტით მკერდს გაუფატრავს და გულ-ღვიძლს დაუკორტნის. ტიტანის გმინვა ქვეყანას ჰზარავს. გაძლება არწივი და უკანვე გაფრინდება. მკერდი მზის ჩასვლამდე ისევ შეუხორცდება გმირს, რომ დილით თავისი გულ-ღვიძლით ხელახლა გააძღოს ფრინველთა მეფე უზენაესი მბრძანებლისგან გამოგზავნილი...

ფრიქსეს ფიქრი გაუწყდა: გულგამგმირავმა ბღავილმა გახეთქა ზეცა. ზევსის არწივი სისწლიან საქმეს შესდგომოდა. გმინავდა პრომეთე, ადამიანზე მზრუნველი ღმერთი.

შეწყდა პრომეთეს გმინვა-გოდება. არწივი უკანვე მოფრინავდა. გოროზი თვალთ ზომავდა სივრცეს და დროდადრო ნისკარტს იწმენდა სისხლით გალიბულ ბუმბულზე.

„პრომეთე! ასეთი კეთილშობილი და ასეთი წამებული!“ აღმოხდა ფრიქსეს, როცა არწივი თვალს მიეფარა.

„წამება სწორედ კეთილშობილთა ხვედრია. მაგრამ ვინც ადამიანთა მოდგმისთვის იღვწის და იბრძვის, იმას წამებისაც არ უნდა ეშინოდეს, როგორც არ ეშინია პრომეთეს... აი, რა უთხრა პრომეთემ ჰერმესს, ზევსის შიკრიკ-ღმერთს: მე არ გავცვლი ჩემს წამებას შენს მონობაზე. ის მირჩევნია ამ კლდეზე გიყო მიჯაჭვული, ვიდრე მონურად ზევსს ვემსახურო!.. მეჯავ-



რებით ყველა ღმერთები, რადგანაც კეთილ განზრახვისთვის ავი
შემყარეთ!“

„რა დიდებული სიტყვებია!“

„ერთი რამ კიდევ უნდა იცოდე, კოლხეთს მიმავალო ელი-
ნო ყრმაო“.

„რა?“

„პრომეთე კოლხეთის გმირია“.

„კოლხეთის?! მე კი ვიცი, რომ ის ელადის გმირი იყო!“

„ჯერ ის იცოდე, რომ კოლხეთს ბერძნები გეორგიასაც ეძა-
ხიან...“

„ვიცი, — შეაწყვეტინა ფრიქსემ, — გეორგია მიწათმოქმედ-
თა ქვეყანაა. მაგრამ რა 'შუაშია პრომეთე?“

„თუკი კოლხები ყველზე ძველი გეორგეოსები—მიწის მუშე-
ბი არიან, პრომეთემაც პირველად სწორედ მათ შეასწავლა დე-
დამიწის გულის გადახსნა და იქიდან სარჩო-საბადებლის მოპო-
ვება. ამიტომაც სჯერათ კოლხებს, რომ პრომეთე მათი პირვე-
ლი გმირი და მოძღვარია. კოლხეთში ამ ტიტანზე გაცილებით
მეტი იციან, ვიდრე ელადაში. სულ მალე თვითონ დარწმუნ-
დები“.

„მაგრამ სახელი რომ ბერძნული აქვს: „პრომეთე — წინას-
წარმეტყველი?!“

„ეგ ელინებმა შეარქვეს, თორემ კოლხეთში მას თავისი სა-
ხელი ჰქვია“.

„რა სახელი?“

„ამირანი“.

„ამირანი?“

ფრიქსე ფიქრში ჩაიძირა. მალე ისევ შემოესმა:

„შენ კოლხეთის დედა-მდინარე გაგიგონია?“

„როგორ არა, მას ფასისი ჰქვია“.

„ახლა ის თუ იცი, რა ჰქვია იმ მთას, საიდანაც ფასისი გად-
მიჰქუხს?“

ეს კი აღარ სცოდნია ფრიქსეს. კვლავ ვერძმა აუხსნა, რომ
იმ მთას, ფასის მთის გარდა, ამირანთას, ესე იგი „ამირანის
მთას“ უწოდებენ კოლხები.

„ამირანის მთას?“

„სწორედ აგრე. ამირანის მთას! ასე დაარქვეს კოლხებმა,

რადგან იმ მთაზე ამირანია მიჯაჭვული; ის კოლხი ამირანი, რომელსაც თქვენ, ელინები, პრომეთეს ეძახით“.

ფრიქსე დადუმდა. მას სჯერა, ყველაფერი სჯერა ამ ბრძენი სულდგმულის. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეზღვდებინა მას კოლხები, როგორ მიიღებენ უცხო სტუმარს ოქროს ქვეყნის მცხოვრებნი, მათი დიადი მეფე, მზის ძე აიეტი, ან მისი ოჯახის წევრები...

ფიქრი უეცარმა შეძახილმა გააწყვეტინა:

„გაპხედე, შენს წინ კოლხეთია!“

„კოლხეთი“ შეჰყვირა აღტაცებულმა ჭაბუკმა.

მის წინ ზურმუხტოვანი ფარჩა იყო გადმოშლილი, კავკასიონის მწვერვალებიდან ზღვისაკენ გადმოფენილი, მწვანე ტყეებით შემზრვილი და ნაირფერი ყვავილნარებით მიმოქარგული.

ამირანის მთიდან მოჰქუხდა ფასისი. ზურმუხტისფერ კოლხურ ფარჩას შუაზე ჰკვეთდა ფირუზისფერი დედა-მდინარე. ფასისს ორივე მხრიდან მეძუძურ შვილებივით ეხვეოდნენ და მკერდში ეკვროდნენ მთიდან ჩქრილით მომქროლავი მდინარეები და ანკარა, გიქმაყი ნაკადულები.

ვერძი ნელ-ნელა ეშვებოდა დედამიწისკენ.

უკვე კარგად ხედავდა ფრიქსე: ნაყოფიერ მიწას შესეოდნენ მუყაითი გეორგოსები — კოლხი მიწათმოქმედნი. ერთმანეთიშ მხარდამხარ იდგნენ. ერთად ებრძოდნენ მიწას. ოფლიანი პერანგები აპკვროდათ ახოვან, წელწვრილსა და მკერდგანიერ სხეულებზე.

თოხნიდნენ, ბარავდნენ, ხნავდნენ და თესავდნენ.

თან მღერიან. ოო, რა ტკბილად მღერიან! ამ სიმღერას ალალი თბილი პურის სუნი და აღმური ასდის!

„სულ მოწინავე გუთნეულს დაუკვირდი!“

თქმაც აღარ სჭირდება ფრიქსეს. იქ, სულ წინ, გუთნეულების სათავეში აღრევე შენიშნა ოთხ სვეტად მომდინარე ცეცხლნარევი კვამლის ზვირთები.

ახლა კი კარგად გაარჩია, რომ ორი უზარმაზარი წითელი ხარი მიუძღვის ვეებერთელა გუთანში შემბზულ ყევარს. სპილენძის ჩლიქებით ფშვნიან მიწის გულიდან მოგლეჯილ ბელტებს. ჰეფესტოს საბერველებივით ქმინავენ ხარები და ქვაბუ-

ლივით დაღრენილი სპილენძის ნესტოებიდან ისვრიან ცეცხლოვანი ბოლის ბოლქვებს.

იმ გუთნეულის კვალში გოლიათი გუთნისდედა ჩასდგომოდა.

კუნთოვანი ბორცვები ეგრაგნებოდა რვალის მკლავებზე და განიერ მხრებზე. ოფლის ნაკადულები მოედინებოდა კალოსაებრ მკერდზე და მაღალ, გონიერ შუბლზე.

მღეროდა გუთნისდედა და კავკასიონის ექო ბანს აძლევდა მის ომახიან მგრგვინავ სიმღერას.

„ჰერაკლე, ნამდვილი ჰერაკლე!“ შეჰყვირა ფრიქსემ.

სწორედ ასეთად წარმოედგინა მას ელინთა სწორუპოვარი გმირი ჰერაკლე.

„ის აიეტია, კოლხეთის მეფე!“

„აიეტი?! თვითონ მეფე!“.. ჩუჩულებს გაოცებულს ბერძენი.

ახლა მან ისევ ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მიაპყრო მზერა.

იქ, ფოლადის უღელზე მისი ტოლა ყმაწვილი იჯდა და ვაეკაცურად მიერეკებოდა სპილენძისფეხებიან ხარებს.

მღეროდა ოქროსკულულებიანი ბიჭი. წკრიალით ეხმიანებოდა აიეტის მქუხარე დვრვინვას.

„ის უფლისწულია. თვით მეფე აიეტის ძე“.

კოლხ უფლისწულს, თურმე, აფსირტე ჰქვია, სილამაზისთვის მეტსახელად ფაეთონს — „მბრწყინავს“ ეძახიან კოლხეზი. აიეტს იგი კავკასიელი ნიმფისაგან, ასტეროდისაგან შეეძინა. თუმცა ახლა აფსირტეს დედინაცვალი ჰყავს, დედოფალი იდია, ოკეანესა და ტეთისის უმცროსი ქალი, მაგრამ ბერძენი უფლისწული გულში ოდნავადაც ნუ გაივლებს, რომ კოლხეთის ტახტის მემკვიდრეც მის ბედში იყოს, დედინაცვლისგან დევნილი და სასიკვდილოდ გამეტებული. დედოფალი იდია ღვიძლი შვილივით ეპყრობა აფსირტეს. აიეტი ათამასი როდია, თავის ოჯახში ის მოითმინოს, რასაც ორქომენში ინო სჩადის.

ფქრიქსეს არ ეამა მამის ავად ხსენება, მაგრამ ვერაფერი უპასუხა, რადგან ცხოველის ჰირით ისევ სიმართლე ღაღადებდა.

მან მთის კალთებზე გადაიტანა მზერა. იქ ურიცხვი გრძელ-

ბევვა ცხვრის ფარა და ნახირის ჯოგი შეჰფენოდა მწვანედ აბი-
ბინებულ საძოვრებს.

კოლხი მწყემსები სულშიჩამწვდომად აკვნესებდნენ სა-
ძოვრებს.

„აქ ყველა შრომობს: დიდი, პატარა, მეფეც, მეფის ძეც,
ქვეშევრდომიც...“

„ქალიც, მოხუციც... აბა, იმ მდინარეებს დაუკვირდი!“

ეს რაღას ნიშნავს?! საოცრებაა!

მთიდან მომქროლავი მდინარეები თვალისმომჭრელად აელ-
ვარდნენ.

„ეს კოლხური ოქროს საწმისებია!“

„ოქროს საწმისები!“

ხედავს განცვიფრებისაგან ენაჩავარდნილი ფრიქსე:

მდინარეებში მოხუცი კოლხები ჩამდგარან, კიდევ სხვა
მდინარეებში — კოლხი ქალები. ხელში უჭირავთ გრძელბეწვი-
ანი ცხვრის ტყავები. ჩასძირავენ მდინარეში ტყავებს, მცირე
ხანს ასე ამყოფებენ, მერე ნელ-ნელა ამოიღებენ და ცხვრის
ტყავები ოქროს ქვიშით დატვირთულნი აელვარდებიან მცხუნ-
ვარე მზეზე!

„იმ მდინარეებს ოქრონარევი ქვიშა მოაქვთ და კოლხები
ასე იღებენ იქიდან ოქროს... ცხვრის ტყავის საწმისებით“.

„ცხვრის ტყავის საწმისი!.. ოქროს საწმისი!.. კოლხები...
აიეტა, ჰელიოსის ძე... უფლისწული აფსირტე... ოოო, ღმერთე-
ბო, როგორ მიმიღებენ ლტოლვილ უცხოელს?“

„ბედნიერება მოგელის, ფრიქსე“.

„ბედნიერება?!“

„ჰო... მოემზადე, უნდა დავეშვათ“.

და ვერძმა დაჰბლავლა დედამიწას.

უმალვე ათასობით ცხვრის ბლავილი დაუბრუნდა ზეცას
კოლხეთის მთების ფერდობებიდან.

კოლხებმა სიმღერა შეწყვიტეს და ცას აჰხედეს.

აიეტმა გუთანი შეაყენა და იმანაც ზეცას მიაპყრო მზერა.

„დაბრუნდა!“ ჩაიბუხუნა მან.

სწორედ ამ დილით შეიტყო მეფემ, რომ შუალამისას კოლ-
ხეთიდან გადაიკარგა სამეფო ცხვრის ფარის ვერძი-მეთაური.
გრძნეული მეფე მიხვდა, რომ ამ საქმეში რომელიღაც ღმერ-



თის ხელი ერია და ყოველ წუთს ელოდა რაიმე ზეციურ მა-
ნიშნებას.

„დაბრუნდა!.. დაბრუნდა!“

ყოველი მზრიდან გამორბოდნენ კოლხები და მეფეს მხია-
რული ყრიაშულით ერთყმოდნენ გარს.

ხალხისაგან შეკრულ წრეში დაეშვა ვერძი.

ფრიქვე გადმოხტა და მეფის წინ მუხლებზე დაეცა.

აიეტი კარგა ხანს წარბშეკრული ზომავდა უცხოს. მერე
ჰკითხა, თუ ვინ იყო ის, რა სურდა და რისთვის ესტუმრა კოლ-
ხეთს.

ორქომენის მეფის, ათამასის შვილი ყოფილა, დედინაცვა-
ლი სიკვდილს უმზადებდა, ჰერმესისა და ნეფელეს სურვილით
მოფრინდა კოლხეთს; მფარველობას და შევრდომებას ითხოვს
ქველი და გულმოწყალე ხელმწიფისაგან.

„უნდონი ხართ ბერძნები. სხვისი ქვეყნების დამონებაზე
გიჭირავთ თვალი!“

„აბა, მე რა შემიძლია, მზის შვილო, დევნილს, ობოლს და
უთვისტომოს... გემუდარები, შემივრდომე და მიმსახურე. სუ-
ლით და ხორციით სიკვდილამდე შენი ვიქნები... ანდა ბრძანე,
რომ აქვე მომკლან. სულ ერთია, სხვა გზა არა მაქვს!“

ბერძენი ყრმა მწარედ ატირდა.

აიეტი დუმდა და არ იხსნიდა კუშტად შეკრულ წარბებს.

კოლხებიც სდუმდნენ.

უცებ ხალხს უფლისწული აფსირტე გამოეყო, მამასთან მი-
ვიდა და ჯერ ხელზე ემთხვია, მერე მკერდზე.

„მამა მბრძანებელო, ღმერთებს, ჰერმესს და ნეფელეს
სურთ შევივრდომოთ დევნილი ჰაბუკი. ჰერმესი ღმერთი-შიკ-
რიკია. ის ხომ ზევსის ნება-სურვილებს გვამცნობს. ზევსი ხომ
კოლხეთის ღრუბელთა მეუფეა. მისი შვილი მოგზაურებისა და
მეზღვაურების მფარველიც არის და თუ გავანაწყენებთ, რა
დღეში ჩაცვივდებიან კოლხი ზღვაოსნები, აქამდე ასე ლაღად
რომ დანავარდობენ ევქსინის პონტოს აქოჩრილ ტალღებზე!
მერე, რა უბედურება დაატყდება ჩვენს აბიბინებულ ყანებს,
თუ ნეფელეს შვილს უარს ვეტყვით თავშესაფარზე! გამძვინვა-
რებული ქალღმერთი კოლხეთის ციდან სამუდამოდ გაირეკავს
საწვიმარ ღრუბლებს და გვალვა დასწავას ჩვენს დოვლათიან

ველ-მინდვრებს!.. შევივრდომოთ, მამა-ხელმწიფევე, ელინა ბუკი!“

ეროვნული
გამყარების
კავშირები

აიეტმა თითებით გადაუვარცხნა ხუჭუჭა თმები თავის კვიდრდეს. მერე შუბლზე აკოცა და ნელა წარმოთქვა:

„ჭკვიანი მყავხარ, ჩემო ვაჟაკო, მაგრამ ვაითუ ამ ბერძნის მოსვლამ უბედურება მოუტანოს ჩვენს ხალხს, ჩვენს ოჯახს... გულკეთილობა კარგია, მაგრამ ხომ გახსოვს ამირანის ნათქვამი: უქმი შრომაა განუსჯელი გულკეთილობა!“

„მაგრამ ამირანსვე უთქვამს, მამა, ბედისწერას თვით ზევსიც ვერსად გაექცევას! არავინ იცის, თუ რას გვიმზადებს ბედისწერა, და რომ ვიცოდეთ, მისგან თავს მაინც ვერ დავიხსნით. ამიტომ, მამა, ჩვენ თვალხილულ უბედურებას მოვერიდოთ; უხილავის კი აბა, რა ვიცით!“

აიეტი ჩაფიქრდა. შვილი კიდევ უფრო მიეძალა. მერე აფსირტე ფრიქსესთან მივიდა და მხარზე ხელი გადახვია. გულაჩუყებულმა ბერძენმა თავი კოლხი უფლისწულის მკერდში ჩარგო და მწარედ ატირდა.

„შეიძრა გულმომწყალე კოლხური გული.“

„შევივრდომე, მეფევე მზის შვილო!“ იგრიალეს კოლხებმა.

„შეირხა აიეტი. მაღალი შუბლი ნიჩბისტოლა ხელისგულით მოისრისა და თქვა:

„წავიდეთ ქალაქში... იქ გადავწყვეტ...“

უმაღლვე გრიალით მოიჭრა სამეფო ეტლი. თორმეტი თეთრი რაში იყო შებმული ოქროს ეტლში.

კოფოზე ბიჭი იჯდა და ხელთ სადავეები ებყრა. ის სწორედ აფსირტეს ტოლი იქნებოდა. მზით დამწვარი მიმზიდველი სახე ჰქონდა, შავი ცეცხლოვანი თვალები და გრუხა თმები.

„ამონა!“ შესძახა აფსირტემ, ეტლზე აიჭრა და მის დანახვაზე სახეგაბრწყინებულ ბიჭს გვერდით მიუჯდა.

მერე ფრიქსეს ანიშნა, კოფოზე მის გვერდით მოთავსებულყო.

უცხოს დანახვაზე ამონას სახე მოედრუბლა. მისმა ქორულმა მხერამ ფრიქსეს მუხლი მოჰკვეთა. აფსირტემ ხელი შეჩქვიფებულ ყმაწვილს შეაშველა და გვერდში მოისვა.

„ამონა, ეს ბერძენი უფლისწულია.“

„ბერძენი?!“

„პო... ჩვენთან იცხოვრებს“, ეს თქვა აფსირტემ და მამას მარცხენა მხრიდან ცერად გაჰხედა.

არც ის გამოჰპარა მეფეს, რა სიმძიმით გამოსცდა დაკადქცეული ამონას ბაგეს:

„ჩვენთან იცხოვრებს?!“

აიეტი ეტლში მძიმედ ჩაჯდა და აფსირტეს ანიშნა, აფსირტემ ამონას სადავეები ჩამოართვა, მოზიდა და ვაჟ-კაცური შეყვივლებით მერნები მიწიდან მოსწყვიტა.

ეტლი ქალაქისკენ მიჰქროდა.

აფსირტე ხალისობდა; ფრიქსეც ხარობდა, მაგრამ უფლისწულის სილაღეზე აყოლას ვერ ბედავდა, რადგან ამონას მხრიდან თითქოს ცალც იდუმალი, ჟრჟოლამომგვრელი და ავისმალაუწყებელი სიცივე სცემდა.

ამონა უძრავად იჯდა და უძრავი თვალებით მიშტერებოდა ეტლის პირისპირ ჭენებით მომქროლავ მთასა და ველს, ტყესა და ღრეს, წყალსა და კლდეს.

მიჰქროდა ეტლი, მიჰქროდა მთა-ველი და ქარი ჩასწიოდა ამონას ყურებს:

„ჩვენთან იცხოვრებს!.. ჩვენთან იცხოვრებს!..“

ვინ იყო ამონა და რა სურდა მას? რა იგრძნო, ან რად შეხვდა იგი ასე ავგულად ბერძენ უფლისწულს?..

ა მ ო ნ ა

ერთხელ მეფე აიეტი იმ მთებში ნადირობდა, საიდანაც მდინარე ფასისი სათავეს იკრებდა. იქ გადაეყარა ის ხელმოუტარავ მონადირეს, ვიღაც ლომშერს, რომელსაც ცოლი მოკვდომოდა და გულს თურმე ნადირობაზე აყოლებდა. იქვე მეფემ შეიტყო, რომ ეს კაცი განთქმულ მჭედელთა სოფლიდან, ჭედისიდან ყოფილა. თვითონ მოისურვა სწვეოდა ჭედისს, გასცნობოდა მის მოსახლეთა ცხოვრებასა და ოსტატობას. აიეტი და მისი ამაღა დაატყვევა თვით ლომშერის, უპირველესი ოსტატის მჭედ-ლურმა ხელოვნებამ. მეფე კიდევ უფრო მოიხიბლა ლომშერის პატარა ვაჟით, რომელიც ცეცხლად ავარგარებულ რკინას, მარწუხში მტკიცედ გათანგულს ქურიდან გრდემლზე აგდებდა და

მთხერხებულად უხვედრებდა მამის მძლავრი მარჯვენით მოქ-
ნეულ უროს.

ეს პატარა ბიჭი ამონა იყო, დედით ობოლი, მამის ფრანგულ
ქვეშ შეფარებული.

აიეტმა ლომშერი თავის ვაჟითურთ თან წამოიყვანა, დედა-
ქალაქში დაასახლა და საომარ საჭურველთა ჭედვის უფროსობა
ჩააბარა; თან თანაშემწეებად ორი ახალგაზრდა ხალიბი: გორ-
და და კახა დაუნიშნა.

ქალაქის გარეთ, სათაფლიის ხეებსა და ქვაბულებში, დღე
და ღამე განუწყვეტლივ გიზგიზებდნენ სამჭედლო ქურები.
ხვამლის მთას ექოდ ეხეთქებოდა უროთა და გრდემლთა რიტ-
მული დაგადუგი. ჭედისური რკინითა და ხალიბური ფოლადით
იჭედებოდა კოლხური საომარი საჭურველი, ფარი და მახვილი,
შუბი და ისარი, მუზარადი და ბექთარი, სამკლავეები და სა-
ბარკულები.

დღე არ გავიდოდა, რომ მეფე თავისი ვაჟით, ამონას ტოლი
აფსირტეთი არ სწევოდა სათაფლიის სამჭედლოებს.

აიეტი სამეფო ინსიგნიებს (ნიშნებს) მოიხსნიდა, უროს აი-
ლებდა და აფსირტეს ანიშნებდა.

უფლისწული მაშინვე ამონას მივარდებოდა, მარწუხს ჩა-
მოართმევდა, გავარვარებულ რკინას ქურიდან გრდემლზე გად-
მოაგდებდა და მამის მიერ მოქნეულ უროს უსადაგებდა. დრო
და დრო იქვე მდგარ ამონას ცერად გაჰხედავდა და ღიმილსაც
ესროდა.

ამონა ჯერ ეჭვითა და უნდობლობიბთ უცქერდა მეფის შვი-
ლის „მეტიჩრობას“. ვერ გაეგო, რისთვის სჭირდებოდათ მე-
ფეს და მის მემკვიდრეს მდაბიო მჭედელთა მსგავსად ცეცხლ-
თან ოფლის ღვრა, კვამლით შემურვა, თვალებისა და დაწვების
დაწვა? განსაკუთრებით იმას ვერ შერიგებოდა, რომ აფსირტე,
სანამ მარწუხს ჩამოართმევდა, ძოწეჟლის წამოსასხამს გადა-
იგდებდა და მას გაოფლილ მხრებზე მოასხამდა. მაშინვე ქრი-
ხოლითებიტა და ზურმუხტებით მოსევადებულ დიადემასაც
მოიხსნიდა და გოცებულ ბიჭს თმიაშლილ, შებოლილ თავზე
ადგამდა. ეს „ახირებული“ უფლისწული ყველაფერს ისე უბ-
რალოდ, უდარდელად და უზრუნველად აკეთებდა, ვითომც
არაფერი! თითქოს ვერც აიეტი ამჩნევდა, როგორ ექცეოდა
მისი ვაჟი სამეფო სამოსელს.

ქურაზე ავარდნილი ცეცხლირა იყო, ისე სწვავდა ამონას მხრებს უფლისწულის წამოსასხამი; ამირანთას კლდეებზე დაქანებული ფასისის ქუხილი რა იქნებოდა, ისე ხმაურობდა მკვდელი ბიჭის თავი სამეფო დიადემით შემოსალტული. უნდოდა ორივენი მოეხსნა და თავიც დაეხსნა, მაგრამ ვერ ბედავდა.

მაგრამ ერთხელ, როცა აფსირტე სამუშაო სამზადისს შეუდგა და ჩვეულებრივად თავისი მოსასხამით და თავსარქმელით ამონა მორთო, მან თვალი შეასწრო: მეფეს გაელიმა! ეს ღიმილი ოდნავი იყო და წამიერი, მაგრამ უბედობით დაბრიყვებული ბიჭი მაინც მიხვდა, რომ მას არ უწყრებოდნენ.

ბოლოს, ამონას სახეს ქუფრი და ღრუბელი სულ გადაეწმინდა, მაგრამ გაცეცხისაგან კინალამ შეიშალა, როცა აფსირტემ, შრომით დაღლილ-დაქანცულმა, სამეფო წამოსასხამი ჩამოართვა, მხარზე ხელი გადასდო და ტკბილად უთხრა: ჩვენ ნამდვილი ძმობილები უნდა ვიყოთო.

მაგრამ თურმე აქ საოცარი და საძრახისი არაფერი ყოფილა. აფსირტეს თვით მამისგან ჰქონია შეგონებული: უფლისწული, მომავალი მეფე, ხალხის ჭირ-ვარამს კარგად უნდა იცნობდეს, მის ტკივილს იტკივებდეს, მის შეჭირვებას იჭირვებდეს და თუ ლხინია, მასთან ილხენდეს. ქვეყანა მხოლოდ მაშინ არის ფესვმაგარი და უძლეველი, როცა მეფე ქვეშევრდომის ახლობელია, მისი ავის და კარგის გამგები...

იმ ღამეს ამონა დაიკარგა. გაოგნებულმა ლომშერმა გარიყრაჟისას ძლივს იპოვა იგი. კლდის თავზე იწვა, გულადმა, ხელეზგაშლილი, ცვარ-ნამით დათრთვილული და ცრემლებით დაწვებდასველებული. არც გაუგია მამის მოსვლა, კვლავ გაუხმძრევლად იწვა და თვალს არ აშორებდა ცის აღმოსავალ კართან აფართქალებულ ცისკრის ვარსკვლავს.

ლომშერი აღარ შეხმიანებია შვილს. მდუმარედ, ფეხაკრეფით გაბრუნდა უკან. ის მიხვდა, რომ მისმა პატარა ბიჭმა ობლობით დაწყლულებული გული გაიმთელა; სიხარულით გავსებულ გულს ვეღარ მორეოდა და სიხარულისვე ცრემლით ატირებულ იყო.

ფიქრებში ჩაძირული მიაბიჯებდა მკვდელი. უეცრად შედგა; ანაზღად ლოყა დაეწვა. ხელი მოისვა. ცხელი სისველე აჰყ-

ვა ნაჯათარ ხელისგულს. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ თვითონ
ნაც ატირებულიყო...

კოლხურ საქურველთან ერთად, — ჭედისურ-ხალაბურჯის
რკინასა, რვალსა და ფოლადზე ქარბუქად ავარდნილ ნაპერ-
წყლებში იჭედებოდა მათი მეგობრობა.

იმათ სულიერ სიახლოვეს დედით ობლობაც აძლიერებდა.
აფსირტეს დედა არ ახსოვდა. ნიმფა ასტეროდამ აიეტს ჯერ
ქალი — ქალკიოპე შესძინა, შემდეგ კი აფსირტე. როგორც კი
ტანტის მემკვიდრე დაიბადა, დედოფალი სადღაც უგზოუქ-
ვლოდ გადაიკარგა. აიეტი დიდხანს ელოდა მას, მაგრამ როცა
მის დაბრუნებაზე იმედი გადაიწყვიტა, ცოლად შეირთო ოკე-
ანესა და ტეთისის უმცროსი ქალი, მშვენიერი იდია.

იდიას სიმშვენიერეს გულის სისავსე და სიკეთეც ახლდა
თან. აიეტის ტრფობით დამწვარი დედოფალი სულში ისვამდა
გერ-შვილებს და თან მოუთმენლად ელოდა თავის საკუთარს...

ერთ დღეს, საღამო ხანს, აფსირტემ ამონა ქალაქის აკრო-
პოლისის ყველაზე მაღალ გოდოლზე აიყვანა და სასახლის ბაღ-
ში გადაახედა.

იქ, ჭადრების ხეივანში ახალგაზრდა ქალი სეირნობდა ნე-
ლი ნაბიჯით. შავი თვალ-წარბი უნდა ჰქონოდა, თმები კი, წე-
ლამდე დაშვებული ხშირი თმები, ნამდვილად შავი, კუნაპეტი
ლამის ფერი ჰქონდა. მის სახეზე უცნაური სხივთა კრთომა შე-
ნიშნა ამონამ. ვერ მიხვდა რა იყო ეს, კეთილშობილი ქვებით
მოქედელი გვირგვინიდან დაისის შუქზე არეკლილი სხივები,
თუ სხვა რამ... ტანი კი როგორი ჰქონდა, ვერ გაარჩია, რადგან
სრული კაბა ემოსა და ასევე სრული თეთრი ქათქათა მანტია
წამოესხა. ისე ხედავდა, მაღალი, ახოვანი უნდა ყოფილიყო.

ამონას ერთი რამ მაშინვე ეუცნაურა: იმ ქალს ოდნავ წამო-
ზიდულ მუცელზე დაეკრიფა ორივე ხელი; თითქოს იფარავდა,
თუ ეალერსებოდა მას.

თვითონაც ვერ მიხვდა ბიჭი, როგორ და რისთვის დარეკა
გულმა!

„ის დედოფალია“, უცებ გამოაფხიზლა აფსირტეს ხმამ.

„დედოფალი?!“

„ჰო, ჩემი დედა“.

ეს უკანასკნელი სიტყვები ამოოხვრას ამოაყოლა უფლის-

წულმა. მერე ამონას მზერას თვალი გაადევნა, თვითონაც დედოფლის ხელებით დაფარულ მუცელს დაამტერდა და წყნარად თქვა:

„იქ ჩემი ძმაა.“

„ძმა?!“

„ჰო, ძმა დაიბადება.“

ამონას თვალი არ მოუშორებია დედოფლისათვის, ისე წაჩურჩულა:

„რომ არ დაიბადოს?“

აფსირტემ ერთი გოცებით შეხედა და მთელის გულით გადიქისკისა.

მისმა სიცილმა დედოფალი შეაკრთო, ის უცებ შედგა და გალავანს აპხედა. ბიჭებმა ვერ მოასწრეს დაენახათ, როგორ დაამშვენა ღიმილმა იდიას ღვთაებრივი სახე. ისინი უკვე ძირს იყვნენ. ამონა სირცხვილით იწვოდა. აფსირტე კი სიცილით ჩაბეირებული გორავდა მიწაზე.

„რომ არ დაიბადოს?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა...“

როგორც იქნა ნამცინარევი ცრემლი მოიწმინდა და შენიშნა, რომ ამონას თვალეში წყენა ჩამდგარიყო, მაშინვე ფეხზე წამოხდა და მისკენ გაღიმებული გაექანა.

ამონამ შეაგება:

„შენ ვერ მიმიხვდი. მეც ვიცი რომ დაიბადება, მაგრამ ნამდვილად ძმა იქნება?“

„მაშ, ვინ უნდა იქნეს?!“ გოცებით დაიხია უკან აფსირტემ,

„ხომ შეიძლება ძმა კი არა, და დაიბადოს?“

ეს სიტყვები რაღაც იმედით თქვა ამონამ.

უფლისწული ჩაფიქრდა. მერე თავი რამდენჯერმე ჯიუტად გაიქნია და დაბეჯითებით დაასკვნა:

„არა, არა, ნამდვილად ძმა დაიბადება!“

და თან ამაყად დასძიწა:

„დაიბადება თუ არა, მაშინვე ცხენს ვაჩუქებ!“

„შენ კი რას აჩუქებ?“ უცებ ჰკითხა ამონას.

„მე?!“ აღმოხდა შემკრთალს.

აფსირტე მიხვდა, რომ ცუდად მოუხდა: რა საკადრისი საჩუქარი უნდა ჰქონოდა ღარიბ მკვდლის ბიჭს მომავალი უფლისწულისთვის! შეწუხებულმა ერთ ხანს აღარ იცოდა, რა

ეკნა. მერე უცებ საჩვენებელი თითიდან ფირუზის ბეჭედო წაიძრო და გაუწოდა.

„შენ აი, ეს აჩუქე“.

ამონამ უკადრისად შეჰყარა წარბები.

„გამომართვი, თორემ იცოდე, მეწყინება!“ არ ეშვებოდა მეფის ძე.

ამონამ ზურგი შეაქცია, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

„ამონა!“

იმან თავი მოაბრუნა და თქვა:

„მე თვითონ... ხვალ გეტყვი...“

და წავიდა.

უფლისწული აღარ გამოსდევნებია. ის კარგა ხანს გასცქეროდა ძმობილის ჩამოსხმულ სხეულს და უხმოდ ითვლიდა მის ჯიუტ ნაბიჯებს...

* * *

მთელი ღამე გიზგიზებდა ქურა სათაფლიის მღვიმეში. ქმინავდნენ საბერველები, ვარსკვლავებით მოსევადებულ ზეცისკენ მიჰქროდნენ კოწოლა ცეცხლის ენები, ერთუერთის ბწყკენით ბწყკიალებდნენ ნაპერწყლები.

სჭედდა პატარა მჭედელი ბიჭი. სჭედდა და ყველგან, აცეკვებულ ცეცხლის ციაგშიც, უგზოუკვლოდ არიალებულ ნაპერწყალთა მირიადებშიც, ელანდებოდა დედოფლის ჰაეროვანი, მწყაზარი სახე. ცეცხლს თვალს მოწყვეტდა და წყვდიადის ფარდაზე უფრო მკვეთრად ინაკვებოდა მშვენიერი ქალის თეთრი სილუეტი, წელსრული და... მკერდქვემოდ ხელებდაჭლობილი.

„ვინ არის იქ?!“

უროს ცემასთან ერთად რიტმულად სცემდნენ ეს სიტყვები ამონას თავში.

„ვინ... არის... იქ?!“

ამონამ ურო დასდო, გაცივებული ზკინა გრდემლიდან ასწია და ქურისაკენ წაიღო.

ხელი გაუშეშდა, თვალი გაუშტერდა და გული გაუჩერდა. როცა ქურას დაჰხედა.



იქ, ქრობაშეპარულ ღვეღზე სახოვანად ჩანდა ხელები, შხვართი, ნატიფად ნაკვეთი თითები. ეს ხელები კვლავ მკერდქვეშა სხეულს იფარავდნენ, იფარავდნენ თუ ეალერსებოდნენ. ხოლო სიღრმიდან ღუზღუზებდნენ, თითქოს ხანძრის ზვირთებად ამოხეთქას ლამობდნენ.

ერეოლამ აიტანა ამონა.

„ვინ არის იქ?!“

შეჰყვირა და ხელი ჩამოჰკრა საბერვლის ხელნას.

ქარიბდივით ამოიქმინა საბერველმა. ქურაზე ცეცხლის ალი ავარდა, თან მქრქალ ფერფლის ნაფლეთებად აიტაცა და გაჟვანტა სახოვანება ქალის ხელებისა და სხეულისა.

თითქოს ეს მოგუზგუზე ცეცხლი იმ სხეულთან დაიბადა!

„ღმერთო, ხომ არ შევიშალე?!“

ათრთოლდა ბიჭი. შრომით ნადენი ცხელი ოფლი ჭირის ცივ ოფლად გადაეღვარა თავით ფეხამდე.

რკინა მარწუხიანად ქურაზე ისროლა და ადგილიდან მოწყადა. ათიოდე ნაბიჯით გაჩნდა იქვე კლდეზე დაქანებული ჩანჩქერის ძირში. აქაფებულ წყალში შევარდა და გალიბულ კლდეს ზურგით აეკრა. დიდხანს იდგა ყინულა ჩქერში. გრძნობდა, როგორ სდევნიდა სხეულიდან წყალი ცეცხლისაგან შეყრილ უქმურს.

გამოვიდა, სახეზე ჩამოღვენთილი თმის ტევრები უკან გადაიწურა. მკლავები რამდენჯერმე მძლავრად დაიქნია და კუნთები დაიძაბა. მთელს ტანში ფოლადური სიმტკიცე და მზნეობა იგრძნო.

ხელები კისერზე შემოიჭდო და ზეცას აჰხედა.

პლეიადთა შვიდეული ირმის ნახტომს გადასცდენოდა. ყველაზე სხივმძლავრი ცთომილები იწრიტებოდნენ და დნებოდნენ ვერცხლმომალეებულ ზეცაზე. მოჰქროდა ცისკარი, მზისა და სინათლის მოციქული.

ამონა კვლავ ქურასთან გაჩნდა...



დილით, როცა აფსირტე ქალაქიდან ძმობილის საძებრად გაჰყდა, გალავნის მთავარ შესასვლელთან დახვდა ამონა.

უფლისწული გაოცებული ჩააცქერდა მის ჩანაცრულ სახეს და სისხლმომწოლილ თვალებს. ვერ მოასწრო ეკითხა, ავად ხომ არა ხარო, რომ ამონამ უბიდან პატარა ხანჯალი ამოიღო და გაუწოდა.

აფსირტემ მაშინვე გამოსტაცა, გაშლილ მარცხენაზე დაიდო და თვალანთებულმა დაჰხედა. მერე მარჯვენა ხელი არწივის თვად გამოკვეთილ ტარში ჩასჭიდა და ამოიქნია.

ფოლადთან ერთად ქარქაშიდან მზის სხივისა და ზღვის ლაქვარდის ელვარება ამოხდა.

„ეს შენ გასჭედე?!“

„ჰო“.

და ძლივს დაუმატა ამონამ:

„იმისთვის“.

აფსირტე მიხვდა, ვინ „იმისთვის“ გაუჭედია ეს მშვენიერი ხანჯალი ამონას. იარაღი უბეში თავის ხელით ჩაუდო და სახე-გაბრწყინებული მოეხვია.

შემდეგ ისევ მის უფერულსა და დათენთილ სახეს შეავლო თვალი; ჩააცივდა, წამოდი და ჩვენთან სასახლის ბაღში გამოიძინეო, მაგრამ როცა ამონას თვალწინ კვლავ დედოფლის სილუეტმა იელვა, მაშინვე შორს დაიჭირა, თითქოს შეეშინდა კიდევ, მერე ფიცხლავ გაბრუნდა და გაიქცა...

* * *

იმ უძილო ღამეს ამონას არ შეუძინევია, რომ შერე და მესამე მამლის ყვივითა შორის დასავლეთ ცაზე, ჰორიზონტიდან შუბის სიმაღლეზე, კუდიანი ვარსკვლავი ჩანდა.

კოლხმა ასტროლოგებმა რაღაც უბედურების მაუწყებლად მიიჩნიეს ეს უცნაური ცთომილი.

მესამე დღეს, მზის ჩასვლისას, კავკასიონის ჩრდილო საზღვრიდან შიკრიკი მოვარდა და მეფეს საგრომატა ურდოს შემოჭრა ამცნო.

აიეტმა სასწრაფოდ შეჰყარა ლაშქარი, თვითონ წაუძღვა მას, ფასისის ხეობას აჰყვა და მტერს მდინარის სათავესთან შეება.

საზარელმა სისხლიანმა ბრძოლამ ორ კვირას გასტანა. ბო-

ლოს, სავრომატებმა კოლხთა გააფთრებულ შეტევებს ვეღარ გაუძლეს, მოწინააღმდეგეს ზურგი აქციეს და კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე დაეშვნენ.

ეს მესამედ დაამარცხეს კოლხებმა სავრომატები. საფრთხემ განვლო, ქვეყანა გადარჩა, აიეტი კვლავ ძღვევამოსილი ბრუნდებოდა დედაქალაქში.

ასტროლოგთა წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მაგრამ იქნებ სხვა რაიმე უბედურებას აუწყებდა კუდიანი მნათობი ქვეყანას?

ასე იყო თუ ისე, კოლხეთი ჯერ ისევ „ბედნიერ ოქროს ქვეყნად“ რჩებოდა. დედა-მდინარეს მტრის სისხლთან და გვამებთან ერთად კოლხ ვაჟკაცთა გამარჯვება მოჰქონდა.

აგერ მეოცე დღე იღვნენ ოხვამერეს კლდის თავზე აფსირტე და ამონა და ფასისში თავუკულმად ჩამოტარებულ სავრომატთა ცხედრებს ითვლიდნენ. პატარა ძმობილებს ბრძოლის ყინი ერეოდათ, დავაჟკაცებას წატრობდნენ და სამშობლოსათვის ბრძოლაში პირველ განათვლაზე ოცნებობდნენ.

ბოლოს ფასისის ტალღათა დუღუნს კოლხური საომარი სიმღერის გრგვინვა მოჰყვა. მალე ლაშქარიც გამოჩნდა. წინ თეთრ ტაიჭზე ამხედრებულ მედროშეს კოლხური დროშა აღეშარათა. ეს დროშა ზღვის ფერი იყო; მასზე ცეცხლისფრად ლივლივებდა ოქრომკედით ამოქარგული, საბრძოლო ეტლში მდგომარე მზე ჰელიოსი — სიმბოლო სიმძლავრისა და უძლეველობისა, ხოლო მის გვერდით ოქროს საწმისი — სიმბოლო სიმდიდრისა და ბედნიერებისა.

დროშის შემდეგ ექვსი თეთრი მერანი მოაგელვებდა ოქროცურვილ ეტლს. ეტლში აიეტი იჯდა. მას მზის შვილს უწოდებდნენ და კოლხეთის მეფე კიდევაც ჰგავდა კოლხურ დროშაზე გამოხატულ, მზის სხივის შარავანდედით თავშემკულ ჰელიოსს.

მეფის ეტლს სარდლები მოჰყვებოდნენ. ამონამ მათ შორის კახა და გორდა იცნო.

მაგრამ ლომშერი?

რად დაუხრიათ თავები ღვრემამორეულ ხალიბ ვაჟკაცებს? სად არის მათი უფროსი ოსტატი?

სად არის ამონას მამა?

ყველა არ დარჩენილა ბედნიერი ამ საზეიმო დღეს.

და ყველაზე უბედური ისევ ამონა იყო. მას ახლა ალბერტ მამა ჰყავდა. საერომატის მოწამლულ ისარს შეეღწეა მკერდით ლომშერისათვის.

როცა ლაშქრის ბოლოს ბრძოლაში მოკლულთა გვამებით დატვირთული საზიდარები გამოჩნდნენ, ამონა კლდის თავს მოსწყდა და ძირს დაეშვა. საკვირველი ის იყო, რომ გონდაბნელებული ბიჭი ირგვლივ ველარაფერს ჰხედავდა და შუბის წვერივით წამახულ კლდის ქიმებზე მაინც ქურციკივით ფეხმოუძვდარად ხტოდა.

ამონა საზიდარზე აიჭრა, საკაცეს მოწყვეტით დაეცა და მამას ჩაეხვია. თავი დაღახვრულ მკერდზე დააკრა. რამდენჯერ გამთბარა ამ თბილ გულთან უდედობით გულგათოშილი! ახლა სვითონ მამის გული გაყინულიყო და შვილს არ შეეძლო მისი გათბობა. რა სივაჟაკის ცეცხლით ანთებდნენ ამონას სხეულს მამისეული თვალი არწივისა, მუხლი მგლისა და მკლავი ამირანისა! ახლა ეს თვალიც ჩამქრალა, მუხლიც დადუნებულა და მკლავიც მოშლილა.

სიკვდილი ზეიმობდა ჭედისელი ვაჟაკის სხეულზე. ჩაპკროდა შვილი მამას. არ ტიროდა. მხოლოდ ცახცახით ირღვნებოდა. ნიკაბი და კბილთ შორის ჩაჭედილი ქვედა ბაგე უცახცახებდა.

ლომშერის ცხედარი, სხვა დახოცილთა შორის, კირკეს ველზე მიასვენეს, ყველანი, ჩვეულებისამებრ, ხარის მოთელილ ტყავებში გაჰხვიეს და ძეწნებზე დაჰკიდეს.

ყველაზე მაღალი ძეწნის წვერზე ეკიდა ლომშერის ნეშთი. ამონა მამას არ შორდებოდა. მთელ ღამეებს მასთან ერთად ხეზე ატარებდა. ყოველ ამინდიან თუ უამინდო ღამეში, წყლის ჩხრიალში თუ ქარის ზუზუნში, წვიმის თქრიალში თუ სიოს ქვითინში, ძრწოლამორეულ კოლხ მწყემსებს ესმოდათ როგორ ზმუოდა და ბლაოდა ობოლი ბიჭი, თითქოს თვისტომის ნასისხლარზე მგოდებელი მოზვერი.

დღის სინათლის ხილვაც აღარ სურდა. როგორც კი რიქრაჟი წყვილიადს ფრთას ჰკრავდა, ძეწნიდან ჩამოხტებოდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გარბოდა. სანამ დღის სინათლე ღამის სიბნელეს მიმოფანტავდა, ის უკვე სათაფლიის დიდი გა-

მოქვაბულის ჩაშავებულ ჯურღმულებში იყო ჩანთქმული.

ვერავენ შესძლო განადირებული ბიჭის გამობრუნება. ისრეზე არავის იკარებდა, არც კახას, არც გორდას, არც ვისმეს. თუ ვინმე მიახლოებას ეცდებოდა, სახე დაემანჭებოდა და კბილთა ღრქენითა და მგლური ყმულით გარბოდა.

ბოლოს ისევ აფსირტემ იხსნა ძმობილი.

ერთხელ რიყრაყზე, როცა ამონა ძეწნიდან ჩამოხტა, იქ მას უფლისწული დახვდა. გაიქცა, მაგრამ აფსირტე მალე წამოეწია შიმშილით, უძილობითა და წუხილით დაოსებულს. ორივე ხელი წელზე სალტედ შემოაქდო და უპეჩანადღვლებულ თვალებში ჩააცქერდა. ამონამ მამის სიკვდილის შემდეგ პირველად გაუსწორა მხერა ადამიანის თვალს.

აფსირტეს ცრემლი მორეოდა, თბილი, გრძნობით სავსე ცრემლი.

ამონას მკერდში თითქოს რაღაც წყლული გასკდა და ამდენხანს უცრემლოდ დატანჯული ცრემლის ნიაღვრად დაიქცა.

დიდხანს იწვა თავდაღმა და ხმამაღლა ტიროდა. აფსირტე ხელს არ უშლიდა. ბარემ უკანასკნელ ცრემლამდე დაღვრილიყო პირთამდე სავსე ფიალა ობლური სიმწრისა და ვარამისა. დაასრულა და წამოდგა. სახე გასწმენდოდა. დამშვიდებული და დამშვენებული ჩანდა.

უფლისწულმა ალაღად გაუღიმა, ხელი გადაჰხვია და წაიყვანა.

არესის ველზე გავიდნენ. იქ, დიდი მუხის ქვეშ ორი ცხენა უცდიდა მათ, შავი და ოქროსფერი.

ამონამ შავი აირჩია, სამგლოვიარო თალხის ფერი.

შესხდნენ, ქუსლი ჰკრეს და გაფრინდნენ.

ვის ეგონა, თუ ამონა ოდესმე კიდევ იგრძნობდა სიხალისეს. სიცოცხლის ცხოველმყოფელმა ძალამ თავისი გაიტანა. ამ ცოტა ხნის წინ სიკვდილს დანატრებულს ახლა სიცოცხლე სწყუროდა. მიაქროლებდა უფლისწულის ნაჩუქარ მერანს და მის სხეულზე ასხლტებოდა ქარს თან მიჰქონდა მწუხარე ბავშვობა.

ამიერიდან კი იქნება ბედნიერი?..

აიეტის ნებართვით, აფსირტემ სასახლეში გადაიყვანა თავისი ძმობილი. ამ დღიდან ისინი ერთად ახლდნენ მეფე-დედოვალს ნადიმზე, ერთად მისდევდნენ სანადიროდ გვირგვინო-



სანს, ერთად ესწრებოდნენ ლაშქრის საომარ წვრთხას და თვითონაც იწვრთნებოდნენ ფარ-ხმლის ხმარებაში, ისრის ცნაში და შუბის ძგერებაში. ერთად უსხდნენ ეტლის კოჭოტს, კოლხეთის მეფეს და ერთად სჭედდნენ საომარ საჭურველს სათაფლიის სამჭედლოებში.

აქ, სამეფო სასახლეში ამონა იდუმალი სურვილითა და მოუთმენლობით ელოდა უფლისწულის „ძმის“ დაბადებას.

„იქნება ძმა არ იქნეს?!“ კვლავ იმედით ფიქრობდა.

ელოდა და ამ რაღაც დიდი, შეუცნობელი სასურველის მოლოდინშიც ბედნიერებას გრძნობდა.

მაგრამ ამონას შეეცრად აკიაფებულ ბედნიერების ვარსკვლავს უწყვეტი შიშის ჩრდილიც არ შორდებოდა.

ვაითუ, ყველაფერი ისევ დაჰკარგოდა! ვაითუ, ბედისწერა უარესს უმზადებდა უბედობით მრავალჯერ გულდაისრულს!

ამიტომ ყველაფერს, მის ირგვლივ მომხდარს, სულ უბრალოსაც, მჭრელი თვალით, ფხიზელი გონითა და მგრძნობიარე გულით სინჯავდა, ამოწმებდა, უკირკიტებდა.

ახლა ეს ბერძენი ჭაბუკი გამოჩნდა და ამონას უტყუარი გული საშინელი წინათგრძნობის შხამიანმა ბრჭყალმა გაკენწლა. რატომ? თვითონაც არ იცოდა, მაგრამ მაინც რაღაც აუხსნელი უბედურების მაუწყებლად მიიჩნია ფრიქსეს ჩამოსვლა. ვერ ხვდებოდა რა მიზეზით, მაგრამ მაინც გრძნობდა: ამ „ცითმოვლენილი“ უცხოელის გამოჩენა კუდიან ვარსკვლავზე უარესის მომასწავებელი იქნებოდა მისთვის.

და მარტო მისთვის?

იქნებ მეფისა და მეფეწულთათვის?

ან იქნებ მთელი კოლხეთისათვის?..

მეფის სიზმარი

მალე ქალაქი გამოჩნდა. იქ, სადაც ფასისი ოდნავ იხრებოდა, მალლობზე ამაყად აღმართულიყო ციხე-ქალაქი.

„პოლისი! ქალაქი!“ შესძახა ფრიქსემ.

„ჩვენი მთავარი ქალაქია“, უთხრა აფსირტემ.

„რა ჰქვია?“

„ქუთაია, თქვენებურად კი — კუტაია“.

უკვე ქალაქში იყვნენ.

განცვიფრებული ფრიქსე მზერად იყო გადაქცეული. ზღაპრით ჰამდა „კუტაიას“ ლამაზ ქუჩებს, ბრწყინვალე სახლებს, ცადატყორცნილ „აკროპოლისს“ — ციხე-სიმაგრეს.

„რა დიდებული ქალაქი ყოფილა კუტაია! ორქომენი ვერასგზით ვერ შეედრება კოლხთა დედაქალაქს!“ — ფიქრობდა ფრიქსე.

როცა აიეტის სასახლეს მიადგნენ, თავი სიზმარში ეგონა ბერძენს.

სასახლეს გარს ერტყა ოცდახუთი წყრთის სიმაღლე ქვის გალავანი. ხოლო სიგანე ისეთი ჰქონდა იმ გალავანს, რომ მის ზეთავზე ეტლები თავისუფლად შეუვლიდნენ გვერდს ერთმანეთს. ყოველ ოცდახუთ ნაბიჯზე მიუვალი სიმაგრე-კოშკურები და გოდოლები იყო აღმართული. ზღუდე-კედლებს მარმარილოს სვეტების ხეივნები შემოჯარვოდა. სვეტები იშვიათი დახვეწილობით ნატეფრი ჩუქურთმოვანი კაპიტელებით იყო შემკული.

უბრწყინვალესად ნაჩუქურთმევი ალყაფის კარები ჰქონდა გალავანს.

ალყაფი გაიარეს და სასახლის ეზოში ახალი საოცრება დაუხვდა ფრიქსეს. ეგონა, სადღაც ღმერთთა სამფლობელოში მოხვდა. ამ ღვთაებრივ ბაღში ყოველნაირი მცენარე ხარობდა. გრძელ, ჩრდილოვან ხეივნებში ბულბულები და სამოთხის ჩიტები გალობდნენ. შუა ეზოში ვაზის უზარმაზარი ტალავერები გადახლართვოდნენ ურთიერთს. ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჰქუხდა. თვალს როგორ დაუჯეროს ფრიქსემ, რომ ამ წყართაგან ერთი რძის შადრევანია, მეორე — ღვინისა, მესამედან სურნელოვანი ზეთი მოედინება, ხოლო მეოთხედან, უზარმაზარი ამფიადრული ლოდინიდან, ამოჰქუხს ანკარა წყაროს წყალი, მიწის გულიდან ამომდინარე.

ფრიქსე სასახლეს მიუბრუნდა.

ნეტავ, ზევსის სასახლე ოლიმპოს მთაზე ასეთი ბრწყინვალეა? ესეც ჰეფესტოს ღვთაებრივი ხელით ხომ არ არის აშენებული? ოქროს მდინარეებში ხომ არ განბანეს კოლხმა ოსტატებმა სასახლის ეს ოქროსფრად მოლაპლაპე კედლები? რა

ხელმა ამოჰკვეთა ასე ნატიფად ეს ზღაპრული რელიეფები?
სასახლის გარშემო მარმარილოს კოლონადების ტყეა და...
ამ ტყის თავებზე, კაპიტლებზე, რა თითებმა გამოძერწეს მათი
საუცხოო მრავალწნული და მრავალხვეული ჩუქურთმები?!

* * *

სასახლიდან პატარა გოგონა გამოვარდა. მას რძისფერი კაბა
ეცვა. წაბლისფერი კულულები ოქრონემსული ბაფთით აეკრა.
თეთრი პირის კანი და თაფლა თვალები ჰქონდა.

თვალს არ უჯერებენ აიეტი და აფსირტე:

გოგონა ფრიქსეს მივარდა, ხელი ხელში ჩასჭიდა და თვალ-
გაბრწყინებულმა უთხრა:

„მე შენ გელოდი!“

„ქალკიოპე!“ ძლივს ამოიღო ხმა აიეტმა.

ქალკიოპე მისკენ მიბრუნდა.

„ჰო, მამა, მე ამ უცხოელის მოსვლას ველოდი.. სულ სიზ-
მრებში ვხედავდი..“

* * *

იმ საშინელ ღამეს მხოლოდ ერთხელ ჩასთვლიმა აიეტმა და
მაშინაც შემზარავმა სიზმარმა შეუერთო უშიშარი გული.

მეფეს ესიზმრა, თითქოს მის წინ ღმერთი ჰერმესი დგას
და შეურყეველი ბრძანებით მარცვლავს ცეცხლოვან სიტყვებს:

„ტყუილად ყოყმანობ, აიეტ! ფრიქსე შენთან უნდა დარ-
ჩეს!“

„მისმინე, მაღალო ღმერთო!..“ ცდილობს მეფე მის შეჩე-
რებას.

ჰერმესს არც სურს მოისმინოს მოკვდავის სიტყვა, ისე გა-
ნაგრძობს:

„არამცთუ დარჩეს, ის შენი სიძეც უნდა გახდეს!“

„ღმერთო!“ შეჰყვირა აიეტმა.

თითქოს არც ეს გაუგონია ღმერთს.

„ფრიქსე ცოლად შეირთავს შენს ასულს, ქალკიოპეს!“

აიეტი შეძრწუნდა.



„ჩემმა ბრწყინვალე მამამ, ჰელიოსმა მიწინასწარმეტყველა, ნუ ენდობიო ქალკიოპეს შვილებს. ისინი შენ და შენს ქვეყანას უბედურებას შეგყრიანო... ამიტომ მე ქალკიოპეს ვერაფრისზე დავაქორწინებ“.

„შენ მას ფრიქსეს შერთავ!“ მოსჭრა ჰერმესმა.

მეფე მწარედ ჩაფიქრდა, მერე უცებ რაღაც მოისაზრა და შეპლალადა:

„ოღონდ ქალკიოპეზე ნუ მიბრძანებ. დედოფალი ფეხმძამედ არის... ვიცი, ქალი დაიბადება და იმას შევრთავ“.

ჰერმესმა წარბი მოღუშა, თვალებიდან ცეცხლი აფრქვია და კბილებში დასწურა:

„მხოლოდ ქალკიოპე იქნება ფრიქსეს ცოლი!“

ბოღმა დაზავდა აიეტის მკერდში.

„დიდებულო ჰერმეს, განა მამაჩემი, მზე-ჰელიოსი მაპატიებს ურჩობას, თუნდაც ეს ურჩობა შენის ბრძანებით ჩავიდინო?“

ჰერმესი განრისხდა.

„შენ დაგავიწყდა, საცოდავო მოკვდავო, რომ მე ზევსის მოციქული ვარ, მისი ნება-სურვილების მაცნე და მბრძანებელი. ხოლო ზევსი არის უძლიერესი და უდიადესი ყველა ღმერთთ შორის. მასთან უძლურნი არიან თვით მისი ძმები — ზღვათა მბრძანებელი პოსეიდონი, ქვესკნელის გამგებელი ჰადესი და უმძლავრესი ღმერთი-ტიტანი მზე-ჰელიოსი!“

მცირე ხანს შედგა და მკაცრად დაასკვნა:

„ასე იქნება! ქალკიოპე ფრიქსეს ცოლია!“

სარკმელზე აფრინდა და იქიდან უკანასკნელად მიაძახა:

„ხოლო ოქროს ვერძი ზვალ დილით ზევსს შესწირე არესის ველზე!“

ამ სიტყვებით გაუჩინარდა ჰერმესი...

აიეტმა ძლივს წამოსწია წელი. მთელს ტანზე ჭირის ოფლი დასხმოდა.

მიიმედ წამოდგა; სარკმელს მიადგა და დასავლეთს გაჰხედა.

იქ თეთრი ღრუბელი, ახოვანი ქალის სხეულად გამოკვეთილი, მკლავებგაშლილი და ყელმოღერებული ცურავდა ცაზე; ეს ნეფელე იცინოდა და ხარობდა ფრიქსეს ბედით აღტაცებული.

იმ ღრუბლის ახლოს დიდი ცთომილი ვარვარებდა: ეს ჰერმეის ილიმებოდა ცბიერი ღიმილით.

პირველად ატირდა ბოლმის ცრემლით, პირველად ცხებული კოლხთა მეფე.

ბოლმა ცრემლით ამოინთხია და ახლა აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი. იქიდან თავისი მამის, მზის ამოსვლას ელოდებოდა.

ირიყრაყა.

ეოსმა ფრთა გაჰკრა აღმოსავლეთს.

ჰელიოსის მოახლოებით ელდაცემული ვარსკვლავები გადაიკარგნენ ზეცის თალიდან.

აიეტი შემოტრიალდა და კარებისაკენ გაემართა.

ეზოში ჩავიდა და წყლის შადრევანს თავი მიუშვია. მძიმედ დაღვენთილი შავი თმის ტევრები სახეზე ჩამოეშალა.

კარგა ხანს სცემდა შადრევანი აიეტის აღმოდებულ თავსა და სახეს. მერე გაიმართა და თავ-პირი შეიმშრალა.

დამშვიდდა და დამშვენდა. შუბლზე ნათელი დაჰფენოდა, თვალებიდან უძილობისა და ბოლმის სისხლი გადასწმენდოდა. მარწუხად შეკრულ ყბებიდან და მოკუმული ტუჩებიდან სიმტკიცე და უდრეკელობა გამოუკრთოდა.

ღევის ნაბიჯით გაეშურა სასახლისაკენ...

...მალე აკროპოლისის მთავარი გოდოლიდან იქუხა ბუკმა, რომელიც კოლხებს აუწყებდა, მსხვერპლშეწირულებაზე შეკრებილიყვნენ...

* * *

ომის ღმერთის, არესის ველი ფართოდ გაშლილა ფასისის პირზე. გარშემო ჭადრებისა და ძელქვების სქელი ტყეები აკრავს სამსხვერპლო ასპარეზს. შუა ადგილზე ათასწლოვანი მუხა აღმართულა, მხრები ამაყად გაუშლია და ქედმალღურად გასცქერის მისი შიშით შორს გაჭრილ ძელქვებს და ჭადრებს.

იმ დილით, იმ მუხის ძირში, კოლხების საკრებულოს წინ, აიეტის ბრძანებით ქურუმებმა დაჰკლეს ოქროს ვერძი. ხორცი ღრუბელთ ბატონს შესწირეს, იმ მთავარ ღმერთს, რომელსაც ბერძნები ზევსს უწოდებდნენ, ხოლო ტყავი, ოქროს ბრწყინ-

ვალე ტყავი, ოქროს საწმისად წოდებული, მუხაზე დაჰკბი-
დეს.

აიეტმა ქურუმთა უხუცესს ანიშნა. იმან ოქროს კვერთხი
აიღო, რაღაც შავი სითხით სავსე ფიალაში ჩასდო და დაურია.
შემდეგ ამოიღო და მეფეს მიაწოდა.

აიეტმა კვერთხი ჩამოართვა, ფასისის პირზე მივიდა და
მდინარეს მძლავრად დაჰკრა.

მდინარე აღუღდა, გაფუვდა, გასივდა და ერთბაშად ქაფმო-
რეულ ზვირთებად გასკდა.

ცადამწვდენი წივილით ამობორგდა გველეშაპი.

მოხობავდა და საზარ, შავ-მომწვანო ქერტლებით დაფა-
რულ ტანს მოიგრაგნიდა. ბასრ, ხორკლებიან კუდს მიწაზე შხუ-
ილით უხათქუნებდა. ფრთათა ქროლვით ქარბორბალა მოჰ-
ქონდა. ცეცხლოვან თვალებს შემადრწუნებლად აბრიალებდა.
უზარმაზარი ქვაბულის ტოლა შავ-წითელი პირიდან ცეცხლო-
ვანი ღორბლის ზვირთებს ისროდა.

აიეტი წინ მოუძლოდა, კვერთხი წინ, მუხისაკენ გაეწვდინა.
მივიდა, ხეს ცხრაჯერ გარს შემოუარა და თან კვერთხით მის
გარშემო ცხრა რგოლი შემოხაზა.

გველეშაპი მუხის ძირში მიხობდა და ათასწლოვანი ხის
ტანს ცხრაკეცად შემოეგრაგნა.

„მობრძანდით და სინჯეთ!“ მწყრალდა გახმიანდა აიეტის
გულში და მრისხანედ გაჰხედა დასავლეთს.

ფ ე ხ უ ი უ ვ ე ლ ა გ მ ი რ ი

წთელი ელადა შესძრა ჰელეს დაღუპვისა და ფრიქსეს გა-
დაკარგვის ამბავმა.

მეფე ათამასის ძმა, კეთილშობილი კრეთევსი აღშფოთებუ-
ლი იყო ამ საშინელი ამბით. ის გრძნობდა, რომ ყველაფერი
დედოფალი ინოს ბრალი იყო. ვერ შერიგებოდა ათამასის ასეთ
სისუსტეს: დედაკაცი ასე როგორ დაისვა თავზე, რომ მის თავ-
გასულ სურვილებს ღვიძლი შვილები ანაცვალო.

იმ უბედურების მეორე დღესვე კრეთევსმა სულ მიატოვა
ორქომენი და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაბერძნეთში, თესალიაში

გადასახლდა. აქ მან ზღვის სანაპიროზე დააარსა ქალაქი იოლკოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოლკოსი მალე გაიზარდა, გამდიდრდა და აყვავდა. ამას ხელს უწყობდა მშვენიერი მდებარეობა. ქალაქი ამაყად წამოზიდულ მწვანე ბორცვზე იდგა და ზემოდან დასცქეროდა წყნარად მოლივლივე ყურეს — საუკეთესო ნავთსაყუდელს. ხმელეთიდან მას ფართოდ გაშლილი ნაყოფიერი ველ-მინდვრები ერტყა.

კრეთევისი მალე გარდაიცვალა და სიკვდილის წინ იოლკოსის მეფობა უფროს ვაჟს, ეზონს უანდერძა.

ეზონს ორი დღეც არ უმეფნია. მისმა ძმამ, ბოროტმა პელიასმა ის ტახტიდან გადააგდო და თვითონ გამეფდა.

ამიერიდან ეზონი იოლკოსში უბრალო მოქალაქედ ცხოვრობდა. უკანონო მეფეს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა იგი. პელიასს ყველაზე უფრო ძმის შთამომავლობა აზინებდა. ეზონის მეუღლე ალკიმედე ფეხმძიმედ იყო და პელიასი შეშფოთებით ელოდა მისი მეტოქის დაბადებას. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ალკიმედეს ვაჟი შეეძინებოდა, დაბადებისთანავე უნდა გაესრისა.

ეს დღეც დადგა. იოლკოსში ხმა გავარდა, ეზონს ვაჟი შეეძინაო. პელიასი ბრძანებას ამზადებდა, რომ მას მოულოდნელი სასიხარულო ამბავი აცნობეს: ეზონის ვაჟი დაბადებისთანავე მოკვდა და ახლა უბედური მშობლები მას ცხარე ცრემლით დასტირიანო.

საღამო ხანს მეფე სასახლის სარკმლიდან ხედავდა სამგლოვიარო სვლას. სულ წინ პატარა ცხედარს გულხელდაკრეფილა და თავჩაქინდრული ეზონი და ალკიმედე მიჰყვებოდნენ.

პელიასი სიხარულით ცას ეწეოდა.

მაგრამ არ იცოდა, რა ფუჭი იყო მისი ზეიმი.

სწორედ იმ დროს, როცა ეზონის სახლიდან სუდარაში გახვეული „ცხედარი“ გამოასვენეს, ეზონის ორმა მსახურმა სასწრაფოდ მახლობელ ტყეს მისცა თავი.

ერთ მათგანს ხელში კალათი ეჭირა, პატარა ძვირფასი ტვირთით: მასში ეძინა ეზონისა და ალკიმედეს ახალშობილ ყრმას.

შეუსვენებლივ მირბოდნენ მსახურები. მალლა მიიწევდნენ.



პელიონის მთის მწვერვალისაკენ მიეშურებოდნენ. რიგრიგობით მიყავდათ პატარა სულდგმული, რომელიც დაბადებისთანავე მძიმე, ხიფათით აღსავსე ცხოვრებას იწყებდა.

შუალამე იქნებოდა, როცა ეზონის მსახურებმა პელიონის მწვერვალს გადაუარეს და ერთ ყრუდ ჩაბნელებულ ხეობაში უზარმაზარ, შვად პირდაღრენილ გამოქვაბულს მიაღწენ.

მცირე ხანს შეჩერდნენ და ირგვლივ მიმოიხედეს. არსაიდან ბაიბური არ ისმოდა. ერთფეროვნად რუხი და მოსაწყენი ცა დამხოზოდა ქვესკნელურ სიჩუმისა და წყვდიადის სულდარაში ჩაფლულ დედამიწას.

ერთმა მათგანმა წყნარად შესძახა:

„ქირონ, ოოო, ქირონ!“

„ვიცი, ვინც იქნებით!“

ეს სიტყვები კი მოესმათ მსახურებს. მაგრამ ხმა კაცის ხმა იყო, თუ ცხენის ჭიხვინი ვერ გაარჩევდა ადამიანი.

იმ წამსვე გამოქვაბულიდან ჯერ უზარმაზარი კაცის თავკისერი და მკერდი გამოჩნდა, მერე მას ულაცი ცხენის ტანი გამოჰყვა. მკერდზე გრძელი წვერი სცემდა, თავ-კისერზე კი ცხენის ფაფარი.

ეს იყო კენტავრი ქირონი...

...კენტავრები ცხენ-კაცა სულდგმულები იყვნენ. თავი, მკერდი, მუცელი და ხელები ადამიანისა ჰქონდათ, ხოლო შემდეგ მთლიანად ცხენის სხეული მოსდევდათ.

ისინი კაცთა მოდგმას მტრობდნენ, მაგრამ კენტავრი ქირონი ადამიანთა დიდ მეგობრად ითვლებოდა.

ქირონი სახელგანთქმული ბრძენი, გულთამხილავი, ხელოვანი და აღმზრდელი იყო. ამიტომაც ბევრი კაცთაგანი ცდილობდა მასთან ახლო მეგობრობა და მოყვრობა ჰქონოდა. მაგალითად, ქირონი და ელადის უპირველესი გმირი ჰერაკლე დიდი მეგობრები იყვნენ. ქირონის ასული ენდეიდა ცოლად ჰყავდა კუნძულ ეგინას სახელოვან მეფეს, ეაკს. ეს რამდენიმე წელია, რაც ბრძენი კენტავრი სიყვარულით ზრდის ეაკის ვაჟებს — ეაკიდებს: ტელამონსა და პელევსს. ქირონი აქედანვე ატყობს, რომ მისი აღზრდილი შვილიშვილები უდიდესი გმირები იქნებიან. ლაკონელმა მეფემაც, ტინდარევსმა მას მიიბარა აღსაზრდელად თავისი ტყუპი ვაჟი — ტინდარიდები: პოლი-

დევე და კასტორი. ეჭვი არ არის, ისინიც ასახელებენ კეთილ კენტავრს.

აი აქ, ამ გამოქვაბულში ცხოვრობს ქირონი. აქ უმზადებენ ნუგბარ საკმელებს აღსაზრდელ ყმაწვილებს ქირონის ცოლი ქარიკლო და დედა ფილირე. აქ, პელიონის უღრან ტყეებში და ფრიალო კლდეთა შორის დააჯირითებს კენტავრი ელადის მომავალ გმირებს, ასწავლის მათ შუბისა და ისრის ტყორცნას; მახვილის ქნევას, მუშტის ძგერებას, ხაფით სავსე ბრძოლის ყიყინას. მზის ამოსვლის წინ და ჩასვლის ჟამს პელიონის ლამაზ მწვერვალზე დასვამს თავის აღსაზრდელს და გულმოდგინედ ასწავლის კითარაზე დაკვრას, ტკბილ სიმღერას ან საომარ ემბატერიას.

წინასწარმეტყვეტი არიან ქირონი. უმაღვე იცის რა მოხდება დაბლა, კაცთ შორის. ცდილობს, როგორმე დახმარება აღმოუჩინოს ბედისაგან უსამართლოდ დასჯილ კაცს.

დღესაც გაიგო, რა შეემთხვა იოლკოსში კეთილ ეზონს ბოროტი ძმისაგან. იცოდა, იგი დღესვე საჭირო შეიქნებოდა. ძილფხიზლობდა და ელოდებოდა.

ამიტომ, როგორც კი ხმა შემოესმა, უმაღვე გამოქვაბულიდან გამოვიდა.

„ვიცი, ყველაფერი ვიცი“ გაიმეორა მან და მოსულებს კალათა ჩამოართვა.

ცხენის ფეხები მოიკეცა, ჩვრები გადასწია და ყმაწვილს ჩვილ მკლავებზე, მკერდზე და თავ-კისერზე შეავლო ხელი.

მოეწონა. სახეზე სიამით სავსე ღიმილი მოეფინა კენტავრს.

„იასონი იქნება მისი სახელი!“ დინჯად წარმოთქვა:

მერე მოსულებს მიუბრუნდა:

„წადით და ამცნეთ კეთილ ეზონს, იმედი ჰქონდეს. ეს თითისიგრძე ჩვილი ოცი წლის შემდეგ გმირ ვაჟკაცად დაგიბრუნდებათ!“

ქირონმა კალათი აიღო და ის იყო გამოქვაბულისაკენ უნდა გაბრუნებულიყო, რომ უცებ ბნელს შეჩვეული მზერა შეეცარმა ხივცემამ შეუკრთო.

სამივენი აღმოსავლეთისაკენ შებრუნდნენ.

იქ რომელიღაც მნათობს მოსაწყენი, ნაღვლისმომგვრელი რუხი ცის ფარდა გაერღვია და ცეცხლისფრად ვარვარებდა.



ქირონი დიდხანს ვასცქეროდა ვარსკვლავს. მარცხენა მკლავზე კალათი ეკიდა, მარჯვენა კი ნიკაპზე მოეწვლო და მო ჩურჩულით არხევდა ტუჩებს. ბოლოს მსახურებმა ძლივს გაიგონეს, ისე წაიდუღუნა კენტავრმა:

„ის ვარსკვლავი კოლხეთის თავზე დგას... იქ დაიბადა... ქალი დაიბადა... ოოო, როგორი ქალი!..“

ქირონს სიტყვა გაუწყდა. მარცხენა მკლავზე დაკვრა იგრძნო და იმ წამსვე ყრმის შეყვივლებაც მოესმათ. კენტავრმა კალათას ჩაჰხედა და გახევედა.

პატარა იასონი კალათიდან ამოხტომას ლამობს. აღმოსავლეთიდან წამოსული სხივი სახეზე ვარდისფრად დასცემია. ყრმა თოთო მჯიღებს იქნევს, ალტაცებით ჰყვივს და იმ სხივისკენ მიილტვის.

კარგა ხანს უცქერდა ქირონი ხან ყრმას, ხან ვარსკვლავს. მერე იასონს დაადგა თვალი და დაბეჯითებით თქვა:

„მისი იღბალი დაიბადა!“

ბოლოს კვლავ აკიაფებულ ვარსკვლავს მიაშტერდა და დაასკვნა:

„აღმოსავლეთში დაიბადა ბედნიერება ელადისა!“

* * *

კოლხეთი ზეიმობდა მეფის ასულის დაბადებას.

მას მედეა დაარქვეს.

სხვამერეს კლდის თავზე პატარა ბიჭი ჩამომჯდარიყო და თვათონაც არ იცოდა რატომ ჰღვრიდა სიხარულის ცრემლს.

ხოლო ქალაქის აკროპოლისის უმაღლესი კოშკურიდან კოლხი ასტროლოგები დიდხანს ზვერავენენ დასავლის ცაზე დაკიდებულ კუდიან ვარსკვლავს.

ბოლოს წყვილიაღში გაიბნა მათი იღუმალი და შეშფოთებული ჩურჩული:

„დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც დაიბადა უბედურება კოლხეთისა!..“



ქამთა სრბოლის მფრინავმა ეტლმა ოცი წელი უსწრაფესად დათოკა და დაიხვია ციბრუტივით მბრუნავ ბორბალზე.

ოცი წლის სისხლსავსე სიჭაბუკე ღვიოდა იასონის მშვენიერ სხეულში.

თვალი უკეთესს რას ნახავდა!

ახოვანი და პირზე ვარდგადაფენილი, ოქროსთმება და ზღვისფერთვალება, ენატკბილი და გონგამჭრიახი, გულკეთილ და ლომგულოვანი.

იასონმა ყველაფერი იცოდა ქირონისაგან ნასწავლი. ბრძენი კენტავრი დაიმედებული იყო, რომ მისი გაზრდილი უბადლო გმირი იქნებოდა მთელს ელადაში.

ისიც იცოდა ჭაბუკმა, ვინ იყო ის, როგორ მოხვდა პელიონის მთაზე ან როდის უნდა დაებრუნებინა ბოროტი ბიძისგან წართმეული უფლებები და პატივი.

დადგა დრო. იასონი პელიონიდან დაეშვა და თან წამოიღო სიკეთით სავსე ოცი წელი, საყვარელი აღმზრდელის ბრძნული დარიგებანი და დედისმაგიერი ქარიკლოს უკანასკნელი უტკბილესი საგზალი.

მოდოდა გმირი. ხელთ შუბები ეჭირა. ვაჟკაცურ მხრებზე ჯიქის ტყავი გადაეფინა.

ლალად მოდიოდა და საამო ხმით მოიმღეროდა.

იასონი მთიდან დაქანებულ ღვართქაფა მდინარეს, ანავროსს მიადგა. არ შეჩერებულა, პირდაპირ მიაშურა. გაღმა გასვლა ეჩქარებოდა.

უეცრად ხრინწიანი, ბებრული ხმა წამოეწია მდინარეში ფეხშედგმულ ჭაბუკს:

„მიშველე, კეთილო ყმაწვილო!“

იასონი შემოტრიალდა.

მის წინ სიბერით მიხრწნილი ქალი იდგა, ძონძებში გახვეული, სახედაჯღარკული, კუზიანი და თეძოამოვარდნილი.

დედაბერი ძლივს მიხანხალდა იასონთან. წირპლით ამოლეკილი თვალებიდან ცრემლები ძლივს ამოიწმინდა და შესთხოვა:

„ლამაზო ყრმაო, ჰქმენ მადლი და მდინარის გაღმა გამიყვანე. ნუ დაიზარებ ჩემი ბებერი ლეშის გათრევას... აგრემც ფვარავდენ ოლიმპოს მბრძანებელნი!“

იასონი ღიმილითა და სიბრაღულით გამობრუნდა, თავისი
ლონიერი ხელებით დედაბერი ბუმბულივით აიტაცა და ზუზუნით
ზე მოიგდო.

წყალში შევიდა. ფოლადის მუხლებით მიარღვევდა დგახ-
დგარით მომავალ ყინულა ტალღებს.

იასონმა შუა მდინარეს მიადწია და იგრძნო, რომ მარცხენა
ფეხზე თასმა შეაწყდა და მოშვებული სანდალი წყალმა წარს-
ტაცა. მაინც არ შეჩერებულა. ფეხშიშველი მიაბიჯებდა აღმა-
სივით წვეტბასრა ქვებით მოფენილ ფსკერზე. არც საყვიდური
წამოცდენია ზურგზე მოგდებულ ცოცხალი მძორისადმი.

გალმა გავიდა და დედაბერი ჩამოსვა. ჩაიმუხლა და გაშიშვ-
ლებული ფეხისგული მოისინჯა.

უცნაურად საამო ხმამ ფეხზე წამოაგდო ვაყვაცო:

„იცოდე, იასონ, დღეიდან მუდამ შენი მფარველი იქნება
ქალღმერთი ჰერა!“

იასონი მოხუცისკენ შემობრუნდა, მაგრამ იქ უკვე აღარაფერი
იღვა. არც სხვაგან ჩანდა ვინმე.

„ღმერთებო, ნუთუ ეს ჰერა იყო, დიდებული ზევსის მეუღ-
ლე!“

ღიახ, ჰერა იყო. მას უძლური ქალის სახე მიეღო და ამ
გზით სურდა იასონის გულკეთილობა გამოეცადა.

ძლივს მოწყდა ადგილიდან სიხარულით გულამგერებულა
ქაბუკი...

* * *

იმ დღეს აუარებელ ხალხს მოეყარა თავი იოლკოსის მთა-
ვარ მოედანზე.

მთელს ელადას მოსდებოდა ამბავი:

კოლხეთში გარდაცვლილიყო ფრიქსე.

ყველას ყურადღება მიიპყრო დიდებულმა უცხო ქაბუკმა,
რომელიც ამაყად მოაბიჯებდა შუა საკრებულოში. ის სულ წინ
გავიდა და იქ დადგა, სადაც ჩვეულებრივ შემოდისოდა ხოლმე
მეფე პელიასი.

შუბები მიწას ჩააბჯინა და ზედ ჩამოეყრდნო ძალუმი მხრე-
ბით.

„თვით აბოლონი ხომ არ მოგვევლინა, ან არესი?“ ჩუქრულ-
ლებდნენ მისი მშვენებით დატყვევებული მოქალაქენი.

თან შეტად უცნაურიც ჩანდა სტუმარი: მარცხენა ფეხი
შველი ჰქონდა!..

იოლკოსის აკროპოლისიდან ბუკის ცემა ატყდა. ეს სასახ-
ლიდან მეფის გამოსვლას ამცნობდა ხალხს. მოედანზე თეთრი
ქიტონების ზღვა ამოძრავდა. უხუცესი თეთრწვერა მოქალაქე-
ნი წინ წამოვიდნენ და იქ ჩამწკრიდნენ, საიდანაც ფეხს არ
იცივლიდა უცხო სტუმარი.

ვინ არის ეს კაცი? რად მოუსურვებია, მაინცყამაინც თვალ-
ში შეეჩხიროს მეფეს, რომელიც სადაცაა გამოჩნდება და წე-
სისამებრ იქ უნდა დადგეს, სადაც ახლა ეს უცხოელი დამდგა-
რა?

მეფის ადგილზე მიასწრო ამ უცხოელმა პელიასი
ბუკის ცემას ზანზალაკების ჟღერიალი მოჰყვა.

ხალხში ჩოჩქოლი გაძლიერდა.

„მეფე მოდის!“

„მეფე პელიას!“

მართლაც მოედანზე შემოვირითდა ოქროს ეტლში ამაყად
გაქიმული პელიასი.

უკვე სიბერეში შესულიყო უკანონო მეფე. პირისახე დას-
ქნობოდა და თმა-წვერი ჩანაცროდა.

პელიასმა ხენეშით აითრია წელი. სანამ ეტლის საფეხურზე
ფეხს ჩამოდგამდა, ხალხს თვალი მოავლო და ადგილზე გაქვავ-
და: მან შენიშნა წინა რიგში, მხცოვანთა შუაში მდგომარე
ბრწყინვალე გაქვაცი, რომელიც მას გამომწვევსა და დამცინავ
მზერას ესროდა.

ველარ გაუძლო მის ცქერას. თვალი მის სხეულზე ჩამოატა-
რა, ფეხებზე დაჰხედა და მიწის ფერი დაედო ისედაც სისხლ-
გამშრალ მეფეს.

საშინელმა მოგონებამ დაუბნელა აზრი: ერთხელ დელფოს
მისანმა გააფრთხილა:

„მოერიდე კაცს, რომელიც მთიდან ჩამოვა იოლკოსში. იმ
კაცს ცალი ფეხი შიშველი ექნება!..“

„საიდან მოსულხარ, ყმაწვილო?“ ხმა ძლივს ამოიღო და-
ზაფრულმა მეფემ.

„პელიონის მთიდან ჩამოველ!“ ამაყად მიუგო იასონმა.

„მთიდან... მთიდან... ფეხშიშველა კაცი...“ უროსავით სცემდა და მოხუცის თავში. ძრწოლას ვეღარ ითოკავდა. სახე შიშით მოღრეცოდა. ხალხში თვალებს აცეცებდა, თითქოს იქიდან შველას ეძებდა.

თეთრი ქიტონების ზღვა კი არ იძროდა. გარინდული იდგა და რალაც საშინელსა თუ საინტერესოს ელოდა.

პელიასმა ძალა ძლივს მოიკრიბა, რომ როგორმე მეფური ღირსება აღედგინა დაბნეულ სახეზე და იასონს ბზარდაკრული ხმით ჰკითხა:

„რომელ ტომს ეკუთვნი? რა გვარისა ხარ? ვისი შვილი?“

სანამ იასონი უპასუხებდა, შესძლო სიმკაცრე ჩაერთო ხმაში:

„გაფრთხილებ, სიმართლე სთქვი! ენას სიცრუით ნუ შეიბილწავ!.. იცოდე, მე მტერი ვარ სიცრუისა!“

იასონმა დამცინავი მზერა ესროლა მეფეს და თან მშვიდად უპასუხა:

„მე მუდამ ერთგული ვარ სიმართლისა და პატიოსნებისა. ასე მასწავლიდა და მზრდიდა მთელი ოცი წელი ბრძენი ქირონი“.

„ქირონი!“

„ქირონი!“

ელვასავით ჩამოიბრძინა ამ სიტყვამ ხალხში.

მეფე ეტლში ჩაეშვა და უკანასკნელი ძალით ძლივს წარმოთქვა:

„გვითხარი, ვინ ხარ?“

„მე ეზონის ძე ვარ!“

მეხვიით გავარდა ეს სიტყვები.

„ეზონის ძე! ეზონიდი!“

იგრგვინა ხალხმა.

„ღიას, ეზონის ძე ვარ, იასონი! მე მოველ, რომ დავიბრუნო კანონიერი მემკვიდრეობა. ის ხომ ძალით წაართვა მამაჩემს უსამართლო პელიასმა!“

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ხალხი ხან გამშრალ პელიასს უცქერდა, ხან არწივივით შემართულ იასონს.

„ხუთი დღის შემდეგ მოვალ სასახლეში და ჩავიბარებ იოლ-

კოსის სამეფო ტახტსა და გვირგვინს!“ მკაცრად წარმოთქვა იასონმა და მოედანი დატოვა.

მას მიასწავლეს მშობლების საცხოვრებელი.

ეზონის სახლიდან უნაპირო სიხარულმა განდევნა ოცწლის მანძილზე იქ დაბუდებული სევდა-ვარამი.

ლოგინად ჩავარდნილი ეზონი აცრემლებული ეხვეოდა ვაჟკაც ძეს.

იასონმა ცნობაზე ძლივს მოიყვანა სიხარულის ელდით გონწართმეული ალკიმედე. დარდით თმაგათეთრებული დედამკერდიდან აღარ იშორებდა დაკარგულ ერთას. თითქოს შიშობდა ისევ არავის წაერთმია მისი თავი.

იმ ღამეს მათთან შეიკრიბნენ იასონის დაბრუნებით გახარებული ნათესავები და ახლობლები. მოვიდნენ ეზონის ძმები ფერესი და ამითაონი; ერთი მეზობელ ქალაქ ფერედან, მეორე შორეული მესენიდან. მათ თან ახლდნენ ვაჟკაცი შვილები: ფერესის ძე ადმეტე და ამითაონის ძე მელამპე.

ხუთ დღე-ღამეს ზეიმობდნენ იასონის დაბრუნებას.

მეექვსე დღეს იასონი ბიძებისა და ბიძაშვილების თანხლებით სასახლეში გაეშურა.

ბელიასმა დიდის თავაზით მიიღო სტუმრები.

იასონსა და მის მხლებლებს ისიც ეუცნაურათ, რომ მეფე სრულიად დამშვიდებული ჩანდა.

„ვაითუ დავაგვიანე!“ გაუელვა იასონს. უცებ წარბი შეიკრა, წინ წარდგა და დაიწყო:

„ადამიანის გული ხშირად შილტვის უსამართლობისკენ, ოღონდ კი ამგზით სასარგებლო რამ მოიხვეჭოს. ხოლო სამართლიანობის წინააღმდეგ ბრძოლა უეჭველ უბედურებას შეჰყარის კაცს...“ შენ უსამართლოდ მოექვეც მამაჩემს, შენს ძმას, კანონიერ მეფეს. სამაგიერო უნდა მიეზლოს მისაზღვეველს! მაგრამ ჩვენ ერთი გვარისა ვართ, სისხლით სისხლთაგანი და ხორციით ხორცთაგანი. ამიტომ სამართლიანად არ მიმაჩნია შუბითა და მახვილით გადაგჭრა ჩვენი. ამდენი ხნის სადავო საქმე. გირჩევ, უსისხლოდ მიიღო ჩემი მოთხოვნა: დაინარჩუნე ყველაფერი, რაც მამაჩემისთვის წაგირთმევია, — უთვალავი ცხვრის ფარა და ხარ-ძროხა, თვალუწვდენი ხოდაბუნები და მამულები — მხოლოდ უნდა დამიბრუნო სამეფო სკიპტრა და ტახტი, რო-

მელზედაც ოცი წლის წინათ მამაჩემი იჯდა როგორც კანონიერი მეფე!.. ეს ასე უნდა მოხდეს!“

პელიასმა დამშვიდებით მოისმინა და დინჯად, აუღელვებლად უპასუხა:

„მე თანახმა ვარ, მაგრამ ჯერ ღმერთთა ბრძანება უნდა შესრულდეს, თორემ არც ჩვენს გვარს, არც ჩვენს ქვეყანას, რომელსაც შენ მეფედ უნდა მოევიწიო, სიმშვიდე და ბედნიერება არ უწერია!“

„რა ბრძანეს ღმერთებმა?“ მოუთმენლად იკითხა ეზონიძმა.

„ყური მიგდე, — განაგრძო მეფემ, — ახლა მთელმა ელადამ იცის, რომ კოლხეთში გარდაიცვალა ორქომენიდან გაქცეული ფრიქსე. შენ მაშინ დაბადებულიც არ იყავი, როცა ის დედინაცვლისაგან დაგებულ ხაფანგს გაექცა და ოქროს ვერძზე შემჯდარი შორეულ ქვეყნად გადაიკარგა. ახლა ფრიქსეს სული მოითხოვს, სასწრაფოდ წამოვიღოთ იმ ოქროს ვერძის ტყავი — ოქროს საწმისი და ელადაში ჩამოვიტანოთ. ოლიმპოს ღმერთთა სურვილიც ასეთია. მე ყველაფერი სიზმრად ვნახე, როგორც კი გამომეღვიძა, მაშინვე ვაფრინე შიკრიკები დელფოში და პითიამაც დამიდასტურა ღმერთების ბრძანება: ოქროს საწმისი კოლხეთიდან ელადაში უნდა დაბრუნდეს!.. დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ სამზადისს კოლხეთისაკენ სალაშქროდ!“

მღუმარედ ისმენდნენ თავზარდაცემული იასონი და მისი მხლებლები.

ბოლოს ასე დაასრულა პელიასმა:

„კარგად ხედავ, ჩემო ძმისწულო, მე სიბერისაგან მიხრწნილს, არ შემიძლია ვუწინამძღვრო ასეთ შორეულ ლაშქრობას. ჩვენს გვარში არც არავინ მეგულება ისეთი, ვინც შესძლებს ამ მძიმე დავალების შესრულებას... მხოლოდ შენ ერთი ხარ, იასონ, კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამომტანი. შენ ვინ შეგედრება ძალ-ღონით სავსეს, ღმერთთა ტოლ ვაჟკაცს! მხოლოდ შენ უნდა ჩაუდგე სათავეში ლაშქრობას და შეასრულო ოლიმპიელთა ბრძანება!.. ხოლო როცა მშვიდობით დაბრუნდები, შენი იქნება ტახტიც, გვირგვინიც, მთელი სამეფოც!“

...გათავდა, ყველაფერი გათავდა! რა გველაძუა ყოფილა ეს პელიასი! რა სასწაული დააბრუნებს შორეული კოლხეთიდან

ადამიასს, რომელიც შეეცდება რამე წაართვას მზის ძე
ეტს?!
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ სხვა გზა სადღაა! მოკვდავთაგან ვინ აღუდგება უზენაეს ღმერთთა ნება-სურვილებს!..

ს რ გ ო ნ ა ვ ე ლ ე ბ ი

იასონი ჯერ დელფოში გაეშურა, რადგან უნდოდა პელიასის ნათქვამის სისწორე შეემოწმებინა.

მართალი გამოდგა. პითიამ ყველაფერი ისე აუწყა, როგორც პელიასისაგან მოისმინა.

მაშ, გადაწყდა: იასონი კოლხეთში მიემგზავრება!

სალაშქრო სამზადისს შეუდგა.

მთელს ელედაში დაგზავნა შიკრიკები და ყველა სახელოვან გმირს მოუწოდა, მონაწილეობა მიეღოთ ლაშქრობაში ზღაპრული კოლხეთისაკენ. ბევრ გმირთაგანს თვითონ ეწვია იასონი და დანიშნული დღისათვის სალაშქროდ გამოცხადებაზე დაითანხმა.

სანამ ისინი იკრიბებოდნენ, იასონმა სალაშქრო ხომალდის მშენებლობა დაავალა არგოსს, ცნობილ გემთმშენებელსა და გმირს.

არგოსი პელიონის მთის ძირში შეუდგა ხომალდის აგებას. ოლიმპოს მწვერვალიდან ქალღმერთი ათენა დაეშვა დიკვერდში ამოუდგა მშენებელს.

ათენამ და არგოსმა პელიონის მტკიცე და მსუბუქი ხის მასალისაგან ააგეს ხომალდი.

ათენამ მას საჭესთან დაუტანა დიდონის, ზევსის სახელობის საღვთო მუხის ტოტი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საყვირის მოვალეობის გაწევა შეეძლო.

როცა ყველაფერი დაასრულეს, ათენამ არგოსს თავისი დიდი ცისფერი თვალეები მიანათა და ღიმილით უთხრა:

„ამ მშვენიერ ხომალდს „არგო“ უნდა დაერქვას, შენი სახელის მიხედვით!“

და ღიმილითვე დასძინა:



„ხოლო ვინც ამ ხომალდით კოლხეთს ილაშქრებს, მად
ეწოდებათ „არგონაველები!“

თქვა და გაფრინდა...

...ელოდა „არგო“ „არგონაველებს“.

დანიშნული დღეც დადგა. ყველაფერი მზად იყო გასამგ-
ზავრებლად. „არგოს“ ამაყად აღემართა ანძა პავასის ნავსად-
გურში.

კოლხეთში სალაშქროდ სულ ორმოცდათხუთმეტი გმირი
შეიკრიბა. ყველა ერთმანეთზე უმამაცესი და უმშვენიერესი,
ღიღება და სიამაყე ელადისა.

იოლკოსში აუარებელი ხალხი მოზღვავდა. ყველას სურდა
ენახა ელინ გმირთა კრებული.

აი, ისინიც! მწყობრად, მტკიცე ნაბიჯით, მხარგაშლითა და
ამაყი მზერით მოდიან ვაჟკაცები.

თითქოს უკვდავი ღმერთები ჩამოსულან ოლიმპოს მთი-
დან.

წინ მოუძღვით აპოლონის დარი იასონი, რომელსაც ლირით
ხელში, გვერდით მოჰყვება მუსიკის ჯადოქარი ორფევსი.

შუაზე ფესვღონიერ და შტოგაშლილ მუხსავით ჩამდგარა
დიადი ჰერაკლე. მარჯვნივ მას მოსდევს განუყრელი მეგობარ-
ი და საჭურველმტვირთველი ჰილასი, ხოლო მარცხნივ —
კენტავრ ქირონის გაზრდილები, ძმები ეაკიდები — ტელამონი
და პელევსი, და კიდევ ძმები-ტყუპები დიოსკურები — პოლი-
დევეკე და კასტორი.

შემდეგი მწყრივები ასევე ძმობით უჭირავთ მესენიელ ლინ-
კევსს და იდასს, თესალიელ ერიტეს და ექიონს, ევრიტიონს და
ერიბოტეს, ეგბეელ კლიტიოსს და იფიტეს, არკადიელ ამფიდა-
მასს და კეფევსს, აქაიელ ასტერიოს და ამფიონს, მილეტელ
ერგინეს და ანკევსს, მფრინავ ძეტეს და კალაისს და წყვილ
ძმათა ბოლოს სამ არგოსელ ძმას — ტალაეს, არეიოსს და ლეო-
დიკეს.

ძმათა კოლონას სამი გულთმისანი და წინასწარმეტყველი
მოსდევდა: მოპსე, ტიფისი და იდმონი.

მომდევნო მწყრივში მხოლოდ თესალიელი გმირები იდგ-
ნენ: ევრიდამასი, მენიტიოსი, კორონე, ასტერიონი, ადმეტე,
ცბიერი ეთალიდე, მსცოვანი პოლიფემე და იასონის მამიდის
ქმარი იფიკლე.

მათ მოწყვებიან ლოკრიდის მეფე ოილევსი და ევბეელი
ჯანთოსი, ათენელი ვაჟკაცები ბუტე და ფალერე, ლაკონიელი
ფლიასი და არგოსელი ზღვაოსანი ნავლიოსი, მესენიელი პე-
რიკლიმენე, ტეგეელი ანკევსი და ელიდის მდიდარი მეფე ავ-
გია.

სულ ბოლოს მოდიოდნენ: ფეხმარდი ევფემე — ჰერაკლეს
დის ქმარი, ახალგაზრდა კალიდონელი გმირი მელეაგრე და მი-
სი ბიძები — ლაოკოონი და იფიკლე, ეტოლიელი კოჭლი გო-
ლიათი პალემონიოსი, ფოკიდელი იფიტე, „არგოს“ მშენებელი
არგოსი და მეფე პელიასის ძე აკასტე.

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მოსწონდა ხალხს, რადგან
აკასტემ არ მოისურვა დარჩენილიყო მამასთან, რომელსაც
იოლკოსის ტახტი უკანონოდ ეჭირა. ის ბიძაშვილს თანაუგ-
რძნობდა და შორეულ სახიფათო ლაშქრობაშიც მიჰყვებოდა
მას...

ხალხის ზღვა გარს შემოერტყა გმირთა კრებულს. აღტაცე-
ბით ათროლებული შეძახილები აზანზარებდა ჰაერს. ახალ-
გაზრდებს სისხლი საომრად უჩქროლავდათ, მოხუცებს გული
უკვდებოდათ წელთა სიმრავლით დამძიმებული სხეულის უძ-
ლურებაზე.

შუა მოედანზე, მოგზაურთა და მოლაშქრეთა მფარველი
ღმერთის ჰერმესის ქანდაკების წინ, თეთრ სამოსელში გახვე-
ულ ქალებს ზეცისაკენ ზეთისხილის მწვანე რტოები აღეპყ-
როთ და ცრემლთა ღვრით ევედრებოდნენ ოლიმპოელ მბრძა-
ნებლებს გმირთა მშვიდობით და ძლევამოსილად დაბრუნე-
ბას.

გმირები, იასონის ნიშანზე, ქალაქის კარიბჭისაკენ გაეშურ-
ნენ. ჰერაკლემ თავისი უზარმაზარი კომბალი ალაყაფს მიაბჯი-
ნა და წამსვე გაიღო ცადაწვდილი სპილენძის კარები.

განშორების უამი დადგა. იოლკოსის კარიბჭესთან გმირები
თავისიანებს ეთხოვებოდნენ.

იასონი სახლშივე დაემშვიდობა ლოგინადჩავარდნილ მო-
ხუც მამას. ეზონმა დალოცა შვილი. ყელში ცრემლები მოებჯი-
ნა და ხმა ჩაუწყდა. ვაჟკაცი შეშინდა, რომ თვითონაც არ ატი-
რებულყო და მონებს უბრძანა სასწრაფოდ მოერთმიათ სა-
ჭურველი.

არც დედის გაყოლა უნდოდა იასონს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიყოლია ალკიმედე სახლში დარჩენაზე.

ახლა აქ, ქალაქის ალაყაფთან ეთხოვებოდა დედას იასონი: შინაურები, მონები, მსახურები, მხევლები, შორიახლოს იდგნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

ალკიმედეს თავი შვილის მკერდში ჩაერგო და მწარე ცრემლით სტიროდა მწარე წარსულს და უეცრად მოვლენილ ბედნიერებას, რომელსაც ასე უეცრადვე ჰკარგავდა.

„ნუ სტირი, დედა, თორემ ცრემლები ავბედიოთობას მოასწავებს ზღვაზე გასული კაცისათვის!.. კმარა, მიდის შენი იასონი!.. ეცადე, ცრემლს ნუ გააყოლებ, დედა!“

ალკიმედემ ძლივს მოიწმინდა ცრემლი.

„მშვიდობით, შვილო!“

„მშვიდობით, დედა!“

ატყდა ჩოჩქოლი, ხმაური, ღრიანცელი.

ხალხი, ახლობლები, ნათესავეები, მეგობრები, ყველა ეთხოვებოდა ვერ იასონს, მერე მის თანამოლაშქრეებს.

„მშვიდობით!“

„მშვიდობით!“

„კარგი გზა და კარგი წყალი!“

(ამ სიტყვებით იცოდნენ დამშვიდობება ბერძნებმა).

გმირები სასწრაფოდ გაშორდნენ იოლკოსს.

ბ ა მ გ ზ ა ვ რ ი ბ ა

მალე პაგასის ნავსადგურში მივიდნენ.

გასინჯეს ხომალდი, მისი საჭე, კიჩო, ნიჩბები, ღუზა, ანძა და იალქნები. გაიხარეს „არგოს“ სიმკვიდრით, სიმტკიცით და სილამაზით.

მერე იასონის ნიშანზე იქვე ჩამოსხდნენ სათათბიროდ.

— მეგობრებო, — დაიწყო იასონმა, — ხომალდი მზად არის სალაშქროდ. როგორც კი ზურგქარი დაბერავს, ზღვაში შევცურავთ... ახლა ერთი რამ დაგვრჩენია ლაშქრად გასვლის წინ...“

სიტყვა შეუჩერდა. ყველას რაღაც შიშით თუ მოკრძალებ-

ბით მოავლო თვალი, ჩაახველა და წყნარად დააბოლოვა:

„წინამძღოლი უნდა ავირჩიოთ... მეგობრებო, დაასახელებთ მეთაურის!“

ყველა მიხვდა, რომ თვით იასონს სურდა მეთაურობა. წინააღმდეგიც არავინ იქნებოდა, მაგრამ მათ შორის ხომ არის ჰერაკლე, უდიადესი გმირთა გმირი, ძე ზევსისა! მან უკვე სახელი გაითქვა თორმეტი უბადლო გმირობით: თავისი მძლავრი ხელებით დაახრჩო ნემეის ლომი, მახვილით აჰკაფა ლერნეის ჰიდრა, დაეწია და ხელით შეიპყრო ფიქრევით სწრაფი კერინეს ირემი, შეიპყრო და შებოჭა ერიმანთის ველური ტახი, ისრით დაჰხოცა სპილენძის ისრისფრთებიანი სტიმფალის ფრინველები, მდინარე მიუშვა და გაწმინდა ავგიას წლობით დანაგვიანებული თავლები, მოათვინიერა კრეტის ველური ხარი, შეიპყრო დიომედეს გიჟი ცხენები, მოიპოვა ამაზონთა დედოფლის, ჰიპოლიტეს ღვთაებრივი ქამარი, გზა გაიკვლია ოკეანისაკენ და იქიდან მორეკა ჯოგი გერიონისა, მიაღწია ქვეყნისასასრულს, იქ მოიპოვა ოქროს ვაშლები ჰესპერიდების ბაღიდან და, ბოლოს, შებოჭა და დაიმორჩილა ქვესკნელის დარაჯი, ურჩხული კერბერი. ამას გარდა კიდევ ვინ მოთვლის რამდენი გმირობა ჩაუდენია ჰერაკლეს; ბევრი მათგანი თვითონაც აღარ ახსოვს ღვთაებრივ-გმირს. კიდევ რამდენი კეთილი საქმე უნდა გააკეთოს ადამიანთა მოდგმისათვის!

და როგორც კი იასონმა თქვა, დაასახელებთ მეთაურიო, ყველამ ერთად დაიგრიალა:

„ჰერაკლე იყოს წინამძღოლი!“


ჰერაკლე არც განმარტულა. მხოლოდ მარჯვენა ხელი აღმართა და დაიბუხუნა:

„ყველამ იცით, სამეთაუროდ არ გავჩენილვარ ამ ქვეყანაზე. ეს ამოდენა ძალ-ღონე ზევსს ჩემთვის იმისთვის მოუცია, რომ სხვას ვემსახურო, უფრო სუსტის ბრძანებას დავემორჩილო!“

უცებ ყველას მოაგონდა დიდებული გმირის მწარე ხვედრი: ...ჰერაკლე ზევსისაგან შეეძინა ამფიტრიონის მეუღლეს, მშვენიერ ალკმენეს. დაბადების მოახლოებისას ზევსს ღმერთთა საკრებულოზე ამაყად წარმოუთქვამს: დღეს ჩემი მოდგმის, პერსეიდების გვარში დაიბადება უდიდესი გმირი, რომელიც



იქნება მბრძანებელი არგოსისა!.. იქვე, ზევსის მეუღლე ჰერაჲ, რომელიც უნაპირო მძულავრებითა და მტრობით სდევნიდა თავისი ქმრის „სიძვის დიაცებს“ და „ცოდვის შვილებს“, ღმერთთა მბრძანებელს ფიცი სთხოვა, რომ სიტყვას არ გასტეხდა და არგოსელთა მეფე-მბრძანებელი მართლაც ის იქნებოდა, ვინც ამ დღეს პირველი დაიბადებოდა პერსეიდთა საგვარეულოში. ზევსმა ჰერას ცბიერება ვერ შეიტყო, რადგან იმ წუთში მას გონება დაუხშო სიცრუისა და თვალისახვევის მფარველმა ქალღმერთმა ატემ, და ურყევი ფიცი მისცა მეუღლეს. სულ მალე ჰერა ოლიმპოდან შეუშინველად გაუჩინარდა, არგოსში გაჩნდა და ერთი თვით დააჩქარა მშობიარობა ამფიტრიონის ნათესავის სთენელოსის ცოლისა; ალკმენეს ძეობა კი შეაგვიანა. ამრიგად, პირველი დაიბადა სთენელოსის ვაჟი ევრისტევის, ხოლო მას შემდეგ — ზევსის ძე ჰერაკლე. მაშასადამე, მეფე და მბრძანებელი არგოსის ქვეყნისა, ზევსის ფიცის მიხედვით, შეიქნა ევრისტევისი და არა ჰერაკლე. ღმერთთა მთავარი მიხვდა, რომ მოატყუეს, მაგრამ რაღას გააწყობდა, ფიცს ხომ ვერ გასტეხდა. ჯავრი მხოლოდ იმით იყარა, რომ სიცრუის ქალღმერთი ატე თმებით დაითრია და ოლიმპოდან ისროლა. ამის შემდეგ ატეს ნება აღარ ჰქონდა კვლავ სწევოდა ღმერთთა სამყოფელს. იმ დღიდან სიცრუე მხოლოდ ადამიანთა შორის ცხოვრობს... ჰერა კი გაჩენის დღიდანვე შეუდგა ჰერაკლეს დევნას. ღამით როცა, ყველას ეძინა, მან ორი უზარმაზარი გველი შეაცურა ახალშობილის საწოლში. ჰერაკლეს მის ტყუპის-ცალთან, ამფიტრიონის ძესთან იფიკლესთან ერთად ეძინა ბაღლთა უდრტვინველი მშვიდი ძილით. როცა გველები ორივე ჩვილს ყინულის სალტეებად შემოეგრანენ, ჰერაკლე უცებ წამოვარდა, შეჰყვირა და ცოდვილი ხელით შემოგზავნილი ორივე მცურავი უცოდველი და უმანკო ხელებით მოახრჩო. მაშინ ყველა მიხვდა, რომ ქვეყანას მოევლინა ღვთაებრივი ვაჟკაცი. მაგრამ ეს გმირი, ზევსებრივი ძალ-ღონის მქონე, გულუშიშარი და გულკეთილი, მმუსვრელი ბოროტებისა და მთესველი სიკეთისა, შეიქნა მორჩილი მონა უღონო, მხდალი, ბოროტი და შურიანი ევრისტევისისა. ევრისტევისის ბრძანებით დახეტიალობს ჰერაკლე ქვეყნიდან ქვეყნად, ცნობრობს ხიფათით სავსე მძიმე ცხოვრებით, საარაკო გმირობით ანადგურებს ადა-

მიანთა მოდგმაზე წაკიდებულ ყოველგვარ სიბოროტეს და
თა შორის უდრეკი მკლავით და უხვი ხელით სთესავს სიკვდილს
თეს... 

...ჰერაკლემ მძიმე ფიქრებით დასეტყვილი შუბლი მოისრი-
სა და განაგრძო:

„ჰო... მე უარს ვამბობ მეთაურობაზე!.. და არც სხვა რომე-
ლიმე თქვენგანს მივცემ წინამძღოლობის უფლებას!“

ყველა მორჩილად, მღუმარედ შესცქეროდა დიდებულ
გმირს და ამ დუმილით წინასწარ ეთანხმებოდა მის შეუვალ გა-
ნაჩენს.

ჰერაკლემ იასონს მიაპყრო მზერა და მტკიცედ დაასკვნა:

„დაე, ის იყოს წინამძღოლი, ვინაც შეკრიბა ეს ლაშქარი
კოლხეთს სალაშქროდ!“

სიხარულის ყიყინა აღმოხდათ ზევსისა ძის დიდსულოვნე-
ბით აღფრთოვანებულ არგონაველებს:

„დაე, იყოს იასონი წინამძღოლი!“

„ხაირე ჰერაკლე! გაუმარჯოს ჰერაკლეს!“

„ხაირე დიოს ჰიე! გაუმარჯოს ზევსის ძეს!“

„ხაირე იასონ! გაუმარჯოს იასონს!“

„მაშ, შეუდრეკი საქმეს, იასონ!“ დინჯად დააბოლოვა ჰერაკ-
ლემ.

იასონი აღტაცებას ველარ ფარავდა. ერთხანს სიხარულით
დაბნეულმა აღარც კი იცოდა რა ექნა. მერე მარჯვენა ხელი აღ-
მართა და აღელვებული ხმით შესძახა:

„ხაირეტე არგონავტაის! გაუმარჯოს არგონაველებს!“

„ხაირეტე არგონავტაის!“ ერთპირი გრილით უპასუხეს
გმირებმა.

იასონი განაგრძობდა:

„რაკი ასეთი პატივი დამდეთ, მაშ, ნულარ დავაყოვნებთ!
სანამ მონები სამსხვერპლო ხარებს მორეკავენ, მანამ „არგო“
ზღვაში შევაცუროთ!“

ეს თქვა და ტანთ გაიძრო. ყველა გაშიშვლდა. ხომალდს მი-
ეხვივნენ. ფსკერქვეშ მიწა გამოუთხარეს და ფიცრები შეულა-
გეს.

ხომალდის ცხვირზე გულთმისანი ტიფისი ავარდა და მან
დაძახებაზე გმირები ერთიანი იერიშით მიაწვნენ. „არგო“

ზღვსაკენ გაქანდა. ვაჟაკები ხმაურით მისდევდნენ ორივე მხრიდან. „არგო“ ზღვაში შეაცურეს, ბაგირით დააბეს, ნები გაამზადეს და სურსათი აიტანეს.

კვლავ შეიმოსნენ. ახლა ხომალდში ადგილების განაწილებას შეუდგნენ. ეს წილის ყრით უნდა გადაეწყვიტათ. მხოლოდ შუა ადგილი წინასწარ, წილუყრელად, უნდა დაეჭირა ყველაზე მძლავრ ორ გმირს, რადგან შუა ადგილი ყველაზე ძნელი სამართავი იყო.

შუა მერხი ერთხმად ჩააბარეს ჰერაკლეს. ხოლო მის გვერდით ახალგაზრდა ტეგეელი გმირი ანკევსი დაასახელეს.

ანკევსი ტეგეის მეფის, ალეოსის შვილიშვილი იყო. მეფეს არ სურდა ლაშქრობაში გაეშვა იგი; საჭურველიც დაუძალა, მაგრამ ანკევსმა უზარმაზარი ორპირა ნაჯახი გამოიწახა, სახლიდან გაიპარა და დანიშნულ დღეს არგონაველებს შეუერთდა.

სხვა რალა პატივზე უნდა ეფიქრა, როცა იგი დიადი ჰერაკლეს გვერდით დასვეს.

სხვა ადგილები წილის ყრით გაინაწილეს. ორ-ორი გმირი იჭერდა ერთ მერხს ერთიმეორის გვერდით, თავთავისი ხოფით ხელში.

მესაჭედ აირჩიეს ტიფისი, ბეოტიელი მისანი, რომელსაც შეეძლო წინასწარ გამოეცნო ზღვის ღელვისა და ქარტახილის მოახლოება, ამინდის შეცვლა.

ტიფისის გვერდით იდგა ლინკევსი, მესენიის მეფის აფარეოსის შვილი (თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ ლინკევსი და იდასი ზღვათა მბრძანებელი პოსეიდონის ნაშიერნი არიანო). ლინკევსს უჩვეულოდ მჭრელი თვალები ჰქონდა: შეეძლო თავისუფლად განეჭვრიტა მიწისქვეშეთი, ჩაეხედა კლდეების გულში, უსაზღვროდ შორს გაეტყორცნა თვალსაწიერი. ამიტომ იგი „არგოს“ შორსმხედველი, ფხიზელი თვალი იყო.

ყველა კმაყოფილად გრძნობდა თავს მიჩნეულ ადგილზე. მხოლოდ ერთი, ლინკევსის ძმა იდასი ებღვირებოდა გულმოსული. იდასი ტიტანური ღონის პატრონი იყო და თავიც ძალიან მოსწონდა თავისი სიმძლავრით. ყველამ იცოდა მისი თავზეხელაღებულობა, ამპარტავნობა და გულზვიადობა. ხშირად იკვებნიდა, რომ მან მშვენიერი მარპესასათვის ღმერთ აპოლონსაც კი შეჰპედა მეტოქეობა. იდასმა მარპესა მოიტაცა და და-

დევენებულ აპოლონს ბრძოლა გაუმართა. ვინ იცის, მისი ეს თავხედობა რით დამთავრდებოდა, რომ მებრძოლეები ზევსს ვაჟად გაეზავებინა. მისი ბრძანებით არჩევანის უფლება ქალს მიენიჭა. მარპესამ იდასი აირჩია, რადგან აპოლონის ბოლომდე ერთგულების იმედი არ ჰქონდა...

ახლა აქ, ამ გმირთა შორის, ჰერაკლეს შემდეგ ყველაზე ღირსეულ ვაჟაკად მოჰქონდა თავი იდასს. ამიტომ ჯერ იმაზე მოსდიოდა გული, რომ ჰერაკლეს გვერდით საბატიო ადგილი ანკევსს მისცეს და არა მას, ხოლო მეორე — ხომალდის შუა ადგილის მეორე მერნზე ჯდომაც არ შეხვდა. უფრო კიდევ ის ახელვებდა, რომ იქ პოლიდევეკე და კასტორი გამოტომულიყვნენ.

ეს უკანასკნელნი, ტყუპები, წარმოშობით ლაკედემონელები (სპარტელები), ტინდარეოსისა და ლედას შვილები, დიოსკურებადაც იყვნენ წოდებულნი, რადგან ამბობდნენ: პოლიდევეკე და კასტორი ლედას ზევსმა შესძინაო. მათი და იყო მშვენიერი ელენე, რომლისთვისაც შემდგომში ატყდა სახელგანთქმული ტროას ომი. პოლიდევეკე მთელს საბერძნეთში უპირველესი მოკრივე იყო, ხოლო კასტორი ცხენების მომთვინიერებელი და შეუდარებელი მხედარი.

დიოსკურები იდასისა და ლინკევსის ბიძაშვილები იყვნენ (ტინდარეოსი და აფარეოსი — ძმები). სპარტა და მესენია განუწყვეტლივ ბტრობდნენ ერთმანეთს. ბიძაშვილებიც განაგრძობდნენ ამ საშინელ ჩვეულებას: აოხრებდნენ ერთურთის მიწა-წყალს, სტაცებდნენ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს.

ამიტომ იდასი ვერც იმას ურიგდებოდა, რომ საძულველი ბიძაშვილების ზურგს უკან მოხვდა. მაგრამ რას გააწყობდა; გულზე სივდებოდა და ხმას კი ვერ იღებდა...

სანამ ადგილებს ინაწილებდნენ, მწყემსებმა ორი ხარი მოიყვანეს.

იასონის ბრძანებით ხარები საკურთხეველთან მირეკეს. იქვე ერთმანეთში არეული მარილი, ქერის მარცვალი და წმინდა წყალი მოამზადეს.

სამსხვერპლოზე ცეცხლი გააჩადეს. მის წინ იასონი წარსდგა და ხელებაპყრობილი შეუდგა აპოლონისადმი ღალადისს. ევედრებოდა ისართმტყორცნელ ოქროსკულულა დვთაეზას — მშვიდობით წარემართა ხომალდი კოლხეთისაკენ, დახმა-



რებოდა სასურველის მოპოვებაში, ყველა გმირი უვნებლად და სახელმოხვეჭით დაებრუნებინა მშობლიურ ელადში. სამაგალიტოდ ეროდ ეფიცებოდა, რომ ამ საკუთხეველთან უკან დაბრუნებისას იმდენივე ხარს შესწირავდა, რამდენ გმირსაც მისი მფარველობით სიცოცხლე შერჩებოდა. სხვა ბრწყინვალე საჩუქრებსაც აღუთქვამდა დელფოში, მისი სახელობის ტაძარში, და კუნძულ დელოსზე, აპოლონის მშობლიურ მიწაზე.

„ახლა კი მოდი, შორსმტყორცნელო, და შეიწირე პირველი მსხვერპლი, ხომალდზე ასვლის წინ!.. მეუფეო, დიდო აპოლონ, ავსხნი ბაგირებს, გავში იალქნებს, თუ მფარველობას მოგვანიჭებ! დაე, შენის ნებით დაჰქროლოს საამო ქარმა და დაგვიდგეს ნათელი დღე ზღვაზე გასვლის ჟამს!“

ასე ევედრებოდა აპოლონს არგონაველთა მეთაური. თან მარნილში გარეულ ქერს თავზე აყრიდა ხარებს, რომლებიც ჰერაკლეს და ანკევსს ეჭირათ.

იასონმა ვედრება დაასრულა და ნიშანი მისცა.

ჰარეკლემ ხარს კომბალი შუბლში დაჰკრა და მიწაზე უსულოდ დასცა. მეორეს ანკევსმა დაუწყვიტა კისრის ძარღვები თავისი სპილენძის ნაჯახით.

მიცვიდნენ ბიძა-ძმისწული, ლაოკოონი და მელეაგრე. მახვილები გაიძრეს და ხარებს სასწრაფოდ გამოსჭრეს ყელი. სხვებიც მიეშველნენ. სამსხვერპლო საქონელი გაატყავეს და ჰქნეს.

ბარკლები აარჩიეს, ნაწილებად დასჭრეს, მუცლიდან ართმეული სქელი ქონით დაფარეს და საკუთხეველთან გაჩაღებულ ცეცხლზე დააწყვეს.

იწვოდა და იღვენთებოდა სამსხვერპლო ცეცხლი. იასონი ზედ დროდადრო აკუთრებდა ღვინოშერეულ წყალს.

სამსხვერპლო კოცონიდან ძოწისფერი კვამლი აიგრავნა.

როგორც კი არგოსელმა მისანმა და მკითხავმა იდმონმა ესეთი კოწოლა კვამლი დაინახა, მაშინვე იყვირა:

„ძმებო, ღმერთების გადაწყვეტილებაა, ოქროს საწმისი მოიპოვოთ და სამშობლოში ბედნიერად დაბრუნდეთ!“

ყველანი ჟრიამულით მიესივნენ იდმონს.

ის ცეცხლს თვალს არ აშორებდა და განაგრძობდა:

„მაგრამ განსაცდელი უზომო გველის... ოოო, რამდენი დაბრკოლება!..“

„განსაცდელი და დაბრკოლება მსხვერპლი იქნება დიდი საქმის ძლევამოსილ აღსრულებსა!“ ჩაუბრუნა ჰერაკლემ იდმონს ეს სიტყვები არ გაუგონია. კვლავ თვალდაუხმებლად ჩაშტერებოდა ცეცხლს. სახეზე უცებ რაღაც ნაღველი შემოაწვა და სევდიანი ხმით თქვა:

„მე თვითონ ღვთის სასტიკი გადაწყვეტილებით სადღაც შორს, აზიის მიწაზე უნდა დავასრულო სიცოცხლე!.. თუმცა ეს ჩემი ხედვრი უფრო ადრეც შევიტყვე ფრინველებზე მისნობით... მაგრამ სამშობლო მაინც დავტოვე და თქვენ შემოგიერთდით...“

ყველა გაახარა ლაშქრობის მოსალოდნელმა ძლევამოსილებით დასრულებამ. ნაწინასწარმეტყველევი განსაცდელიც არავის აშინებდა, მაგრამ არგონაველები ძალიან დააღონა იდმონის ბედმა.

ისევ იდმონი ცდილობდა მათ გამხნეებდას.

„არაფერია, სამაგიეროდ არ მოკვდება ჩემი დიდება, — იყვირა მან, — რა ყურები ჩამოჰყარეთ! აბა, სწრაფად შევუდგეთ ნადიმს! ეს ერთი ღამე დაგვრჩენია ელადაში, ელადიდან გამგზავრების წინ!“

მზე შუბის ტარზე მიუახლოვდა დასავლის პორიზონტს, დაისი დგებოდა. პაგასის ყურის კლდეებმა უზარმაზარი ჩრდილები წამოაწვინეს ზღვის პირზე.

არგონაველებმა ნაპირი მწვანე რტოებით მოჰფინეს და სუფრა გაშალეს.

ხარბად დაეტანნენ საამურ ღვინოს.

შეზარბოშდნენ, გახალისდნენ და დამშვენდნენ.

მზიარული როხროხით და ძმური სიყვარულით გადადიოდნენ ერთმანეთთან სავსე კრატერებს (თასებს).

გვიან შენიშნეს, რომ იასონი ნადიმს გასცლოდა. მძიმედ ჩაფიქრებული, სახენალვლიანი გასცქეროდა მთვლემარე ზღვას.

წამოიჭრა ამაყი იდასი, იასონს მივარდა, მხარში მჭილი წაჭკრა და შეჰყვირა:

„გულში რა ჩაგიხვევია, ეზონის ძევ? იქნებ შიშმა დაგცა თავზარი. განა მე აქ არა ვარ? დაე, ეს ჩემი მრავლისმეტყველი შუბი იყოს თავდები, როცა იდასი გვერდითა გყავს, ვერავითარი განსაცდელი ვერას დაგაკლებს. თუნდაც ღმერთებმა

შემოგითონ. მე თვით აპოლონს შევერკინე!.. აქ ვარ იდასი,
აი, როგორი შემწე გყავს შენ კოლხეთს სალაშქროდ!“
და მკერდში მუშტი ჩაიბრაგუნა. მერე უცებ მობრუნდა,
ორივე ხელი სავსე ფიალას დასტაცა და ღვინოს ერთის აქნე-
ვით გადაუძახა უზომოდ გაღებულ პირში.

კუპრისფერი წვერულვაში და მკერდი ღვინით შეეღება
იდასს.

ეტყობოდა, მესენიელი გმირი ჩხუბზე იდგა.

იასონმა აღარ იცოდა, რა ექნა.

არგონაველები აღშფოთებული ყვირილით წამოიშალნენ და
იდასს მიცვივდნენ.

— იდმონმა გაჯავრებით შესძახა:

„იდას, უბედურო, თავში რა აზრი აგიბარბაცდა?! ნუთუ
შენსავე სასიკვდილოდ გაგიბერა თავზედი გული მაგ წმინდა
ღვინომ და შეგაქეზა ღმერთთა საგმობლად! ვინ არ იცის, რომ
ალოესის ვაჟებმა, რომელთაც შენ ოდნავადაც ვერ შეედრები
მამაცობაში, ოდესღაც შენსავით ილაყბეს ნეტარ ღმერთებზე
და ისინი აპოლონმა მოსპო თავისი ბასრი ისრებით!“

...ალოესის ვაჟები, ოტოსი და ეფიალტე, უხარმაზარი გო-
ლიათები იყვნენ. მათ ომის ღმერთი არესიცი კი შებოჭეს და ცა-
მეტი თვის განმავლობაში სპილენძის ქვაბში ჰყავდათ დამ-
წყვდეული. მხოლოდ ჰერმესმა მოახერხა მისი მოტაცება და
გათავისუფლება. ოტოსი და ეფიალტე ბოლოს ისე გათავზედ-
დნენ, რომ გადაწყვიტეს ერთმანეთზე აღემაართათ სამი დიდი
მთა — ოლიმპო, პელიონი და ოსა, იქიდან ასულიყვნენ ზეცაში
და ღმერთთა სამყაროდან მოეტაცნათ ჰერა და არტემიდე. აპო-
ლონი განარისხა მოკვდავთა ასეთმა თავგასულობამ, შორს-
მსროლელი ვერცხლის მშვილდი მოზიდა და ოქროს ისრებით
სიცოცხლეს გამოასალმა ოტოსი და ეფიალტე...

იდასმა გადაიხარხარა და იდმონს გესლიანად მიახალა:

„მოდით ახლა შენ მიწინასწარმეტყველე, მეც თუ ისეთსავე
განსაცდელს მიმზადებენ ღმერთები, როგორიც ალოესის შვი-
ლებს არგუნა აპოლონმა!“

წარბები შეჰყარა, სახე ჩაიკუპრა და რისხვით დააყოლა:

„და თუ შენი წინასწარმეტყველება არ გამართლდა, მერე
ვნახოთ როგორც გადამირჩები!“

იდმონი გაცოფდა.

აროგნაველები აღრიალდნენ.

დაწინაურდნენ ტინდარიდი ტყუბი ვაყები, პოლიდევეკე და კასტორი, იდასისა და ლინკევსის მოსისხლე ბიძაშვილები.

„ჭკუას მოეგე, თავხედო იდას!“ შეჰყვირა კასტორმა და მახვილზე მოისვა ხელი.

„ჩემის ხელით სიკვდილი გიწერია, კასტორ!“ დაიღრიალა იდასმა და შუბშემართული დაიძრა მისკენ.

პოლიდევეკე კასტორის წინ ჩადგა და იდასს დამცინავად შესძახა:

„აბა, გაბედე!“

„მარტო არავის ეგონო, ძმაო!“ მჭრელი თვალები დაჰკვესა ლინკევსმა და მახვილამოწვდილი აღიმართა იდასის გვერდით.

„ომს აპირებთ, უგუნურებო?!“

მეხვიით დაიგრგვინა ჰერაკლემ.

შეძრწუნდნენ გმირები.

ჰერაკლეს უზარმაზარი კომბლისათვის მოეგლო ხელი. თვალები ცეცხლოვან ორმოებად გადაქცეოდა. ნესტოები ბრძოლის ყინით უთრთოდნენ.

როგორ! სამშობლო ქვეყნის საქმისათვის გამზადებულნი, შორეულ მხარეში სალაშქროდ შეკრებილი გმირები თვითონ უნდა დაერივნენ ერთიმეორეს?!

სისხლის სუნი დატრიალდა.

სადღაც, სულ ახლოს სიკვდილი ჩასაფრებულა!

მაგრამ ეს რა ღვთაებრივმა ხმამ გაჰკვეთა ავბედითად დაშვებული სიკვდილის ფარდა! რა სიმი აელერდა გლოვის მათუწყებელი ღრიანცელის დასათრგუნავად? საიდან აელვარდა სინათლის სხივი შავბნელ ღრუბელთა გასაფანტავად!

ეს ორფევსი მღეროდა.

მახლობელ ბორცვზე ჩამომჯდარიყო. საოცარი მომხიბვლელობით აელერებდა კითარის სიმებს.

მღეროდა ორფევსი.

თვალები დაეხუჭა. სახეზე ჩამავალი მზის სხივი დასთამაშებდა. ტყვექმნილი მზე თითქოს ჩასვლას აგვიანებდა.

ირწეოდა ბუნება საამურ ხმაზე. ზღვაც გაირინდა. მხეცნი, ფრინველნი, გატვრენილი უსმენდნენ მღერალს.



მღეროდა ორფევსი:

„უპირველესად ამა ქვეყნად იყო ქაოსი, უსაზღვრებელი ბნელით მოსილი. ორი საწყისი ჰქონდა ქაოსს: სიკვდილ-სიცოცხლე, ერთმანეთში აღრეული და გადახლართული. სიცოცხლისაგან წარმოიშვა ჯერ დედამიწა, ქალღმერთი გეა, ხოლო სიკვდილმა შვა ტარტაროსი, ბნელი ქვესკნელი, წყვდიადით სავსე მიწისქვეშეთი, შემდეგ კი გაჩნდნენ დღე — ჰემერა და ღამე — ნუქტოსი...“

ქალღმერთმა გეამ, დედამიწამ, უშრეტმა წყარომ ყოვლის-მომცველი სიცოცხლისამ, წარმოშვა ზეცა — ლურჯი ურანოსი, იგივე იყო მისი მეუღლე.

ურანოსისაგან გეამ ჯერ შობა ასხელიანი ურჩხულები. შეძრწუნებულმა ზეცამ — ურანოსმა ქვესკნელს ჩაჰყარა თავისი მოდგმა საშინელი. შემდეგ ცალჭვალა კიკლოპები მოუვლინა სამყაროს გეამ. კიკლოპებიც მიწისქვეშეთს დაუბრუნა მამა-ურანოსმა, რადგან იცოდა, მის მბრძანებლობას დაამხობდა რომელიმე მისივე შვილი“.

მღეროდა ორფევსი:

„ბოლოს წარმოშვა დედამიწამ უკვდავი მოდგმა ტიტანებისა. ურანიდები ეწოდათ მათ, მამა ურანოსის სახელის მირქმით. თავის მხრით თვითონ ტიტანებმა — ურანიდებმა შექმნეს უკვდავი ღვთაებრივი შთამომავლობა. მათში უფროსმა, წყალთა სამყაროს სახიერება ოკეანემ და ტეთიდამ შვეს მდინარენი და ზღვის უთვალავი ქალღმერთები — ოკეანიდნი. კეოსს და კრიოსს წილადა ხვდათ მთების აღმართვა. სხივოსანმა ჰიპერიონმა და პირნათელმა თეიამ მისცეს ქვეყნიერებას მზე — ჰელიოსი, მთვარე — სელენე, ცისკარი — ეოს. ასტერიოსი და ეოსი იქმნენ მშობელნი უთვალავი ვარსკვლავებისა და ოთხივე მხრიდან მომქროლავი ფრთამალ ქარისა: აღმოსავლეთის ევროსისა, დასავლეთის ზეფიროსისა, ჩრდილოეთის ბორეასისა და სამხრეთული ნოტოსისა. თავისუფლების მოყვარულმა იაფეტმა და მართლმსაჯულების ტიტანიდმა ქალმა თემიდან შვეს: უმძლავრესი მენიტიოსი, ბრძენთა ბრძენი პრომეთე, მთა-გოლიათი ატლანტი და გულუბრყვილო ეპიმეთე. კეთილშობილმა ზღვის ტიტანმა ნერევსმა შექმნა ნერეიდები — ზღვათა ლაშქარი პირ-მშვენიერი ნიმფებისა...“

მღეროდა ორფევსი:

„ტიტანთა მოდგმაც შეიძულა მამა-ურანოსმა, რადგან კვლავ გრძნობდა, რომელიღაც შვილთაგანი წაართმევდა სამყაროზე მბრძანებლობის ტახტსა და გვირგვინს. ემზადებოდა მიწისქვეშეთში ტიტანების ჩასანთქავად და ჩასაკეტავად. იტანჯებოდა დედამიწა თავის წიაღში ჩამარხული შვილთა სიმძიმით. ბოლოს გეამ გამოსტედა მტკიცე ნამგალი, აღმასზე ბასრი, და მისცა კრონოსს, უმარწემეს შვილს, ცბიერებით აღსავსე ტიტანს. მივიდა კრონოს და მძინარ მამას ნამგლით მოჰკვეთა სივაჟკაცე სინაყოფისა და ძალ-ლონე მბრძანებლობისა. ურანოსის ნაცვლად ტახტზე დაჯდა თვითონ კრონოსი, სახიერება უსაზღვრო და ყოვლისშთანმთქმელი ღროისა...“

მღეროდა ორფევსი:

„კრონოსის ცბიერი აღზევებით აღშფოთდა ღამე, ბნელი ნუქტოსი. მაშინ გაჩნდნენ ღამის წიაღში: თანატოს — სიკვდილი, ერიდა — განხეთქილება, აპატა — თვალთმაქცობა, ჰიპნოსი — ძილი, ნემეზიდა — შურისძიება და კერი — განადგურება“.

მზე ჩავიდა. მომღერალმა თვალი მიაპყრო დასავლეთით მოძალებულ წყვილადს:

„და ნუთუ შენ, მშფოთვარე ღამევ, ყველა შენი ძრწოლის-მომგვრელი ღამეული ნაშიერნი ერთობლივად აქ წარმოგზავნე ელადის გმირთა საცდუნებლად და მოსასპობად?!“

ფეხზე წამოიჭრა, არგონაველებს მზერა მოავლო და რისხვანარევი ხმით დასძახა რისხვით ანთებულ კითარის სიმებს:

„ჰოი, უგნურნო, ნუთუ ვერა გრძნობთ, ყველა თქვენს გვერდით ჩასაფრებულა: ჰიპნოსს დაუბნელებია გონება თქვენი; ერიდა ზეიმობს თქვენი განხეთქილებით; აპატა ხარობს თვალთმაქცობით; ფრთა გაუშლია ნემეზიდას, მარცხენა ხელში ლაგამი და შოლტი უჭირავს, მარჯვენით კი შურისგების მახვილს მოიქნევს; როგორ მომდგარა თანატოსი! შავფრთა სიკვდილი თავს დაგფარფატებთ, კბილდაღრჭენილი, ყბაჩაცენილი, სუნთქვასა გაარავთ, გჭამთ ცოფიანი, მწვანე თვალეზით, აღმასის ცელი მოუმართავს თქვენი სიცოცხლის მოსაკვეთელად!..“

მღეროდა ორფევსი.



ირწეოდა ჯაღოქმნილი ბუნება. |

გმირები მუხლებზე დაცემულიყვნენ და ცრემლად იღვრებოდნენ.

შეწყდა სიმღერა. სიმის უკანასკნელი თრთოლვაც დაიკარგა ეთერში. მოქიშპენი დაცხრნენ, ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მუსიკის ჯაღოქარს სიკვდილი დაემარცხებინა!

ჩამოწვა ლამე.

არგონაველებმა სამსხვერპლო კოცონს კიდევ ერთხელ აპკურეს ღვინონარევი წყალი და ძილს მისცეს თავი.

ლამეც მიიწურა.

სისხლისაგან დაიწრიტნენ ცაზე ვარსკვლავნი. ეოსი გაელერსა პელიონის მაღალ მწვერვალებს.

მსუბუქმა ქარმა, ალერსიანმა ზეფიროსმა, აათამაშა ლამენათევი ზღვა და შუბლი დაუკოცნა ზღვის პირზე წაწოლილ ვაჟკაცებს.

გამოეღვიძა მესაჭე ტიფისს. მის შეძახილზე წამოიშალნენ გმირები. ტანთ გაიძრეს და ზღვაში გადაეშვნენ. ძილი და დათენთილობა განიდევნეს სხეულიდან.

ამობრწყინდა ჰელიოსი.

დაიკივლა „არგომ“. ხომალდს ზღვაზე გასვლა მოსწყურებოდა.

გემს მიაშურეს. ავიდნენ, ბაგირი ახსნეს და ლუზა ამოზიდეს.

ტიფისი საჭესთან გაჩნდა. ჰერაკლე და ანკევსი შუა ნიჩბებს მიუხსდნენ. დანარჩენებმა წილით მიღებული ადგილები დაიკავეს.

ორფევსი კიჩოზე ჩამოჯდა და კითარა მოიმარჯვა.

იასონმა ზღვას ღვინო აპკურა და სამშობლო ელადას ცრემლიანი მზერა მოსწყვიტა.

ბრძანება გასცა.

ორფევსმა სიმებს ჩამოჰკრა და იმ წამსვე გმირებმაც ხელშეწყობილად მოუხვეს ნიჩბები.

ზღვას შეერიო „არგო.“

ორფევსის სიმთა ჟღერაზე რიტმულად სცემდნენ ზღვას ხოფებს არგონაველები.

მღეროდა ორფევსი:

„ოქროს ხანა დაამკვიდრა ქვეყნად კრონოსმა. ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობს ქვეყნის ახალი მბრძანებელი მისთვის უღლესთან, გეას ასულთან, რეასთან ერთად. მაგრამ რალაც წინათგაძნობა უწამლავს მას ბედნიერებას. ვაითუ მეც ღვიძლმა შვილმა წამართვას ტახტი, ისე როგორც მე წავართვიო მშობელ მამას საბრძანებელი! ამიტომაც, როგორც კი რეა შვილს დაჰბადებდა, კრონოსი ახალშობილს ცოცხლად ჰყლაპავდა. ასე შთანთქა მან ხუთი შვილი: ჰესტია, დემეტრე, ჰერა, ჰადესი და პოსეიდონი.

უკანასკნელზე, ზევსზე იყო ფეხმძიმედ რეა. დედამ დამალა ახალშობილი, ქმარს კი იღუმალ, მის მოთხოვნაზე ჩვრებში გახვეული ლოდი გადააყლაბა. არ იცოდა კრონოსმა, რომ კრეტაზე, დიქტეს მღვიმეში იზრდებოდა ზევსი. ნიმფები, ადრასტეია და იდეია ზრდიდნენ მას ღვთაებრივი თხის, მალთეას რძით. ფუტკარს მისთვის თაფლი მოჰქონდა დიქტეს მთების ყვავილნარიდან. ზევსის ტირილზე ნახევრადღმერთი, კურეტები მახვილებს სცემდნენ ფარებზე და ჰფარავდნენ მის ხმას, რათა კრონოსის სმენას არ მისწვდენოდა ზევსის ტირილი.

გაიზარდა და დავაჟკაცდა. მივარდა მამას და აიძულა უკანვე დაებრუნებინა მისგან შთანთქმულნი. ექვსი კრონიდი, კრონოსის შვილნი, ზევსის წინდგომით სამკვდროდ შეებნენ თვით მშობელ კრონოსს. მამა-შვილის შერკინება სამყაროს აზანზარებდა. კრონოსს მხარში უდგანან მისი ძმები ტიტანები — ურანიდები, ხოლო ზევსმა ქვესკნელის კარი გაუღო და თავის გვერდით ამოიყენა ასხელიანი ურჩხულები და გოლიათი კიკლოპები. კიკლოპებმა თავისუფლების მომნიჭებელ ახალგაზრდა ღმერთს გამოუჭედეს ელვა, მეხი და ქექა-ქუხილი. ათი წელი ებრძოდა ზევსი მშობელ კრონოსს ელვა-მეხის და ქუხილის ნთხევით. მეათე წელს შედრკნენ ურანიდები. აღზევდნენ კრონიდები. მას შემდეგ მბრძანებლობს მთელს სამყაროზე დიადი ზევსი ოლიმპოს ბრწყინვალე მწვერვალიდან.“

მღეროდა ორფევსი.

მიაქროლებდნენ „არგოს“ არგონაველები.

პელიონის მწვერვალზე ოქროს თმებით მხრებდატვირთული ნიმფები გადმომდგარიყვნენ. ზღვისფერი თვალები გაოც-

ბით დაემტერებინათ ათენას ნახელავ ხომალდზე და მის
ნიერ მეზღვაურებზე.

უცებ მთაზე ცხენ-კაცა გადმოდგა.

„კენტავრი!“ იყვირეს არგონაველებმა.

იასონმა მაშინვე დაამშვიდა მეგობრები.

„ეგ კენტავრი ქირონია!“ თქვა გამზრდელის ხილვით თვალ-
გაბრწყინებულმა წინამძღოლმა.

„ქირონია, ქირონია!“ ალტაცებით შესძახეს ტელამონმა, პე-
ლევსმა, პოლიდეკემ და კასტორმა.

„ჩემი ძვირფასი მეგობარი!“ ჩაიბუხუნა ჰერაკლემ და ხე-
ლი სიამით ჩამოისვა ხშირ წვერზე.

„ქირონ, ოოო, ქირონი!“ ყველამ ერთხმად შესძახა კენტავრს.
კენტავრს ღიმილი შეეფინა სახეზე. მარჯვენა ხელი აღმარ-
თა და ზღვის პირისაკენ დაეშვა.

„ხაირეტე, არგონავტაი!“

ქირონს უხაროდა, რომ არგონაველთაგან ყველაზე დიდი
გმირი, ჰერაკლე მისი მეგობარი იყო. თანაც მისი გაზრდილები
იყვნენ ლაშქრის ბელადი იასონი და უმამაცესი ვაჟაკები —
ტელამონი, პელევსი, კასტორი და პოლიდეკე.

მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული კეთილი კენტავრისათვის
კიდევ სხვა რამ იყო:

ის ახლა ზრდიდა პელევსის პატარა ვაჟს, აქილევსს. იცოდა
ქირონმა: როცა ეს გმირები ამ ქვეყნად აღარ იქნებიან, — აღარ
იქნება თვით დიადი ჰერაკლეც კი — მაშინ ქვეყანას უდიდეს
გმირად მოველინება მისი აღზრდილი აქილევსი...

ხომალდი ქირონს გაუსწორდა.

კენტავრი მთისკენ შებრუნდა და ჭიხვინარევი ხმით შეპყ-
ვირა.

პელიონის მწვერვალიდან გადმოეშვა ქირონის ცოლი ქა-
რიკლო. მას ხელში ჩვილი ყრმა ეჭირა.

ეს იყო აქილევსი.

„შვილო აქილევს!“ წაიჩურჩულა პელევსმა და თვალებზე
ცრემლი მოაწვა.

მის გვერდით მჯდარ ტელამონს სახე გაუნათდა...

ტელამონი და პელევსი ეგინის მეფის, ეაკის ვაჟები იყვნენ.
ადრე მათ უცაბედად ძმა შემოაკვდათ. ამიტომ ეგინა დატოვეს.



ტელამონი სალამინზე მეფობდა, ხოლო პელევსი თესალიაში.
 ტელამონის ვაჟი აიაქსი და პელევსის ძე აქილევსი შემდგომში
 ტროას ომში, უპირველესი გმირები უნდა გამხდარიყვნენ...

ჭირონმა ცოლს ბავშვი ჩამოართვა და ხომალდისაკენ მო-
 აბრუნა.

აქილევსს აღტაცების ყვირილი აღმოხდა, როცა თვალი მოჰ-
 კრა ზღვაზე მოელვარე ხომალდსა და გმირთა ბრწყინვალე აღ-
 ქურვილობას.

ჰყიოდა აქილევსი და „არგოსაკენ“ იქნევდა პაწია მჯიღებს.
 „ბრძოლაში წაყვანას მთხოვს!“ სიამაყის ღიმილი გაურია
 ცრემლში პელევსმა.

„მოესწრება!“ მხარზე ხელი დაჰკრა ტელამონმა.

ვილაცამ იკითხა:

„თეტიდა სად არის, აქილევსის დედა?“

მოაგონდა პელევსს თავისი მეუღლე თეტიდა, ნერეიდა —
 მორევის ნიმფა; როგორ დაშორდნენ ერთმანეთს ცოლი და
 ქმარი.

თეტიდას სურდა ახალშობილი აქილევსი უკვდავი გაეხადა,
 ვერავითარ იარაღს ვერ უნდა განეგმირა იგი. ამ მიზნით ნიმ-
 ფამ თავისი შვილი ღმერთთა უკვდავების საქმელში, ამბროსი-
 აში დაზილა, ქუსლზე ხელი მოავლო და ცეცხლზე მის წრთო-
 ბას შეუღდა. გამოიღვიძა პელევსმა. ხედავს, დედა შვილს
 ცეცხლზე სწვავს, დაიღრიალა მამამ და მახვილით ხელში ფეხ-
 ზე წამოიჭრა. შეშინებულმა თეტიდამ ბავშვი ხელიდან გააგდო
 და გარეთ გავარდა.

მას შემდეგ პელევსს თეტიდა აღარ უნახავს.

აქილევსის სხეული მართლა განუგმირავი შეიქნა. მას ვე-
 რავითარი იარაღი ვერ გასჭრიდა.

მაგრამ არავინ იცოდა ერთი რაიმე:

აქილევსის ქუსლი, რომელიც წრთობის დროს დედას ხელ-
 ში ეჭირა, გამოუწრთობელი დარჩა. სწორედ აქ შეიძლებოდა
 აქილევსის განგმირვა. ქუსლში მიყენებული ჭრილობით სიკვ-
 დილი ელოდა მომავალ გმირს...

„შვილო აქილევს, შვილო აქილევს“, ჩურჩულებდა პელევ-
 სი და თვალს არ აშორებდა თავის პირმშოს, კენტავრის მკერდ-
 ზე მოფართხალეს.



„ცრემლი არავინ შეგნიშნოს!“ გააფრთხილა ძმა ტელა-
მონმა.

ხომალდი ქირონს გაშორდა.

ჰყიოდა პატარა აქილევსი და პაწაწინა მჯიღებს უქნევდა
კოლხეთისაკენ მიმქროლავ „არგოს“.

ბრძოლის უნით აჩქაროლებოდა სისხლი პატარა გმირს...

უცნაური ქალები

ზურგის საამურმა ქარმა დაჰბერა. არგონაველებმა ნიჩბებს
ხელი უშვეს და იალქნები გაშალეს.

კვლავ ჩამოჰკრა სიმებს ორფევსმა.

ახლა არტემიდეს უმღეროდა ორფევსი, ნადირობის ქალ-
ღმერთს, აპოლონის დას.

ორფევსის ხმაზე ზღვის სიღრმიდან მოცურავენ ნაირ-
ნაირ თევზთა ჯოგები. მუსიკის შესატყვისი რიტმული ცეკვით
მისდევდნენ ხომალდს, როგორც ცხვრის ფარა მისდევს ხოლმე
მწყემსის წკრიალა სალამურის ხმას.

თვალს მიეფარა თესალია ცას მიბჯენილი პელიონით.

სალამო უამს საპირისპირო ქარმა დაჰბერა.

იძულებული გახდნენ ნაპირზე მიცურებულებიყვნენ.

საბერძნეთისა და მაკედონიის საზღვართან იდგნენ.

აქ განისვენებდა თესალიელთა დიდი გმირი დოლოპი. არ-
გონაველებმა ღამის წყვდიადი დიდი კოცონით გაჰფანტეს და
დოლოპის სული მის საფლავზე მსხვერპლის შეწირვით მოიხ-
სენიეს.

შუალამით ზღვაზე ქარტეხილი ამოვარდა. ორი დღე შეყოფ-
ნდნენ დოლოპის საფლავთან.

მესამე დღეს ქარიშხალი ჩადგა და „არგო“ კვლავ ზურგის
ქარით გავიდა ზღვაზე.

ხომალდმა ჩაუარა ოლიმპოს მთას. გმირებმა ქედი მოიდ-
რიკეს ღმერთთა პანთეონის წინაშე.

მიადგნენ მაკედონიის ნაპირებს. მთელი დღე უბერავდა
ზურგქარი. გათენებისას მათ წინ აღიმართა ათონის მთა. ათო-
ნის კონცხიდან არგონაველები ზევსის ნებით კუნძულ ლემნო-

სისაქენ გაეშურნენ. მზის ამოსვლისას ქარი ჩადგა. ახლა ნიჩ-
ბებს დააწვენენ და შუადღისას ლემნოსს მიადგნენ.

კუნძულ ლემნოსზე, არგონაველთა მოსვლამდე ერთი წლით
ადრე, საშინელი ამბავი მომხდარიყო.

ლემნოსელ ქალებზე განრისხებული ყოფილა სიყვარულის
ქალღმერთი აფროდიტე, რომლისთვისაც მათ დიდი ხანია
მსხვერპლი არ შეუწირავთ და საჩუქრები არ მიუერთმევიათ.

გაბრაზებულმა ქალღმერთმა ლემნოსელ მამაკაცებს შეაძუ-
ლა ცოლები. მათ თრაკიიდან ქალები მოიტაცეს და მათთან
მხურვალე სიყვარულში თავი დაჰკარგეს.

ათვალწუნებულმა, მიტოვებულმა ცოლებმა პირი შეჰკარეს
და ერთ ღამეს საკუთარ ქმრებს და მათ საყვარლებს ყვლები
დასჭრეს. ესეც არ იკმარეს: კუნძულზე ყველა მამაკაცი გაყ-
ლიტეს. მხოლოდ ერთი გადარჩა — მოხუცი მეფე თოასი, რო-
მელიც მისმა ქალიშვილმა ჰიფსიპილემ დამალა, მერე ჩუმად
კილობანში ჩასვა და ზღვაზე გაუშვა.

ლემნოსზე მარტო ქალები დარჩნენ.

მეფის ადგილზე ჰიფსიპილე დაჯდა.

ქალები მალე შეეჩვივნენ მამაკაცის საქმიანობას. უვლიდ-
ნენ ნახირს და ფარას, ხნავდნენ, სთესავდნენ, მოსავალს იწევ-
დნენ და საბრძოლო იარაღსაც ვაჟკაცურად ხმარობდნენ.

განუწყვეტლივ შიშობდნენ და ფრთხილობდნენ, თრაკიე-
ლები ხომ არ მოდიან ჩვენზე თავდასასხმელადო; მათი ქმრების
საყვარლები ხომ თრაკიელი ქალები იყვნენ.

ჯერ არსად არავინ იცოდა, რა ტრაგედია დატრიალდა ლემ-
ნოსზე...

ახლა, როცა ქალებმა კუნძულისაქენ მომავალი ხომალდი
დაინახეს, თრაკიელები ეგონათ. სასწრაფოდ იარაღი აისხეს და
ზღვის პირზე ჩაცვივდნენ.

გადედოფლებულმა ჰიფსიპილემ მამისეული იარაღი აისხა
და შიშისაგან დამუნჯებულ ქალებს წინ გაუძღვა.

ამასობაში არგონაველებმა ღუზა ნავსადგურში ჩაუშვეს და
კუნძულზე მაცნედ გაგზავნეს ჰერმესის ძე ეთალიდე, რომელ-
საც მამისეული სისწრაფე, ცბიერება და მეხსიერება ჰქონდა.

ეთალიდე განცვიფრდა, როცა მის წინ დარაზმული პირ-
ტიტველა მეომრები ქალები აღმოჩნდნენ.

მან მეთაურად ჰიფსიპილე შეიკნო, მის წინ მოწიწებით
წარსდგა და ტკბილად მიმართა:

„ბრწყინვალე დედოფალო, ელადიდან წამოსული გმირებზე
გთხოვთ, ღამე თქვენს კუნძულზე გავათიოთ, რადგან ზღვაზე
ბორეასი ჰქრის და ხომალდს წინ წასვლის საშუალებას არ აძ-
ლევს“.

ჰიფსიპილემ ჯერ თავისიანებს გადახედა, მერე ეთალიდეს
მიუბრუნდა და ეჭვნარევად ჰკითხა:

„მაშ, თქვენ ნამდვილად ელინები ხართ?“

„ნამდვილად, ვფიცავ ოლიმპოს ღმერთებს!“

ჰიფსიპილემ ისევ გადახედა ქალებს, რომელთა სახეზე შიშს
გაეველო. ეტყობოდა სჯეროდათ, რომ მათ წინ თრაკიელები არ
იდგნენ.

„პასუხს შემოგივლით“, ძუნწად მიუგო დედოფალმა.

ბერძენმა თავი დაუკრა და გაბრუნდა.

ჰიფსიპილეს ბრძანებით ქალაქის მოედანზე სათათბიროდ
შეიკრიბა ქალთა ყრილობა.

დედოფალი წამოდგა და დაიწყო:

„მე ასე მოვიფიქრე: საჩუქრები გავუგზავნოთ ბერძენ გმი-
რებს. მივუძღვნათ ნოყიერი სურსათი, ნუგბარი სანოვაგე, სა-
ამო ღვინო და ყველაფერი, რაც საჭიროა მეზღვაურთათვის,
ქალაქში კი ნუ შემოვუშვებთ, თორემ ყველაფერს შეიტყობენ,
რაც კი ცოდვა ჩავვიდენია. ასეთია ჩემი განზრახვა. თუ ვინმე
უმჯობესს იტყვის, წინ წამოდგეს და გაბედულად თქვას!“

ბრძანა და მამისეულ ქვის სავარძელში ჩაჯდა.

ქალებში ჩოჩქოლი ატყდა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

მერე ჰიფსიპილეს მოხუცი ძიძა პოლუქსო წამოდგა სალა-
ზარაკოდ, კუზიანი და უსახური. უღონო ფეხებით ძლივს წამო-
ბორძიკდა, აკანკალებული, ძვალტყავა ხელებით ეყრდნობოდა
ყავარჯენს. უმწეო კისრიდან თავი უვარდებოდა. ოთხი ქალ-
წული უდგა მხრებში.

მოედნის შუაგულში მიხანხალდა და აჩიფჩიფდა:

„უცხოელებს საჩუქრები გავუგზავნოთ! ეს კარგი, მაგრამ
მერე რას იზამთ, თრაკიელები ან სხვა მტრები თავს რომ და-
გესხან? ხომ შეიძლება ამ ბერძნებივით მოულოდნელად დაგ-
მეცეს მტერი! ვთქვათ და ნეტარმა ღმერთებმა ეს საფრთხეც

თავიდან აგაცილოთ, განა მტრის შემოსევაზე საშინელი ტანჯვა არ გელით? როცა თქვენ, ახალგაზრდებს ერთხელაც კარგად ზარდამცემი სიბერე გეწვევათ, მაშინ როგორღა იცხოვრებთ, უქმარშვილოებს რა გეშველებათ! განა თავისით შეებმიან უღელში ხარები, თავისთავად დახნავ-დასთესენ და მოსავალსაც მოგიმკიან? მე კი მალე ვესტუმრები მიწას, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ ჯერ ისევ ახალგაზრდებს! რა სიცოცხლეა ქალის სიცოცხლე უმამაკაცოდ!.. ამიტომ კარგად დაუფიქრდით. ბედი კარზე მოგდგომიათ, თვითონ მოსულან ვაჟკაცები. ჩემი რჩევაა, მოიწვიოთ და მოიშინაუროთ ეგ უცხოელები. მიანდეთ თქვენი სახლ-კარი და თქვენი თავიც. ბედნიერებით შეიცვალეთ ასეთი უმამაკაცო, უხალისო ცხოვრება!“

ქალებმა მხიარული ყივილ-ხივილი ატეხეს. მოეწონათ ბებერი პოლუქსოს ნათქვამი.

ჰიფსიპილე მყისვე წამოდგა სავარძლიდან.

„რაკი ყველას მოგეწონათ პოლუქსოს აზრი, დე ასეც მოხდეს! ახლავე გავგზავნი მაცნეს ხომალდისაკენ!“

ქალებმა კიდევ უფრო გაიხარეს, როცა დედოფლის თანხმობაც მოისმინეს.

„იფინოე!“ დაიძახა ჰიფსიპილემ.

ქალებიდან ცქრიალა, თვალცეცხლა გოგო გამოვარდა.

„აქ გახლავარ, დედოფალო!“

„გასწი, იფინოე, და ლაშქრის წინამძღოლს გადაეცი, მოვიდეს ჩემს სასახლეში. აქ შევატყობინებ ჩვენს გადაწყვეტილებას. დანარჩენებსაც სთხოვე, გვეწვიონ ქალაქში.“

ეს ბრძანა, კრება დაშალა და სასახლისაკენ გაეშურა.

იფინოემ ყველაფერი სხაპანხუპით მოახსენა იასონს.

ალტაცებით შეეგებნენ არგონაველები ლემნოსზე მიპატიელებს. თუმცა უკვირდათ, რომ თოასის მაგივრად მისი ქალიშვილი იწვევდა სტუმრად. მერე იფიქრეს, ალბათ თოასი გარდაიცვალა და ახლა მისი ერთადერთი ქალიშვილი განაგებს სამეფოსო.

იასონი დათანხმდა, პირველი სწვეოდა ლემნოსის გამგებელს.

გაემზადა ჭაბუკი. მხრებზე ათენას ნაჩუქარი ძვირფასი მე-

წამულის წამოსასხამი წამოიგდო და მკერდზე ოქროს ბალთვებით შეიკრა.



დამშვენდა ისედაც პირმშვენიერი ვაჟკაცი.

აილო ბასრი შუბი. ეს შუბი მას ჯერ კიდევ გამოლაშქრებამდე აჩუქა მონადირე ქალწულმა ატლანტემ. თვითონ ატლანტესაც სურდა მონაწილეობა მიეღო კოლხეთს ლაშქრობაში, მაგრამ იასონმა უარი უთხრა. ეშინოდა, ქალწულისათვის შფოთი არ ჩამოვარდნილიყო თანამოლაშქრეებს შორის...

იასონმა ქალაქს მიაშურა.

შესვლისთანავე ქალთა გუნდი მხიარული ყრიამულით დაედევნა ბრწყინვალე ვაჟკაცს.

იასონი ცდილობდა თვალი აერიდებინა მათთვის.

სასახლეში მოსულს კარი მსახურმა ქალებმა გაუღეს. იფინოე გამოეგება და დედოფლის სანთიბოში შეუძღვა.

ჭიფსიპილე ოქროს ტახტიდან წამოდგა და სტუმარს შეეგება. თავის ახლოს, ძვირფასი თვლებით შემკულ სავარძელში ჩასვა.

დედოფალს ლამაზ ლაწვებზე სიწითლე წაჰკიდებოდა. თვალი ველარ გაესწორებინა ვაჟკაცისათვის.

როგორც იქნა, გული გაიმაგრა და დაიწყო:

„სტუმარო, უცნაური ამბავი უნდა გამცნო: ჩვენს კუნძულზე არც ერთი მამაკაცი აღარ ცხოვრობს.“

„როგორ?! არც ერთი მამაკაცი?!“ გაოცებით წამოიძახა იასონმა.

„ღიახ... ყური მიგდევ: ლემნოსელ ქალებზე გამწყრალი იყო ხფროდიტე. უთუოდ მისი ჩაგონებით, აქაურმა მამაკაცებმა საკუთარ ცოლებზე გული აიყარეს და ჩვენს პირდაპირ ქვეყანაში, თრაკიაში დაიწყეს წაწალი. ყოველდღე მიდიოდნენ იქ ხომალდებით და თრაკიელ ქალებთან დროს ატარებდნენ. ბოლოს იქიდან საყვარლები ლემნოსზე მორეკეს. კანონიერი ცოლ-შვილი სულ დაივიწყეს და იმ სიძვის დიაცებთან თავდავიწყებას მიეცნენ. შეიძულეს ღვიძლი შვილები; გაჩნდნენ უთვალავი ბუშები; მშობელი მამა ქალიშვილზე აღარ ზრუნავდა; ძმა დის ღირსებას აღარ იცავდა; ვაჟიშვილი დედას არარად აგდებდა. ყველგან თრაკიელი ხასები პარპაშებდნენ. დიდხანს ვითმენდით, იქნებ როგორმე გონს მოეგონ ჩვენი უგუნური მა-

მაკაცები-თქო, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მამაჩემი თოხნი
ვერ ახერხებდა აღვირახსნილთა ალაგმვას. ბოლოს რომელიღაც
დმერთმა გამბედაობა შთაგვინერგა. გადავწყვიტეთ და ერთ
დღეს თრაკიაში წასული მამაკაცები კუნძულზე აღარ შემო-
ვუშვით. წინადადება მივეცით, ან პატიოსან ცხოვრებას დაბ-
რუნებოდნენ ან თავიანთ სიძვის ცოლებთან ერთად ლემნოსი-
დან სამუდამოდ გადაკარგულიყვნენ. მათ ეს უკანასკნელი პი-
რობა აირჩიეს, თან ქალაქის ყველა მამრობითი ბავშვი წაიყვა-
ნეს და თრაკიაში გადასახლდნენ... აი, ახლა ასე ვცხოვრობთ
უშამაკაცოდ!“

ჰიფსიპილემ გაოცებულ სტუმარს წუთით მდუმარედ შეავ-
ლო თვალი. მერე, გაწითლებულმა ძლივს მოიბრუნა ენა:

„ჰოდა... აი, ასე ვართ... ახლა თქვენ მოსულხართ... თუ
თქვენი სურვილიც იქნება, დარჩით აქ... აი, შენ, იასონ, მამა-
ჩემის ტახტი ჩაიბარე... ლემნოსი ეგეოსის კუნძულთა შორის
ყველაზე ლამაზი და მდიდარია... ეს არის ჩვენი პირობა... მოი-
ფიქრეთ, შენს მეგობრებსაც გადაეცი... მოისაუბრეთ...“

იასონი დინჯად წამოდგა.

მან არ იცოდა, რო ჰიფსიპილემ ლემნოსელი მამაკაცების
დახოცვის ამბავი დაუმალა; ამიტომ შეებრალა ღვთის ანაბა-
რად დაყრილი ქალები.

„მე ყველაფერს ვუამბობ ჩემს მეგობრებს და კვლავ დავ-
ბრუნდები. რაც შეეხება ამ კუნძულზე მბრძანებლობას, იგი
თქვენს ხელთ დარჩება, რადგან ჯერ მე ნება არა მაქვს.“

და ყველაფერი დაწვრილებით ამცნო, რა მძიმე ლაშქრობა
ელოდებოდათ ოქროს საწმისის მამიებლებს.

„ახლა კი წავალ და მალე ჩემს მეგობრებთან ერთად დავ-
ბრუნდები“.

იასონმა ქალს ხელი გაუწოდა.

ორივეს ელვასავით მოედო ცეცხლი.

ვაჟმა სწრაფად მოიკრიბა გონი. დედოფალს მდაბლად და-
უქრა თავი და სასახლიდან გავიდა.

კვლავ თვალცეცხლა ქალიშვილებმა მიაცილეს ქალაქის
ჭიშკრამდე.

მერე ქალები შემობრუნდნენ, ეტლები ძვირფასი საჩუქრე-
ბით დატვირთეს, შიგ ფეხმარდი მერნები შეაბეს და „არგოსა-
კენ“ გაქუსლეს.



იასონმა ყველაფერი უამბო თანამებზოძოლებს.

სანამ დაამთავრებდა, ამხედრებული ლემნოსელი ქალები მოიჭრნენ, არგონაველებს მიესივნენ და ქალაქში მიიპატიყეს. გმირებს ყოყმანი არ დაუწყიათ. იქვე თვალდათვალ აირჩიეს გულის სწორები და სათითაოდ ჩაუსხდნენ ეტლში თავის რჩეულებს.

მხოლოდ ჰერაკლემ განაცხადა მტკიცე უარი ქალთა მიწვევაზე. მას თვალთაგან არ შორდებოდა თავისი მშვენიერი მეუღლე დეიანირა. ჰერაკლე ხომალდზე დარჩა. მან თანვე დაიტოვა თავისი მეგობარი და საჭურველმტვირთველი ჰილასი. ამას ძალიან უნდოდა ქალებს დასდევნებოდა, მაგრამ გმირს ვერ შეჰკადრა თავისი გულისწადილი.

არგონაველები ქალებთან ერთად გამაყრუებელი ყივილხვილით შეიჭრნენ ქალაქში.

კუნძულს თავაწყვეტილი ორგის ხანძარი მოედო.

ტახტზე დაბრძანდნენ ღვინით შუბლგახურებული დიონისე — ბახუსი და თვალთმაქცი ეროსი — სიყვარული.

ღვინოში და თავდავიწყებაში ჩაინთქნენ გმირები.

ვილას ახსოვდა „არგო“, კოლხეთს ლაშქრობა, ოქროს საწმისი!

დიდხანს ელოდა ჰერაკლე. ისინი კი არ ჩანდნენ.

ჰილასს უბრძანა ქალაქში წასულიყო და დაუყოვნებლივ გამოეწვია გონდაკარგული ამხანაგები.

ჰილასი სასწრაფოდ გაეშურა.

კანტიკუნტად მოდიოდნენ თვალამღვრეული, დაქანცული გმირები.

როცა ყველა მოგროვდა, ჰერაკლემ რისხვით აღსავსე ხმით დაიჭეკა:

„უგუნურნო, განა ჩვენ მკვლევლობისათვის გამოგვაძევებს სამშობლოდან, რომ ქალებს დავენატროთ და ასეთ უსინდისო თავდავიწყებას მივეცეთ?! იქნებ, მართლა გადაწყვიტეთ, ლემნოსზე დარჩეთ! მაშ, სხვისი ქალების ხვევნა-ალერსით გადავიწყვეტიათ დიდების მოხვეჭა. ან იქნებ გგონიათ, ბრყევბო, რომელიმე ღმერთი მოიტაცებს სანუკვარ საწმისს და თქვენ მოგართმევთ!.. ქალაჩუნებო, ის გირჩევნიათ ახლავ გაბრუნდეთ თქვენ-თქვენს სახლებში. იასონს კი ნება მიეცით, ჰიფსიპილეს

სარეცელში განისვენოს, სანამ ლემნოს ნახუშრებით არ გააქ-
სებს და ამით დიდ სახელს არ მოიპოვებს!“

შერცხვენილი იდგა ლაშქარი ჰერაკლეს წინ. შესიტყვება
არავის უცდია. თავი ჩაეჭინდრათ და თვალები მიწისათვის ჩა-
ეშტერებინათ.

ბოლოს ყველამ ერთხმად შეჰფიცა, ამიერიდან მსგავს სულ-
მოკლეობას აღარ ჩაიდენდნენ.

ლემნოსელმა ქალებმა შეიტყვეს თუ არა გმირების წასვლის
განზრახვა, წივილ-კივილით მიიღობინეს ზღვის პირზე და თა-
ვიანთ რჩეულებს კისერზე ჩამოეკიდნენ. გულამოსკვნილი ქვი-
თინით ეთხოვებოდნენ მათ.

იასონის ეშხით დაბრმავებული ჰიფსიპილე ვერ ხედავდა,
როგორ იღრინებოდა ჰერაკლე. ის სატრფოს ეხვეოდა და
ცრემლით ავსებული გაუგებარ რაღაცას ბუტბუტებდა.

იასონსაც უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ ვერ გაებედა: ჰერაკ-
ლე მაინც პირღრუბლიანად იმზირებოდა.

მხოლოდ ხელზე ეამბორა და სასწრაფოდ ხომალდზე ავი-
და. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ.

„არგო“ კუნძულს გაშორდა.

ნაპირზე ლემნოსელი ქალები იდგნენ და ცრემლის ღვრით
მიაცილებდნენ უკანასკნელ, თითქოს სიზმარში ნახულ და გან-
ცდილ ბედნიერებას.

საზარელი შეცდომა

მეორე დღეს „არგომ“ გადასცურა ეგეოსის ზღვის ჩრდი-
ლოეთი სანაპიროები და მზის ჩასვლისას პელესპონტს მიადგა.
არგონაველებს მოაგონდათ, რომ სწორედ აქ შთანთქა
ზღვამ ათამასის ასული ჰელე.

აქ მუდამ მშფოთვარე ზღვა ახლა წყნარად შეხვდა ბერ-
ძნებს. თითქოს იკმარა უზიარება სრუტემ ელინთა მსხვერპლი—
მშვენიერი გოგონა ჰელე...

მთელი ღამე მიცურავდნენ პელესპონტს.

დილით პროპონტიდაში გავიდნენ.

პროპონტიდის სამხრეთ სანაპიროზე არის ქალაქი კიზიკო-

სი. ის მდებარეობს ზღვაში შეჭრილ კლდოვან ნახევარკუნძულზე, რომელსაც აგრეთვე კიზიკოსი ჰქვია.

აქ ცხოვრობდნენ პოსეიდონის მამაცი ნაშიერნი — დოლიონები.

დოლიონების მეფესაც კიზიკოსი ერქვა.

ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე დინდიმონის მთაზე ურჩხულები ბინადრობდნენ. ისინი ქალღმერთმა პერამ შექმნა გეასაგან — დედამიწისაგან. ამიტომ მათ გეას შვილებს უწოდებდნენ. მათი შეხედვაც კი თავზარს დასცემდა ადამიანს. თვითეულ ამ ურჩხულთაგანს ექვს-ექვსი ხელი ჰქონდა; ორი მხრებზე და ოთხიც განიერ თეძოვებზე.

გეას ძეები დოლიონებს ვერას უბედავდნენ, რადგან დოლიონებს პოსეიდონი მფარველობდა...

„არგო“ კიზიკოსის სამფლობელოს მიუახლოვდა.

მეფე კიზიკოსს ნაწინასწარმეტყველევი ჰქონდა: თუკი ოდესმე მის ქვეყანას ღვთაებრივ გმირთა ლაშქარი ეწვეოდა, მეგობრულად უნდა მიეღო და საკადრისი პატივი ეცა.

ამიტომ, როგორც კი არგონაველთა ვინაობა შეიტყო, მათთან მაცნე აფრინა და სთხოვა, ხომალდი მისი ქალაქის ნავსადგურში შეეყვანათ. ელინებმა სიამოვნებით მიიღეს ეს მიწვევა. ლუზა ნავსადგურში ჩაუშვეს, ნაპირზე გადავიდნენ და აპოლონისადმი მსხვერპლშეწირვის სამზადისს შეუდგნენ.

მეფე კიზიკოსიც გამოჩნდა ბრწყინვალე ამაღის თანხლებით.

გაიმართნენ ბერძენი ვაჟკაცები.

ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

კიზიკოსი და იასონი წინ წამოვიდნენ. ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. მეფე ლამაზი იყო, ახოვანი, იასონისებრ ახლად წვერულვაშაკოკრებული.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დიდებულნო ელინნო გმირნო! მარად გვიგულეთ თქვენდა მსახურად მეცა და ჩემი ქვეშევრდომნიც!“

„ოლიმპიელნი გფარავდნენ, გმირო მეფეო! დაე, სიკეთე მოეტანოს შენს მიწაზე ჩვენი ფეხის შემოდგმას. ბედნიერება შენ, შენს ოჯახს და შენს ქვეყანას!“

მკლავები გაშალეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

შემდეგ თავიანთი მსლებლები წარუდგინეს ერთმანეთს, თვალგაბრწყინებული იკრავდა მკერდში კიზიკოსი ბერძენი ვაჟაკებს.

გულმხურვალედ ესალმებოდნენ სტუმრებს მეფის დიდებული გმირები.

კიზიკოსის ბრძანებით „არგო“ სურსათით და ღვინით დატვირთეს. მერე მეფემ სტუმრებს ზღვის პირზე ღმერთთა საკადრისი ნადიმი გაუმართა.

სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, კიდევ უფრო ბრწყინვალე ამაღლა შენიშნეს არგონაველებმა.

წინ ოქროს ეტლი მოდიოდა. მასში იჯდა ქალი, რომელიც სიმშვენეირით აფროდიტეს შეედრებოდა.

„ეს ჩემი მეუღლეა... დედოფალი კლიტე!“ ამცნო თვალანთებულმა კიზიკოსმა და ეტლს მიეგება.

ისინი ახალდაქორწინებული იყვნენ.

გმირები მოწიწებით წარუდგნენ დედოფალს.

გაჩაღდა ლხინი.

გამეფდა დიონისე-ბახუსი.

საესე თასებს გადადიოდნენ სტუმრები და მასპინძლები, მოხიბლული უსმენდნენ ორფევსის ღვთაებრივ გალობას და თვითონაც მღეროდნენ.

მასპინძლებმა დაწვრილებით მოისმინეს, საით და რისთვის მიემგზავრებოდნენ სტუმრები.

„მძიმე გზას შესდგომიხართ! უძლეველს ამბობენ კოლხთა მეფე აიეტს!“ თქვა მეფემ.

„ვნახავთ! ვნახავთ!“ გულდინჯად უპასუხა ისონმა.

არგონაველები დაინტერესდნენ. რა ნავსაყუდელები და უბეები აქვს პროპონდიტას ან რა ქალაქები აკრავს მას.

მეფემ მხოლოდ თავისი სამფლობელოები აუწერა დაწვრილებით. მაგრამ იმას იქით რა იყო, აღარ იცოდა.

„ამას ჩვენ თვითონ შევიტყობთ, დილით ადრე ამ მთას ავუყვებით. ალბათ იქიდან ყველაფერი გამოჩნდება“, თქვა ისონმა და მახლობლად წამოზიდულ ღინღიმონის მთას აპხედა.

ღრეობა დამთავრდა. დოლიონები და ელინები კვლავ ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მეფე-დედოფალი თავისი ამალით ქალაქში დაბრუნდა.



არგონაველებმა ის ღამე ზღვის პირზე გაატარეს.

გათენებას ფეხზე შეხვდნენ. ნაბახუსევი შუბლი გაიჭრის და ჭრის და შუაზე გაიყვნენ. ერთი ნაწილი იასონის მეთაურობით დინდიმონის მთას აუყვავა. მეორე კი ჰერაკლეს უფროსობით ხომალდთან დარჩა.

უეცრად დინდიმონის მეორე მხრიდან გამაყრუებელი ღმუილი ატყდა.

თვალი ჰკიდეს „არგოსთან“ დარჩენილმა გმირებმა და შეძრწუნდნენ. გეას ძემა ბრბოები შლიგინ-შლიგინით მოჰქროდნენ მთიდან. მოფრინავდნენ და ტყე-ლრე მოჰქონდათ. დაკლავნილ ხელებში კლდის ნახეთქები ეჭირათ.

ზღვის პირზე გაჩნდნენ და ლოდები ხომალდს დაუშინეს.

მყისვე გამართა მშვილდისაარი ჰერაკლემ. ერთიმეორეს გაბედულად დაადევნა ისრები.

ერთმანეთს ეცემოდნენ მკერდგაპობილი ბუმბერაზები.

ურჩხულთა ახალი მეწყერი მოსკდა დინდიმონს.

მიუხტნენ ჰერაკლეს და სეტყვასავით დააყარეს კლდის ლოდები.

ეს საზარელი არსებანი სწორედ ჰერაკლეს წინააღმდეგ გამოზარდა ზევსის მეუღლე ჰერამ. ჰერა ხომ ყველას სდევნიდა, ვინც კი ზევსის „ცოდვის შვილად“ ითვლებოდა.

შემაზრზენი ქუხილი მოსწყდა ჰერაკლეს ბაგეს. აზვავდა ღვთაებრივი გმირი.

კომბალი აღმართა და საარაკო ლომგულოვნებით შეუტია ურჩხულთა გუნდებს.

სისხლზე ყინმორეული ომის ღმერთი არესიც კი გონს დაჰკარგავდა გმირის ასეთ შემართებაზე.

გაუდრეკი მარჯვენით სცემდა კომბალს. თავგაპობილნი, ძვალტვინარეულნი ეცემოდნენ გეას შვილები.

მარცხენით იჭერდა მათგან ნასროლ კლდის ნახეთქებს, უკანვე სტყორცნიდა და მკერდშენგრეულთ სცემდა მიწაზე.

შუბები გამართეს, მახვილები დაიშიშვლეს და ჰერაკლეს მხარდამხარ მიჰყვნენ: ჰილასი, ტელამონი, პელევსი, კასტორი, პოლიდევეკე, ლინკევსი, იდასი, პოლიფემე და მელეაგრე.

საბრძოლო ზათქი მთაზე ასულ იასონსა და მის მხლებლებს მისწვდა.

ისინი უკანვე დაეშვნენ და მეგობრებს მიეშველნენ.

ზღვის პირი გეას ძეგების გვამებით დაიხერგა. თავისუფალი
ეყარნენ წყლისა და ხმელის შესაყარში. ზღვისა და ტყის
მდგმურნი იყოფდნენ უზრუნველსა და დოვლათიან ნადავლს.
გმირები ზღვაში ჩავიდნენ. ბრძოლის ოფლი და სისხლი
განიბანეს. ზოგმა ურჩხულთაგან ნატყორცნი ლოდით დაქე-
ცილი ადგილები დაიზილა...

ზეფიროსი ჰქროდა.

„არგო“ გაშორდა დოლიონთა მიწა-წყალს.

მთელი დღე მშვიდობიანად აპობდა ტალღებს ხომალდი.
დალამდა.

კუპრისფერმა ღრუბლებმა სულ ამოავსეს შორეთი ცა
და მიწას შორის.

ბორეასმა ავად დაჰქროლა ჩრდილოეთიდან.

აფორიაქდა ზღვა.

არგონაველებმა იალქნები დაუშინეს და ნიჩბებს დააწვნენ.
ბორეასი მოძალდა. მერე ერთბაშად ქარტეხილად მოსკდა.
ზღვა აღმუვლდა. ზვირთები აგანგაშდნენ, ცად აღიმარ-
თნენ, უმაღლვე მოსწყდნენ და გულისწამლები ზათქით მიასკ-
დნენ ხომალდის კედლებს.

ღამე სულ ჩაიკუპრა და ჩაიკუფრა. გმირები ველარაფერს
ხედავდნენ და შეძახილებით ამხნევებდნენ ერთიმეორეს.

ლინკევისს ყოვლისმხილველი თვალებიც უძლური იყო
წყვიდიდან ბრძოლაში.

„არგო“ იბრძოდა, გვერდზე წვებოდა, ჰრიალებდა და
ოხრავდა.

ისევ შევარდენივით თავს ევლებოდა ჩასანთქავად მოვარ-
დნილ ცოფით დუქემორეულ ზვირთებს.

ქარტეხილისგან ჰკუაშეშლილ პროპონდიტას თითქოს გადა-
ეწყვიტა თავის ფსკერზე ღვთაებრივ გმირთა ჩამარხვით გა-
ეთქვა სახელი.

ალარ იცოდნენ, საით მიდიოდნენ.

ალარც ცდილობდნენ ამის გაგებას. ოღონდ კი სადმე მი-
წის ნაგლეჯს მიდგომოდნენ; როგორმე თავი დაედწიათ ზღვის
სიშმაგისგან...

სადღაც გავიდნენ. გემი რალაცას წაეჭახა.

ეს მიწა იყო, მიწა!

ისინი ცოცხლები იყვნენ და მიწაზე ფეხი ედგათ!

მაგრამ სად იყვნენ, ვის მიწაზე, ვის სამფლობელოში? არავინ იცოდა და გათენებამდე ამის გაგებას არც ფიქრობდნენ ქანცგაწყვეტილნი...

... შუალამისას მეფე კიზიკოსს მოახსენეს:

„ზღვის პირს მტერი მოადგა! ჩვენი მოსისხლე მაკრიელები უნდა იყვნენ!“

მყისვე აისხა იარაღი მეფემ.

„შეიყარა მამაც დოლიონთა ლაშქარი.“

უკუნეთში ძლივს გაიგნეს გზა ზღვის ნაპირისკენ.

„ვთი დედასა, სად არიან ახლა ჩემი მეგობარი ელინი გმირები!“ სინანულით ფიქრობდა გზაზე კიზიკოსი...

ეძინათ არგონაველებს.

ფხიზლობდნენ შორიგე გუშაგები, არკადიელი ძმები კეფევსი და ამფიდამასი. ძილის ტვირთი საშინელი სიმძიმით აწვებოდა სისხლმორეულ თვალთა ქუთუთოებს.

უეცრად ხმელეთიდან მოვარდნილმა საბრძოლო ყიყინამ გაპყარა ძმები მოძალებული ძილისაგან.

„მტერი!“

„იარაღი!“

დაიღრიალეს კეფევსმა და ამფიდამასმა.

ისარნაკრავ მხეცებივით წამოცვივდნენ არგონაველები და იარაღს ეცნენ.

ელვის უსწრაფესად გაჩნდნენ ზღვის პირზე და თავდავიწყებით ეკვეთნენ გაუმზერალ წყვდიადში მოვარდნილ ლანდების ლაშქარს.

შეიბნენ დოლიონები და არგონაველები, გუშინ გულთბილი მეგობრები, დღეს უცაბედი მოსისხლე მტრები.

ელინებმა არ იცოდნენ, რომ თავისი გულუხვი მასპინძლების მიწაზე მოსულიყვნენ და კეთილშობილ მეგობართა სისხლს ღვრიდნენ.

დოლიონებს კი ურყევად სწამდათ, რომ გუშინდელი ძვირფასი სტუმრები უკვე შორს იყვნენ, ხოლო მათ წინ ახლა მოსისხლე მაკრიელები იდგნენ.

ვერც ერთ მხარეს ვერ წარმოედგინა, რა საბედისწერო მეცდომის მსხვერძლნი ხდებოდნენ.

ვით ხმელ ბუჩქნარს ხანძარი, ისეთი საბრძოლო ცეცხლით მოედვნენ ერთი-მეორეს დილიონები და არგონაველები.

უკუნეთში მეომრები ძლივს არჩევდნენ მტერს და მოყვარეს... მხოლოდ მორიალე სილუეტებს ხედავდნენ.

და თავგანწირვით სცემდნენ ერთმანეთს სილუეტები.

ორმხრივად ამტყდარი საბრძოლო ყიყინა და ომახიანი ხაფი საშინელი ქარბორბალას ღმუილს ახშობდა.

სივრცე ველარ იტევდა იარაღის შემზარავ ზათქსა და ჟღერიალს.

იასონმა ვილაც თავისებრ ბრგე ტანის ლანდი გაინაპირა.

იმ ლანდს ქვიშაში დაეფლო მარცხენა ფეხი. მახვილჩაბლუჯული მარჯვენა კი უნებლიედ დაჰკრა მიწაზე.

და სანამ წელში გასწორდებოდა, იასონმა გაწვართული შუბი პირდაპირ მკერდში ახალა და გულშენგრეული დასცა მიწაზე.

არავინ უწყოდა, რომ მოკლული იყო კეთილშობილი მეფე კინიკოს.

დიდებულ გმირს აღარ ეწერა დაბრუნებოდა მშვენიერ ოჯახს, ახალშერთულ საყვარელ მეუღლეს, რომლისგანაც ის მოუთმენლად ელოდა სანუკვარ მემკვიდრეს.

არგონაველთა უწყალო ხელით ზედიზედ ეცემოდნენ დოლიონი ვაჟკაცები.

სულ გაიჟლიტნენ ელინთა უნებლიე მორკენალნი.

გადარჩენილმა დოლიონებმა არგონაველთა მოწოლას ვეღარ გაუძლეს. მტრის გრიგალისებური შეტევით შეძრწუნებულნი გაიქცნენ და ქალაქის ჭიშკრებს მიაწყდნენ.

მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა სიკვდილის მთესველ ელინთა მახვილს.

ღღე და ღამე გაყრას იწყებდა.

ძღევამოსილნი ბრძოლაში ნადენ სისხლსა და ოფლს იშპენდნენ და ქალაქზე საიერიშოდ ემზადებოდნენ.

უეტრად ქალაქიდან მოვარდნილმა გლოვის ზარმა შეჰზარა არგონაველები.

შეირყა ზეცა.

ქარბორბალა ბორეასიცი უმაღლვე ჩადგა: თითქოს ისიც
შეაძრწუნა დოლიონთა გოდებამ.

ლამემაც ფეხი აიჩქარა: არც მან ისურვა მისი ბნელი ფარ-
დის ქვეშ მომხდარი სისხლიანი ნახელავის ხილვა. დღის სი-
ნათლეს დაუტოვა საგოდებელი.

ეს რა ჩაესმათ არგონაველებს?!

დამარცხებული ქალაქის გმინვა ერთადერთ სიტყვაში
ჰკვივის:

„კიზიკოს!“

„კიზიკოს!“

„კიზიკოს!“

შემობრუნდნენ ბერძნები.

ზღვის პირს მიეჭრნენ და ყველას გმინვა აღმოხდა.

მათ წინ, სილისა და სისხლის ტალახში, მხარგაშლით ესვე-
ნა მკერდშენგრეული მეფე კიზიკოს.

ლურჯი რიყრაყი დასთამაშებდა მშვენიერი გმირის ჭაბუ-
კურ სახეს.

ახლომახლო ეყარნენ მისი ერთგული დევგმირები.

არგონაველებს თავზარი დასცა მათმა სისხლიანმა ნამოქ-
მედარმა.

იასონი ღრიალით დაემხო კიზიკოსის გვამს და თავში
მუშტები წაიშინა.

გმირებმა მუხლი მოიყარეს დახოცილ მეგობართა წინაშე
და აქვითინდნენ.

ქალაქის კარი გაიღო და გლოვის ახალი ნიაღვარი დაიძრა
ზღვის ნაპირისკენ.

წინ თმაგაშლილი დედოფალი მოჰყავდათ თმაგაშლილ ქა-
ლებს.

გულისმომკვლელად ჰკიოდა დედოფალი კლიტე. მოთქმით
მოსდევდნენ შავოსან ქალთა გუნდები.

სამსხვერპლო მოზვრებივით ზმუოდნენ საბედისწერო და-
მეს გადარჩენილი დოლიონი ვაჟკაცები.

გაეგებნენ მწუხარებით ენაჩავარდნილი არგონაველები.

დედოფალი მეუღლის ცხედარს დაეცა და გონი დაჰკარგა.

მოაბრუნეს. სიკვდილს გაჰყარეს სიკვდილის მოსურნე.

მშვენიერი ლაწვები დაიხოკა და ოქროვანი კულულები
დაიგლიჯა ბედგაშავებულმა ქალმა.

მათთან ერთად მწუხარებდნენ ბერძენი ვაჟაკები
ცრემლს ღვრიდნენ, თმას იგლეჯდნენ და თავზე სილას
იყრიდნენ.

სამ დღეს გაგრძელდა საზარელი გლოვა.

მეთოხე დღეს ბერძნებმა სპილენძის იარაღი აისხეს, კიზიკოსის ცხედარს გარშემო სამჯერ შემოუბრინეს და ქალაქის გარეთ გაშლილ მდელიოზე დაკრძალეს. მეფის სულს საომარ შევიბრებითა და მდიდარი მსხვერპლშეწირულებით სცეს პატივი. ბოლოს მის საფლავზე მაღალი ტაგრუცი აღმართეს.

კიზიკოსის დაკრძალვის მეორე დღეს დედოფალმა კლიტემ თავი ჩამოიხრჩო.

ტყის ნიმფებმა დაიტირეს ტურფა დედოფალი.

მათგან ნაწვიმარი ცრემლები ნიმფებმა წყაროდ აქციეს. იმ წყაროს უბედური დედოფლის სახელი — კლიტე უწოდეს.

ამ ამბის შემდეგ ქარიშხალი კვლავ ამხედრდა ზღვაზე და ხმელზე. თორმეტ დღე-ღამეს დაჯირითობდა ქართვეხილი.

მეთორმეტე ღამე იდგა. არგონაველებს ეძინათ. გუშაგებად პელიასის ძე აკასტე და გულთმისანი მოჰსე იდგნენ.

მძინარე იასონს თავზე ალკუნმა გადაუფრინა და ხომალდის ანძაზე ელურტულით ჩამოჯდა.

მოჰსეს აპოლონისაგან ჰქონდა შესწავლილი ფრინველებზე მისნობა და მაშინვე მიხვდა, რასაც ამბობდა ალკუნი. იასონი სასწრაფოდ გააღვიძა და უთხრა, რომ თუ გინდა ქარიშხალი ჩადგეს და ზღვაზე მშვიდობიანად გავიდეთ, დაუყოვნებლივ უნდა ახვიდე დინდიმონის მთაზე და მსხვერპლი შესწირო ქალღმერთ რეას, რომლის ხელთ არის ყველა ქარი და ქარიშხალი.

„ასე გვამცნო ღმერთების სურვილი იმ ფრინველმა“, მიუთითა მან ანძიდან აფრენილ ალკუნზე.

წინამძღოლი ფეხზე წამოიჭრა.

მისი ბრძანებით ყველაზე ახალგაზრდა გმირებმა, ჰილასმა, მელეაგრემ, ანკევსმა და ასტერიონმა სამსხვერპლო მოზვრები მორეკეს დოლიონთა ნახირიდან.

გათენებისას ყველანი დინდიმონის მთაზე ავიდნენ. აქედან მათ თვალწინ იშლებოდა მთელი პროპონდიტი, თრაკია, მაკ-

რიელთა მთები, მიზიის მწვერვალები და ნისლში ჩაძირული
ბოსფორის სრუტე.



შეუდგნენ რეას თაყვანისცემას.

არგოსმა ბებერი ვაზი მოსჭრა და მისგან რეას ხატი გამოკვეთა. ეს ხატი დიდი წიფლების ქვეშ დადგეს. ქვები მოაგროვეს, საკურთხეველი აღმართეს და მოზვრები დაკლეს.

სამსხვერპლო კოცონზე იისფერი ალით იწვოდა და იღვენთებოდა მოზვრის ბარკლები. იასონი მასზე ზედაშეს ასხამდა. იარალასხმული არგონაველები გარშემო ცეკვით ურბენდნენ კოცონს.

ქვემოდან, კიზიკოსის საფლავიდან, დოლიონთა სამგლოვიარო გმინვის ხმა ამოიჭრა.

ორფევსმა ურჩია გმირებს, ფარებზე მახვილების ცემით ერბინათ, — ეგებ როგორმე სმენა დავიხშოთ საბრალო დოლიონების შემზარავი გოდებისგანო.

ფარებზე მახვილების ცემითა და როკვით ურბენდნენ არგონაველები რეას სამსხვერპლოს.

თითქოს მართლა მომადლიერდა ქალღმერთი. სასწაული მოუვლინა არგონაველებს: მათ ფეხქვეშ ლორთქო ბალახი აღმოცენდა, მთის მწვერვალი სულ ყვავილნარებით დაიფარა, ხმელმა ხეებმაც ფოთოლ-ნაყოფი გამოისხა. ტყის ნადირმა თავისი ბუნავი მიატოვა. მთაზე წყალი არ იყო და უცებ წყარომ იჩქეფა. იმ წყაროს იასონის სახელი ეწოდა.

ლხინი გამართეს არგონაველებმა. ქალღმერთ რეას სადიდებელში დაივიწყეს მგლოვიარე დოლიონები.

მშვენიერი ამინდი დადგა. ცა მოიწმინდა და ზღვა დამშვიდდა.

ზეფიროსის ქროლვით გაშორდა „არგო“ დოლიონთა მიწას.

მაგრამ სალამო უამს კვლავ ამოვარდა ქარიშხალი. უშედეგო აღმოჩნდა ქალღმერთ რეასადმი თაყვანი. კვლავ დაიძაგრნენ ფოლადოვანი კუნთები რკინის მკლავებზე.

დაიქანცნენ გაგიჟებულ ზღვასთან ბრძოლაში.

ხოფები ხელიდან გაჰყარეს და ნიათგაცლილნი დაცვივდნენ ხომალდის ფსკერზე.



მხოლოდ ჰერაკლე არ ცხრებოდა; აღძველებულ უზარმაზარ ხოფს გამალებით სცემდა და „არგოს“ წინ მიერეკებოდა.

ხომალდმა უკვე ჩაუჭროლა მდინარე რინდაკს, მის შესართავს და მიზიის სანაპიროთა გადაცურვას შეუდგა.

უცებ რაღაცამ ჭახანი მოიღო.

ხოფმა ჰერაკლეს მძიმე მკლავების დაწოლას ველარ გაუძლო და შუა გადაიხსვრა.

გმირმა მწარედ ამოიგმინა, როცა ხელში ნიჩბის ნამსხვრევილა შერჩა.

მწუხარედ გადახედა ძირს დაყრილ, ღონეწართმეულ ამხანაგებს.

მერე სინანულით დააცქერდა თავის უზარმაზარ, რვალის კუნთებით დაგრაგნილ მკლავებს, ახლა უქმსა და უსარგებლოს.

გმირებმა ძლივს წამოსწიეს მხრები. ნიჩბებს მისწვდნენ და ხომალდი ვაივაგლახით მიაყენეს მიზიის ნაპირს.

მიზიელებმა სტუმართმოყვარეობით მიიღეს არგონაველები. სურსათითა და ღვინით აუფესეს ხომალდი.

გმირებმა აპოლონს მსხვერპლი შესწირეს და სანადიმო სამზადისს შეუდგნენ.

ზოგს ცეცხლისათვის ხმელი შეშა მოჰქონდა, ზოგი ფოთლოვან ხის რტოებს სტეხდა მწვანე სუფრის გასაშლელად, ზოგი ღვინოში წყალს ურევდა და სასმელად ამზადებდა (ბერძნები შუმ ღვინოს არ სვამდნენ, მასში ორ მესამედ წყალს ურევდნენ).

დაღამდა.

ცაზე მილურსმული მთვარის ნამსხვრევი მკრთალად ანათებდა დედამიწას.

ჰერაკლემ თქვა, სანამ თქვენ სუფრას გაშლით, მე სახოფეხეს გამოვძებნიო, და წავიდა. ტყეში დიდხანს ეძებდა და ვერც კი შენიშნა, ისე შორს შესულიყო უღრანში.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო. თვალი შეავლო თავმომწონედ აშოლტილ ნაძვს. მოეწონა; მშვილდ-კაპარჭი გადმოი-



ლო და მიწაზე დააწყო. მხრებიდან ლომის ტყავი (მის მიერვე დამხრჩვალნი ნემის ლომის ტყავი) მოიძრო და იქვე მიაგდნა.

სპილენძით მოჭედული კომბალი მოიქნია. ძალუმი დარტყმით ხეს ზევითა ფესვები გადაუმსხვრია. მერე ხეს მძლავრი ხელები შემოხვია. მკერდით მიაწვა, მიანჯღრ-მოანჯღრია, ფეხები განზე გადგა, მთელი ტანი დაძაგრა და ერთის ამოქნევით ხე ფესვებიანად ამოგლიჯა.

იარალი აკრიფა, ხე ბეჭზე გაიდო და უკანვე გამობრუნდა.

სანამ ჰერაკლე ამ საქმით იყო გართული, მისმა საყვარელმა საჭურველთმტვირთველმა და მეგობარმა ჰილასმა სპილენძის ამფორა აიღო და წყაროს საძებრად გაემართა.

მას ჯერ წყალი უნდა მოეტანა, შემდეგ ვახშმად სხვა რამეც მოემზადებინა ჰერაკლესათვის.

ჰილასი კარგა გვარიანად გაშორდა ლაშქარს. ბოლოს წყაროსაც მიაგნო.

ანკარა წყარო კლდოვანი მღვიმედან მოჩუხჩუხებდა. ირგვლივ დაბურული ტყე შემოსჯაროდა. ჩრდილოს მხრიდან ამაყად წამოზრდილიყო რომელიღაც მთის მწვერვალი.

მან არ იცოდა, რომ აქ ნიმფების შესაკრები ადგილი იყო. ყოველ ღამით წყაროსთან ფერხულზე თავს იყრიდნენ წყლის, მთისა და ტყის ფერიები და ტკბილის ჰანგებით უგალობდნენ ქალღმერთ არტემიდეს...

მეოცნებე ჭაბუკი მოხიბლული ჩასცქეროდა გამჟვირვალე წყაროში ბლონდედ მოციალე მთვარის ნამსხვრევს.

დაიხარა და წყალში ჭურჭელი ფრთხილად ჩაუშვა, თითქოს იქიდან წყალთან ერთად მთვარეც უნდა ამოეღო.

ალივლივდა წყალი. ატივტივდა მთვარის ნამსხვრევი და ოქროს უწვრილეს ნამუსრევებად განიბნა წყალში.

გაეცინა ჰილასს.

მაშინვე ვილაცამ კრიალა ხმით გადაიკისკისა.

დაისრულწივით წამოიჭრა ჭაბუკი. მოიხედა და ტანში გასცრა.

მღვიმიდან ნიმფა გამოდიოდა. მარმარილოს ბაწია ფეხებით მოაპობდა ყინულა წყალს. რხევით მოჭქონდა შიშველი აშხვართული ტანი. ოქროცურვილი ხშირი დალალეები წელს ქვემოთ სცემდა.

იციანოდა ფერია. აელვარებდა ბროლის კბილებს. ჭაბუკს
არ აშორებდა ვნებით დანისლულ ზღვისფერ თვალებს.
ჰილასი ენაჩავარდნილი იდგა. სახიდან სულ გასცლოდა
სიცოცხლის ნიშატი.

ნიმფა ახლოს მივიდა და ქანდაკადქცეულ ყმაწვილს თვა-
ლებში შეაქჳერდა.

ლამაზი, ძალიან ლამაზი იყო ჰილასი.

ნიმფა აცახცახდა; ალივით შემოენთო მშვენიერ ვაჟკაცთან
ჩახვევის სურვილი.

რალაც წასჩურჩულა ქალმა უცნაური, მთრთოლვარე ხმით.

არც ეს გაუგია შიშით გარინდულ ვაჟს.

ნიმფა დაიხარა. პაწია ხელები წყალში ჩაჰყო და უეცრად
ამოჰკრა. ყინულის წვეთები ეპკურა დაზაფრულ სახეზე ჰი-
ლასს.

შეკრთა და პირი დაალო დასაყვირებლად.

ვერ მოასწრო: სუნთქვა შეუტრა ცეცხლოვანი ალქაჯის
კოცნამ.

რა ძალა ჰქონია ზღვის ქალის ამ პაწაწა თლილ მკლავებს!
ცხელ მარწუხებად ჩახვეოდნენ ისინი ვაჟკაცის მკერდსა და
კისერს.

წამით დაუძვრა ჰილასი და საშინელი გამყვივანი ხმით შეჰ-
ყვირა.

მეტი ველარ მოასწრო.

ნიმფების გუნდი დაესხა თავს. პირი ისევ რომელიღაც
ნიმფამ შეუტრა მღულარე კოცნით.

ელვის უსწრაფეს აიტაცეს ვაჟკაცი და მასთან ერთად ჩა-
ეშვნენ მღვიმესთან მბრუნავ უძირო მორევში...

ჰილასის ყვირილი მხოლოდ პოლიფემემ გაიგონა, უმამა-
ცესმა თესალიელმა, არგონაველთა შორის ყველაზე მსცოვან-
მა გმირმა. ის ადრე გაშორებოდა ლაშქარს და ჰერაკლეს შე-
სახვედრად წამოსულიყო.

მოხუცმა გმირმა ჰილასის ხმა იცნო. იცოდა, ჰერაკლეს მე-
გობარი წყაროზე იყო წასული. უმაღვე მახვილი იშიშვლა და
ქარივით გაქანდა წყაროსაკენ.

ჰილასი იქ აღარ დახვდა.

„ჰილას, ჰილას!“ რამდენჯერმე იყვირა პოლიფემემ ძლიერი ხმით.

პასუხი არ იყო. წყარო უდარდელად მორაკრაკებდა ჩაშავებული მღვიმიდან. მთვარის ნამსხვრევი დამცინავად იჭვრიტებოდა. ტყეში სიო სისინებდა. ჭოტი გულისწამლებად ჰკიოდა.

მთელს სხეულში უჩვეულო ჟრჟოლამ დაურბინა უშიშარ გმირს. გამობრუნდა და მახვილით ხელში ყვირილით შეერია ტყეს.

ამაოდ ეძახდა ჰილასს.

ტყეში აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა. პოლიფემეს მტერი ეგონა, მახვილი მოიმარჯვა და ჩასაფრდა.

ჰერაკლე მოდიოდა. მხარზე სახოფე ნაძვის ხე გაედო. შეშფოთებული მოაბიჯებდა. ეტყობოდა პოლიფემეს ხმა გაეგონა, ჰილასს რომ ეძახდა.

„ჰერაკლე!“ შესძახა პოლიფემემ.

ის შედგა და მაშინვე შეჰყვირა:

„რა მოხდა? ჰილასს რა მოუვიდა!“

„თავზარდამცემ ამბავს გაცნობებ...“ ძლივს დაიწყო პოლიფემემ:

„სთქვი! უბედურებისა და ვაების მეტი რა მინახავს!“

„ჰილასი წყაროზე წავიდა... უკან აღარ დაბრუნებულა... ალბათ ან მხეცები ჰგლეჯენ, ან ავაზაკებს ჩაუგდიათ ტყვედ!.. ყვირილი გავიგონე“.

ჰერაკლემ შემზარავი ხმით დაიღრიალა. ცა შეირყა. სიოს სუნთქვა შეუგუბდა. ბუნებაც შეძრწუნდა და დადუმდა. მთვარის ნატეხმაც ფერი სულ დაჰკარგა.

ჰერაკლეს ქუხილის ექომ დაამუნჯა ზეცა და მიწა, ზღვა და ხმელეთი.

მხრიდან ნაძვის ხე ჩამოიღო და შორს გასტყორცნა. ადგილიდან მოსწყდა და გაქანდა.

პოლიფემე დაედევნა.

გარბოდნენ და ყვიროდნენ:

„ჰილას, ჰილაას!!!“

ჰერაკლე გაშმაგებული მიჰქროდა, ღმუოდა, ჰქუხდა.

არგონაველები მალე მიხვდნენ, რაც მომხდარიყო. ისინიც

შეეფინენ ტყეებს და ღრეებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

მთელი ღამე ეძებდნენ.

ჰერაკლე და პოლიფემე სულ გადაიკარგნენ. მათი ხმა აღარ ისმოდა.

გარიჟრაჟისას არგონაველები დარწმუნდნენ, რომ მათ სა-
მუდამოდ დაჰკარგეს ჰილასიც, ჰერაკლეც და პოლიფემეც.

განსაკუთრებით ჰერაკლეს დაკარგვას ვერ შერიგებოდნენ.
დამწუხრებულნი, უძილობით დათენთილნი და ქანცგაწყ-
ვეტილნი დაბრუნდნენ ხომალდზე.

ტიფისმა ურჩია, ესარგებლათ კარგი ამინდით და გზა გა-
ნეგრძოთ. სულ ერთია, ჰერაკლეს მაინც ვეღარ დავიბრუ-
ნებთო.

ღუზა ამოზიდეს და ზღვაზე გავიდნენ.

ამობრწყინდა ჰელიოსი. ათასფრად ააელვარა ცვარითმო-
სილი მთა-ველი; ლაქვარდად აალაპლაპა ზღვა.

დილის სიმშვენიერემ შავი ნღველი ვერ გადასწმინდა
გმირებს.

სევდით შებურვილი მიჰქროდა „არგო“.

სღუმდნენ. ერთმანეთს თვალს ვეღარ უსწორებდნენ, თით-
ქოს მათი ბრალი ყოფილიყოს სამი დიდებული გმირის გაუ-
ჩინარება.

ღრინავდა ტელამონი.

კანტიკუნტად ისმოდა საყვედურის ხმები. მაგრამ ვერავის
საყვედურობდნენ; ისე, გულს იოხებდნენ.

ხმას აუმაღლეს. დრტვინვამ იმატა.

იასონი კრინტს არ ძრავდა. მხოლოდ ის ერთი სღუმდა.
უაზრო დავაში არ ერეოდა. იჯდა და თვალეზგაშტერებული
უსვამდა ნიჩაბს.

ბრაზმორეული წამოიჭრა ტელამონი.

„იჯექ, იასონ, აგრე მშვიდად, რა გენადვლება!“

ბელადი არც შერხეულა. მისმა ღუმლიმა სულ გააცოფა
ტელამონი.

„შენ ხარ ყველაფრის მიზეზი, შენით მოხდა ეს უბედურე-
ბა. შენ არ მოისურვე კარგად მოგვეძებნა გმირები. გეშინოდა,
ჰერაკლეს დიდებას არ დაეჩრდილა შენი სახელი!“

ძლივს სუნთქავდა ცოფაყრილი.

„მე შენთან ლაპარაკიც აღარ მსურს!“

დანარჩენი გმირები ალაშფოთა ტელამონის ასეთმა მართლო სიტყვებმა.

ახლა მათ მიუბრუნდა ეაკის ძე.

„მაშ, თქვენც ამასთან! — და იასონზე მიუთითა — შეთქმულები ხართ! ყველამ ერთად მოიფიქრეთ ეს ვერაგობა... მე აღარ მინდა თქვენთან ყოფნა... სულ გაგშორდებით!“

ამოდ ცდილობდნენ მის დამშვიდებას.

ტელამონი უეცრად მივარდა ტიფისს, საჭე ხელიდან გამოსტაცა და ხომალდი უკანვე შემოატრიალა.

„რას სჩადიხარ?!“ ილრიალა ტიფისმა.

„უკანვე მივალ. მე მოვნახავ დიად ჰერაკლეს!“

არგონაველები ტელამონს მიცვივდნენ.

ხომალდის საჭესთან ჭიდილი და შეხლა-შემოხლა შეიქნა, „არგო“ კინალამ გადაბრუნდა.

ბორეასის შვილებმა, ფროსანმა ძმებმა ძეტემ და კალასმა ძლივს გამოჰვლიჯეს საჭე ტელამონს და ისევ ტიფისს დაუბრუნეს.

ტიფისმა ისევ აღმოსავლეთისკენ უყო პირი ხომალდს.

დავა მაინც გრძელდებოდა. ტელამონი არ ცხრებოდა, ვერც პელევსმა დაამშვიდა ძმა. იდასს შუბი ჩაებლუჯა. პოლიდეკეს მუშტები დაეძაგრა. ანკევსი ნაჯახს პირს უსინჯავდა. მელეაგრეს მახვილი ხელის დადებაზე ამოეზიდა. იასონი გაფითრებული აჰკვროდა ანძას.

„შესდექით, არგონაველებო!“

გმირები შემოატრიალდნენ.

ხომალდის ძგიდისათვის ხელი ჩაველო უზარმაზარ, ლომივით ფაფარაყრილ კაცს. ზღვაზე ირწეოდა დეკაკაცი.

ყველამ იცნო ღმერთად ქცეული მეთევზე მისანი გლავკოსი.

„რატომ გინდათ დიადი ზევსის ნება-სურვილის წინააღმდეგ წახვიდეთ?“ დაიწყო გლავკოსმა.

თურმე ყველაფერი ზევსის ბრძანებით მომხდარა. ჰერაკლეს ჯერ ნება არ ჰქონია კოლხეთში წასვლისა. ჯერ იგი არგოსში უნდა დაბრუნებულიყო და ევრისტევსის ბრძანებით კიდევ ბევრი გმირობა შეესრულებინა. ამიტომ არგონაველებ-

მა ჰერაკლეს თავი უნდა დაანებონ. პოლიფემეს კი უწერია მიზიაში, მდინარე კიოსის შესართავში ქალაქი დაარსოს. რე კი ხალიბთა მიწა-წყალზე უნდა დაასრულოს სიცოხლე. რაც შეეხება ჰილასს, ის წყლის ნიმფამ მოიტაცა და მეუღლედ გაიხადა...

„ასე, არგონაველებო, იმ სამ გმირს თავი დაანებეთ და გზა განაგრძეთ კოლხეთისაკენ!“

ეს თქვა გლავკოსმა და ზღვის ტალღებში გაუჩინარდა. არგონაველები დამშვიდდნენ.

შეწუხებული ტელამონი იასონთან მიიჭრა, ხელი მოხვია და მოიბოდიშა.

„მაპატიე, იასონ, თუ ჩემი უგუნურებით ასეთი წყენა მოგაყენე. დაე, ქარმა წაიღოს ძველ მეგობართა უთანხმოება! დავივიწყოთ, იასონ, კატაქსიომენი!“

„კატაქსიომენ, დავივიწყოთ!“

„კატაქსიომენი!“

იყვირეს არგონაველებმა.

სიხარულმა გაუნათა სახე იასონს.

„ვიცი, მეგობარო, ჩვენი საერთო მეგობრის ბედმა აგაღლელვა და გაგარისხა. არ მწყინს, რადგან მწამს, მეც რომ ჰერაკლეს ბედი შემემთხვას, მაშინაც ასე თავს გამოიდებ ჩემი გულისთვის!“

თვითონაც სახეგაბადრული გადაეხვია ტელამონს.

კვლავ გახალისდნენ არგონაველები.

საამო ზეფიროსი მძლავრად აწვებოდა იალქნებს.

ორფევსის სიმთა ქლერაში მთელი დღე-ღამე დაუბრკოლებლად მიჰქროდა „არგო“.

ჩრდილო-აღმოსავლეთით ბითენიის ქვეყანა გამოჩნდა.

ხომალდი შესასვენებლად მიაცურეს ერთ ვრცელსა და წყნარ ყურეში.

პ რ ი ვ ი

არგონაველებმა არ იცოდნენ, რომ აქ ბებრიკების ძლიერი ტომი ცხოვრობდა.

ხოლო ქვეყანას განაგებდა ბებრიკთა მეფე ამიკოსი, რო-

მელიც პოსეიდონის და ნიმფა მელიას შვილად ითვლებოდა.

ამიკოსს სახელი გაეთქვა განუზომელი ძალ-ღონითა და რაგობით. მეფე თან უბადლო მოკრივე იყო. მას წესად ჰქონდა, თუ ვინმე უცხოელი მის სამფლობელოს მიადგებოდა, უკან ისე არ გაუშვებდა, თუ კრივში არ გამოიწვევდა.

ვინ იცის რამდენი დაუწვევია და დაუმიწვებია მის მიძიმე მუშტებს.

ახლაც, როცა არგონაველთა მოსვლა შეიტყო, რისხვით ანთებული მიეჭრა მეფე. უკან შავ წამოსასხამებში გახვეული ამაღა მოსდევდა.

ამიკოსმა საზარელი ხმით შესძახა უცხოელებს:

„მისმინეთ, ზღვის მაწანწალებო! ვინც ბებრიკთა მიწაზე ფეხის დადგმას გაბედავს, უკან ვეღარ წავა, სანამ მე კრივში არ შემებმება. აბა, ახლავე შეარჩიეთ თქვენს შორის უმამაცესი და გამოიყვანეთ! მალე, თორემ ნახავთ, რა გლოვა-ზარიც დაგატყდებათ თავს!“

რისხვით აღივსნენ არგონაველები. ყველაზე მეტად პოლიდეკე გააცოფა მეფის მუქარამ.

„ფეხი არ დასძრათ! მე მიმიშვით!“ შესძახა მან თავისიანებს და მაშინვე წინ გამოიჭრა.

ის მეფეს წინ აღემართა და ბრაზით ესროლა:

„გირჩევ, ხმა ჩაიკმინდო. ვერც ერთ ჩვენგანს ვერ შეაშინებ შენი ძალ-ღონით. არც ტრაბახია ვაჟაკის წესი. ნუ გეფიქრება, ჩვენ არ დავარდვევთ აქაურ წესს. აი, მე მზად ვარ. შევეცდები გასიამოვნო!.. აბა, დავიწყოთ!“

ესა თქვა პოლიდეკემ და მხრებიდან გადაიგდო ლამაზი, ნაზი წამოსასხამი, რომელიც მას ლემნოსელმა ქალმა უსახსოვრა გამოთხოვების ჟამს.

იმავე წუთს ბებრიკთა მეფემაც მოიძრო შავი წამოსასხამი და უზარმაზარ ხორკლებიან კომბალთან ერთად მიწაზე მიაგდო.

ქვიშით მოგებულ ფართო ველზე გავიდნენ.

თავ-თავისი ფალავნის მხარეზე ჩასხდნენ ბერძნები და ბებრიკები.

გულაძგერებულნი დაიძაბნენ შეტაკების მოლოდინში.

კარგია, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმუ-

ლი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ამშვენებენ, ერთუროს ვაჟ-
კაცურ სილამაზესა და ლაზათს ჰმატებენ. ასეთ დროს თბილისში
ბუნებაც ხარობს და ნატრობს ორივეს ერგოს გამარჯვება,
თანაბარი და შეურაცხვენილი.

მაგრამ ამიკოსი და პოლიდევეკე სრულებითაც არ შვენოდ-
ნენ ერთიმეორეს.

ამიკოსი ამაზრზენი იყო, პოლიდევეკე — საშიში.

ამიკოსი ნამდვილი ურჩხული იყო. ბანჯგვლიან ბუმბერაზს
დაბრანძული ტანი ჰქონდა, შავი კუნთებით დაგრეხილი გრძე-
ლი მკლავები, კუნძოვანი მუშტები, ბებერი კამეჩის ქედი,
მაიმუნის ცხვირ-პირი და აფთრის სისხლიანი თვალები.

მის წინ მშვენიერი ელინი ათლეტი იდგა: მალღად აწვარ-
თული სწორი ფეხებით, ვიწრო წელით, ფართოდ გაშლილი
მკერდითა და მხარ-ბეჭით, მამაცური თავ-კისერითა და ჭაბუ-
კური ცეცხლით ანთებული თვალებით.

იმ ურჩხულს ამ სიმშვენიერის ცქერა ცოფსა ჰგვრიდა; სა-
ომარ ცეცხლს უასკეცებდა.

ამიკოსს ზემოთ ორი ტუჩი უჩანდა: გარეთა — გამომხმარი
და ქერცლიანი, მეორე, შიგნითა — სველი და ლირწიანი.
ორივე ერთად ვერ უფარავდა წინ წამოვარდნილ შავ-წითელ
ღრძილებს და ყვითელ ღოჯებს.

პოლიდევეკემ ჯერ იფიქრა ეს ტუჩ-პირი უნდა ჩავუღწეო, მაგრამ როცა მზერა მოწინააღმდეგის საფეთქელზე გადაიტანა, აზრი შეიცვალა.

ამიკოსს საფეთქელზე მაჯის სიმსხო შავი ძარღვი ბრაზით
გასტენოდა და გამალებით უცემდა.

„ის ძარღვი უნდა გავუხეთქო!“ გაუელვა პოლიდევეკეს.

თან მკლავები რამდენჯერმე დასხლეტით დაიქნია; შეა-
მოწმა, ხომ არ დაექანცა ისინი ზღვასთან ბრძოლაში, ხოფის
განუწყვეტელ ქნევაში.

ბებრიკებს გამოეყო ლიკორევსი, მეფის ერთგული მსახუ-
რი, ისიც თავის მბრძანებელივით უცხვირპირო და უებრო
მოკრივე-ფალავანი.

ლიკორევსმა ხარის ტყავის წყვილი თასმა დაადგო მოწინა-
აღმდეგეთა შორის. ეს საკრივე თასმები იყო, რკინის მსხვილი
ბურთულებით მოჭედილი.

ამიკოსმა გესლიანი სიცილით უთხრა ბერძენს:

„წილის ყრის გარეშე ვითმობ თასმას, ამოირჩიე, რომელიც გსურს, მერე რომ ნაწყენი არ დარჩე. აბა, სწრაფად დაიხვე მეკლავზე და როცა ჩემი მუშტის ძალას გამოსცდი, თუ ცოცხალი გადამირჩი, სხვასაც უამბე, რა ოსტატობით შესძლებია მეფე ამიკოსს საკრივე თასმის ხმარება და შენისთანა ვაუკაცების დასისხლიანება!“

პოლიდევეკეს არაფერი უპასუხნია. მხოლოდ ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ის უყოყმანოდ დასწვდა მის წინ დაგდებულ თასმას.

მისცივიდნენ კასტორი და ტალაე. სასწრაფოდ შემოაკრეს თასმები მკლავებზე.

„შენ იცი, ძმაო!“ წყნარად უთხრა კასტორმა და გრძნობით ჩაჰხედა თვალეში. კასტორს ფერი დაჰკარგოდა.

„ნუ გეშინია!“ იმედით უპასუხა პოლიდევეკემ და მიძიმედ დაიძრა მოწინააღმდეგისაკენ.

ამასობაში ამიკოსსაც მისმა მსახურებმა, არეტემ და ორნიტემ შეუთასმეს ხელები.

მოწინააღმდეგენი დაეტაკნენ ერთიმეორეს.

გრიგალისაგან გატყორცნილი ზღვის ტალღასავით ეძგერა ბებრიკი.

გვერდზე გაუხტა პოლიდევეკე. უმიზნოდ გაიშხულია მძლავრად მოქნეულმა მეფის მუშტმა.

უმაღვე მოიქნია ბერძენმა მჯილი.

ამიკოსის ყბიდან ავარდნილი ლაწანი და ისარნაკრავი ნადირის ღმუილი ერთბაშად მიასკდა ზეცას.

ბებრიკმა ტკივილი ჩაყლაპა და ასკეცი ძალით წამოვიდა. ზგავივით მოდიოდა.

ქარბუქივით უსხლტებოდა პოლიდევეკე.

მეფე ცდილობდა ხელში მოეგდო მოპირდაპირე.

სახეში დამიზნებული მუშტი ისევ აიცდინა ბერძენმა. მაგრამ ის მუშტი გულისკოვზში მოხვდა.

თითქოს მთელს სხეულში ყველა ძარღვი ჩაწყდა. ყველაფერი შექანდა თვალსაწიერზე.

შეირყა, დაბარბაცდა.

უცებ გაუკვირდა, რომ მაინც ფეხზე იდგა.

რა საშინელი ძალა ჰქონია ამ მეფე-ურჩხულს!..

აღტაცებით ხორხოცობდნენ ბებრიკები. ენა ჩავარდნაში აშკარად აღმოჩნდა მათთვის.

უსაზღვრო რისხვამ შეჰკრა პოლიდევეს სხეული.

ალარ უცდია გასხლტომოდა კვლავ გრიგალად მოვარდნილ მეფეს.

ზავთიანად დაეძგერა.

საშინელი ხელჩართულით შეიბნენ პოლიდევე და ამიკოსი. საზარელი ლაწუნი გაჰქონდა ყბებს. კბილების ღრჭიალით და ღმუხილით უღეწავდნენ ერთმანეთს თავ-პირს, გულისფიცარს.

ხმას ველარ იღებდნენ.

არავინ იცოდა, რა დრო გავიდა ამ უღმერთო, შემზარავ ცემაში.

უზომო ცემით მუშტმა თანდათან დაჰკარგა ძალა.

ქანცგაწყვეტილი ფალავნები ფეხზე ველარ დგებოდნენ. ველარც ერთმანეთს შორდებოდნენ.

ერთხელ კიდევ დაეტაკნენ ერთიმეორეს.

მკლავის გამართვა ალარ შეეძლოთ.

ჩახვეულნი იდგნენ, ერთმანეთს აკავებდნენ და ჰეფესტოს საბერველებივით ქშინავდნენ.

მოწყდნენ, გაშორდნენ და ჩასხდნენ. ახალი ბრძოლისათვის იკრებდნენ დაწრეტილ ძალას.

ოფლს ძლივს იწმენდნენ და სისხლიანი თვალებით ჭამდნენ ერთმანეთს.

პოლიდევეს ნაცემ სახეზე ფერი წასვლოდა.

ამიკოსს დაეყვილ ცხვირ-პირზე სისხლი მოსწოლოდა. საფეთქელზე ძარღვი კიდევ უფრო გასქელებოდა და გამალე-ბით უხტოდა.

„ის ძარღვი უნდა გავუხეთქოო!“ კვლავ გაუელვა პოლიდევეს და ფეხზე წამოიჭრა.

მეფეც გაიმართა.

უფრო შემადრწუნებელი შეიქნა უკანასკნელი შებრძოლება. ორივემ იცოდა, რომ ერთ-ერთი მკვდარი უნდა დაცემულიყო.

გამხეცებით სცემდნენ ერთმანეთს.

უკუიქცნენ.

უკანასკნელ იერიშზე წამოვიდა ბებრიკი. ისეთი სისწრაფით მოქროდა მთაკაცი, რომ მხოლოდ ფეხის ცერებით ვერ ბოდა მიწას. უზარმაზარი მჭილი აღემართა. ეტყობოდა, მთელი თავისი ტარტაროზული ძალა იმ გადაგრულ მუშტში ჩაედულაბებინა.

„ის ძარღვი...“

ველარ მოასწრო პოლიდევეკემ ფიქრის დასრულება.

გვერდზე გადახტა.

სახეზე მოქნეული ურო-მუშტი ბეჭზე დაეცა.

და იმავე წამში პოლიდევეკემ ტიტანურ ძალით შემოჰკრა ამიკოსს შიგ საფეთქელში.

გულშემზარავი ღრიალი შუაზე გაუწყდა ბებრიკთა მეფეს.

საფეთქელჩალეწილმა მოხეტყილ კლდესავით მოიღო გრი-ალი და სულგავარდნილი დაზვავდა გამარჯვებული ბერძენის წინ.

იმავედროულად ორი საპირისპირო ძახილი შეეჭრა ზეცას: ბებრიკთა გლოვისა და ელინთა აღტაცებისა.

წამოიშალნენ განრისხებული ბებრიკები.

„მომყევით!“ დაიღრიალა ლიკორევსმა და კომბალაღმართული გაქანდა პოლიდევეკესაკენ.

წამსვე მახვილები იძრეს არგონაველებმა და შევარდნებივით მიეტივნენ იერიშზე წამოსულ ბებრიკთა ყორნისფერ გუნდებს.

კასტორმა ფარით აისხლიტა ლიკორევსის მოქნეული კომბალი, უმაღვე მახვილი გადაუქნია და თავგაპობილი დასცა ძირს.

ორმა ბებრიკმა ვაჟკაცმა მოასწრო დაღლილ პოლიდევეკესთან მივარდნა, იტიმონევსმა და მიმანტმა.

ძვირად დაუსვა ნაომარმა დიოსკურმა:

გამოქანებულ ბუმბერაზ იტიმონევსს მკერდში ატაკა წიხლი და ზმუილით დასცა ძირს გონწართმეული. მიმანტს თასმიანი მჭილი თვალზე ჩამოჰკრა და წარბიან-ქუთუთოიანად ჩამოაგლიჯა.

მოსწრო მეღეაგრემ და შუბზე წამოაგო თვალგაშიშვლებული მიმანტი.

წინ გამოიჭრა ღონით სახელდებული ორნიტე და მახვილი
შიგ ფერდში ატაკა არგოსელ გმირს ტალაეს.

ტალაე ბეწვზე გადარჩა: ვერცხლის სარტყელმა აისხლიტა
ბებრიკის მახვილი.

ელვასავით მოცვივდნენ ტალაეს ძმები, არეოსი და ლეო-
დიკე. მახვილებით აკუჭუნეს ორნიტე.

ბებრიკმა არეტემ კომბალი მხარში დასცა ევბეელ იფი-
ტეს. დაბარბაცდა ბერძენი გმირი, ძალა დაჰკარგა, ძლივს გა-
მართა შუბი საპასუხო დარტყმისათვის. არეტემ კომბალი
აუკრა, შუბი აიცდინა და ხელმეორედ აღმართა ხელი, მაგრამ
გაჩნდა იფიტეს ძმა კლიტიოსი. შემოუქნია კლიტიოსმა და
წამსვე კომბლიანი მარჯვენა გაადგებინა არეტეს. მოუწაცვლა
მახვილი და მკერდგანგმირული დასცა ბებრიკი.

ლომივით ტრიალებდა მტრის რაზმებში ანკევსი; აუცდენ-
ლად სცემდა უზარმაზარ სპილენძის ნაჯახს.

მოწინავეთ წინ ჩაუდგნენ იასონი, ტელამონი, პელევსი და
მელეაგრე. საბოლოოდ დაიფრინეს მტერი.

როგორც მგლები ცხვრის ფარას, ასე მიეტივნენ არგონავე-
ლები ბებრიკებს.

დამარცხებულებმა პირი იბრუნეს და თავისი ქვეყნის სილ-
რმეს მიაშურეს.

აქ უარესი ამბავი დახვდათ. მათი მეზობელი მარიანდინე-
ბი მეფე ლიკოსის მეთაურობით შემოჭრილიყვნენ აღმოსავ-
ლეთიდან და აოხრებდნენ ბითვინიის მიწებს.

ბებრიკებსა და მარიანდინებს გამუდმებული ომები ჰქონ-
დათ მათ საზღვრებზე რკინის მდიდარი საბადოებისათვის.

არგონაველებმა ბებრიკთა ფარეხები და ბოსლები აიკლეს.
უთვალავი საქონელი გაირეკეს ზღვის პირისაკენ. ბევრი დაკ-
ლეს და ნაომარზე ლხინი გამართეს.

მთელი ღამე ღრეობდნენ. დაფნის გვირგვინებით შეემკოთ
თავები. ორფევესი კითარას აქლერებდა. ტკბილად მღეროდნენ
საომარ ემბატერიას გამარჯვებით გალაღებულნი. ხოტბას
ასხამდნენ იმდღევანდელ გმირს — პოლიდეკეს.

მეორე დღეს „არგო“ ბოსფორის სრუტეს მიუახლოვდა.

შეძრწუნდნენ არგონაველები: მთისოდენა ზვირთები ეხეთ-
ქებოდნენ ზეცას. კუპრისფერი მშფოთვარე ზღვის კედლები
აღმართულიყვნენ თვალმიუწვდენელ სიმაღლეზე.

მიახლოება სცადეს.

გამაყრუებელი გრუხუნით დაქანდა ზღვა. ძლივს გამოას-
წრო „არგომ“. ბითინიის მოპირდაპირე ხმელეთისაკენ გაფ-
რინდა ხომალდი.

რა ძალა ჩამდგარა ამ ბოსფორის სრუტეში, რომელიც მას
გაუვალს ხდის ევქსინის პონტოსაკენ?

ამ ფიქრით მიადგნენ გმირები ხმელეთს, სადაც მათ ახალი
საოცრება ელოდათ.

აქ ცხოვრობდა ფინევსი, აგენორის ძე, განთქმული გულ-
თმისანი, წარსულში თრაკიის მეფე.

ფინევსმა გულთმისნობა აპოლონისაგან ისწავლა, მაგრამ
ბოროტად ისარგებლა ღვთაებისაგან მონიჭებული გულთამხი-
ლაობით: ის ზევსის განზრახვებსა და საიდუმლო გეგმებს
ამხელდა, ყველა შემხვედრ მოკვდავს აცნობებდა.

ფინევსს სხვა შეცოდებაც ჰქონდა: მეორე ცოლის შეგო-
ნებით მან თვალები დასთხარა ღვიძლ შვილებს, რომლებიც
პირველი მეუღლისაგან ჰყავდა.

ყველა ამ შეცოდებათა გამო განრისხებულმა აპოლონმა
სასტიკად დასაჯა ფინევსი.

ჯერ თვალთა სინათლე დაუბნელდა, მერე სამარადისო სი-
ბერე მოუვლინა. ესეც არ აკმარა: საპყრად ქცეული მეფე-
გულთმისანი ზღვის პირზე ვერანად დააგდო და მუდმივი
მტანჯველი შიმშილი მიუსაჯა.

როგორც კი ადგილობრივი მცხოვრებნი ბრმა მოხუცს საჭ-
მელს მოუტანდნენ, მაშინვე საიდანაც გაჩნდებოდნენ ჰარ-
პიები, საზიზღარი ფრთოსნები, არწივის ტანითა და ქალის სა-
ხით. ეს საშინელი გოგო-ჩიტები, რომლებიც აგრეთვე აპო-
ლონისაგან იყვნენ მიჩენილნი, ელვის უსწრაფეს დაიტა-
ცებდნენ ფინევსის საჭმელს, ხოლო დარჩენილ ნამუსრევს
ისეთი სიმყრალით მოაოხრებდნენ, რომ ჭამა კი არა, მასთან
მიახლოებაც შეუძლებელი იყო.

ასე იტანჯებოდა ცოდვილი მოხუცი შიმშილით დაოსტუ-
ლი. არც კვდებოდა, არც რჩებოდა.

ერთი იმედილა ბუტავდა ფინევის გულში. იცოდა ნეკ-
სის სურვილი: ოდესმე მოვლენ ღვთაებრივი გმირები, რომ-
ლებიც იხსნიან მას წამებისაგან. ფინევისმა ისიც იცოდა, რომ
ეს გმირები კოლხეთში მიმავალი არგონაველები იქნებიან, მათ
შორის ბორეასის ფრთოსანი შვილები, რომლებიც პარპიები-
საგან გადაარჩენენ მოხუცს...

ფინევისმა იგრძნო, მის საპყრობილეს მძიმე ნაბიჯით უახ-
ლოვდებიან მისი მხსნელები.

კარი შეადეს არგონაველებმა და იქვე გაქვავდნენ.

ფრინველთა მყრალი ნაოხარით აქოთებული საწოლიდან
წამოდგა სიცოცხლეგაცლილი აჩრდილი, თვალდაშრეტილი,
გაწეწილი ბალნით მოსილი, ჭუჭყით გაზინთული, სიბერით,
შიმშილით და წვირით მიხრწნილი მოხუცი.

ძვალტყავა, ჭუჭყით დახორკლილი ხელით ძლივს მოძებნა
ჯოხი; ცახცახით დაეყრდნო და ძლივს დადგა წვირით ჩაღე-
კილ, უღონო ფეხებზე.

კედელ-კედელ მოფათურობდა და კარებისაკენ მოხანხა-
ლებდა. სტუმრების ფეხებთან მიბოროძკდა და გონწართმე-
ული ჩაიკეცა.

ძლივს მოაბრუნეს და ენა ამოადგმევინეს.

„მისმინეთ, კეთილშობილხო ვაჟკაცნო! ვიცი ვინცა ხართ:
კოლხეთისაკენ მიეშურებით ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვდგავარ, მაგრამ კიდევ შემ-
წევს მისნობის უნარი. მე კიდევ ძალმიძს სასარგებლო რჩევა-
მოგცეთ... ოღონდ მისხენით... ჯერ მოგითხრობთ, ვინ ვარ, ვინ
ვიყავი, ან ამ დღეში როგორ ჩავვარდი!“

და ყველაფერი უამბო მათ ფინევისმა, რაც თავს გადახდო-
მოდა, ან ახლა რა სივარულაში ჩავარდნილიყო.

არგონაველები სიბრალულით აღივსნენ. ყველაზე მეტად
ბორეასის შვილები შეძრწუნდნენ.

ცრემლმორეულმა ძეტემ დავრდომილს ხელი შეავლო და
უთხრა:

„მოკვდავთა შორის ასე რიგად ვინ დატანჯულა, საბრალო
ფინევის! მე და ჩემი ძმა კალაისი გადაგარჩენთ საშინელი ჰარ-

პიეზისაგან, მაგრამ ვშიშობთ, ვითუ ზევსი გაგვირისხდეს!“

ფინევსმა დაშრეტული თვალის ბუდეები მიაპყრო ძეტეს და შეჰლაღაღა:

„ვფიცავ აპოლონს, ვინც მიბოძა მისნობის ნიჭი; ვფიცავ ჩემს ბედკრულ ხვედრს; ვფიცავ ყველა ღმერთს ზეცისას და ქვესკნელისას, ზევსი არ დაგსჯით ჩემი დახსნისათვის! დაე, სიკვდილის შემდეგაც მდევნიდეს აპოლონი, თუკი ვტყუოდე!“

არგონაველებმა ფინევსის ფიცი იწამეს. ძეტემ და კალაისმა დახმარება აღუთქვეს.

გმირებმა დამშეულ მოხუცს გულუხვი სუფრა გაუშალეს.

ფინევსმა ლუკმის აღებაც ვერ მოასწრო, რომ ფრთების შხელითა და ამაზრზენი ჟივილით მოცვივდნენ ჰარპიები და მიესივნენ სუფრას. საკვირველი სისწრაფით სანსლავდნენ ყველაფერს. სულ პირველად კი ფინევსს სტაცებდნენ პირიდან ლუკმას.

არგონაველებმა განგაში ატეხეს, მაგრამ გოგო-ჩიტებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს მათი ყვირილი. მთელი სუფრა გადაყლაპეს, მის ადგილზე სულის შემხუთველი სიმყარაღე დასტოვეს და ჰაერში აფრინდნენ.

მაშინ ძეტემ და კალაისმა თვალის დახამხამებაში მახვილები იშიშვლეს და ჰაერში ისარივით შეჰკრეს კამარა.

მიჰქროდნენ ბორეასის ფრთოსანი ვაჟები. ჰარპიებს წამოეწივნენ. ჰელიოსის შუქზე ელავდნენ მათი მახვილები.

სულ ახლოს მიფრინდნენ, მახვილები აღმართეს, ცოტა კიდევ და დაჰკაფავდნენ აბეზარ ფრინველთ. საშინელი წივილი გააბეს განწირულმა გოგო-ჩიტებმა.

ამ დროს ზეციდან ზევსის მოციქულის ირისის ბრძანება ჩამოესმათ ძეტეს და კალაისს:

„ბორეასის მამაცო ვაჟიშვილებო, ნება არა გაქვთ დახოცოთ ზევსისაგან დაგეშილი ფრინველები. თავი ანებეთ და სიტყვას გაძლევთ, ამიერიდან აღარ შეაწუხებენ ისინი ფინევსს!“

ძეტე და კალაისი უკანვე გამობრუნდნენ და ფინევსს აცნობეს მისი გათავისუფლების ამბავი.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ფინევსმა სიხარულის ცრემლები აწვიმა ცარიელი თვალის
უბეებიდან.

გმირებმა მოხუცი დაბანეს, გახეხეს, გაასუფთავეს და
ლი მდიდრული სუფრის გაშლას შეუდგნენ. ამიკოსის ფარე-
ხიდან გამორეკილი მსუქანი ცხვრები დაკლეს. საუკეთესო
ხორცის ნაჭრები ბრმა გულთმისანს დაულაგეს.

ფინევსს თავი სიზმარში ეგონა. ის საკმელს ჭამდა! არავინ
აღარ წაართმევდა ლუკმას!

ველარ წარმოედგინა, თუ ოდესმე გაძლებოდა! უძირო კას-
რად ქცეულიყო! ჭამდა, ჭამდა, ჭამდა!

გმირები გაოცებული შესცქეროდნენ, თან მოუთმენლად
ელოდნენ, როდის შენაყრდებოდა ფინევსი. იმედი ჰქონდათ,
რამეს იტყოდა, უმისნებდა მათი ლაშქრობის უმძიმეს გზათ
შესახებ.

ფინევსმა კარგა ხნის შემდეგ როგორც იქნა სული მოითქ-
ვა და დაიწყო:

„ყური დამიგდეთ, ჩემო მხსნელებო, ღვთაებრივო ელინნო
გმირნო! ყველაფრის თქმის ნება არა მაქვს — აკი მაგისტვის
დამსაჯა ღმერთმა! მაგრამ ბევრ რამეს საჭიროს გეტყვით,
ურომლისოდაც ვერ შესძლებთ კოლხეთისაკენ სახიფათო
გზების დაძლევას“.

არგონაველები სმენად გადაიქცნენ.

ფინევსმა ერთი უხარმაზარი ლუკმა კიდევ ჩაყლაპა და გა-
ნაგრძო. აი, რა უამბო მან:

როცა გმირები აქედან წავლენ, ბოსფორის სრუტეს მიად-
გებიან. ორივე მხარეს ცადაბჯენილ კლდეებს შენიშნავენ. ჯერ
ამ კლდეთა შორის მოკვდავთაგან არც ერთი სულიერი არ გა-
სულა, რადგან კლდეები საოცარი სისწრაფით ეჭახებიან ერთ-
მანეთს, მერე კვლავ შორდებიან, ისევ და ისევ ეჭახებიან. ასე
ფრინავენ ეს კლდეები, რადგან ძირი არაფერზე უდგათ...
კლდეთა ჯახისაგან ზღვა ბობოქარ ზვირთებს ანთხევს ზეცი-
საკენ. ყურთასმენა აღარ არის კლდეთა და ზღვათა შეხეტქე-
ბისაგან.

„ეს ჩვენც ვიხილეთ. შენ ის გვითხარი, როგორ გავიდეთ!“
შეაწყვეტინა იასონმა.

მოხუცმა მისანმა დაუღეპავად შთანთქა ცხვის ღუმა და
განაგრძო:

წინასწარ მტრედი უნდა გაუშვან კლდეთა შორის. თუ ის
მოასწრებს შიგ გაფრენას, მაშინ გმირებმაც სწრაფად უნდა
მოუსვან ნიჩბებს და გაასწრებენ კლდეთა დაჯახებას, ხოლო
თუ მტრედი მათ შორის გაისრისა, არ უნდა გაბედონ სრუტე-
ში შესვლა, თორემ აღარც მათ ასცდებათ მფრინავ კლდეთა
შორის გასრესა.

„მაშ, უკან უნდა გამოებრუნდეთ?“ ერთხმად შეჰყვირეს
გმირებმა.

„უნდა დაბრუნდეთ, — ბეჯითად თქვა მოხუცმა, — რადგან
მაშინ ღმერთების სურვილი ყოფილა თქვენი უკან გამოებრუ-
ნება“.

ვაჟკაცები მწარედ ჩაფიქრდნენ.

ფინევსი ისევ ალაპარაკდა.

თუკი არგონაველები ღმერთების ნებით სრუტეში გასვლას
მოახერხებენ, ისინი აღმოჩნდებიან ეგქსინის პონტოს თვალ-
უწვდენელ სივრცეში. მაგრამ მუდამ მარჯვნივ უნდა იარონ,
ზღვის მარჯვენა პირს არ უნდა დაშორდნენ, დაასრულებენ
ბითონიის სანაპიროებს და მიადგებიან მარიანდინების მხა-
რეს, გაივლიან პაფლაგონიას, თემისკირას, მდინარე ირისისა
და თერმოდონტის შესართავეებს, ამაზონთა და ხალიბთა მი-
წებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, არესის კუნძულს, ფილირებს,
მაკრონებს, ბეხირებს, საპირებს, ბიძირებს და ბოლოს გამოჩ-
ნდება დიდებული კოლხეთი! აქ მათ ელოდება ბრწყინვალე
ქალაქი „კუტაია“, ამარანთადან მომდინარე ფასის მდინარე,
არესის ველზე, მუხის წვერზე სანუტკველი ოქროს საწმისი,
რომელსაც დარაჯობს საზარელი დრაკონი, მუდამ ფხიზელი
და ცეცხლისმფრქვეველი!

ფინევსი დადუმდა.

დამუნჯებული მიშტერებოდნენ გმირები. რამდენი ტანჯვა-
ვაება ელით კიდევ მათ!

ფინევსმა ბევრი ძვირფასი ცნობა მისცა. მაგრამ ეს ხომ
ყველაფერი არ იყო. ამიტომ არგონაველებმა სცადეს გამოკი-
თხვა დაეწყოთ მოხუცისათვის.

იასონი ეკითხებოდა, უკან როგორღა გამოალწევდნენ

მფრინავ კლდეებში? ან როგორ მივიდოდნენ, ლხინით თუ ქირით ზღაპრულ კოლხეთში? ან ოქროს საწმისს რა გზით დაიჭირებდა ხერხით წამოიღებდნენ საშიშარი აიეტისაგან?

ფინევსმა დაწვრილებით პასუხისაგან თავი შორს დაიჭირა. მეტის თქმის უფლება არა მაქვსო, გაიძახოდა. ბოლოს როგორც იქნა ეს თქვა, რომ უკან წამოსვლისას რომელიმე მფარველი ღმერთი დაიცავს არგონაველებს, ხოლო კოლხეთში დახმარებისათვის უნდა მიმართონ სიყვარულის და სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს.

გმირები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეტი ვერაფერი ათქმევინეს.

ის ღამე არგონაველებმა ფინევსთან გაატარეს. დილით ოლიმპიელებს მსხვერპლი შესწირეს, ფინევსს მადლობა გადაუხადეს, სამაგიერო მადლობაც მიიღეს, დაემშვიდობნენ და „არგო“ აუშვეს.

ფინევსის რჩევით მტრედი აიყვანეს. დამფრთხალი ფრინველი ევფემეს ჩააბარეს, ლაკონიელ გმირს, რომელსაც საოცარი სისწრაფის მეოხებით შეეძლო ზღვის ტალღებზე ისე ერბინა, რომ მხოლოდ ფეხის ტერფები თუ დაუსველდებოდა.

მ ფ რ ი ნ ა ვ ი კ ლ დ ე ე ბ ი

„არგო“ კვლავ მიუახლოვდა ბოსფორის სრუტეს.

სმენისწამლებად ღმუოდა და წიოდა კლდეთა შორის გველემშაპივით გაკლაკნილი სრუტე.

ხოლო კლდეები ორივე მხრიდან გრუხუხუნ-გრიალით მოფრინავდნენ ერთმანეთზე დასაჯახებლად, კვლავ უკან მიჰქროდნენ და ახალი ძალით ცოფმორეული მოჯირითობდნენ შესახეთქებლად.

გმირები ძლივს იჭერდნენ ტალღათა ლაგამახსნილი ჭენებისაგან აფრენილ ხომალდს.

იასონმა ევფემეს ანიშნა.

ევფემე წამოდგა და გემის კიჩოზე შედგა. ძლივს გაიმართა აცეკვებულ ხომალდზე ლაკონიელი გმირი.

გაემზადა, მარჯვენა ხელი აღმართა; მასზე მტრედი უფართქალებდა.

მაშინვე ტიფისის ბრძანებით გმირებმა საკვირველი სისწრაფით მოუსვეს ხოფები. ეს მაშინ, როცა დაჯახებულ კლდეები უკან გაქანდნენ და სრუტე მცირე ხნით გაიხსნა.

მეორედ ანიშნა იასონმა და ევფემემ მარჯვენა ხელით გასტყორცნა მტრედი სრუტისაკენ.

ყველას მზერა ელვასავით მიმქროლავ ფრინველს მილურსმოდა.

უკანვე მოჰქროდნენ კლდეები, თითქოს უფრო აჩქარებულნი, პატარა ჩიტის თავხედობით გაგულისებულნი.

გაასწრებს თუ ვერა?!

არგონაველთა თვალს უზარმაზარი ზვირთი აეკრა. წამით აღარაფერი ჩანდა. ხოლო როცა ზვირთი ჩაწყდა და ჩაიმსხვრა, მათ შეხედეს, კლდეები უკვე დასჯახებოდნენ ერთიმეორეს!

მაგრამ მტრედი?!

ის იყო გლოვის ზარს უნდა ექუხა „არგოზე“, რომ შორს, ბოსფორის მიღმა, თვალბასრმა ლინკევსმა შენიშნა მტრედი! „გავიდა!!!“ დაიღრიალა მან.

მალე ყველა ხედავდა ეთერში მოსრიალე ფრინველს.

მხოლოდ ბოლო აღარ ჰქონდა მტრედს. კუდის წაგლეჯა მოესწროთ დაძვრებულ კლდეებს.

კვლავ დაიწყეს განშორება მორკენალმა კლდეებმა.

იმავე წამს არგონაველებმა ელვასავით შეაფრინეს „არგო“ სრუტეში.

ჯოჯოხეთურად ამხედრებული სტიქიონი დუღდა ბოსფორში. საზარლად ატორტმანებული, ზეცისაკენ გიჟური ლტოლვით აზვავებული ზვირთები ერთმანეთს ღრიალით ეხეთქებოდნენ და ემსხვრეოდნენ.

ჰაერი ზანზარებდა ზღვის თავაწყვეტილი იერიშებისაგან. სიცოფით დუჟმორეული ტალღები ნაფოტივით მიაფრენდნენ ხომალდს.

ერთი წამით შედგნენ კლდეები. თითქოს გაოცდნენ მოკვდავთა ასეთ თავგანწირულ შემართებაზე.

და უმაღლვე წინანდელზე უსწრაფესად წამოვიდნენ ერთმანეთზე შესახეთქებლად.

„არგო“ კი შუაზედაც არ იყო მისული.

ვაკაცები არ ანელებდნენ ნიჩბების ქნევას, მაგრამ
გრძნობდნენ, უკვე შიში უჩრყოლებდათ გაუდრეკ კუნთებს,
მოგელავდნენ კლდეები.

თავგანწირვით აწვებოდნენ არგონაველები ჯოჯოხეთურ
სტიქიონს.

ერთ ზეცადამწვდომ ზვირთად ავარდა ვიწრო სრუტეში
მომწყვდეული ზღვა.

„არგოს“ ჩასანთქავად გადმოეშვა ცადაწვდენილი,
შიშმა შეუტრა ხელები გმირებს.

ტიფისმა, მამაცმა მესაქემ, ძლივს დასხლიტა გემი და-
ლუპვას.

მაგრამ ვინ გაექცევა მორკენალი მთების ძგერებას
აჰა, მოვიდნენ!

მიმორბოდა გმირი ევფემე და სასომიხდილი ხმით დასჭყი-
ოდა:

„დააწეკით! უფრო მაგრად დააწეკით, თორემ ვილუპებით!“
ამაოდ ებრძოდნენ ჯოჯოხეთს. მშვილდებივითი იდრიკე-
ბოდნენ ხოფები გაუჭრელ ტალღებთან ჭიდილში.

„უფრო მაგრად-მეთქი!.. ვილუპებით!!!“ უკანასკნელად და-
იღრიალა ევფემემ.

მოვარდნენ კლდეები გრუხუნ-ხრიალით!

„ვილუპებით!!!“

ერთი,

ორი,

სამი...

„ღმერთებო, ოლიმპიელნო!!!“

წამიერი სასწაული!.. და მარცხენა კლდე შეეყოვნდა!
იმავე წამს არგონაველებმა განუზომელი ძალის დაკვრა
იგრძნეს. ეს კლდე არ იყო. ამ ძალამ ისინი თავის ხომალდი-
ანად გასტყორცნა ბოსფორიდან.

მიმოიხედეს. მათ წინ, ირგვლივ, ყოველი მხრისაკენ, უსა-
ზკერო ზღვა ელვარებდა, წყნარი, ლურჯი და კამკამა.

„პონტოს ევქსინოს!“ ალტაცებით აღმოხდათ გმირებს.

თვალი მოავლეს ხომალდს. მფრინავ კლდეებს კუდი ოდ-
ნავ წაემსხვრიათ მისთვის, ისე როგორც მტრედს წარკვეთეს
კუდი.

„რამ გვიხსნა, რამ?!“

წინ წამოდგა მესაჭე ტიფისი.

„ჩვენ ქალღმერთმა ათენამ გადაგვარჩინა უეჭველი და-
ლუბვისაგან!“

„ათენამ?!“

„ჩემის თვალით დავინახე, როგორ ჩამოეშვა ზეციდან,
მარცხენა ხელით შეაჩერა მარცხენა კლდე და მარჯვენათი გა-
მოსტყორცნა ჩვენი ხომალდი!“

ტიფისმა ძლივს დაასრულა, რომ ლინკეცმა იყვირა:

„შეხედეთ!“

უცებ შემობრუნდნენ ზურგისაკენ. გოცების შეძახილი
აღმოხდა ყველას:

მფრინავი კლდეები ადგილიდან აღარ იძროდნენ. ისინი
პირქუშად გასცქეროდნენ ერთმანეთს სრუტის ორივე მხრი-
დან.

ბოსფორის სრუტე სრულიად დამშვიდებული სთვლემდა,
განუწყვეტელი სრბოლისაგან ქანცმიღებული.

ახლა მისანი იღმონი ამეტყველდა:

„გამიგონია, ნეტარ ღმერთებს გადაუწყვეტიათ, ბოსფო-
რის კლდეთა ურთიერთ ლტოლვა მაშინ შეწყდება, როცა მათ
შორის პირველად გაივლიან ადამიანნი! მაშ, აღსრულდა
ღმერთთა სურვილი!“

იღმონის ნათქვამს მისნები მოჰსე და ტიფისიც დაე-
მოწმნენ.

იასონმა აღტაცები შესძახა:

„მაშ ადამიანთაგან ჩვენ ვართ პირველნი, ვინც ამ კლდეთა
შორის გაიარეს და ღმერთთა ნებით ამ კლდეებმა ფესვი გა-
იდგეს, ერთ ადგილას მკვიდრად დამყარდნენ და ამიერიდან
ბოსფორის სრუტე სანაოსნოდ გადააქციეს!“

გაღარჩენას ულოცავდნენ ერთმანეთს, ეხვეოდნენ და
ჰკოცნიდნენ.

მერე ნაპირზე გადავიდნენ და მათ მხსნელ ათენას მსხვერ-
პლი შესწირეს.

დიდხანს იდგნენ ზეცისაკენ ხელაპყრობილი არგონავლე-
ბი და ცრემლების ღაბაღუბით მადლობას უთვლიდნენ ზევსის
ასულს, ქალწულ ათენას, მეომართა და ვაჟაკთა მფარველ
ქალღმერთს.



რამდენიმე დღის განმავლობაში შეუფერხებლად განაგრძობდნენ გზას აღმოსავლეთისაკენ.

ბევრი საინტერესო ქვეყანა ინახულებს ექსპიანის პონტოს სამხრეთ სანაპიროზე.

მეშვიდე დღეს „არგო“ მიაღდა მარიანდინების მიწა-წყალს, აქ მეფობდა ბებრიკების მოსისხლე მტერი მეფე ლიკოსი.

ლიკოსი დიდი სიხარულითა და სტუმართმოყვარეობით შეხვდა ბერძნებს. მარიანდინებს გაგებულნი ჰქონდათ, რომ ბებრიკთა თავხედი მბრძანებელი ამიკოსი სწორედ ამ გმირებმა მოინელეს.

მარიანდინები და არგონაველები მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს.

ბერძნებს კიზიკოსი და მისი დოლიონები მოაგონდათ. ამიტომ მეტის თავაზით ეპყრობოდნენ გულთბილ მასპინძლებს; ფრთხილობდნენ, კიდევ რაიმე უნებლიე ხიფათი არ შეგვემთხვას მეგობრებთანო.

იასონმა ლიკოსს დაწვრილებით უამბო ლაშქრობის მიზანი და ყველაფერი, რაც აქ მოსვლამდე თავს გადახდენოდათ.

მეფე გატაცებული უსმენდა სტუმარს, მაგრამ ძალიან ეწყინა ჰერაკლეს გადაკარგვის ამბავი. მან სტუმრებს უთხრა, რომ ძალიან დასანანი და საშიშია ჰერაკლეს გარეშე მრისხანე და უძლეველი აიეტის ქვეყანაში მისვლა. მაგრამ როცა მან ყველა ელინის სახეზე გულუშიშრობა და სულთუტეხელობა ამოიკითხა, კოლხეთზე ლაპარაკს თავი დაანება და კვლავ ჰერაკლეს ამბავს დაუბრუნდა.

ლიკოსი მოწამე ყოფილა დიადი ბერძენი გმირის მეცხრე გმირობისა, რომელიც მან აზიაში ჩაიღინა. ეს იყო ამბავი მეომარ ქალთა, ამაზონების დედოფლის, ჰიპოლიტეს სარტყელის მოპოვებისა.

ლიკოსი ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკი ყოფილა, როცა ჰერაკლე თემისკირაში — ამაზონთა სატახტო ქალაქში ჩამოსულა. თურმე ევრისტევსმა უბრძანა ჰერაკლეს, ჰიპოლიტეს სარტყელი მოერთმია მისი ასულისათვის, ადმეტასთვის. ეს სარტყელი ამაზონთა დედოფალს ომის ღმერთის არესისაგან



ჰქონდა ნაჩუქარი. ჰიპოლიტე მზად იყო უსისხლოდ დაეთმო ქამარი ჰერაკლესათვის, მაგრამ ზევსის „ცოდვის შვილმა“ გადაკიდებულმა ჰერამ ამაზონებს შთააგონა, ბერძენი გმირი და მისი მხლებლები მათი დედოფლის მოსატაცებლად მოსულანო. შუალამისას ჰერაკლეს ბანაკს თავს დაესხა მეომარ ქალთა ლაშქარი. სასტიკი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ჰერაკლეს პირველი ეკვეთა „გრიგალად“ წოდებული ამორძალი აელა. გმირმა მალე მოიგერია და უკუაქცია ის. აელამ სცადა გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ ვერ იხსნა ქარისებრმა სისწრაფემ. ჰერაკლე წამოეწია და მახვილით შუა გასჩეხა ბრძოლით აღმოდებული მისი მშვენიერი სხეული. სანამ ზევსის ძე მობრუნდებოდა, მეორე ამაზონს პროტოიას შვიდი ბერძენი გმირი განუგმირავს შუბით. ეს მეომარი ქალი ჰერაკლეს ისარმა დასცა მიწაზე. უცებ შვიდი ამორძალი დაესხა თავს ერთად ჰერაკლეს. ისინი მონადირე ქალღმერთის არტემიდეს მეგობრები ყოფილან. შვიდივე შუბი ფარით აისხლიტა გმირმა, კომბალი აიტაცა და დაერია შემდრკალ ამაზონებს. შვიდივე ამორძალი ემსხვერპლა ჰერაკლეს კომბალს. ამაზონთა ლაშქარი დამარცხებული და დაფანტული გაშორდა ბრძოლის ველს. ჰერაკლეს ტყვედ ჩაუვარდა ლაშქრის მეთაური მამაცი მელანიპე და მშვენიერი ანტიოპე. დედოფალმა ჰიპოლიტემ დაზავება ითხოვა. ჰერაკლემ მისგან არესის ნაჩუქარი სარტყელი მიიღო, სამაგიეროდ მელანიპე გაათავისუფლა, ხოლო ანტიოპე ჰერაკლემ მის მაშინდელ თანამგზავრსა და თანამებრძოლს, დიდ ათენელ გმირს თესევსს აჩუქა. მერე ჰერაკლე მარიანდინებს ეწვია, მათი მოსისხლე ბებრიკები და მიზეღელები დაამარცხა, მიზეღელთა უდიდეს მოკრივეს ტიტის მუშტით კბილები ჩააყრევინა და ყველა მახლობელი ხალხები მარიანდინების მეფეს დაუმორჩილა.

არგონაველები დიდის ყურადღებით და ინტერესით უსმენდნენ მეფე ლიკოსს, რომელმაც ასე დაასრულა:

„ჰერაკლეს წასვლის შემდეგ გაგვითავხედდნენ ბებრიკები, მაგრამ მადლობა ღმერთებს, რომ თქვენი თავი მოგვივლინეს!“

ლიკოსი პოლიდევეკს მოეხვია და მადლობა გადაუხადა ბებრიკთა მეფის მოკვლისათვის. ორივე ძმას, კასტორს და

პოლიდევეკენ აღუთქვა, რომ აქერუსის მაღალ კონცხზე მათი სახელობის ტაძარს აღმართავდა.

„დაე, ზღვიდან ყველა ჰხედავდეს, მტერიც, მოყვარეც, როგორ იელვებს აქერუსზე დიოსკურთა დიდებული ტაძარი!“
ლამე ლხინში გაათენეს.

დილით საჩუქრებით დატვირთული ბერძნები ხომალდისაკენ გაეშურნენ.

მეფემ მეგზურად არგონაველებს გაატანა თავისი ვაჟი დასკილე.

ზღვისკენ მიდიოდნენ უზრუნველნი და სიამით დამთვრალნი. ლერწმის შამბნარი უნდა გადაეჭრათ.

წინ იასონი და დასკილე მიდიოდნენ, უკან გულთმისანი იდმონი მოაბიჯებდა.

უეცრად შამბებში რაღაცამ გაიშლიგინა. იდმონმა უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ უზარმაზარი ველური ტახი გამოვარდა და ზედ დაახტა მას.

მარცხენა თეძო და ფერდი სულ დაუფლითა ნადირმა ეშვით. იდმონმა ერთი შეჰყვირა და უგრძობლად დავარდა ძირს.

შემოტრიალდნენ არგონაველები.

იდმონის სხეულს გადმოველო კამეჩისტოლა ტახი და ცოფიანი როხროხით გაექანა ყველაზე ახლომდგარ პელევსისაკენ..

შუბი გამართა პელევსმა და მთელის ძალით აძგერა მკერდში.

დაიდრიალა დაჭრილმა ნადირმა. გააფთრებით შეჰკრა კამარა.

ყველას მოასწრო იდასმა. ხელმეორედ დაატაკა მკერდში შუბი.

ნადირი სასიკვდილოდ დაკოდილი დაენარცხა მიწას.

ტელამონმა და ანკევსმა იდმონი აიტაცეს და ხომალდისაკენ გააქანეს. დანარჩენები ენაჩავარდნილები მისდევდნენ უკან. ყველას უნდოდა შენაცვლებოდა ანკევსს და ტელამონს; უნდოდათ ფრთები გამოესხათ და ხომალდამდე მალე მიეღწიათ.

მაგრამ გზაში, მეგობრების ხელებზე განუტევა სული კეთილშობილმა გმირმა.

სამი დღით გადაიდო გამგზავრება.

არგონაველები მეგობრის დაკრძალვაზე ზრუნავდნენ. გლოვობდნენ და გოდებდნენ.

გლოვა სამ დღეს გაგრძელდა. მეოთხე დღეს იდმონის ცხედარი მიწაში ჩაასვენეს.

დაკრძალვას მეფე ლიკოსიც ესწრებოდა მარიანდინთა მრავალრიცხოვანი ამალით. ყველა გულწრფელად დასტიროდა ასე უეცრად დაღუპულ ვაჟაკს, სტუმრებიც, მასპინძლებიც.

ყველაზე მეტად იდასი დაემწუხრებინა იდმონის სიკვდილს. გული სტკიოდა მესენიელ გმირს, რომ მან, ღვინით დამთვრალმა, ელადიდან გამომგზავრების წინ აწყენინა იდმონს.

საფლავზე მრავალი ცხვარი დაკლეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. მერე მაღალი ტაგრუცი აღმართეს და ზედ ზეთისხილის ხე დარგეს.

თავჩაქინდრული ბრუნდებოდნენ. დამღურებულებივით მიდიოდნენ.

ის შამბნარიც გაიარეს, სადაც იდმონი დაედუპათ.

უცებ ტიფისი შედგა.

„ძმებო!..“ ძლივს ამოიხრიალა.

მოიხედეს. ტიფისს მკვდრის ფერი ელო.

მისცვივდნენ. ტელამონის ხელებზე დაეცა მესაჭე. ასწია ტელამონმა.

„საჭირო აღარ არის... მშვიდობით, ძმებო!..“

ტიფისი მკვდარი იყო.

ვერ გაეგოთ, რამ მოჰკლა ერთგული მესაჭე! მზემ დაჰკრა? უემურმა მოშალა? მძიმე ლაშქრობამ გამოჰფიტა?..

...გაოგნებული არგონაველები მეოთხე დღეს ძვირფასი მეგობრისა და მესაჭის ცხედარს მიასვენებდნენ.

ორი ანკევსი და ორი იფიკლე ედგა თავთან და ფეხთით ტიფისის კუბოს.

ტიფისი იდმონის გვერდით დაკრძალეს.

ორი ტაგრუცი დატოვეს არგონაველებმა, ორი ზეთისხილის მცენარე.

მათ ქვეშ მყუდროდ და უდრტვინველად ეძინა ორ არგონაველს, იდმონს და ტიფისს...

...დიდხანს ისხდნენ მგლოვიარე არგონაველები ზღვის პირზე თავჩაქინდრულნი, გულხელდაკრეფილნი, მღუმარენი, შავ საბურველებში გახვეულნი. არც ჭამა ახსოვდათ, არც სმა, არც კოლხეთის ლაშქრობა! ხუთი გმირი დაჰკარგეს — სამი უგზოუკვლოდ გაებნათ, ორი მოუკვდათ! კიდევ ვის რა მოელის, როცა ლაშქრობის უმთავრესი სიმძიმენი წინ ელით?! არა, არა, ცოცხალი ველარ დაბრუნდებიან ელადაში.

სასოწარკვეთა დაუფლებოდა არგონაველებს.

ერთ დღეს, საღამო ხანს, როცა გმირები ზღვის პირზე ჩვეულებრივი მღუმარებით ეყარნენ, ერთი მათგანი წამოდგა და ხომალდზე ავიდა. ეს იყო კუნძულ სამოსის მეფე ანკევსი, პოსეიდონის ძე, საზღვაო საქმის დიდოსტატი. ის კარგა ხანს ბოლოსა სცემდა, რაღაცას ფიქრობდა, თავის თავს ეჩურჩულებოდა. მერე ხომალდიდან დაეშვა და გმირთა ცალ-ცალკე დათვალიერებას შეუდგა. ჯერ თავის ძმასთან მივიდა, მიღეტელ გმირ ერგინესთან, მაგრამ როცა მის სასოწარკვეთილებით მოშლილ სახეს დაჰხედა, ხელი ჩაიქნია. მერე იასონთან მივიდა, შემდეგ დიოსკურებთან, იდასთან, ლინკევსთან... თითქმის ყველას ჩამოუარა, მაგრამ ვერც ერთის სახეზე მხნეობის ნატამალიც ვერ ამოიკითხა.

ბოლოს მან თვალი მოჰკრა მოშორებით მჯდარ პელევსს, რომელიც რაღაც უჯიათი, სასტიკი მზერით უცქერდა ზღვის ჰორიზონტზე გადაკრულ შორეთს.

ანკევსი პელევსთან მივიდა და მის გვერდით ჩაჯდა.

„პელევს!“

პელევსმა თავი მოაბრუნა და თვალი დააშტერა მოსულს. ანკევსმა დაიწყო:

„განა ლამაზია, ეაკის ძევ, დავივიწყოთ მოვალეობა, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს მწუხარება?!“

„რას ფიქრობ, ანკევს?“

„რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ასე უქმად ამ უცხო ქვეყანაში?“

„ალარ გვეავს ტიფისი, ბრწყინვალე მესაჰე!“

„განა უბედური ტიფისის გარდა ვერავინ შესძლებს ხელი მოჰკიდოს ხომალდის საკუეს?“

„მაინც ვის ფიქრობ, ანკევს?“

ანკევსი წუთით ჩაფიქრდა, ყოყმანი დასძლია და მტკიცედ თქვა:

„აი, თუნდაც მე!“

„შენ?!“

„მე საომარ საქმეებში არა ვარ ისე გამოცდილი, როგორც მესაჭეობაში. ეს საქმე ჩემი ღვთაებრივი მამისაგან, ზღვათა მბრძანებლისაგანა მაქვს შესწავლილი“.

პელევსი კარგა ხანს მიშტერებოდა მას.

ანკევსმა, თითქოს ნაწყენმა, განაგრძო:

„თუ მე არ მანდობთ, ჩემს გარდა ჩვენს შორის სხვაც მოიძებნება საზღვაო საქმეში გაწაფული... ვისაც არ უნდა დაადოთ ხელი, არც ერთი არ ჩააგდებს „არგოს“ საფრთხეში“.

პელევსი მიხვდა, რომ ანკევსი შეუტრაცხყოფილად გრძნობდა თავს და სასწრაფოდ მიუგო.

„არა, არა, თუ ზღვაზე გასვლა გადავწყვიტეთ, ისევ შენ უნდა გაგვიყვანო!“

ანკევსს სახე გაუბრწყინდა.

„შეაგონე ჩვენს მეგობრებს, ეაკის ძევ, მოიშორონ გლოვისა და სასოწარკვეთის თალხები. გავიდეთ ზღვაზე!“

პელევსი ფეხზე წამოიჭრა და ანკევსს ხელი მკლავში წაავლო.

ორივენი ხომალდზე აცვივდნენ. პელევსმა შავი წამოსასხამი მოიძრო და შეჰყვირა:

„არგონაველებო!“

თეთრად მოკენჭილ ზღვის პირზე ყორნის ფრთებივით აფრიალდნენ შავი მოსასხამები.

„თავი აიღეთ, მეგობრებო! გვეყოფა გლოვა! თვითონ საბრალო იდმონი და ტიფისიც არ მოგვიწონებდნენ ასე უქმად დაყრას. ჩვენი მეგობრები ხომ იმით დაიხოცნენ, რაც ეწერათ! ჩვენს ლაშქარში არის ტიფისის შემცვლელი მესაჭე!“

იასონი ძლივს წამოდგა ფეხზე.

„მერე სად არის ეგ მესაჭე, პელევს? ვინ იკისრებს ტიფისის შემდეგ მაგ მძიმე საქმეს? ხომ ხედავ, ყველა სასოწარკვე-

თას მისცემია. სამშობლოში დაბრუნების იმედიც კი აღარავის
აქვს, თორემ კოლხეთში ლაშქრობაზე ვინღა ფიქრობს!“



„არის ტიფისის შემცვლელი-მეთქი!“

„ვინ?“

„ანკევსი“.

მაშინვე იყვირა ახალგაზრდა ტეგეელმა ანკევსმა:

„მესაჭეობა არასდროს არ გამიწვევია!“

ბელევესმა შეაგება:

„შენზე არც ვამბობ. მე სამოსელ ანკევსზე მოგახსენებთ!“

და ხელი მოავლო მის გვერდით მდგარს.

იასონი ხომალდზე ავიდა და ჰკითხა:

„მაშ, შენ კისრულობ, ანკევს?“

„თუ მანდობთ, ვიკისრებ!“ ამაყად წამოიძახა მან.

არგონაველები გამოცოცხლდნენ.

„ხოლო თუ მე არ მანდობთ, — განაგრძო ანკევსმა, —
სხვებიც შესძლებდნენ მესაჭეობას. აი, თუნდაც ევფემე ან

არგოსელი ნავპლიოსი. ორივე მათგანს პოსეიდონისაგან უს-
წავლია ზღვაოსნობა, ანდა კიდევ ჩემი ძმა ერგინე...“

იასონმა მას სიტყვა შეაწყვეტინა და ლაშქარს მიუბრუნდა:

„ძმებო, ვის ირჩევთ მესაჭედ: ანკევსს, ევფემეს, ნავპლი-

ოსს თუ ერგინეს?“

პირველებმა იყვირეს ევფემემ და ნავპლიოსმა:

„ანკევსი იყოს მესაჭედი!“

და ყველამ ერთად იგრილა:

„ანკევსი იყოს მესაჭედი!“

იასონი ტიფისის მაგიერს მიუბრუნდა:

„ჩაიბარე საჭე, ანკევს!“

ისევ გმირებს მიუტრიალდა:

„მივდივართ კოლხეთს!“

„მივდივართ კოლხეთს!“ იყო ერთხმივი პასუხი...

თერთმეტი დღის მწუხარება დატოვეს ორ დაღუპულ მე-
გობართან ერთად მარიანდინების მიწაზე არგონაველებმა. მე-

თორმეტე დღეს გზა განაგრძეს კოლხეთისაკენ.

დიღხანს მიჰყვებოდა „არგო“ ზღვის სანაპიროს. მეთათე

დღეს ქარიშხალმა ისევ ააფორიაქა ზღვა.

არგონაველებმა ამჯერად გამოამინდებამდე მდინარე თერ-



მოდონტის შესართავში, თემისკირას კონცხს შეაფარეს თავი. მათ იცოდნენ, რომ ეს ქვეყანა მეომარ ქალთა მოდგმის ამაზონებს ეკუთვნოდა. აქ მოუხდა ჰერაკლეს სახიფათო ბრძოლა ჰიპოლიტეს სარტყელისათვის. ამიტომ ფრთხილობდნენ: არ სურდათ საეჭვო ომში შებმოდნენ თავზეხელაღებულ ამორძალთა ლაშქარს.

ამორძალები ომის ღმერთის არესისა და ნიმფა ჰარმონიას შთამომავლებად ითვლებოდნენ. არესის ასულები მთელ თავის ცხოვრებას საომარ საქმეებში ატარებდნენ. ისინი მამაკაცთა მოდგმის დაუძინებელი მტრები იყვნენ. მხოლოდ თავიანთი მეომრული შთამომავლობის გასაგრძელებლად ხანდახან უკავშირდებოდნენ კავკასიონის ძირში მცხოვრებ გარგარეელ მამაკაცებს. მათთან წარმოშობილ ვაჟებს უკანვე უგზავნიდნენ მამებს, ხოლო გოგონებს თავისთან იტოვებდნენ და მათგან მამაკაცთა მოსისხლე მეომრებს ზრდიდნენ. ისინი ქალურ სიმწიფემდე იდაღავდნენ მარჯვენა მკერდს, რომ იქიდან ძუძუ არ წამოზრდილიყო და მშვილდის მოდრეკისას, მკერდზე მისი მოზიდვისას, ხელი არ შეშლოდათ. ამიტომ ერქვა მათ „ამაზონები“, ესე იგი „უძუძონი“.

მეორე დღეს მშვენიერი ამინდი დადგა. გმირებმა სწორედ დროზე აუშვეს „არგო“ და ზღვაზე გასვლაც მოასწრეს.

ამაზონების ცხენოსანი ლაშქარი მოჰქროდა ზღვისკენ. ვაკაცური ხმით ჰყიოდნენ. მახვილების ელვარებით მოგელავდნენ ძუძუდადალული მეომარი დიაცები. ბიბილოვანი მუზარადებიდან შავად მბზინავი დაღალები ჩამოშლოდათ, შიშველა მხვართ ფეხებს სცემდნენ უბელო მერნებს.

ზღვის ნაპირს მოაწყდნენ. ველარ მიუსწრეს არგონაველებს.

ბერძნები ხედავდნენ, როგორი რისხვა-მუქარით იქნევდნენ მათკენ ამაზონები მახვილებით აღჭურვილ ხელებს...

დაღამებისას არგონაველებმა ჩაუარეს კოლხთა მონათესავე ხალიბების ქვეყანას. მთელი ღამე მათ თვალწინ გიზგიზებდა ხალიბთა მხარე. აქ მეტალურგი ხალიბების სამქედლოები ენთო.

სქედდნენ ხალიბები. რკინისა და რვალის დნობა და ჭედვა იყო მათი ხელობა. თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა მთაგო-

რიანი, მადნით სავსე ქვეყანა. გმირები ხედავდნენ აგიზგაზი-
ბულ ქურებთან მდგარ სახეანთებულ, რკინისკუნთოვან ძაღვებს
კაც ხალიბებს, მსოფლიოში უპირველეს, იღუმალი ძალისა და
ოსტატობის მქონე მჭედლებს.

მომდევნო ორ დღეს ახლოს გაუარეს ტიბარენებისა და
მოსინიკების ქვეყნებს. ესენიც კოლხთა მონათესავე ტომები
იყვნენ, ხალიბებივით მჭედლობის ოსტატები და მუყაითი მი-
წათმოქმედნი.

ოდნავ მხარმარცხნივ აიღეს გეზი.

რომელიღაც კუნძული გამოჩნდა.

„არეთიდა!“ იყვირა გულთმისანმა მოჰსემ.

არეთიდა არესის კუნძულს ერქვა.

უცებ კუნძულიდან შევარდენივით მომჭროლავი ფრინვე-
ლი შენიშნეს. საშინელი წივილით მოშხუოდა.

ხომალდს გაუსწორდა და ნაკრტენი ჩამოაგდო. შხუილით
და სტვენით წარმოვიდა ფრინველის უცნაური ნაკრტენი. ოი-
ლეგს დაერჭო ბეჭში, ლოკრიდის მეფეს, შეტევეთი ბრძო-
ლის დიდოსტატს.

მის გვერდით მჯდარმა თესალიელმა ერიბოტემ ძლივს ამო-
აძრო საკვირველი იარაღი. ერიბოტეს ძმამ ევრიტიონმა სას-
წრაფოდ შეუტრა ჭრილობა ოილეგს.

განცვიფრებული გმირები ათვალეირებდნენ ნაკრტენს,
რომელსაც წვერი ლითონის ისრისა ჰქონდა, ბასრი და ანკე-
სოვანი. მთელი ნაკრტენი ლითონისა იყო.

ფრინველი მეორედ შემობრუნდა ადამიანთა დასაისრავად.

მოასწრო შესანიშნავმა მოისარმა კლიტიოსმა. ისარი
სტყორცნა და მოსისხლე ფრინველი ბზრიალით დაეცა ხო-
მალდის ახლოს. გასინჯეს. ყველა ნაკრტენი აღმასივით მჭრე-
ლი ისარი იყო.

ამ კუნძულის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით სცოდ-
ნია არკადიელ გმირს ამფიდამასს. მან ახსნა, რომ არეთიდა
მოფენილია ასეთი ფრთოსნებით, მაგრამ რაკი ფინევსმა გვირ-
ჩია ამ კუნძულზე გადასვლა, ჩვენც უთუოდ უნდა გადავიდე-
თო. თან მოისარ ფრინველებთან ბრძოლის წესიც გააცნო
ამფიდამასმა მეგობრებს.

არგონაველებმა თავზე მუზარადები დაიხურეს და ორ ნა-

წილად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა ფარებით დახურა ხომალდი,
მეორემ — სასწრაფოდ მოუსვა ნიჩბებს.

გულისგამაწვრილებელი წივილით წამოვიდა ფრინველმა
გუნდი.

არგონაველებმა ყიჟინა და ღრიალი დაახვედრეს.

ფრინველები დაფრთხნენ და გადაიკარგნენ.

ანკევსმა „არგო“ კუნძულს მიაყენა.

გადავიდნენ თუ არა, მაშინვე ფარებს შუბები დასცხეს.

წამოიშალნენ მოისარ ფრინველთა გუნდები და წვიმასა-
ვით დაუშინეს ნაკრტენ-ისრები.

აღამიანებმა ფარები იფარეს და ისევ იარაღის ცემითა და
განგაშით შეუტიეს.

ბრძოლა კაცთა და ფრინველთა შორის დიდხანს აღარ გაგ-
რძელებულა.

არესის ფრინველები გაიფანტნენ და მალე ეთერში გაუ-
ჩინარდნენ.

არგონაველები საშიშ ფრთოსანთაგან გაწმენდილი კუნძუ-
ლის სიღრმეში შევიდნენ.

უცებ მახლობელი ხეობიდან ოთხი დედიშობილა ყმაწვი-
ლი ამოძვრა.

გმირები შეზარა მათმა ხილვამ.

ოთხივე ტანსაცმელშემოძარცული, დაქანცული და დაკაწ-
რული, დასისხლიანებული და დანაღვლიანებული იყო.

„ვინა ხართ?!“ ერთხმად შესძახეს ბერძნებმა.

„ფრიქსეს ვაჟები ვართ... აიეტის შვილიშვილები!“ თქვა
ერთმა, რომელსაც ეტყობოდა უფროსი უნდა ყოფილიყო.

„ფრიქსეს ვაჟები?!“

„აიეტის შვილიშვილები?!“

მოულოდნელობით დარეტიანებული იძახდნენ გმირები.

„აი, თურმე რატომ გვირჩია ფინევსმა მოვსულიყავით ამ
კუნძულზე?!“ შესძახა მოპსემ.

იასონი ყმაწვილებს მიეჭრა და გადაეხვია.

როგორ გაოცდნენ და გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ ამ
უცხოელ მსმენელთა ბელადი, ეს მშვენიერი ვაჟკაცი, მათი
ნათესავი ყოფილა. ფრიქსეს ვაჟები და იასონი თურმე ბიძა-

შვილებად მოხვდებიან ერთიმეორეს, რადგან მათი პაპები ათამასი და კრეთევსი — ძმები ყოფილან.

ყმაწვილები ტირილით ჩაეხვივნენ იასონს.

გმირები სიყვარულით ეხვეოდნენ მათ, ნახევრად თვისტომთ.

დაამწვიდეს, ტანსაცმლით შემოსეს, დაანაყრეს და დაასვენეს.

მერე დასხდნენ ფრიქსეს ძენი და მოჰყვნენ თავიანთ თავგადასავალს.

თურმე ფრიქსემ სიკვდილის წინ შვილებს დაუბარა, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ ელადაში, ორქომენში და იქ ჩაეხარებინათ პაპის, ათამასის მემკვიდრეობა. როცა ფრიქსე დაკრძალეს, ვაყებმა აიეტს ხომალდი სთხოვეს ელადაში გასამგზავრებლად. აიეტს არ სურდა მათი გაშვება, მაგრამ ბიჭებმა არ დაიშალეს. როგორც იქნა მეფე დაითანხმეს, ხომალდში ჩასხდნენ და გამოეშურნენ. არეტიადის კუნძულთან ქარტეხილი ამოვარდა და ხომალდი სულ ერთიანად დაღეწა. განწირულნი დამსხვრეულ ანძას ჩაეჭიდნენ და დიდის ვაი-ვაგლახით ამ კუნძულს მოაღწიეს.

ახლა იასონმა უამბო მათი ლაშქრობის გზა და მიზანი. თან მათთან ერთად მგზავრობა და მეგზურობა შესთავაზა.

რასაკვირველია, ფრიქსეს ვაყები სიხარულით დათანხმდნენ, მაგრამ მეტისმეტად გაუკვირდათ, როცა გმირთა განზრახვა მოისმინეს — ოქროს საწმისი ელადაში უნდა წავილათო.

მათ დაწვრილებით აუწერეს კოლხი ტომების სიძლიერე და საომარი შემართება, აიეტის მრისხანება და ღვთაებრივი ძალ-ღონე, — მას არესი და ჰერაკლე თუ გაუტოლდებიან სიძლიერით და საბრძოლო ხელოვნებით!.. ისიც აუხსნეს, როგორ იყო დაცული თვით ოქროს საწმისი — საზარელი დრაკონი დარაჯობსო მას!..

პელევსმა ყველას დაასწრო და ჰაბუკებს ამაყად მიუგო, რომ არგონაველთა შეჩერება ახლა თვით ღმერთებსაც კი არ შეუძლიათ. თუ აიეტი თავისი ნებით არ დათმობს ოქროს საწმისს, მას ვერც დრაკონები უშველიან და ვერც მისი მამაცი კოლხი ტომები!



ის ღამე იქ გაათიეს. დილით იალქნები აუშვეს და ზურგის ქარს მინებდნენ.

გვერდით ჩაუქროლეს კოლხთა ნათესავეებსა და მეზობლებს — მაკრონებს, ბეჭირებს, ბიძერებს და საპირებს, ანუ იბერიელებს, აზიის უმამაცეს ტომებს.

უცებ ქარი მომძლავრდა.

არგონაველებმა ზეცას აპხედეს.

ზევისი არწივი მიჰქროდა კავკასიონზე პრომეთეს მკერდის საფლეთად.

ქარბუქი მოჰქონდა მძლავრი ფრთებით.

თვალს მიეფარა. ქარიც ჩადგა. პრომეთეს გმინვამ შეახახარა ჰაერი.

ჰგოდებდა უსამართლოდ დასჯილი ადამიანებზე მზრუნველი ტიტანი.

გმინვა შეწყდა. არწივი უკანვე მოფრინავდა...

„კოლხეთი!“ იყვირა მესაჭე ანკევსმა.

„კოლხეთი.“ ერთხმად იქუხეს არგონაველებმა.

ყველა ფეხზე იდგა. გაოცებით და აღტაცებით შესცქეროდნენ ოქროს ზღაპრულ ქვეყანას.

მდინარე ფასისი დგანდგარით მოაგორებდა გამჰვირვალე ტალღებს და დიდ მანძილზე შუაზე აპობდა ევქსინის პონტოს.

„უკვე დრო არის წყალი გამოვცვალოთ!“ თქვა ფრიქსეს უფროსმა ვაჟმა არგოსმა და მაშინვე აუხსნა გაოცებით პირდაღებულ არგონაველებს:

ფასისში შემსვლელებმა იქ სხვა წყალი არ უნდა შეიტანონ. შევლენ თუ არა მის კალაპოტში, ხომალდზე არსებული ძველი წყალი სულ უნდა გადაიღვაროს და მის ნაცვლად ფასისის გემრიელი წყალი მოიმარაგონ. ვინც ამას არ ჩაიდენს, მას არც ბედნიერი მგზავრობა ექნება. ისედაც ფასისის წყალი ღრ შმორდება და ათ წელზე მეტ ხანს ძლებს სასმელად; რაც დრო გადის, უფრო ამოდ სასმელიც კი ხდება.

„არგო“ ფასისის დელტაში შეაჩერეს, მარიანდინების ქვეყნიდან წამოდებული წყალი გადაღვარეს და ამფორები და კრატერები ფასისის წყლით გაავსეს.

„არგო“ კვლავ დაიძრა; ფასისის დინების პირისპირ აუყვა.

„კოლხეთი! კოლხეთი! კოლხეთი!“

თვალს არ უჭერებდნენ.

„კოლხეთი! კოლხეთი! კოლხეთი!“

სიზმარში ხომ არ იყვნენ?!

ჩურჩულებდნენ კოლხური სიმშვენიერით დატყვევებულნი.

მიჰყვებოდნენ ფასისის დინების პირისპირ.

მარცხნით არესის ველი გაშლილა. მის შუა აღმართულა ათასწლოვანი მუხა.

თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია მუხის წვერს.

„ოქროს საწმისი!“ დაიგრიალეს გმირებმა.

„საწმისი!.. საწმისი!.. ოქროს საწმისი!“...

ჩურჩულებდნენ მისი მოპოვების სურვილით აღტყინებულნი...

მ ე ღ ე ა

ქ ა ლ ლ მ ე რ თ ი თ ა მ ს ჯ ა ვ რ ი

ჰერამ და ათენამ ზეციდან შენიშნეს, როგორ შევიდნენ და დაბანაკდნენ არგონაველები ფასისის ნაპირზე, ლერწმის ხშირ ტევრებში.

ორივენი ბრწყინვალედ მორთულ თალამონში — სანთიობოში შევიდნენ და ბჭობა გამართეს, როგორ დახმარებოდნენ ელინ გმირებს.

ჯერ ათენა ცდილობდა, რაიმე ცბიერი ხერხი მოეგონებინა აიეტის თვალის ასახვევად, მაგრამ ვერავითარი მონასაზრი ვერ მიიჩნია საიმედოდ. იცოდა, ფრთხილი და ბრძენი იყო კოლხეთის მეფე.

მერე ჰერამ გაანდო თავისი გეგმები, მაგრამ არც ისინი მოიწონა ათენამ. ზევსის მეუღლეც მიხვდა, ასე იოლი გზებით ბერძნები ვერ შესძლებდნენ ოქროს საწმისის მოპოვებას.

დიდხანს სდუმდნენ და ფიქრობდნენ ქალღმერთნი, მეუღლე ზევსისა და ასული ზევსისა.

უცებ ჰერამ წამოიძახა:

„აფროდიტესთან წავიდეთ და ვახოვოთ, იქნებ სიყვარულის მეოხებით მოუტანოს ხსნა ელინ ვაჟაკებს!“

„სიყვარულით?“ ცისფერი თვალები აუელვარდა ათენას.

„ჰო, აფროდიტე წააქეზებს თავის ვაჟს ეროსს, რომ იმან სიყვარულის ისარი სტყორცნოს აეტის გრძნეულ ასულს და იასონით მოხიბლოს. მე მგონია, სიყვარულით დაისრული გრძნეული ქალი დაეხმარება თავის მიჯნურს ოქროს საწმისის მოტაცებაში.“

ათენამ მცირე ფიქრის შემდეგ მიუგო:

„შენ უკეთ იცი, მე კი სიყვარულისა არაფერი გამეგება
ნომ გახსოვს, მამაჩემმა როგორ წარმომშვა!“

ეს თქვა და მძიმედ ამოიოხრა მშვენიერმა ქალღმერთმა...

...საშინელი თავის ტკივილი აუტყდა ზევსს. შვილს დაუ-
ძახა, მკედელ ჰეფესტოს: ახლავე ნაჯახი მოიტანე და მოდიო.
მოვიდა მკედელი ღმერთი ნაჯახით ბელში. ზევსმა უბრძანა,
თავში დამკარო. დასცა ნაჯახი ჰეფესტომ და თავი შუაზე გა-
უპო მამას. იქიდან მაშინვე ამოფრინდა ბრწყინვალე საომარ
საქურველში ჩამჯდარი ქალღმერთი ათენა და მამის წინ წარ-
სდგა... მაშ, ათენას დედა არ ჰყავდა ქალური საწყისით. ამი-
ტომ მან ქალური გრძნობის არა იცოდა რა. მხოლოდ იმი იყო
საზრუნავი მარად ქალწული — პართენოს — ქალღმერთისა...

მიდიოდნენ აფროდიტესთან. ფეხები უკან რჩებოდათ,
რადგან თავილობდნენ დიდებული ქალღმერთნი კეკლუც აფ-
როდიტეს წინაშე თავის დამდაბლებას.

სილამაზის ღვთაება მარტო დახვდათ. მისი მეუღლე ჰე-
ფესტო შინ არ იყო. აფროდიტეს პაროსის მარმარილოსებრ
მოქათქათე მხრებზე მშვენიერი თმები ჩამოეშალა და ოქროს
სავარცხლით ივარცხნიდა. როგორც კი სტუმრები დაინახა,
სასწრაფოდ თმები აიკრა, გაეგება და ორივე დიდის თავაზით
შეიპატიჟა თალამონში.

ღიმილმა დაამშვენა აფროდიტეს ისედაც მშვენიერი სახე.

„ალბათ რაღაც მძიმე საქმემ გაიძულათ, თორემ მე არ ვარ
დაჩვეული ასეთ ბრწყინვალე ქალღმერთთა სტუმრობას“.

ჰერამ და ათენამ წამით რისხვით შეჰყარეს წარბები, ხომ
არ დაგვცინისო, მაგრამ მასპინძლის სახეზე გულწრფელობის
მეტე ვერაფერი შენიშნეს.

მერე ჰერამ ასე მიუგო:

„შენ დაგვცინი, ჩვენ კი დიდი დარდი გვაწუხებს!“

„რა დარდი?“ დაინტერესდა აფროდიტე.

„კარგად იცი, ბერძენი გმირები კოლხეთს ჩავიდნენ ოქ-
როს საწმისის წამოსაღებად. იასონი ჩემი საყვარელი გმირია.
ის აეტისაგან ოქროს საწმისს ისე ვერ წაიღებს, თუ შენ არ
დაეხმარები“.

აფროდიტე განცვიფრდა: ამაყი ჰერა მას შემწეობას
სთხოვდა.

„ყოვლისშემძლე ქალღმერთო, — მიუგო მან, — ვის ძალუბ და ვის აქვს უფლება შენი თხოვნა არ შეიწყნაროს?! თხოვნა შენი, არის ბრძანება შენი. აჰა, მოიხმარე ეს ჩემი სუსტი ლეები! შენს დახმარებაზე უფრო საამო ჩემთვის რა უნდა იყოს! მე მზადა ვარ დიადი ზევსის მეუღლისა და ასულის ბრძანებათა მოსასმენად და აღსასრულებლად!“

და მოისმინა აფროდიტემ თხოვნა ყოვლისშემძლე ქალღმერთებისა: მან აიეტის გრძნეული და მშვენიერი ასული უნდა მოაჯადოოს იასონის სიყვარულით!

სიყვარულის ქალღმერთმა აღთქმა მისცა. ჰერა და ათენა მადლიერად დაემშვიდობნენ მას...

აფროდიტემ ეროსი ზევსის ყვავილოვან ბაღნარში იბოვნა.

ეროსი თავის მსგავს მშვენიერ ყმაწვილს, განიმედეს, კოჭობანას ეთამაშებოდა...

განიმედე ტროას მეფის პრიამეს ვაჟი იყო. ზევსს მოეწონა მშვენიერი ბიჭი, არწივი გაგზავნა და ოლიმპოზე ამოატაცებინა, უკვდავება მიანიჭა და თავის მერიქიფედ გაიხადა. განიმედე ოქროს კრატერში უსხამდა ზევსს ღვთაებრივ სასმელ ნექტარს...

ეთამაშობდნენ ეროსი და განიმედე.

გულხარბ ეროსს ყველა ოქროს კოჭი წაერთმია და მკერდზე ორივე ხელით მიებლუჯა. განიმედე გულდაწყვეტილი შესცქეროდა მას.

ეროსი ხა/ არებდა, დასცინოდა. სახე აღანძვოდა სიყვარულის ღმერთს.

ერთ ხანს უცქერდა აფროდიტე უდარდელ ძეს.

განიმედემ უკანასკნელი კოჭი წააგო და ბაღნარს დანაღვლიანებული გაშორდა. ზევსის დაძინების დრო მოდიოდა. ნექტარი უნდა მიერთმია ძილის წინ.

აფროდიტე მივიდა და ნიკაპში ამოსდო ხელი ეროსს.

„ცბიერო, რატომ დასცინი და რად ატყუებ გულუბრყვილო ბიჭს?“

„რატომ ტყუვდება?“ კვლავ უდარდელად გადაიკისკისა ყმაწვილმა.

„კარგი, ამას თავი დავანებოთ. ყური მიგდებ, შვილო, გინდა ისეთი სათამაშო გაჩუქო, რომლითაც ყმაწვილობისას თვით დიადი ზევსი ირთობდა თავს?“

„რას ამბობ, დედა, რა სათამაშო?! სად არის?!“ შესახა
ეროსმა.

„აი!“ აფროდიტემ უბიდან რაღაც გამჭვირვალე ბურთი
ამოიღო.

ამ ბურთს გარედან ოქროს წრეები ჰქონდა შემოკრული,
შიგნით კი ლურჯი ხვეულებით იყო ამოქარგული. ჰაერში აის-
როლა და ვარსკვლავივით აციმციმდა, უკან რაღაც ცისარტყე-
ლასებრი ზოლი დაჰკიაფებდა.

„მოიტა!“ ველარ ითმენდა ეროსი.

„ჯერ ერთი დავალება უნდა შემისრულო!“

„რა დავალება, ჩქარა მითხარი!“

„კოლხეთის მეფის ასული მედგა სიყვარულით უნდა და-
ისრო!“

„ვისი სიყვარულით?“

„ელინთა ბელადის, იასონის!“

„ბურთს მომცემ?“

„ხომ გითხარ, მოგცემ!“

„მაშ, მივფრინავ!“

ეროსმა დედას ოქროს კოჭები კალთაში ჩაუყარა, სასწრა-
ფოდ აიღო სიყვარულის ისრებით სავსე კაპარჭი, ოქროს სარ-
ტყლით წამსვე მხარზე გადაიკიდა და ვერცხლის მშვილდიც
აიტაცა...

მიჰქროდა სიყვარულის თვალთმაქცი ღმერთი კოლხეთი-
საკენ.

გულში იცინოდა ღმერთი. უხაროდა, რომ კვლავ ბურთი-
სებრ გაისროდა ადამიანის გულს... სამაგიეროდ სათამაშო
ბურთს მიიღებდა...

ქ უ თ ა ი ა

ფასისის ლერწმიანში შეფარებულ „არგოს“ ბაქანზე გმი-
რები ბჭობდნენ.

ლაპარაკობდა იასონი:

„მე ასე ვფიქრობ, მეგობრებო: თქვენ იარაღი აისხით და
ხომალდზე დარჩით. მე აიეტის სასახლისკენ გავემართები; თან

გავიყოლებ ფრიქსეს ვაჟებს და თქვენგან ორ გმირს. მივალთ მეფესთან და მეგობრულად ვთხოვთ, დაგვიტმოს ოქროს სპილენძის მისი. თუ უარი თქვა, უკანვე გამოვბრუნდებით და მერე დაგწვდით, ბრძოლა გავუმართოთ, თუ სხვა რამ მოვიფიქროთ“.

არგონაველებმა ერთხმად მოიწონეს ბელადის თათბირი. იასონი კოლხეთის სატახტოში გასამგზავრებლად მოიკაზმა. ათენას ნაჩუქარი ბრწყინვალე წამოსასხამით შეიმოსა ახოვანი სხეული. აღიჭურვა. თავზე ოქროს ბიბილოვანი მუზარადი დაიხურა. ხელში აიღო ჰერმესის კვერთხი, სიმბოლო მეგობრული წვევისა და სტუმრობისა.

მსლებლებად, ფრიქსეს ვაჟებს გარდა, ტელამონი და ელიდის მდიდარი მეფე ავგია აირჩია.

ხომალდი დატოვეს, ლერწმის შამხნარი გაიარეს და ფართოდ გაშლილ ველზე გავიდნენ.

ამ ადგილს კოლხები კირკეს ველს უწოდებდნენ. კირკე ჰელიოსის გრძნეული ასული იყო, მეფე აიეტის დაი.

კირკეს ველზე სულ ტირიფისა და ძეწნის ხეივნები იყო გამდგარი.

ბერძნები გაოცდნენ:

ხეების კენწეროებზე თოკებით ჩამობმული ხარის ტყავის გულები ეკიდა.

ფრიქსეს უფროსი ვაჟი არგოსი ყველაფერს უხსნიდა.

ესენი თურმე მიცვალებულებია, ყველა მამაკაცი. კოლხეთში ცოდვად ითვლებოდა მიცვალებული მამაკაცის ცეცხლზე დაწვა ან მიწაში ჩამარხვა, როგორც ეს ბერძნებმა იციან. კოლხები გარდაცვილ კაცთა გვამებს ხარის მოუთელავ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. ასე ღებულობს თავის წილხვედრს მოკვდავი ადამიანებისაგან ჰაერი, ეთერი.

„ქალები?“ იკითხა ტელამონმა.

„ჰო. მიწამაც ხომ უნდა მიიღოს თავის წილხვედრი. ამიტომ კოლხები მიწას აბარებენ მიცვალებულ ქალებს“, დაბოლოვა არგოსმა.

სანამ ჰაერში ჩამოკიდებულ სასაფლაოს გაშორდებოდნენ, კირკეს ველი სქელ ნისლში გაეხვია.

ეს ქალღმერთმა ჰერამ შეჰბურა ისინი, რათა აეტის სსახ-
ლისავენ მიმავალნი კოლხებს არ შეენიშნათ და არ დაე-
ლებინათ.

ასე იარეს რამდენიმე ხანს.

მერე ნისლი გადაიწმინდა.

ბერძნები ბრწყინვალე ქალაქში იდგნენ. მათ წინ დიდებუ-
ლი სასახლე და აკროპოლისი აღმართულიყო.

„ეს არის კოლხთა მთავარი ქალაქი ქუთაია!“ თქვეს ფრე-
სეს ვაჟებმა.

„კუტაია!“

„პოლის კუტაია!.. ქალაქი ქუთაია!“

ერთმანეთს არ აცლიდნენ განცვიფრებული იასონი, ტელა-
მონი და ავგია.

აიეტმა უკვე იცოდა სტუმრების მოსვლა. მისი ბრძანებით
ალაყაფი გახსნეს და უცხოელებს სასახლის ეზოში შეუძღვნენ.

ბერძნები თვალს ვერ აშორებდნენ სასახლესა და ციხე-სი-
მაგრეს.

სასახლის ორივე გვერდზე, მარჯვნივ და მარცხნივ, ორი
მაღალი სახლი იდგა, იშვიათი ოსტატობით გარანდულ მარმა-
რილოს ჰერანგებში ჩასმული.

„მარჯვენა სასახლეში თვითონ მეფე აიეტი და დედოფალი
იდია ცხოვრობენ. მარცხენა აიეტის ძის, აფსირიტეს სამყო-
ფელია. ამავე სასახლეში ცხოვრობენ მეფის ასულნი, დედა-
ჩვენი ქალკიოპე და დედის და მედეა“, თქვა არგოსმა.

„მედეა!“ წყნარად გაიმეორა იასონმა.

კოტა ხნის შემდეგ იასონმა არგოსს ჰკითხა:

„ახლა სასახლეში დაგვხვდება შენი დედის დაი?“

„არა მგონია. მედეა მთვარის ქალღმერთის ჰეკატეს ქურუ-
მია და მთელს დღეებს მის ტაძარში ატარებს, სასახლეში
იშვიათად მოდის“.

„ჰეკატე ზომ აიეტის ძმის, პერსეს ასულია?“, იკითხა ავ-
გია.

„დიახ, ჰეკატე და მედეა ბიძაშვილები არიან“, დაუდასტუ-
რა არგოსმა.

„გამიგონია, ჰეკატე ჯადოქარია, გრძნეული...“, ჩაფიქრე-
ბით თქვა იასონმა.

„უფრო დიდი გრძნეულია მედეა“, გააწყვეტინა არგოსმა.
„გრძნეული?!“



წამით დაიძახა იასონმა და მერე უცებ, თითქოს მძლავრად უნებლიეთ იკითხა:

„ლამაზია?“

არგოსმა ჩაიცინა და თითქოს დაქადნებით თქვა:

„ლამაზიო!.. რომ შეხედო...“

უეცარმა შეკვივლებამ სიტყვა შეაწყვეტინა არგოსს.

იმ შეკვივლებაში მოულოდნელის ხილვით გამოწვეული შეკრთომაც იყო, უეცარი შეცბუნებაც, რაღაც სიმშვენიერით მიღებული აღტაცებაც, შეუცნობლისადმი შიშიც და ტკბილი სიმის საამო აჟღერებაც.

იასონი და მისი მხლებლები მეყვსეულად შემოტრიალდნენ.

„ის არის!“ წასჩურჩულა არგოსმა იასონს.

სასახლის ზღურბლზე მედეა იდგა.

კოლხეთის მშვენიება.

თითქოს ერთ სხეულში შეყრილიყვნენ ელინთა სათაყვანო ქალღმერთნი: მშვენიერების უკვდავი დედოფალი აფროდიტე, გულდინჯი ბრძენთა ბრძენი ათენა, ამაყი ჰერა და მარად უქკნობი კდემით მოსილი არტემიდე.

ტანკენარი იყო მედეა. საოცრად შვენოდა ცისფერი კაბა, მარცხენა მკერდზე კოლხური წნულ-ხვეულებით ამოქარგული.

მაღალ ფიქალ ყელზე თვალისმომკრელად უკიაფებდა კეთილშობილი ქვეებით ნაჭედი ყელსაბამი, გველად ნასახი — სიმბოლო გრძნეულების და გულთამხილაობის.

სამი, უკიდურესად ერთმანეთის უარყოფელი ფერი — თეთრი, მარჯანი და შავი — გასაოცრად შეხამებოდნენ ერთმანეთს მედეას თავკისერზე:

სპილოს ძვლის სითეთრე ქათქათებდა მშვენივრად ნაკვეთ ღაწვებსა და ნიკაპზე, სწორად ჩამოქნილ ცხვირზე და მამისებრ მაღალ, სუფთად გადატკეცილ შუბლზე; მარჯანი ჰყვაოდა ბავშვურ ტუჩებზე, მარჯანსვე მკრთალად დაეკრა ღაწვისთავეებზე; მის დიდრონ გრძნეულ თვალებში კოლხური უმთვარო ღამის სიშავე იყო ჩატბორებული, შავი წამწამებით დატ-

ვირთული და ასეთივე წარბებით რკალდარტყმული.

ყორნისფრად მოელვარე თმა ქათქათა მხრებზე მძიმე რეზინის
რებად ეყარა და წელს ქვემოთ მდელვარე ტალღებად
სცემდა.

ბერძნები ქვად ქვეულიყვენ მისი სილამაზით დატყვევებულნი.

ახლა მედია თურმე დის ოთახისკენ მიდოდა ღრმად ჩაფიქრებული. როგორც კი უცხოელებს თვალი მოჰკრა, უნებლიეთ ნელა შეჰკივლა.

მედეას ხმაზე სასახლიდან ქალკიოპე გამოვარდა მოახლე ქალების თანხლებით.

ქალბატონსაც და მოახლეებსაც ხელში თითისტრები შეჰყინვოდათ; ისინი მატყლს რთავდნენ, როცა მედეას შეკვივლება მოესმათ.

„რა მოხდა, დაო?!“

პასუხისათვის აღარ დაუცდია ქალკიოპეს, როცა მან უცხოელებთან თავისი შვილებიც დაინახა.

ტირილით მივარდა ნაღვლით დაბინდული ლამაზი ქალი: „შვილებო, შვილებო! რა ბედმა დაუბრუნა თქვენი თავი თქვენს უბედურ დედას!“

დედა-შვილები ერთმანეთს ეხვეოდნენ.

ტელამონი და ავგია ილიმებოდნენ.

იასონი მედეას მიშტერებოდა.

მედია დისწულებს გადაეხვია და გაბრუნდა.

„რალა დღეს დავრჩი სასახლეში,“ გაუელვა თავში.

ზღურბლზე ფეხი შეუყოვნდა.

რალაც უხილავი და შეუცნობელი ძალა ეწეოდა უკან, ერთი ნაბიჯი კიდევ და თვალს მიეფარება.

„მოვიხედო, თუ არა?..“

„შევხედო იმ უცხოელს?..“

„არა, არა!..“

„ან რა იქნება!.. მხოლოდ ერთხელ!..“

წამით შედგა და მოიხედა.

რა იცოდა, თუ იასონის უკან, ყველასგან უჩინრად, იდგა ზფროდიტეს ცელქი ძე ეროსი.

ეროსმა ფიქრზე უმაღეს გადმოიღო ცინცხალი ისარი სიყა



ვარულის კაპარჭიდან, მშვილდზე დასდო, მოზიდა და სტყორცნა მედეას.

სტყორცნა და ეთერს შეერია ადამიანთა გულუბით მკვლელობით მამე თვალთმაქცი ღმერთი სიყვარულისა.

გული დაუჭრა კოლხეთის ასულს მიჯნურობის მწვევე ისარმა.

წასვლა უნდოდა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ იძვროდა. ლაწვებიდან მეწამულისფერს განედევნა სპილოს ძელისფერი.

რადაც ტკბილი, ტკბილი, უნეტარესი ტკივილი დნებოდა და იღვენთებოდა ეროსისაგან დაისრულ გულში.

ანთებული, გრძნეული თვალებით მიშტერებოდა იასონს... მსახურები მოვიდნენ, სტუმრებს თავი დაუქრეს და სთხოვეს უკან გაჰყოლოდნენ.

სასტუმრო აბანოებში შეიყვანეს იასონი, ტელამონი და ავგია.

საამო თბილი წყალი ამოჰქუხდა დედამიწის გულიდან. უმსხვილეს ბუშტებად ეფინებოდა პირთამდე სავსე მარმარილოს აბაზანებს.

გმირები შიგ ჩაეშვნენ. უმძიმესი ლაშქრობით დაქანცულნი და მოტეხილნი უნეტარეს ტკბობას მიეცნენ.

განიბანეს, განიწმინდეს. ტანში უზღვავეი ძალა და ენერგია იგრძნეს, თითქოს ღვთაებრივ ამბროსიაში დაეზილათ სხეული.

შეიმოსნენ და გამოვიდნენ დამშვენებულნი. ბრწყინავდა იასონი.

ახლა მსახურთა სხვა წყება მოვიდა. მოახსენეს, მეფე გიწვევთო სანადიმოდ.

ჩრდილებით დატვირთულ ჰადრების ხეივანში გრძლად გაეშალათ სუფრა კოლხებს.

შორს, სუფრის თავში აიეტი და იდია ისხდნენ.

არგოსი და მისი ძმები, რომელთა დაბრუნება აიეტს ადრევე გაეგო, წინ წარუძღვნენ სტუმრებს და მეფე-დედოფალს წარუდგინეს ისინი.

„დიდებულო ხელმწიფევ, თქვენს წინ ელინი გმირები დგანან...“

„ვიცი, — შეაწყვეტინა მეფემ, — თუმცა ჰერამ ნისლით შეპბურა ეგ ვაჟკაცები და იქ, ფასისის პირას მათი ხომალდები უჩინარპყო დანარჩენ გმირებთან ერთად... სულ ორმოცდამეცხრამეტი გმირია ამათი თანმითვისლი!“

გაოცებულმა სტუმრებმა დაცინვა იგრძნეს მეფის მძიმედ წარმოთქმულ სიტყვაში.

აიეტმა ისევ არგოსს მიმართა:

„შენ მხოლოდ მამცნე, ვინ არიან ჩვენი სტუმრები!“

შვილიშვილმა ჯერ იასონი წარუდგინა, შემდეგ ავგია და ტელამონი.

„ეს ბერძენ გმირთა მეთაურია, იასონი ჰქვია, ეზონის ვაჟია. იგი ჩვენი ახლობელი ნათესავიც არის, დიდებულო მეფე! იასონის პაპა კრეთევსი და ჩვენი პაპა ათამასი ძმები იყვნენ... ეს მეორე ვაჟკაცი ჰელიოსის შვილია, ელიდის მეფე ავგია... ეს კიდევ ტელამონია, სახელოვანი ეაკის ძე; ეაკი ხომ თვით ზევსის ნაშიერი იყო. ასევე იასონის დანარჩენი მეგობრები უკვდავ ღმერთთა შვილები და შვილიშვილები არიან.“

მეფემ მდუმარედ მოისმინა წარდგინება.

ჯერ სამივე უცხოელს უნდოდ გადაავლო თვალი, მერე სამთავე ცალ-ცალკე გაზომა და ასწონ-დასწონა შეუვალი ქორული მზერით.

იასონი თითქოს მოეწონა მშვენიერების თაყვანისმცემელ მეფეს, მაგრამ მის თვალეში რაღაც საშიში, თავხედური განაზრახვი ამოიკითხა და უმაღვე თავშეკავებული რისხვა ჩაუდგა კუშტად შეკრულ წარბებში.

ავგია ეჭვით და ოდნავი დაცინვით შეათვალა: თითქოს არ დაიჯერა, რომ ავგია მართლა ჰელიოსის ძე, ესე იგი აიეტის გერი-ძმა იყო.

უფრო ტელამონს გაჰხედა მოკრძალებულად. ის იცნობდა ეაკის კეთილშობილებას. მაგრამ ტელამონის თვალეში გულგოროზობა და ამპარტავნობა ამოიკითხა და არც ეს მოეწონა აიეტს.

მერე მეფემ დინჯად თქვა:

„დიდი გზა აშორებს კოლხეთს და ელადას. ვიცი დიდ ბრძოლას და გასაჭირს გადაიტანდნენ ჩვენი სტუმრები კოლხეთს მოსვლამდე. მიტომ არ ვჩქარობ მათი მოსვლის მიზნის

შეტყობას. სტუმარი ჩვენში ღვთის მოგზავნილად ითვლება. მაშინ, ჯერ სტუმარმასპინძლობა გავწიოთ, მერე საქმეც მფრინავი ვისმინოთ და ჯეროვნად განვსაჯოთ!“

თქვა და სტუმრებს ანიშნა, სუფრის შუა ადგილას დამს-
დარიყვნენ.

ბერძნები დასხდნენ.

მერე კოლხები მიუსხდნენ სანადიმოს, სულ თვალტანადი ვაჟკაცები.

სტუმრები ერთ ხანს ხარბად დაეტანნენ უჩვეულოდ ცხა-
რე და გემრიელ საქმელებს. თან შეჩქვიფებულნი და შემკრ-
თალნი იღუმალ ათვალეირებდნენ გარსმომდგარ კოლხ დევ-
გმირებს.

მალიმალ გადახედავდნენ თვითონ მეფეს.

ჰერაკლე მოაგონდათ. მისი სხეულის სიმძლავრე შეიცნეს
მეფე-ტიტანში.

მაგრამ ბერძნებმა ისიც შენიშნეს, რომ აიეტში ჰერაკლე-
სეულ მოუხეშაობაზე მეტი აპოლონისებრი დახვეწილობა
ჩანდა.

ახლა მის მარჯვნივ გადაიტანეს მზერა.

ნამდვილი აპოლონი სწორედ იქ იდგა.

„ეგ აფსირტე არის, აიეტის ძე. სილამაზისთვის ფაეთონ-
საც ეძახიან“, ახსნა არგოსმა.

დიდხანს აღტაცებით და თან შურით უცქერდნენ ბერძნე-
ბი აფსირტეს.

მხრებზე ჯიქის ტყავით მოკაზმული წამოსასხამი გადაეგდო
ახოვან ვაჟკაცს. მამისეული შუბლიდან და თვალებიდან ერთ-
დროულად გამოუკრთოდა ნიჭი და სიმამაცე. სახეზე მზე
უცინოდა ჰელიოსის შვილიშვილს.

უცებ ყველას ყურადღება ხეივანში ახლად შემოსულმა
მიიპყრო.

ახალგაზრდა კოლხი მოდიოდა. მაღალი, ტანწვრილი,
მკერდგანიერი. მხრებზე მოკლული ხარირემი მოეგდო.

ზავთიანად მოაბიჯებდა პირზე ვარდგადაფენილი.

„ამონა“ აღტაცებით შესძახა მთელმა სუფრამ.

აფსირტე სუფრიდან გადახტა და სახეგაბრწყინებული მი-
იჭრა ხელხვავეიან მონადირეს..

„ამონა, ძმობილო!“

„ფეთონ!“

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მეფისწულს მსახურები მიჰყვნენ. ახლად მოსულს მხრიდან ირემი გადმოუღეს.

ბერძნებმა თვალი შეასწრეს: გახედა აიეტმა მონადირეს და წამით სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მეფის კუმტ სახეს უცნაურად დაშვენდა წამიერი ღიმილის კრთომა.

„ამ უცნაურ ხელმწიფეს რა საამო ღიმილი ჰქონია!“ გაიკვირვეს ბერძნებმა.

ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ და ისიც ვიღაც ამონაზე გაელიმა მეფეს.

ამიტომ უფრო დაინტერესდნენ სტუმრები ახლადმოსულის ვინაობით.

არგოსმა აუხსნა: ამონა ობოლი ბიჭი ყოფილა, დედა არ ახსოვს; მამაც აღრე დაღუპვია საერომატებთან ბრძოლაში. მეფეს შეუვრდომებია და უფლისწულთან ერთად გაუზრდია. ახლა თურმე აიეტი არავის ისე არ ენდობა, როგორც ამ მდაბიოს.

„ამონა მთელს კოლხეთში უპირველესი ვაყვაცია“, დააბოლოვა ფრიქსეს ძემ.

ამასობაში ამონამ მტვერი ჩამოიბერტყა, ტანსაცმელი შეისწორა და აფსირტესთან ერთად მეფე-დედოფლისაკენ წამოვიდა.

მოდიოდნენ ძმობილები, ერთმანეთს შვენიოდნენ აპოლონი და არესი.

უბრალო შავი ტანსაცმელი მოხდენილ ტანზე მოხდენილად ემოსა ამონას.

იმასაც განიერ მხრებზე აფსირტესავით ჯიქის ტყავი გადაეფინა.

იასონს თავის ჯიქის ტყავი მოაგონდა, პელიონის მთებში ქირონისაგან ნაჩუქარი.

ფიქრი გააწყვეტინა არგოსმა:

„კავკასიონზე ნადირობიდან ბრუნდებოდა დაღლილი ამონა. მხარზე ნანადირევი ჯიხვი მოეგდო. უეცრად მონადირეს წყვილი ჯიქი შემოეფეთა, ძუ და ხვალი. მხეცებმა თურმე საა

შინელი ღრიალით მიაშურეს. ამონას ერთადერთი ისარი შერჩა ჩენოდა. ელვის სისწრაფით სტყორცნა ხვადს შიგ დაღრენილ ხახაში. უმაღვე ისკუბა გაავებულმა ძუმ და ვაჟკაცს მკერდზე მიახტა. მხოლოდ მარცხენა ლაწვის დაბრჭყალვა მოასწრო. ამონამ მხეცს ფოლადის თითები ყელში ჩაავლო და გაგუდა... ხვადის ტყავი აფსირტეს უსახსოვრა, მეორეს — თვითონ ატარებს“...

ამონა მეფე-დედოფალს მიეახლა, თაყვანი სცა და ორივეს ხელზე ეამბორა.

აიეტი კვლავ საამოდ იღიმებოდა.

დედოფალმა ალერსიანი ხელით გადაუვარცხნა შავი გრუზა თმები მის წინ დახრილ ვაჟკაცს. მერე ბრჭყალდაკრულ ლაწვზე დაუსვა ხელი; თითქოს უამებდა ძველ ნაიარებს.

ამონა კალთაზე ეამბორა დედოფალს. უკუდგა და გაიმართა. გულზე ხელები დაიჭლო. თაყვანი სცა დედოფლის მარცხნივ მჯდარ ქალკიოპეს და მედეას.

თვალი გაუშტერდა.

„ამონა!“

გამოარკვია ის მეფის წყნარმა ხმამ.

სტუმარზე ანიშნა აიეტმა.

ამონამ პირი ბერძნებისაკენ იბრუნა. კვლავ დაიჭლო მკერდზე ხელები და თავი დაუკრა. სათითაოდ გადაავლო თვალი და წამით იასონზე შეაჩერა მზერა.

ბერძენთა ბელადს რალაც უსიამო ყრყოლამ დაურბინა ტანში, როცა კოლხმა დევკაცმა მის თვალებს უჭიათი მზერა ესროლა.

იასონი ვერ მიხვდა, რა გრძნობა იყო ეს, შიშისა თუ შურისა.

ისე კი შავი თვალეები ჰქონია ამონას, ისეთივე შავი და მგრძნობიარე, როგორიც მედეას.

იასონს მედეა მოაგონდა.

მისკენ გაიხედა.

მედეა მას უცქერდა.

ერთმანეთს შეხვდა მათი მზერა.

მეფის ასული აენტო...

ნადიმი გრძელდებოდა. ცდილობდნენ ტკბილად წარმარ-

თულიყო სტუმარ-მასპინძლობა. არ ეწყობოდა. ყველა გრძნობდა რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო. უგემურად გადადიოდნენ თასებს.



ბერძნებს ერთი რამ თავიდანვე უკვირდათ: კოლხები შემ დვინოს სვამდნენ, შიგ წყალს არ ურევდნენ.

მასპინძლებში თავშეკავებულმა სიცილმა ჩამოირბინა, როცა სტუმრებმა ღვინოში წყლის გარევა ითხოვეს.

უგუნებო მეფეს მაინც არ სურდა, პურობა უგემურად გათავებულიყო.

„ჩონგური“ დინჯად ბრძანა მან.

ჩონგური მოართვეს. უმცროს ასულს გაუწოდა.

„ბერძნული რამე უმღერე სტუმრებს!“

მედემ უარი ვერ შეჰპებდა მამას. ჩონგური ჩამოართვა უცნაურად აღელვებულმა.

ჩამოართვა და სიმებს ჩამოჰკრა ნატიფი თითები. უტკბეს ბგერათა ნაზი რხევა გაიჭრა ეთერში.

მღეროდა მედეა.

სუფრა გაინაბა. ღვთაებრივ ჩიტთა გალობა შეწყდა მეფის ბალნარში მეფის ასულის ღვთაებრივ ხმაზე.

მღეროდა მედეა. თვალები დაეხუჭა. თითქოს ორი ფრთადაკეცილი შავი პეპელა ესვენა სპილოს ძვლის ფონზე.

მეფის ასული უმღეროდა ეროსს, სიყვარულის ღმერთს, მღეროდა მედეა:

„ცელქია ეროსი, დაუდგრომელი ჭაბუკი, დაუნდობელი, სასტიკი. ადამიანთა გულებით თამაშობს ეროსი ისე, როგორც ბავშვი ერთობა ბურთის თამაშით. უბედური ადამიანის გული არის მისი სასტიკი ისრის სამიზნო“.

მღეროდა მედეა:

„თვით უკვდავი ღმერთებიც კი ვერ გაურბიან აფროდიტეს ცელქი ჭაბუკის ყოვლისმძლე ისარს. ო, რა სასტიკად დასჯის ხოლმე ეს პატარა ღვთაება-ბიჭი თვით დიად ღმერთებს!.. აი, როგორ დაამარცხა ცელქმა ეროსმა სიყვარულის მწვავე ისრით მძლეთამძლევი აპოლონი: მწარედ დასცინა აპოლონმა აფროდიტეს ვაეს; უთხრა, რად გინდა, პატარა ბავშვო, ეგ მშვილდ-ისარი? განა, ხმარება შეგიძლია?.. საპასუხოდ მიუგებს ეროს: დიღო აპოლონ, შენი ისრები ყველა



სულდგმულთ იმორჩილებენ, მაგრამ გახსოვდეს, ამ პატარა ისრით მე ძალმიძს შენც დაგამარცხო, მძლეთამძლე ღმერთი გადანიხარხარა აპოლონმა. ვაფიცხდა ეროს, კამარა შექკრა, მოავლო თვალი მიწაზე. ხედავს მოდის მდინარის ღმერთის პენევსის ქალი, მშვენებით სავსე ნიშნა დაფნა. წამს გადმოილო კაპარჭიდან ორი ისარი: ერთი ოქროსი — სიყვარულისა, მეორე ტყვიის — სიძულვილისა. სიყვარულის ისარი სტყორცნა აპოლონს გულში, სიძულვილით კი დაფნა დაისრა. მას აქეთ მუდამ ფეხდაფეხ სდევდა სიყვარულით აღმოდებული დიდი აპოლონის მძულვარებით აღჭურვილ დაფნას. ბოლოს თვით ქალმა, ბრწყინვალე ღმერთის დევნისაგან შეწუხებულმა, მამას სთხოვა, შეეცვალა იმისთვის სახე, თუნდ ხედ ექცია. შეისმინა პენევსმა თხოვნა თავისი ასულის და აქცია იგი ხედაფნად. დანალვლიანდა აპოლონი. მას შემდეგ იგი თავის მიჯნურის მოსაგონებლად მუდამ თავს იმკობს დაფნის რტოებით. დაფნის გვირგვინით თავშემკობილი გლოვობს სიყვარულს ბრწყინვალე ღმერთი სინათლის და ხელოვნებისა!..

და ვაი მაშინ, თუ მხოლოდ ასე, მარტო შენ დაგჭრა გულში ეროსმა და სიყვარულით არ აღაგზნო იმისი გულიც, ვისთვისაც მან სიყვარულის ისრით დაგკოდა!..“

მღეროდა მედეა:

„მაინც ტკბილია ცელქი ეროსის მწარე ნესტარი; ტკბილიც და მწარეც; ნექტარიც, შხამიც; ნეტარებაც და მწუხარებაც; სიხარულიც და მძიმე სევდაც; ბედნიერებაც, უბედურებაც; სიცოცხლეცა და სიკვდილიც!..“

მღეროდა კოლხი ფერია.

შესტკეროდა ქანდაკადქცეული ამონა სპილოს ძვლის ფონზე დასხმულ შავ პეპლებს.

აი, სადაც არის სიმღერა დასრულდება. ის პეპლები ფრთებს გაშლიან და გრძნეული შავი თვალეები კოლხი ვაჟკაცის აღგზნებულ თვალეებს შეხვდებიან!

მუდამ ასე ხდებოდა: მედეა სიმღერას დაასრულებდა და ზირველ მზერას ამონას ესროდა, მხოლოდ ამონას.

სიმღერა დასრულდა. ჩონგური უკანასკნელად აკვნესდა და მასთან ერთად ქალის ბავიდან მომდინარე გრძნეული ბგერების თრთოლვაც მიწყდა.

მედეამ თვალი გაახილა.

ამონა ელდამ გააფითრა: ქალის მზერა მას აღარ ექმნებოდა!
ნოდა!

მეფის ასული უცხოელს უცქერდა — იასონს!

ამონას აღარ გაუგონია სუფრის ერთიანი აღტაცების შეძახილი მედეას მიმართ. მას დაძაგრული მზერა მიეპყრო ბედნიერი ბერძნისათვის...

„ამონა!“

ისევ გამოარკვია მეფის ხმამ.

აიეტს ჩონგური გაეწვდინა მისთვის.

„ამირანი!“

უარი ვერ შეჰბედა გულდაკოდილმა ვაჟკაცმა. ჩონგური ჩამოართვა და სასიმღეროდ ძლივს დასძრა ტირილს მოწყურებული გული.

მღეროდა ამონა.

სიყვარულს აღარ უგალობდა ჭაბუკი.

მისი სიმღერა რისხვა იყო, გულგამეხილი ვაჟკაცის დრტვინვა, მომხიბვლელიც და თავზარდამცემიც.

მღეროდა კოლხი:

„რისთვის დაადო ბორკილები გულზეიადმა ელინთა ღმერთმა ჩვენს გმირს ამირანს? კაცთა მოდგმის სიყვარულისთვის!.. ამირანი იყო ჩვენი თავგანწირული ქომაგი და უბრძნესი მოძღვართა მოძღვარი. იმან მოსტაცა ცეცხლი ზეცას და ადამიანს ჩამოუტანა. გაათბო იგი, ასწავლა ცეცხლით სარგებლობა. გაუხსნა გონი, ასწავლა წიგნი, ცხოვრების სიბრძნე, ბუნების ცოდნა. შეაჩვია შრომას და ბრძოლას, ყოველ სიკეთეს, რასაც დღემდე კაცნი მისდევენ. ასწავლა მიწის გულის გადახსნა, თესლის ჩაგდება და ოფლით ტკბილი ლუკმის მოწევა“.

მღეროდა ამონა:

„კოლხეთი იყო უპირველესი საცდელი ბრძენი ტიტანისა. პირველი ხნული მისი ბრძანებით აქ გაავლეს დედამიწაზე და იმ ხნულში პირველმა კოლხმა მიწათმოქმედმა ჩათესა თესლი კაცთა არსობის. კოლხეთი არის უპირველესი გეორგია. გეორგია მიწისმოქმედთა ქვეყანაა. უპირველესი გეორგები — მიწათმოქმედნი არიან კოლხნი... სწორედ იმიტომ უმტრო ზევსმა დიად ამირანს: როგორ გაბედვდ მფარველობა კაცთა მოდ-

გმისა! დაბორკა და მათა მეფეზე — კავკასიონზე მიაჯაქვა. ყოველ დილით გულმკერდს უფლითავს ზევსის არწივი; კეთილი სისხლით ირწყვება კოლხეთის მიწა!.. მაგრამ ღრკება ამირანი! დაე, იტანჯოს ადამიანთა სიკეთისათვის! მას ურჩევნია წამებით იწვეს კავკასიონზე, ვიდრე ჰერმესის და სხვა ღმერთთ მსგავსად მონასავით ზევსს ემსახუროს!.. არ გატყდება ამირანი! მოვა დრო და დიადი გმირი დალევავს იმ უმძიმეს ხუნდებს. ადამიანებს დაუბრუნდება მათი მფარველი, მოჭირნახულე ბრძენი ტიტანი!“

და ასე დაასრულა სიმღერა — თავისი სიცოცხლის უკანასკნელი სიმღერა — კოლხმა:

„ელადის ღმერთმთავარმა შეჰყარა ესოდენ წუხილი კოლხეთის გმირსა და მოძღვარს. ასე ვერ ურიგდებიან ელინები არაელინთა აღზევებას. ისინი მუდამ სხვისი დასაკუთრების ლტოლვით არიან შეპყრობილნი... დაე, ნურასდროს მოსულიყვნენ ელინნი კოლხეთს ასეთი ზრახვით! დაე, ნურასდროს გაებედოთ კოლხეთის სტუმრებს ავად გადახდა ალალი კოლხის მასპინძლობით მიწოდებული თბილი ჰერის და ტკბილი ღვინისა!..“

კოლხები ილიმებოდნენ. სტუმრები მონუსხულნი ისხდნენ. ამონა დადუმდა და ქალწულს გახედა.

მედია და იასონი კვლავ ერთმანეთს უცქეროდნენ. მათ თითქოს არც მოუსმენიათ ამონას სიმღერა.

ამონა წამოდგა. სულ გაფითრებულიყო. მეფის წინაშე დადრკა და წასვლა ითხოვა.

მიხვდა გრძნეული მეფე. ოდნავ დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

აფსირტე წამოიჭრა. უნდოდა გაჰყოლოდა. ამონამ მხარზე დაადო მძიმე ხელი და წამოდგომა არ დაანება.

გაბრუნდა. წელათრეული მიდიოდა. დალახვრულივით მიბარბაცებდა დევკაცი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ნადიმმა სანადიმო ხალისი დაჰკარგა.

ყველა გრძნობდა: ბარემ მომხდარიყო მოსახდენი.

აიეტმა აუტანელი მოლოდინის ძაფი გაწყვიტა. მისი მზერა შვილიშვილებს მისწვდა.

„შვილებო, — დინჯად დაიწყო მან, — გვამცნეთ, როგორ დაბრუნდით კოლხეთში, ან რა უბედურება შეგემთხვათ, არ დამიჯერეთ? აკი გითხარით, ვერ შესძლებდით ამ სახითა-
თო გზის გადალახვას. რამ დაგაბრკოლათ, ან სად არის ჩემგან ნაბოძები ხომალდი?.. ან რა სურთ სტუმრებს?“

ენა დაითაფლა უფროსმა შვილიშვილმა არგოსმა. მეფეს თაყვანი სცა და დაიწყო:

„დიდებულო მეფე, მძლევამძღველო ჰელიოსის ძეგ! შენგან ნაძღვნევი ხომალდი ქარტეხილმა დაგვიმსხვრია. ჩვენ ძლივს მივაღწიეთ ცოცხლებმა კუნძულ არეტიადას. იქ ამ გმირებმა დაგვიჩხნეს შიმშილისა და მოისარი ფრინველები-საგან. ესენი შენი სამფლობელოსავენ მოდიოდნენ და ჩვენც მათ გამოყვევით.“

ცოტა შეყოყმანდა და განაგრძო:

„ელინ გმირთა ბელადი იასონი იოლკოსის მეფის, მრისხანე პელიასის ბრძანებით გამოეშურა კოლხეთს... მას ნაბრძანები აქვს... ნაბრძანები აქვს...“

ენა დაება ფრიქსეს ძეს.

აიეტს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

„რა აქვს ნაბრძანები?“

არგოსმა გული გაიმაგრა და ხმამაღლა თქვა:

„მას ნაბრძანები აქვს კოლხეთიდან ელადაში წაიღოს ოქროს საწმისი...“

„ოქროს საწმისი?!“ ერთხმად აღმოხდათ სუფრის გარს მსხდომთ.

მეფეს თვალები სისხლით აევსო. არგოსს სიტყვა ჩაუწყდა.

აიეტმა სტუმრებს გაჰხედა და რისხვაშეკავებით მიმართა:

„დამთავრდა თქვენი სტუმრობა, ბერძნებო, თქვენ სამტროდ მოსულხართ, ხოლო მტერი კოლხთა მიწაზე ფეხს ვერ მოიდგამს!.. სანამ ჰელიოსი თავის ბრწყინვალე სხივებს დედამიწიდან აიკრებდეს, მანამ დასტოვეთ ჩემი ქვეყანა!“

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

უცებ ფეხზე წამოიჭრა ცოფმორეული ტელამონი.

„მეფე აიეტ, ელადის შვილნი ჩვეული არ არიან თავის მიზანზე ხელის აღებას! განა ამდენი ღვთაებრივი გმირი იმისთვის მოვსულვართ, რომ ხელცარიელი, შერცხვენილი გავ-



ბრუნდეთ უკან?.. ოქროს საწმისით უნდა დავამშვენოთ ღვთა-
ებრივი ხომალდი „არგო“! ოქროს საწმისს, ელოდება მთელი
ელადა!“

აიეტს რისხვამ შეუკრა სახე. ტელამონს სისასტიკით ანთე-
ბული თვალები მიაპყრო და კბილებში გამოსცრა:

„რა ბოროტი სახე და ბნელი სული ჰქონია ამ მყვირალა
კაცს!“

„კოლხთა ხელმწიფევ, შენს მიწაზე ორმოცდაათი ღვთა-
ებრივი გმირი მოვსულვართ!“ მუქარით მოსჭრა ავგიამ.

აიეტმა დამცინავი მზერით გაჰყინა ელიდის მეფე და ია-
სონს მიუბრუნდა:

„ტურფა ყმაწვილო, იმ „ორმოცდაათ ღვთაებრივში“ ორი
გულდინჯი, ჭკუაღამჯდარი მხლებელი ველარ გამონახე?“

ისევ იფეთქა ტელამონმა:

„ხელცარიელი არ დავბრუნდებით!“

„დაე, აქ დარჩით! კოლხურ მიწასაც შეუძლია დაამიწოს
სამტროდ მოსული!“ გაისმა მეფის დინჯი პასუხი.

„ოქროს საწმისს ელოდება მთელი ელადა!“ გაიმეორა ავ-
გიამ ტელამონის ერთხელ ნათქვამი.

„დაე, ელოდოს, ვიდრე ლოდინი არ მოსწყენია!“ კვლავ
დინჯად თქვა მეფემ.

„ორმოცდაათი გმირი მოვსულვართ...“ კვლავ სცადა ავ-
გიამ თავგამოდება, მაგრამ მეფემ კვლავ შეაწყვეტინა:

„ის აჯობებდა, ორმოცდაათი გმირის კრებული ამ თქვენს
ბელადს კანონიერი სამეფო ტახტის მოპოვებაში მიშველე-
ბოდა და ასეთ შორეულ და ხიფათით სავსე ლაშქრობაში
უნაყოფოდ არ გარჯილიყო!“

„ჩვენ კი არ ვფიქრობთ, რომ უნაყოფოდ გვილაშქრნია!“
იყვირა ტელამონმა.

რისხვას ველარ იჭერდა აიეტი:

„მაშ, მაინც ფიქრობთ, რომ კოლხეთში თქვენს საოცნებო
საგანს მოიძიებთ? იქნებ კოლხეთის დაპყრობაც გასურდეთ?!
ბერძნები ხომ მუდამ სხვისის დაპატრონებას ხართ დაჩვეული.
რეჰეველად ისიც გასმენიათ, რომ აქ, ჩემს ქვეყანაში, კავკასიო-
ნიდან დაქანებულ მდინარეებს თან მოაქვთ ოქროს ქვიშა და
ჩვენ იმ ოქროს ცხვრის ტყავებით ვიღებთ! ოქროს საწმისიც

სწორედ ეგ არის: ოქროს ქვიშით დატვირთული ცხვრის ტყავი.. თქვენ მისი წაღები გინდათ, ესე იგი ოქროს ქვეყნის დასაწყისად ყრობაც მოგსურვებიათ! ხოლო ასეთ თავხედურ სურვილს ბოლოში სიკვდილი უზის!“

ტელამონს რალაცის თქმა სურდა, მაგრამ აიეტის მწყურალ-მა ხმამ ენა დაუდღუმა:

„არც ერთი სიტყვა!.. ბედი თქვენი, რომ ჩემს სუფრას შე-
ეხეთ, თორემ ხელებდასხებილნი და ენამოროთმეულნი დაუბ-
რუნდებოდით თქვენს ელადას!“

ეაქის ძე გონს მოეგო და უკვე მზად იყო სამაგიერო სი-
ტყვებით გამოელანძღა მეფე, მაგრამ იასონმა სარტყელში
ხელი სტაცა და ძალით დასვა. ბერძენთა ბელადი თვითონ წა-
მოდგა, მეფის წინაშე ქედი მოიხარა და მშვიდად მიმართა:

„დიდებულო მეფეო, ბრწყინვალე ჰელიოსის ძევი! გემუდა-
რები, შეწყვიტო ეგ უსამართლო რისხვა! ღმერთები ხედავენ,
სამტროდ არ მოვსულვართ შენს ქვეყანაში. დაგვერწმუნე,
არც სიხარბეს წაუვუქეზებდევართ კოლხეთს სალაშქროდ. ვინ
გაბედავდა თავისი ნებით ამოდენა ზღვის გადმოლაზვას სხვისი
სამეფოს მისატაცებლად? მე ღმერთის გადაწყვეტილებამ და
ბოროტი მეფის, პელიასის, ბრძანებამ მაიძულა კოლხეთს გამომ-
გზავრება... მოიღე მოწყალეობა, დიდო მბრძანებელო, შეისმინე
ჩვენი თხოვნა, დაგვითმე ოქროს საწმისი!“

აიეტი თითქოს დაამშვიდა იასონის დათაფლულმა სიტყვამ.
მან წყნარად ჰკითხა ბერძენთა ბელადს:

„თუ გესმის, ელინო ყრმაო, რას ნიშნავს ეგ შენი თხოვ-
ნა?“

იასონმა ვერაფერი უპასუხა. თითქოს ვერც კი გაიგო აიე-
ტის კითხვა.

„თუ გესმის-მეთქი, რას ნიშნავს ითხოვო ოქროს საწმისი?
ანდა რა არის თვითონ ოქროს საწმისი?“ გაიმეორა მეფემ.

იასონმა აჩქარებით დაიწყო:

„როგორ არა, მბრძანებელო! ოქროს საწმისი ცხვრის ტყა-
ვია, ოქროს ცხვრის ტყავი!“

„არა, ყმაწვილო, ის მარტოოდენ ცხვრის ტყავი როდი გახ-
ლავს. იგი არის სიმბოლო და ნიშანსვეტი ჩემი ქვეყნის სიმ-
დიდრისა და სიდიდისა!“

მცირე ხნით შეჩერდა მეფე, ტელამონსა და ავგიას გაავ-
ბული მზერა დაადგა და მკაცრად დაასკვნა:

„ამიტომ ყველა, ვინც ოქროს საწმისის საძიებლად სტუმ-
მართმოყვარე კოლხეთს ეწვევა, იპოვნის არა საწმისს, არა-
მედ სიკვდილს!“

„ასეთ სიმკაცრეს ნუ ინებებ, დილო მეფეო!“ ისევ დაიწყო
იასონმა.

„ეცადეთ, ნუ გამოიწვევთ ჩემს გულისწყრომას!“

„ჩვენ მზადა ვართ სამაგიერო გადაგიხადოთ ოქროს საწ-
მისისათვის!“

„ქვეყნის დიდებას ვინ გაპყიდის?!“

„ჩვენ ვიცით, კოლხებს სავრომატებთან გაქვთ ბრძოლები
და ამ ბრძოლაში დაგეხმარებით!“

„დახმარებას უსუსურები საჭიროებენ!“

იასონს ბრაზით და სასოწარკვეთით სახე წითლად აუფო-
რეჯდა და ხელაპყრობით შეჰლაღადა:

„მაშ, რაც გსურდეთ ის გვიბრძანე და შეგისრულებთ!“

აიეტს თითქოს შეეცოდა იასონი. კარგა ხანს მდუმარედ
მისჩერებოდა ბერძენთა ბელადის მუდარით სავსე სახეს.

მეფე რაღაც ფიქრებს ჩაღრმავებოდა.

ყველა სულგანაბული ელოდა მის პასუხს. თან იგრძნობო-
და, რომ მეფის ეს მომდევნო სიტყვა საბოლოო, ურყევი გა-
ნაჩენი იქნებოდა ყველასათვის და პირველ რიგში იასონი-
სათვის.

აიეტმა თავი ასწია, იასონს შეხედა და დაიწყო:

„გამიგონე, უცხოელო! თუ თქვენ მართლა ღვთაებრივი
გმირები ხართ და უნარი შეგწევთ კოლხეთის მეფეს გაუ-
ტოლდეთ, მე დაგითმობთ ოქროს საწმისს...“

აღტაცების ყივილი აღმოხდათ ბერძნებს.

„ნუ აჩქარდებით, ჯერ მომისმინეთ, — განაგრძო მეფემ, —
მე ძალიან ვაფასებ მამაც ვაჟკაცებს და მათზე თქვენი გულ-
ნამცეცა პელიასივით არ ვშურიანობ.“

„ღიახ, — თვალს არ აშორებდა ის იასონს, — პატივს ვცემ-
მეთქი ვაჟკაცობას და თუ შენ ნამდვილი გმირი აღმოჩნდები,
ღირსიც იქნები მოიპოვო ოქროს საწმისი. მაგრამ ჯერ უნდა
დავრწმუნდე შენს ვაჟკაცობაში; უნდა გამოგტადო!“

„მიბრძანე, დიდებულო მეფემ!“ შესძახა ალტყინებით და მოუთმენლობით ათრთოლებულმა იასონმა.

„არ შეუშინდები, როგორი მძიმე და სახიფათოც არ უნდა იყოს?“ თვალბში ჩაჰკითხა მეფემ.

„თუ გინდ კავკასიონის მთებს შევძრავ, ხელმწიფეო! ვნებავს ატლანტს შეგენაცვლები და მის მაგივრად ცის თაღს ჩემს მხრებზე დავიდგამ!“ სულმოუთქმელად მიაძახა ბერძენთა ბელადმა.

აიეტს რაღაც უცნაურმა, მრავლისმაუწყებელმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ნიკაპზე ხელი მოივლო და უამბო ბერძნებს:

აღბათ მათაც გაუგონიათ: როცა ზევსი თავისი ღმერთებით ფლეგრის ბრძოლაში ტიტანებს ერკინებოდა, ღმერთი ჰეფესტო დაქანცული დაეცა თურმე საომარ ველზე. მას დალუპვა არ ასცდებოდა, მაგრამ ამ დროს მოიჭრა ჰელიოსი, თავის ეტლზე აიტაცა და გადაარჩინა გონწართმეული ცეცხლის ღმერთი. სამაგიეროდ მადლიერმა ჰეფესტომ აიეტს, ჰელიოსის ძეს გამოუჭედა სპილენძისფეხებიანი ხარები. იმ ხარებს სპილენძისავე ხახიდან და ნესტოებიდან ცეცხლი ამოჰქუხთ. ამას გარდა, ჰეფესტომ აიეტს აჩუქა მტკიცე ფოლადით ნაჭედი უზარმაზარი გუთანის. კოლხეთის მეფე ამ გუთანში სპილენძის ცეცხლოვან ხარებს აბამს და არესის ველზე ოთხდღიურ მიწას ნახევარ დღეში ხნავს. თან ხნულში გველეშაპის კბილებს სთესავს. ასეთი თესლიდან მცირე ხნის შემდეგ ხნულში ამოდიან საომარი იარაღით აღჭურვილი დევგმირები და მყისვე იარაღის ზათქით მისცვივდებიან გუთნისდედას. აიეტი შუბს გამართავს, დევებს დაერევა, გაფანტავს და სულ ერთიანად გაჟლიტავს. ხვნას დილით იწყებს, საღამოს კი შეჭურვილ დევთა ცელვას ამთავრებს...

აიეტმა იასონს თვალი დაადგა და შეუვალი ხმით დაამთავრა:

„თუ შენც ასე შეასრულებ ამ საქმეს, იმავე დღეს მიიღებ ოქროს საწმისს!“

ნელმა შეკვივლებამ გამოაფხიზლა ქვაღქცეული მსმენელი, მედეა იყო.

მეფემ მწყრალი თვალით გადახედა ქალების მხარეს.

დედოფალი იდია წამოდგა. ქალკიოპეს და მედეას ანიშნა.
სამთავრო სასწრაფოდ გაშორდნენ სუფრას.

ბერძნები ზარდაცემული იხსდნენ.

„რას ჩაფიქრდით, ბერძნებო, — თქვა აიეტმა, — ჩემს გარდა ჩემს ქვეყანაში სხვასაც შეუძლია ამ დავალების შესრულება!“

„ვის?“ თითქოს წამოსცდა ტელამონს.

„აი!“ აჩვენა მეფემ მოლიმარ აფსირტეზე და დაუმატა:

„და კიდევ მას, ვინც ახლახან გიმღერათ ამირანზე — პრომეთეზე!“

იასონი მკვდარივით იჯდა.

ისევ მეფის მკაცრად ნათქვამმა გაჰკვეთა დუმილი:

„სხვა გზით ოქროს საწმისს ვერავინ წაიღებს!.. განა ღირსეული საქმე იქნება, რომ მამაცმა ვაჟკაცმა ლაჩარსა და უმწეოს სავაჟკაცო საგანი დაუთმოს?!“

სიტყვა „ლაჩარმა“ ააფეთქა დაზაფრული იასონი.

„ჰა, რას იტყვი, უცხოელო, შეშინდი?.. მე კი ვაჟკაცი მეგონე!“ თითქოს სინანულით თუ დაცინვით თქვა მეფემ.

ცეცხლი მოედო იასონს. ფეხზე წამოიჭრა თავმომწონე გმირი, მხრებში გაიშალა და უბასუხა:

„მეტად მძიმე პირობის შესრულებას მაკისრებ, მეფეო! მაგრამ მეტი რა გზა მაქვს!.. უნდა ვიკისრო... ჰო, ვკისრულობ. ვეცდები შევასრულო... თუნდაც სიკვდილი მომელოდეს!.. ვერაგმა ბელიასმა ასეთ განსაცდელში ჩამავდო... დაე, მოხდეს, რაც ბედისაგან მიწერია!“

მეფემ ისევ შეურყევლად წარმოთქვა:

„რაკი კისრულობ, გისურვებ კიდევ შეასრულო! დამერწმუნე, არ მეწყინება, თუკი შენი ვაჟკაცობით მასიამოვნებ. ახლა წადი და შეუერთდი შენს ლაშქარს, კიდევ დაფიქრდი, ყველაფერი აწონ-დაწონე!“

ეს თქვა და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ. მეფეს თაყვანი სცეს. აიეტმა სტუმრების თაყვანს ოდნავი თავმოდრეკით უბასუხა და სასახლისაკენ გაეშურა.

იასონი, ტელამონი და ავგია უფლისწულსა და დანარჩენ კოლხებს დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

მათ გაჰყვა არგოსი. მისი ძმები კი სასახლეში დარჩნენ.
სასახლის სარკმლიდან მედეას ცრემლიანი თვალები
ცილებდა იასონს...



ბ რ ძ ნ ე უ ლ ი ძ ა ლ ი

არგონაველები ხმაურით შემოეხვივნენ ქუთაიიდან დაბრუნებულ გმირებს.

იასონმა ნაღვლიანად უამბო, როგორ შეხვდნენ კოლხები, რარიგ განარისხა აიეტი ოქროს საწმისის მოთხოვნამ და რა საშინელი დავალების შესრულება უბრძანა კოლხეთის მეფემ ელინთა ბელადს.

არგონაველებმა დუმილით გადაავლეს ერთმანეთს თვალი. ყველა მიხვდა, რომ არავითარ სულდგმულს არ შეეძლო აიეტის ბრძანების შესრულება. ეს თვით ოლიმპელ ღმერთებსაც გაუჭირდებოდათ!

„მერე, შენ დაეთანხმე ასეთ გამოოცდაზე?“ ჰკითხა პელევსმა.

„მე პირობა მივეცი მეფეს!“ უპასუხა იასონმა.

„რას ამბობ, ასეთ რამეს ჰერაკლეს კი ვერ გაბედავდა!“

„სხვა რა გზა მქონდა?“

თან მტკიცე, ჩაფოთლადებული ხმით დასძინა:

„თუ გინდა მოვკვდე, სიტყვას არ გაგტეხ! ისეთი დამცინავი თვალით გადმომხედა კოლხეთის მბრძანებელმა!.. არა, არ ვათქმევინებ, მშიშარა ყოფილათ ელადის გმირი!“

არგონაველები კვლავ მწარე ფიქრს მიეცნენ.

ისევ პელევსმა დაარღვია დუმილი.

„მართლაც ძნელია უკან წაიღო სიტყვა, რომელიც ასეთი ღვთისტოლა კაცისათვის მიგიცია... ხანგრძლივი ბჭობის დროც აღარ არის. ბარემ გადავწყვიტოთ. იასონ, თუ მართლა აპირებ აიეტის ცეცხლოვან ხარებს შეერკინო, მაშ გაემზადე! მაგრამ თუ სავსებით არა ხარ დარწმუნებული შენს ძალასა და მამაცობაში, უმჯობესია ნუ შეეცდები შეასრულო შეუძლებელი. ნურც ჩვენს რიგებში ეძებ შენს შემცვლელს. პირადად მე ამ საშინელი დავალების შესრულებას ვერ ვიკისრებდი!..“

პელევსს ტელამონმა დასრულება აღარ აცალა. ძმის უიმედო სიტყვამ გააცოფა ის:

„რას ამბობ, პელევს! ველარ გცნობ, ძმაო! აბა, ჩვენს რის ვინ იქნება ისე ლაჩარი, სიკვდილს შეუდრკეს? სირცხვილს ვინ შეჭამს? განა მაგისტვის გადმოვლახეთ უსაზღვრო ჭირით ნაფენი გზები! აი, მე მზად ვარ შევხვდე თუნდაც ცეცხლოვან ხარების ჯოგს და ვეშაპისაგან წარმოშობილ გიგანტთა ლაშქარს!“

იდასმა შუბი შეაზანზარა და იღრიალა:

„მე კი მზად ვარ შევერკინო თვით კოლხეთის ღვთაებრივ მეფეს!“

თან გამომწვევად გადახედა მეტოქე ბიძაშვილებს, პოლიდეკეს და კასტორს.

ტყუპებს გაეცინათ.

„კვებნა რად გვინდა. ჩვენ ყოველთვის მზად ვყოფილვართ თავი დავდოთ ელადისათვის!“

ტქვეს და მძიმე საჭურვლის ჟღრიალით დაწინაურდნენ.

„ვაუკაცებო, წინ მე მიმიშვით, უმცროსობისთვის ნუ დამჩაგრავთ!“ გამოიჭრა მელეაგრე, ყველაზე ახალგაზრდა არგონაველი.

პელევსი შეწუხდა.

„რას ამბობთ, ვაუკაცებო, განა შიში ოდესმე უნახავს ეაკის ძეს?! როდის ან ვისთვის დამითმია გამირობის კვერთხი? განა შიშმა გამიფრთხო გული? მე მხოლოდ ვამბობ, რომ აიეტის დავალებას უეჭველი სიკვდილი მოსდევს. მაგრამ თუ სიკვდილი ასე საჭიროა, წინ ვინ გამისწრებს! მე მზადა ვარ, მიწინამძღვრეთ და შემიწირეთ!“

საომარ ცეცხლით ანთებულიყო ყრმა აქილევსის მამა.

აზრიალდნენ ოქროს საწმისის მაძიებლები.

აღელვებულებს წინ გადაუდგათ ფრიქსენ ძე არგოსი.

„შესდექით — შესძახა მან. — განა ასე უაზროდ დალუპკა გადაწყვიტეთ?!“

„რის დალუპკა, აიეტს უნდა ვაზღვევინოთ!“ იყვირა იდასმა.

„დალუპკაც სწორედ ეგ არის! კოლხეთის მეფეს ნუ ეხუმრებით!“

გმირები შედგნენ. არგოსმა განაგრძო:

„ყური მიგდეთ, მეგობრებო, ასეთ უაზრო სიკვდილს იქნება სხვა რამემ აჯობოს... რა თქმა უნდა, აიეტის დავალება შესრულდეს, უამისოდაც კოლხეთიდან ოქროს საწმისს ვინ წაიღებს, მაგრამ იქნებ სხვა გზით მოხერხდეს მეფის ბრძანების შესრულება. სიკვდილს კი მერეც მოვესწრებით“.

„სხვა გზა არ ვიცი“.

„მხოლოდ იარაღი“

კვლავ საქურველი ააეღარუნეს.

„შეჩერდით-მეთქი — ხმას აღმალა არგოსმა. — მოუფიქრებლობით დაღუპვას ჭკუადაძვადარი თავშეკავება სჯობია. დამშვიდდით, გული დაიცხრეთ და მომისმინეთ: მეფე აიეტს ჰყავს ასული...“

„მედეა!“ მღელვარედ შეაწყვეტინა იასონმა.

„ჰო, მედეა. თქვენ უკვე იცით“, მიმართა არგოსმა იასონს, ტელამონს და ავგიას.

ფრიქსეს ძემ განაგრძო და უამბო, რომ მედეას მისმა ბიძაშვილმა ქალღმერთმა ჰეკატემ ჯადოსნური წამლების შემზადება შეასწავლა. იმ წამლებით გრძნეული ქალწული უცნაურ სასწაულებს ახდენს. მას შეუძლია ერთ წამში გაანელოს და უვნებელჰყოს გაშმაგებული ცეცხლის ალი, შეაჩეროს მთიდან მოვარდნილი მდინარეები, გზა დაუბნოს და დაუხლართოს ცის მნათობებს — მთვარეს, ვარსკვლავებს.

არგოსი წუთით შეჩერდა და ნელ-ნელა, დაბეჯითებით მოჭრა:

„თუ მოვახერხეთ და გრძნეული მედეა დავიხმარეთ. მაშინ საწმისი თქვენს ხელთ იგულეთ“.

„მერე ეგ როგორ მოხერხდება?!“

„მეფის ასული უცხოელებს რად გვიმეგობრებს?!“

„ოჯახს, ქვეყანას რად უღალატებს?!“

ატყდა შეძახილები.

არგოსმა დაასრულა:

„მე ეს ვიფიქრე: თუ თქვენ ჩემს რჩევას მოიწონებთ, ახლავე ქუთაიაში გავბრუნდები. შევევედრები ჩემს დედას ქალკიოპეს, იქნებ ჩვენს დახმარებაზე დაიყოლიოს მედეა“.

როგორც კი არგოსმა სიტყვა დაასრულა, ხომალდზე დამფრთხალი მტრედი შემოფრინდა. უკან ქორი მოსდევდა.

მტრედმა იასონის წამოსასხამს შეაფარა თავი, ხოლო მტაცებელი ანძას შეასკდა და მკვდარი ჩამოვარდა ძირს.

მისანმა მოპსემ მაშინვე ახსნა ეს შემთხვევა:

მტრედი აფროდიტეს საყვარელი ფრინველია. ის სიკვდილს გადაურჩა, — იასონის მკერდზე იპოვნა თავშესაფარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიყვარულის ქალღმერთმა აიეტის გრძნეული ასული ბერძენთა ბელადის ტრფობის ცეცხლით აღანთო. იგივე შთააგონებს მედეას — დაეხმაროს იასონს. აკი ფინევსმაც უწინასწარმეტყველა არგონაველებს, აფროდიტე აღმოგიჩენთ დახმარებასო.

„აბა, მეგობრებო, მოუწოდეთ სიყვარულის მფარველ ღვთაებას და დაუჯერეთ ფრიქსეს მის რჩევას!“ დაასკვნა მოპსემ.

არგონაველებმა ახლა უყოყმანოდ მიიღეს მოპსეს წინასწარმეტყველება და არგოსის რჩევა.

მხოლოდ იდასი განარისხა თანამებრძოლთა გადაწყვეტილებამ. მას არ მოეწონა სავაჟაკო საქმეებში ქალების ჩარევა. ზიზლით იფურთხებოდა და იძახდა:

„ლაჩრებო, მტრედებისა და ქორების დანახვა გაღებინებთ ბრძოლაზე ხელს?! საბრალო, უმწეო ქალწულის შეცდენით აპირებთ საქმის მოგებას?! ისევ ისა სჯობს. უკან ვავბრუნდეთ. ვაგლახ შენ ჩემო თავო, სწორედ რომ ქალაჩუნებში მოხვედრილხარ!...“

იდასის ლანძღვას ყური არავინ ათხოვა.

გამხნეებულმა იასონმა შესძახა:

„რადგანაც ყველას მოგეწონათ არგოსის რჩევა, დაე წავიდეს ქუთაიაში. ღმერთები იყვნენ მისი შემწენი!“

„ღმერთები იყვნენ მისი შემწენი!“ ერთად იგრიალეს.

არგოსი აიეტისკენ გაეშურა...

...სწორედ ამ დროს მეფე აიეტს კოლხთა კრება შეეყარა სასახლის ხეივანში.

ნელმწიფე აღშფოთებული ლაპარაკობდა. სინანულს გამოთქვამდა, რომ ჰერმესს დაუჯერა და ბერძენი ფრიქსე გაიშინაურა. აკი მამა ჰელიოსმა თავის დროზე გააფრთხილა, ქალკიოპეს შვილები დაგლუპავენო. ქალკიოპე კი მან სწორედ იმ გად-

მობეწილ ბერძენს მისცა ცოლად! ფრთხილად უნდა იყვნენ
კოლხები, თორემ ბერძნები ხომ მზაკვრულ თავდასხმაში დაიღუპნენ!
სხვათა ქონების დატაცებაში არიან დაოსტატებულნი..

* * *

სანამ ბერძნები და კოლხები თავთავისთვის ბჭობდნენ, მე-
დეა აფროდიტეს ცეცხლით იწვოდა და იბნიდებოდა. სურნე-
ლით საესე თალამონში დაცემულიყო ეროსის ისრით დაჭრილი
მტრედი.

თვალთავან არ შორდებოდა ისაონის ახოვანი ტანი, ვაჟკა-
ცური მიმოხვრა, მშვენიერი სახე, ცეცხლოვანი თვალები. მის
ბრწყინვალე ტანსაცმელზე ყოველი ნაოჭის რხევასაც კი
თვალდახუჭული ხედავდა. ყურთასმენას არ შორდებოდა ახალ-
გაზრდა ელინის საამური ხმა.

„არსად ქვეყნად არ იქნება იასონისებრი ვაჟკაცი!..“

„და ის უნდა დაიღუპოს!“

ჩაესმა მის აფორიაქებულ სულს.

თვალწინ წარმოუდგა რისხვით პირგამეხილი მამა... ცეცხ-
ლისმფრქვეველი ხარები სპილენძის ბასრი რქებით ეძგერნენ
ვაჟკაცს და... მკერდგაფატრული აისროლეს!..

ნელი კივილით წამოიჭრა. ისევ პირადმა დაეცა საწოლს და
მწარედ, მწარედ აქვითინდა.

დიდხანს ასე თრთოდა შილიფ სამოსში გახვეული მშვე-
ნიერი სხეული.

მერე თვალცრემლიანი წამოჯდა და ჩაფიქრდა.

ღმერთებო, რად ჩაუსახლეთ საბრალო ქალწულს ასეთი
მწველი სევდა!.. ვთქვათ, დაიღუპა იასონი, გინდ მამაცურად,
გინდა ლაჩრულად, მედეამ რისთვის უნდა იფიქროს და იღარ-
დოს მასზე?!

„ოჰ, არა, არა, გვედრები, დააღწიოს თავი ვაჟკაცმა მამა-
ჩემის მძიმე პირობას!“

მუხლებზე დაეცა და მალლა აღმართა ნატიფი თითები.

„ყოვლისმძლეო პერსეს ასულო, ღმერთო ჰეკატე, გვედ-
რები გადაარჩინო იგი სიკვდილს და ძლევამოსილი, შეურაცხ-
ვენლად დაუბრუნო თავის ქვეყანას!“

ქალწულს ცრემლებში ჩაეძინა.

და ესიზმრა მედეას:

ვითომ იასონი ოქროს საწმისისათვის კი არა, მედეას სხოვნელად მოსულიყო კოლხეთში. აიეტმა სპილენძის ხარებთან შებრძოლება მოითხოვა გმირისაგან, თუ გაიმარჯვებდა, ქალსაც გაატანდა. იასონი დათანხმდა... აი, არესის ველი. ცეცხლის ფრქვევით მოჰქრიან ცეცხლოვანი ცხოველები. გაეგება ვაჟკაცი. ფერი დაჰკარგვია, შემდრკალა, გულში შიში ჩაღვრია! მაშ, სიკვდილსაც ვედარ გადაუტრიალა.. მოელვარე რქებით მოაქანებენ სიკვდილს ხარები... უხმო ყივილით ჩაეჭრა მედეა; გრძნეული მშერიტ ჩახედა მოგიზგიზე თვალეში პირუტყვებს. ცხოველები გაქვავდნენ! მერე ქალმა რქებში მოავლო ნაზი ხელები და მძიმე უღელში შეაბა მოთვინიერებულნი. იასონი მივიდა და გუთანს ჩასჭიდა მძლავრი ხელები.

კოლხეთის მეფეს გესლიანად გაეცინა და ბერძენს უყვირა:

„სანამ ჰელიოსი დედამიწიდან აიკრებდეს ბრწყინვალე სხივებს, გაშორდი კოლხეთს! ეგ გამარჯვება შენ არ გეკუთვნის!“

იასონმა გუთანს ხელი უშვა და გაცეცხლებული მისწვდა მახვილს.

აიეტმა სიცილთან ერთად ისევ გესლი გადმოანთხია და უზარმაზარი შუბი მარჯვენით შეაზანზარა.

ორივე მხრიდან მახვილები დაიძრეს ბერძენმა და კოლხებმა. უხმო ყივილით მიაშურეს ერთიმეორეს.

ელვასავით შუა ჩამოიჭრა აფროდიტე. ზეთისხილის რტოს მოარხევდა მშვენიერების ღმერთი. დაზავებისკენ მოუწოდებდა მისი ხილვით ქანდაკადქცეულ მეტოქეებს.

„სისხლი უბრალოდ არ დაიღვაროს! თვით ქალწულს ჰკითხეთ. თუ მოისურვებს — იასონს წაჰყვეს, თუ არადა მშობლებთან დარჩეს!“ და ხელი მედეასკენ გაიშვირა.

ყველა მედეას მიაშტერდა.

მეფის ასულმა გაბედულად თქვა:

„იასონის ვარ, მას უნდა წავეყვე!“

საშინელი ხმით დაიღრიალა განრისხებულმა აიეტმა...

მედეას გამოეღვიძა. შიშით ცახცახებდა. მტყოლაგ ბუსუსებს დაესუსხათ ქათქათა კანი ტურფა ქალისა.

„ღმერთებო, ის მოკვდება... მოკვდება, მოკვდება!“

„დაე, მოკვდეს! შენ რა გენაღვლება!.. შენ უფრო უნდა დარდობდე, უბედურება არ მოუტანონ უცხოელებმა შენს ქვეყანას, ოჯახს, შენს სიქალწულეს!“

ისევ უტკბილეს ტკივილად დაიღვენთა ერთსისაგან დატრილი გული.

იასონი დაიღუპება?!.. არა, არა, სანამ მედგა ცოცხალია, იასონის დაღუპვას ვერავინ იხილავს!

იცრემლებოდა და ფიქრობდა, რა გზით ეშველა მიჯნურისათვის.

თალამონში ქალკიოპე შემოვიდა. ისიც ტიროდა.

დები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

„შენ მაინც რად სტირი, დაო!“ — მწუხარედ დაიწყო ქალკიოპემ, — ალბათ შეიტყვე, მამაჩემი სიკვდილს გვიპირებს მე და ჩემს შვილებს!“

„თქვენ რაღას გერჩით?“ გაოცდა მედგა.

„დაუჭინია: ახლოვდება ის განსაცდელი, რაც ჩემმა მამამ ჰელიოსმა ოდესღაც იწინასწარმეტყველაო.“

„რა განსაცდელი?“

„ჩვენს ოჯახს ქალკიოპეს შვილები დაღუპავენო!“

მედგას მუხლებზე მოეხვია და საწყალობლად ატირდა.

„უშველე, მედგა, შენს ქალკიოპეს, გადაარჩინე მისი შვილები! ისინი ხომ შენი ძმებიც არიან. ქალკიოპესთვის დაც ხარ და შვილიც; მისი ძუძუ გიწოვია არგოსთან ერთად. შემწეობა აღმოუჩინე, ნუ დაანახვებ შვილების უბედურებას! თუ არა და, იცოდე, ქალკიოპეს ცოცხალს ვეღარ იხილავ!“

„ჩვენი ჭირი და ლხინი ვის გაუყვია, ჩემო დაია! — თქვა მედგამ — მხოლოდ მითხარი რა გავაკეთო და თუკი შევძლებ, გეფიცები, თავს არ დავზოგავ შენი თხოვნის შესასრულებლად!“

ქალკიოპემ ძლივს შეიშრო ცრემლი.

„მედგამ რაღაც უნდა მოისაზროს და იმ უცხოელს დაეხმაროს!“

„ვინ უცხოელს?“ შეკრთა მედგა.

„ბერძენთა ბელადს, იასონს.“

„იასონს?!“

„მერე ქალკიოპეს შვილებს რაში გამოადგებათ იასონის-
თვის გაწეული დახმარება?!“

„მხოლოდ ის გადამირჩენს შვილებს!“

და უცებ დაუმატა აიეტის უფროსმა ასულმა:

„ჩემი არგოსი მობრუნდა და მითხრა: იასონი სწორედ მე-
დეას სთხოვს დახმარებასო!“

„მე?!“ შეჰკვივლა მედეამ.

უფროსმა დამ თვალი შეასწრო, როგორ აუვარვარდა სახე
ქალწულს.

„ჰო, შენ. შენი იმედი ჰქონია იასონს იმ საშინელი დავა-
ლების შესრულებაში“.

მედეა უცნაურ ბურუსში გაეხვია და გაირინდა. იმ ბუ-
რუსში მხოლოდ ბერძენთა წინამძღოლის სახეს ჰხედავდა
თვალნათლივ.

ქალკიოპე არ ეშვებოდა.

„უშველე, მედეა, იასონს და დაიხსენი უბედურ ვარსკვ-
ლავზე გაჩენილი ქალკიოპეს შვილები!“

მედეა ძლივს გამოერკვა. ბურუსი გაიფანტა მის თვალთა-
გან. მასთან წუთით ჩამოიშორა სანუკველი ვაჟკაცის სახე,
რომელიც დახმარებას ევედრებოდა!

ქალწული წამოდგა. თვალებში უტეხი სიმტკიცე ჩასდგო-
მოდა.

„დე, ასე მოხდეს! გწამდეს ქალკიოპე, მედეა ყველაფერს
მოიმოქმედებს შენი შვილებისა და... იმ უცხოელის დასახსნე-
ლად. წადი და საიდუმლოდ ჩაიმარხე, რაც აქ ითქვა და გადა-
წყდა. მედეა კი ხვალ დილით ჰეკატეს ტაძრისაკენ გაეშურება“.

ქალკიოპე დას გადაეხვია, სახე და ხელები დაუკოცნა და
ფრთაშესხმული გავარდა გარეთ. იქ მას შვილები ელოდე-
ბოდნენ პასუხისათვის...

მცირე ხნის შემდეგ არგოსი სასიხარულო ამბით მიჰქროდა
არგონავეელებისაკენ.

* * *

შუალამე ჩამოწვა.

ჩამიჩუმი არსად ისმოდა: ყველაზე ფხიზელ გუშაგებ-
საც ჩასძინებოდათ ქუთაისს ალაყაფთან და ზღუდე-კედლებზე
აღმართულ ვოდოლებში.

ასეთ დროს მკვდარი შვილების დედასაც კი იმორჩილებს დაუძლეველი ძილის ტვირთი.

ყველას და ყველაფერს ეძინა ქუთაიაში.

კავკასიონზე თვლელმა მორეოდა გულღვიძლდაწიწკნილ ამირანსაც.

მხოლოდ მედეას არ ეძინა, სასახლის აივანზე იწვა ტახტ-რევეანში.

კოლხური ციდან ვარსკვლავთა მირიადები გაოცებით დას-
ცქეროდნენ მეფის ასულის სიმშვენეირეს; თვალებს იწმენდ-
ნენ ხშირი ხამხამით: თითქოს არ სჯეროდათ, რომ ამ უსაზღვ-
რო სიბნელის ოკეანეში მხოლოდ ერთი, კოლხი ქალწულის
სპილოს ძვლის სხეული ქათქათებდა უცნაური სხივკრთომით.

მთვარე გადაკარგულიყო ზეცის თალიდან. მიწიერი მნათო-
ბისგან ელდაცემულს გადაეკრიბა ბლონდე სხივები ჰორიზონ-
ტიდან.

სასახლისაკენ მოიწევდნენ მედეას სიმშვენეირით მზერად-
ქცეული ვარსკვლავები.

ოხრავდა ღამე. ამაოდ ცდილობდა ქალწულის სხივოსანი
სითეთრის ჩანთქმას.

ვარსკვლავები ღამის ამაო ბრძოლას დასცინოდნენ:

„იმით მაინც ინუგეშე თავი, წყვილიადო, კოლხეთის ასულს
შენეული აქვს თვალნი, წამწამ-წარბნი, თმათა ტევრები...“

არ ეძინა მედეას.

უძირო ზეციდან დაფრქვეულ გრილ ცვარ-ნამს ვერ გაენე-
ლებინა მასში ანთებული ბრძოლის ხანძარი ორ მოსისხლე მე-
ტოქეს შორის, — მოვალეობა მშობლიური ქვეყნის წინაშე და
სიყვარული უცხოელი ჭაბუკისადმი. პირველი გონებაში ჩა-
საფრებულიყო, მეორეს — გულში გაედგა ფესვები.

დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს გული და ჭკუა, გრძნობა
და გონება.

უცებ ქალწულის სულში მესამე ძალა შემოიჭრა, უფრო
ძლიერი და შეუვალი.

სიკვდილი!.. თვითმკვლევლობა!..

ფეხზე წამოიჭრა და თალამონში შევარდა.

ისევ გამოვიდა. ხელში შავი ურნა ეჭირა. ჩაჯდა. ურნა

მუხლებზე დაიდო და ნელ-ნელა თავი ახადა. ხელი ჩაჰყო და მოუფათურა.

„ეს წამალი ჭრილობათა მოსაშუშებლად...“

„ესეც გველის, მორიელის და სხვა შხამიან ქვეწარმავალთა ნაკბენის განსაკურნავად...“

„ეს უემურის განსაქარვებლად...“

„აჰა, წამალი მომჯადოები, რომელსაც ძალუძს ყველაზე სუსტი, ძალწართმეული ნაცარქექიაც უკვდავ გმირად გადააქციოს, შიში და ძრწოლა გააძევოს მისი გულიდან, განუგმირავჰყოს მისი სხეული ყოველნაირი იარაღისგან!.. ოოჰ, აი რა უნდა მიმეცა იმ ბერძნისათვის!“

აი, ეს კი მე რომ მჭირდება!.. საწამლავი, რომელიც ერთ წამს სიცოცხლეს გაჰყრის ზევსის ძალ-ლონის მქონე ვაჟკაცსაც!..

ამოიღო ის საწამლავი შავი ნიჟარით.

თავი ახადა. საშინელი სუნი ავარდა.

პირისაკენ წაიღო, ნელა, მტკიცედ, ხელიც კი არ უკანკალებდა. თვალები დაეხუჭა. ბაგემ უკვე შეიგრძნო შავი ნიჟარა, სიკვდილით სავსე.

აჰა, მოვიდა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარი; ერთი წამიც და იქნება მხოლოდ სიკვდილი, ყველაფრის შთანთქმელი სუსხიანი მეუფე.

ხელი შეუჩერდა. ერთხელ მაინც გაახილოს თვალი უკანასკნელად!

ერთხელ კიდევ მოავლო მზერა წყვილიდს, მასში ჩაფლულ საყვარელ ქალაქს, კოლხეთის მიწას, კოლხეთის ზეცას...

და მოეჩვენა, რომ რძის გზის გასწვრივ გაირღვა ზეცა. უთვალავ ცეცხლოვან მახვილებად მოწყდნენ ვარსკვლავთა მირიადები...

შეძრწუნებულ მნათობთა ლაშქარს წინ მიუძღოდა ვარსკვლავთვალება იასონი. თითქოს უხმოდ ევედრებოდა ვარსკვლავთა ფონზე მოვარვარე სახეს:

„ნუ, ნუ მედეა, ღვთიურო ქალო, ნუ ჩაიდენ, გემუდარები! მერე მე ვიღამ უნდა დამიხსნას, ვინ გადამარჩენს?!“

დაქანდა ზეცა; სულ დაიბერტყა ვარსკვლავთა წვიმა. იასონის მოჩვენებაც ფიქრის სისწრაფით გაქანდა. მუხისაკენ

მიიღტვოდა, ოქროს საწმისით ჯილადადგმული მუხისაკენ.

როცა ეს უცნაური სახება საწმისს მიეჭრა, მედეას გენა, რომ თითქოს იგი იასონი კი არა, უკვე სხვა იყო.

„ვინ არის ის?!“

„აჰ, ამონა!“

„არა, იასონი!“

„ამონა!.. იასონი!“

ველარ გაარჩია დასიცხულმა გულმა, ველარც მოასწროს კაცის სახება ზედ შეელეწა ჯილოსანი მუხის წვეროკინს.

ქალმა შეჰკვივლა.

არავეის გაუგონია. ეს ზომ ის დრო იყო, როცა შვილის სიკვდილით მოსვენებადაკარგული დედაც კი თავს ვერ წაართმევს ძილის ბორკილებს.

მით უფრო არ გაუგონიათ სასახლის კარზე უდრტვინველად ჩაძინებულ თორმეტ მსახურს, მშვენიერ ქალწულთ.

მისმავე შეკვივლებამ გამოაფხიზლა მედეა. ბოდვა დამთავრდა. ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი მოისვა, ის ხელი, რომელშიც წელან სიკვდილით სავსე შავი ნიყარა ეჭირა. აღარ ახსოვდა როდის გააგდო იგი ხელიდან. ძირს დაიხარა, აიღო და შორს გადასტყორცნა.

საღღაც შორს დაეცა ნიყარა. სიკვდილის სითხე უწვრილეს და უმწეო წვეთებად გაიბნა სინოცივრით სავსე მიწაზე.

მედეა დაღლილ-დაქანცული დაეცა საწოლზე. ფიქრს ჩაუღრმავდა.

რომელი შეელეწა ოქროს საწმისით თავშემკვლ მუხას?.. ამონა.. იასონი?..

რომელი ჰპოვებს სიკვდილს ოქროს საწმისისათვის?.. ამონა... იასონი?...

შენ კი რომელი მოგსურვებია, მეფის ასულო?

რომლის სიცოცხლე უნდა გათავდეს?..

დიდხანს იწვა ქალწული და გაუნძრევლად შესცქეროდა ზეცას, რომლის უძირო შორეთიდან ნაფრქვევი ნამი გრილად ათოვდა სიყვარულით ანთებულ სხეულს...

ღამემ ფეხი აიჩქარა; თაღხები შემოაცვდა კოლხი ასულის სითეთრესთან ამაო ბრძოლაში.

აღმოსავლეთიდან ზეცას რიყრაჟი შემოაწვა.



სისხლისაგან იწრიტებოდნენ ვარსკვლავები; ნელი ხამხამით ზედ აღნებოდნენ მტრედისფერ ცის თაღს, მზის პირველ სხივებს ფეხზე შეხვდა მეფის ასული, ფარეშებს უხმო. თორმეტი ქალწული შემოვიდა. ბრძანა ეტლი გაემზადებინათ.

თვითონ ნამტირალევი სახე დაიბანა. თმა დაივარცხნა. ტანი საამური ნელსაცხებლით დაიზილა. ღამენათევი სხეულიდან განიდევნა უძილობა და დათენთილობა.

ალიკაზმა მედეა. შავად მზინავი კაბით შეიმოსა. შხვართი წელი ოქროს სარტყლით შეიკრა. ოქროს ქოშები ჩაიცვა. ძოწეულის მანტია წამოისხა, აღმასით, იასპითა და საფირონით შემეკული ბალთებით შეიბნია. ყელზე შეიბა გველადნასახი ყელსაბამი, მოჭედილი ბივრილიონით, ტოპიზიონით და სარდიონით. თავზე დაიდგა დიადემა, დამშვენებული მარგალიტებით, ამეთვისტონით, იაგუნდებით, ფრცხილებითა და ქრისოლითებით. ნატიფად ნათალი თითები ლალის, ფირუზისა და ზურმუხტის ბეჭდებით დაიტვირთა.

შავი ურნიდან ამოიღო ვერცხლით ნაჭედი შავი რქის ქილა, ჯადო-წამლით სავსე.

ვინც ქალღმერთ ჰეკატეს გულს მსხვერპლით მოიგებს და ამ წამლით სხეულს დაიზელს, მას ვერც მახვილი გასჭრის, ვერც ცეცხლი დასწვავს; ღვთაებრივი სიმამაცე და ძალ-ღონე ჩაუსახლდება სხეულში.

ეს წამალი პრომეთეს სისხლით გამძღარ მიწაზე აღმოცენებული ყვავილისაგან დაამზადა მედეამ.

პრომეთეს ყვავილი ზაფრანას ჰგავდა. ფესვები ხორცისფერი ჰქონდა, წამებული ტიტანის ხორცის ფერი. წვენი კი ამ ყვავილს სისხლისფერი სდიოდა. ესეც ზევსის არწივისეული ნისკარტ-კლანჭებით პრომეთეს მკერდიდან ნატბორი სისხლის ფერი.

მედეა შუალამისას გაემგზავრა იმ ყვავილის მოსაპოვებლად. ჯერ წინასწარ შეიდჯერ განიბანა სხეული მიწის გულიდან მომდინარე ნელთბილ წყალში, შეიდჯერ მოუწოდა ქალღმერთ ჰეკატეს, შავზე უშავესი სამოსით შეიბურა და მზერა-გაუჭრელ წყვდიადში მიადგა ღვთაებრივ მცენარეს.

დაიგმინა კავკასიონზე პრომეთემ, როცა მის ყვავილს მეფის ასულმა ხორციელი ფესვი გადასჭრა ოქროსტარიან ჩაბნეულში რა ხანჯლით...

ეს ხანჯალი მედეას შმონამ აჩუქა. დაბადების დღეს, აფსირტეს ნებით, თავქვეშ ამოუღო მეფის ჩვილ ასულს...

წყვილიადაში, შავ რქის ნიჟარაში დააგროვა შავ სამოსში გახვეულმა გრძნეულმა ქალმა ღვთაებრივი მცენარიდან გამოწერილი სისხლოვანი წვენი.

ამ ჯადო-წამალს მედეა დიდხანს ინახავდა.

უნდოდა ამონასათვის ეჩუქებინა. მაგრამ თვითონაც არ იცოდა რას ელოდებოდა.

„აი, თურმე რას ელოდებოდი!..“

შავი რქის ქილა სარტყელში ჩაიტანა და სასახლიდან გავიდა.

მსახურებს ოქროს ეტლში ექვსი წავისფერი რაში შეებათ. მოახლეებმა კაბისა და წამოსასხამის მძიმე კალთები აუკრიფეს მეფის ასულს.

ეტლში ჩაჯდა. უკან ორ რიგად მოუსხდა თორმეტი ქალწული.

მედემ სადავეები დასხლიტა და ეტლი ადგილიდან მოსწიფიტა.

მიჰქროდა კოლხი გრძნეული ქალი, როგორც მშვენებით სავსე არტემიდე ტურფა ნიმფებით გარშემორტყმული.

ელვასავით გაიქროლეს ქუთაია.

ჭადრებითა და ძელქვებით შერეულ ტყეში შევიდნენ.

რ ა უ ი ფ ე ბ ი

გზამ მოუხვია.

უეცრად ჭიხვინით შედგნენ ყალუზე ცხენები. იწივლეს მხლებელმა ქალებმა.

მედემ დროზე დათოკა ცხენები.

მოსახვევიდან ცხენოსანი გამოჩნდა. მხედარი ყორნისფერ ჰუნეს მოაგელვებდა.

მეფის ასულს პირზე შეაკვდა რისხვით სავსე სიტყვა: ის მხედარი ამონა იყო.



ვაეკაცი მოკრძალებით ჩამოდგა გზიდან.

მედემ წამით შეაჩერა მზერა ამონას ფერწამხდარ, ნატყუნულ სახეზე და მაშინვე დასძრა ეტლი.

როცა ახლოს ჩაუარა, რალაც აჩქარებული, ყრუ დაგადუ-
გი მოესმა მეფის ასულს. ის მაშინვე მიხვდა, რომ ეს გულის
ცემა იყო, მაგრამ ვისი გული სცემდა ასე მძიმედ, ასე ხშია-
ნად, — დაღლილი ცხენის თუ გულდაკოდილი ვაეკაცისა?!

ან იქნებ საკუთარი გულის რეკვა ჩაესმა ქალწულს?!

ამონამ თვალი გააყოლა მის წინ ჩავლილ სიცოცხლეს. სა-
ბასუბო მზერა არ მიუღია. მხოლოდ მედეას მხლებელი ქალ-
წულები უცქერდნენ, მისით მოხიბლულნი და დატყვევი-
ბულნი.

ეტლი ტყეში გაუჩინარდა.

ამონამაც ცხენს ქუსლი ჰკრა...

მედეა კი მოჰქროდა და კვლავ მხოლოდ იასონის სახეს
ხედავდა...

ტყე დაიღია. ფართო ველზე გავიდნენ. ჰეკატეს ტაძარიც
გამოჩნდა.

მედემ ცხენები დააყენა და ეტლიდან გადმოხტა.

მეფის ასულმა მარტობა ისურვა. სიცილ-კისკისით, სიმ-
ღერით გაიფანტნენ ქალწულები მშვენიერ ველზე.

მედეა მარტო დარჩა. მარტო შეუდგა ყვავილების კრეფას.
ნაზად მღეროდა. აღარ მოსწონდა თავისი სიმღერა, მაგრამ
მანაც სიმღერით ცდილობდა გულზე მოწოლილი სევდა-ვარა-
მის განქარვებას.

ყოველ ჩქამზე, სიოს ოდნავ წამოქროლვაზე, შველივით
კრთოდა აქამდე მუდამ გულუშიშარი ქალი...

...არგოსმა ქუთაიაში დატოვებული ძმებისაგან გაიგო,
საით წავიდა იმ დღით მეფის ასული და სასწრაფოდ აუწყა
იასონს.

მოიკაზმა ვაეკაცი.

ასეთი მომხიბვლელი არასოდეს არ ენახათ არგონაველებს
ახალგაზრდა ბელადი.

იასონმა ფრიქსეს ძე არგოსი და მისანი მოჰსე წაიყვანა და
მათი თანხლებით გაეშურა ჰეკატეს ტაძრისაკენ.

დიდი გზა აღარ ჰქონდათ დარჩენილი, როცა ტყეში
ხეზე შეხუნძლულმა ყვავებმა დასჩხავლეს გმირებს.

იასონს სისხლი გაეყინა.

მოჰსემ მაშინვე გადაიხარხარა.

„რას იცინი?“ ძლივს ამოიღო ხმა იასონმა.

„როგორ თუ რად ვიცი, — ჩაიქირქილა, მისანმა, —
ფრინველებმა ჭკუით გვაჯობეს ადამიანებს.“

„ბარემ სოქვი!“

„იმ ყვავმა მე ჩამომძახა: აქედან დაიკარგე, ბოროტო და
ცრუბენტელა მისანო! რა საჭიროა, ეროსისაგან დანიშნულ
პემანზე ქალწულს და ვაჟკაცს მოწმენი ახლდნენო!.. აბა,
ეზონის ძევ, მარტო გასწი აიეტის ასულისაყენ. მე და არგოსი
აქ დაგელოდებით.“

მეგობრებმა იასონს გზა დაულოცეს და ტყეს შეერივნენ.
იასონი მარტო წავიდა.

მალე ტაძრის გუმბათს მოჰკრა თვალი. სიმღერაც მოესმა.
მიხვდა ვისაც ეკუთვნოდა ის ღვთაებრივი ხმა.

აღელვებული გავიდა ყვავილოვან ველზე.

მედემ გრძნეული თვალები მიაპყრო მისკენ მომავალ ვაჟ-
კაცს.

იასონი შედრკა. მერე ვიქურ წამოვიდა.

მკერდიდან ამოვარდნას ლამობდნენ გულები. აი, მოახ-
ლოვდა ჭაბუკი. ოღნავ შეირხნენ მარჯნის ტუჩები ქალწულის
ნიჰანდაკევ სახეზე:

„კმარა, უცხოელო, უფრო ახლოს ნულარ გაბედავ!“

წყნარი იყო ეს ხმა, მაგრამ შეუვალი სიმკაცრით სავსე.

„ღმერთებო, მომეცით ძალა!“ გაუელვა იასონს. საჭურვე-
ლი აიყარა, იქვე მიწაზე დაალაგა და დაიწყო:

„მშვენებით სავსე ტურფა ასულო, ნუ შეშფოთდები, შიშს
ნუ გაივლებ...“

„შიში ვერ შესძრავს ჰელიოსის ნაშიერის გულს!“ ამაყად
გააწყვეტნა ქალმა.

ვაჟმა უმალვე სცადა სიტყვის გამართვა:

„არა... შიში რას ჰქვია... იმის თქმა მსურდა, რომ მე თვი-
თონ არ ვარ საშიში. არ ვეკუთვნი იმ თავხედთა
რიცხვს...“

„მაგას მე ვიტყვი, თუ ასე გიცნობ!“ კვლავ გაუწყვიტა სიტყვა მედეამ.

„რა ძალას ვგრძნობდი! რა მემართება!“ ბრაზი წაეკიდა იასონს.

„მშვენიერო მედეა, ჩვენ კეთილი განზრახვით შევიყარეთ ამ წმინდა ადგილს. საღვთო მიწაზე სიცრუე უოდვად ჩავვეთვლება...“

„ეგ სიტყვები მოსაწონია“.

იასონი გამხნევდა.

„გთხოვ, გულახდილად მელაპარაკო!“

„მე კი მეგონა, ჯერ აქ შენს თხოვნას მოვისმენდი!“ გაცეებით უთხრა ქალმა.

„ჩემი თხოვნა და სურვილი უკვე მოგხსენდა... გემუდარები, შეასრულე შენი დისადმი აღთქმული სიტყვა!.. მიბოძე სასწაულმოქმედი წამალი!.. მე ხომ შენი სტუმარიც ვარ და მავედრებელიც! თუ შენ არ დამეხმარები, ვით უნდა შევძლო მამაშენის ბრძანების შესრულება? ოღონდ მიხსენ და მთელი ელადა ქება-დიდებათ, ლოცვა-კურთხევით მოგიხსენიებს! გმირ არგონაველთა სალოცავი ხატი იქნები, მათი დედები და ცოლები სათაყვანო ქალღმერთად გაგიხდიან!“

„ყველა ეგ აღთქმა ჩემთვის ფუჭი და უსარგებლოა. სახელდიდებას არასოდეს არა ვყოფილვარ დახარბებული!“ მიუგო მედეამ.

იასონი ხელების მტკრევით დაეცა მუხლებზე.

„გვედრები, დამიხსენ სიკვდილისა და სირცხვილისაგან!.. ღვთაებავ, მიხსენ, ოღონდ მიხსენ და მთელი სიცოცხლე შენს სათაყვანოდ მომიძღვნია!“

ქალს მეწამულმა შეუფერადა ლაწვის თავები.

უფრო მიეძალა ძირს დაცემული ვაჟკაცია:

„მოიგონე, მშვენიერო ასულო, კუნძულ კრეტაზე მეფე მინოსის ასულმა, ტურფა არიადნემ საშინელი განსაცდელისაგან ვით გადაარჩინა ათენელი გმირი თესევსი. როცა თესევსმა ლაბირინთის შუაგულში საზარელი ურჩხული მინოტავრი მოჰკლა, უკან გზას ვეღარ გამოავნებდა, ლაბირინთის ბნელხვეულებში დაღუპვა არ ასცდებოდა. მაგრამ არიადნემ მას იქ შესვლის წინ ძაფის გორგალი მისცა. თესევსმა ის ძაფი შესა-

ვალში იდუმალ მიაბა და უკან წამოსვლისას მასზე გამოყოფილით გამოაგნო გზას... ახლა შენა ხარ ჩემი მხსნელი, ჩემი არიადნე!“

„ეგ ყველაფერი ვიცი. არიადნე მამაჩემის დისწული იყო, ჩემი მამიდაშვილი... კარგად დაფიქრდი, უცხოელო! არიადნე და თესევსი უფრო მტკიცე ძაფითაც იყვნენ ერთუბრის შეკრულნი!..“

„ეგ ძაფიც ვიცი! — მხურვალედ იყვირა იასონმა, — ეროსისაგან დაისრულნი შეიყარნენ არიადნე და თესევსი. არიადნე თესევსს ხომალდში ჩაუჯდა და კრეტიდან ათენისაკენ გაპყვა!“

ქალი შეირხა. ხმადახშულ ზარივით დარეკა გულმა.

„არიადნემ მიატოვა მშობლები, სამშობლო ქვეყანა... და თესევსს წაჰყვა!..“ ძლივს წაიჭურჩულა გაცრეცილი ტუჩებით.

„ის ქალი დიდსულოვანი ქმედებისათვის თვით ღმერთებმა შეიყვარეს. მათ ცის მნათობთა შორის უბრწყინვალეს ვარსკვლავს არიადნეს ჯილა უწოდეს!“ წამოიძახა იასონმა.

„უსარგებლო იქნება ჩემთვის ეგ პატივიც!“ ნალველნარევი ღიმილით თქვა მედეამ.

იასონი მიწას განერთხო.

„ოჰ, ნეტავ მას, ბედნიერ თესევსს!“

„ბედნიერს რისთვის?“

„ის არიადნემ შეიყვარა!“

ქალწული დადუმდა.

ვაჟკაცი სულ აცახცახდა და აიშალა.

„მშვენიერო მეფის ასულო! შენა ხარ ჩემი არიადნე, ჩემი სიცოცხლე!“

მედეა შეკრთა, ათრთოლდა და გაფითრდა.

„წავიდეთ ერთად ელადაში!“ ცახცახით შესძახა იასონმა. ფეხზე წამოიჭრა და არეული ნაბიჯით მიაშურა.

იმ წამსვე ადგილზე გაჰყინა ქალის მკაცრმა ხმამ:

„არ გაბედო!“

მერე სარტყელში ხელი ჩაიყო, შავი ნიყარა ამოიღო და გაუწოდა.

აღტაცებისაგან ენაჩავარდნილმა ვაჟკაცმა ათრთოლებული

ხელეებით ჩამოართვა გრძნეული ნახელავი, ისევ მუხლებზე დაეცა და თვალები გაშტერებით მიაბჟრო ასულს.

ქალი კარგა ხანს სდუმდა. სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა; გრძნობდა: ამ წუთიდან ჰლაღატობდა სამშობლოს, დედ-მამას, აფსირტეს... ამონას... ყველას... ყველას...

„ოოჰ, წყეულო ეროს, რა ძალა გქონია!“

„უფლება კი აქვს ადამიანს სიყვარულისთვის გასწიროს სამშობლოც, მშობლებიც და ყველაფერი მშობლიური?!“

„არ ვიცი, არა! ასეთ კითხვას მან უპასუხოს, ვინაც ასეთად გააჩინა ბუნება და ადამიანი!“

„ოოჰ, წყეულო, ტკბილო ეროს!“

და მედეა ცრემლების ღაპაღუბით უმარცვლავდა უცხო ქაბუკს ღალატთან სიტყვებს:

როცა აიეტი გველეშაპის ყბებიდან ამოწვდილ კბილებს დასათესად გადასცემს, იასონმა შუალამეს უნდა დაუტადოს. შუალამისას ფასისის ტალღებში განიბანოს და სხეული შავი ტანსაცმლით შეიმოსოს. მერე ცეცხლი დაანთოს, ჰეკატეს დედალი ბატკანი შესწიროს, ზედ თაფლნარევი ზედაშე აკუროს. შემდეგ კოცონს გაშორდეს და თავის ბანაკს უკანმოუხედავად მიაშუროს. უნდა ახსოვდეს: არც ფეხის ხმაზე, არც ძაღლთა ყეფაზე უკან არ მოიხედოს, თორემ ცოცხალი ვერ გადაარჩება. დილაადრიან ამ ჯადო-წამლით სხეული მაგრად დაიზილოს. მაშინვე ღმერთთა სწორ ძალას იგრძნობს. ეს წამალი წასცხოს საჭურველსაც, შუბსა და ფარ-ხმალს. ველარაფერს ვერ დააკლებენ ვერც ცეცხლოვანი ხარები და ვერც დრაკონის კბილთაგან აღმოცენებული ბუმბერაზები... ისიც ახსოვდეს: ჯადო-წამლის ეს სასწაულმოქმედი ძალა მხოლოდ ერთ დღეს გასტანს. მაგრამ არ შეშინდეს: ეს დროც თამამად ეყოფა დავალების შესასრულებლად...

„დრაკონისეული ბუმბერაზები?!“ ამოიხრიალა პირგამშრალმა იასონმა.

„როცა ისინი მიწიდან აღმოცენდებიან, მათ შუა ლოდი სტყორცნე. ისინიც იმ წამსვე იმ ქვას მიესევნიან, ვითარცა ძვალს მშიერი ძაღლები, და ერთმანეთს დაერევიან. შენც ნულარ დააყოვნებ და ეკვეთე, მათი გაჟლეტა დააჩქარე!.. ასე

დასრულდება ყველაფერი, ასე შეასრულებ მამაჩემის ბრძანებას... და ჩაიბარებ პირობისამებრ ოქროს საწმისსაც!“



მედეა დადუმდა. დამშვიდებული ჩანდა. თითქოს ყველაფერს შერიგებოდა: ლალატსაც, სიყვარულსაც, სიკვდილსაც... იასონს წამოდგომა არ უცდია.

„მედეა... მედეა.“ — იმეორებდა იგი.

მისი ხელი ქალის სხეულიდან მძიმედ დაშვებულ კალთას მისწვდა.

„ადექ!“ ჩაესმა მრისხანე ხმა.

იასონმა ძლივს გაიმართა მუხლი და წელი.

მედემ მარჯვენა ხელი გაიწოდა დასავლეთისაკენ, საიდანაც მიჯნური მოვიდა, და კვლავ შეუვალი სიტყვით უბრძანა:

„წადი, უცხოელო! წადი და თან წაიღე, რაც მე გაჩუქე: უძლეველობა კოლხეთისა და აიეტისა, ოქროს საწმისი — სიმბოლო ჩემი სამშობლოს სიღიადისა და... ჩემი გული, განკვეთილი ეროსის ისრით!..“

ხმა ჩაუწყდა. ძლივს დაიოკა ცრემლის ახალი ზღვა.

იასონი არ იძროდა. აღარც იცოდა რთგორ მოქცეულიყო. იმას კი ვერ ურიგდებოდა, რომ სულ პატარა, პატარა კაცუნად ჩანდა ამ ზეციერად ამაღლებულ სულდგმულის წინ. არ უნდოდა ასე უღირსად განშორებოდა ამ ბედნიერ პირველ შეყრის ქამს...

ორივენი ცხენის ჭიხვინმა გამოაფხიზლა.

ტყიდან მხედარი გამოდიოდა.

ყორნისფერ მერანს მოაგელვებდა ყორნისფრად შემოსილი დეკაკატი.

ჯიქის სიმსუბუქით გაღმობტა, ცხენი მიაგლო და ზავთიანი ნაბიჯით წამოვიდა.

„ამონა!“ გოცებით და რალაც შიშვარეული ხმით შესძახა მედემ.

„ამონა არა... ახლა მხოლოდ მონა დავრჩი, მეფის ასულს!“ ამოიგმინა მოახლოებულმა, პირჩაღრუბლულმა ჭაბუქმა.

„როგორ მიბედავ ფეხდაფეხ მომყვე, თვალი მადევნო!“ რისხვით შეაგება ქალმა.

„ცოტა ხნის წინათ ამის უფლება შენგანვე მქონდა...“



„ახლავე წადი!“

„მეფის ასულო, მე ჩემი მიწის კენესა მესმის... გულს ცუდს მიგრძნობს!“

„გამშორდი-მეთქი!“

იასონი აიძაგრა.

„სმენა დაგეხსო და აღარ გესმის ღვთაებრივის ბრძანება?“ შეპყვირა მან.

იასონაკრავივით შეტრიალდა მისკენ ამონა. იასონს თვალი დაადგა და სიძულვილმა გადაუარა ლამაზ სახეზე.

„სწორედ იმიტომ ჰკენესის მიწა კოლხეთისა, რომ სასიკეთოდ არ მოსულხარ, უცხოელო!“ რისხვით შეაფრქვია პირგამეხილმა.

„ახლავე გაშორდი აქაურობას!“ შეპყვირა ბერძენმა.

„მე მიბრძანებ, გადამთიელო?!“

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ვეფხვივით ისკუბა იასონმა, ზედ დააცხრა მინდორზე დაწყობილ თავის საჭურველს და ელვასავით აიტაცა შუბი.

ჰაერი გააპო შუბის შხუილმა. იმ წამსვე ამონას გამყინავი ხარხარი შეეჭრა ზეცას.

იასონისაგან ნატყორცნი შუბი კოლხის მარჯვენაში გაძაგრულიყო.

წუთით სამივენი გაიყინნენ.

მედეა და იასონი სიკვდილივით გაფითრებულნი მიშტერებოდნენ ავად მოღიმარ ყრმას.

საშინელი, უსაზღვრო და უთავეამო წამი დააწვა ჰეკატეს ველს.

კოლხი შეიძრა. გააგებული მზერა დააბჯინა იასონის მარცხენა ძუძუს.

„ერთი ვნახოთ, როგორა სჭრის ელინის სხეულს თვით ელინისგან ნაწრთობი რვალი!“ — ყრუდ ჩაიციხა და წელი ნაბიჯით წამოვიდა შუბგამართული.

იმდენივე უკანგადადგმულ ნაბიჯს ითვლიდა იასონი:

„ერთი...“

„ორი...“

„სამი...“



ფარის აღებას ველარ მოასწრებდა. თვალს არ აშორებდა მონაწილეების ხელში გაწვართულ მისეულ იარაღს. ამონა შესდგა. უეცრად უკან გადაიქნია შეჭურვილი მარჯვენა. მაგრამ გატყორცნა ველარ მოასწრო: შემზარავმა შეკვივლებამ უძრავ ქვად აქცია ვაჟკაცი.

რაციფებს შორის მედია იდგა, თმაჩამოშლილი, სიკვდილის ფერით უცნაურად დამშვენებული.

„არ გა-ბე-დო, ა-მო-ნა!...“

ქალის ამ თქმაში ვედრებაც იყო, ბრძანებაც, შიშიც, განწირულებაც.

ამონა ქალწულს დააშტერდა. იმ წამსვე თვალი შეასწრო: იასონი ნახტომისათვის ემზადებოდა.

„შესდექ, იასონ!“ შეტრიალდა მედია.

ისევ კოლხისკენ შემობრუნდა.

„აქ მოიტა ეგ შუბი, ამონა!“

„მაშ, შენ არა გსურს, რომ ის...“ მოსისხლისაკენ გაიწოდა ხელი ჭაბუკმა.

„არა, არა!“ სწრაფად უბასუხა ქალმა.

„მაშ, აი რა გსურვებია!“

უცნაური ხმით აღმოხდა მას და ცქაფად შეტრიალებული შუბი ტარით შუამდე ჩასვა მიწაში. ავი ზრიალი გამოსცა ძალუმად დარტყმულმა იარაღმა.

და კოლხი წამსვე აღიმართა ზეაწვართულ წვერზე მკერდით ჩამოსაგებლად.

„ამონა!!!“ იწივლა მედიამ. ბეწვზე მიასწრო და შუბის წვერს გადაეფარა.

„მიმიშვი, მეფის ასულო! აზრდაკარგული, გულგამოცლილი ჩემი სიცოცხლე ჩემის ხელითვე გავანადგურო!“

სულ უსიცოცხლო, დაქანცული და დაშლილი ჩანდა ჭაბუკი.

მედია მივიდა და მკერდზე ნაზად შეავლო ხელი. ის კი არ განძრეულა; თითქოს მართლა გამოსცლოდა გული...

„წადი, ამონა... თუ ჩემი სიყვარული მართლა გქონია, წადი!..“

„სიყვარული... ჰმ...“

რალაც გაურკვეველი ხმით ამოიფრუტუნა და გაბრუნდა.

ლახვარცემულივით მიათრევდა მძიმე ნაბიჯებს კოლხი რა-
ყიფი...

მეფის ასულთან ელინი რაყიფი დარჩა, მარტოდმარტო და
უმეტოქო...



ჭ ი ღ ი ლ ი

იასონმა მხოლოდ მედეას რჩევა-დარიგება გააცნო მეგობ-
რებს. ამონასთან სამარცხვინო შეხვედრაზე კი არაფერი
უთქვამს.

არგონაველებმა სიხარულით მოისმინეს ბელადის ნაამბო-
ბი. მხოლოდ იდასი იფურთხებოდა ბრაზიანად. კვლავ უკად-
რის საქმედ მიაჩნდა საგმირო საქმეებში დიაცის ჩარევა.

ხალისიანად ივახშმეს და ტკბილ ძილს მიეცნენ.

სანამ მზე კოლხეთის ჭალებში მარგალიტებად დასხმულ
ცვარ-ნამს შესვამდა, არგონაველებმა ტელამონი და ეთალიდე
ქუთაიაში გაგზავნეს გველეშაპის სათესლე კბილთა ჩამოსა-
ტანად.

ამბობდნენ: როცა სახელოვანმა კადმოსმა (ინოს მამამ) თე-
ბეს მახლობლად საზარელი დრაკონი მოჰკლა, ათენამ იმ დრა-
კონს ყბებიდან კბილები ამოართვა; ნაწილი კადმოსს დაუტო-
ვა, ნაწილი კი აიეტს უძღვნა.

აი, ეს სათესლე ეშვები გადასცა კოლხეთის მეფემ ტელა-
მონსა და ეთალიდეს.

აიეტს გაელიმა, როცა სასახლის კარიბჭიდან გველეშაპის
კბილებით დატვირთული ბერძნები გავიდნენ. სწამდა, რომ
ბერძენტა ბელადი უქმად ირჯებოდა და სასიკვდილო განსაც-
დელში ტყუილად იგდებდა თავს.

არგონაველებმა დიდის გულისყურით გასინჯეს სათესლე
ეშვები.

იასონმა ის დღე მსხვერპლშეწირულების სამზადისში გა-
ატარა.

მზე ჩაესვენა. დაღამდა. ზეცა ცეცხლოვანი ვარსკვლავე-
ბით მოსევალდა.

ფასისის პირზე, ჭადრის მწვანე რტოებით მოფენილ ველ-
ზე ეძინათ არგონაველებს.



შუალამე მოვიდა. დათვის თანავარსკვლავედნი თვალთა
 ზამხამით დაემშვიდობნენ თანაზეციერ მნათობთა მირიადს.

იასონი ჩუმად წამოდგა. შავი სამოსით შეიმოსა და იარალი
 აისხა. ჰიფსიპილესაგან ლემნოსზე ნაჩუქარი წავისფერი წამო-
 სასხამით შეიბურა. არგოსისაგან ბოძებული დედალი ბატკანი,
 თაფლი, რძე, საწვავი ზეთი და სახმილი აიკიდა და ბანაკიდან
 იღუმალ გაუჩინარდა.

ფასისის პირებს აუყვა და მიყრუებულ ბნელ ხეობაში შე-
 ვიდა.

ტალღათა რხევით მოგელავდა კოლხეთის დედა-მდინარე,
 ოხრავდა ღამე.

სადღაც საზარი ხმით ჰკიოდა ჭოტი, მეხოტბე ბნელი ღა-
 მისა და ბნელი საქმისა.

კლდიდან ანკარა წყარო მოქუზდა. იქვე ეხვეოდა ფასისის
 დგანდგარა ტალღებში.

იასონმა ტანთ გაიძრო და იქ გადაეშვა, სადაც წყარო მდი-
 ნარეს ერთვოდა.

ცივი, ანკარა წყლით განიბანა სხეული. ამოვიდა და ისევ
 შავი სამოსით მოირთო.

მერე ერთი წყრთის სიმაღლე ორმო ამოთხარა, ზედ შეშა
 დააწყო, ცხვარს ყელი გამოსჭრა, გაატყავა, გამოშიგნა და შე-
 შაზე დასდო. ცეცხლი გააჩაღა, იწვოდა სამსხვერპლო ბატ-
 კანი.

იასონი ზედ რძეთაფლშერეულ ზედაშეს აპკურებდა და
 თან ქალღმერთ ჰეკატეს მოუწოდებდა.

მსხვერპლშეწირვა დაამთავრა. გამობრუნება ძლივს მოას-
 წრო:

უთვალავ ძაღლთა ყეფა-ყმუილმა და კბილთა ღრქენამ შე-
 არყია წყვდიადი.

„არ მოიხედო!“ თითქოს ჩაესმა მედეას ხმა.

მორბოდა იასონი. გამაყრუებელი, გულშემწარავი ყმუი-
 ლით მოსდევდნენ ძაღლთა გუნდები.

იასონი არ იხედებოდა. იცოდა, რომ იმ გახელებულ ძაღ-
 ლებს წინ მოუძლოდა მსხვერპლზე მოწოდებული ჰეკატე.

რაღაც ნათელი მოარღვევდა ბნელეთს. იასონს ზურგიდან

სცემდა ეს შუქი. ეს ჰეკატეს თავზე გვირგვინად ამობრწყინებული შარავანდედი!

გველების წივილმა გააპო ჰაერი. ეს ჰეკატეს თავზე გვირგვინად ჩახლართული ქვეწარმავლებია!

მდინარეებში, მღვიმეებში, ტყე-ღრეებში ისტერიულად ჰკიოდნენ შიშით ჭკუაზე შეშლილი ნიმფები.

ძალთა, გველთა და ალქაჯთა შეერთებული გნიასი ფეხდაფეხ მოსდევდა იასონს.

შიშმა აიტანა გულუშიშარი ვაჟკაცი.

როგორ უნდოდა მოეხედა!..

აი, სადაც არის ფეხებში სწვდებიან ცოფმორეულ ძალღათა გუნდები!

„არ მოიხედო, არ მოიხედო!.. მოიხედავ და დაიღუპები!.. არ მოიხედო!“ ყურში განუწყვეტლივ უკიოდა მედეას ხმა. მირბოდა, ფრთაგამოსხმული მიჰქროდა უკანმოუხედავად! ნელ-ნელა წყდებოდა და სუსტდებოდა ღამეული განგაში...

ძლივს მიიტანა სული ბანაკში. მეგობართ შორის ტანთგაუხდელი დაეცა და ტანთგაუხდელი მიეცა ღრმა ძილს...

გათენდა.

წამოიშალნენ არგონაველები. იასონი ადგა და თანამოლაშქრეებით გარშემორტყმული შეუდგა მედეასეული წამლით საჭურვლის დაფერვას.

გმირები გაფაციცებული შესციცინებდნენ ბელადის საქმიანობას.

იასონმა დაამთავრა.

„აბა, ვსინჯოთ!“ და მახვილი გამართა.

რომელი ფარიც დაუხვედრეს, გინდა მახვილი, გინდა შუბი, — ყველა დაჰკვეთა იასონმა წამლით ნაფერი ორღესულთ.

შუბი აიღო და უმტკიცესი ფარები დაფლითა იმ შუბის დარტყმით.

მერე იასონი, ანკევსი, პელევსი, ტელამონი, პოლიდევეკე, კასტორი, მელეაგრე და იდასი ერთბაშად დააწვნენ ჯადოქმნილ შუბს, მაგრამ ოღნავადაც ვერ გადრიკეს, ვერც შეათოლოეს.

განრისხდა იდასი, მახვილი გაიძრო და იასონის შუბლზე მოჰკრა.

ვადა შერჩა ხელში განცვიფრებულს, პირმა ჰაერში გაიბზრიალა.

არგონაველებს აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.

მაშ, ბელადი ღვთაებრივი იარაღითაა შეჭურვილი.

აქამდე მედეას მიმართ მოწრიალე მცირედი ეპვიც გაფანტათ გმირებს.

შემდეგ იასონმა ტანთ გაიძრო და სხეული მაგრად დაიზილა სასწაულმოქმედი წამლით.

კარგა ხანს ენა ველარ ამოიდგა გაოცებულმა:

მთელს სხეულში უჩვეულო ძალ-ღონე იგრძნო. თითქოს ყველაფერი შეიცვალა მასში. თითქოს სულ სხვა სისხლი აუჩქროლდა უცნაურად ჯანჩამდგარ ძარღვებში. რაღაც აუწერელი სიმტკიცე ჩაუსახლდა კუნთოვან მხარ-მკლავებში და მთელს ტანში.

გულიც გასაოცრად გაუჟაჟდა. საომრად მოუწევდა გამოცვლილი გული. სწყუროდა, თუნდა ცეცხლოვანი ხარების მთელ ჯოგს შეებმოდა.

აღიჭურვა და აღიკაზმა.

„მზად ვარ! წავიდეთ, ძმებო!“

ყველანი ხომალდზე ავიდნენ და ხალისიანად, მხნედ მიუსხდნენ ნიჩბებს.

„არგო“ არესის ველს მიადგა და ღუზა ჩაუშვა.

ბრწყინვალედ მოკაზმული გმირები ხომალდიდან გადმოვიდნენ. მწყობრად გაემართნენ ველის ჩრდილო მხრისაკენ.

აქ კოლხთა ლაშქარი ჩარაზმულიყო, სულ თვალტანადი ვაჟაკები. უცქეროდნენ მათკენ მომავალ ელინთა გუნდს, რომლის წინ ლომივით მოაბიჯებდა ამდღევანდელი ბრძოლის გმირი.

არგონაველები მოახლოვდნენ და დამხვდურებს მდაბლად მიესალმნენ.

კოლხებმაც თავაზიანი საღმით უპასუხეს.

ბერძნები ჩამონაპირდნენ. მზერა მიაპყრეს მწვანე ბორცვზე, მუხის ჩრდილქვეშ აღმართულ ოქროს ტახტს. ეს ტახტი

მეფეს ელოდებოდა. მის გვერდით კიდევ სპილოს ძვლის საში
სავარძელი იდგა.

„ალბათ ერთი მედეასი იქნება“, გაუელვა იასონს.
მან ტახტის უკან ჩაარაზმულ კოლხეებზე გადაიტანა მზერა.
მაშინვე ავად დარეკა გულმა: იქ მისი მოქიშპე რაყიფი
იდგა.

გამგმირავი თვალებით სჭამდა ბედნიერ უცხოელს უღიბ-
ლობით გულდაკოდილი ამონა.

იასონს უსიამო ფიქრი გაუწყდა: არესის ველზე აიეტი
შემოდრიოდა. თორმეტი თეთრი ტაიჭი მოაქროლებდა ოქროს
ეტლში მჭდარ მეფეს.

სადავეები აფსირტეს ეპყრა, მშვენნიერ უფლისწულს.

დიდებული საჭურველით შეჭურვილიყო აიეტი. ამბობ-
დნენ, რომ ეს იარალი ღმერთმა არესმა ფლეგრის ბრძოლისას
მისგანვე მოკლულ ტიტან მიმასს აპყარა და კოლხეთის მეფეს
მიუძღვნაო... ბიბილოვანი ოქროს მუზარადი ეხურა; ამომ-
ვალ მზესავით ბრწყინავდა ეს უცნაური თავსარქმელი სახე-
დიადი მეფის თავზე. მარცხენა ხელი უზარმაზარ ფარზე და-
ეყრდნო, მარჯვენაში ათი წყრთის სიგრძე უმტკიცესი და
უბასრესი შუბი ეპყრა. მისი ხმარება ჰერაკლესაც შეშურდ-
ბოდა. ეს ფარ-შუბი ამონამ გაუჭედა კოლხეთის მეფეს.

თეთროსან რაშებს ექვსცხენიანი ეტლი მოსდევდა.

მასში მედეა და ქალკიოპე ისხდნენ.

მედეას სახე არ უჩანდა. თავით ბოლომდე შავ ტანსაც-
მელში შებურვილიყო.

ეტლებს კოლხ მხედართა ამაღა მოსდევდა...

მეფე გადმოხტა და ტახტზე დაბრძანდა.

ორ-ორმა ვაყკაცმა ძლივს გადმოიღო აიეტის ფარი და შუ-
ბი. მის გვერდით დასდეს, შუბი — მარჯვნივ, ფარი — მარ-
ცხნივ.

მეფის გვერდით ჯერ აფსირტე დაჯდა, მარცხნივ მომდევნო
სავარძლებზე — ქალკიოპე და მედეა.

გვირგვინოსანმა ტახტზე დაჯდომის წინ თავის ოდნავი
მოხრით მისცა სალამი იასონს და მის მხლებლებს.

ბერძნებმა პასუხად მდაბლად დაუტრეს თავი.

მეფემ ნიშანი მისცა.

იასონი არესის ველის ბოლოში გავიდა. აქ სპილენძის უზარმაზარი უღელი, სახნის-საკვეთი და ფოლადით ნაკვეთი გუთანნი ეყარა. მახლობლად კლდის ნახეთქი ეგდო.

ელინთა ბელადმა ათენას ნაჩუქარი წამოსასხამი გადაიგდო.

ალტაცების ჩურჩულმა ჩამოურბინა მხილველთა ათასეულეbs. მათ წინ უებრო მშვენიებით სავსე შიშველი სხეული ასვეტილიყო.

ალტაცებას ფეხდაფეხ სინანულის ოხვრა მოჰყვა: ეს ენით უთქმელი სიმშვენიერე თავის ფეხით მიილტვოდა უცილობელი სიკვდილისაკენ!

თრთოდა, თრთოდა შავ სამოსელში შებურვილი გრძნეული ქალი.

ამ თრთოლვას მხოლოდ ერთი ხედავდა და გრძნობდა: ამონა...

აიეტი წუთით მოხიბლა იასონის ვაჟკაცურმა აღნაგობამ და უხადო სილამაზემ.

უცებ თვალეbs დასწურა. ტახტიდანაც წამოიწია.

„ღმერთო ჩემო, ასე რატომ უელავს ამ უცხოელს სხეულის კანი?! ნუთუ რაიმე ჯადო-წამალი..“

მზერა გადაჰკრა ქალკიოპეს და მედეას.

ქალეbs დამშვიდებულნი ჩანდნენ.

ამასობაში პოლიდევეკემ და კასტორმა იასონს საჭურველი და გველეშაპის კბილებით სავსე მუზარადი მიურბენინეს.

გმირმა შუბი მიწაში ჩაარჭო, მახვილი წელზე შეირტყა, მარცხენა ხელით ფარი მოიმარჯვა და ველისა და ტყის შესაყარს დაადგა თვალი.

იქ კლდოვან კედელს სპილენძის კარი ება, სპილენძისვე მძიმე ურდულით ჩარახული. იმ კარებს აქეთ-იქით ორი გოლიათი კოლხი უდგა, რომელთაც თვალი აიეტისაკენ მიეპყროთ.

მეფემ ანიშნა. კოლხებმა ურდული გააძრეს და კარეbs გააღეს.

თავზარდამცემმა ბლავილმა შეაზანზარა ცა და მიწა.

ცეცხლოვან გრიგალად მოჰქროდნენ ხარეbs. დაღრენილი ნესტოებიდან და უზომოდ გაღებული პირიდან ხანძრისა და

მდულარე დორბლის ზვირთებს ისროდნენ. სპილენძის ბასრი რქები და ჩლიქები თვალისდამწველად ულაპლაპებდათ.

დედამიწა იზნიქებოდა მათი თავაწყვეტილი ოტებით.

შეძრწუნებულნი უცქერდნენ არგონაველები.

იასონი სალ კლდესავით დარტყმოდა მიწას. დაძაგრული სხეულის წინ გაემართა მედეას წამლით ნაფერი ფარი.

მოჰქროდნენ პირუტყვები.

ელვის სისწრაფით ითვლიდა მათ ნაბიჯებს განწირული ადამიანი.

„აჰა, მოცვივდნენ!.. ღმერთო, მიშე...“

საშინელი შეხეთქების და ზმუილის გრგვინვა შეაწყდა ზეცას.

არგონაველთა აღტაცების და კოლხთა გაოცების შეძახილი გაიყოლია იმ საზარელი დაჯახების ხმამ.

ხარებმა ერთად აძგერეს რქები ფარზე, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც ვერ დასძრეს გმირი.

მაშინ პირუტყვებმა ხახიდან და ნესტოებიდან ხანძრის ჯოჯოხეთი ამოხეთქეს. იასონი წამში დაიფარა ცეცხლის, ფერფლისა და სულშემხუთავი კვამლის ნიაღვარში.

აღარავინ ელოდა იქიდან მის ცოცხლად გამოსვლას.

მხოლოდ შავით შებურვილი ქალი იჭდა მშვიდად.

გაიფანტა კვამლისა და ფერფლის ღრუბლები.

გაოცების ღრიალი აღმოხდათ მაყურებლებს, კოლხებსაც და ელინ გმირებსაც: იასონს მარჯვენა ხელი ჩაეგლო რქაში ხარისათვის, მთელის ძალით მიათრევდა უღლისაკენ, ზოლო მარცხენათი ფარით იგერიებდა მეორის იერიშებს.

პირველი ხარი გუთანთან მიიყვანა, სპილენძის მუხლში ფეხი უჩვეულო ძალით აძგერა და დაჩოქილი დასცა მიწაზე.

გაშმაგებით მოვარდნილ მეორე პირუტყვს წინა ფეხებში ფარი დაატაკა და ისიც მუხლებზე დაუშვა.

ფარი გადისროლა და ორივე ხელით ზედ დააცხრა დაჩოქილ ხარებს.

პირუტყვებმა ცეცხლის ახალი ნიაღვარი ამოაფრქვიეს, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს იასონის მკლავებიდან თავის დაღწევა.

ისევ მოცვივდნენ დიოსკურები, ბელადს სპილენძის უღე-

ლი მიაწოდეს, მკლავებზე დაუგდეს და სასწრაფოდ გამოიღონ
დნენ ხანძრისაგან შეძრწუნებულნი.

იასონმა უღელი მკლავებიდან ფრთხილად გადაიგორა და
ხარების კისრებს მოხდენილად ზედ მოაქცია. სპილენძის ტა-
ბიკები ქვემოდან სპილენძისავე ხელნით შეუტკრა.

ზმუოდნენ და ქშინავდნენ უცხო სხელით ქედდაუღლული
პირუტყვები.

გირმა სასწრაფოდ შეაბა ისინი გუთანში. სარტყელზე
გველეშაპის კბილებით სავსე მუზარადი ჩამოიკიდა; მარჯვენა
ხელი გუთანს ჩასკიდა, მარცხენათი შუბი აიღო და ომახიანი
ხმით შეუძახა.

დაიდრა გუთნეული.

ღმუოდნენ, ცეცხლს ცეცხლზე ანთხევდნენ გაცოფებული
ცხოველები. იასონი ხნულიდან გზასამცდარ გავეშებულ ხარს
შუბის ძგერებით ისევ სვრელში აგდებდა.

იხვნებოდა, უზარმაზარ ბელტებად ირღვეოდა პირქუში
მიწა.

იასონი დროდადრო შუბს სარტყელში ირკობდა და თავი-
სუფალი ხელით დრაკონის კბილებს მუზარადიდან ხნულში
თესავდა. თან უკან-უკან იხედებოდა: გიგანტებმა არ მომას-
წრონ აღმოცენება და თავდასხმაო...

შუადღემ მოატანა. იასონი ხნავდა და თესავდა. პირუტყ-
ვები ისე ველარ მედგრობდნენ ადამიანთან ბრძოლაში,
გადაშუადღევდა.

ხარები სულ მოთვინიერებულიყვნენ. იასონი ხალისიანად
მისდევდა გუთანს.

არგონაველები სიხარულს ველარ ფარავდნენ.

კოლხები გაოცებული უცქერდნენ სასწაულს.

აიეტი ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო.

თრთოდა გრძნეული ქალი.

მახვილის ტარს ხრავდა ამონა...

მზე სასამხრეზე დაეშვა. იასონს ოთხდღიური მიწის ხვნა-
თესვა დამთავრებული ჰქონდა. სავსებით მოთვინიერებული
ხარები უღლიდან გამოხსნა და ბოსლისაკენ გარეკა. შეამწყვ-
დია, კარები მიხურა და გარედან იმავე ურდულით ჩაქეტა. გა-
მობრუნდა. შავად მოლაპლაპე ხოდაბუნს გადაავლო თვალი.
გიგანტები ჯერ არ ჩანდნენ.



ოფლით ღვარდადენილი გაეშურა ფასისისაკენ. მუხარადი
 ააქსო და წყურვილი მოიკლა. ჩამოჯდა და კვლავ უსაზღვერდელ
 ძალ-ღონე შეიგრძნო მთელ სხეულში.

არგონაველები გარს ეხვეოდნენ ბელადს.

მოუსვენრობა ეტყობოდა მუდამ გულდინჯ აიეტს.

იასონი ისვენებდა, თან თვალს არ ამორებდა შავად გამ-
 ლილ ხნულს.

„გიგანტები!“ უეცრად შეჰყვირა და ზე წამოიჭრა.

დასავლეთისკენ დაცემული მზის შუქზე ლაპლაპებდა არე-
 სის ველი. მუხარადთა ზღვა მოცურავდა, ზემოთ მოიწვედა
 მიწის გულიდან.

მუხარადებს საშინელი სახეები ამოჰყვათ, — ზარდამცემ
 ურჩხულთა თავები.

მერე უზარმაზარი შეჯავშნული მკერდები;

ფარხმლიანი და შუბოსანი მხარ-მკლავები.

ამოცურდნენ. სულ ამოსხლტდნენ.

ერთბაშად საბრძოლო გნიასი აღმოხდა დევთა ლაშქარს.
 ერთპირად შემობრუნდნენ და იარაღის ზათქით დაიძრნენ
 იასონისკენ.

იასონი გაქვავებული იდგა. გონი დაჰკარგოდა. ელდაცე-
 მულს ვედარ მოეფიქრებინა, რა მოემოქმედა.

საშინელი წამი გაიძაგრა.

„ქვა!!!“

გულისწამლებმა კივილმა ამოიძახა ეს სიტყვა.

ისარნაკრავი ნადირივით შეტრიალდა აიეტი.

ეს იმ წამს, როცა მედეას შეკივლებით გამორკვეული და
 გონსმოსული იასონი კლდის ნახეთქს დასწვდა და მთელის ძა-
 ლით გასტყორცნა გიგანტთა შიგ შუაგულში.

მედემამ მამის გამხეცებულ მხერას ვედარ გაუძლო და
 გულწასული ჩააქეცა სავარძელში.

არავის შეუმჩნევია, როგორ გაიტაცეს აფსირტემ, ქალკიო-
 ბემ და მათმა მხლებლებმა გულშემოყრილი მედეა არესის ვე-
 ლიდან.

არავის შეუმჩნევია, რადგან უჩვეულო სასწაულის ცქერას
 დაეპყრო ყველა:

ღევები ქვის ლოდს მიხვეოდნენ და უწყალოდ ჟღერდნენ

ერთიმეორეს. წვებოდნენ, ერთმანეთს გრიალით ეცემოდნენ
ნადვისტოლა ბუმბერაზები.

იასონმა მახვილი გაიძრო და ურჩხულებს ვეფხვებში
ეკვეთა. ისინი მაინც ველარ ჰხედავდნენ იასონს. ქვას გარშე-
მო ეხვეოდნენ, ერთმანეთს ყელებს სჭრიდნენ, მხარ-მკლავებს
ასხებდნენ და გულმკერდს უნგრევდნენ.

ჩეხდა და ჰკაფავდა იასონი.

ჩეხდნენ და ჰკაფავდნენ ერთმანეთს თვით გიგანტები.

დევთა ლაშქრის ახალ-ახალი წყება მოედინებოდა დედა-
მიწიდან.

იასონი ამოსვლას აღარ აცლიდა.

ჰკვეთდა მიწიდან ამოყოფილ ბუმბერაზ თავებს.

მკერდს უპობდა მკერდამდე ამოცურებულთ.

ლაჯებში სცემდა ლაჯებამდე ამოვარდნილთ.

მუხლებში სცელავდა მუხლებამდე ამოსხლეტილთ...

მზე ჩავიდა.

გოლიათთა გვამებითა და დაღეწილი საჭურვლით დაფა-
რულიყო არესის ველი.

ყველაფერი დასრულდა. აიეტის ბრძანება შესრულებული
იყო.

არგონაველები სიხარულით აცრემლებული იკრავდნენ
მკერდში ძლევამოსილ ბელადს.

მეფე მიძიმე ფიქრს მისცემოდა.

ამონა კვლავ მახვილის ტარს ღრღნიდა.

ბერძნები დამშვიდდნენ და დალაგდნენ.

დაწინაურდა გამარჯვებით გალაღებული იასონი და აიეტს
მიაპყრო მზერა...

მეფე წამოდგა და ნიშანი მისცა.

ეტლი მოჰგვარეს. ჩაჯდა. მღუმარედ დატოვა არესის ველი.

ღუმილით მოსილი გაჰყვა მთელი ამაღა.

არგონაველები კარგა ხანს სახტად დარჩენილნი უცქერ-
დნენ ქუთაისკენ მიმქროლავ კოლხთა ბრგე ზურგებს.

სხვა რაღა დარჩენოდათ:

ხვალ დილით უნდა სწვეოდნენ მეფეს და მოეთხოვათ და-
ნაპირები ოქროს საწმისი..

ლაშქარა.

ფეხშიშველი, თმაგაშლილი, თალხით შებურვილი მორბის მედეა ქალაქიდან.

მღულარე ცრემლი სწვავს ტურფა დაწვებს. ყურები უწივის. ხოლო გული, დაქრილი გული, გამალეებით რეკავს, რეკავს:

„ჩქარა, თორემ იასონი იღუპება! ჩქარა! თორემ ყველაფერი იცის მამამ“.

„გაიძახის: ჩემი ქალის დახმარებით გაიმარჯვა უცხოელმა.“

„ჩქარა!“ თორემ განაჩენი ასეთია გამძვინვებელი აიეტის: „სიკვდილი, სიკვდილი ბერძენ ყაჩაღებს!“

„ჩქარა! ჩქარა!“

მორბის ფეხშიშველი ქალწული.

შუბლზე თმის ტალღა ჩამოეშალა. ხელი გადაისვა.

„ეს თმა აქ ასე რამ დაამოკლა?“

ჰო! მოაგონდა: წამოსვლის წინ ერთი კულუღი აიჭრა მძიმე ტევრთაგან და თალამონში საწოლზე დადო.

„დედა, დედა, ამ გრძელ დალალს შენ გიტოვებ! შორს მივდივარ!“

„მშვიდობით, დედა, ტკბილო დედა!“

„მშვიდობით, მამა, მრისხანე მამა, საყვარელო!“

„მშვიდობით, ქალკიოპე, საბრალო დაო!“

„მშვიდობით, აფსირტე, ძვირფასო ძმაო!“

„მშვიდობით, ამონა, ჩემგან სიმშვიდე დაკარგულო!..“

„ოჰ, იასონ, ნეტავ არასდროს მენახე! ნეტავ სადმე მღელვარე ზღვას ჩაეღუპე!.. მაგრამ არა!“

„ჩქარა, ჩქარა!“

უღიმღამოდ იღიმება ცაზე მთვარე. უხარია, მარტო ის არ დატანჯულა სიყვარულით.

...მთვარის მიჯნურია მძინარა ჭაბუკი ენდიმიონი. მას ყოველ ღამით კარიაში სძინავს, ლატმოსის მთის გამოქვაბულში. შუალამისას ეშვება მთვარე ლატმოსზე და გაგიყებით ჰკოცნის მძინარ ენდიმიონს... და თვითონაც მის გვერდით იძინებს...

...დასცინის მთვარე კოლხეთის ასულს:

„აჰა, იგემე, ცბიერო, სამსალა სიყვარულისა! შენ მიხნევი და მიხლართავდი ზეცაში გზა-კვალს. მერეკებოდი ლატ-მოსისაკენ და ჩემის წასვლით დაბნელებულ ღამის ფარდის ქვეშ ამზადებდი ჯადოქრულ წამლებს! ახლა გაგიქარვოს ჯადოქრობამ და გრძნეულებამ სიყვარულის მძიმე სევდა!“

მიჰქრის მედეა.

უბიწო ქალწული არად აგდებს, როგორ დასცინის სახე-დაღმეჭილი, გულგამოცლილი, ქალწულობადაკარგული მთვარე...

ფასისის პირს მიაღდა.

მდინარის მარცხენა ნაპირზე არგონაველებს კოცონი გაუჩაღებიათ. რალაცას გაცხარებით ბჭობენ ცეცხლის გარშემო შემოჯარულნი და ცეცხლით სახელავარებულნი.

„აი, ის!“

შუაში ჩამდგარა იასონი.

„უფრო გაუბრწყინებია დღევანდელ გამარჯვებას!“

ცეცხლის ალი კიანთით იკლავნება ფასისის ანკარა ზედაპირზე.

ნელი რხევით სთვლემს ხომალდი „არგო“ ალისფრად მოლივლივე ტალღებზე.

ქალმა სული ძლივს ამოითქვა და გასძახა:

„ფრონტის, ოოო, ფრონტის, ფრონტის!“

ფრონტისი ქალკიოპესა და ფრიქსეს უმცროს ვაჟს ერქვა არგონაველებმა ბჭობა შეწყვიტეს და სმენა დაძაბეს.

მედეამ კვლავ სამჯერ შესძახა:

„ფრონტის, ოო, ფრონტის, ფრონტის!“

ყველანი წამოიშალნენ და მდინარეს მოადგნენ.

„ჩემი დედის დაი!“ იყვირა ფრონტისმა.

„მედეა?!“ აღელდა იასონი.

„ის არის“, დაუდასტურა ძმას არგოსმა.

„მედეა, მედეა!“ აჩოჩქოლდნენ გმირები,

იასონმა მაშინვე „არგოს“ მიაშურა.

„მომყევით!“

ყველანი ხომალდზე აიჭრნენ და ხოფებს ეცნენ.

რამდენიმე წუთში „არგო“ ფასისის მარჯვენა სანაპიროს მიაღდა.

იასონმა ლუზის ჩაშვებას აღარ დაუცადა. გადახტა და მედღას წინ მუხლებზე დაეცა.

„ვერ მოვასწარი, მწყალობელო, მაღლი მეტქვა! შენ ადრევე მიატოვე არესის ველი... შენგან მივიღე ასეთი ძღვევა, უღიადესი გმირის სახელი!.. შენის წყალობით ჩავიბარებთ ხვალ ოქროს საწმისს!“

„თქვენ ხვალ საწმისის ნაცვლად სიკვდილს მიიღებთ!“ შეაწყვეტინა ქალმა.

„სიკვდილს?!“ იღრიალეს განცვიფრებულმა არგონაველებმა.

„მამაჩემმა ყველაფერი იცის. ხვალ დილისათვის თქვენ მიიღებთ მის ბრძანებას, სასწრაფოდ დატოვეთ კოლხეთი. და თუ მაინც თქვენსას არ დაიშლით, მაშინ...“

„მაშინ რა?!“

„უშვებელი სიკვდილი გელით!“

„სიკვდილი?!!“

„სანამ დრო არის, თავს უშველეთ!“

წამით ყველა დადუმდა.

„არც მე ამცდება სიკვდილი!“ დაასრულა მედეამ და აქვითინდა.

წამოიჭრა იასონი, მედღას მიეახლა. თვალეში შეურყეველი გადაწყვეტილება გამოუჟკრთოდა.

„მეფის ასულო, ნუ შემრისხავ და კადნიერებად ნუ მიიჩნევ ჩემს წინადადებას...“

„სთქვი!..“ წყნარად მიუგო ქალმა.

„წამომყევ ელადაში!“

„წამოგყვე?!. როგორ?!“

„როგორც კანონიერი მეუღლე!“

მედეა თრთოლამ აიტანა.

სამარისებურ სიჩუმეში გარინდულ გარემოს მხოლოდ ორი გულის გამაღებელი ძგერა ესმოდა.

გულგამოცლილი მთვარეც კი მოხიბლული შეჰყინვოდა ზეცას.

„შემომფიცე!“ ძლივს ამოიღო ხმა ქალწულმა.

„ვფიცავ ოლიმპოს მბრძანებელ ზევსს, ვფიცავ მის მეუღლე პერას — ქორწინების მფარველ ქალღმერთს, თუკი ოდეს-

მე მშობლიურ ელადას მივალწიე, სახლში შეგიყვან როგორც
მეუღლეს კანონიერს და უნაპირო სიყვარულით გიერთვებ
ლებ სიკვდილის დღემდე!“

„...და უნაპირო სიყვარულით გიერთვებ სიკვდილის
დღემდე!“ წაიჩურჩულა აიეტის ასულმა.

„აი, ჩემი ხელი!“ მესძახა ვაჟმა და მედეას თლილი ხელი
ძლიერ მარჯვენაში მოიქცია.

დაიქუხეს გამირებმა:

„ოლიმპიელნი ჰფარავდნენ ღვთაებრივ წყვილს, მედეას და
იასონს!“

„...მედეას და იასონს!“ ეჭოდ გაიმეორა მთვარის შუქზე
დაწყვილებულმა მიწამ და ზეცამ...

„აბა, იჩქარეთ, სანამ მეფე ფრთოსან პეგასებს შეაბამდეს
საომარ ეტლში!“ თქვა მედეამ.

„ჩვენ კოლხეთიდან ფეხს ვერ მოვიცვლით, ვიდრე
„არგოს“ ოქროს საწმისით არ დავამშვენებთ!“ მტკიცედ თქვა
იასონმა.

„სწორია, სწორი!“

„ოქროს საწმისი!“

„შერცხვენილი ვერ გავბრუნდებით!“

„ან დავიხოცოთ, ან საწმისი უნდა მივართვათ ჩვენს ელა-
დას!“ აღრიალდნენ არგონაველები.

ქალი დუმდა.

ყველა მას შესცქეროდა, კვლავ ყველა მისგან ელოდა
შეველას..

„კარგი, წავიდეთ!“ გადაწყვეტით თქვა და „არგოს“ მია-
შურა.

გამირებიც სასწრაფოდ აჰყვენენ ხომალდზე და ხოფებს ხე-
ლი მოავლეს.

მთვარე დაეშვა ენდიმიონთან სანებივროდ, სულ ჩამობ-
ნელდა.

„არგო“ მთელი ძალით მიაპობდა ფასისს. თანდათან ძნელი
ხდებოდა მდინარის აღმა ჭრა.

ხშირ ტყეებს გასცდნენ თუ არა, ჩრდილო-აღმოსავლის
მხრიდან ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული მნათობის
ელვარებამ მოსჭრათ თვალი.

„ოქროს საწმისი!“ ხელი გაიშვირა მისკენ მედეამ.

„ოქროს საწმისი!“ აღმოხდათ გმირებს.

ხომალდი ფართოდ გაშლილი ველის პირს მიადგა. ამ ადგილსაც ადრე არესის ველი ერქვა. ახლა კი ვერძის სავანეს ეძახდნენ კოლხები; ეს მას შემდეგ, რაც აქ აიეტმა ზევსს შესწირა სახელგანთქმული ოქროს ვერძი და მისი ტყავი, ოქროს საწმისად წოდებული, იმ ათასწლოვან მუხაზე ჩამოჰკიდა...

„მხოლოდ იასონი წამოვა ჩემთან!“ თქვა მედეამ და სასწრაფოდ გადავიდა ხომალდიდან.

მიჰყვა იასონიც.

მიდიოდნენ მედეა და იასონი საწმისის სხივთა მირიადებით ანთებული ბებერი მუხისკენ.

აჩქარებული მიიწევდნენ საოცნებოსკენ. ისიც მათკენ მოისწრაფოდა მოლაპლაპე თვალთა ბრდღვიალით.

მიუახლოვდნენ, მიუახლოვდნენ და...

გაქვავდა იასონი:

შემზარავი წივილი მოსწყდა მუხის ტანს მასზე ცხრაკეცად შემოგრაგნილი გველეშაპი. შხივლით მოხობავდა, ბორცვისოდენა რგოლებად მოიგრაგნიდა მყრალი ქერცლით შეჯავშნულ ტანს. სიკვდილისფერი შავი ფრთების ბათქუნით გრიგალს აყენებდა. ხანძრის ზვირთებად გახეთქოდა ხახა, ნესტოები და მუდამ უძილო თვალთა ქვაბულები. აღმასივით ბასრი ხორკლებით შეჭურვილ კუდს მძვინვარედ უხათქუნებდა დედამიწას. ჯოჯოხეთური ცეცხლის ალზე შემადრწუნებლად აელვარებდა შხამიანი ღრძილებიდან ამოწვართულ ორღესულ ეშვებს.

ერთმანეთს ცახცახით ეწმახნებოდნენ მინდვრის გარშემო ჩარაზმული ჭადრისა და ძელქვის ხეები.

გაოცებამ გამოაფხიზლა შიშისაგან სიკვდილს მიმდგარი იასონი.

იქვე ღვიის რტოს მიეტანა მედეა. პატარა ხანჯლით მოსჭრა იგი. სარტყელიდან შავი ქილა ამოიღო. იქიდან რაღაც წამლით უხვად დაალტო რტო. თან რაღაც ლოცვას ჩურჩულებდა გამალებული.

და მაშინ, როცა გველეშაპი კუდზე აღიმართა, ბასრი ბრჭყალები წამოჰყარა, ხახა უზომოდ გაიხლიჩა და მძლავრი

ფრთხილად კამარა შეჰკრა, — მედემ ღვის რტო მოიქნია, მას-
ზე დაღვენთილი წამალი ურჩხულს შეასხურა; ხელმეორედ
მოიქნია და რტო ზედ შეანარცხა.

ერთი შეჰკივლა გველშაპმა და უმაღვე უთვალავ რგოლე-
ბად ჩაიშალა, ჩაიდონდლა და ჩაშვავდა.

„წამოდი, რაღას უდგახარ!“ წასჩურჩულა მედემ გახევე-
ბულ იასონს. ხელი ჩაავლო და ადგილიდან დაძრა.

როცა მუხას მიუახლოვდნენ, ურჩხულმა ერთხელ კიდევ
წამოსწია თავი, ქალ-ვაჟისკენ კისერი წაიგრძელა და ხანჯლი-
სებრი ეშვებით სავსე ყბები გაშალა.

მედემ ხელმეორედ შეასხა წამალი. გველშაპს თვალები
გადაუტრიალდა, თავი მიწაზე მოწყვეტით დასცა და ღრმა
ძილს მიეცა.

„აბა, სწრაფად ადი და მოხსენ საწმისი!“ ბრძანა ქალმა.
იასონი მაშინვე მიაწყდა მუხას.

მიცოცავდა ცადატყორცნილი ხის წვეროსაკენ, მღელვარე-
ბისგან ხელები და მუხლები უცახცახებდა, კბილს კბილზე
აყვირებდა.

აი ისიც! ოქროს საწმისი!

ხელის შეხებას ვერ უბედავდა: ცეცხლოვანი ელვარებით
კრთოდა საწმისის ყოველი ბეწვი.

„რაღას აყოვნებ, ჩამოიღე!“ ქვემოდან ამოიჭრა ქალის
მღელვარე ხმა.

იასონმა ხელი მოავლო სანუკვარ საგანს.

მოხსნა მუხას უძვირფასესი სამკაული კოლხეთის ქვეყნის,
სიმბოლო მისი სიამაყის და სიდიადისა.

მოცოცავდა ბერძენი. ათრთოლებულ გულში ჩაეკრა ამდე-
ნი ხნის ტანჯვა-ვაება გამოვლილი საგანი.

ჩამოხტა.

მიეგება მედმა. ხელი მოავლო ნაღალატევ ქვეყნის განძს.
წუთით ასე ეჭირათ ორივეს. საწმისის შუქზე შესცქეროდ-
ნენ ერთიმეორეს; იასონი — სიხარულით ნერვებაშლილი, მე-
დმა — სიყვარულის და ღალატის შინაგან ბრძოლით ფერდა-
კარგული.

„წავიდეთ!“ ძლივს ამოიჩურჩულა ქალმა.

იასონმა მალლა ასწია საწმისი. მეორე ხელი მედეას ჩაქ-
კილა.

გარბოდნენ. ღვთაებრივი ვერძის ქათიბი უნათებდათ გზას.
„შესდექით!!!“ ზურგიდან გავარდა მეხივით ნასროლი.

გაქვავდნენ. ძლივს შემობრუნდნენ.

„ამონა!“ შეჰკივლა მედეამ.

„ჰო, მეფის ასულო... ისევ ამონა!“ ნელა თქვა ჭაბუკმა.

საწმისის შუქზე სუდარისფრად უკრთოდა სახე. გულზე
ორივე ხელი დაეჭდო, — მკვდარს ჰგავდა.

მხოლოდ თვალები, ამონას თვალები, უჩვეულო ცეცხლით
ანთებულნი ამბობდნენ, რომ მის სხეულში სიცოცხლის ნიშა-
ტი სულ მთლად არ ჩამქრალიყო.

იგრძნეს ოქროს საწმისის მტაცებლებმა: ამონას სხეულში
დარჩენილი სიცოცხლის ნიშატი რაღაც ავის მაუწყებლად
უნდა დადვრილიყო.

„წადი, წადი, სამუდამოდ ჩამომეცალე!“ მრისხანედ მიახა-
ლა ქალმა.

„უკვე ჩამოგეცალე და სიცოცხლაც გავათავე, მეფის ასუ-
ლო!“

„მაშ ახლა რაღა გინდა?“

„მხოლოდ იმას გთხოვ, სამშობლოს ღალატს ნუ ჩაიდენ!“

„ჩამომეცალე, ამონა!“

„ოქროს საწმისის ვერ გაგატანთ, მეფის ას...“

სიტყვა გაუწყდა. ძლივს მოასწრო მიწაზე დაცემა.

თავზე გადაუშხულია იასონისგან ნატყორცნა შუბმა.

წამსვე ზე წამოიჭრა.

„მუხანათი ყოფილხარ, ბერძენო!“

და თვითონაც სტყორცნა შუბი.

ფარი შეაგება იასონმა. შიგ უშაგულში მოხვდა შუბი
ფარს.

იასონი დაბარბაცდა. რამდენიმე ნაბიჯზე უკანასვლით
გასტყორცნა დანაძგერებმა.

ამონა გაოცდა, როცა მოწინააღმდეგეს უვნებელს შეავლო
თვალი.

„როდის ყოფილა ჩემს შუბს მტრის ფარი არ გაეგლიჯოს
და მკერდისაკენ გზა არ გაეკვლიოს!.. ალბათ ესეც ამ გრძნეუ-

ლი ქალის საქმეა!“ გაუელვა და წამით გახედა მედეას.

იასონი წელში გაიმართა, მახვილი გაიძრო და გავეშვებულა წამოვიდა.

ამონამაც იშიშვლა ხმალი. კლდედ დაუხვდა გრიგალად მოვარდნილს.

შემზარავად გაიწკრიალეს მახვილებმა.

შეიბნენ რაყიფნი — კოლხი და ელინი.

გაალმასებით ურბენდნენ ნავარდს.

საწმისის შუქზე ელავდნენ მახვილები, ნაპერწკლებად ქცეულნი, ერთი — ღვთაებრივი ჯადო-წამლით გაფერილი, მეორე — კოლხი ოსტატის უცნაური ხელოვნებით გამოჭედილი.

გახელებული სცემდნენ მახვილებს ერთიმეორეს.

იასონი ჩქარობდა და ღელავდა. კბილთა ღრჭენით ეტევებოდა ცოფმორეული. ვერ ამჩნევდა, როგორ ართმევდა მიწის ყოველ გოჯს სიკვდილს შერიგებული კოლხი ვაჟაკი.

ნელა მოიწევდა ამონა. ნირშეუცვლელად იქნევდა მახვილს. თვალთ ნუსხავდა მტრის გაოფლილ ნერვიულ სახეს.

მედეას ჩირაღდანივით მალლა აღემართა ოქროს საწმისი. ენაჩავარდნილი შესცქეროდა რაყიფთა ბრძოლას.

კიდევ უფრო წინ წამოვიდა ამონა.

უკან იხევდა იასონი.

უცებ მედეამ გვერდზე აიკრა საწმისი. მისმა ჩრდილმა დაჰფარა იასონი, ახლა საწმისის შუქი მხოლოდ ამონას ანათებდა.

მწარედ გაეღიმა კოლხს.

„გსურს შენი ჩრდილით დაიფარო შენი მიჯნური, მეფის ასულო!“

გაშმაგებით შეუტია ბნელში შეფარულ მტრის სილუეტს, გაიშხუილეს მახვილებმა. საშინელი ელვა განაკრთეს.

და იმ წამსვე ერთი მათგანი წკრიალით დაეცა მიწაზე.

მედეამ შეჰკივლა.

იასონს ცარიელი მარჯვენა ჰაერში ატყორცნილი გაშეშებოდა.

ამონას მახვილი აღემართა. მტრის იარაღზე მარჯვენა ფეხი დაედგა.



„წადი, უცხოელო, შენი სისხლი არ მინდა და არც ჩემი ქვეყნის დიდებას გაგატანი!“ დინჯად თქვა კოლხმა.

„ამონა!“ უეცრად მკერდზე დაეტაკა მეფის ასული. არ მოელოდა ჭაბუკი. უნებლიეთ უკან წარდგა მარჯვენა ფეხი.

იასონმა ელვის სისწრაფით აიტაცა მახვილი. ისევ ეკვეთნენ ერთიმეორეს გაცოფებული რაყიფები. კვლავ სატრფოს ჩრდილი იფარავდა იასონის ლანდს. კვლავ შიშველ შუქზე იცავდა თავს კოლხი ჭაბუკი.

მაგრამ მაინც დაწინაურდა ისევ ამონა. სულის მოთქმას აღარ აცლიდა მოწინააღმდეგეს.

იასონი მძიმედ სუნთქავდა. მედუა მიხვდა, რომ დაღლილიყო მისი მიჯნური. ხელი ჩაიყო სარტყელში და...

რალაც გრილი, მკვეთრი სუნის სითხე ესხურა ამონას სახეს.

შეჰყვირა. მახვილი ძვრიალით გავარდა ხელიდან. ჩაიკეცა. გულაღმა დაეცა.

იასონი მიეჭრა და მახვილი მარცხენა ძუძუს ქვეშ დააბჯინა. ის იყო ზედ უნდა დასწოლოდა, რომ მედუა მივარდა და იარაღი ხელიდან გამოჰვლიჯა.

„არა, იასონ, დე იცოცხლოს! ის ჩვენთვის საშიში აღარ არის!“ თქვა და ძირს დაცემულს სახესთან საწმისი მიუტანა.

ამონას ღრმად ეძინა. სიკვდილივით გაფითრებული იწვა დეკაკი.

„წავიდეთ!“ მიუბრუნდა იასონს მედუა.

გამობრუნდნენ და სირბილით გაეშურნენ. მათი ხელები მალლა აღმართულ ოქროს საწმისში შეერთებულიყვნენ.

გარბოდნენ, გარბოდნენ...

ველზე დარჩნენ მძინარი ურჩხული და მძინარი კაცი.

ზედ ურჩხულის გაღებულ ხახასთან იწვა ამონა...

...განთიადი ჩამოდგა. მედუამ და იასონმა „არგოს“ მიაღწიეს.

არგონაველები სიხარულით აღტაცებულნი მისცივდნენ მათ.

გაოცებულნი შესცქეროდნენ ათასფრად მოვარვარე საწ-



მისს. ყველა ცდილობდა თავის ხელში მოექცია ის, გაესინჯა და დარწმუნებულიყო, რომ ეს ბედნიერი სინამდვილე იყო. არა სიზმარი-მოჩვენება.

ბოლოს, იასონმა საწმისი ათენას ნაჩუქარ წამოსასხამში გაპხვია, ზომალდის კიჩოზე დასდო და ზედ მედეა დასვა.

მერე თანამებრძოლებს მიუბრუნდა:

„ძმებო, ამ ღვთაებრივი ქალწულის დახმარებით მოვიბოვეთ ის, რისთვისაც ამდენი ტანჯვა-ვაება გამოვიარეთ. ელადაში მიგვყავს ჩემი მეუღლე, ჩვენი მწყალობელი!“

„ხაირეტე მედეა კაი იასონ! — გაუმარჯოს მედეას და იასონს.“ დაიქუხეს არგონაველებმა.

იასონმა ფიცხელი ბრძანება გასცა გამგზავრებისა. ყველამ იცოდა, აიეტი უეჭველად მდევარს დაადევნებდა.

შუაზე გაიყვნენ. ერთი ნაწილი ზოფებს მიუსხდა. სხვა ოცდახუთი გმირი ფარხმალმომარჯვებული მზად იყო მტრის იერიშის მოსაგერიებლად.

იასონმა მახვილით ბავირი გადაჭრა. არგოსმა ღუზა ამოზიდა და ანკევსმა საჭე მოიმარჯვა.

„არგო“ ქროლვით გაუყვა ფასისის მდინარებას.

მედეა თვალცრემლიანი მიშტერებოდა მშობლიურ მხარეს;

„მშვიდობით, დედა უტკბესო!“

„მშვიდობით, მამა მრისხანე!“

„მშვიდობით, ქალკიოპე, დაო საყვარელო!“

„მშვიდობით, ფაეთონ, ძმაო ძვირფასო!“

„მშვიდობით, შენც, კარგო ამონავ!“

„მშვიდობით, სამშობლოვ, ჩემგან გაყიდულო!“

„მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

„აქვს კი უფლება ადამიანს სიყვარულისთვის გასწიროს ყოველი მშობლიური?“

„არ ვიცი, არა! მან უპასუხოს, ვინც ასეთად გააჩინა ცოდვით სავსე სამყარო და უბედური ადამიანი!..“

მწარედ ტიროდა მეფის ასული.

ამაოდ ცდილობდა მის დამშვიდებას ბედნიერი ბერძენი...

შემზარავმა წივილმა გამოაღვიძა ამონა.

თავი ძლივს წამოსწია. იმ წამსვე გველნაკბენივით ზე წა-
მოიჭრა.

გველუშაპი სისხლგამყინავი სისინით და ცეცხლთა კვესებით
მოხონოვდა მისკენ.

ძლივს მოასწრო შუბის გამართვა. სტყორცნა შიგ ხახაში.

ზეცა გახეთქა ურჩხულის კივილმა. პირში შუბგაჩრილი
აღიმართა და კამარა შეჭკრა.

მახვილგაწვართული ეკვეთა ამონა.

სამკედროდ შეიბნენ ურჩხული და ადამიანი, — ორივენი
ოქროს საწმისის დამცველნი...

* * *

განთიადისას მეფე აიეტო საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა.
ვითომ ყელზე მახვილი დაბჯენოდა. იმ მახვილს ზემოდან
იასონი და მედეა აწვებოდნენ მთელის ძალით. იასონს თავი
ოქროს საწმისით ჰქონდა შემკული...

მეფე შემფოთებული წამოიჭრა. სასახლის უმაღლეს კოშ-
კურაზე ავიდა. სამხრეთ-დასავლეთს გაჰხედა და საზარი ხმით
დაიღრიალა.

საწმისი აღარ ბრწყინავდა. მხოლოდ მუხა იცქირებოდა
დაღვრემილი, ძვირფასი სამკაულისგან გაძარცული.

მეფის ხმაზე მთელი სასახლე წამოიშალა.

მოვარდა აფსირტე.

„მედეა! მედეა მომგვარეთ!“ დაიქუხა აიეტმა.

მოახსენეს: მედეა მის სანთიობოში აღარ არის!

„მედეა-მეთქი! გული ცუდს რასმეს მეუბნება!“ ენიანად
დაიქუხა მეფემ.

სულ მალე ისევ მოახსენეს, რომ მედეა არც სასახლეში,
არც ქალაქში აღარ არისო.

„მედეა! საწმისი!“ ცეცხლად გადმოჰყარა მეფემ და მაშინვე
რისხვით იკითხა:

„ამ ღამით ვის უნდა ეთვალთვალა საწმისისათვის?“



„ამონას, ხელმწიფეო!“

„ამონა! ახლავ მომგვარეთ!“

სანამ ამონას მოსძებნიდნენ, აფსირტეს მიუბრუნდა:

„შვილო ფაეთონ, ჩქარა საომრად გავემზადოთ! საჭურველი და საბრძოლო ეტლი!.. ლაშქარი ჩქარა!“

ქუთაია საომარი ნალარის ცემამ შეძრა.

„შეიყარა კოლხთა ლაშქარი.“

აღიჭურვნენ მეფე და მეფისწული. საომარ ეტლში მოთავსდა გმირი მამა-შვილი.

იმავ წამს მოახსენეს:

„არც ამონა აღმოჩნდა ქალაქში, მეფევე მზის შვილო!“

„მამ, ამონაც მტერი გამოდგა! დაეხმარა ბერძენ მძარცველებს!“

„არა მგონია ამონა მოღალატე იყოს, მამა!“ თქვა აფსირტემ.

„აშქარად მიჩანს მისი ღალატი, შვილო ჩემო! აბა, დაფიქროდი: საწმისის გუშაგობა ამ ღამეს რიგით მას ეკუთვნოდა. საწმისი არ ჩანს, თვითონ გუშაგიც მასთან ერთად გადაკარგულა!“

მერე ლაშქარს მიუბრუნდა გვირგვინოსანი:

„მომყევით, ჩემო კოლხებო! ვაზღვევინოთ ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფელთ!“

„გაკვიძებ, მეფევი!“ ხმაშეწყობით დაიგრიალეს მოლაშქრეებმა.

გრიგალივით მოწყდნენ ადგილიდან. ელვის სისწრაფით გაიქროლეს ქუთაია, მერე მასზე მომდგარი ტყეები და ვერძის ველზე გაიჭრნენ.

დაღვრემილი შემოხვდათ მუხა, საწმისისაგან განძარცულ.

საზარელი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ კოლხებს.

შავ, დაკვერებულ სისხლის მორევში ცურავდა გველეშაპი, მყრალ ლეშად ჩადონდლილი და ჩაშვავებული. თავი მოშორებით ეგდო, პირში შუბჩარტობილი და ტანისაგან მახვილით განშორებული.

იქვე მხარგაშლით ესვენა ამონა, ურჩხულის ბრჭყალებით მკერდდაფლეთილი და გონწართმეული.

მისცვივდნენ კოლხები.

„ამონა! ამონა!“ ჩასძახა ძმობილს აფსირტემ.

ამონამ თვალი ძლივს გაახილა. კარგა ხანს უაზროდ შეს-

ცეროდა გარს მომდგართ. მერე იცნო მეფე, უფლისწული, გორდა, კახა, კოლხი მეომრები და მეგობრები.

„ყველანი აქ არიან... ის კი აღარ არის... მედეა...“ გაუვიწყლა მას. ერთი ამოიგმინა და ისევ დაჰკარგა გრძნობა.

ძლივს მოაბრუნეს სიკვდილის გზაზე მიმავალი.

„დამაცალეთ... სიკვდილი მაინც დამაცალეთ, თქვე უღწერთოებო!“ ამოილულლულა მან.

„ამონა, ძმაო, აბა კარგად დაგვაკვირდი! ხომ გვიცანი?“ ტყბილად ჩაჰკითხა აფსირტემ.

„ყველა... შენ, ფაეთონ... მეფე... კახა... გორდა... მეგობრები... ყველა აქა ხართ... მხოლოდ ის აღარ არის!...“

„ვინ ის?“ ჩასძახეს ერთხმად.

„მედეა...“

„სად არის მედეა?“ მკაცრად შესძახა მეფემ.

„წავიდა... მასთან წავიდა...“

„ვისთან?“

„ბედნიერ უცხოელთან...“

„უცხოელთან?! ჰოი, მედეა, შვილო ჩემო, წყლად რად არ იქეც დედის მუცელში!“ დაიღრიალა აიეტმა და რისხვით მიუბრუნდა ისევ ამონას:

„სად არის საწმისი?“

„მათ წაიღეს...“

„საწმისი წაიღეს! — იქუხა მეფემ — ეს მას მერე, რაც შენ მოჰკალი გველეშაპი!“

„ჰმ...“ მწარე ღიმილმა გადაურბინა მკვდრის სახეზე ამონას.

„შენ გეუბნები! ხომ შენ მოჰკალი გველეშაპი?!“

„ჰო, მე მოვკალი!“

„ქვეყნის და ხალხის მოღალატე! მაშ, მტრებს მიეცი საშუალება მოეტაცნათ ოქროს საწმისი!“

„მე მოღალატე არა ვარ, მეფევ!“

„შენ სიკვდილი არ აცდებდა, საზიზღარო მონავ!“

„ჰმ... სიკვდილის პირზე ვდგავარ... თვითონ მე ვარ სიკვდილი... სიცოცხლე მე დიდი ხანია დავკარგე... ბარემ მომიღეთ ზოლო...“ გულგრილი ღიმილით თქვა ამონამ.

მეფე პირიდან ცოფებს ჰყრიდა.

ამონას თვალები დაეხუჭა. უდრტვინველად ელოდა სიკვდილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აიეტი გონს მოეგო.

„კარგი, მაგის დროც მოვა!.. შვილო ფაეთონ, აბა სწრაფად, დავედევნოთ იმ მძარცველებს!“

ეტლზე აიჭრნენ მამა და შვილი. აფსირტემ უკვე საკაცეზე დასვენებულ ამონას სინანულით გაჰხედა და სადავეები ბრაზ-მორეულად დაიქნია. ფრთები გამოისხეს მერნებმა.

მეფის ეტლს დაოთხებული აჰყვა კოლხთა ლაშქარი.

ქარივით მიჰქროდნენ ფასისის ნაპირებზე.

მდინარის შესართავს მისცვივდნენ და თვალი ძლივს მიაწვდინეს ზღვაში გაჭრილ „არგოს“, დასავლეთისკენ მიმქროლავს.

მეფემ გულგამგმირავი ხმით შეჰლაღადა ზეცას:

„ღმერთო ძლიერო, და შენ ჰელიოს, ღვთაებრივო მშობელო ჩემო! განა ისეთი რა მიმიძღვის დანაშაული, რომ ასე მძიმე სასჯელსა და სირცხვილს შემყარეთ!“

მივარდა აფსირტე:

„ტყუილუბრალოდ გოდების დრო აღარ გვაქვს, მამა! ჩქარა ხომალდები და დავედევნები!“

„ხომალდები! ხომალდები!“ იყვირა მეფემ. მემკვიდრეს გადაეხვია და მკერდზე ბრაზში ამოლესილი ცრემლი აფრქვია.

„შვილო ფაეთონ, დაიხსენი შენი ქვეყანა, შენი მამა, საშინელი სირცხვილისაგან! დაიბრუნე ოქროს საწმისი! გინდ მკვდრად, გინდ ცოცხლად მომგვარე ჩვენი მასპინძლობის შემგინებელნი! ცოცხლად მომგვარე შენი დაი, ჩვენი ოჯახის შემგინებელი!“

ფასისის შესართავში შეიყარნენ კოლხური ხომალდები, საესე მამაცი კოლხი ზღვაოსნებით.

შესძახა აიეტმა:

„შემომფიცეთ, ჩემო არწივებო, რომ აზღვევინებთ ჩვენს შემარცხვენელთ! აჩვენეთ მძარცველთ, რომ ალალ კოლხს მტრობისთვისაც შეუძლია მტრობის გაწევა!“

„ვფიცავთ!“ დაიგრიალეს კოლხებმა და იარაღის ზათქით მუხლებზე დაეცნენ.

აფსირტე მამას მიეახლა, თვალეზში ჩააცქერდა და მტკიცე
ხმით უთხრა:

„ზრდოლად გასვლის წინ ერთ რამესა გთხოვ, მამა!“

„სთქვი, შვილო ჩემო!“

„გულდინჯად აწონე ამონას საქმე. მე არა მჯერა მისი ლა-
ლატი!“

„გულისა და ჭკუის სიმსუბუქეში ოდესმე დაგიჭერია მამა-
შენი?!“ გაოცებით ჩაჰკითხა მეფემ.

აფსირტეს სირცხვილმა აუწითლა ლაწვები.

„მაპატიე, მამა!“ და მის წინ მუხლებზე დაეცა.

„ადექი, შვილო!“

წამოაყენა აიეტი მისი მემკვიდრე. გადაეხვია, შუბლი და
თვალეზი დაუკოცნა. მხარზე მარჯვენა შემოჰკრა და დინჯად
უთხრა:

„წადი, შვილო, გზას გილოცავ! მზისა და დედამიწის ძალა
გფარავდეს!“

სარდლის ხომალდზე აიჭრა აფსირტე. მახვილი აღმართა და
შესძახა:

„ან ძღვევამოსილნი დავბრუნდებით, ანდა ცოცხალს ველარ
გვიხილავს კოლხეთის მიწა!“

„ვფიცავთ!“ კვლავ დაიგრგვინა ლაშქარმა.

წინ გაიჭრა სამეფო ხომალდი.

„მომყევით!“ ომახიანად შეჰყვირა უფლისწულმა.

შეესივნენ ევქსინის პონტოს კოლხური ხომალდები.

დიდხანს ადევნებდა თვალს აიეტი თავის იმედს.

ახლად ამოსულ მზის შუქზე ელვარებდა მზის ნაშაერი უფ-
ლისწულის ბიბილოვანი მუზარადი. ლომის ფაფრად ჩამოშლო-
და განიერ მხრებზე ოქროვანი თმის კულელები.

ყიყინით მისდევდა კოლხ ზღვაოსანთა ლაშქარი ლომგულო-
ვან სარდალს.

აფსირტეს გული სტკიოდა, რომ ასეთ მძიმე დღეს გვერდით
არ ედგა ამონა, განუყრელი მეგობარი და კოლხეთის სწორუ-
პოვარი ფალავანი.

„ნუთუ მართლა მოღალატეა!“ არ შორდებოდა საზარელი
ფიქრი ფაეთონს...

...მესამე დღეს არგონაველები შევიდნენ მდინარე ჰალისისა



შესართავში, მარიანდინების ქვეყანაში. აქ, მედეას რჩევით, მსხვერპლი შესწირეს ქალღმერთ ჰეკატეს.

რაც შეიძლება მალე უნდა გასდგომოდნენ გზას, რადგან ყოველ წუთს ელოდნენ მდევრის გამოჩენას.

არგოსმა ურჩია, მდინარე ისტროსისაკენ წასულიყვნენ. მისი ფიქრით, იქიდან გადავიდოდნენ ადრიატიკის ან იონიის ზღვაში და შემოვლით დაბრუნდებოდნენ ელადაში. ამრიგად გზას აუბნევდნენ კოლხებს, რომლებიც ჩვეულებრივ ბოსფორის, პროპონტიდისა და ჰელესპონტის გავლით შევიდოდნენ ეგეოსის ზღვაში.

არგოსის რჩევა მოიწონეს.

მარიანდინების მეფის, ლიკოსის ვაჟი დასკილე, რომელიც მეგზურად ახლდათ, თავის ქვეყანაში დატოვეს და „არგო“ ჩრდილო-დასავლეთით, ისტროსისაკენ დასძრეს.

მაგრამ აფსირტე თავისიანებით მალე გამოჩნდა აღმოსავლეთის ჰორიზონტზე.

მან დროზე შეასწრო თვალი ბერძენთა ხომალდს, რომელიც ისტროსისაკენ მიექანებოდა.

უფლისწულმა მაშინვე ორად გაჰყო საზღვაო ლაშქარი. ერთი ნაწილი კახას ჩააბარა და უბრძანა, ბოსფორის სრუტესთან დამდგარიყო; თუ არგონაველები იქ გამოჩნდებოდნენ, ეექსინის პონტოდან არ გაეშვა, სანამ იარაღს არ დააყრვენიებდა და მედეასა და ოქროს საწმისს არ დაიბრუნებდა.

მეორე ნაწილით თვითონ აფსირტე სასწრაფოდ დაედევნა „არგოს“.

არგონაველებმა მდევარი შენიშნეს.

მედეა აუტანელმა მოუსვენრობამ შეიპყრო.

თავგამეტებით მიაქროლებდნენ გმირები ხომალდს.

„არგო“ ისტროსის დელტის ჩრდილოეთ განშტოებაში შევიდა. ამ განშტოებას ნარექსი ერქვა. მდინარის მეორე განტოტებას „მშვენიერი შესართავი“ ეწოდებოდა. ნარექსი და „მშვენიერი შესართავი“ სამკუთხა კუნძულს ქმნიდნენ. ამ კუნძულს პევკეს ეძახდნენ.

აფსირტემ თვალი შეასწრო, როგორ შეცურდა „არგო“ ნარექსში. მაშინ ის თავისი ხომალდებით „მშვენიერ შესართავ-

ში-“ შევარდა. მალე მან პეკეს წვეროსთან, დელტის გასაყარ-
ში, გზა გადაუჭრა არგონაველებს.

ბერძნები არ მოელოდნენ კოლხთა ასეთ სისწრაფეს. შედ-
რკნენ, როცა მათ წინ მოწინააღმდეგის ხომალდები იხილეს
საომარ წყობით ჩარაზმული.

სხვა გზა არ იყო, ან ბრძოლა უნდა მიეღოთ, ან უკან გა-
მობრუნებულყვნენ.

ბერძნებმა ეს უკანასკნელი აირჩიეს. იასონმა განკარგულე-
ბა გასცა და „არგო“ ისევ ექვსინის პონტოსკენ შემოაბრუ-
ნეს.

აფსირტემ აღმართული მახვილი დაიქნია და ისრის სეტყვა
წამოვიდა კოლხთა ხომალდებიდან.

არგონაველებმა ფარებით დახურეს თავისი ხომალდი.

ისევ ექვსინის პონტოს ტალღებს შეეჭრნენ დევნილებიც
და მდევრებიც.

ყოველი წუთი მძიმდებოდა და უმძაფრესად იძაბებოდა.

კოლხები სულ ახლოს იყვნენ.

მედეა აშკარად ჰხედავდა თავისიანთა ნაცნობ სახეებს, ყვე-
ლაზე წინ გალომებულ ძმას.

მოვიდნენ, სულ ახლოს მოდგნენ კოლხები.

„დაგვნებდით, ბერძნებო!“ დაიქუხა აფსირტემ. უმაღვე
კოლხთა გრიალი აჰყვა:

„შესდექით! დაგვნებდით!“

საბედისწერო წამი ჩამოვარდა...

ალბათ იმ წამში მოხიბლა ჰერამ მძლეეთამძლე ზევსი. ჰიპ-
ნოსი დაეუფლა ზევსს, ალერსით დამთვრალს.

მოჰპარა ჰერამ მძინარ მეუღლეს მეხი და ელვა-კრთომით,
ქუხილ-გრუხუნით გადასტყორცნა მდევართა და დევნილთა
შორის.

გული გადაეხსნა ექვსინის პონტოს. სადავეები აიწყვიტეს
ზღვათა მბრძანებლის, პოსეიდონის პეგასებმა. გაცოფდა და გა-
გეშდა ელვა-ნთხევით გაშოლტილი ზღვა.

ერთმანეთი თვალთაგან დაჰკარგეს კოლხებმა და ბერძნებმა.
თავიც დაჰკარგეს. აღარ იცოდნენ საით მიაჭანებლათ ცად-
ხეარდნილი წყლის ჯოჯოხეთი...

ათი დღე-ღამე იდგა ქართველი ზღვაზე და ხმელზე.

დალუპვის პირზე მიაყენა ცა და ხმელეთი ჰერას უცვლი
ხელით ნატყორცნა მეხმა.

მეთერთმეტე დღეს ძლივს დააწყნარა სამყარო ზევსმა. ისევ
შერიგდნენ ზეცა და დედამიწა...

ძლივს წამოსწიეს თავი ქანცვაცლილმა მეზღვაურებმა.

როგორ გაოცდნენ, როცა გარშემო კრონოსის ზღვა (ადრი-
ატიკი) შეიცნეს!

კოლხები უმალ მოვიდნენ გონს. აფსირტეს ბრძანებით სას-
წრაფოდ დაიჭირეს ყველა კუნძული და არგონაველებს სამ-
ხრეთისაკენ წასასვლელი გზები გადაუჭრეს.

ბერძნებმა მხოლოდ თავის ახლო ორი კუნძულის დაკავება
მოასწრეს, ჩრდილო მხარეზე. ბრიგეიდთა კუნძულებს უწო-
დებდნენ მათ.

ჩაიკეტნენ არგონაველები. აღარ იცოდნენ, როგორ მოქცე-
ულიყვნენ. ვერ ბედავდნენ ბრძოლასმოწყურებულ მოწინააღ-
მდეგესთან შებმას.

აფსირტე გადაჭრით მოითხოვდა მათგან: ან საწმისი და მე-
დეა დაებრუნებინათ, ან საომრად გამზადებულიყვნენ.

ბერძნებმა საზავო მოლაპარაკება გამართეს.

არც ამას მოჰქონდა შედეგი. დრო ფუჭად მიდიოდა.
აფსირტე არ სთმობდა: საწმისი და მედეა!

ბოლოს არგონაველებმა მესამე მხარის ჩარევა ითხოვეს.
მახლობელი ქვეყნის მეფეს უნდა გადაეწყვიტა, ვის დარჩენო-
და საწმისი და აიეტის ასული.

ამაზე უარი აღარ უთქვამს კოლხთა ბელადს. ის დარწმუნე-
ბული იყო, რომ არც ერთი უსამართლო მეფეც კი არ უარ-
ყოფდა კოლხთა კანონიერ მოთხოვნას.

მედეა საშინლად აღაშფოთა არგონაველთა გადაწყვეტილე-
ბამ. მაშინვე გაიხმო იასონი და აღელვებით უთხრა:

„რა განგიზრახავთ, იასონ?! ეგ არის შენი ფიცისა და დაპი-
რების აღსრულება? განა ამისთვის ავიღე ხელი ყველაფერზე,
რაც კი ჩემთვის ასე ძვირფასი იყო! ურცხვი სურვილით გონ-
დაბნეული მოვწორდი სამშობლოს, აღმზრდელ კერას და
უცხოელ მამაკაცებთან ერთად მოვცურავ ჯოჯოხეთად ქცეულ
ზღვაზე! ჩემის უკუტობით შესძელი მამაჩემის თვალის ახვევა
და საწმისის გამოტაცება. ვაგლახ, რომელ ქალს ჩაუდენია



უცხოელი მამაკაცისთვის ასეთი განუზომელი სირცხვილი და თავლაფის დასხმა!.. მაშ, ვიღაც ვიგინდარა მეფის სავაჭრო გინდათ გაჰხადოთ ღვთაებრივი აიეტის ასული, მზე-ჰელიოსის შვილიშვილი?! უქმად ნუ ფიქრობთ ასეთ დამდაბლებას შევეურიგდე! გახსოვდეს, იასონ, შურისძიების ღმერთი, ერინიებო იქნებიან შენი მსაჯულნი. მე შემიძლია ახლავ ცეცხლს მივცე თქვენი ბოროტებით სავსე ხომალდი, მეც იმ ხანძარს შევერიო და ასე ავცდე ახალ შერცხვენას!“

„სიკვდილზე ფიქრს თავი ანებე, ჩემო სიცოცხლე!“ მხურვალედ შესძახა იასონმა.

„თქვენი გადაწყვეტილება სიკვდილზე უარესია!“

„ეს გადაწყვეტილება არც მე მომწონს, მაგრამ ჯერ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. თვითონ განსაჯე: თუ კოლხებს შევებრძოლებით, ყველანი უწყალო სიკვდილით დავიღუპებით! ჰოდა, განა ის უფრო საშინელება არ იქნება, რომ ჩვენი განადგურების შემდეგ შენ კოლხთა ნადავლად იქცე?“

„გაიგე, იასონ: მე არავის გადაწყვეტილებით არ დაეუბრუნდები ჩემგან ნაღალატევ კოლხეთს!“

„მერე, ვის უნდა, ან ჩემს მებრძოლთაგან ვინ მოითხოვს შენზე ხელის აღებას?!“

„მაშ, თქვენი შეთანხმება კოლხებთან?“

„ეგ მხოლოდ დროის მოსაგებად“.

„მერე, დრო თქვენ რას მოგიტანთ? ბოლოს ხომ მაინც ყველაფერი ცხადი გახდება!“

იასონი თითების მტვრევას მოჰყვა. მედეა მიხვდა, რომ მიჯნურს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ გაეგებინა.

„ჰო, სთქვი, ხმა ამოიღე!“ ჭირვეულად მიაყვირა.

„სათქმელადაც საშინელია...“

„უარესი რაღა იქნება, რაც აქამდე ჩამიდენია!“

„იცი, მედეა, — ძლივს დაიწყო იასონმა, — სხვა გზა არ არის, თორემ ასეთი რამ ჭკუათმყოფელს როგორ მოუვიდოდა...“

სიტყვა გაიწყვიტა, მედეას ერთი გაჰხედა და მაშინვე თავი ჩაჰკიდა. ქალი კარგა ხანს უცქერდა მას უაზრო თვალებით. გრძნობდა, კვლავ რაღაც საშინელი უნდა მოესმინა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ საბოლოოდ შენეტოპა ცოდვიანობის

ზღვაში და ახლა მისი გაკერებული გულისათვის სულ ერთი იყო რა ბოროტებაც შეერთვოდა ცოდვებით სავსე ოკეანეს.
„სთქვი-მეთქი!“ ანჩხლად შესძახა ყველაფერთან შერიგებულმა ქალმა.

იასონმა თითების მტვრევა შესწყვიტა და განაგრძო:

„თუ გინდა თავი დავიხსნათ სირცხვილისა და სიკვდილისაგან, ეს ერთადერთი გზა დაგვრჩენია...“

„რა გზა?!“

ატყობდა, გული მისდიოდა და თვალში სინათლეს ჰკარგავდა.

იასონი კი ასრულებდა:

„აქ, არტემიდეს ტაძარში უნდა მოიწვიო შენი ძმა...“

„მერე?!“ ძლივს მოისმა მედეას კვნესა.

„მერე და...“ მახვილზე დაიდო ხელი ბერძენთა ბელადმა.

„იასონ!“ შეჰკვივლა ქალმა და გონწართმეული დაეცა უწყალო მიჯნურის მკლავებზე...

უფლისწულის სიკვდილი

კოლხთა სარდლის კარავში ცბიერი ეთალიდემ გამოცხადდა, იასონისგან გამოგზავნილი.

მოძალადე სასიძო მდიდარ ძღვენს უგზავნიდა კოლხ უფლისწულს. საჩუქრებში ერია ყველაზე ძვირფასი წოდებულის წამოსასხამი, რომელიც ერთ დროს ჰიფსიპილემ უსახსოვრა კუნძულ ლემნოსზე.

მადლი უძღვნა აფსირტემ, თუმცა გულგრილად, ზრდილობისათვის მიიღო საჩუქრები, მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: არ დაეთმო ბერძენებისათვის.

მაგრამ ეთალიდემ გაშალა ჰერმესისეული შეუვალი ცბიერი ენა და მოახსენა იასონისგან დანაბარები:

ნუთუ შეუძლებელი შეიქნა მორიგება რაღაც ცხვრის ტყავის გულისათვის! ნუთუ ამისთვის ღირს ერთმანეთს შეაწყდეს ორი ბრწყინვალე ქვეყანა — კოლხეთი და ელადა! განა დრო აღარ დადგა დაიმშვიდონ მღელვარე გულეები და გზა მისცენ აზრს ჰკუადამჯდარს! ბერძნებს და კოლხებს მოსისხლე მტრო-



ბის ნაცვლად შეუძლიათ გადაიქცნენ უსაყვარლეს მოყვრებდად და ძმა-მეგობრებად. განა კოლხთათვის იასონი სასიძოდ საწუნარია? ნუთუ სულ ასე უღირსია, რომ ოდნავ მაინც არ შეეფერება საქმროდ მედეას?.. მხოლოდ შერიგდნენ, დამოყვრდნენ და დაძმობილდნენ იასონი და ფაეთონი. მაშინ საწმისის ვინ რად ჩაადგებს, თქვენთან იქნება, კოლხეთში, თუ ჩვენს ელადაში, რადგან მაშინ ყველაფერი ჩვენი იქნება, „ჩვენიც“ და „თქვენიც“...

კარგა ხანს ღრმა ფიქრებმა გაიყოლიეს აფსირტე. მერე ბერძენთა ელჩს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

„თუ ასე სამოყვრო საუბარი სურს, რატომ თვათონ არ გვეწვია იასონი?“

„ჰმ... ვინ იცის, რას შეამთხვევდნენ კოლხები!“

„განა კოლხები ასე მუხანათები არიან, ღვთისა და კაცისაგან საგმობს ჩაიდნენ და სამშვიდობოდ მოსულ კაცს მახვილს დასცემენ?!“

„არა, მაგრამ... არც იასონი მოითხოვს, უფლისწულო, შენს გამოცხადებას ბერძენთა ბანაკში“.

„მაშ სად?“

„განმარტოებულ კუნძულზე, არტემიდეს ტაძარში“.

„რატომ ასე განმარტოებით?“ გაეცინა კოლხს.

„ასე სურს იასონს, ჩვენ არაფერი ვიცით“.

„რად უმაღავს ამხანაგებს ბელადი?“

„შიშობს, ვაითუ არ მოუწონონ შერიგება“.

„მართლაც და რომ არ მოუწონონ?“

„მაშინ იასონს უფრო გაბედული განზრახვა აქვს“.

„რა განზრახვა?“

„ოქროს საწმისთან და მედეასთან ერთად კოლხებს ჩავგზარდეთ“.

„ოჰო! — გაოცდა აფსირტე — ნუთუ ასე იოლად ჰოლადობს თავისიანებს?!“

„ამისთვის აქვს მიზეზი დაუძლეველი!“ ხმამაღლა მოკვეთა ეთალიდემ.

„რა მიზეზია ასეთი, რომ თანამემამულენი გააწირვინოს?!“

„სიყვარული შენი დისა, კოლხეთის მეფის ასულისა!“ მხურვალედ შესძახა ბერძენმა.



აფსირტეს სიამაყის ქრუანტელმა დაურბინა სხეულში. თით მიავიწყდა უზღვავი წყენა საყვარელი დისადმი. მისმა ნდობმა გულმა ვერ იგრძნო, რა ცბიერება კვანძავდა ხლართებს ბერძენის პირით წარმოგზავნილი.

წამოდგა და დიდხანს ბოლოს სცემდა. ბოლოს ეთალიდეს უთხრა:

„კარგი... მოვიფიქრებ...“

ეთალიდე წავიდა.

აფსირტე მთელი დღე ფიქრობდა, ბჭობდა, ჩხრეკდა და სწონიდა.

დალამდა თუ არა, ეთალიდე კვლავ გამოცხადდა.

ახლა მედეა უთვლიდა ძმას:

„ძმაო ფაეთონ, არ ვიცი, როგორ გაგიბედო შენმა შემარცხვენელმა... თუ ჩემი სიყვარული კიდევ დაგრჩენია, შეურიგდი იასონს. თუ ბერძნები არ დათანხმდებიან, ჩვენ მაინც მზად ვართ საწმისი გამოვიტაცოთ და თქვენ შემოგიერთდეთ. მაგრამ ვიცი, ბერძნებიც სიხარულით შეხვდებიან შენსა და იასონის შერიგებას... დამიხსენ, ძმაო! სულ ნუ დამკარგავთ ჩემიანები სულით და ხორციით! მოდი ახლავე, მოვისაუბროთ. თუ ეს აზრი არ მოგწონს, სხვა მოვიფიქროთ. მხოლოდ მოდი, ხმა ჩამაწვდინე შენი ხმის დანატრებულს! მხოლოდ წუთით დამიტკბე მზერა შენი შეხედვის მწყურვალს! მერე თუგინდ შენის ხელით მომკალ, მზადა ვარ!.. დაუყოვნებლივ წამოდი, გელი!“

ცრემლი მოერიხა ვაჟკაცს, როცა საყვარელი დის ვედრება მოისმინა.

მაინც ყოყმანობდა. ეთალიდე ისევ უპასუხოდ გაუშვა.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ არტემიდეს ტაძრის მსახური ქალი გამოცხადდა, ესეც მედეას გამოგზავნილი. მისი პირით სხვა საგულისხმო ამბავსაც ატყობინებდა:

„იცოდე, ძმაო ფაეთონ, ამ ქალის წამოსვლის შესახებ არც იასონმა იცის, არც ეთალიდემ, არც სხვა რომელიმე ბერძენმა... მას ყველაფერში ენდე! იცოდე, ძმაო: მე ძალით გამომიტაცეს ბერძნებმა. ფრიქსესა და ქალკიოპეს შვილებმა დამლუბეს. ისინი ეხმარებოდნენ კოლხეთის მტრებს. მე მაინც თანახმა ვარ შევურიგდეთ იასონს. მაგრამ თუ შენ არა გსურს, მოდი ნაშუალამევს ჩემთან, ერთად მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიტაცოთ



ოქროს საწმისი და ერთად გავბრუნდეთ კოლხეთისაკენ. ნაშუა-
ლაშვეს მოდი-მეთქი! მაშინ მე აქ სრულიად მარტო დაგვტყუ-
ბი...“

აფსირტე გასამგზავრებელ სამზადისს შეუდგა.

* * *

შუალამეა.

კუპრისფერი ზეცა მაჯლაჯუნასავით დასწოლია ზღვასა და
ხმელეთს.

ამაზრუნენი ხმით გაჰკივის ჭოტი, გულშემზარავი მეხოტბე
ბნელი ღამის და ბნელი საქმისა.

პატარა ნავი ნიჩბების ტყლაშუნით უახლოვდება ბრიგების
მცირე კუნძულს. ამ ნავს კოლხი უფლისწულის რკინის მკლა-
ვები მიასრიალეხს.

მკერდში ხალისიანი გულის ნაცვლად თითქოს ტყვიის მძი-
მე ნამსხვრევი ჩასჭედვია აიეტის ძეს.

არ იძვრის ტყვიის გული.

აფსირტეს უყვირს, რომ სასიხარულო საქმეზე მიდის და არ
უხარია. საყვარელ დასთან შესახვედრად მიეშურება და სიყ-
ვარულიც სადღაც გამქრალა. თითქოს არასდროს არაფრის ხა-
ლისი არ ჰქონია და არსოდეს არავინ ჰყვარებია...

წამით ჩამოჰკრა ტყვიის გულმა:

„ხომ არ მალატობს?“

უმალვე გაკიცხა თავი ალაღმა კოლხმა, ყველაზე და ყველა-
ფერზე გულით მიმნდობმა:

„ეს რა გაივლე, შე საცოდავო! დამ ძმა გაჰყიდოს?! კოლხთა
შორის ვის უნახავს, ვინ მოსწრებია?! თუკი მართლაც ასე მოხ-
დება, მაშინ სიცოცხლაც რაღად მიღირს?ისა სჯობია მოგკვდე,
ვინემ დედმამიშვილთა ერთმანეთის ღალატს შევესწრო!“

ჰკივის ჭოტი, მეხოტბე ბნელი ღამის და ბნელი საქმისა...

წყვდიადის ზღვაში ბლონდედ გამოკრთა არტემიდეს რძინ-
ფერი ტაძარი.

წყნარად მიაყენა ნავი ნაპირს და გადმოხტა.

საჭურველი მოისინჯა. სმენადაძაბულმა მოავლო არწივის
თვალი ბნელში ჩაძირულ კუნძულს.

ხელმარჯვენა, ტაძრის მაჩლობლად, ბორცვზე, მებისგან
გადამსხვრეული მუხა შენიშნა.

„შეეცოდა მუხა...“

„რა მუხანათად დაუტრავეს იმ უღმერთო მებს!“ გაუელვა
მას.

ჩამიჩუმე არ ისმის. ღრმა ძილში ჩანთქმულა შავად შესუდ-
რული მიწის ნაფლეთი. არსად სიცოცხლის ნიშანი არ იგრძნო-
ბა, არც კარგის, არც ცუდის მაუწყებელი.

„მაშ, რად ჰკვივის ასე გულის და სულისმომკვლელად ქო-
ტი, მებოტბე ბნელი ღამის და ბნელი საქმისა?!“

მჭრქალი სინათლე უსიცოცხლოდ ლიცლიცებს ტაძრის სარ-
კმელში.

აფსირტე კარს მიადგა და შეაღო.

საკურთხეველზე აღმართულ მონადირე ქალღმერთის წინ
მუხლებზე დაცემულა მედეა. გულმბურვალედ ლოცულობს.
ეტყობა, სტორის: გამალეობით უტოკავს გაშლილი თმებით დატ-
ვირთული მხრები. არტემიდეს მარმარილოს ქანდაკზე უთეთ-
რესი სამოსი უცნაურად უღელავს მთრთოლვარე სხეულზე.

„მედეა!“ წყნარად შესძახა აფსირტემ.

წამოიჭრა ფეხზე ქალი. შემოტრიალდა და წამოვიდა ხე-
ლებგაშლილი, ცრემლით თვალადუღებული.

„ფაეთონ!“

„მედეა!“

ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ელვასავით შემოიჭრა იასონი. გაშიშვლებული მახვილი აფ-
სირტეს საშინელი ძალით აძგერა ზურგში. აძგერა და გულ-ძუ-
ძუ ერთიანად გაიტანა.

შემაზრზენი ხმით დაიბლავლა კოლხთა ბელადმა.

ჩაიკეცა და იმავ წამს რალაც ძალით კვლავ წამოიჭრა. სის-
ხლით ნატბორი თვალეზი დაუტრიალა ზურგიდან მოვარდნილ
მუხანათს და მახვილის ვადას ძლივს მიატანა მკვდარი მარ-
ჯვენა.

ახლა წინიდან დაატაკა იასონმა მახვილი და უკანვე გაუნ-
გრია სისხლის შადრევნად ქცეული მკერდი.

უფლისწულს მეტი აღარ დაუყვირნია. მუხლებზე და ხე-
ლებზე დაეცა პირიდან სისხლწავარდნილი.

ისეც აღმართა ბერძენმა აღისფრად აელვებული, ოხშივარა-
აეარდნილი ფოლადი.

იწივლა მედეამ: ❄

„არა, არა!.. მეტი აღარ!!!“

თავი აიქნია მის ხმაზე აფსირტემ. გაისწორა სიკვდილშეკ-
რილი, აძიგძიგებული სხეული და მიაშტერდა მედეას.

სისხლით ავსებულ მზერაში უცნაურად ატივტივდა ჭკუა-
გადასული დის სილუეტი.

დაიძაბა, სიცოცხლის წვეთები მკვდარ მკლავებში ჩაიკრი-
ბა; ხელები პეშვად შეიკრა, მკერდზე მიიბჯინა, სისხლით გაივ-
სო, გაიქნია და მედეას სახეში შეაქცია.

„გა-ძეხ!“

ძმის სისხლით შეეღება მედეას თეთრი პირბადე.

იკივლა და გულშემოყრილი დაეცა შეტბორილ იატაკზე.

იმავ წამს გულადმა გაიშალა სიცოცხლესგაყრილი უფლის-
წული.

ცოდვით დაქცეულ სისხლის მორევში ესვენა ძე და იმედი
აიეტისა.

სიკვდილი გააგებით დასცხრომოდა კოლხთა ბელადის პი-
რისახეს. თითქოს უნდოდა მალე მოეღო ბოლო ბოროტებით
დალაზვრული სილამაზისთვის.

ყრყოლამ აიტანა იასონი. საკურთხევლისკენ აღაპყრო
მზერა.

სისხლი გაეყინა მკვლელს.

რისხვას გაეცოცხლებინა არტემიდეს მარმარილოს ქანდა-
კი. ავი მზერით იცქირებოდა ცოდვის სისხლით შესვრილი
ქალღმერთი ნადირობისა.

„მონანიება! მონანიება!“ ტვინი დაუწვა ელვად მოვარ-
დნილმა ფიქრმა.

და ასე მოინანია ელინმა გმირმა ელინური წესით:

მასვილით გადაუხსნა ბარძაყის და თეძოს სახსარი აფსირ-
ტეს. გადმოთქრიალდა უკანასკნელი დაკვერებული სისხლის
ნაკადი. მუხლებზე დაეცა მკლავებწაქარწახებული იასონი და
ჭრილობას დაეწაფა.

სამგზის გაივსო პირი სისხლით და სამგზის გადმოაქცია.

თბილმა და მოტკბო გემომ ზრიალით დაურბინა ტანში.

ქლივს გაიმართა მუხლი. ბარბაცით გაეშურა გონწარმე-
ული მედეასაკენ...



...არგონაველები მოუთმენლად ელოდნენ დათქმულ ნა-
წმანს. არტემიდეს ტაძრის მხრიდან ჩირაღდანმა იელვა. სისხ-
რულის ყიჟინა აღმოხდათ. ჩირაღდანი აცნობებდა, რომ აიეტის
ძე ცოცხალთა შორის აღარ იყო.

მყისვე ხომალდი აუშვეს და არტემიდეს ტაძარს მიადგნენ.
სისხლში გასვრილი იასონი გამოეგებათ. სისხლიან მკლავზე
ესვენა გულშემოყრილი მედეა.

ჩასხდნენ და კოლხთა ბანაკისაკენ გაეშურნენ...

უღრტვინველად ეძინათ კოლხებს. არ უწყოდნენ, რა უბე-
დურებაც დასტყდომოდათ თავს. არავინ იცოდა აფსირტეს
წასვლა. უფლისწულს არ მოუსურვებია მისი „ხანმოკლე“ არ-
ყოფნით შეეშფოთებინა თანამებრძოლნი...

...მეხთა ტყდომას ჰგავდა არგონაველთა საომარი ქუხილი
და იერიში.

წამოიშალნენ კოლხები.

„იარალი!“

„სარდალი!“

„მტერი!“

„სარდალი არ ჩანს!“

„უფლისწული!“

„უსარდლოდ დავრჩით!“

„არ შედრკეთ!“

„მედგრაღ დახვდით!“

ერთმანეთს ამხნევებდნენ ჯერ ისევ ძილის ბურანში მყო-
ფი კოლხები და თავგანწირვით ასკდებოდნენ გრიგალივით მო-
ვარდნილ ბერძენთა ლაშქარს.

ბეგთარის ჩაცმას ველარ ასწრებდნენ. თავშიშველი, პერან-
გის ამარა ეგებებოდნენ მტერს.

ამაზრზენი ზათქი და ხაფი აყრუებდა გარემოს.

მახვილთა კვესებით იფლითებოდა წყვილიადი.

გაალმასებული სცემდნენ ერთმანეთს გავეშებული კოლხე-
ბი და ცოფაყრილი ბერძნები.

ამაოდ უტევდნენ თეთრი პერანგები ბნელსშეხამებულ ლი-
თონის ბეგთრებს.

არგონაველებმა პერანგთა თეთრი ზღუდე გაჰკვეთეს და
კვლავ ხომალდზე აიჭრნენ. ანკევსმა საჰე გამართა. გმირებზე
ხოფებს დააწვინენ. „არგომ“ შევარდენივით გაიჭროლა კოლხე-
ბის თვალწინ.

სამხრეთისაკენ მიაპობდა ტალღებს სამშვიდობოს გასული
ბერძენთა გემი...

კოლხებმა ღამის დარჩენილი ნაწილი აფსირტეს ძებნაში
გაატარეს.

როცა რიყრაჟმა ღამე გასცვითა და ცა მტრედისფრად ააკამ-
კამა, არტემიდეს კუნძულზე გადავიდნენ, ყოველი კუთხე მი-
მოიხილეს და ბოლოს ტაძარს მიაღწენენ.

გაქვავდნენ.

ტაძრის ზღურბლზე სისხლიანი ნაფეხურები უენიშნეს.
ვერავენ ბედავდა შიგ შესვლას. გრძნობდნენ, რალაც საში-
ნელი იმალებოდა იმ კარის იქით.

წინ წამოვიდა გორდა. შემდრკალი ხელით შეაღო კარი.

და იმ წამსვე სამსხვერპლო მოზვერივით დაიბღავლა.

შეცვივდნენ კოლხები. ცადამწვდენი გლოვის ზარი აღმოხ-
და ყველას.

მათ წინ ესვენა აიეტის ძე, უფლისწული, მეომარი და მე-
გობარი ყოველ მეომრის.

აღარ იძროდა სიცოცხლით მუდამ ხალისიანი მისი სხეული.

სიკვდილის მსახვრალ ხელს მაინც ვერ განედევნა სილამაზე
ფაეთონის პირისახიდან. თითქოს ეძინა უღრტვინველად.
ოლონდ რალაც გაცემა გამოუკრთოდა; უკვირდა მკვდარს მუ-
ხანათობა აღამიანთა და უღმერთობა ღმერთებისა.

გულისშემძვრელი ღმუილით დაეცნენ კოლხები ახალგაზრ-
და სარდლის წინაშე. წვერ-ულვაში დაიწიწენეს და გულმკერ-
დი დაიგლიჯეს.

გორდამ აიყვანა აფსირტე.

კარებისაკენ მიჰყავდა. ცრემლის ნაკადი ესკვნებოდა აცახ-
ცახებულ ნიკაპზე და შელეწილ მკერდს უღტობდა ბოროტი
ხელით დალახვრულ ვაჟკაცს.

გარეთ გამოვიდნენ, ცხედარი მალლა აღმართეს. ზეცას და
მიწას გლოვის ხმით ამცნეს უსამართლობა ზეცისაც და დედა-

მიწისაც, უზენაესი უკვდავ ღმერთისაც და უბადრუკი უღ-
ღეური კაცთა მოდგმისაც.

მთელი დღე გლოვობდნენ ბელადს კოლხეზე. თმებს ჩაგულ-
დნენ, სხეულს იხოკდნენ, თავზე სილას იყრიდნენ.

სალამო ხანს დაკრძალვას შეუდგნენ.

გორდა კოლხური წესით ცხედრის ხეზე ჩამოკიდების წინა-
აღმდეგ დადგა.

„ვერაგი მტრები უფლისწულის ძვლებსაც შეგვიგინებენ!“
იძახდა ბრაზმორეული.

გადაწყვიტეს აფსირტე მიწისათვის მიებარებინათ.

მესდაცემული მუხის ქვეშ გათხარეს საფლავი.

კოლხები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ აიეტის ძეს. სათი-
თაოდ მიდიოდნენ დადუმებულნი, დალახვრულ მკერდს უკოც-
ნიდნენ, ზედ ცრემლს აპკურებდნენ, როგორც ზედაშეს ზეცად
მიმავლის უწმინდეს სხეულს.

მიწაში ჩაუშვეს მშვენიერი ფაეთონის შესუდრული სხე-
ული.

მზეც ჩაესვენა.

დღემ ფეხი აიჩქარა.

ლამე მოიზღაზნებოდა, ბნელი ფარდა მოჰქონდა, ბნელი
სუდარით უნდა დაეფარა ბნელი საქმით ნამსხვერპლარი.

კოლხები ხომალდებზე ავიდნენ. შავი აფრები აღმართეს,
გლოვისა და შურისძიების. ბაგირები გადასჭრეს. მიდიოდნენ
და მღუმარედ გასცქეროდნენ მკერდშემსხვრეული მუხის ქვეშ
ამობორცვილ მკვდრისზედა მიწას.

სულ ჩამობნელდა.

სამნი დარჩნენ არტემიდეს კუნძულზე: კოლხური სისხლით
შესვრილი ქალღმერთის ქანდაკი, მუხა ნამეხარი და მისებრ
მკერდგაბობილი კოლხი უფლისწული.

შფოთავდა მუხა.

ოხრავდა ლამე.

გმინავდა მიწა, ახალთახალი მკვდრისზედა მიწა.

ეცოდებოდათ ერთიმეორე ერთად შეყრილ მუხას და ვაყ-
კაცს, მუხთალი ძალით ერთნაირად გულმკერდდამსხვრეულთ.

გულშემზარავად ჰკიოდა ჭოტი, მეზობტე ბნელი ღამის და
ბნელი საქმისა.



მოაქროლებდნენ ხომალდებს კოლხნი. მოჰქონდათ წითელი და შურისძიებით საცხე გულები. ვაფაციცებით მოიხილავდნენ ზღვის ყოველ კუნჭულს. ეძებდნენ ბერძნებს. ღუმდნენ და უსიტყვოდ იცოდნენ: თუ მოახლებდნენ, ყველას უკლებლივ გაჟღეტდნენ; იასონსა და მედეას ანძუხზე ააგებდნენ.

სალამო ხანს შენიშნეს სამხრეთისაკენ მიმქროლავი, ჩამავალ მზის სხივებზე მოელვარე „არგო“.

ბრაზიანი ალტყინებით დააწვნენ კოლხები ნიჩბებს.

ბერძნებმაც შენიშნეს მოახლოებული მდევარი, შაოსან ხომალდთა ლაშქარი.

ავისმაუწყებელი რიალით მოჰქროდნენ ყორნისფერი აფრები.

მშვილდ-ისრები გაემართათ სახეჩადრუბლულ კოლხებს.

არგონაველებმა იარაღი მოიმარჯვეს.

მზემ არ ისურვა მოსალოდნელი სისხლის ღვრის ცქერა. ცის დასავალს მიაშურა და ჩაესვენა.

იმავე წუთს იჭიდან, სადაც ჰელიოსმა ჩაიკრიბა თავისი სხივები, ღრუბელთა შავი ოკეანე მოაწვა ზეცას.

ალბათ ისევ მოხიბლა ცბიერმა ჰერამ მეუღლე ზევსი. ისევ აზიდა ელვამები ალერსით დამთვრალ ოლიმპიელის ფერხთაგან და გადმოსტყორცნა...

შავაფრიან ხომალდთა წინ დაეცა მესი.

ბნელი ჩამოწვა. მხოლოდ ხშირი ელვა-კრთომა ცეცხლოვანი მახვილებით ფლეთდა წყვედიადს.

მთელი ღამე გრგვინავდა ზეცა. ძრწოლამოსილი ირღვნებოდა ზღვა და ხმელეთი.

ღილით ისევ შერიგდნენ ცა და დედამიწა.

ძლივს მოიყარეს თჳვი დაფანტულმა ხომალდებმა.

„არგო“ აღარსად ჩანდა.

სათათბიროდ შეიკრიბნენ ქარტეხილთან ბრძოლით განაწამები კოლხები.

„ღმერთთა სამართალს დამიხედეთ!“ ბრაზმორევით წამოიძახა გორდამ და თავისიანებს მიუბრუნდა:

„კოლხებო, აშკარაა, ღმერთებს ჩვენი მტრების მფარვე-

ლობა დიდი ხანია გადაუწყვეტიათ! უბედური მოკვდავი ნაპირა
ვერ წასდგამს უზენაესის სურვილის წინ, თუნდაც იგი უხეშად
თლო იყოს. ოქროს საწმისი სამუდამოდ დაჰკარგა კოლხეთში!

„ხელცარიელი როგორ დავბრუნდეთ სამშობლოში!“

„რა პირით შეგხვდეთ მეფე აიეტს!“

„ალარც საწმისი!“

„ალარც მედეა!“

„ალარც აფსირტე!“

„არა, არა, ვერ დავბრუნდებით!“

გორდას ჭაღარა წვერზე ორი ცრემლი ჩამოუგორდა. მდუ-
ღარე ცრემლს მდუღარე ხმით ამოადევნა:

„დიახ, ჩვენ შერცხვენილი ვერ დავბრუნდებით! მშობლი-
ური კოლხეთის მიწას შერცხვენილ ფეხს ვერ დავაბიჯებთ!“

და, აი, რა დაადგინეს ბოღმის ცრემლში გულადუღებულმა
კოლხებმა:

ალარასოდეს დაბრუნებულებიყვნენ სამშობლოში..

სამ ნაწილად გაიყვნენ სამშობლოზე ხელადებულნი.

ერთნი გორდამ გადაიყვანა ბრიგების კუნძულებზე და იქ
დასახლდნენ. ამათ და მათ შთამომავლობას აფსირტელები
ეწოდათ, აქ დაკრძალული კოლხი უფლისწულის სახელის უკ-
ვდავსაყოფად. კუნძულებსაც აფსირტიდების სახელი უწოდეს.

მეორენი დასახლდნენ ილირიის ნაპირზე, სადაც თებეს
ლეგენდარული მეფე-დედოფლის, კადმოსისა და ჰარმონიას
საფლავი იყო მონიშნული. აქ კოლხებმა ბრწყინვალე საცხოვ-
რებლები და ციხე-კოშკები აიშენეს.

კოლხთა მესამე ნაწილი ჩრდილოეთ ილირიაში კერავნიის
მთებს შეეხიზნა. მათ ჯერ იქვე მდებარე კუნძულზე დასახლება
სურდათ, მაგრამ ზევსმა მეხის დარტყმით ამცნო უარი. ამიტომ
თავის ახალ სამყოფელს კერავნის (მეხის) მთები უწოდეს...

* * *

არგონაველები კი გულარხეინად ეშურებოდნენ ელადისა-
კენ.

მაგრამ იასონსა და მედეას აფსირტეს სისხლი აწვათ უმძი-
მეს ცოდვად. მის საფასურად ჯერ კიდევ მრავალი ტანჯვა-ვა-
ება უნდა გადაეტანათ ოქროს საწმისის მტაცებლებს.

ვერ მოასწრეს ილირიის უკიდურეს სამხრეთ საზღვრამდე მისვლა; კვლავ ატყდა ქექა-ქუხილი. ჩამობნელდა და ჩამოიკუპრა ლაგამაწყვეტილ მძვინვარე ზღვაზე.

ერთმანეთს ნაფოტივით ესროდნენ „არგოს“ ცადატყორცნილი ზვირთები. აღარ იცოდნენ, საით მიაქროლებდათ სტიქიონი.

უცებ, ძალადაწრეტილი და იმედდაკარგული გმირები ხომალდის ყელის ბლავილმა გამოათნიზლათ. ის ხომ ღვთაებრივი დოდონას მუხისაგან იყო გათლილი!

მისგან შეიტყვეს: თურმე ეს ქარიშხალი ზევსის წარმოგზავნილი ყოფილა და არგონაველები მას მანამ ვერ დააღწევენ თავს, სანამ მედეასა და იასონს მკვლელობის ცოდვისაგან არ გასწმენდს ჰელიოსის დაი კირკე. ხოლო გრძნეული კირკე ავსონიის ზღვაში ცხოვრობს!

ავსონიის ზღვა! მაშ, იქ უნდა გავიდნენ! ამისათვის ჯერ მდინარე ერიდანოსი უნდა გადალახონ! მერე ავსონიიდან საით უნდა წავიდნენ?.. ჰოი, ღმერთებო, ჯერ კიდევ თურმე რამდენი განსაცდელი ჰქონიათ გამოსავლელი ელადის გმირებს!

„ავსონიაში როგორ გავიდეთ! ზღვა აღარ ცხრება!“ ამოიხრიალა იასონმა.

„ზევსის ძენი, ძღვეამოსილი პოლიდეკე და ფეხმარდი კასტორი უნდა შეევედრონ ღმერთებს!“ იყო პასუხი.

მეისვე წამოხტნენ ტყუპი დიოსკურები და ზეცისაკენ აღაპყრეს ხელები. გულმხურვალედ აღავლინეს ლოცვა-ვედრება. დიად ზევსს სთხოვდნენ, დაეცხრო განრისხებული გული, აღეკვეთა ქარიშხალი და გაეხსნა გზა-კარი ავსონიის ზღვისაკენ.

გრიგალი ჩადგა. ზღვა დამშვიდდა.

„არგო“ ერიდანოსში შევიდა. ქარვისფერ ტალღებს მოაგორებდა მდინარე. გმირებმა იცოდნენ, რატომ ჰქონდა ერიდანოსს ასეთი უცნაური ფერი.

აქ ჩამოვარდა ნამეხარი ფაეთონი, ძე ბრწყინვალე ჰელიოსისა. ეს ასე მოხდა:

შეუჩნდა ფაეთონი მამა ჰელიოსს, შენი მზიური ეტლი მათხოვე, ერთხელ მაინც შენს მაგივრად გადავიჯირითო ზეცის

თადიო. ჰელიოსმა იუარა. მამა შიშობდა, რომ ჭაბუკი შესძლებდა ცეცხლოვანი პეგასების დაოკებას. მაგრამ ფაეტონმა თავისი გაიტანა. ჩაჯდა მამისეულ ეტლში და გაფრინდა. პეგასებმა მაშინვე იგრძნეს გამოუტყდელი მხედრის ხელი. თავი წაართვეს და აიწყვიტეს. ჯერ სულ ზენიტში გაიტაცეს მზიურა ეტლი, მერე დაეშენნ დაბლა მიწისკენ. ხანძარმა იფეთქა დედამიწაზე. ცეცხლის აღმურში გაეხვია მთელი ქვეყანა. შემფოთდა ზევსი. თან განაცვიფრა დინჯი ჰელიოსის წინდაუხედაობამ: როგორ ანდო მან მზის მართვა გამოუტყდელ შვილს! სხვა გზაც არ იყო. აიღო მეხი და სტყორცნა ფაეტონს... ერიდანოსის ტალღებმა ჩაიხვიეს დამწვარი ძე ჰელიოსისა.

მდინარის ორივე ნაპირზე ჩამწკრივებულან ფაეტონის დები, ალვის ხეებად გადაქცეულნი. მდულარე ცრემლებით დასტირიან საყვარელ ძმას. ქარვისფერია მათი ცრემლები. იმიტომაც დაიკრავს ქარვისფერს ერიდანოსი.

მედეას კვლავ აფსირტე მოაგონდა, როცა ძმაზე მგლოვიარე გახევებული დები შენიშნა.

„ფაეტონს ეძახდნენ ჩემს უბედურ ძმასაც მზიური ბრწყინვალეებისთვის!“

„ჩვენი ბიძა იყო მეხდაცემული ფაეტონი, ძმაო აფსირტე, ძმაო ფაეტონ!“

„თქვენი სულეები ალბათ ახლა ერთად არიან, ბიძა ფაეტონ, ძმაო ფაეტონ!“

„შენი გულქვა დის ვერაგობით დაიღუპე, ძმაო ფაეტონ!“
მწარედ ტიროდა მედეა.

ამოდ ცდილობდა იასონი მის დამშვიდებას.

მიადწიეს მდინარის სათავეს. ხმელეთი იწყებოდა.

სხვა გზა არ ჰქონდათ. უმძიმესი ტვირთი იტვირთეს. ხომალდი მხრებზე აიზიდეს და დასავლეთისაკენ დაიძრნენ. შვილი დღე-ღამე მიდიოდნენ გმირები საშინელი ჭაპანწყვეტით. ბოლოს მიადწიეს ავსონიის ზღვას.

ხომალდი კუნძულ ეთალიას მიაყენეს.

მიწაზე დაეცნენ ქანცაწყვეტილნი, აღტაცებულნი, და გაოცებულნი: როგორ გაუძლეს! როგორ გადაარჩინეს!

პეშვებით იტაცებდნენ ზღვის პირზე დაყრილ კენჭნარევე

სილას და სახეზე იყრიდნენ, ოფლს იმშრალეზდნენ. გადმოგვ
ვცემენ, რომ იჭაურ კენჭებს ახლაც არგონაველთა კანის კენჭს
აქვთო.

ეთალიიდან „არგო“ კუნძულ აიაიას მიადგა.

მ ე დ ე ა ს მ ა მ ი დ ა

ამ კუნძულზე ცხოვრობდა ჯადოქარი კირკე, ჰელიოსის
ასული, მედეას მამიდა...

მთვარიანი ღამე იყო.

არგონაველებმა ზღვის პირზე შენიშნეს სხივმოსილი გრძნე-
ული ქალი. თავს იბანდა კირკე, წინალამინდელი საშინელი სიზ-
მრების გასაქარეველად.

სომალდი შენიშნა თუ არა, ტანი ბრწყინვალე ქლამილით
შეიმოსა და წამოვიდა.

არგონაველები შიშით და ხიბლით შესცქეროდნენ მის მშვე-
ნიერებას.

მედეას ჰგავდა.

კირკე მდუმარედ მოახლოვდა და სტუმრებს ანიშნა, უკან
გაპყოლოდნენ.

ჩრდილებით დაბურულ ხეივანში შევიდნენ. თეთრი მარმა-
რილოს სასახლე აკიაფდა ბნელში.

იასონმა მეგობრებს ანიშნა, აქ დარჩენილიყვნენ და დაეცა-
დათ. თვითონ მედეას მკლავში ხელი მოავლო და მასთან ერ-
თად სასახლეში შეჰყვა ქალ-ღმერთს.

ზეთით ანთებული ჩირაღდანი ლიცლიცებდა ბრწყინვალედ
მორთულ თალამონში.

კერაზე ცეცხლი ენთო, — მუდამ ჩაუქრალი სამსხვერპლო
ცეცხლი. ჩირაღდნისა და ცეცხლის ენები ელამუნებოდნენ იქ-
ვე აღმართულ ზევსის ბუმბერაზ ქანდაკს.

კვლავ მდუმარედ მოუბრუნდა კირკე ქალ-ვაჟს. ანიშნა სა-
ვარძელზე დამსხდარიყვნენ.

მაგრამ პირშებურვილი მედეა ანთებულ კერასთან მივიდა,
სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. იასონიც მის გვერდით
დადგა, უზარმაზარი მახვილი ამოიძრო და კერის წინ დაარჭო

(ამ მახვილით განგმირა მან აფსირტე); თავი ჩაჰქინდრა და
ცეცხლს ჩააშტერა თვალები.

კირკე მაშინვე მიხვდა, რომ მის სტუმრებს კაცის სისხლი
ედოთ და განსაწმენდელად მოსულიყვნენ.

ტაში შემოჰკრა.

თორმეტი მოახლე ქალი შემოვარდა, უხმოდ, მდუმარედ.
ანიშნა კირკემ და ისევ უხმოდვე გაცურდნენ. მალე ძუძუთა
გოჭი შემოიყვანეს.

კირკემ სამსხვერპლოდან აღმასის დაშნა აიღო და კერასთან
ყელი გამოსჭრა პატარა ცხოველს. მსახურს თასი ჩამოართვა
და სისხლით აავსო.

ანიშნა მედეას და იასონს, ხელები ჩაეყოთ თასში. თვითონაც
წაეშველა. სისხლით ჰბანდა მათ ცოდვიან ხელებს. თან რა-
ღაც ლოცვას ჩურჩულებდა.

მერე მსახურების მიერ გასუფთავებული გოჭი აჰქნა კირ-
კემ. ყველაზე მსუქანი ნაჭრები სამსხვერპლო ცეცხლზე დას-
დო. ხელთ აიღო თასში შეხავებული თაფლი, რძე და წყალი.
ზევისის ქანდაკისაკენ მიბრუნდა.

ცეცხლზე აშიშხინებულ ხორცს დროდადრო ზედაშეს აჰკუ-
რებდა. თან გულმხურვალედ ევედრებოდა უხენაეს ღმერთს,
შეენდო ცოდვილთათვის, ეპატიებინა დაღვრილი სისხლი;
არად ჩაეგდო უცხოელის იყო ეს სისხლი, თუ თვისტომისა.

დასრულდა მსხვერპლშეწირვა და ვედრება განსაწმენდელი.

კირკემ სავარძელში ჩასვა მედეა და იასონი; თვითონაც ახ-
ლო მიუჯდა. გამოკითხვა დაუწყო, საიდან გაჩნდნენ აიაიან
კუნძულზე, ან თავს რა გადახდომოდათ.

სდუმდნენ ცოდვილნი. ვერ ბედავდნენ ხმის ამოლებას.

„რალას ეშიშვით, შენდობილი ხართ!“ თქვა კირკემ და მე-
დეას მიუბრუნდა:

„მაჩვენე უენი სახე!“

ქალწულმა ძლივს ასწია ათრთოლებული ხელი და პირბა-
ღე ჩამოიხსნა.

შეჰკივლა კირკემ. მაშინვე იცნო გრძნეულების იღუმალი
კრთომა მედეას თვალებში.

„შენ ჰელიოსის ნაშიერი ხარ!“ შეჰყვირა მან.

„დიახ...“

„აიეტის ასული!“

„ჰო...“

„ჩემი ძმისწული!“

პასუხისათვის აღარ დაუცდია. ორივეს ანთებული თვალები დაუბრიალა:

„ვინ მოჰკალით?“

სდუმდნენ.

„ვინ მოჰკალით-მეთქი?!.. შენ გეუბნები! — შესძახა მედე-
ას — ყველაფერი დაწვრილებით მიაჩნე, თორემ...“

ზარდამცემი სიმტკიცე იგრძნობოდა კირკეს ბრძანებაში.
მედემ დაიწყო. ხმა უკანკალებდა, ცრემლები ახრჩობდა.
კოლხურ ენაზე მოუთხრობდა.

ატირდა კირკე ტანჯული ძმისწულის უბედობით გულდამ-
წვარი.

მედეას არ უნდოდა აფხირტეს მოკვლის ამბავიც ეთქვა,
მაგრამ გულთამხილავი ყველაფერს მიხვდა.

დიდხანს დასტიროდა ის თავის ძმის, აიეტის ოჯახის უბე-
დურებას.

მერე ფეხზე წამოდგა. მედეა და იასონიც წამოცვიდნენ.

„უბედურო ქალო, — დაიწყო კირკემ, — სამშობლოდან გა-
მოიქეცი! ოჯახს უღალატე! ძმა მოჰკალი!.. ვის ჩაუდენია ასე-
თი ბოროტება, ისიც კოლხთა შორის?! როდის ყოფილა ასეთი
შემადრწუნებელი ბოროტების წილ სამაგიერო არ მიეზლოთ?
განრისხებული აიეტი მალე უბედურებად მოვევლინება მთელს
ელადას. უნაპირო შურისძიებით აიღებს შვილის სისხლს... გას-
წი, გამშორდი! გაჰყევ ამ უცხოელს, ვისთვისაც სამშობლო მი-
ატოვე და გამზრდელი ოჯახი მკერდიდან მოიგლიჯე!“

ქალ-ვაჟი გახევებული იდგა.

„გადი-მეთქი! — კვლავ იყვირა კირკემ — სხვა რაღა გინ-
დათ, შენდობილი ხართ!“

„ოოჰ, ქალღმერთო!“ შესძახა მედეამ და მუხლებში ჩაუ-
ვარდა.

კირკე მაშინვე უკან წარდგა და საშინელი ხმით შეჰკივლა:

„არ მომეკარო! შერცხვენილო!“

და კარებისაკენ გაიწვდინა ხელი.

იასონი შეჰზარა გრძნეულის თვალებში ანთებულმა ცეცხ-
ლმა.

სასწრაფოდ ჩაავლო ორივე ხელი გულშემოკრილ მედეა
და გარეთ გაიტაცა.

არგონაველები ხეივანში იცდიდნენ.

ხომალდისაკენ მიჰყავდათ ნახევრად მოსულიერებული მე-
დეა.

„შერცხვენილო! შერცხვენილო! შერცხვენილო!“

შხამიან დაშნასავით სჭრიდა მის ყურთასმენას კირკეს ძა-
ხილი...

ს ი რ ი ნ ო ზ ე ბ ი, ს კ ი ლ ა, მ ა რ ი ბ დ ი

მეორე დღეს „არგო“ ყვევლებში ჩაფლულ მწვანე კუნ-
ძულს მიუახლოვდა. აქ სირინოზები ცხოვრობდნენ, ფრთოსანი
ფერიები, ღვთაებრივი მომდერალნი. ისინი კუნძულის ნავსად-
გურებთან საფრდებოდნენ და მოახლოებულ მეზღვაურთ სიმ-
დერით ხიბლავდნენ. მათი ჯადოქრული ხმით ტყვექმნილი ადა-
შიანები გონს ჰკარგავდნენ, კუნძულზე გადადიოდნენ და თავ-
დავიწყებაში წააშლნი იფიტებოდნენ და ღებებოდნენ.

ახლაც ასე უნდა მომხდარიყო.

სირინოზთა ხმამ ჰკუთხე შეშალა არგონაველები. მზად იყ-
ვნენ საჭე კუნძულისაკენ მიებრუნებინათ.

მაგრამ ორფევსმა კითარას ჩამოჰკრა და ამღერდა ღვთაებ-
რივი ხმით.

ლაღად მღეროდა ორფევსი. სირინოზთა ხმა აღარ ესმოდათ
მეგობრის მღერით დატყვევებულ გმირებს. თვით სირინოზნი
გაოცებით და შურით უსმენდნენ უცხო მეტოქეს.

ერთი გმირი მაინც მოიტაცა სირინოზთა ხმამ. ეს იყო ათე-
ნელი ბუტე. ის ხომალდიდან გადახტა და ცურვით მიაშურა
კუნძულს.

შეჰყვირეს არგონაველებმა.

ყველაფერს ჰხედავდა აფროდიტე. მან ზღვიდან სასწრა-
ფოდ აიტაცა გონდაკარგული ბუტე და ისევ ხომალდს დაუბ-
რუნა. შებოჰქეს იგი გმირებმა. ყურები სანთლით და ფსიით
დაუგმანეს, რომ ველარ ესმინა მომხბვლელი ფერიებისთვის.

ორფევსის გალობით გაშორდა „არგო“ სახიფათო კუნ-
ძულს. მაგრამ ახლა უფრო დიდი განსაცდელი ელოდებოდათ.

მიუახლოვდნენ მესენიის სრუტეს, ავსონიისა და თრინაკრის წყალგამყოფს.

აქ, სრუტის ორივე მხარეს, ორი საშინელი ურჩხული ცხოვრობდა, უფრო საშინელნი, ვიდრე ბოსფორის სიმპლეგადები.

ავსონიის მხარეს, ცადაწვდენილ მოლიბუელი კლდის გამოქვაბულში ბინადრობდა სკილა, თორმეტფეხიანი და ექვსთავიანი ურჩხული. დადრენილ ქვაბულა ხახაში სამრიგად ჰქონდა ბასრი ღოჯები ჩამწკრივებული.

მოპირდაპირე თრინაკიის მხარეზე იწვა მეორე ურჩხული, ქარიბდი. ყოველდღე სამჯერ ჩანთქავდა ქარიბდი მთელს მესენიის სრუტეს და სამჯერ მდულარეს ამოანთხევდა.

იქვე ცეცხლისფერქვეველი კლდეები, პლანქტები, გამალეზით ეხეთქებოდნენ ერთიმეორეს, ელვა-მეხით და ხანძართ კვესებით.

მთელი სრუტე ცხელფერფლოვანი კვამლით იყო დაბნელებული.

დალუბვას ვერ ასცდებოდნენ არგონაველები.

მაგრამ ჰერა არ ივიწყებდა საყვარელ გმირებს. მან მოიხმო მორევის ღმერთი ნერეიდა თეტიდა, პელევსის ცოლი, და სთხოვა დახმარებოდა ელინებს.

თეტიდემ დაივიწყა პელევსისაგან მიყენებული წყენა (მოსაკლავად რომ გამოეკიდა პელევსი, როცა თეტიდა ყრმა აქილევსს ცეცხლზე აწრთობდა), იდუმალ გამოეცხადა ნაქმრევს და გადასცა ჰერას ბრძანება, უშიშრად შესულიყვნენ სრუტეში.

შეცურდა „არგო“.

ამაზრზენი ყეფა-ღმუილით წამოვიდა სკილა.

მდულარე ზვირთების ნთხევით მოსწყდა ადგილიდან ქარიბდი.

ამოიჭრნენ ზღვიდან ნერეიდები თეტიდას მეთაურობით. აიტაცეს და გააქანეს „არგო“. ამოდ შეაწყდნენ ერთიმეორეს სკილა და ქარიბდი.

ახლა ცეცხლოვან პლანქტებს მიუახლოვდნენ.

როცა ერთმანეთზე დაჯახებული პლანქტები განიხვნენ, ნერეიდებმა კვლავ გაიტაცეს „არგო“. უსაზნოდ დაეძგერნენ ურთიერთს აღმოდებული ქვის ცათამბჯენები.



ღვთაებათაგან ხელდადებული ხომალდი კვლავ სამშვედრო-
ბოს იყო გასული.

თრინაკიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ჩუარეს... ზურ-
მუხტად დაფენილიყო კუნძულის ველ-მინდვრები.

ყურთასმენა მოიტაცა ცხვრებისა და ძროხების ბლავილმა.
აქ ჰელიოსის ჯოგები სძოვდნენ ნოყიერ ბალახს. რქადაგრები-
ლი, გრძელბეწვა ცხვრის ფარები შეჰფენოდნენ საძოვარს,
მათ ჰელიოსის უმცროსი ქალიშვილი ფაეთუსა მწყემსავდა.
ხელთ ვერცხლის კომბალი ეპყრა მზის ღმერთის ასულს. მისი
უფროსი დაი, ლამპეტია, სპილენძის სახრით ხელში მოჰყვებო-
და ძროხების ჯოგს. ნებიერად მოაბიჯებდნენ რძისფერი, ოქ-
როსრქიანი პირუტყვები.

მთელი ღამე მიაქროლებდა „არგოს“ დასავლეთიდან მოზე-
რილი საამური ზეფიროსი.

დილით გმირები მშვიდობიანად მიადგნენ კუნძულ კერკი-
რას.

აქ ცხოვრობდა ფეაკების ტომი. ფეაკთა მეფე ალკინოე დი-
დის სტუმართმოყვარეობითა და ზეიმით შეხვდა არგონავე-
ლებს.

უ ბ ე მ უ რ ი ძ ო რ შ ი ნ ე ბ ა

მთელი დღე ღრეობდნენ სტუმრები და მასპინძლები.

მაგრამ საღამო უამს ახალი შიში შემოიჭრა სანადიმო სუ-
ფრაზე.

კუნძულს მოადგა კოლხური ხომალდების ის ნაწილი, რო-
მელიც აფსირტემ ჯერ კიდევ ევქსინის პონტოში ჩააბარა კახანს
და ბოსფორის სრუტესთან გუშაგობა უბრძანა. როცა ჰერასა-
გან ნატყორცნი ელვა-მეხით ათღლიანი ქარტეხილი დადგა,
კოლხთა ეს ნაწილი პროპონტიდა-ჰელესპონტში გაიტაცა აბო-
ბოქრებულმა ზღვამ. დიდხანს ეძებდა კანა მტრებსაც და თავი-
სიანებსაც. კრონოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მისვლისას
შეიტყვეს კოლხებმა აფსირტეს თავს დამტყდარი უბედურება.
იქ დასახლებულმა გორდამ ამცნო ყოველივე. ერთად იგლოვეს
ნამეხარი მუხის ქვეშ დაკრძალული უფლისწული. მუხლმოყ-
რილმა კახამ ფიცი დასდო, რომ არც ის დაბრუნდებოდა სამ-
შობლოში ხელცარიელი და სისხლაულები. მერე თავისიანები

კვლავ ხომალდებში ჩასვა და სამხრეთისაკენ გამობრუნებულ
ლი შეუდგა საწმისის გამტაცებელთა ძებნას.

დიდხანს დახეტიალებდნენ ზღვიდან ზღვამდე.

ამ დღეს მეთედ მიუახლოვდნენ კერკირას და აღტაცების
ყიჟინა აღმოხდათ კოლხებს:

კუნძულის ნავსაყუდელში „არგო“ იდგა!

კახამ მაშინვე აფრინა ელჩი ალკინოესთან და შეუთვალა:
„შენს სამეფოს თავს აფარებენ ბერძნები. მათ გაქურდეს
კოლხეთი, მოჰპარეს ოქროს საწმისი, მოსტაცეს მეფის ასული
და მუხანათურად მოუკლეს ტახტის მემკვიდრე... თუ გსურთ
კოლხებთან მეგობრობა და არ გინდათ სისხლი დაიღვაროს, ხე-
ლი აიღეთ არგონაველთა მასპინძლობაზე; ან თქვენ თვითონ
ჩააგონეთ მათ, დაუყოვნებლივ დაგვიბრუნონ საწმისი და მე-
ფის ასული. მაშინ უსისხლოდ გავბრუნდებით კოლხეთში, თუ
არადა, ახლავ ვიწყებთ ომს! მაგრამ ამით ყველაფერი არ გა-
თავდება: მეფე აიეტი ახალი ლაშქრით დაიძრება ელადისა და
კერკირისაკენ!“

ალკინოემ მშვიდობიანად სცადა საქმის მოგვარება. კახას
ელჩს თავისი კაცი გააყოლა და კოლხებს კერკირაზე სტუმობა
შესთავაზა.

სასტიკი უარი მიიღო. კოლხთა სარდალი პასუხობდა:

„სანამ ჩვენი მოსისხლენი სტუმრებად მიგიღიათ, ჩვენს შო-
რის მტრობის სისხლია ჩამოწოლილი. თუ მეგობრობა გულით
გწაღიათ, ჯერ საწმისი და მედეა დაგვიბრუნეთ!“

მძიმე საგონებელში ჩაცვივდნენ ფეაკები და ბერძნები.

ცრემლადღალვრილი მედეა ალკინოეს მეუღლესთან, დედო-
ფალ არეტესთან მივარდა და შემწეობა შეჰპედრა.

მერე უცებ ელინებისკენ შემობრუნდა და მათ კიცხვას
მოჰყვა: „ვგონებ, შემდრკალან გულზვიადი არგონაველები! ვაი
შერცხვენავ! თქვენით ბედდალაზვრული მედეა უცხო დედო-
ფალს უშვერს ხელს სამათხოვროდ! ოქროს საწმისის მოტაცე-
ბით ქინმორეულნი თითქოს მზად იყავით მთელს კოლხეთს და
მის უძლეველ მეფეს შებმოდით! აქ კი, კოლხეთიდან შორს,
მხოლოდ ერთი მუჟა კოლხები გადმოხვეწილან!.. და მათ უშინ-
დებით?!“

არგონაველებს შერცხვათ. მახვილები გაიშიშვლეს, ქალწულის წინ მუხლი მოიყარეს და დახმარება შეჰფიცეს.

ალკინოემ კოლხებს შეუთვალა, პასუხს მეორე დღეს დალოდებოდნენ.

დაღამდა. დედოფალი არეტე შეუჩნდა ქმარს. ემუდარებოდა დაეცვა მედეა, არ ჩაეგდო იგი გამძვინვარებული კოლხების ხელში.

მეფე ყოყმანობდა, რადგან აიეტის სიძლიერე და სიდიადე აზინებდა.

დედოფალი არ ეშვებოდა. ცრემლს ღვრიდა. მეუღლეს ახალგაზრდობის სიყვარულის უტკბეს სიამეს მოაგონებდა და აფიცებდა.

ბოლოს მეფის პირს ეს სიტყვები წასცადა:

„არ ვიცი... თუ მედეა კვლავ ქალწულია, ის მართლაც უნდა დაუბრუნდეს თავის მშობლებს... და ვუბრძანებ კიდევ ასე მოხდეს! ხოლო თუ მან უკვე გაიზიარა იასონის სარეცელი, ვის აქვს უფლება ერთმანეთს დააშოროს ცოლ-ქმარი?! მე ამის ნებას არავეს მივცემ!“

ამ სიტყვებით ჩაეძინა ალკინოეს.

წყნარად წამოიწია დედოფალმა. ერთი დაყურა მძინარ მეუღლეს და თალამონიდან ფეხაკრეფით გავიდა...

შიკრიკო მოვარდა არგონაველთა ბანაკში. დედოფალი უთვლიდა იასონს:

„თუ გსურს საწმისი და მედეა დაინარჩუნო, ახლავე, გათენებამდე უნდა შეუუღლდე აიეტის ასულს. მეფე ალკინოე დაიცავს ცოლქმრულ კავშირს!..“

* * *

კერკირაზე ერთი გამოქვამული იყო, მყუდრო, თბილი, ფოთლოვან ხეთა ჩრდილებით დაბურული და დაყურსული.

ძველი ბერძნები უცნაურ ამბებს მოგვითხრობენ ამ გამოქვამულზე:

ზეგსს შეუყვარდა თებეს მეფის კადმოსის ასული სემელე. მუჟამისას გაიტაცა ბეოტიის ტყეებში. უკუნეთ ღამეში ქალი ვერ ჰხედავდა ნაძალადევი მიჯნურს. ისე კი გრძნობდა, ზევსი უნდა ყოფილიყო ღვთაებრივი ძალის ვაჟი... დაორსულდა. მშურისძიებით აღივსო ჰერა, ზევსის მეუღლე. დედაბრადქცე-



ული ეწვია სემელეს და შეუჩნდა — ზევსისთვის ეთხოვა, ნამდვილი სახით წარსდგომოდა თვალწინ. მოძალადე სატრფოლი ზილვით ოცნებადქცეულმა ქალმა მართლა შესთხოვა ოლიმპიელს ისე სწვეოდა, როგორც ის სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ზევსმა ეს თხოვნა აღასრულა. გამოეცხადა მთელი თავისი აღჭურვილობით, ელვით და მეხით. უეცრად იფეთქა მეხმა. ხანძარი მოედო სემელეს. შეშფოთებულმა ზევსმა ჰერმესს უბრძანა ნაყოფი ამოერთმია აღმოდებული ქალისთვის. ჰერმესმა სულთმობრძანეს მუცელი გაუკვეთა და საშოდან მოუშფიფებელი ჩვილი ამოართვა. ზევსმა ის საკუთარ ბარძაყში მოათავსა, ცხრა თვე შეასრულებინა და ზრდადამთავრებული გამოიყვანა. დიონისე (ორჯერ დაბადებული) უწოდა ზევსმა თავის ძეს. აღსაზრდელად ნიმფა მაკრისს ჩააბარა. მაკრისი კუნძულ ვებეაზე ცხოვრობდა. მალე ის, ჰერასაგან დევნილი, კერკირაზე გადავიდა. ამ გამოქვაბულში ნიმფა მაკრისი თავლით ზრდიდა ზევსის ძე დიონისეს, მევენახეობა-მელვინეობის მხიარულ ღმერთს...

სადაც ერთ დროს ყრმა დიონისეს აკვანი იდგა, ახლა საქორწინო სარეცელი იყო გაშლილი.

შუალამეზე ორ რიგად ჩამწკრივებული ბერძნები გამოქვაბულს მიადგნენ.

წინ მედგა და იასონი მიდიოდნენ, თეთრი ტანსაცმლით შებურვილნი. თავზე ყვავილების გვირგვინები ედგათ.

ქალწულს თავი ჩაეჩინდრა. მხრები უთრთოდა.

ტიროდა, თუ შეუცნობელის შეცნობის შიში აკრთობდა?

არა, არ უხაროდა მედეას; სტიროდა გლოვის ცრემლებით...

კიდევ უფრო წინ ოქროს საწმისი აღემართათ პოლიდევეკსა და კასტორს. შუაზე ორფევისი ედგათ; კითარას აჟღერებდა და ეპითალამიას, საქორწინო სიმღერას მღეროდა. ფეხაწყობილი როკვით მოცურავდნენ თეთრი ქლამიდებით შემოსილი ნიმფები. თეთრი კალთებიდან თეთრ ყვავილებს უფენდნენ ფეხქვეშ ნეფე-დედოფალს. თან მომხიბლავი ხმით შესძახოდნენ:

„ო, ჰიმენე!“

„ო, ჰიმენე!“

არა, არ უხაროდა მედეას. სტიროდა და მისი ცრემლი არ იყო ცრემლი სიხარულისა...

ოქროვან ცეცხლით აელვებდა ოქროს საწმისი ამ საზეიმო-
საქორწინო პროცესიას.

იასონი ბედნიერების მაუწყებელ ათასეულ ფერების კრთო-
მას ხედავდა მასში.

ხოლო კოლხი ქალწულის თვალში გლოვისა და უბედობის
მაუწყებელი შავი სხივები მოდიოდნენ იმ საწმისიდან.

ოქროს ვერძის სამოსელიდან გიშრისფრად ელავდა ორი
შავი თვალი.

ოო, როგორ ჰგავდა ის ორი თვალი ამონას თვალებს?!
დახურა მძიმე წამწამები.

გაახილა.

მაინც ჰხედავდა იმ ორ გიშერს, საწმისის ცეცხლოვან ფონ-
ზე ამოტვიფრულს. უცნაური უფრო ის იყო, რომ შავი მძივე-
ბი მეტ ცეცხლს ესროდნენ საქორწინოდ მიმავალ ქალწულს,
ვიდრე უთვალავ ნაკვერცხალ-თვალთა ელვარე კრთომა.

„ოოჰ!“ აღმოხდა.

„ნუ გეშინია, ჩემო ქალღმერთო!“ თქვა იასონმა და იღუ-
მალ დაეკონა მის თეთრად ნაქანდაკვე ხელს.

ქალი შეკრთა.

ცივი იყო ვაჟის ტუჩები. უგემური ეჩვენა ეს პირველი ამ-
ბორი.

თვალი გაუმართა საწმისს.

იქ კვლავ ცეცხლად ენთო გიშრის მძივები, დატანჯული
კოლხის თვალების მსგავსნი; მისკენ მოიწევდნენ, ამოცვენას
ლამობდნენ ოქროს ვერძის სამოსელიდან.

ისევ იგრძნო ცივი სუნთქვა და ცივი ტუჩები ხელზე მედეამ.
და იმ წამსვე აეწვა ლოყა.

მოაგონდა:

...ერთხელ იგი სასახლის ბაღში, ტახტრევანში იწვა და შუა-
დღის ტკბილი ძილით ეძინა. უეცრად იგრძნო, ლოყაზე თით-
ქოს ნაკვერცხალი დაეცა, იფეთქა და მთელს სხეულს მოედო.

აღმოდებული წამოიჭრა ტახტრევანიდან და ჰხედავს, მის
წინ ამონა დაცემულა მუხლებზე, გაშეშებული, ფერდაკარგუ-
ლი და თვალეზანთებული.

დააცქერდა, დააცქერდა და მაშინვე მიხვდა, რომ ის ბანგი-
ანი ნაკვერცხალი ამონას აცეცხლებული ტუჩებიდან დასცემო-
და მედეას ლოყას.

„ეს კოცნა იყო?!“ რაღაც იდუმალებით სავსე ხმით წაი-
ჩურჩულა და ავარვარებულ დაწვეზე მოისვა ხელი.

„არა კოცნა ხორციელი, მეფის ასული, არამედ ამბობს
ლიერი!“ ძლივს ამოიღო ხმა პირგამშრალმა ვაჟკაცმა.

„არა, არა, კოცნა იყო!“

გონი ძლივს მოიკრიბა და სუსხიანად უთხრა:

„როგორ გაბედე, ამონა?!“

„აჰა, მომკალ, მეფის ასულო!“ და უცებ მისწვდა ტახტრე-
ვანის სასთუმალქვეშ დადებულ პატარა ხანჯალს.

მედემ ხანჯალი გამოჰგლიჯა.

ამონამ მკერდი გაშალა და მხურვალედ შესძახა:

„დამკარ და მომკალ! მაინც შენია ეს ბედდამწვარი სი-
ცოცხლე!“

კარგა ხანს ჩასტკეროდა ქალი სიკვდილის წინაშე ყელმო-
ღერებულ ვაჟკაცს. მერე ხანჯალი მკერდზე მიიკრა და თანა-
გრძნობით ჰკითხა:

„განა სიკვდილისათვის გამოსტედე და მისახსოვრე შენ ეს
ხანჯალი?!“

„ჰო, ალბათ ჩემი სიკვდილისათვის გამაჰედინა ბედისწერამ
ეგ ფოლადი!“ სთქვა ამონამ.

მედეა ჩაფიქრდა და სევდიანად, ნელა წარმოთქვა:

„რატომ შენთვის?...იქნებ ჩემი სიკვდილისათვის?!“

„მეფის ასულო!“ ფეხზე წამოიჭრა ამონა.

მედეაც ფეხზე დახვდა, ხელი შემოსასვლელისაკენ გაიწვა-
და და მკაცრი ხმით უბრძანა:

„წადი, ამონა!“

ვაჟკაცს თვალები აემღვრა და ცრემლით აუდუღდა.

მედემ სიმკაცრე დაჰკარგა და მუდარით უთხრა:

„წადი, ამონა!“

ამონა წავიდა. მხრების თრთოლვით და ფერხთა ბარბაცით
მიდიოდა.

ამის შემდეგ რამდენჯერ დაუნახავს მედეას სასახლის სარ-
კმლიდან:

ამონა სასახლის ბაღში შემოვიდოდა, ყოველ კუთხეს, ყო-
ველ ხესაც კი გულდასმით მოიხილავდა და როცა დარწმუნდე-
ბოდა, მის გარდა ბაღში არა სულიერი არ იყო, ტახტრევანთან

მიდიოდა და გაგიჟებით ჰკოცნიდა მეფის ასულის სურნელით
საესე საწოლს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ ცივმა ამბორმა გამოაფხიზლა მედეა.

დიოსკურებმა საქორწინო სარეცლის თავზე დაჰკიდეს ოქროს საწმისი.

ფერიები გაოცებით მიშტერებოდნენ უცნაურ მნათობს. სწყუროდათ, მაგრამ ვერ უბედავდნენ ხელის შეხებას. სამეგრე შემოუბრინეს წკრიალა ხმით ნეფე-დედოფალს. სარეცელი თეთრი ყვავილებით დაჰფარეს და გარეთ გაფრინდნენ.

არგონაველებმაც დატოვეს ქალ-ვაჟი. გამოქვაბულის გარეთ დადგნენ. თავი ფოთლოვანი კენწეროებით შეებურათ, საქურველი მოემარჯვებინათ; შიშობდნენ, კოლხები არ დასხმოდნენ თავს.

ორფევესი კითარას აჟღერებდა. საქორწინო ჰიმენეს მღეროდნენ გმირები და ნიმფები.

მედეა და იასონი მარტო დარჩნენ...

არა, არ უხაროდა მედეას...

გლოვისა და უგემური ტკობის ცრემლში ჩაიძირა და ჩაიწრიტა სიქალწულე კოლხეთის მეფის ასულისა...

გადმოცვენას ლამობდნენ ოქროს ვერძის სამოსელიდან შავი მძივები — ამონას თვალები...

* * *

გათენებისთანავე საქორწინო ტიმპანების ცემამ ფეხზე დააყენა კოლხებიც და ფეაკებიც.

კოლხთა ბანაკში ელჩი გამოცხადდა და მეფე ალკინოეს ბრძანება ამცნო:

„მედეა კანონიერი ქორწინებით შეუთულდა ბერძენთა ბელადს. ნება არავის აქვს ცოლი და ქმარი ერთუტოს გაჰყაროს. ფეაკები დაიცავენ ახლადშეერთებულთა ოჯახს.

ფეაკთა მეფე კოლხებს სთხოვს, მობრძანდნენ საქორწინო ზეიმზე, როგორც ნათესავნი მშვენიერი დედოფლისა და მოყვრები გმირი ნეფისა!“

ზარდაცემულნი იდგნენ მოტყუებული კოლხები.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ კახამ მადლობით გაისტუმრა
ელჩი. მერე თავისიანებს მიუბრუნდა:

„კიდევ მოგვატყუეს ცბიერმა მტრებმა, კოლხებო!“

„ვაზღვევინოთ!“ იარაღის ზრიალით დაიქუხეს კოლხებმა.

„ღიახაც ვაზღვევინებდით! — განაგრძო სარდალმა. — მაგრამ ახლა რა ბედენაა, რაღა აზრი ექნება ბრძოლას? ჩვენ ჩვენი მეფისთვის და ქვეყნისთვის წმიდა სახელი უნდა დავგებოთ-ნებინა; ხოლო ახლა რაღა საჭიროა ამ სიწმინდის ნაცვლად ჩვენიანებს უკან მივგვაროთ უნამუსო დიაცი!.. ველარც აფსირტეს ჩავუყვანთ კოლხეთს...“

ცრემლმა შეაწყვეტინა.

„შურისძიება, სარდალო, შურისძიება!“ კვლავ აზრიალდნენ კოლხები.

„სხვა დროისათვის უნდა გადავდოთ. ახლა უგუნური სიკვდილის მეტი შედეგად არა მოჰყვება რა“.

„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია!“

„განა მე კი შევეშინდები?! — ხმა აღიმალა კახამ. — ამას მე დღესვე დაგიმტკიცებთ!“

დადუმდნენ: ყველას სჯეროდა სარდლის. ვინ იცის რამდენჯერ უნახავთ სიკვდილთან გულგრილად შეყრილი კახა.

„სხვა დროისათვის უნდა გადავდოთ-მეთქი შურისძიება, — განაგრძო მან, — როცა გამარჯვებულნი ჩვენის თვალით ვიხილავთ შურისძიების უტკბილეს ნაყოფს!“

„ეს როდის იქნება?“

„ახლავე უნდა შევატყობინოთ მეფე აიეტს. ის არ დააყოვნებს ელადაში გამოლაშქრებას. მანამ ჩვენ ამ კუნძულზე ჩავსახლდებით, როგორც ფეაკელთა და ბერძენთა მეგობრები და მოყვრები. გადმოვა ჩვენი მეფე კოლხთა ლაშქრით და მაშინ ჩვენ აქედან დავკრავთ მოსისხლეებს. აი, ხომ ჰხედავთ, თვითონ მტერი გვასწავლის ცბიერებას და თვალთმაქცობას!“

კოლხებს მოეწონათ სარდლის თათბირი.

კახამ შვიდი ვაჟკაცი გამოარჩია, ყველაზე მტკიცე ხომალდში ჩასვა. კოლხეთისაკენ გაბრუნება და მეფისათვის ამბის ჩატანა უბრძანა.

დანარჩენი კოლხები გაიყოლია და ფეაკთა სატახტო ქალაქ დრეპანეში გაეშურა.

მთელი სამეფო ზეიმობდა იასონისა და მედეას შეუღლებას.
მონადიმეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კოლხელები
ხეების შემორიგების ამბავი შეიტყვეს. დიდის ამბით გამოეგებ-
ნენ მეფე ალკინოე და დედოფალი არეტე ბრწყინვალე ამა-
ლით.

ტევა აღარ იყო. ყველას სურდა ენახა სახელგანთქმული ოქ-
როს ქვეყნის შვილები. სასახლემდე გზა ყვავილებით გაევსოთ
მასპინძლებს.

ამაყად მოაბიჯებდნენ კოლხი დეეკაცები. წინ კახა მოუძლო-
დათ, მშვენიერი ჭაღარა სარდალი.

ალკინოემ მკლავები გაშალა და კახას გადაეხვია.

„კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სახელოვანო კოლხეთის
შვილებო, უძლეველი აიეტის ერთგულო ვაჟკაცებო!“ შესძახა
მეფემ.

კახამ მკერდზე ხელები დაიჭდო, ქედი დაიდრიკა და წყნა-
რად მიუგო:

„სახელოვანო მეფევ, ჩვენ შევეურიგდით ბედისწერისგან
მოგდებულ ხვედრს. მეგობრებად და მოყვრებად მოვსულვართ!
ფიცი დავდეთ, ვერ დავბრუნდებით აიეტთან ხელცარიელი.
ამიტომ გადავწყვიტეთ, შენს სამეფოში დავსახლდეთ, თუ შენი
თანხმობაც იქნება!“

„უკეთეს ქვეშევრდომთ ვერც ინატრებს ჩემი სამეფო!“
შესძახა სახეგაბრწყინებულმა ალკინოემ და ისევ გადაეხვია
კახას. მერე ყველა კოლხი სათითაოდ ჩაიკრა მკერდში.

აღტაცებას ველარ იტევდა ფეაკთა სამეფო.

კახა მძიმედ მიბრუნდა მეფისაკენ:

„ახლა კი გთხოვთ, ჩვენი მოყვრები წარმოგვიდგინოთ!“
მეფემ ნიშანი მისცა.

ხალხი ორად გაიპო. გამოჩნდნენ მწყობრად მომავალი არ-
გონაველები. ორფევისის კითარის ხმაზე მღეროდნენ გმირები.
ნარნარად მოსძახოდნენ თეთრად მოქათქათე ნიმფები.

წინ მედეა და იასონი.

დაწურული მზერით გაჰხედა კახამ თავისიანებს.

„თქვენ იცით, ჩემო ვაჟკაცებო, სიტყვა არ გასტეხოთ, მე-
ფეს ერთგულად ემსახურეთ!“

მიხვდნენ კოლხები, რომელი მეფის ერთგულებასაც გულისხმობდა სარდალი...

„შენ კი, მეფეო, — მიუბრუნდა კახა ალკინოეს, — მოუპოვე და ერთგულებით გაგაოცებენ ჩემი კოლხები!“

პასუხის თქმა ვერ მოასწრეს ვერც კოლხებმა, ვერც ალკინომ: უეცრად წინ გაიჭრა კახა.

მედვასკენ გაეშურა ცქაფი ნაბიჯით.

წამოვიდა ქალი. ხელები გაიწვდინა მშობლის ერთგულ სარდლისაკენ.

ხელი აიქნია კახამ.

„ერთი კიდეც შეიწირე, უსირცხვილო დიაცო!“

ამის თქმა და იელვა მახვილმა.

ვადა მიწაზე დასცა და წვერით ზე აწვართულ ფოლადს ზემოდან მკერდით წამოეგო კახა.

მკერდში მახვილგაყრილი დაეცა კოლხთა სარდალი ცოდვილი ნეფე-დედოფლის წინაშე.

ცადამწვდენი გლოვის ღრიალი აღმოხდა ყველას.

მხოლოდ მედეა არ შერხეულა. ცრემლსაც არ დაუნამავს მწუხარებით გამშრალი თვალები. იდგა როგორც კერპი, კერპი გულგამოცლილი და სულგანძარცული.

ბ ა ზ რ ე ნ ი ლ ი მ ხ ე დ ა რ ი

როცა კახასაგან გაგზავნილმა შვიდმა მეზღვაურმა დიდის ვაი-ვაგლახით უმძიმესი გზები უკანვე გადალახეს და კოლხეთში საშინელი ამბები მიიტანეს, — აივტი ერთბაშად დაბერდა და მოტყდა.

მკვდარი იყო აფსირტე!

სამუდამოდ დაიკარგა მედეა!

დაიკარგა ოქროს საწმისი!

დაიფანტა ფლოტი და ლაშქარი კოლხეთისა!

შერცხვა და დაიჩაგრა ქვეყანა!

დედოფალი იდია იმ დღესვე ელდით მოკვდა!..

ჩაიკეტა მეფე. შვიდი დღე-ღამე ბნელ საკანში იწვა მღუპარი და მშიერ-მწყურვალი.

გამოვიდა.

ლამაზი სახე გლოვით დასჭმუჭვნოდა. თმა-წვერი გაბურღი-
ძვროდა და გასთეთრებოდა. თვალები სისხლით წამოსქუ-
ქოდა...

გამოსვლისთანავე უბრალოდ ბრძანა:

სიკვდილით დაესაჯათ ამონა, — „ცუდი გუშაგი და ხე-
ლის შემწე ოქროს საწმისის გატაცებისა...“

ამონა გულგრილად შეხვდა მეფის განაჩენს. არც შემკრთა-
ლა, არც გაჰკვირვებია, არც თავის დაცვა უცდია. ეს ისევე უბ-
რალოდ მოისმინა, როგორ უბრალოდაც აიეტმა ბრძანა მისი
სიკვდილი.

მეფე სასახლის აივნიდან ხედავდა, როგორ გაიყვანეს სიკ-
ვდილმისჯილი შუბოსანმა მეომრებმა. ჩვეულებრივი ამაყი ნა-
ბიჯით მიაბიჯებდა ამონა, სრულიად მშვიდი, გულგრილი სახით.
მხოლოდ სხვა რაღაც მძიმე საფიქრალსა და საზრუნავს შეებო-
ქა მისი მაღალი შუბლი.

აუარებელი ხალხი მისდევდა გველეშაბთან მორკინალ ვაე-
კაცს. არავის სჯეროდა მისი ღალატი. საშინელი გნიასით მიჰყ-
ვებოდნენ. ერთმანეთში ირეოდა ქალთა კივილი, ვაჟკაცთა გო-
დება, მოხუცთა ზმუილი და ბავშვთა ღნავილი.

მზე ნაშუადღევს გადასცდა, როცა ეს შემზარავი პროცესია
ქალაქიდან გავიდა და ვერძის ველისკენ გაემართა.

მეფეს რაღაც ჩასწყდა. ისედაც საშინელი ბედუქულმართო-
ბით დასეტყვილი გული შეეკუმშა: მის მემკვიდრესთან თანა-
შეზრდილს მისკენ ერთხელაც არ მიუხედავს.

თალამონში წელათრევით შევიდა და ტახტრევანში ჩაესვე-
ნა. დიდხანს, დიდხანს იწვა გაუნძრევლად. უმძიმესი წუხილითა
და ფიქრით გონი დახშობოდა. მხოლოდ ერთი რამ მეორედებო-
და მის გონებაში:

„ნუთუ მოვექვც უმართებულოდ?! მოლალატეა, მოლალა-
ტე! მოლალატეს კი სიკვდილი სჯის!“

„არ მოიხედა, ერთხელაც კი არ მოიხედა! ნუთუ უსამარ-
თლოდ მიუჩნევია განაჩენი!“

ცრემლი მოაწვა სისხლიან თვალებს.

„ჩემს აფსირტესთან გაიზარდა... ჩემს ფაეთონთან!“

და უცებ გაეხსნა გონი მეფეს. მოაგონდა ერთადერთი მემ-

ქვიდრის თხოვნა ლაშქრად გასვლის წინ. ახლაც ისე მკვეთრად ჩაესმა მისი სიტყვები, თითქოს სადღაც თვითონ აქვე, ახლეს იდგა ცოცხალი ფეთონი:

„გულდინჯად ასწონე ამონას საქმე. მე არა მჯერა მისი ლაღი!“

ფეხზე წამოიჭრა და ქვითინნარევი ხმით შეჭლალადა:

„შვილო, შვილო! არა გჯერა მისი ლაღი!.. მაშ ამიხსენი, როგორ მოხდა!.. ნუთუ რაიმე გრძნეული ხელი!..“

„გრძნეული!.. გრძნეული!“

სულ გაუნათდა გონი მეფეს.

ახლა მოაგონდა: როცა საწმისისა და მედეას დაკარგვით აღელვებული მეფე სასახლეში დაბრუნდა და „მოლაღატი“ მოიკითხა, მოახსენეს, რომ ამონას გველეშაპისგან მიღებული მძიმე ჭრილობების მიუხედავად მთელი გზა გაუნძრევლად ეძინა და ახლაც მკვდარვით სძინავსო. უცნაური უფრო ის იყო, რომ ორი მსახური, რომლებიც დაჭრილს თავით უდგნენ, გზაშივე თურმე ძილმა შეიპყრო და მთელი დღე-ღამე ვერ დაეღწიათ თავი ძილისგან.

ფიქრს ჩაულრმავდა აიეტი.

„ძილის წამლის დამზადება იცის ჰეკატემ... მან შეასწავლა მედეას... მედეას... მედეამ კი...“

გველცემულივით წამოიჭრა მეფე. წამით გაუელვა, რომ მსახურთა მოხმობისა და ეტლში ცხენების შებმის დრო აღარ იქნებოდა. ქარივით ჩაიჭრა ეზოში და ალაყაფის გარეთ გავარდა.

იმედის მცირე ნაკადი ჩაელვარა სევდით სავსე გულს, როცა შეხედა, სასახლისაკენ მეჯინიბე ცხენების რემას მოერეკებოდა.

ჯიქივით მოეგლო ზურგზე წინ მომავალ წავისფერ ულაცს და ათკეცი ძალით აძგერა ქუსლი. ჭიხვინით შედგა ყალყზე მერანი, კამარა შეჰკრა და გაფრინდა.

წამიც და გაოცებისაგან ენაჩაეარდნილი მეჯინიბე ველარ ჰხედავდა ერთ სხეულად, შეკრულ, ფრთაშესხმულ ცხენ-კაცს.

მიჰქროდა მეფე-მხედარი. სცემდა ქუსლებს და სცემდა მკილებს უბელო მერანს დაუზოგავად. ვერ ამჩნევდა, რომ ცხენს შემოაკვრა არ სჭირდებოდა. თითქოს პირუტყვი თვითონ

გრძნობდა, რისთვის უნდოდა გვირგვინოსანს მისი სისწრაფე.
აპოლონის ნატყორცნ ისარსაც გაუსწრებდა ეს ძალუშეიძლეო
სისხლმძლავრი ჰუნე.

და უცებ იგრძნო აიეტმა, რომ მერანი სიკვდილმისჯილისა
იყო...

ალერსიანად დაუსვა ხელი მშვილდად მოდრევილ მაღალ
კისერზე.

უმატა ფრენას მერანმა...

...ამონა ვერძის ველზე ჩაიყვანეს.

აქ ხომ მან უკანასკნელად შეავლო თვალი მედეას!

„მედეა... მედეა... მედეა!..“

მხოლოდ სატრფოს სახელს დაეპყრო სიკვდილს მიმდგარი
ჰაბუკის გონი.

მწყობრში ჩადგა შვიდი შუბოსანი.

„მედეა!.. მედეა!.. მედეა!..“ ელავდა თავში.

ამონას მკერდისკენ მიიწევს კონად შეკრული შვიდი შუბის
წვერი.

ჰმ... ყველა შუბი ამონას ხელოვნებითაა გამოჭედილი...

„აჰა, მოვიდა სიკვდილი!.. მედეა!“

და ცხენის თქარათქურთან ერთად ტყიდან გამოიჭრა მქუ-
ხარე შეძახილი:

„შესდექით!!!“

იმედმა დაჰქროლა სიკვდილის სუნით დამძიმებულ ვერ-
ძის ველს.

ტყიდან მეფე გამოფრინდა ამხედრებული. გადმოხტა და
ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა.

„ცოცხალია?“ ეს იყო მისი პირველი კითხვა.

„ცოცხალია!“ ერთხმად შესძახა ხალხმა.

აიეტმა ერთი გაჰხედა ამონას და მერე ათასი კოლხის
თვალში იმედი და ხვეწნა-მუდარა ამოიკითხა.

ამონა არ განძრეულა, — ნებაც არ ჰქონდა სიკვდილმის-
ჯილს.

ჭიხვინით მიიჭრა მასთან მისი ტაიჭი გაოფლილი თავი ლო-
ყაზე მიაყრდნო და ამონამაც ლოყაზე იგრძნო დიდრონი ცხე-
ლი ცრემლი, ერთგული პირუტყვის თვალიდან მოწყვეტილი.

ცხენს კისერზე ხელები მოჰხვია, სველი თვალები და ყვრი-



მალე დაუკონა, მერე ჩაფიქრდა და მწარედ გაეღიმა:

ამ ქვეყნიდან ისე მიდიოდა, რომ ადამიანის ალერსის ვლად მხოლოდ პირუტყვის თანაგრძნობა მიჰყვებოდა.

მეფე ახლოს მივიდა და თვალეში შეაქცერდა.

სიკვდილმისჯილმა გულგრილი მზერა შეაგება მეფის მომნუსხავ თვალს.

„შენ თავისუფალი ხარ, ამონა!“

ყველას სახეზე სიხარულის სინათლემ გადასწმინდა სევდანადველი.

მხოლოდ ამონას ოდნავაც არ შესცვლია კაეშნით ჩაღრუბლული სახე.

„თავისუფალი ხარ-მეთქი, ამონა! შენ ცოცხალი დარჩები!“ ხმას აუმაღლა აიეტმა.

ამონამ თითქოს ახლა გაიგო მეფის ნათქვამი. ერთი შეიბრა და ნელა, ძალიან ნელა წარმოთქვა:

„გმადლობ, მეფეო! თავისუფალი ვყოფილვარ, მაგრამ ცოცხალი ნუთუ დავრჩები?!“

ეს უკანასკნელი სიტყვები თითქოს ვიღაცას სადღაც შორს, შორს სივრცეში ჰკითხა. მერე ისევ აიეტისკენ შებრუნდა:

„ერთი მიბრძანე, ჩემო მეფეო, რისთვის მაჩუქე მე სიცოცხლე?“

„შენ მოღალატე არა ყოფილხარ. შენის მიზეზით არ დაკარგულა ოქროს საწმისი.“

„მაშ, იცი, როგორც მოხდა?“

„მიხვდის, რომ ჩემი ასულის გრძნეულებით...“

ყელს მობჯენილმა ცრემლმა და ამონას შედახებამ ერთდროულად შეაწყვეტინა სიტყვა მეფეს:

„ნუ იტყვი, მეფეო, გემუდარები! იმას აუგად ნუ მოიხსენებ!“

სახე რაღაც უცნაური ნათელით აენთო და განაგრძო:

„იმას აუგად ნურვინ ახსენებს! იმისი ბრალი არა ყოფილა ჩვენი შერცხვენა!“

„ვისი ბრალითღა დაიკარგა ოქროს საწმისი?!“ გაოგნებით შესძახა აიეტმა.

„სიყვარულის!“ უცებ შეაგება ამონამ.

„სიყვარული?!“



„ჰო, სიყვარული! სიყვარული!“

თვალები ისევ სადღაც შორს სივრცეს მიაშტერა, ხელები აღაპყრო და ლოცვასავით აჩურჩულდა:

„სიყვარული!.. სიყვარული ცოდვით სავსე ბედკრულ მოკვდავს ვინ იცის რას არ ჩაადენინებს! იგი თურმე ბედუკულმართ მდაბიოსაც გააბედვინებს მიუწვდენელ მზის სინათლეს წაებოტინოს და შეეცადოს მზე თავინად გაიხადოს! იცის, დასწავეს, ფერფლად აქცევს, მაგრამ მაინც მისკენ მიილტვის უბედური ფარვანასავით!.. უბედურიც და ბედნიერიც... უბედურიც და...“

„ამონა!“ შეაწყვეტინა შეძრწუნებულმა მეფემ, რომელმაც მაშინვე ირწმუნა, რომ ჭაბუკი ბოდავდ

„ალბათ ურჩხულის გესლისაგან შეერყა ჭკუა!“ გაუელვა მას და ახალმა მწუხარებამ შეუკრა სახე.

ამონა ერთ ხანს დადუმებული და გახევებული იდგა. სწოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქოს თავიდან ჩამოჟონილ რაღაც იდუმალ ფიქრებს ღეჭავდა.

მერე ისევ გამოერკვა. მეფეს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, თვალები მოხუჭა, თავი მოიქცია და ხრინწგარეული ხმით ჰკითხა:

„მაშ, ახლა მე თავისუფალი ვარ?!“

„თავისუფალი და შენდობილი!“ დინჯად უპასუხა აიეტმა, ამონამ ცალი მუხლით ჩაიჩოქა, მეფეს კალთაზე ეამბორა, კვლავ წამოდგა და მტკიცე ხმით მიმართა:

„გმადლობთ, მეფევ, მზის შვილო! მაგრამ არა იმისთვის, რომ სიცოცხლე დამიბრუნე, არამედ მისთვის, რომ შენს ერთგულ მსახურს მოღალატედ აღარ იწამებ!“

მკერდზე ხელებდაქდობილი მიუბრუნდა საკრებულოს და შესძახა:

„თქვენ გწამთ ღალატი ამონასი?“

„არასოდეს გვიწამებია და არც ვიწამებთ!“

ერთად იხუვლა ხალხმა.

„გმადლობთ, ძმებო!“ ათრთოლებული ხმით ჩაყლაპა ცრემლი ამონამ.

ისევ მეფისკენ მიბრუნდა, ქედი დაიდრია და თხოვნით დაასრულა:

„ახლა კი, ჩემო მეფეო, ნება დამრთე განტევებისა!“

„წადი, ამონა!“ დასტური მისცა აიეტმა.



ჭაბუკმა ერთხელ კიდევ დაუჯრა თავი მეფესა და ხალხს და დიცხლავ მოახტა მერანს.

ჯერ ნელა მიჰყავდა, მერე უცებ მოსხლიტა და გაფრინდა. წამიც და ტყეში გაუჩინარდა შავტიპოსიანი.

„ცხენის ჭენებით განიქარეებს სევდას და ვარამს!“ გაუელვა აიეტს.

სულ მალე სამეფო ეტლიც მოიჭრა.

მეფე მძიმედ ჩაფიქრებული ჩაჴდა ეტლში.

* * *

მკვდრის მზე ზურგიდან სცემდა ოხვამერეს კლდის თავზე წამოშართულ მხედარს. ქვემოდან, ხუთასი წყრთის სიმაღლეზე, ერთიან შავ-წითელ ქანდაკებად ჩანდა სისხლიანი არშოის შემოგარსული ცხენ-კაცი.

კაცი ძნელად მიხვდებოდა, ცხენოსანი მართლა ქვისგან ნაკვეთი ქანდაკი იყო, კლდის ნაწილი, თუ სულიერი ადამიანი.

თვითონაც არ იცოდა ამონამ, რა ერქვა ახლა მას, მკვდარი თუ ცოცხალი?!

თუ სულდგმულია, რატომ ვერ სუნთქავს ძალმორეული გაზაფხულის ზღვადმომსკლარ სურნელებას? თუ მეტყველებას უნარი ისევ შერჩენია, ენა ასე რამ დაუმძიმა, რომ ხმას ვეღარ იღებს? თუ სმენა აქვს, რატომ არ ესმის ჩიტთა გალობა, ბუღბულთა სტვენა, კვნესა მწყემსური სალამურისა, ან ზავითი სავსე ქუხილ-გრიალი კოლხეთის დედა-მდინარისა? თუ თვით არსებობს, რად ვეღარა გრძნობს არსებობას ზურმუხტის ფარჩით შემოსილი მთებისას და ველ-მინდვრებისას? თუკი თვალნი და გულისყურნი ისევ ცოცხლობენ, რად ვეღარ ამჩნევს ბალახების ზრდას, ყვავილების შლას, ან რად ვერ ჰხედავს საამო ჭარით მოქანავე ატმის ყვავილთა ოკეანეს?

მაგრამ ის მაინც ცოცხალია. მხოლოდ ეს არის განსხვავება სხვა სულდგმულისგან, რომ მთელი მისი არსი და თვისებანი ადამიანური, გრძნობაც, გონებაც, ხედვაც და სმენაც დაპყრობილი აქვს იმას, რასაც ჰქვია „მედეა!“

ყველგან ის არის, ის ერთადერთი!

მედეა!

მხოლოდ მისი არსებობით არსობს გარემო. მისი ბგერები ისმის ფრინველთა გალობაში. მისი სუნთქვაა სურნელება გაზაფხულისა. მისი გრძნეული თვალები იცქირებიან ჭადრებისა და ძელქვების ჩრდილებით დაყურსულ ხეივნებში. იქვე ირხევიან მისი წამწამები და ლივლივებენ თმათა ტევრები. იმ აშოლტილ ნაძვებში ინაკვებება მისი წარმტაცი სხეული. იმ ხეთა ფესვებში და ხვიარებში იკლავება მისი ყელსაბამი, გველადნასახი — სიმბოლო გრძნეულებისა. ატმის ყვავილთა ფურცლებზე ირწევიან მისი შეფაკლული დაწვები...

მეტყველებაც აქვს ამონას: მას შეუძლია უთვალავჯერ წარმოთქვას:

„მედეა!..“

ერთ ადგილს თვალს ველარ აშორებს. ფასისის გაღმა ნაპირისაკენ მკედრის მზის სხივთა ციაგზე ეშვება ტალღა. მის სრიალში ზღვის ნიმფის მოქნილი ტანის რხევა გამოსჩანს. მდინარისაკენ გადმოხრილი ძელქვის ჩრდილი ეცემა ტალღას. მოქანავე რტოთა ჩრდილოში ინაკვებება სახე ნიმფისა.

ნიმფა კი არა, ის მედეაა, ნიმფათა შორის უღამაზესი!

იმ ტალღის გვერდით, წყლისა და ხმელეთის გასაყარზე, წყლის მიქცევის და უკუქცევისას, დროდადრო ორი თვალი კი აფობს, შემპარავი მწვანე თვალები, გესლითა და ცოფით აღსავსე.

ასეთი თვალები აქვს სიკვდილს! ახსოვს ამონას: როცა ურჩხულმა გესლიანი კლანჭით მკერდი გადაუფლითა, სიკვდილმა სწორედ ასეთი თვალით ჩაჰხედა თვალში!

კიდევ ვისა აქვს ასეთი თვალი?! ჰო, იმ უცხოელს!

აი, იქ, ახლაც, ფასისის პირზე სიკვდილი ჩასაფრებულა (სიკვდილი, თუ ის უცხოელი?!) სიკვდილი უთვალთვალებს მედეას, მისი სიცოცხლის ჩასანთქავად გამტკნარებულა!..

„მოვდივარ!.. შენს დასახსნელად მოვდივარ!..“

გახელებით ჰკრა ქუსლი მერანს.

ცხენი ჭიხვინით ავარდა ყალყზე, შემობზრიალდა, კლდეს ზურგი აქცია, მხედარს თავი წაართვა და კამარა შეჰკრა.



ნაპერწყლებმა იელვეს კლდის თავს. ორას ნაბიჯზე, აკრო-
პოლისის მისადგომთან ძლივს შეაყენა ამონამ ცხენი.

გადმოხტა და თვალეში ჩაჰხედა. თვინიერად იდგა
უტყვი. თითქოს დანაშაულსაც გრძნობდა, რომ შედრკა და
სიკვდილის გზაზე ვერ გაჰყვა პატრონს.

ამონამ შავი წამოსასხამი მოიხსნა, ცხენს თვალეზე დააკ-
რა და ყბებს ქვემოთ მაგრად შეუკვანძა. ყველაფერს ხელდინ-
ჯად და აუღელვებლად აკეთებდა. ტაიჭიც მორჩილად იდგა,
მხოლოდ დროდადრო წინა ფეხებს სცემდა მიწაზე და ლაშების
თრთოლვით ხრავდა ლავამს.

ისევ მოახტა ამონა მეზანს. წამით შედგა და ფასისს გაჰ-
ხედა.

კვლავ მოილტვოდნენ ცოფიანი თვალეები მედეასკენ.

ქუსლი ჰკრა და ისარივით გაქანდა ჰუნე. ცადამწვდენი ხმით
ჭიხინებდა თვალახვეული, მაგრამ როცა კლდის წვერს მოს-
წყდა, დედამიწიდან ფეხგამცდარი და სივრცეში გაჭრილი პი-
რუტყვის ხმა კაცის გამყივანმა ძახილმა დაჰფარა:

„მე-დეე-ააა!!!“

ფასისის ქუხილმა ჩაიხვია ამ ძახილის უკანასკნელი ბგე-
რები.

უცნაური ხმით შემკრთალმა მწყემსმა ბიჭებმა მწვანეყვა-
ვილას ბორცვიდან მოჰკერეს თვალი მკედრის მზის სხივებით
გარემოსილ გაფრენილ მხედარს...

მედეას სახებამდე მაინც ვერ მიეღწია ამონას.

ოხვამერეს კლდის ძირს იპოვნეს დამსხვრეული, სწორედ
იმ ადგილზე, სადაც იგი ოცი წლის წინათ დალაზვრულ მკერდს
უკოცნიდა საგრომატებთან ბრძოლაში მოკლულ მამას.

მეფის ბრძანებით, კოლხეთის უპირველესი მჭედელი-ხე-
ლოვანი და სწორუბოვარი ფალავანი საწმისისაგან გაძარცული
მუხის ქვეშ დაკრძალეს, ისევე როგორც მისი ძმობილი — უფ-
ლისწული განისვენებდა მკერდგაპობილი მუხის ქვეშ, შორს
კოლხეთიდან, არტემიდეს კუნძულზე.

ობოლი ვარდი ამოიზარდა ობოლი ბიჭის საფლავის თავ-
თით. იმ ვარდს ბუღბუღი შეეჩვია.

ყოველ ღამით დაჰკვნესოდა სიყვარულის მეხოტბე-მგალო-
ბელი განმარტოებულ საფლავს.

ის ბულბული იყო მოწამე:

შუალამით მოდიოდა მოხუცი დეკაცი, მუხის ძირში ჩამოქუჩუნული და და გარინდებული ყურს უგდებდა, როგორ ტიროდა და ბზარდაკრული ხმით ჩურჩულებდა მოხუცი კაცი:

„ფაეთონ!“

„მედეა!“

„ამონა!“

„შვილებო!.. შვილებო!.. შვილებო!..“

კოლხეთი გლოვის თალებში გაეხვია.

მედეა უცხოობაში

კიდევ მრავალი განსაცდელი გადახდათ თავს კერკირადან წამოსულ არგონაველებს. საშინელმა ქარტეხილმა ისინი ჯერ ლიბიის რომელიღაც ყურეში გარიყა. იქიდან ხომალდი მხრებზე გაიდეს და თორმეტი დღე-ღამის განმავლობაში ჭაპანწყვეტილ მიათრევედნენ ლიბიის უდაბნოს ტრამალეებზე. მერე ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ოქროს ვაშლებით განთქმულ ჰესპერიდების ზღვასთან გაჩნდნენ. აქ ორი გმირი გამოაკლდათ: ევბეელი კანთოსი ლიბიელმა მწყემსმა კაფავრემ მოკლა შურდულით; მეორე, მისანი მოჰსე, გველმა დაკბინა. არგონაველებმა დიდის პატივით დაიტირეს და დაკრძალეს მეგობრები. ბოლოს კუნძულ კრეტას მიაღწიეს. აქ კუნძულის გუშაგი, სპილენძის გიგანტი ტალოსი დახვდათ და კლდის ნახეთქების სროლით საშუალებას არ აძლევდა ხმელეთს მისდგომოდნენ. აქაც მედეამ იხსნა არგონაველები. მან თვალი გაუშტერა და ჭკუაზე შეშალა ტალოსი. იცოდა, ტალოსს ერთადერთი სისხლის ძარღვი ჰქონდა, თავიდან დაწყებული, ფეხის ტერფში გათავებულ. ჭკუიდან გადამცდარმა გიგანტმა წონასწორობა დაჰკარგა, კლდის წვეტიან ქიშს ფეხი დაჰკრა და ის ერთადერთი სისხლის ძარღვი გადაიჭრა. საშინელი ღრიალითა და გრიალით ჩაინთქა ზღვაში. კრეტადან გმირები კუნძულ ეგინაზე მივიდნენ. იქიდან კი მშვიდობიანად მიცურდნენ იოლკოსში.

იოლკოსში!

ელადაში

სამშობლოში



მთელი ელადა შეიყარა ძლევამოსილ არგონაველთა შესწავ-
ვედრად. არნახული ზეიმით შეხვდნენ გმირებს. თვალს ველარ
ამორებდნენ გაოცებულნი ელინნი ქალაქის მოედანზე აღმარ-
თულ ბრწყინვალე საწმისს და კოლხი ასულის უბადლო სიმ-
ქვენიერეს.

ღრეობა ერთი თვე გაგრძელდა. ქალი თუ კაცი, დიდი თუ
პატარა ხოტბას ასხამდა არგონაველთა სიდიადეს. ყველას პირ-
ზე ეკერა იასონის სახელი. ბოლო არ უჩანდა მსხვერპლშეწი-
რულებებს ელადის მფარველ ოლიმპიელთა სადიდებლად.

ხომალდი „არგო“ გმირებმა კორინთოს ყელთან მიაცურეს
და ზღვათა მბრძანებელ პოსეიდონს შესწირეს.

მხოლოდ ერთი გლოვობდა იასონის ძლევამოსილად დაბ-
რუნებას. ეს იყო ბოროტი პელიასი. როგორ წარმოიდგენდა
უკანონო მეფე, რომ მისი ძმისწული კოლხეთის უმძიმესი ლაშ-
ქრობიდან ცოცხალი დაბრუნდებოდა! მერე ისიც ასეთი დიდებ-
ებით შემკული!

ყველაფერი მიწყნარდა.

იასონი სასახლეში გამოცხადდა და დანაპირები მოითხოვა.
პელიასმა კვლავ უარი თქვა.

დავბერდიო, ორიოდ დღის სიცოცხლედა დამრჩენიაო. შენ
კი ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ: სულ მალე ამ ქვეყნიდან გავემ-
გზავრები და სამეფო ღმერთთა წყალობით შენ დაგრჩებაო! —
დინჯად მიაგება მან.

იასონი მზად იყო ლუკმა-ლუკმად აეკაფა საძულველი მო-
ხუცი. მაგრამ იცოდა, ამას ელადაში არავინ მოიწონებდა. მარ-
თლაც, მადლს ვინ მოახსენებდა, მოხუცი ბიძა მოეკლა, ისიც
გმირი აკასტეს მამა. აკასტე ხომ კოლხეთში ახლდა იასონს და
განსაცდელით საგსე გზაზე ნამდვილი ძმობა გაუწია.

რალა გზა ჰქონდა. ბოლმა გულში უნდა ჩაეკლა და რაიმე
ხელსაყრელი შემთხვევისათვის დაეცადა.

ასეთი შემთხვევის დროც დადგა.

აქაც მედეას მწყალობელ ხელს უნდა შეესრულებინა
ქმრის მორიგი სურვილი.

ერთ დღეს იასონის მამა ეზონი ცუდად გახდა. სიბერისაგან

მიხრწნილს და შვილზე დარდით ჯანგატეხილ კაცს თავზე სიკ-
ვდილი დაადგა.

იასონი შეწუხდა. ჯერ იმის ჯავრიც ვერ გაექარებებინა, რომ
კოლხეთიდან დაბრუნებულს დედა ცოცხალი აღარ დახვედრია.

გმირი მხურვალედ ევედრებოდა მედეას, რაიმე ელონა და
სიკვდილისაგან გადაერჩინა მოხუცი მამა.

ქალმა აღუთქვა.

შუალამისას სახლიდან უბრად გავიდა მედეა, შავი ქლამი-
დით შემოსილი, ფეხშიშველი და თმაგაშლილი.

ძილი — სიკვდილის ძმა — დაუფლებოდა არემარეს.

გრძნეული ქალი უხმოდ მისრიალებდა წყვილიაღში.

გზაჯვარედინზე გავიდა. შედგა. ზეცისაკენ ხელები აღაპყ-
რო და სამჯერ შესძახა კუნაპეტ ღამეს. მერე მუხლებზე დაეცა
და დიდხანს ლოცულობდა სიოსებრ წყნარი ჩურჩულით. ჰეკა-
ტეს, ჯადოქრობისა და სიბნელის ქალღმერთს, მოუხმობდა.

ბნელი გაჰკვეთეს გველეშაპთა ცეცხლოვანმა ენებმა. შავ
ეტლს მოაქანებდნენ დრაკონები. ეტლში ჰეკატე იჯდა, გველთა
გრაგნილით თავშემკობილი.

ცხრა დღე და ღამე აღარ ჩანდა მედეა. ცხრა დღე და ღამე
დააქროლებდა იგი ტყესა და ღრეში ჰეკატეს ეტლს. ჯადოუნა-
რიან ბალახებს არჩევდა და კრეფდა.

მეთათე დღეს დაბრუნდა.

კერასთან ორი საკურთხეველი აღმართა, ერთი — ჰეკატე-
სათვის, მეორე — ქვესკნელის პირქუში გამგებლის, ჰადესისათ-
ვის და მისი მეუღლე პერსეფონესათვის.

სამსხვერპლო ცეცხლზე სპილენძის ქვაბი დადგა.

შიგ ჩაჰყარა:

ბალახები — ძირმწარე და ძირტკბილა, იისფერი, წითელი,
მწვანე და შავი;

წმინდა სილა, შუალამით ზღვის პირზე მოშლამული;

სუფთა ცვარ-ნამი, დაგროვილი განთიადისას;

ფრთები გნოლისა;

შიგნეული მგლისა;

პერანგი გველისა;

გულ-ღვიძლი ირმისა;

თავ-ფეხი ასწლოვანი ყვავისა...

ჩაპყარა და დაურია.

საკუთრებველთა წინ ორი ორმო ამოთხარა და ზედ მავი ცხვარი დაჰკლა.

დროდადრო აღუღებულ ქვაბს ზეთისხილის გამხმარ რტოს ურევდა; ლოცვას ჩურჩულებდა, ცხვრის ხორცის ნაჭრებს ცეცხლზე სდებდა, ზედაშეს ასხურებდა; ჰადესსა და პერსეფონეს ევედრებოდა, არ წაერთმიათ სიცოცხლე კეთილშობილი ეზონისათვის.

მერე მოიყვანა თვით მოხუცი მამამთილი. ღამით შვეგროვილ ბალახებზე დააწვინა და პირზე შავი წამალი აჰკურა. ეზონი მაშინვე ძილს მიეცა.

აღულდა და გაფუჟდა ქვაბი. თეთრი ქაფი მოიგდო თავზე.

მედეამ მდუმარედ ანიშნა გახევებულ იასონს. გამხმარი ზეთისხილის რტო ქვაბში ჩასდო, მცირე ხნის შემდეგ ამოიღო და... მწვანე ფოთლებით და ნაყოფით დატვირთული ლორთქო რტო ეპყრა ხელში!

ქვაბიდან გადმოღვრილი წვეთების ადგილას მწვანე ბალახა აბიბინდა.

გაოცებულმა იასონმა ხმის დაძვრაც ვერ მოახერხა. ქალი ოდნავი ღიმილით შესცქეროდა, თითქოს ეკითხებოდა: ხომ ბოლომდე ენდობოდა იგი თავდადებული კოლხი ქალის ერთგულებას და გრძნეულებას?

ისევ მდუმარედ ანიშნა, გარეთ გასულიყო.

გავიდა თუ არა იასონი, მედეამ სამსხვერპლო ცხოველების სისხლით შესვრილი მახვილი აიღო. მოიქნია და მძინარე ეზონს მკერდი გაუპო.

მანამ დაუცადა, სანამ ეზონის სხეული სულ არ დაიკალა ბებერი, დაუძღურებული სისხლისაგან. მერე კრატერი აიღო, ქვაბიდან დუღილდასრულებული წამალი ამოიღო და შავ-წითლად დაღრენილ ჭრილობაში ჩაასხა. ასე გაიმეორა რამდენიმეჯერ.

ეზონის სხეული ახალგაზრდული, ჯანსაღი სისხლით გაივსო და გაიტენა.

მედეამ იასონს გასძახა.

იასონი შემოვიდა და გაოცებისაგან კინალამ ჭკუაზე შეიშალა.

სარეცელზე, იქ, სადაც წედან მიხრწნილი, სახედანაოქებუ-
ლი, ბუწუწა, თეთრთმიანი, ძვალტყავა მოხუცი იწვა, ახლ
ხორცსავსე, ლოყაყვავებულნი, გრუხათმიანი ვაჟკაცი სუნთქვ
და ქაბუკური სუნთქვით.

„ეს ვინ არის?!“ შესძახა იასონმა.

„მამა!“ წყნარად უპასუხა მედეამ.

„მამა, მამა!“ ღრიალით მივარდა შვილი.

ეზონი ფეხზე წამოიჭრა.

ღმერთებო ოლიმპიელნო! ეს რა ემართება ეზონს?! ნუთუ
ეს ცხადია!.. ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე!.. ასე ის ოდესღაც
იყო; აღარც კი ახსოვს, როდის?!. ზომეშველეთ, ოლიმპიელნო,
სიზმრად ნუ აქცევთ ამ სინამდვილეს!.

„მედეა! იასონ!“ ცრემლთა ღაბაღღებით ბოდავდა და ეხვე-
ოდა რძალსა და შვილს...

მალე მთელს იოლკოსს პირზე ეკერა მედეას გრძნეულების
ამბავი. საეჭვოც არაფერი იყო, რადგან ყველა ჰხედავდა გა-
ახალგაზრდადებულ ეზონს.

მეფე პელიასი საშინლად შეაშფოთა ძმის უცნაურმა გარდა-
სახვამ. გადაწყვიტა, როგორმე დაეყოლიებინა მედეა და მისი
შემწეობით თვითონაც მოეპოვებინა დაკარგული ძალ-ღონე და
სრვაჟაკე.

ყველამ შეიტყო პელიასის სურვილი.

იასონმა რაღაც მოისაზრა. თვალეზგაბრწყინებული მივარდა
მედეას და ხვეწნა დაუწყო.

„ნუთუ ასეთი ბოროტება საჭიროა, იასონ?!“ ჩაჰკითხა მე-
დეამ.

„ჩემი გულისთვის, ჩემო ქალღმერთო!“ შეჰლაღადა ვაჟაკე-
მა და მუხლებზე მოეხვია.

„შენი გულისთვის განა ცოტა ჩამიდენია?!“ წყნარად მიუ-
გო ცრემლგამშრალმა ქალმა.

„ვიცი, ვიცი... მაგრამ ერთხელ კიდევ გაისარჯე შენი უღირ-
სი ქმრისათვის“, არ ეშვებოდა იასონი.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მედეას მძიმედ აღმოხდა:

„კარგი... მაინც რაღა ბედენაა მონანიება ისეთი ბოროტ-
მოქმედისათვის, რომელსაც ამდენი სასიარცხილო საქმე ჩაუ-
დენია!..“

ასე დასთანხმდა კოლხი ქალი ახალ ბოროტებაზე.

იმ დღეს უამისოდაც ადვილად შეიძლებოდა მისი დაყოფა. ერთმა ახალმა მძიმე ამბავმა ახალი ლახვარი დასცა და ცეცხლი დაკლდა და სევდითა და კაეშნით დალახვრულ გულს. წინა დამეს, როცა აივნიდან მოედანზე აღმართულ საწმისს გახედა, სისხლი გაეყინა და გული გაუჩერდა:

ოქროს ვერძის სამოსელზე შავი მძივები აღარ ელავდნენ ამონას თვალები ჩამქრალიყვინ!

„ამონა მკვდარია!“

ენით უთქმელმა ტკივილმა ტვინი დაუწვა და გული დაუსერა.

ეგონა მოკვდებოდა.

არ მოკვდა.

გული საბოლოოდ გაუცივდა და გაუქვავდა.

ამის შემდეგ მისთვის სულ ერთი იყო რასაც ჩაიდენდა.

„მაშ, ახლა პელიასი უნდა მოკვდეს?.. სიამოვნებით! დაე, მოკვდეს!“ გაიფიქრა და გაიცინა.

უცნაური იყო ეს სიცილი, ცივი, თავზარდამცემი და სისხლგამყინავი...

მეორე დღეს მედეას პელიასის ორი ასული ეწვია და სიბერისაგან მამის განკურნება სთხოვეს.

მედეა დათანხმდა...

ქალები გახარებული გაბრუნდნენ. მალე მოხუცი მამის თანხლებით გამოცხადნენ.

მეფეს თვალები უბრწყინავდა გაახალგაზრდავების მოლოდინში.

მედეამ სამსხვერპლო ცეცხლი დაანთო. ქვაბი ისევ შემოკიდა და წამალი შეაზავა.

პელიასს რაღაც შეულოცა და ღრმა ძილის ბურანში გაჩხვია.

როცა მედეა დაშნას დასწვდა, მეფის ასულები შეშინდნენ და ხელში ეცნენ.

მაშინ გრძნელმა, მათი ეჭვი რომ გაეფანტა, იმ დაშნით იქვე მდგარ ბებერ ცხვარს ყელი გამოსჭრა და ადუღებულ ქვაბში ჩაუშვა. იმავე წუთში იქიდან კრავი ამოხტა! ბლავილით გაიჭრა ჩვილი ცხოველი ცურის საძებრად!

ახლა კი ბეჯითად დარწმუნდნენ პელიასის ქალები იასონის ცოლის ჯადოქრობაში.

მედემ ხელახლა შეაზავა წამალი სპილენძის ქვაბში, შერეორო მახვილი აიღო და გაუწოდა მათ.

„აბა, დაჰკარით!“ უბრძანა მან.

„დავპკრათ?!. მამას?!“ კვლავ შედრკნენ ისინი.

„სულმოკლენო, დაჰკარით-მეთქი!“

„მოხუცს ბებერი სისხლი უნდა გამოსდინდეს, სამაგიეროდ მე მის ძარღვეში ახალ ჯანსაღ სითხეს ჩავასხამ!“

ქალებმა მახვილები აღმართეს და... რამდენჯერმე დასცენ მამას.

იფეთქა სისხლმა.

დაჩეხილმა მეფემ ძლივს მოასწრო თვალის გახელა.

„შვილებო, რას სჩადით?!“ ამოიხრიალა და სული აღმოხდა.

„მომეხმარეთ!“ შესძახა მედემ და გვამს მივარდა.

შიშით ენაჩავრდნილი ასულები მიცვივდნენ და მამის ცხედარი ასწიეს.

მიცვალებული მდულარე ქვაბში ჩაუშვეს...

ელვასავით გავარდა ხმა პელიასის საზარელი სიკვდილის შესახებ.

აკასტე სანადიროდ იყო წასული. დაბრუნდა და სასახლეში დაჩეხილი და დამწვარი მამის ცხედარი დახვდა.

შურისძიება დაკრძალვის შემდეგ გადასდო.

მან დიდის პატივით დაასაფლავა მამა.

ბევრი არგონაველი მოვიდა დამგლოვიარებული გმირის პატივსაცემად. მათ მონაწილეობა მიიღეს მიცვალებულის პატივსაცემ ასპარეზობაში. მსაჯი თვით ღმერთი ჰერმესი იყო. პოლიდეკემ, კასტორმა და ევფემემ ეტლებით ჯირითში განაცვიფრეს მხილველნი, აღმეტემ — კრივში, პელევსმა ფარ-მახვილით შერკინებაში, იფიკლემ — სირბილში.

გმირები აღშფოთებული იყვნენ იასონისა და მედეას ვერაგობით. აკასტე შურისსაძიებლად ემზადებოდა. მაგრამ ბოლოს შეთანხმდნენ, სისხლს მორიდებოდნენ, თუკი იასონი დათანხმდებოდა და მედეასთან ერთად უსისხლოდ გაშორდებოდა იოლკოსს.

იასონმა ველარ გაბედა წინ აღდგომოდა კოლხეთის ლამ-



ქრობაში მისთვის თავგანწირულ გმირთა გადაწყვეტილებას,
იოლკოსი უნდა დაეტოვებინა.

ასე დაკარგა მან სამეფო, რომლისთვისაც ამდენი იწვალა
და იტანჯა.

იოლკოსის მეფედ აკასტე გამოცხადდა.

იასონი და მედეა კორინთოში გადასახლდნენ და იქაურ მე-
ფეს, კრეონს შეაფარეს თავი.

„მ ა ვ ლ ე ლ ი“ დ ე ღ ა

გავიდა შვიდი წელი.

მედეას და იასონს უკვე ორი ვაჟი ჰყავდათ: მერმეროსი და
ფერესი.

თითქოს დაწყნარდნენ და დამშვიდნენ. თითქოს მობრუნდა
ბედისწერის ბორბალი კოლხი ქალისკენ. მედეას შვილებისა და
ქმრის უსაზღვრო სიყვარულში გული მობრუნებოდა. თავისი
ექნა შვიდ წელს: წარსული მწუხარება გაეთელა და გაექარ-
წყლებინა.

მაგრამ თვალთმაქცი ბედისწერა იმ შვიდი წლის მანძილზე
თურმე უარეს უბედურებას უმზადებდა უბედობაში ამოჩემე-
ბულ ქალს.

ბოლო ხანს იასონს მოუსვენრობა დასჩემდა, ძილი დაჰკარ-
გა. თუ წასთვლემდა, ბოდავდა და ოხრავდა. სიტყვაძვირობდა,
სახლში გული აღარ უდგებოდა, სახიდან ნაღვლის ღრუბელი
არ შორდებოდა.

მედეა ამაოდ ცდილობდა ქმრის გულის კარი გაეღო და მას-
ში ახალი დარდის მიზეზი ამოეკითხა. ემუდარებოდა, წუხილი
მისთვის გაეზიარებინა. კვლავინდებურად ნაღვლისაგან გან-
კურნებას ჰპირდებოდა.

მაგრამ მედეა ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ იასონის ამ
ახალ სანალღლოს ვერა ძალით ვერ განკურნავდა. რა იცოდა
კოლხმა ქალმა, თუ მის ქმარს პატივმოყვარეობის ჭია უხრავ-
და გულს.

უამთა სრბოლის ეტლს თან მიჰქონდა კოლხეთის ძღვეამო-
სილი ლაშქრობის დიადი სახელი. უკვე იშვიათად ლაპარაკობ-



დნენ ოქროს საწმისის გმირებზე და მათ ბრწყინვალე ბელად-ზე, რომლის სახელიც ამ შვიდი წლის წინ მთელს ელადას ზღვებზე ეკერა. მეფობა სურდა, ეკუთვნოდა კიდეც, მაგრამ სულ-მოკლეობამ ხომ ისიც დააკარგვინა. ამიერიდან იგი ველარასოდეს ვერ იქნებოდა მეფე და მბრძანებელი. დიდებისმოყვარე კაცი ჩრდილში, მყუდროდ, უბრალო მოქალაქის ცხოვრებაში ვერ ურიგდებოდა.

ამიტომ ის ყოველ წუთს იმაზე ფიქრობდა, ეგებ რაიმე გზით მოეპოვებინა დაკარგული პატივი და კვლავ მაღალ, თვალსაჩინო ადგილზე აღზევებულიყო.

ასეთ გზასაც მიაგნო.

კორინთოს მეფე კრეონს ჰყავდა ლამაზი ასული კრეუსა; ისონმა მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ამ გზით შესძლებდა იგი, მოხუცი მამის სიკვდილის შემდეგ, კორინთოს მბრძანებელი გამხდარიყო.

ისონმა კრეონის სასახლეში სიარულს მოუხშირა. ჯერ კიდევ მომხიბვლელმა ვაჟკაცმა მალე აღაგზნო სიყვარულის ხანძარი კრეუსას გულში.

კრეონიც დათანხმდა თავისი ქალი ცოლად მიეცა სახელოვანი გმირისათვის.

ასე გადაწყვიტეს.

თითქოს მედეა მკვდარი იყო!

ეს ამბავი უბედურ ქალს კრეონის ერთმა მსახურმა შეატყობინა საიდუმლოდ.

ყველაფერს მიხვდა, ძალიან გვიან მიხვდა, ბედისწერისგან დევნილი ქალი:

ისონს ის არასოდეს არ ჰყვარებია. სიყვარულის ისარი მხოლოდ მისთვის, მედეასთვის უტყორცნია იმ უღმერთო ღვთაებას, ეროსს!.. ამ უსულგულო ბერძენს არასოდეს არაინაც არ ჰყვარებია საკუთარი თავის გარდა, ისე როგორც საზიზღარ ნარცისს. მას არც კრეონის ასული უყვარს, მაგრამ მეფედ გახდომისათვის ირთავს ცოლად. ასე რომ არ იყო, მაშ რით მოხიბლა იგი კრეუსამ? მართალია, კრეუსა ლამაზია, მაგრამ ვით შეედრება მედეას უჭკნობ მშვენიებას?

თუმცა ეს რაა? მედეა გრძნობს როგორ დნება და ინაცრება სახე მისი, როგორ ლურჯდებიან და ნაოჭდებიან თვალთა

უბენი, ხოლო თვალები, მედეას გრძნეული თვალები სადღაც ჯურღმულში იკარგებოდა. ვერც იმას ჰხედავს, როგორ სერავენ ნაოჭები მის ლამაზ, სუფთა შუბლს, მაგრამ აშკარად გრძნობს, როგორ ერთ წამში დაღწეა მისი სახის სიმშვენიერე ამ საშინელი ამბის გაგონებამ!

მაშ, მედეას ცხოვრება ისევ უკულმართად დატრიალდა! მწარედ ატირდა.

შვიდი წლის შემდეგ ეს პირველი ტირილი იყო.

ერთბაშად პირი მოიხსნა ყველა ძველმა ნაიარევმა. ტყუილად ჰგონებია მედეას, რომ იმ წარსულის ჭრილობებმა სამუდამოდ შეიკრეს პირი. ძველი ნაღველნი, ვაებანი დაგროვილიყვნენ მრავალგზისი უბედურებით დაისრულ გულში. ახლა იმ დაფლეთილ გულს — იასონისთვის განწირულ გულს — ისევ იასონმა აძგერა უკანასკნელი მომაკვდინებელი ლახვარი.

ოოჰ, ეს რა ჩაიდინე, მედეა?! რისთვის მოიხმარე გრძნეულება, რომელიც შენთვის უზენაესს სიკეთის სათესად მოუცია?! ვისთვის გაჰყიდე სამშობლო, შეარცხვინე კეთილშობილი მშობლები, მოჰკალი საყვარელი ძმა, სიკვდილს შეჰყარე თავდადებული მოტრფიალე, მრავალი მეომარი და დამცველი წართვი კოლხეთს! ახლა წუხილით გამშრალ სხეულიდან ცრემლების ზღვა როგორ უნდა ანთხო, რომ მცირედად მაინც მოიხსო სამშობლოს დალატით დამძიმებული გული?!

ტიროდა მედეა.

„ოო, როგორ მეგონა დამთავრდა-მეთქი მწუხარება! თურმე ჩემი უბედურების ნახევარიც არ მიგლოვია!“

სულ მარტოდმარტო იგრძნო თავი უცხო მხარეში.

სიმწარეში ყველაზე მეტად იგრძნობ თურმე სამშობლოს დაკარგვას!..

თურმე ტყუილად ნუ შეეცდები თავი შეაყვარო ვიღაც უცხოს, როცა შენი მშობლიურის სიყვარული ვერ დაგიფასებია. როცა მშობელი დედის რძის სიტკბო უარგიყვია, დედინაცვალი უცხოს ძძძუს რად მოგაწოდებს? სამშობლოდან გაქცეულს მშობლიური ქვეყანა დაგივიწყებს და მოპოვებული სამშობლოც მისთვის უცხოს ცხვირწინ კარებს გამოგიხურავს!..

„გზასაცდენილი სიყვარულის მხვერპლი შევიქვენ და ახიც არის!“

მძინარე ბავშვებს დააშტერდა. ამოიგმინა, ცრემლის ღვრით ჩაიკეცა საწოლთან და შეშლილივით აბორგდა:

„შვილებო! შვილებო!.. აღარ გყავთ მამა! აღარც დედა!.. თუმცაღა დედათქვენნი დიდი ხანია მკვდარი ყოფილა!.. ჩემო ობლებო! დედა თქვენ მამამ დაგიკარგათ, ხოლო თვით მამა წაგართვათ დედინაცვალმა!“..

...დილით ვერ მოიგონა, ტირილში ჩაეძინა, თუ გრძნობა დაჰკარგა. პატარა ფერესი აღრე წამომდგარა, იატაკზე დაცემული დედა დაუნახავს და მერმეროსი გაუღვიძებია. ბავშვებს დედა დაძინებული ჰგონებიათ; მისულან და გულში ჩაჰკვრიან.

შვილების სითბომ გამოაცოცხლა სიკვდილის გზაზე შემდგარი მედეა. ორივენი მკერდში ჩაიკრა და ისევ ატირდა.

ბავშვები კარგა ხანია რალაც ცუდს ელოდნენ. მამას შან იშვიათად ხედავდნენ; ან როცა იყო, მხოლოდ მათ ეფერებოდა. მთელი დღე დედისთვის ერთ-ორ სიტყვას თუ გაიმეტებდა.

მედემ ცრემლი შეიმშრალა და მიმოიხედა. არ უკითხავს, მამა თუ მოვიდაო. იცოდა, რომ იასონი მისთვის დაკარგული იყო.

ბავშვები გადიას ჩააბარა.

მარტო დარჩა.

აღარ ტიროდა. ახლა ის სულ სხვა იყო, ვიდრე წუხელის, როცა ქმრის ღალატი შეიტყო.

სახე გაქვეავებოდა, თვალები ცეცხლად ანთებოდა, შუბლი დასძაგროდა.

მაგრამ ეტყობოდა, გრძნეულ სულში რალაც მძიმე ფიქრი გამალებით იბრძოდა და იხარშებოდა.

ბოლოს ის ფიქრი დადულდა, განელდა და დაიწმინდა.

მას მედემ უწოდა „შურისძიება!“

სიცოცხლემ მისთვის სამუდამოდ დაჰკარგა თავისი სილამაზე... ამიერიდან მედეასთვის ის არსებობს მხოლოდ შურისსაძიებლად... მედეას სიცოცხლის სილამაზე დღეიდან არის შურისძიება!..

მას აღარ აქვს სამშობლო, აღარც მშობლები ჰყავს, აღარც ძმები, სატრფო, ნათესავები, ვისაც ასეთ განსაცდელის ქამს თავს შეაფარებდა. მისი ღუხჭირი ცხოვრების თავშესაფარი ახლა არის შურისძიება!..

„მარტო ვარ, მარტო!.. მარტოდმარტო!.. მაგრამ ჯერ ისევ ცოცხალი ვარ!“

ცოცხალია, მაშ რაა, ფეხზე დგას. დადის, ფიქრობს, სივრცეში რაღაც ადგილს იჭერს და მზის შუქზეც ჩრდილს გამოსცემს!

„ცოცხალი ვარ და ვაი თქვენ, მედეას ბედის გამმწარებლებო!“..

ხეივანში დადიოდა მძიმე ნაბიჯით. ფიქრობდა, მსჯელობდა, ხან დუმლით, ხან კი ხმამაღლა. ხან ბოროტად იღიმებოდა, ხან ცრემლიანად ხითხითებდა.

შურისგებაზე კიდევ ერთმა გარემოებამ დააყენა ასე გადაწყვეტით:

იმ დღეს მასთან გამოცხადდა თვით მეფე კრეონი და უბრძანა, ბავშვებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეკარგულიყო მისი სამფლობელოების საზღვრებიდან. კრეონს ეშინოდა, რაიმე არ შეემთხვია მისი ოჯახისათვის ამ „კუდიან ბარბაროს ქალს“.

მედეამ შეჰვედრა, მხოლოდ ერთი დღე დამტოვე შენს სამეფოშიო. მანამ მოვიფიქრებ სად, რომელ მხარეს უნდა შევეხიზნო; როგორ ვიზრუნო ჩემი შვილების მოწყობაზე, რაკი მამა არ ფიქრობსო მათზე.

მეფე ჯერ შეყოყმანდა. მერე დათანხმდა, თან მრისხანედ დასძინა:

„თუ ხვალ დილით მზის სხივებმა ჩემს სამეფოში მოგისწრეს, იცოდე, სიკვდილი არ აგცდება არც შენ, არც შენს შვილებს!..“

კრეონი წავიდა.

კარგა ხანს მისჩერებოდა მედეა მიმავალ მეფეს.

ჰმ, მაგ უბედურმა იმდენიც არ იცის, რომ მიტოვებულ ქალს მეფე კი არა, ღმერთებიც ველარ შეაშინებენ. მერე როგორი მეფე! კრეონი, საძაგელი სისიფეს შთამომავალი! იგი და მისი გომბიო უპირებენ დაცინვასა და აბუჩად აგდებას დიდებული ჰელიოსის შვილიშვილს! კრეონის უდღეურმა გომბიომ უნდა ინებივროს აიეტის ასულის სარეცელზე!.. სისიფე თავხედობისა და გაუმადლობისათვის დასაჯა ზევსმა. ის საიჭიოში უზარმაზარ ლოდს მიაგორებს მთის მწვერვალისაკენ; მიუბზლოვდება მწვერვალს და ქვა უმაღვე ხელიდან უვარდება, ხე-

ლახლა წაიღებს, კვლავ გაუვარდება და ასე დაუსრულებლივ
მიათრევს საშინელ ტვაროს მიულწვეველი მიზნისაკენ. მედეა
ასე სამაგალითოდ დაგსჯის, სისიფეს საზიზღარო მოდგმავ, მი-
სი შეურაცხყოფისათვის!

ეს გაიფიქრა და მაშინვე მსახური გაგზავნა იასონთან, კრე-
ონის სასახლეში. უთვლიდა, მოსულიყო თავის ოჯახში უკანას-
კნელად.

სანამ იასონი მოვიდოდა, მედეა გაქვავებული იჯდა და ფიქ-
რობდა... ფიქრობდა...

ნაქმრევი გამოჩნდა.

ქალი გაცოცდა: იასონი ამაყად მოაბიჯებდა, წარბგაშლილი
და თვითდაჯერებული. თითქოს აინუნშიაც არ აგდებდა თავის
ნამოქმედარს.

„გახსოვს, იასონ: „უნაპირო სიყვარულით გიერთგულვებ
სიკვდილის დღემდე!“ ვინ დასდო ფიცი ამ სიტყვებით?“

იასონს ხმა არ ამოუღია.

„საზიზღარო მშინარა! საცოდავო ქალაჩუნა!“

„მე შენი ლანძღვის მოსასმენად არ მოვსულვარ!“ უჭიათად
მიახალა იასონმა.

„სად არის-მეთქი ფიცი, რომელიც მუხლებზე ხოხვით ჩემს
წინაშე მრავალგზის წარმოგიტყვამს?“

„ჩვენს მალლა მეფე დგას!“

„უფრო მალლა კი თემიდა, ქალღმერთი სამართლიანობისა,
რომელიც ხედავს შენს ვერაგობას!“

„თუ ასეა, მე დავისჯები!“

„მაშ, მართალია, რომ შენ ცოლს ირთავ?“

იასონი ხმას აღარ იღებდა.

„მე მუხლებზე არ დავეცემი ხვეწნა-მუღარით ვინმე მტი-
რალა გომბიოსავით. ასე ვდგავარ და სიკვდილსაც ასე შევ-
ხვდები ქედგამართული! და გიბრძანებ მიპასუხო: შენ ცოლს
ირთავ?“

„ჰო, ვირთავ, ვირთავ!“ ანჩხლად შესძახა იასონმა და ცე-
რად გაჰხედა ქალს.

მედეა დიდხანს გაქვავებული უცქეროდა ნაქმრევს. მერე
დაიწყო რისხვის ფრქვევა:

! „ერთი ვიცოდე, ამ სიბინძურეს რად უდგას სული! რამდენ



ჭუჭყს იტანს დედამიწა! ან დედამიწას რად ვსაყვედურობ, როცა მე თვითონ შვიდი წელი თურმე ამ ჭუჭყში ვიხრჩობოდი. ეს რა მიქნია! განა არ სჯობდა გველს დაეგესლა ჩემი გულში, ვიდრე ამ ვერაგს, კაცობაში წილდაუღებელს, ცბიერ ალერსში გამოეშრო და გამოეწრიტა!“

იასონი შეაძრწუნა ქალის საოცრად მოელვარე თვალებმა.

„ნექტარსაც კი საწამლავად გადააქცევს შენი შეხედვა!“ ძლივს დასძრა ენა იასონმა.

„მაშ, ვინატრებ, საწამლავის ზღვად მაქციოს უზენაესმა, რომ შიგ ჩაიხრჩოთ შენც და შენებრ უნამუსო კორინთელი სახალის მკვიდრნი!“

„ყური მიგდე, მედეა... არ იფიქრო კრეუსა მიყვარდეს...“

„ვიცი, ვიცი... შენ, საზიზღარი ნარცისის მსგავსად, საკუთარი თავის გარდა არავინაც არ გყვარებია!“ შეაწყვეტინა მედეამ.

იასონი კი განაგრძობდა:

„ჰო, იმას ვამბობ... სიყვარულისთვის არ ვირთავ კრეუსას...“

„ეგეც ვიცი:: შეირთავ და გამეფდები! მხოლოდ ამისთვის უნდა მისთხოვდე კრეონის ასულს!“

„მაგრამ ჩემს გამეფებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: მზრუნველობა ჩვენი შვილებისათვის.“

„როგორ?“

„ხომ იცი, ჩვენი შვილები უკანონოებად ითვლებიან, რადგან...“

„ჰო, რადგან დედა არაბერძენი, ბარბაროსი ჰყავთ!“

„ჰო...“

„ეს არის თქვენი კანონიერება!.. განა ყველა ადამიანი ერთნაირად არ იბადება?“

„კარგი, ხომ იცი, როგორც არის... და თუ მე შენ...“

„საქვი, ნულარ შიშობ. მე ახლა ყველაფერს გულგრილად მოვისმენ. ესე იგი, როცა მე გამეყრები და მეფის ასული ქმრად შეგიერთავს, გახდები მეფე! მერე?“

„მერე, თუ მე მეფე შევიქნები, ჩვენი შვილები კორინთოს კანონიერ მოქალაქეებად გამოცხადდებიან და სამეფო ტახტის მემკვიდრედაც ჩაითვლებიან.“

„ჰმ, უბადრუკო, განა ვისმეს კეთილდღეობა გაინტერესებს, თუნდაც შვილებზე მზრუნველობა? შენ პირადულის გილდონის ვერაგობის ჯაგრით შემოსილ გულს!“

„შენ თვითონ ვერ სძლევ შენს პირადულს! — იყვირა ისონმა. — ქმარს არ სთმობ მაშინ, როცა მისი დათმობით შეგიძლია ბედნიერება მიანიჭო საკუთარ შვილებს.“

„მე ქმარი არ მყავს, დასათმობიც არაფერი მაქვს“.

„მაშ, მე ვინა ვარ?“

„ჩვარი, რაზედაც ფეხებს იწმენდს ბილწი კრეუსა. მე ქმარი არ მყავს, და არც თურმე არასოდეს არა მყოლია. აკი ყველაფერი, რაც გამაჩნდა, არარაობას შევწირე მსხვერპლად. ახლა იგივე არარაობამ ჩემი შვილები ობოლ-ობრობას უნდა შეჰყაროს!“

„მომისმინე... როცა მე და მას კიდევ შვილები შეგვეძინება, ჩვენს შვილებთან იმეგობრებენ...“

მედემ აღარ დაასრულებინა:

„ორი ცრუ სისხლი რომ შეერთდება, რას წარმოშობენ, აღამიანებს, თუ ურჩხულებს?.. უფრო ურჩხულებს და ურჩხულები ჩვენს შვილებს უმეგობრებენ, თუ ჩაჰყლაპავენ?..“

ისონმა პასუხის მიცემა ვეღარ მოასწრო.

ეზოში მერმეროსი და ფერესი შემოცვივდნენ.

„მამა!“

„მამა მოსულა!“

მიიჭრნენ და კისერზე ჩამოეკიდნენ.

„შვილებო!“ თვალი აეცრემლა მამას.

კარგა ხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს.

მედეა მიუახლოვდა მათ.

იასონი განცვიფრდა:

მედეას ნატანჯ სახეზე უცნაური ნათელი მოჰფენოდა, სიკეთითა და სულგრძელობით სავსე.

„მცირე ხნით წადით, შვილებო!“ სიყვარულით ჩამოაშორა ისინი მამას.

როცა მერმეროსი და ფერესი განაპირდნენ, ქალმა ცრემლით აკიაფებული თვალი გაუსწორა ნაქმრებს და უთხრა:

„უკანასკნელად გეკითხები, იასონ!“

„რას?“

„საბოლოოდ გადაწყვიტე?“

„ჰო, საბოლოოდ...“

„მეც“.

„შენც?! რა?!“

„მეც საბოლოოდ გადავწყვიტე“.

„რა გადაწყვიტე?!“ შესძახა გაოცებისგან დაბნეულმა კაცმა.

მედემამ თვალი თვალში გაუყარა და მტკიცედ უთხრა:

„რომ შენ ცამდე მართალი ხარ“.

„მედეა!“ იყვირა მოულოდნელი სიხარულით ენაჩავარდნილმა იასონმა.

„ჰო, შენ მართალი ხარ. აი, ახლა დავრწმუნდი, რომ შენ სწორად სჯი. მართლაც, ჩვენ, მშობლებმა, შვილების საკეთილდღეოდ ხელი უნდა ავიღოთ პირადულზე... მაშ, გადაწყდა: შენ მეფე იქნები, ხოლო ჩვენი შვილები — უფლისწულები“.

„მედეა... ქალღმერთო...“

„ოოოჰ, აღარ თქვა „ქალღმერთო!“ ოდესღაც მე სიამოვნებით ვისმენდი ამ სიტყვას! ახლა კი, ახლა რა უბადრუტად ხრილებს ამ ცარიელი სიტყვის ჩენჩო!“

„მედეა...“

„ყური მიგდე, მეფობაზე შეყვარებულო! მამის მეორედ ქორწინება შვილებისთვის დედის მეორედ დამარხვაა. ჰოდა, გახსოვდეს, ჩვენს შვილებს დედა დედინაცვლით რომ შეუცვალე, ობლებს მამობა იმით მაინც არ მოაკლო, რომ გერმა ძმებმა, ანდა თვითონ დედინაცვალმა არ დამიჩაგროს!“

„კრეუსამ უკვე შეივრდომა ჩვენი შვილები“.

კვლავ ჩაუწყვიტა სიტყვა მედემამ:

„ეგ არა კმარა. კრეონიც უნდა დაითანხმოს, თორემ იმათაც ჩემთან ერთად გააძეგებს ღვთის ანაბარად“.

„მაგასაც შეეძლებ... კრეუსას წყალობით...“

„მე მოწყალებას არ ვითხოვ! მე შვილების პატრონობას მოვიტხოვ შენგან!“

„გეფიცები...“

„ფიცი არა თქვა! რა ფასი აქვს შენს ნათრეველა ნაფიცარ ბოდვას! გახსოვდეს-მეთქი ობლის ბედი. მე კოლხეთში ერთი

მწარე, გოდებით სავსე სიმღერა გამიგონია, ობლობით გულ-
დამწვარი ბიჭის სიმღერა:



სიკვდილმა ჩამოიარა,
ობოლი დახვდა წინაო,—
სიკვდილო, მე წამიყვანე,
ობლობა მომეწყინაო.

მთელი ჩემი ცხოვრება შენს მოთხოვნათა შესწავლა და დაკმაყოფილება იყო და სანაცვლოდ მხოლოდ იმას მოვითხოვ, რომ ჩემი შვილები არ ატირდნენ ასეთი სევდით სავსე სიმღერით. მე ღმერთებს არ ვთხოვ მათ მფარველობას, რადგან უკლებლივ ყველა ღმერთი თვითონ ყოფილა უღმერთო და უსამართლო. შენგან მოვითხოვ ჩვენი შვილების მფარველობას! შენ ხე მოსჭერი ნაადრევად და ვინძლო ფესვებიც არ ამოსთხარო!“

„მედეა...“

„ნურაფერს იტყვი! არც ერთ შენს აღთქმას ამიერიდან ჩემთვის სულ უმციირესი ფასიც არა აქვს. მე დავიჯერებ, რომ მამის მკერდში აფთარი ისე არ გაცოფდება, საკუთარი ღვიძლი შვილების სისხლი დალიოს!“

„დარწმუნდი, რომ...“

„დადუმდი და აქ დამიცადე!“

ეს უბრძანა წელში გატეხილ იასონს და სწრაფი ნაბიჯით შევიდა სახლში.

იასონი დამბლადაცემულივით იდგა და ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავზე.

მედეა მალე უკანვე გამოვიდა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ურნა გამოიტანა.

„შენ იცი, რა ინახება ამ ურნაში“, დაიწყო მედეამ.

„ვიცი“.

„თქვი!“ ბრძანა ქალმა.

„ოქროცუტრვილი წამოსასხამი და კეთილშობილი ქვებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი“. ძლივს ამოიხრიალა ყელგამშრალმა იასონმა.

„ისიც იცი, რისთვისაც იყო განკუთვნილი?“

„ვიცი“.

„თქვი!“ ისევ გაისმა მედეას ბრძანება.

„თუ შენ ჩემს გვერდით იქნებოდი დედოფალი...“, თქვა იასონმა და იგრძნო, როგორ დაპატარავდა მისი სხეული. მედეას დამცინავმა ღიმილმა დაურბინა სახეზე.

„ჰო, ახლა კი სხვა იქნება დედოფალი შენს გვერდით. მე, რა თქმა უნდა, არც ერთ ქალს აღარ შევნატრი შენს გვერდით სადედოფლო გვირგვინის დადგმას, რადგან, თუმც გვიან, მაინც გავიგე ვინა ხარ შენ“.

„არ მესმის...“

„ეს ნივთები ახლა ჩემთვის საჭირო აღარ არის. ამათ შენ ჩემის სახელით მიართმევ სადედოფლოს“.

„ა?!“

„რა, ვერ გაიგე? სმენა წაგერთვა?“

იასონი უკვე ბოდავდა:

„ეგ ნივთები უნდა მივართვა... ვის მივართვა?!“

„სადედოფლოს“.

„ვინ სადედოფლოს?!“

„მისი სახელი შენ იცი და შენვე იცოდე. მე კი უხსენებელს სახელით არ მოვიხსენიებ!“

იასონს არც გაუგონია, რომ მისი საცოლე ნაცოლევა გველს შეადარა. მისი გონი კვლავ იმ ურჩას დასტრიალებდა. ბოლოს ძლივს მოახერხა ეთქვა:

„მაშ, კრეუსასია ეს ნივთები?!. არა, არა, შენ იმას... როგორ?!. არა, არა, ეგ განძი შენთვის დაინარჩუნე... ვინ იცის, რა დღეს დაგჭირდება...“

„საჩუქრებით ღმერთებიც კი იხიბლებიან... შენმა საცოლემ ამ წამოსასხამით შეიმოსოს ვნებით აცახცახებული სხეული. ამ გვირგვინით გაიგრილოს ტრფობით ცეცხლმოდებული შუბლი. გინძლო ამ ნივთების საფასურად არ დამიჩაგროს ჩემი შვილები!“

იასონს თითქოს გონი გაუნათდა:

„აჰა, მიგხვდი! მაშ, ჩვენი შვილებისათვის... მათზე მზრუნველობისათვის უძღვნი კრეუსას ამ საჩუქრებს!“

„ჰო, იქნებ არასდროს დაავიწყდეს შენს მომავალ მეუღლეს მედეას მადლი მის შვილებზე მზრუნველობისთვის“.

იასონმა აღტაცებით ჩამოართვა ურნა.

„დღე, იყოს ისე, როგორც მიბრძანე!“

უცებ რაღაც მოაგონდა და თითქმის მიახარა ნაღვლით და-
სეტყვილ ქალს:

„ჩვენი შვილები გადასცემენ ამ ურნას კრეუსას!“

მედეას თითქოს ისარი აძგერეს გულში, ისე შესძახა:

„ჩვენი შვილები?!“

„ჰო, რომ კრეუსა უფრო მაღლიერი დარჩეს ჩვენი ვაჟკაცებისა!“

მედეა რაღაც კაეშნიანმა ფიქრმა წაიღო, მაგრამ მალე გამო-
ერკვა და იასონს ჩაცხვებით ჰკითხა:

„შენც იქ იქნები, როცა ჩემი შვილები ამ ურნას გადასცე-
მენ კრეუსას?“

„მეც იქ ვიქნები, მაშ სად უნდა წავიდე?!“ გაოცებით თქვა
იასონმა.

მედეა თითქოს დამშვიდდა.

„კარგი! მხოლოდ გახსოვდეს, იასონ, მაინც შენ ერთადერ-
თი ყოველ წამს თვალს ადევნებდე ჩვენს შვილებს!“

მცირე ხანს კიდევ რაღაცას ჩაუფიქრდა. მერე კვლავ მკაც-
რად გამოკვეთილი სიტყვებით დაასრულა:

„იასონ! უკანასკნელად წარმოვთქვამ ამ სახელს და უკან-
ასკნელად მოვითხოვ ყველაფრის საფასურად, რაც მე შენთვის
ჩამიდენია!“

„მზად ვარ ვისმინო და შევასრულო!“

„ჩვენს შვილებს არ მოშორდე-მეთქი! არც ერთი წამით არ
მიატოვო!“

იასონი მუხლებზე დაეცა, ხელები მედეასაკენ აღაპყრო,
როგორც შურისმგებელი ნემეზიდას წინაშე დაცემულმა ცოდ-
ვილმა.

„იწამე, შევასრულებ!“

მედეას თითქოს შეებრაღა გლახაკად დავარდნილი ვაჟკაცი.

„წამოდექ! შვილებს უნდა დავუძახო!“

იასონმა მუხლი გაიმართა. მედეამ მერმეროსსა და ფერესს
გასძახა.

ბიჭები მოცვიდნენ.

„შვილებო, გაჰყევით მამას!“

მერმეროსი და ფერესი დაბნეულები იდგნენ, ხან ერთ
მშობელს შესცქეროდნენ, ხან მეორეს და არ იცოდნენ რა მო-
ემოქმედათ.

ისევ მედემ დაასწრო იასონს:

„სასახლისაკენ წადით, შვილებო!.. მამა დაგეწევით!..“

მერმეროსი და ფერესი ეზოს გადასცდნენ თუ არა, იასონი ისევ მუხლებზე დაეცა და შეჭლიჩალა:

„მედეა! მედეა! მაპატიე!“

„ადექ, საბრალო!“

ადგა იასონი, გატეხილი, მოხრილი, სახემოშლილი და დაპატარავებული.

„ნუთუ ეს არის ის, ვინც მე მიყვარდა?!“ გაუელვა მედეას.

მივიდა, სულ ახლოს მივიდა ნაქმრევთან ნაცოლვევი, თვალღებში ჩააცქერდა და სიბრაღულით სავსე სიტყვებით დატუქსა:

„როგორ მოხრილხარ! თითქოს დაბერდი, სასიძოდ კი გაშაღებულხარ!.. მხრებში გასწორდი, მკერდი გაშალე, პირზე ვარდი გადაიყარე, დამშვენდი და ისე წარსდექი საქორწინოდ!“

უცებ რაღაც მოაგონდა, შეტრიალდა და იქვე ყვავილნარში დიდი თეთრი ვარდი მოწყვიტა. ისევ იასონთან გაჩნდა და ის ვარდი გულზე დააბნია.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეშინდა, რომ ამდენს ველარ გაუძლებდა, ისედაც სადაც იყო გული გაუჩერდებოდა, და ძლივს მოახერხა ესლა ეთქვა მაინც მკაცრი, შეუვალი ხმით:

„ახლა წადი!“

იასონი აზრგამოცლილი მზერით უცქერდა ქალს. ვერც წასვლა მოეხერხებინა და იქ დგომაც აღარ შეეძლო რაღაც დაუძლეველი და ანგარიშშიუცემელი გრძნობით გულდასეტყვილს.

„მედეა!. მხოლოდ ერთი...“

„არც ერთი სიტყვა!.. გასწი! გამშორდი!“ უკანასკნელი ძალის დაძაბვით შეჰკვივლა ქალმა და ზურგი შეაქცია.

იასონმა ძლივს მოიკრიბა დასრეტილი ძალ-ღონე და სირცხვილისა და სინანულის მძიმე ტვირთით წელგადრეკილი გაშორდა კოლხი ქალის ქანდაკებას...

...იასონი თავისი ვაჟებით მივიდა სასახლეში.

ჯერ მარტო შევიდა კრეუსასთან. გრძნობით სახელანძული ქალი კისერზე ჩამოეკიდა სატრფოს.

როცა მერმეროსი და ფერესი შემოვიდნენ, კრეუსამ ცხვირი აიბზუა და უკმაყოფილოდ შებრუნდა.

„ნუ უჩავრდები შენს მეგობრებს, კრეუსა, — უთხრა იასონმა. — ისა სჯობია, ბიჭებს საჩუქარი ჩამოართვა და მამას სთხოვო, გააუქმოს მათი განდევნის ბრძანება. იცოდე, ისინი ჩემი მშვილებლები არიან! ჩამოართვი-მეთქი ურნა!“

კრეუსამ ვეღარ მოითმინა, მერმეროსსა და ფერესს გამოწვილი ყუთი გამოსტაცა, თავი აჭხადა და ალტაცებით შეჭკივლა:

„აჰ, ღმერთებო, ეს რა ვიხილე!.. იასონ, ცოტა ხანს გადიო!“

გავიდა თუ არა იასონი თავისი ვაყებიტ, ქალი მაშინვე გაეხვია მშვენიერ წამოსასხამში, თავზე ოქროს გვირგვინიც დაიდგა, სპილენძის კრიალა სარკეს მიადგა და თავის სილუეტს გაუღიმა.

უცქეროდა თავის სილამაზეს.

მედეას ედარებოდა. ცდილობდა დარწმუნებულიყო, რომ კოლხ ქალს სჯობდა.

უცებ თვალთ დაუბნელდა ელდაცემულს:

სარკიდან სახეგამწვანებული ქალი იცქირებოდა.

იმავ წამს მთელს სხეულში აუტანელი წვა იგრძნო. შუბლზე და საფეთქლებში ცეცხლი მოედო. ტვინში ხანძარმა იფეთქა და გოხი შეერყა.

შეჭკივლა და სავარძელში ჩაიკეცა.

ხმაზე მოხუცი მხევალი შემოვიდა. ჯერ ეგონა ღმერთმა ბანმა დააფრთხოო მეფის ასული და მის ფეხებთან ლოცვას მოჰყვა.

მაგრამ როცა კრეუსას პირიდან მწვანე დუქი წასკდა, თვალები გადაუტრიალდა, სახე მკვდრისფრად შეუსუღარდა და ხროტიანი აუვარდა, მხევალმა ქალმა კივილი ასტება.

მთელი სასახლე შეირყა და შეიყარა.

იასონი პირველი შეიჭრა დარბაზში.

მის საცოლეს ცეცხლი ეკიდა. ნაჩუქარი გვირგვინი გავარვარებულ სალტედ შემორტყმოდა და თავი აღმოდებულ ბურთად ექცია. წამოსასხამი მთელს სხეულში ახანძრებულ ფისად ჩასხივებოდა და ჯოჯოხეთური სიმწვავით სწვავდა. ცდილობდა, ტანიდან შემოედარცვა ეს მოწამლული, ცეცხლოვანი შესამოსელი, მაგრამ როგორც კი შეეხებოდა და მოსწევდა, ხორცი

ძვლებამდე სძვრებოდა და ხელს ნაგლეჯ-ნაგლეჯად მოჰყევ-
ბოდა.



საშინელი კივილით მიმორბოდა. ამით დამლუპველ ხანძარს
კიდევ უფრო აძლიერებდა.

კრეუსა ცეცხლისაგან ჩანთქმული დაეცა.

ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა.

გამაყრუებელი ღრიანცელი იდგა.

იასონი ადგილიდან ვერ იძროდა.

უეცრად შემოვარდა მეფე კრეონი და ღრიალით ზედ დაე-
კონა სულთმობრძავი შვილის გვამს.

„შვილო! შვილო! ვინ დამლუპა მოხუცი მამა!..“

მერე უცებ წამოიწია და შეჰყვირა:

„იმ კუდიანმა კოლხმა ქალმა... კორინთელებო!“

დასრულება ველარ მოასწრო.

პირში ალი ჩაუვარდა.

წამოდგომა სცადა, მაგრამ საბედისწერო წამოსასხამი იმა-
საც მიჰკვროდა და მის სხეულშიც ცეცხლოვან სიკვდილს ერე-
კებოდა.

კრეონმა მკერდზე მოივლო ხელი. მოსწია და უცნაურ ქსო-
ვილს ზედ მოჰყვა ხორცი ნაფლეთ-ნაფლეთად.

საწყალობელი ხავილი აღმოხდა მეფეს.

მკვდარი მამა დაეცა ჩაფერფლილ შვილს...

როგორ კი საშინელი აგონია დამთავრდა, რომელიდაც კო-
რინთელმა იყვირა:

„კორინთელებო, ვინ დაგვლუპა, ვინ მოუტანა მეფის ასულს
ეს მოწამლული საჩუქრები?“

ელდაცემული მერმეროსი და ფერესი მაშინვე გარეთ გაც-
ვივდნენ.

„აი, თურმე ვინ!“

„გრძნეული კოლხი ბარბაროსის ნაშიერნი!“

„მდევარი, ჩქარა!“

ატყდა ღრიანცელი.

რამდენიმე შეიარაღებული კორინთელი დაედევნა გაქცეულ
ბავშვებს.

„შვილებს მომიკლავენ!“ გაუელვა გაოგნებულ იასონს და
თვითონაც ქარივით მოსწყდა ადგილიდან.

შედეგად თავის თალამონში იჯდა.

„გაიქეც! გაიქეც! გაიქეც!...“

ჩასძახოდა იდუმალი ხმა.

„არა, არა, მე თვითონ უნდა მოვისმინო შედეგი ჩემი შუ-
კისგებისა!..“

ბასუხობდა უფრო ჯიუტი მეორე ხმა...

უცებ გულშემძვრელი, განწირული ყვირილი მისწვდა მის ყურთასმენას:

„დედა!.. დედააა!!“

„დედა, გვიშველეე!!!“

მისი შვილების ძახილი იყო.

„არ გაუშვათ ეგ გველის წიწილები!..“

მოსდევდა ბოროტი ღრიალი ყმაწვილთა ძახილს.

შედეგად ძუ ვეფხვივით წამოიჭრა და გააღმასებით მისწვდა ხანჯალს (ეს ხანჯალი ხომ ამონასაგან ჰქონდა ნაჩუქარი).

„დედა, გვიშველე!!!“

„არ გაუშვათ!!!“

„დედა, დედააა!!“

გამალეებული ფეხის ხმა და გულამოყოლილი ქშენა გაისმა 'კიბეზე...

შედეგად ხანჯლიანი მარჯვენა აღმართა და მარცხენით კარი გამოსწია...

„დედა, გვიშველე!!!“

„შვილებო!!!“

ქანცგაწყვეტილი ბავშვები მიცვივდნენ და კისერზე ჩამოეკიდნენ.

შემოიჭრნენ კორინთელები.

მკლავის გამართვა ველარ მოასწრო შვილებით მხრებდატვირთულმა დედამ.

მიიჭრნენ კორინთელები, მკლავი გადაუგრიხეს და ხანჯალი ხელიდან გამოჰგლიჯეს.

ორმა ვაჟკაცმა შებოჭა ქალი. დანარჩენები ბავშვებს მიცვივდნენ.

ერთმა მათგანმა ჯალათობაში ნაცადი ხელით ზედიზედ მოიქნია შედეგად მისი ხანჯალი...

შვილების წივილმა ყურთასმენა დაუხშო და გონი დაუბნელდა დედას.

„შვი-ლე-ბო!!!“

ვეფხვადქცეული დაუსხლტა მომხდურებს.

„შემზარავი, არაადამიანური ხმით შეჭკივლა და უგონოდ დაეცა ყელდაჭრილ შვილებს...“

ძვიდა მკვლელი; მედეას მარჯვენა ხელში ტარით ჩასჩარა სისხლიანი ხანჯალი.

ხანჯლის ვადას ლურჯ-ყვითელ რგოლებად შემოესალტნენ „მკვლელი“ დედის ცივი, სიცოცხლეგაცლილი თითები . . .

ქალის შეძრწუნებულმა შეკვივლებამ ადგილზე გაჰყინა ეზოში შემოვარდნილი იასონი.

რამდენიმე წუთი გაქვავებული იდგა. ნაბიჯის წადგმას ვე-
ლარ ახერხებდა.

კარი გაიღო.

კიბეზე ფერდაკარგული და სახეარეული კორინთელები ჩემოდინდნენ.

„რა ჩაიდინეთ?!“ დაიღრიალა იასონმა. მახვილი გაიძრო და მომხდურებს მიაშურა.

„გონს მოდი, იასონ, — დაიწყო ერთმა, — ჩვენ არაფერ შუ-
აში ვართ... მან თვითონ მოჰკლა...“

„ვინ მოჰკლაო?! მედეა ვინ მოჰკლაო?!“

სულ დაიბნა და აირია იასონი.

„მაშ, მედეა თქვენ არ მოგიკლავთ?!“

„მედეამ თვითონ მოჰკლა-მეთქი!“

„მედეამ ვინ მოჰკლაო?!“

„თავისი შვილები!“

„თავისი შვილები?! ჩემი შვილები?!“

„ჰო, საცოლის მოკვლა არ გაკმარა და შვილებიც დაგი-
ხოცა!“

„შვილებო! ჩემო შვილებო!“

მახვილი შორს გასტყორცნა იასონმა და კიბეზე აიჭრა.

კარი შეგლიჯა...

თალამონის შუა ადგილზე სისხლის მორევში ცურავდნენ დედა-შვილები.

მერმეროსი და ფერესი ყელგამოჭრილები ეყარნენ. მედეა თავდაღმა დაცემულიყო მათზე; მკლავები მოკლული ძერის

ფრთხილვით გაეშალა; თითქოს სურდა სიკვდილისაგან დაეფარა თავისი ბარტყები. მარჯვენა ხელში სისხლიანი ხანჯალი ებლუჯა.

არაადამიანური ხმით იბლავლა იასონმა და შვილების წინ მუხლებზე დაეცა.

მედეა გველცემულივით წამოიჭრა.

„ვინ არის?! არ დაგანებებ, არა, ჩემს ვაჟაკებს!“ შეჰყვირა მან. ხანჯალი აღმართა და აზრგამოცლლი მზერა მიაპყრო ნაქმრევს.

„იასონ, შენა?! რა ჰქენ, განა არ იქორწინე?! ჰა, ჰა, ჰა!“ კვილნარევი სიცილით შესცინა და უფერო სახე დაემანჭა.

მერყოლავმა ბუსუსებმა დაჰყარა ტანზე იასონს. ისევ ყელდაჭრილ შვილებს შეხედა, მერე მედეას ხელში გადაგრულ სისხლიან ხანჯალს მოავლო თვალი და შეჰყვირა ჭკუიდან შეშლილს თვითონ ჭკუიდან გადასულმა:

„მაშ, შენ მოჰკალი ჩემი შვილები?!“

ქალი შეკრთა. ერთ წამს რალაც ფიქრმა გაურბინა უგონო შუბლზე. ისევ უაზრო, შეშლილმა გამოხედვამ დაისადგურა წუთის წინანდელ გონიერ თვალებში და ისტერიული ხმით აყვირდა:

„მე მოვკალი?! მე მოვკალი! ჰო, ჰო, ჰო, მე მოვკალი! ჰა, ჰა, ჰა, მე დავხოცე ჩემი შვილები!“

ფეხზე წამოიჭრა. იასონის სახეს გაყინული თვალები მიალურსმა და ნაბიჯი წარსდგა.

წამოვარდა შეძრწუნებული იასონი.

უეცრად მედეა მუხლებზე დაეცა. შვილები მკერდზე აიკრა, აიტატა და მუხლი მძიმედ გამართა.

„მედეა!“ დაიდრიალა იასონმა და წინ გადაუდგა.

„გზა!“ შეჰკვივლა ქალმა.

ჩამონაპირდა თავზარდაცემული იასონი.

გარეთ გავიდა შეშლილი ქალი. ეზოს თვალი მოავლო და კიბეზე ჩაბარბაცდა...

...როცა იასონი გარეთ გავიდა, დაინახა:

ეზოში ოქროს ეტლი იდგა, პეგასებშებმული.

მედეას შვილები ეტლში ჩაესვენებინა, თვითონაც ჩამჯდარიყო და სადავეებს იკრებდა.

„მედეა!“ შეჰყვირა იასონმა.

ქალი მობრუნდა.

„ეს ეტლი ჰელიოსმა გამომიგზავნა, რათა ჩემი სულის წილი მაინც გადავარჩინო თქვენგან დალუპვას. გაძებ, ელადავ, ჩემი სისხლით! ჩემს ძვლებს კი ველარ დაგანებებ! მე კოლხური მიწა მეძახის, ჩემგან ნალალატევი კოლხური მიწა-წყალი. იქნებ მაპატიოს ჩემმა სულგრძელმა ქვეყანამ. მას უნდა მივაბარო ელადაში ნაწამები ჩემი სხეული!“

„შვილებო! ჩემი შვილები დამიტოვე! დავითირებ, დავასაფლავე!“

„შენ წადი და შენი საცოლე დაიტირე, დაასაფლავე!“

ეს თქვა, ეტლი ადგილიდან მოსწყვიტა და აფრინდა.

მერმეროსი და ფერესი ეტლის სავარძელს მისწოლოდნენ ხელიხელ გადახვეულნი, როგორც ცოცხლები, მიძინებულნი.

იასონი გამოედევნა.

„შვილებო! შვილებო!“ ღრიალებდა და გახელებული მისდევდა მის წინ მიწაზე მიმჭროლავ ეტლის ჩრდილს.

ის ჩრდილი კორინთოს ყელზე გავიდა, ზღვის პირს აუყვა და იქ დაბზრიალდა, სადაც ხომალდი „არგო“ იდგა.

იასონმა ზეცას აჰხედა.

ეტლი ჰაერში ერთ ადგილზე ბრუნავდა, სწორედ ხომალდის პირდაპირ.

არგონაველთა ბელადი „არგოს“ მიეყრდნო და კვლავ შეჰლაღადა:

„მედეა, მედეა, დამიბრუნე ჩემი შვილები!“

„ჰა, ჰა, ჰა, ჰა, მოემზადე აღსასრულისთვის ვერაგო იასონ!“ ჩამოესმა ციდან.

„მედეა... შვილებო...“

ველარ მოასწრო იასონმა დასრულება ღაღადისისა.

იგრილა ჟამთა სრბოლისგან ჯანგატეხილმა ხომალდმა „არგომ“.

არგოს ნამსხვრევებმა ჩაიმარხა წინამძღოლი არგონაველთა, დიადი გმირი ელადისა, მომტაცებელი კოლხური ოქროს საწმისისა.

მასში დარჩენილ აზრის ნაწრეტს ძლივს ჩამოუსწრო ხმამ ზეციდან ჩამოვარდნილმა.



იცნო: ეს მედეას ხმა იყო.

მაგრამ ის ველარ გაარჩია სულთმობრძავმა, რა ხმა იყო ეს, — შურისმგებლის აღტაცებული სიცილი თუ შეძრწუნებულ სატრფოს ტირილი...

მედეას დაბრუნება

პიანოსი დაეუფლა კოლხეთისაკენ მიმქროლავ მედეას, უნაპირო სულიერი ტანჯვით დაღლილ-დაქანცულს.

ენიზმრა:

ვითომ ის და ამონა ვარსკვლავებით მოსევადებულ კოლხურ ზეცის თაღს შესდგომოდნენ. ხარობდნენ უნაპირო სიხარულით და ბედნიერებით. ერთად ყოფნა უკვირდათ სიყვარულით და სიხარულით დამთვრალთ. ცისად-ცისად დაჰქროდნენ, თან ვარსკვლავებს ჰკრეფდნენ და ერთმანეთს უბეებს უვსებდნენ იმ ვარსკვლავებით...

გამოელვია.

იღიმებოდა ლამაზი სიზმრით ხიბლმორეული, მაგრამ სიზმრობისთვის გულდაწყვეტილი.

მოიხედა და შეჰკვივლა.

იქ მისი შვილები აღარ იყვნენ.

ატირდა.

მერე იფიქრა და ბოლოს დარწმუნდა:

უეჭველად ჰელიოსმა აიტაცა თავისი ნაშიერნი, ზეცად წაიყვანა, ან სადმე ღვთაებრივ ადგილას დაკრძალა წმიდა ყმაწვილნი...

მაინც ტიროდა განუწყვეტლივ, უკანასკნელად გლოვობდა მუდამ მწუხარე ქალი.

ღამე იყო, როცა მედეა კოლხურ სივრცეში შევიდა.

ზეცა ველარ იტევდა მნათობთა მირიადებს.

სხივთა კასკადით თითქოს გასკდომას ლამობდა რძის გზა.

ვარსკვლავები თვალებს იწმენდნენ ხშირი ხამხამით: თითქოს არ სჯეროდათ მედეას დაბრუნება. მისკენ მოიწევდნენ მზერადქცეულნი: სურდათ ენახათ, თუ ისევ ისე მშვენიერი იყო ასული აიეტისა...

პეგასები ვერძის მინდორზე დაეშვნენ. მედეა გადმოვიდა.
ეტლი გაუჩინარდა.

დაეცა და მიწას ჩაეკრა ქალი.

კოცნიდა გრილი და სუფთა, ვარსკვლავთა პირნაბანი ცვარ-
ნამით დათრთვილულ მინდორს.

კოლხური მიწის სუნი სცემდა, ტკბილი და ნოყიერი.

კოცნიდა, ეკვროდა, ხელებით ფნოჭნიდა, პირით გემოს
უსინჯავდა, თავზე იყრიდა, უბეს იგრილებდა.

სურდა კოლხურ მიწად ქცეულიყო.

გარბოდა, ეცემოდა, კოცნიდა, კოცნიდა მშობელ მიწას.

მუხისკენ მიეშურებოდა, სადაც ოდესღაც ეკიდა ოქროს სა-
წმისი.

ბულბულის სტვენა მისწვდა მის სმენას, კოლხური ბულბუ-
ლის!

გაიქცა, იმ მხრისკენ გაიქცა, საიდანაც სიყვარულის მეხოტ-
ბე-ფრთოსნის გალობა ისმოდა. გზაც იქით ჰქონდა — მისგან
გაძარცული მუხისაკენ.

მიუახლოვდა და შეწყდა ბულბულის სტვენა.

„ჩემთვის დაენანა!“ საშინელმა ტკივილმა გაკენწლა გული.
მიმოიხედა.

„აი, ის ადგილი, სადაც ერთმანეთს ეკვეთნენ ამონა და ია-
სონი!“

„აი, აქ დაეცა იასონის ხელიდან გავარდნილი მახვილი!“

„აი, აქ წაიქცა ამონა, ჩემგან ჯადოქმნილი!.. ვაგლახ შენ,
ჩემო თავო!..“

მუხასთან მივარდა.

სრული მდუმარებით შემოხვდა ხე. ერთი ფოთოლიც არ იძ-
ვროდა დაღვრემილ ხეზე.

„არ შემინდო! არ მაპატიო!“

მოეხვია და ატირდა.

„მაპატიე! მე მოგტაცე მშვენება შენი, მშვენება ჩვენი კოლ-
ხეთისა! მე გაგძარცვეთ და ახლა მე თვითონ განძარცვული და-
გიბრუნდით!.. ნუ შემაჩვენებთ! მე დასჯილი ვარ უმაგალითოდ!
თქვენმა ლალატმა აუწერელ ტანჯვას შემყარა!“

შემოუარა ათასწლოვან ხეს.

სამხრეთ-აღმოსავლის მხრიდან ჰორიზონტს ამოსცდა მთვა-
რის ნამსხვრევი; ბლონდელ გაანათა.

მთვარის შუქზე, მუხის ჩრდილო მხარეზე, მედემ შენაშნა
ამობორცვილი მიწა, კაცის სიგრძეზე გაწვართული.



თავთან ველური ვარდი ჰყვავდა.

ხელი წაუწვდინა და უცებ გული შეუფართხალდა:

პატარა ჩიტი აფრინდა ვარდის ბუჩქიდან; მახლობელ ტყის-
კენ გაუჩინარდა.

„ბუღბუღი! ის მღეროდა! გაფრინდა!.. არ ისურვა ჩემთან
შეხვედრა!“

ისევ ამობორცვილ მიწას დააცქერდა.

„საფლავი“ გაუელვა.

მუხის ყვითელი ფოთლებით და მწვანე ბალახით იყო შე-
მოსილი მარტოკაცის სამუდამო სამკვიდრებელი.

„აი, თურმე ვის უმღეროდა ბუღბუღი!.. ბედნიერი!.. მაინც
გინ არის?“

თავით ქვის მძიმე ლოდი ესვენა საფლავს.

მედემ ზედ ძლივს ამოიკითხა მთვარის მკრთალ შუქზე:

„ამონა“.

„ამონა! ჩემი ამონა!“

თრთოლვით ჩაიჩურჩულა, საფლავს მოწყვეტით დაეცა და
ჩაეკონა.

„ამონა, ამონა!.. აი, სად ყოფილხარ!..“

დიდხანს ტიროდა.

„ამონა! ამონა! ჩვენ ორივენი გზასაცდენილი სიყვარულის-
გან დავიღუპენით!..“

სტიროდა მედმა. უკანასკნელ ცრემლებს აფრქვევდა უცხო-
ობაში ცრემლადდაღვრილი ქალი.

ყველაზე მწარე ყოფილა უკანასკნელი ცრემლები, გვიან
მიგნებულ სატრფიალოს გამოსავლოვად დაქცეული...

წამოდგა, ძლივს წამოდგა. აღმოსავლეთს გაჰხედა.

ცისკარი მოიწვედა სხვითა ფართქალით; სამყაროს ამცნობ-
და ჰელიოსის მოახლოებას.

სისხლისაგან იწრიტებოდნენ ვარსკვლავები; წელი ხამხამით
ზედ აღნებოდნენ ვერცხლისფერ ცის თაღს.

ლამეს წასვლა ეჩქარებოდა.

„გათენებამ არ მომისწროს! — გაუელვა მედმას. — არა ვარ
ღირსი კოლხთაგანმა ცოცხლად მიხილოს! კოლხეთის მიწას,

მშობლებს, ყველა კოლხს, უბრად დაეშორდი, უბრად შეგ-
ხედები!“

ხანჯალი ამოიღო.

დახედა შვილების სისხლით შესვრილ ფოლადს.

„ახლა დედის სისხლიც შეერევა შვილებისას!..“

ამონას საფლავზე ჩაიჩოქა.

„ეს ხანჯალი შენ მაჩუქე, ამონა! ჩემთან ერთად მოიარა
უნაპირო სატანჯველი უცხო მხარეში!.. ახლა იგი შენთან მო-
მიყვანს!“

„მაპატიე, მამა!“

„მაპატიე, დედა!“

მარცხენა ხელი მოისვა მარცხენა ძუძუს ქვეშ, — გული მო-
ისინჯა და მოინიშნა.

„ჰმ, როგორ ფეთქავს!..“

„ერთი,

„ორი,

„სამი!..“

მძლავრად მოიქნია ხანჯლიანი მარჯვენა

გათენდა.

ზეცის თალიდან გადაიკარგნენ ჰელიოსის მოახლოებით ელ-
დაცემული ვარსკვლავები.

მთვარის ნამსხვრევმაც ჩაიკრიბა ბლონდე სხივები ჰორი-
ზონტიდან...

...კოლხმა მწყემსებმა იპოვნეს ამონას საფლავზე დაცემუ-
ლი, გულში ხანჯალდარჭობილი ქალი, — იმ მწყემსებმა, რომ-
ლებმაც ერთხელ თვალი მოჰკრეს ოხვამერეს კლდიდან გაფრე-
ნილ სხივოსან მხედარს.

მთელი კოლხეთი შეიყარა ვერძის მინდორზე.

მოიჭრა აიეტი.

ქამთა სიდუხჭირით გათეთრებული თმა-წვერი დაიგლიჯა
მეფემ. მკერდიდან ხანჯალი ამოაძრო და გასტყორცნა. სისხ-
ლისაგან დაწრეტილი და სიცოცხლეგამშრალი გული შეუკრა
შვილს საკუთარი გულიდან მოგლეჯილი პერანგით.

ხელში ატაცა.

მთელი დღე დაარბენინებდა გულში ჩაკრულს.

გაცრეცილ ტუჩებში და გაპობილ მკერდში სულს უბრაოდ
და; საპასუხო სუნთქვას ეძებდა...

„ხმა გამეც, შვილო! არა გრცხვენია, უბრაოდ წახვედი შენი
სახლიდან! შვიდი წლის შემდეგ ისევ უბრაოდ, მომღურავად
რად შეგვეყარე!.. ხმა ამოიღე, შვილო, შვილო! ნუ შემიშინდი,
საყვედურებით არ აგავსებ შენს ნახვაზე დანატრებულნი!.. გა-
ბატიებ! შენი მამა, ყოველი კოლხი და სულგრძელი შენი სამ-
შობლო!..“

სტიროდნენ გარს მომდგარი კოლხები აიეტის ასულს, რომ-
ლისთვისაც ღვთაებრივი სიმშვენიერე ვერ წაერთმია ვერც გა-
ნუხომელ ტანჯვა-ვაებას, ვერც მსახვრალ მახვილს სიკვდილი-
სას...

ამონას გვერდით დაკრძალეს მედეა, საწმისისაგან განძარ-
ცული მუხის ქვეშ.

იწვნენ ერთად, ორივენი გზასაცდენილი სიყვარულისგან
დამარცხებულნი და დამსხვრეტლნი.

ველურმა ვარდმა მეფის ასულის საფლავისკენ ფესვი გა-
იდგა და იმის თავთან თავისი სწორი ტურფა ვარდი ამოიხეთქა.

ობოლ ბულბულსაც, ამონას ბულბულს, გულის სწორი გა-
უჩენია.

და ყოველ ღამით კვნესოდა წყვილი ბულბული წყვილ ვე-
ლურ ვარდზე, დაწყვილებულ საფლავთა თავთით.

მხოლოდ შუაღამით სწყვეტდნენ გალობას და ყურს უგ-
დებდნენ, როგორ მოდიოდა მოხუცი დევეკაცი, მუხის ძირში
ჩამოჯდებოდა, მშვიდად მძინარე ჭალ-ვაქს ცრემლს აფრქვევდა
და ბზარდაკრული ხმით ჩურჩულებდა:

- „მედეა!“
- „ფაეთონ!“
- „ამონა!“
- „შვილებო!.. შვილებო!.. შვილებო!..“

დასასრული

გველეშაპი სობისწყლის პირას

კეისარი იუსტინიანე, საერთოდ, ძალიან ცოტას ჭამდა. უფრო მწვანისა და ხილს ეტანებოდა. ხორციულიდან მხოლოდ ღორის ფაშვი უყვარდა, ძველრომაელ იმპერატორთა საყვარელი ულუფა.

ახლაც, ინახის მოახლოების ჟამს, ტახტზე მოშლილად მჯდარი კეისარი ორთქლმორეულ, მთრთოლვარე ფაშვზე ფიქრობდა.

მაგრამ სანეტარო ფიქრს იოანე ელინოგალატი უშლიდა, ციხე-გოჯიდან კონსტანტინოპოლს საიდუმლოდ ჩამოსული ფაიქი, ეგრის-ლაზეთში მდგარი ბიზანტიური ჯარების სტრატეგოსებს — მარტინესა და რუსტიკეს რომ გამოეგზავნათ ფრიად საგანგაშო ამბით...

— მაინც ვერ დამიჯერებია ლაზიკის მეფის ღალატი, — აგერ მერამდენედ ამოღერდა იოანეს ჩიჩინით გასავათებულმა იუსტინიანემ.

— უნდა გვერწმუნო, ღვთაებრივო ავტოკრატორო, უნდა გვერწმუნო! გუბაზ მეფემ სპარსელებთან შეკრა კავშირი,

დღეს თუ ხვალ ხოსრო ანუ შირვანის ჯარები დაიჭერენ სრულიად ლაზიკეს.



— მერე, თქვენ, ჩემი სტრატეგოსები, რილას მაქნისად გამიგზავნიხართ ლაზიკეში?

— ჩვენ ისევ შევებმებით, როგორც მანამდე...

— მაშ, ისევ მარცხს მპირდებით, არა? — ზიზღით სახე დამემწყრა კეისარს.

— ის წინარე ბრძოლებიც სწორედ გუბაზ მეფის ლალატის წყალობით წაგვიგია; ახლა შევიტყვეთ ეს, ღვთაებრივი იმპერატორო!

სიტყვა „ღვთაებრივი“ გაეჩხირა იუსტინიანეს მთვლემარე გონებას. მას კიდევ ერთხელ გაახსენდა, რომ იგი, ეს „ღვთაებრივი იმპერატორი,“ ამ ორმოცდაათი წლის წინათ ღორებს მწყემსავდა ილირიის მიყრუებული სოფლის, ბედერიანის შმორიან წუმბეებში...

— ღვთაებრივო! — ხელახალმა შეძახილმა გამოარკვია იუსტინიანე.

ნაყვავილარი, წითელი სახე დაღრეჯოდა იოანეს. განბებული ზედა ბაგე ორ ჩარბად გამოსჩენოდა: გარეთა — გამხმარი და ქერცლიანი, შიგნითა — სველი და ლირწიანი.

კეისარი დააშტერდა იოანეს დუხჭირ სახეს, დააშტერდა და სიცილი აუვარდა (მახინჯი მამაკაცების ცქერა უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებდა იუსტინიანეს, რადგან მის ცოლს, დედოფალ თეოდორას, სძულდა ისინი ჭირის დღესავით).

— ღვთაებრივო! — დაიგმინა ჩარადოვანმა სახემ.

— ჰო, აკი გისმენ, — ძლივს მოითავა ხითხითი კეისარმა.

— გუბაზ მეფე გვალატობს-მეთქი!

— ეს მერამდენედ მითხარი უკვე!

— გითხარი, მაგრამ... როგორ მოვიქცეთ?

— როგორ და... როგორ... — ფიქრს ჩაუღრმავდა კეისარი, ნაოჭებით დახულმა ქუთუთოებმა სავსებით დაუვიწროვეს ყვითელი თვალები (მას დანდალუკია სჭირდა — სიყვითლის სენი).

— თავად მოვიდეს გუბაზ მეფე ჩემთან, კონსტანტინოპოლს, — მეფური ღირსებით თქვა ბოლოს.

ახლა კი დავიღუპეთო, — გაუელვა იოანეს. ლაზიკის მეფე

რომ კეისარს პირადად შეხვედროდა, ეს იქნებოდა მართლმზღ-
ლება ბნელი და ტრელი განაზრახისა. გუბაზ მეფე იუსტინიანეს
ნეს თავის სიმართლესაც დაუმტკიცებდა და მისი სარდლებთან
სილაჩრეს, სიჩუკნეს, უნიჭობასა და ლალატსაც გამოაშკარა-
ვებდა.

შიშმა მუხლები ჩაუკვეთა, მაგრამ ისევ შიშმა დაუბრუნა
წამიერად დაკარგული გონი იოანეს.

— რომ არ წამოვიდეს, კეისარო?

— როგორ თუ არ წამოვიდეს?! — გაუკვირდა იუსტინიანეს.

— შენც ხშირად გითქვამს, ღვთაებრივო სებასტოკრატო-
რო, კოლხეთის მეფე ამპარტავანი არისო.

— მერე, რაო, ამპარტავანიცაა, თავმომწონეც, მაგრამ რაკი
ვბრძანებ, უარს როგორ გამიბედავს?

— თავმომწონე კი არა, თავხედია გუბაზ მეფე!

— აგრეც რომ იყოს, ჩემს ბრძანებაზე უარს ვერ იტყვის.

— რომ თქვას?

— ჩემი სახელით უთხარით.

— ვუთხრათ, თუ ვუბრძანოთ? — ჰკითხა იოანემ და პასუ-
ხის მოლოდინში კეისარისკენ წაიგრძელა ისედაც წინწაზრდი-
ლი და წაგრებილი ყურები (ჯაშუშებს აქვთ ამნაირი ყურები).

— უთხარით! — ამოიხრიალა გვირგვინოსანმა.

— მაინც რომ არ წამოვიდეს?

— რას დაგიჩემებია, არ წამოვიდესო! რას ჰქვია, არ წამო-
ვიდეს! ეს ხომ ნამდვილი აჯანყება იქნება!

— აჯანყებულა-მეთქი, კოლხთა ხელმწიფე, ღვთაებრი-
ვო! — გულმყარად შესძახა იოანემ.

— აჯანყებულო?! — დაფრთხა კეისარი.

— დიახ, — აჯანყებული! — უჩიათად გაიმეორა ფაიქმა.

ისევ დაეწურა თვალები იუსტინიანეს. ისევ მტკივანი ჰვა-
ლივით შეუდგა საფიქრალი მთვლემარე გონებაში. ბოლოს
ძლივს გამოლექა:

— რა სჯულის ხალხი არ გვემორჩილება და გვემსახურება
ჩვენ ამ ცისქვეშეთში, მაგრამ მე არ ვიცი უფრო ერთგული
სამსახური, ვიდრე სამსახური ქართველებისა.

— ქართველებს ისევ სომხები სჯობიან, კეისარო, — შეა-
გება იოანემ.

— აბა, მე ქართველები და სომხები ვერც კი გამირჩევია ერთმანეთისგან.

— სომხები დიდი ხანია ჩვენს მორჩილებას შეურიგდნენ, ქართველები კი თავს გვიტოლებენ და „რომაელი ხალხის მოკავშირე-მეგობრის“ ტიტულზე ქვემოთ ჩამობრძანებას აღარც კადრულობენ.

— ერქვათ, მერე, „მოკავშირე და მეგობარი“, რა გვენაღვლება, ოღონდ კი ერთგულად გვემსახურონ.

— მაგრამ, თუკი გვღალატობს გუბაზ მეფე?

„გუბაზ მეფე... გუბაზ... გუბაზი...“ — ისევ ჩაჰყვა ფიქრებს კეისარი.

გუბაზ მეფე წარმოუდგა თვალწინ, სახიერი და ტანით ზეანდანი.

მაშინვე ეჭვი და ბრაზი წაეკიდა გულზე: ლამაზი ვაჟაკები ჭირის ღღესავით ძაგდა იმპერატორს, რადგან მის ცოლს, ავგუსტა თეოდორას უყვარდა ისინი (თეოდორას ანთრაქა სჭირდა — მძუნაობის დაუოკებელი და დაურწყულბელი ჟინი).

ფეხისგულები გაუხურდა იუსტინიანეს. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა მისი თანამეცხედრის საროსკიპო კალმასობანი გაახსენდებოდა.

ერთხელ თეოდორას სარეცელზე ნებივრობის ჟამს წამოსცდა კიდეც: ეტყობა, კოლხეთის მეფეს აღმასივით მჭრელი კბილები ექნებაო. იუსტინიანემ ამის გაგონებაზე ყვირთელი თვალელები წამოქაჩა ბრაზით, რადგან თეოდორას კბენა უყვარდა...

— შე ჰიპოდრომის როსკიპო! — უყვირა მაშინ იუსტინიანემ.

— შე წვირიანო მელორე! — უპასუხა თეოდორამ.

— მაშ, დარწმუნებული ხარ, რომ ჩემს წვევაზე უარს იტყვის ლაზიკის მეფე? — იკითხა იუსტინიანემ და ისევ დააშტერდა იოანეს მწიკვლიან სახეს.

— უარს იტყვის, არ წამოვა, კეისარო, არ წამოვა! — თითქოს გამოაჯავრა ფაიქმა.

— მაშინ მოექეციოთ ისე, ვითარცა ნამდვილ მოღალატეს.

— ესე იგი, მოვკლათ, არა?! — ისევ განებო იოანეს ზედა
ბაგე ლირწიან და ქერცლიან ჩარბებად.

— მოვკლათო? — დაფრთხა კეისარი.

— ჰო, მოვკლათ, მოვკლათ! — მწყურვალედ ამოიხრიალა
ფაიქმა.

— მაგრამ, იმასაც ხომ ამბობენ, შეუძლებელიაო ლაზიკის
მეფის მოკვლა?

— როგორ შეუძლებელიაო?

— სიკვდილშეუღწეველიაო...

— აჰ, თილისმა... ეგეც ვიცით და... მაგასაც მოვუვლით.

— მაგრამ მაინც ნუ მოკლავთ. თუ წამოსვლაზე უარი გითხ-
რათ, ძალით წამოიყვანეთ და ცოცხლად მომგვარეთ აქ, კონ-
სტანტინოპოლს, საღმრთო კონსისტორიონს.

— რომ არ დაგვემორჩილოს? — არ ეშვებოდა სახეჩარა-
დოვანი კაცი.

და მაშინ სამი რამ საფიქრალი ძვლის მტეხელი შაკიკივით
შეეჭრა და გაეჭედა იუსტინიანეს ფლეგმამორეულ გონებაში:
კოლხთა ხელმწიფის მშვენიერი ხატება, თეოდორას ანთრაქა
და ღორის მოხარშული ფაშვი.

როგორ მომშინიაო, გაუელვა იმპერატორს, ტახტიდან წა-
მოიჭრა და ნასწრაფევი ნაბიჯით გაეშურა ტრიკლინიუმისკენ.

— გუბაზ მეფე?! — ისევ წამოეწია ისტერიული ძახილი
უკვე კრეტსაბმელს მიფარებულ კეისარს.

— მოჰკალითო!.. — ისტერიულად აღმოხდა კეისარს.

და საოცარმა გარინდებამ მოიცვა სატახტო ბიზანტიონისა.
იოანე ელონოვალატი აღარსად ჩანდა.

„მოჰკალითო“! ეს ერთადერთი სიტყვა ყოფილა საკმა-
რისი სიკვდილივით ჩაფრენილი და ჩაცეიებული აბეზარი კაცის
მოსაგერიებლად.

ღვთისგან რჩეულ გვირგვინოსნებსაც უჭირთ ხოლმე იმ ერ-
თადერთი, „ღვთაებრივი“ სიტყვის მიგნება.

იუსტინიანემ კი მიაგნო, სწორედ დროზე მიაგნო: საყვარე-
ლი ულუფის სურნელი დაჟინებით უხმობდა მას ტრიკლინიუ-
მიდან... ||

გუბაზ მეფე ფატალისტი იყო.

ოცი წელი ემოსა ტანზე შვილმკვდარ მეფეს შავი კვართი, გულისპირზე გველისპერანგჩატანებული.

ოცი წლის წინ მოუკვდა კოლხეთს თეთრი კახა, ღვთაებრივი უფლისწული (ღმერთს უბიდან გადმოუცურდა კახა და კოლხეთის მეფე-დედოფლის სარეცელზე დაეცა. ხუთი წელი იცოცხლა კოლხეთის უფლისწულმა, მერე ისევ ღმერთმა წაიყვანა ზეცად).

ოცი წელი ეს ორი რამე აპკვიატებოდა განუშორებლად ეგზრისის ხელმწიფეს: კახას სულის თეთრ ბუნებაში განფენილობა და გველისპერანგჩაიანი სამგლოვიარო კვართის მფარველობრივი ძალმოსილება.

გაზაფხულის თეთრფურცლოვანებაში გამორჩეული ძალისხმევით გრძნობდა გუბაზი კახას სულის აღორძინებას. თეთრი ყვავილი შექმნილიყო მისთვის ყოველი თვალხილულისა და თვალუხილავის საწყისად, არხედ, აპეირონად.

შავი კვართიც განუშორებელ სხეულებრივ ნაწილად გადაქცეოდა. თანაც ბუნების შემოქმედს, ალბათ, შვილზე წუხილის საფასურად, ის შავი კვართი მგლოვიარე მეფის მფარველ თილისმად გადაექცია. გუბაზ მეფე შიგნით შავ პერანგს ჩაიცვამდა, გარედან წელზე შიშველ, უქარქაშო ხალიბურს ოდრიკალად შემოირტყამდა და მისი უაბჯრო სხეული შეულწეველი ხდებოდა პირდაპირი თუ იბედივი ხელით ნატყორცნი იარაღისათვის. შვიდჯერ სპარსელებმა სცადეს მისი მოკვლა იდუმალ შეთქმით, შვიდჯერ — ბიზანტიელებმა, შვიდჯერ შინაურმა აზნაურებმა, ოცდაშვიდჯერ სამკვდრო-სასიცოცხლო ხმალთაყვეთებაში შეხვდა პირისპირ სიკვდილს შავკვართიანი ხელმწიფე, მაგრამ სწორედ სამგლოვიარო თილისმის წყალობით დარჩა იგი სიკვდილისგან შეულწეველი და სხეულგანურღვეველი.

„მრუმედ მომხედა მე მზემან, რამეთუ ისევ გაჩქეკა სიკვდილი“, — იტყოდა მეფე კაეშნიანი სიცილით, როცა იგი თავის ძლიერ, შუქმოსიერ თვალს მოავლებდა მტრის გვამებით დარეცილ ბრძოლის ველს...

იდგა ჟამი აღრიანი ღანუყობისა — გაზაფხულისა.

გუბაზ მეფე ყანას ხნავდა — ტელეფისის ბრძოლაში მოკლული წვრილშვილიანი ეგრისელი მეომრის ყანას.

აღრე, დღე-ღამის განსადრეკელზე მოვიდა უბელო ცხენით

მარტოდმარტო, უამალოდ და უმსახუროდ. გარდახდა, ნამით მოოჭვილ მინდორზე მიუშვა ცხენი.

ობოლთაგან უფროსი ბიჭი გამოიხმო.

ხარები შეაბეს.

გუბაზმა ყანის ბოლოდან აღმა, სიფართოზე, შვიდი ნაბიჯი გადაზომა, წელიდან ხმალი შემოიხსნა და მიწაში ჩაასო.

ასე მოინიშნა პირველი ნიხა გუთნისდედამ.

ხნავდა მეფე. ობოლი ბიჭი მიუძლოდა ხარებს, უღელზე შემომჯდარი და დილეული სიგრილით შეკუმშული.

მიწაში ჩასმულ ხმალსაც მანამ მიატანეს, სანამ მზე შემოადგებოდა ვერცხლის ზარივით გადმომხოზილ ცას. ხოლო როცა მზის პირველმა სხივმა სალმასურ ფოლადზე გაიელვა, გუბაზმა ხარები დააყენა, კიდევ შვიდი ნაბიჯი გადაზომა და ახლა იქ დაასო ხმალი.

„კიდევ შვიდი“ — გაიფიქრა ბიჭმა.

ცხენის ჭიხვინი გაისმა.

გუბაზ მეფის მზისფერი ჰუნე ურბენდა ნავარდს.

ღამეული ფანტასმებით ზარტეხილი დედამიწა ოხშივრის კმევით და ჟრჟოლა-ზმორებით შეეგება მხეს.

ესმოდა გუბაზს რა ნეტარებით ოხრავდა მიწა. ხარის ჩლიქებით ნაჯირგალევი და სახვნელ-სახნისით მკერდგანრღვეული.

თითქოს სადღაც შორიდან საკუთარი სისხლის ჩქრიალიც ესმოდა მეფეს.

მძიმედ აწვებოდა სახვნელის ვადას. სვრელის გასწვრივ ისროდა მზერას. ხარებს და ბიჭს გასცქეროდა ჟამ-ჟამად.

ბიჭი თვალს ვერ აშორებდა მზისა და ზღვისფრად მობრკივალე ხმალს.

ხარები ამაყად ქედაზიდულნი ეწეოდნენ უღელს.

ობლების ალერსიან ხელებს ნაადრევად მოეშორებია მათთვის ნაზამთრალი ბალანი. ტანად ერთტანოვანნი იყვნენ ხარები, ფერად — სხვადასხვა: ერთი — ინგუშა, მეორე — ვეყანა. ორივეს ღვინისფერი რქები ენთო სარქვებზე, ოდრიკალი მთვარეებივით.

სამივენი ერთი ხნისა უნდა იყვნენო, ბიჭიც და ხარებიც, — გაუელვა გუბაზს და ისევ ბიჭს მიაპყრო თვალი.

„ათი წლისა იქნება... ხოლო ჩემი... ახლა ოცდახუთი წლისა შესრულდა“...



ყრუ გმინვა შემოესმა ბიქს. წამსვე ხმაღს თვალი მოსწუვი-
ტა და მეფეს შეხედა.

ერთფერნი იყვნენ მეფე და მიწა.

ბიჭი თითქოს რაღაცას მიხვდა და გაბედულად თქვა:

— ჰო, ჩვენ ყველანი ერთი კბილა ვართ.

— ვინ თქვენ? — გაუკვირდა გუბაზს.

— მე და ეს ხარები.

— ჰოო, ეგ მეც ვიცოდი, — გაელიმა მიწისფერ მეფეს.

— რანაირად? — ახლა ბიჭმა იკითხა გაოცებით.

— მამაშენმა მითხრა.

— ჩემმა ბაბაიამ?

— ჰო.

ბიჭი წყნარად ჩამოხტა უღლიდან, ვეჟანა ხარს თავით თავ-
ზე მიეყრდნო და აქვითინდა.

მეფე შეწუხდა, — როგორ ვატკინეო გული ობოლ ბიქს!
სახენელს ხელი უშვა, ბიქს მივარდა და ხელში აიყვანა.

— შენი ბაბაია ვაჟაკი იყო. ტირილი არ უყვარდა, — მე-
რე ძირს ჩამოსვა და უთხრა, — ახლა წადი და შენ გადაზომე
ახალი ნიხა.

უცებ გამოიცვალა ბიჭი. მის თვალეზში სიხარულის სხივს
დაეტრგუნა კაეშანი.

— ხმლით გადავზომო? — იკითხა თრთოლვით.

— მათშ! — დინჯად დაუდასტურა მეფემ.

ბიჭი გაიქცა, ხმალი ამოაძრო და მძიმედ აღმართა ორი-
ვე ხელით.

— ფრთხილად! — ხმა შეაშველა მეფემ.

— შვიდი ნაბიჯი? — იკითხა ბიჭმა.

— ჰო, — ისევ დინჯად ბრძანა მეფემ.

შვიდჯერ გადახტა ბიჭი — მეფის ნაბიჯთა ტოლი ნაბიჯები
რომ გადაეზომა — და დიდის ამბით დაარტო ხმალი. აღარ უნ-
დოდა მოშორებოდა უცნაურად მობრკიალე იარაღს.

აი, როგორი ყოფილა გუბაზ მეფის საღმასური ხმალი, ბა-
ბაია რომ ამბობდა... ხმლის პირზე რაღაც ჭდეული შენიშნა.
შვიდ ჯგუფად (ალბათ შვიდ სიტყვად) ეწყო წარწერა. ბიჭმა
წერა-კიცხვა არ იცოდა, მაგრამ ბაბაიასაგან ჰქონდა გაგონილი
რაც ეწერა მეფის ხმაღზე:

„მე ვარ ავი გასიტყვება კოლხთა მეფე გუბაზისა“.



სიტყვები გადათვალა ბიჭმა.

„ისევ შვიდი!“ — გაუკვირდა და ვაჟკაცურად დაჰკრა ხელი ვადაზე ხმალს.

ავად დაიზრიალა ფოლადმა. მიწამდე დაიზნიქა, განიმართა და ელვასავით ამოიწვართა და ამოსხლტა მიწიდან.

— დაწექ! — დაიღრიალა გუბაზმა. უმაღვე ისკუბა, დაცემულ ბიჭს გადაეგლო და გაშლილი ხელი ზემოდან ძლიერად დაჰკრა გველივით აწვილებულ, გაფრენილ ხმალს.

ბიჭი წამოდგა. მეფეს თითქოს არ შეუმჩნევია შიშისაგან ფერნამკრთალობა მის სახეზე, ისევ მშვიდად ანიშნა, მიდი და თავის ადგილზე დაასვი ხმალიო.

ბიჭმაც ისევ ორივე ხელით აზიდა ხმალი, მიიტანა და ფრთხილად დაასვა მისგანვე ნაიარევე მიწაზე. ისე გამობრუნდა და წამოვიდა, თვალი არ მოუშორებია უცნაური იარაღისათვის, რომელსაც ფრენისა და მლტოლვარების ჯადო ჰქონია.

ხელი რომ დაეკარ, იგულისწყრომა და იმიტომ გამოემდეგენა ხმალიო, — ფიქრობდა ბიჭი.

ხნავდნენ.

ნეტარებით კვნესოდა ტანგანრღვეული დედამიწა.

მზე აღმართ მიიწევდა გახელებული.

ავად ვარვარებდა მზენარქენი ხმალი.

ჭიხვინებდა მზისფერი ჰუნე გუბაზ მეფისა.

მზის საშუადღეო დაყუდებისას დაასრულეს ხენა.

მეფემ ხმალი მიწიდან ამოაძრო და წელზე შეირტყა ოდრიკალად.

ხარები გამოხსნეს და მდინარეზე ჩარეკეს დასარწყულებლად.

უცნაური როკვით მისდევდათ ცხენი.

მერე მეფე ყვავილამილი ტყემლის ძირში დაჯდა სადოლად.

შვიდი ობოლი შემოისვა გვერდით.

მხალი, ლობიო, ღომი და მწვანილი გაეფინა სუფრად ობლების დედას. მთელმა ეგრისმა იცოდა: ამ დროს გუბაზ მეფე სახსნილო საქამადს პირს არ დააკარებდა, რადგან თეთრი უფ-



ლისწულის გარდავლენის დღეები იდგა მაშინ ეგვისში.

სამარხვოს ჭამდა მიწასთან ბრძოლით სხეულნაჯერი სვამდა სამაშვრალო ჯიბრია ღვინოს.

ჯერ თეთრადამილილი ხისკენ აისროდა მზერას და ისე მოიგდებდა ტუჩზე ხელადას.

ობლები უცქერდნენ მეფეს და უყვირდათ, რომ მათი მამაც ამნაირად ხნავდა და თესდა ყანას, ამნაირი ოფლი სდიოდა შუბლსა და მკერდზე. ფეხებიც ამნაირი ჰქონდა ბაბას — შიშველი და ნახნავ-ნამზლვევი მიწით შეზიზნული, ჭამაც ამნაირი იცოდა ბაბამ, ჯიბრია ღვინოც ასე უყვარდა, ხელადასაც მარჯვენა ხელით ასე მოიგდებდა ხოლმე ტუჩზე და ყელიც ასე უთრთოდა, ჩამდინარე ღვინით ათრთოლებული. უხაროდათ, რომ მათი ბაბაიას ნატუჩარი ხელადით სვამდა მეფე ჯიბრიკას. უყვირდათ და უხაროდათ, რომ მეფე ასე ჰგავდა მათ ბაბას, — თუ — მათი ბაბაია ჰგავდა მეფეს! მხოლოდ ამით არ ჰგავდნენ ერთმანეთს მეფე და ბაბა: მეფეს ტანზე შავი პერანგი ემოსა, წველზე, სარტყელის ნაცვლად, შიშველი ხმალი შემოერთყა და თანაც ღვინის სმის დროს ქათქათა ფერით დატვირთულ ტყეშლის ხეს აპყრობდა მზერას, თითქოს იქ ვილაცას ჰხედავდა და უსიტყვო იღუმალეებით ესიტყვებოდა კიდევ.

მეფე ობლებს თვალებს ურიგებდა მზერას რიგ-რიგად და სევდიანი ფიქრით ფიქრობდა:

„შვიდივე ობოლს მოკლული მამის ნაღველი უდგას თვალეში, შვიდივეს. და ცალკე ყოველ შვიდთაგანს, ყველა შვილის ნაღველი ერთად...“

ფაიქი მოიჭრა და მოახსენა მეფეს: ბიზანტიელი სარდლები ითხოვენ შენთან შეხვედრასო.

უსიამოდ სახელაღწილი წამოდგა გუბაზი.

— სად არიან?

— ხობისწყალს მოსდგომიან,

— სასახლეში არ მოიწვიეთ?


— მოვიწვიეთ, მაგრამ...

— მაგრამ, რაო?

— უარზე დგანან.

— დაეხსენით! — მოკვეთა მეფემ.

ობლების დედა მოიხმო, ხელში ოქროს ფული ჩაუდო, ობ-

ლები დალოცა, ცხენზე შეჯდა და ისევ შიკრიკს მიუბრუნდა: 
 — წადი და უთხარ, სადაც დგანან, იქ დამელოდონ. დასალიერზე მე თვითონ მივეგებები. ამაღა არ დამჭირდება.

ფაიქმა გაქუსლა.

გუბაზმა ხობისწყალს გადამდგარ ბეჭობზე შეაყენა ცხენი. აქაც ჰყვოდა ტყემლის ხე.

მზერა ჩააყოლა მდინარეს და შორს, სამხრეთით, ცხენოსანთა მცირე ჯგუფი დაინახა.

„ექვსი“, — გადათვალა მეფის ძლიერმა თვალმა.

„დაე, მელოდონ“ — გაუელვა.

ცხენიდან გარდახდა.

ხალიბური შეიხსნა.

კალმახივით გასხლტა და ზრიალ-ბრკილით განიმართა ხმალი.

ტანთ გაიძრო. გამოშვლდა.

შავი კვართი ტყემლის თეთრ ტოტზე დაჰკიდა.

ფლატეზე ჩაცურდა, ხმლით ხელში, თილისმისგან განკვართული.

ხმალი წყლისა და მყარის შესაყარში დაარტო.

მდინარეში გადაეშვა უხმლოდ და უთილისმოდ.

უსაზღვროდ ეამა ძველი მდინარის ახლად ნაშობი წყალი...

ცხენის ჭიხვინი მოესმა.

აიხედა. ცხენი არ ჩანდა.

აღბათ ფაშატი იგერშაო, გაიფიქრა და ტყემლის ხეს აპხედა.

ტყემლის მხოლოდ ზედა წელი ჩანდა, მაღალი ფლატის პირით გადაკვეთილი.

არ ჩანდა ხის ქვემო წელი, რომელზედაც ეკიდა შავი კვართი.

ეს თითქოს არ შეუმჩნევია მეფეს, არც არად ჩაუგდია. ხმალი ხომ მის თვალწინ იყო დარტობილი...

საოცარი სიმშვიდე და მდუმარება სუფევდა ქვეყანაზე. ხობისწყალი უხმოდ მოაგორებდა ტალღებს. არც ერთ ხეზე ფოთოლი არ ირხეოდა. მუდამ მოცახცახე ვერხვიც უძრავად მისცემოდა ძილს ნასიცხარ მდუმარებასა და უძვრელობაში.

მხოლოდ ტყემლის ხე შერყა ერთჯერ და...

არც ეს შეუმჩნევია გუბაზს.

იგი ხმაღს შესცქეროდა, მზენარქენს, გველივით ამართლებდა ისევ გასცოცხლებოდა გონსამზირში ოცი წლის წინანდელი სურათი...

• • • • •
ზემხურვალი აწვა დედამიწას.

მდინარის პირას მზით შეპყრობილი ქვა ვარვარებდა.

ქვაზე ანკარა იძვროდა.

პერანგს იძრობდა.

ჯერ წარბებთან გასკდა ჭრელი, სიფრიფანა კანი და ლორწოიანი თავი ამოისხლიტა.

მერე წელამდე ამოძვრა გველი პერანგიდან. ბოლოს კუდამდე ამოშიშვლდა: გაიძრო, განაგდო, გასრიალდა.

ქარქაშიდან აღმოხდენილი მახვილივით ელავდა კანაშიშველარი გველი, გუბაზ მეფის აღმასის მახვილივით ბრკილებდა. ნელიად მიშხორკალობდა ანკარა. ტანი ეწვოდა და სტიოდა, ახალნაშობი ტანი.

უცებ გველმა იგრძნო: მზით ნასროლ სხივზე უარესად ადამიანის თვალი უწვავდა და უკორტნიდა ლორთქი სხეულს.

შედგა და შეიმაართა.

ორი წყვილი მზერა შეეჭრა ერთურთს — კაცის და გველის. ორივე იყო შიშველი, აშვეტილი, ტანკენარი, გულუძვრელი და შემმართებელი.

კაცს გუბაზი ერქვა და კოლხეთის (გინა ლაზეთის, გინა ეგრისის) მეფე იყო.

გველს სახელი არ ერქვა და მხოლოდ გველი იყო, — ანკარას ჯიშის გველი.

თვალეებით ჩასციებოდნენ ერთურთს გველი და კაცი, შეგრძნებულნი, ჯადოქმნილნი.

გველი თვალებს არ ახამხამებს, არც შეუძლია, რადგან ქუთუთო მისი უძრავია და თვალთა გუგებზეც აფსკი აქვს გადასალტული. იმ აფსკის მიღმიდან იმზირება უძრავი და მძლავრი სამზირით. მიტომაც უჭირთ ადამიანებს თვალი გაუსწორონ გველის თვალს. ვერც მის სიმშვენიერეს დაინახავენ მისგანვე შეძრწუნებულნი.

ისე კი ძალიან ლამაზი თვალეები უნდა ჰქონდეს, თუმცა შემზარავი და თავზარდამცემი.

ნეტავ თვალის აფსკსაც თუ იცვლის გველი, როცა პერანგისგან შიშვლდება?

გველმა კაცის თვალეებში საფრთხე ვერარა ამოიცნო და გზა განაგრძო, ქვიდან გორგლად ჩაგორდა და წვეტიან ხვინჯნარზე ნელი შეწვივლებით დაეცა. გაშხორკალდა, ტანი გაიწვართა, ლაჯის სიფართეზე გადამტკავლა და წყლის მდინარებას მისცა თავი.

ერთი რამ ვერ შეამჩნია ჩვილი ტანის ტკივილით გამწარებულმა ანკარამ: იქ, სადაც მისი პერანგი დარჩა, სულ ახლოს აღამიანის პერანგი ეგდო — შავი კვართი.

ახლა ორი პერანგი იდო გვერდი-გვერდ — კაცის და გველის.

გუბაზმა ორივე აიღო.

მას შემდეგ გავიდა ოცი წელი...

დიდხანს იბანდა ნაოფლარსა და ნამუშავევ სხეულს.

თვალდამცხრალი მზე უკვე ცისა და მიწის შესაყარზე ეშვებოდა, როცა გუბაზი მდინარიდან ამოვიდა, ხმალი მიწიდან ამოიღო, ფლატეზე შეისროლა, თვითონაც შეღმართი აათავა და ტანსაცმელს მიაშურა.

მიწა შეერყა ფეხქვეშ ხელმწიფეს.

მაგრამ, ეს არ იყო მიწის რყევა.

ეს იყო ელდა: აღარსად იყო შავი კვართი!

ჩამოხლეჩილი ეკიდა ტყემლის ტოტი, პერანგთან ერთად ფოთლიან-ყვავილიანად ჩამოძარცული.

თვალით შემორკინა და შემოჩხრიკა ყოველივე: მიწაც, წყალიც, ჰაერიც, რა დაემალეზოდა მის საოცრად ძლიერ, შუქმოსიერ თვალეებს, მაგრამ კვართი აღარსად ჩანდა.

დაკარგულიყო თილისმა ბედისწერისა.

რა საკითხავია, ვის ან რას უნდა წარეტაცნა სამგლოვიარო პერანგი მისთვის.

თავიდანვე ასე ჰქონდა გადაწყვეტილი: პერანგის წართმევა მხოლოდ იმას შეეძლო, ვინაც იგი ოცი წლის წინათ ჩააცვა

ტანზე — ბ ე დ ი ს წ ე რ ა ს, მორჩა და გათავდა — ბედისწერამ
ჩააცვა და მანვე წაართვა.

ასეა თილისმა მარადეამეულად, უცნაურია მისი მოვლინე-
ბაც და გარდავლენაც...

მუხლმოჭრილი და სხეულგანრღვეული იდგა ერთხანად.

გასაოცარ გარდასახვას გრძნობდა მთელს არსებაში.

თითქოს სხეულიც კი გაქცეულიყო მისგან, გაქცეულიყო და
გაფანტულიყო სივრცეში, უსაზღვროებაში, აპეირონში. ჭეშ-
მარიტად: სხეულისაგან დაცლილიყო მისი სხეული.

ნადვლით გატენილმა ღიმილმა დაუღრიჯა ლამაზი სახე.

სისხლგაყინული ხელი ანგარიშმიუხედავად დასწვდა მახ-
ვილს.

ვადასა და წვეროში ჩაავლო ხელები და, როგორც სჩვეო-
და, ოდრიკალად სცადა თასმასავით მოქნილი ფოლადის შე-
მორტყმა წელზე.

მაგრამ მცირე მოდრეკითვე დაიმსხვრა და დაილეწა ხმალი
სალმასურისა.

კალმახებივით დასხლტნენ და დაცვიდნენ ნამსხვრევები.

თვალდამცხრალი მზე შვიდ სიტყვად მარცვლავდა შვიდ
ნაკვეთ-ნაკუწად დაფშვნილ წარწერას:

„მ ე . . ვ ა რ . . ა ვ ი . . გ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ა . . კ ო ლ ხ თ ა . . მ ე -
ფ ე . . გ უ ბ ა ზ ი ს ა . .

ანაზღაითი ცხელი სუნთქვა მოეჭრა გაყინულ ლოყას. მოი-
ხედა. ცხენი მოსდგომოდა ზედ სახესთან.

ახლა გაახსენდა, რომ სადღაც ქვემოთ, მდინარის დაყოლე-
ბით, უცხოელები ელოდებოდნენ — ბიზანტიელი სტუმრები
(ჰმ, სტუმრები!), გინა მოკავშირენი (მოკავშირენი, ჰმ!).

ცხენზე შეჯდა და მდინარის მარცხენა ნაპირს დაუყვა.

მიდიოდა, ვითარცა სული უსხეულო, გინა სული სივრცეში
განვრცობილი და განზავებული.

სხეულისაგან დაცლილი სხეულით მიდიოდა, მაგრამ გო-
ნება მაინც მძლავრობდა გუბაზე მეფისა, რაკი იგი გახელებული
იგერიებდა კრაზანას ბარანივით შემოსეულ საფიქრალს.

„სივრცე ყველაზე ძლიერია, რადგან ყოველსმომცველია და
აუცილებელი“ (ეს ვიღაცამ თქვა, ადრე კიდევაც იცოდა, ვინ-
ცა თქვა, მაგრამ ახლა ვერ გაიხსენა)...



„ეყოფა ჩემს ხალხს სიტყვით თნევა და საქმით თრევა...“

„არ მომკვდარა თეთრი უფლისწული. იგი მხოლოდ იმან წაიყვანა, ვისაც ზეცად ფრენის ჟამს უბიდან გადმოუვარდა. წაიყვანა და სივრცეში, აპეირონში განაზავა, თეთრ ფერებში განასახლა, ყოველ თეთრ, ქათქათა ფერში...“

„ბუნება მუდამ ტანჯულია, რადგან მუდამ მშობიარეა; მუდამ მოზეიმეა, რადგან მუდამ ცოცხალია; მუდამ მგლოვიარეა, რადგან მუდამ შვილმკვდარია...“.

„მიწას განრთხმია ჩემი კოლხეთი მკერდჩაღეწილი...“

„ოქროს რქის პირას უპოვნიათ მამაჩემის და გურგენ იბერიელის გვამები, ზურგიდან ლახვარანძვერალნი. ჩვიდმეტი წელი გავიდა მას შემდეგ და მკვლელები აქამდე ვერ უპოვნიათ. ვერ უპოვნიათ, რადგან არ უძებნიათ... არც მტრობას გვიშლიან და არც მოყვრობას ბიზანტიელნი... ზურგიდან დარტყმის ოსტატები... ზურგიდან!...“

„შვიდივე ობოლს მოკლული მამის ნაღველი უდგას თვალებში, შვიდივეს... და ცალკე ყოველ შვილთაგანს, ყველა შვილის ნაღველი ერთად...“

„საკუთარი კბილებით ხორცს იგლეჯს ტანზე კოლხეთი შვილებამოწყვეტილი...“

„დედაო ნეიტ, გადამაფარე შენი ფრთები, ვითარცა დაუსაბამო ვარსკვლავები!“ (საღლაც წაუკითხავს ამნაირი რაღაც წარწერა, — ახსოვდა, ახლა აღარ ახსოვს).

თვლდამცხრალ მზეს მიაშტერდა.

„მზე უთვალავ სულიერ და უსულო სულთა შორის ცხოვრობს ჩაწილადებული, ამიტომ ყოველ წამიერჟამს უთვალავი მზე იბადება და უთვალავი მზე კვდება...“

„სპარსელნი დგანან უნაგირას ციხეში. ბიზანტიელთა ლაჩრობამ და ლალატმა დამაკარგვინა უნაგირა...“

„იმ ხარებს რქებად ედგათ მოლაული ნამგალა მთვარენი!...“

„სიცოცხლე სიკვდილს უდრის და ამიტომაც არ კვდება იგი“ (ფაზისის მუზათა ტაძარში მოუსმენია მოძღვრისა და განმაბრძნობელის, ქუჯი ლასკარისაგან)...

„აღბათ უნაგირაზე ჩამოაგდებენ სიტყვას ბიზანტიელნი...“

„ხილული სინამდვილე ლანდის ქსოვილია, გინა სიზმართა ქსელი...“



„მე ვარ ეჭვი უშრეტო, ვერვისგან ხილული და ყოველისგან შეგრძნებელი; მე უხილავად ვეწვეთები შენს ტვინს და გაქცევ ჩემს მონად...“

ანაზღაითაც მოვარდნილმა ქარმა მტვერ-ბორიყად აიტაცა ცხენის ფერხთაგან ნაშალი ნასიცხარი მიწა.

გუბაზმა თვალი გააყოლა ფრთააშლილ მიწას.

„დადის მიწა, დადის, მიჰქრის, მიფრინავს. განუწყვეტლივ დადის და ადგილს ინაცვლებს მიწა. მიწა დააქვს ყველას და ყველაფერს: წყალს, ცეცხლს, ჰაერს, ქარს, ცხოველს, მწერს, ფრინველს, ქვეწარმავალს, ადამიანს, ყოველ ქვესკნელთაგანს, ყოველ ზესკნელთაგანს, ყველაფერს. განუწყვეტლივ ინაცვლებს ადგილს მიწა, მაგრამ მაინც მიწაზე რჩება ადგილნაცვალ მიწა, ჩინ-მაჩინურ ტაიფუნსაც არ შეუძლია მიწიდან მიწის გატაცება. მიწა დადის, მიწაზე დადის, მიწიდან მიწაზე დადის, მიწდება, ცოცხალდება, ისევ და ისევ, დადის, დადის... მიწა მიწას უბრუნდება. მიწა მიწას ვერ გაქცევია...“

მიდიოდა და მიიძრებოდა უსხეულოდ ამხედრებული სულა გუბაზ მეფისა, ავსებულები უთვალავ ფიქრთა სრბოლით და ბრძოლით. ფიქრები, სალმასური ხმლებით აღჭურვილნი, მისეოდნენ და გაალმასებით სჩეხდნენ, ჰკვეთდნენ და ჰკეპავდნენ ერთუტრს.

„ზეცაში ღმერთი და სატანა ცალ-ცალკეა...“

„მხოლოდ ადამიანში არიან ერთად ჩასახლებულნი ღმერთი და სატანა...“

„მაინც რას მიმზადებს საწუთო ესე, წარმდინარე და ქვედამზიდავი“...

„განიფრთხე ძილი და სიზმარეული!“ — ჩაესმა რისხვეულოდ.

ცხენი შეაყენა მოწყვეტით.

უკვე მოსულიყო იქ, სადაც უნდა მოსულიყო.

მდინარის გაღმა შვიდი ცხენოსანი იდგა.

„შვიდი?!“

აკი მაშინ ექვსი დათვალა!

ნუთუ თვალმა მოატყუა!

მაგრამ, მზის დაკორტნა შეუძლიათ გუბაზის თვალებს!

მაშ, სად იყო და საიდან მოვიდა მეშვიდე?



შვიდი! ბედისწერა ხშირად ვლინდება შვიდში. აკი წელან
შვიდ ნამსხვრევად დაილეწა მისი ხმალი...

შვიდიდან ხუთი იცნა: ძმები რუსტიკე და იოანე ელინო-
გალატები, მარტინე, იუსტინე და ბუზე. ორიც ლახვროსანი
მეომარი უდგა უკან იოანე ელინოგალატს. ორივეს უზარმაზა-
რი აზავერის მხარ-მკლავი და კისრები ჰქონდა.

იოანე და რუსტიკე სძულდა გუბაზ მეფეს. მიტომაც მათ
დანახვაზე სული შეუყრყოლდა (სული — რადგან სხეულის
შეგრძნება კვართთან ერთად დაკარგვოდა მეფეს).

„გულჩუქენია იოანე, და სწორედ გულჩუქენისა უნდა გე-
შინოდეს...“

კარგა ხანს უთვალთვალეზდნენ ერთმანეთს გაღმა-გამოდ-
მიდან.

უცებ მეფემ ცხენს ქედზე ჯვარედინად გადააწყო ფეხებო,
მკერდზე ხელები დაიკრიფა და სავსებით გაქვავდა.

მზის ჩაწურვამდე უცქერდნენ ბიზანტიელები ქანდაკადქცე-
ულ კენტავრს.

— ჰხედავ, არ გადმოდის, ძალადაც არ გვაგდებს! — ამო-
ლოშქრა იოანემ.

— რა გაეწყობა, მეფეა და ჩვენ უნდა ვეახლოთ, — თქვა
იუსტინემ და პირველმა შეაგდო ცხენი ხობისწყალში.

მას ბუზე მიჰყვა. სხვებიც გამოედევნენ.

მარცხენა ნაპირს გავიდნენ და კენტავრის წინ შეაყენეს
ცხენები.

მეფეს თითქოს არც შეუტყვია მათი მოახლოება. ისევ ისე,
ფეხმორთხმით ამხედრებული, უძრავი მზერით გასცქეროდა
შორეულ თვალსამზირს, სადაც ცას უკვე ჩამოეკიდა ოდრიკა-
ლი მთვარე.

„მზე დაწვა და მთვარე შობა“, — გაიფიქრა მან (თუ რაღა-
ცამ მასში).

უცებ ეს გაახსენდა გუბაზს:

სწორედ შვიდი წლის იყო, როცა ხიდან ჩამოვარდა იგი.
ტკივილი არ უგრძნებია მაშინ. მხოლოდ მიწა ატოკდა, ფრთა
აიშალა და სადღაც გაფრინდა მიწა. ეგ იყო და ეგ. შვიდი დღე
თურმე უგრძნობლდ იწვა. მერე შავკაბიანი, სათნო სახის ქალი

გახსენდა, — სასთუმალთან რომ უჯდა და ზენაარი ხმით ულოცავდა; შელოცვაც ახსოვს. შელოცვა იგი...

— ხაირე, მეფეო! — ფიქრი გაუწყვიტა მისალმებამ.

გუბაზმა უბრად შეარხია თავი.

ერთხანს მხოლოდ ხობისწყლის კრძალული ტალღათ მდინარება და რწმოლის შორეული შეწივლება არღვევდა რაღაცნაირი სამყაროული იდუმალებით მოცულ მდუმარებას.

ხრინწიანი ჩახველების ხმამ უამურად შესძრა გუბაზი.

გახედა და იოანე ელინოგალატის ჩარადოვანი სახე და დამფრთხალი ზირაქის თვალები შემოეფეთა მის მზერას. იოანე, მარტინეს ეჩურჩულებოდა რაღაცას, ლირწიან-ქერცილიანი ჩარბების ფლაფნით. მარტინე ბიზანტიელთა მთავარი სტრატეგოსი იყო და სწორედ მას პირველს უნდა ეთქვა სათქმელი. იმანაც დაიწყო:

— მეფეო გუბაზ, უნაგირაზე ვაპირებთ იერიშის მიტანას, — თქვა და საბასუხო შეხმაურებას შეუცადა.

მაგრამ გუბაზს არც კრინტი დაუძრავს, არც თვალი დაუხამხამებია.

ბიზანტიელმაც განაგრძო:

— სპარსელები უნდა განვდევნოთ უნაგირადან.

ისევ სცადა ბედი მარტინემ:

— დიდი სირცხვილია, რომ სპარსელები ამდენ ხანს ჩამდგარან ლაზიკის უდიდეს ციხე-სიმაგრეში.

— სირცხვილიო?! — უცებ იფეთქა გუბაზ მეფემ, — მერე, ვის უნდა რცხვენოდეს, თუ სირცხვილს მართლა სირცხვილად ჩავთვლით?

— მაინც ვის?! — გამომწვევად ჩაუჭრა რუსტიკემ.

— თუ ამასაც კითხვა სჭირდება, პასუხიც ინებთ: სწორედ თქვენი უგუნურების, ლაჩრობის, გულჩუქენობისა და ლალატის წყალობით მოხდა, რომ უნაგირა სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში. მე ტელეფისის ციხისათვის ვიბრძოდი მაშინ. თქვენ კი უნაგირასთან მოვარდნილ სპარსელთა მცირე მხედრობას გამოექეციით თავქუდმოგლეჯით და უკანალზე ფეხების ცემით.

იუსტინემ სცადა გაცეცხლებული მეფის შეყენება:

— რაც იყო, იყო, მეფეო. ახლა წამხდარ საქმეს უნდა ვუშველოთ. ესაა და ეს.



— მაინც რა სიბრძნეს მთავაზობთ? — დამცინავად იკიფნა მეფემ.

— შენ უნდა შემოგვიერთდე შენის კოლხებითა და ლაზებით, მეფეო, და ერთიანის ძალებით დავიხსნით უნაგირას, — ყველას დაასწრო ისევ მარტინემ.

— კოლხთა იმედი სამუდამოდ აღიკვეთეთ, ბიზანტიელნო!

— აღიკვეთოთ?!

— დიახ, ეყოფა ჩემ ხალხს სიტყვით თნევა და საქმით თრევა! ჩამოგვეხსენით და ჩვენ ჩვენს ქვეყანას უთქვენოდაც კარგად...

დასრულება ვეღარ მოასწრო.

ერთბაშად შეიძრა ქვეყანა.

აიძრა და გაფრინდა ფრთაასხმული დედამიწა.

მეფეს ტკივილი არ უგრძვნია (აკი სხეულისგან დაცლილი იყო მისი სხეული).

მხოლოდ მიხვდა: ზურგიდან რაღაც მძიმე დარტყმამ ჩამოაგდო ცხენიდან... ზურგიდან!

ოდრიკალად მოკეცილი დაეცა მიწას. დაცემისას უარესად შეირყა მიწა. და ჰხედავს ზურგიდან მახვილნაძგერალი გუბაზ მეფე:

სარეცელზე წევს ყრმა უფლისწული: თავით ხატკეთილი, სათნო თვალებიანი ქალი ჩამუხლულა და ზენარი ხმით ეჩურჩულება:

ანი იძრა,
ბანი იძრა,
მცა იძრა,
ქვეყანა იძრა,
ოთხი კუთხე მცისა იძრა,
ოთხი კუთხე ქვეყნის იძრა,
წოეს კიდობანი იძრა,
წყალი იძრა,
წისქვილი იძრა,
მიწა იძრა,
ქალის ტკბილი ძუძუ იძრა...

გულისამრევმა მოტკბო გემომ გაუესო პირი.

„ესაა გემო სიკვდილისა“, — ჩაესმა, თუ თვითონ თქვა გულსიტყვად.

„აღსდექ!“ — ვილაცამ თუ თვითონ უბრძანა საბრძანისი-სა-
კუთარ თავს მეფემ.

აღსდგა და აღიმართა ღვარჭნილად.

შებრუნდა ზურგისაკენ, საიდანაც დასცეს მახვილი უზე-
ნარო მუხთალი ხელით.

სახეჩარადოვანი კაცის თვალები შემოეფეთა, უსაზღვრო
შიშით და ძრწოლით გატენილი.

ხელში შავი კვართი ეჭირა იმ კაცს.

„ააააა!“

და ხელებგაწვდილი წატორტმანდა მეფე გაქცეული თი-
ლისმისაკენ.

გარბოდა სახეჩარადოვანი და ზირაქის თვალებიანი კაცი-
ანთარი და ისტერიული კივილით ვილაცას უყიოდა.

ხოლო ის ვილაც წამოეწია და ხელმეორედ აძგერა მაზრაკე
გუბაზ მეფეს.

აძგერა და ძუძუ-გული გაიტანა.

დაცემამდე მოასწრო მეფემ, მეფური ძახილი აედევნებია
ფრთაასხმული, გაფრენილი დედამიწისთვის:

„განიფრთხვე ძილი და მარად მღვიძარედ იყავნ, კოლხე-
თო!“

მაგრამ ეს ძახილი ამ ქვეყანაზე მის მეტს არავის გაუგონია.
მძიმე დაცემამ ჩააქრო სრბოლა დედამიწისა.

იწვა მეფე მისი დაცემით ტანნატკენ დედამიწაზე და თვი-
თონ არარა სტკიოდა, რადგან აკი აღრევე გაქცეულიყო მისი
სხეული მისივე სხეულიდან.

ესლა იყო მისი ამქვეყნიური უკანასკნელი მოლანდება:
თეთრმა, მთაქედინამა, ოღრიკალი მთვარეებით რქანაყარმა
ხარმა განკვეთა და გადახნა წყვდიადი ნათელი ხნულით მიწისა
და ცის შესაყარზე; ხარის ზურგზე თეთრი ყრმა იჯდა — არსთა
შემოქმედს უბიდან რომ გადმოუვარდა ზეცად ფრენისას...
ყრმა იგი, ზენაარი ღიმილით პირდამშვენებული, ხელის ქნევით
იხმოზდა მეფეს...

უსაზღვრო სიხარულით ავსებული გამოედევნა იმ მოლან-
დებას...

უსასრულო თეთრ ფერში განიზნა და განზავდა სული გუ-
ბაზ მეფისა.

ხოლო წყვდიადში დარჩნენ ცოცხალნი.



ბანმარტაპანი

გვ. 8. **პოლისი** — „ქალაქს“ ნიშნავს, მაგრამ ძველ საბერძნეთში ყოველი ქალაქი იმავე დროს ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოც იყო (ქალაქ-სახელმწიფო). ყოველ მათგანს თავისი საკუთარი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდა. პოლისში შედიოდა არა მარტო საკუთრივ „ქალაქელი“ მოსახლეობა, არამედ მის გარშემო ოლქის ყველა სასოფლო დასახლებაც, მაგალითად, ათენის პოლისში შედიოდა მთელი ატიკის მოსახლეობა, სპარტაში — ლაკონიის მოსახლეობა, თებში — ბეოტიის მოსახლეობა და ა. შ.

გვ. 8. **პეტრონი** — საკუთარი კანონმდებლობა (გინა კონსტიტუცია).

გვ. 8. **პეტარპი** — „თვითდაკმაყოფილებას“ ნიშნავს; იგულისხმება საკუთარი, „თვითდამაკმაყოფილებელი“, სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრება.

გვ. 8. **პომენი** — საბერძნეთის პოლისთა შორის ყველაზე მოწინავე ქალაქ-სახელმწიფო შუა საბერძნეთის ერთ-ერთ ოლქში — ატიკაში. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო აკროპოლისი, ციხესიმაგრე და პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი სახელგანთქმული პართენონის ტაძრით. ათენის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წყობილება ძველი მონათმფლობელური დემოკრატიზმის ნიმუშად ითვლება. ათენის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო ეკლესია — სახალხო კრება. უმაღლეს საბჭოსა და სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა არეოპაგი — უსუცესთა საბჭო, რომელიც სათათბიროდ იკრიბებოდა არესის (ომის ღმერთი) ბორცვზე (აკროპოლისის მთავარ შესასღელთან) და ამიტომაც ეწოდებოდა ამ პოლიტიკურ ორგანოს არეოპაგი. უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებდა კოლეგიური ორგანო არქონტატი — ცხრა არქონტის შემადგენლობით: არქონტი-ეპონიმი (უფროსი, რომლის სახელითაც აწარმოებდნენ წელთაღრიცხვას), არქონტი-ბასილევ-

სი (რელიგიის მოწესე-მეთაური), არქონტი-პოლემარქოსი (მხედართმთავარი) და ექვსი არქონტი-თესმოთქმის (სამოსამართლო საქმეთა განმგებელნი). დიდი უფლებები ჰქონდა სტრატეგოსთა კოლეგიას ათი სტრატეგოსის (სარდლის) შემადგენლობით. ისინი ცალკეულად სარდლობდნენ ცალკე ფილედან (ოლქიდან) გამოყვანილ ლაშქარს, ხოლო ბრძოლის ველზე რიგრიგობით მთავარსარდლობდნენ მთელ არმიას.

გვ. 10. სპარტა — მეორე დიდმნიშვნელოვანი ქალაქ-სახელმწიფო ათენის გვერდით. მდებარეობდა პელოპონესის (სამხრეთ საბერძნეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქში — ლაკონიაში (აქედან — „ლაკონიური“), მდინარე ევროტის ზემო წელზე. სპარტას მეორენაირად ლაკედემონი ერქვა. სპარტის პოლიტიკური წყობილება თვითონ სპარტელებისათვის დემოკრატიული იყო, ხოლო დანარჩენი მოსახლეობისათვის (მონა-ჰილოტები და პერიეკები) ოლიგარქიული. სპარტელთა (ანუ როგორც თვითონ ეძახდნენ „თანასწორ სპარტიატთა თემის“) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა აპელა — სახალხო კრება. მის გვერდით იყო უხუცესთა საბჭო გერუსია — ოცდარვა გერონტის (გერონტი-მსცოვანი) შემადგენლობით. ცალკე არსებობდა სამეთვალყურეო-საკონტროლო ორგანო ეფორატი, ხუთი ეფორის შემადგენლობით. აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში ედგა ორი მეფე. ესენი მშვიდობიანობისას იყვნენ უმაღლესი მოსამართლენი და რელიგიის მეთაურნი, ხოლო ომის დროს — მთავარსარდალნი. მეფეთა უფლებები სპარტაში ძალიან შეზღუდული იყო აპელის, გერუსიისა და ეფორატისაგან. ისინი ავითონ გერუსიის წევრები იყვნენ. სპარტელები რიცხვით მცირენი იყვნენ (9—10 ათასამდე) და შვიდჯერ მეტ ლაკონიელ მოსახლეობაზე ბატონობდნენ. ამას ისინი ახერხებდნენ ძლიერ სამხედრო ორგანიზაციაზე დაყრდნობით. სპარტელთა ცხოვრება სიყრმიდან სიკვდილამდე მთლიანად სამხედრო ყაიდაზე მიდიოდა. სისასტიკით სახელგანთქმული „სპარტანული აღზრდაც“ სწორედ უაღრესად დახელოვნებული მეომრების აღზრდას ისახავდა მიზნად. ასედაც იყო: მთელს მაშინდელ მსოფლიოში სპარტელები ყველაზე საუკეთესო მეომრები იყვნენ, — მცირენი, მაგრამ უამღლესად ბრძოლისუნარიანნი.

გვ. 13. ჰარმოდისი და არისტოგონისი — ათენის სახალხო გმირები, ქაბუკები, რომლებიც შეეწირნენ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას. იმჟამად ათენში მბრძანებლობდნენ ცნობილი ტირანის, პისისტრატეს ვაჟები —

შიპია და ჰიპარქე. 514 წელს (ძვ. წ.) მათ წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება ჰარმოდისისა და არისტოგეიტონის მეთაურობით. მოახერხეს მხოლოდ უმცროსი ტირანის, ჰიპარქეს მოკვლა, ხოლო ჰაპია შეთქმულთ სასტიკად გაუსწორდა. მისი ბრძანებით ჰარმოდისი და არისტოგეიტონი წამებით დახოცეს. 510 წელს ათენელებმა ტირანია მაინც დაამხეს. შიპია სპარსეთში გაიქცა. ათენელებმა ჰარმოდისისა და არისტოგეიტონს აკროპოლისზე ძეგლები აუგეს. მათი სახელები თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოებად იქცნენ; მათზე მღეროდნენ, ლექსებს წერდნენ, მსხვერპლსა სწირავდნენ.

გვ. 22. პინისტრატინები — პისისტრადეს ძენი, იგივე შიპია და ჰიპარქე.

გვ. 22. „არასრულზანდობანი მოქალაქე“ — ასეთად თვლიდნენ მას, ვისაც ორივე მშობელი წარმოშობით ათენელი არ ჰყავდა.

გვ. 23. ატალანტი — ლეგენდარული გმირის, აკადემოსის სახელობის ბალი ათენის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, ჭადრებისა და ზეთისხილის მშვენიერი ხეივნებით. აქ შემდგომში თავის მოძღვრებას ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი. პირველი „აკადემიკოსებიც“ სწორედ პლატონის მოწაფეები იყვნენ.

გვ. 23. ლიკეონი — აპოლონ ლიკეელის სახელობის ბალი ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში. აქ შემდგომში თავის მოძღვრებას ასწავლიდა არისტოტელე.

გვ. 23. გიმნასიონი — სასწავლებელი ძველ საბერძნეთში. აქ სწავლობდნენ სრულუფლებიანი ბერძნები 16-დან 18 წლამდე (დაწყებითი სწავლების შემდგომ). სწავლა სახელმწიფოს ხარჯზე იყო. იწყებოდა ფიზიკური აღზრდით და სრულდებოდა მეცნიერება-ხელოვნების დარგთა შესწავლით.

გვ. 23. პინოსტრები — ჰერაკლესადმი მიძღვნილი ადგილი ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში (ლიკეონის მეზობლად); აქ იყო ერთ-ერთი გიმნასიონი.

გვ. 25. ჰოპლიტიური ლაშქარი — მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი. ჰოპლიტი-მეომარი აღჭურვილი იყო შუბით, მანვილით, ფარით, მუზარადით, ჩავშნით, სამკლაურებითა და საბურკულებით. საუკეთესო ჰოპლიტურ ლაშქრად ითვლებოდა სპარტელთა ჯარი.

გვ. 26. ჰელიასტი — მოსამართლე.

გვ. 32. მოგვები — სპარსელი ქურუმები.

გვ. 58. ამფიპტიონები — რელიგიური კავშირის,



ამფიქტიონის წევრები, რომელთა ფუნქციებში შედი-
და უფლებათა და ქონებათა დაცვა და ცალკეულ რე-
ლიგიურ დღესასწაულთა ორგანიზაცია.

გვ. 61. ტელამონი და ანიპსი — მამა-შვილი, კუ-
ნძულ სალამინის ლეგენდარული მეფენი და სახელოვა-
ნი გმირნი. ტელამონი თავის ძმასთან, პელევსთან ერთად
არგონაველთა კოლხური ლაშქრობის მონაწილე იყო, ანი-
პსი კი შემდგომ ტროას ომში მონაწილეობდა თავის ბი-
ძაშვილთან, პელევსის ძე აქილევსთან ერთად.

შინაბრსი

სამას-სამასი

წიგნი პირველი

სამასი სპარტელი

თავი პირველი. თერმოპილიძე	
„მიწა და წყალი“	7
მარათონი	10
მილტიადეს აღსასრული	19
თემისტოკლე და არისტიდე	22
თავი მეორე. თერმოპილი	
ქსერქსე	29
როგორ მოდიოდნენ აზიელები	31
როგორ ზედებოდნენ ევროპელები	34
ჯარი გროვდება	37
პირველი სისხლი ზღვაზე	39
ბრძოლა არტემისიონთან	41
ორი ბანაკი თერმოპილესთან	44
პირველი სისხლი ხმელეთზე	47
აპოთეოზი	49
თავი მესამე. თერმოპილის შემდგომ	
სპარსელები პელადის გულში	57
სალამინი	59
სალამინის შემდგომ	65

სამასნი არაგველი

თავი პირველი. კრწანისამდე

ორი რეალობა	72
თოფის გასროლა სასახლის აივნიდან	75
„ნუ ჰყოფნი, მეფეო!“	78
იქედნე	87
საბედისწერო წლის დასაწყისი	92
ტრაგედია ახლოვდება	95

თავი მეორე. კრწანისი

შვიდი სექტემბერი	99
რვა სექტემბერი	101
ცხრა სექტემბერი	103
ათი სექტემბერი	105
აპოთეოზი	111

თავი მესამე. კრწანისის უმღებოზ

Vae victis!	125
ისევ სამასნი	128
იქედნეს აღსასრულზე	131
პატარა კახის აღსასრული	137

აგავი კოლხი ასულისა

კარი პირველი. არგონაგმობი

დედინაცვალი	146
ოქროს ვერძი	151
ოქროს ქვეყანა	153
ამონა	163
მეფის სიზმარი	174
ფეხშიშველა გმირი	179
არგონაველები	190
გამგზავრება	193
უცნაური ქალები	209



საზარელი შეცდომა	216
ახალი საგოდებელი	226
კრივი	232
დამშეული გულთმისანი	239
მტრინავი კლდეები	244
ეექსინის პონტოს ნაპირებზე	248
კარი მეორე. მ ე დ ე ა	
ქალღმერთთა მსჯავრი	261
ქუთაია	264
გრძნეული ქალი	284
რაყიფები	296
ჭიდილი	305
მოტაცება	315
მდევარი	325
უფლისწულის სიკვდილი	334
ვის მფარველობენ ღმერთები	343
მედეას მამიდა	347
სირინოზები, სკილა, ქარიბდი	350
უგემური ქორწინება	352
გაფრენილი მხედარი	361
მედეა უცხოობაში	370
„მკვლელი“ დედა	377
მედეას დაბრუნება	396
მკვლელობა სოზისწყლის პირას	401
განმარტებანი	421

რედაქტორები: რევაზ დანელია, ავთანდილ მეგრელიშვილი
ტიქნიკური რედაქტორი: ნოე მაჭარაშვილი
კორექტორი: ცირა ჯვარცხელიაშვილი
გამომშვები: შიხეიდ მეგრელიშვილი

გადაეცა წარმოებას 10.4.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.6.91, საბეჭდი
ქაღალდი №2, ქაღალდის ზომა $84 \times 108 \frac{1}{32}$. პირობითი ნაბეჭდი თაბახი
24,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21.

ტირაჟი 40 000, შეკვეთა 506

ფასი 14 მანეთი

გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“,
საგამომცემლო კოოპერატივი „ჭეჭილი“

1991

САНИКИДЗЕ ЛЕВАН ДАВИДОВИЧ
МНОГОТОМНИК
ТОМ I

(На грузинском языке)
Издательство «Кидеви Даизრдебнан»
ул. Маркса, 1

кооп. «Джеджили»,
пл. Свободы, 4

Тбилиси, 1991

ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

მომდევნო ტომებში დანიშნდება
შემდეგი ნაწარმოებები:

- | | |
|-----------------------------|----------------|
| დედა ისტორია | (ერთ წიგნად) |
| უქარქაშო ხმლები | (ოთხ წიგნად) |
| წიგნი მოწამეთა | (ერთ წიგნად) |
| დავით აღმაშენებელი | } (ერთ წიგნად) |
| გიორგი სააკაძე | |
| მარიუსი და სულა
და სხვა. | |

